

შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი

**Shota Rustaveli Institute of Georgian Literature**

# Literary Researches



XXXIII

2012



ლიტერატურული  
ძიებანი



XXXIII



2012

UDC (უაკ) 821.353.1.09(051.2)  
ლ-681

**რედაქტორი**

მაკა ელბაქიძე

სარედაქციო კოლეგია

ივანე ამირხანშვილი  
ამირან არაბული  
თამაზ ვასაძე  
მარიამ კარბელაშვილი  
ნონა კუპრეიშვილი  
თამარ ლომიძე

სარედაქციო საბჭო

მანანა კვაჭანტირაძე  
ჰელენ კუპერი (კემბრიჯი, საპატიო  
წევრი)  
გაგა ლომიძე  
ირმა რატიანი (თავმჯდომარე)  
გაგა შურლაია (რომი, საპატიო წევრი)  
რუსულან ჩოლოფაშვილი  
როსტომ ჩხეიძე  
ელგუჯა ხინთიბიძე

პასუხისმგებელი მდივანი  
სოსო ტაბუცაძე

ლიტერატურული ძიებანი, 33, 2012  
რედაქციის მისამართი: 0108, თბილისი,  
მერაბ კოსტავას ქ. 5.  
ტელეფონი: 299-63-84  
ფაქსი: 299-53-00  
E-mail: litinst@litinstituti.ge

**Editor**

Maka Elbakidze

Editorial Board

Ivane Amirkhanashvili  
Amiran Arabuli  
Tamaz Vasadze  
Mariam Karbelashvili  
Nona Kupreishvili  
Tamar Lomidze

Editorial Council

Manana Kvachantiradze  
Helen Cooper (Cambridge, Honorary  
member)  
Gaga Lomidze  
Irma Ratiani (Chairman)  
Gaga Shurgaia (Rome, Honorary member)  
Rusudan Cholokashvili  
Rostom Chkheidze  
Elguja Khintibidze

Responsible Editor  
Soso Tabutsadze

Literary Researches 33, 2012  
Address: 0108, Tbilisi  
5, M. Kostava str.  
Tel.: 299-63-84  
Fax: 299-53-00  
E-mail: litinst@litinstituti.ge

ISSN 0235-3776



საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის აღსაყდრების 35-ე  
და დაბადების მე-80 წლისთავის აღსანიშნავად

**ზაზა აბზიანიძე**  
პატრიარქის კურთხევით...

9

**რუსთველოლოგიური კვლევანი**  
**Rustaveli Studies**

**თამარ ხვედელიანი**  
სატაეთის ელჩის სახე  
„ვეფხისტყაოსანში“

12

*Tamar Khvedeliani*  
The Image of the Khatavian Messenger in  
the *Vepkhistqaosani*

**ქართული საკარო და საერო მწერლობა**  
**Georgian Courtly and Secular Literature**

**თინა ნახუცრიშვილი**  
კახეთის მეფის კონსტანტინეს  
(მამადულიხანი) სახე მე-18  
საუკუნის ქართულ პოეზიასა და  
ისტორიოგრაფიაში

18

*Tina Nakhutsrishvili*  
The Image of the King of Kakheti  
Constantine (Mamadkulikhani) According  
to the Georgian Poetry and Historiography

**XIX საუკუნე: ეპოქა და ლიტერატურა**  
**XIX Century: Epoch and Literature**

**გორგა ჯუჭუხიძე**  
ილია ჭავჭავაძე და გლობალიზაცია

34

*Gocha Kuchukhidze*  
Ilia Chavchavadze and Globalization

**საბა მეტრეველი**  
ალექსანდრე ყაზბეგისეული  
შიომლა ღუდუშაური — მხატვრული  
გამონაგონი თუ სინამდვილე

51

*Saba Metreveli*  
Shiola Gudushauri by Aleksandre Kazbegi  
- The Narrative Image or Truth

## XX საუკუნის მწერლობა XX Century Literature

**თამარ გელიტაშვილი**  
სიკვდილთან შერიგებული გენიოსი

**ადა ნემსაძე**  
რელიგიური იდენტობის პრობლემა  
ოთარ ჭილაძის რომანში  
„ყოველმან ჩემმან მპოვნელმან“

**ნატო ონიანი**  
დაღლილი სისხლის კონცეპტი  
დემნა შენგელაიას მოდერნისტულ  
რომანში

**მაია ჯალიაშვილი**  
ღვთაებრივისა და დემონურის  
ჭიდილი გრიგოლ რობაქიძის  
ესეების მიხედვით

**ირმა ყველაშვილი**  
ხალხური შემოქმედების კვალი  
რევაზ ინანიშვილის პროზაში

**Tamar Gelitashvili**  
Genius Reconciled to the Death  
**Ada Nemsadze**  
The Problem of Religious Identity in the  
Novel by Otar Chiladze “Everyone Who  
Finds Me”

**Nato Oniani**  
A Concept of “Tired Blood” in Demna  
Shengelaya’s Modernist Novel

**Maia JaliaShvili**  
The struggle Between the Divine and  
the Demonical According to the Grigol  
Robakidze’s Essays

**Irma Kvelashvili**  
The Trends of Georgian Folk Works in  
Revaz Inanishvili Prose

## პოეტიკური კვლევანი Poetical Studies

**ირმა რატიანი**  
მსხვერპლის თეორია და  
ალ. ყაზბეგის პროზა  
(„ხევისბერი გოჩა“)

**მანანა კვაჭანტირაძე**  
სახელი და სამყარო

**ინგა მილორავა**  
ზღვის სივრცული მოდელი  
მოდერნისტულ ტექსტებში

**ქეთევან ბეზარაშვილი**  
ადრეული პიზანტიური პოეზია  
კლასიკური სალიტერატურული  
ფორმისა და ქრისტიანული შინაარ-  
სის ურთიერთმიმართების შესახებ

**Irma Ratiani**  
Theory of Sacrifice and Al. Qazbegi’s  
Fiction (“Khevisberi Gocha”)

**Manana Kvachantiradze**  
The Name and the World

**Inga Milorava**  
Spatial Pattern of the Sea in  
Modernist Texts

**Ketevan Bezarashvili**  
The Old Byzantine Poetry According to  
Classical Literary Form and  
Christian Contents

**თინათინ ბიგანიშვილი**  
ნიკილიზმი, როგორც პოსტმოდერნიზმის ერთ-ერთი პანიდეა და „ახალი თეორიის“ ვაკუუმი

**Ирина Модебадзе**  
Свобода и Необходимость:  
понимание и интерпретация  
в переводе

**ნიკა თევზაძე**  
როდის წარმოიშვა დეტექტიური  
ლიტერატურა

**Tinatin Biganishvili**  
Nihilism as the Pan-idea of Postmoderne  
and the Vecuum of the «New Theory»

**Irine Modebadze**  
Freedom of a Translator and Necessity:  
Perception and Interpretation

**Nika Tevzadze**  
When the Detective Literature  
Originated

**კონსტანტინე ბრეგაძე**  
მოდერნისტული ლირიკის  
დისკურსი და გალაკტიონის  
„ლურჯა ცხენები“

**Wiesna Mond-Kozłowska**  
The Concept of Beauty in the Mediaeval  
European Aesthetics. A Probable Chance  
for the Contemporary Renewal of  
the Notion of Art Related to the  
Sacred -Sacrum

**Konstantine Bregadze**  
Discourse of Modernist Lyrics and “Blue  
Horses” by Galaktion Tabidze

**ვესნა მონდ-კოზლოვსკა**  
სილამაზის კონცეპტი  
შუასაუკუნეების ევროპულ  
ესთეტიკაში. Sacred-Sacrum-ის  
ცნებასთან დაკავშირებული  
Notion of Art-ის (შეხედულება  
ხელოვნებაზე) იდეის განახლების  
თანამედროვე მცდელობა

**რუსუდან თურნავა**  
„ჩვენ ეხლავ ვიცით, სად დადგებიან  
კლოდელი, ჟამბი, სიუარესი...“  
(გალაკტიონის ერთი ლექსის  
ინტერპრეტაცია პოლ კლოდელის  
შემოქმედებითი პორტრეტის  
ფონზე)

**მანანა კვატაია**  
ასი წლის წინათ: ეპისტოლური  
რეკონსტირუქციები

**Rusudan Turnava**  
Galaktion’s One Verse  
Interpretation in the Background of  
Paul Claudel’s Creative Portrait

**Manana Kvataia**  
A Hundred Years Ago: Epistolary  
Reconstructions

**146**

**153**

**171**

**180**

**188**

**200**

**213**

<b>მაია ნაჭებია</b> ადამიანის იდენტობის კრიზისი ვაცლავ ჰაველის ესეისტიკასა და დრამატურგიაში	<b>Maia Nachkebia</b> Crisis of Human Identity in Vaclav Havel's Essays and Plays
	<b>228</b>

**მურმან ლებანიძე – 90**  
Murman Lebanidze - 90

<b>ზოია ცხადაია</b> მურმან ლებანიძე	<b>Zoia Tskhadaya</b> Murman Lebanidze
	<b>240</b>

**რეცენზია**  
Review

<b>თამარ შარაბიძე</b> „ქართული რომანტიზმი“ (ნაციონალური და ინტერნაციონალური საზღვრები)	<b>Tamar Sharabidze</b> Georgian Romanticism (national and international borders)
	<b>254</b>

**ამაგდარნი**  
Honoured

<b>ზაზა აბზიანიძე</b> გამოთხოვება ვახტანგ როდონაიასთან	<b>258</b>
--	------------

<b>ივანე ამირხანაშვილი</b> ბედი და მოვალეობა	<b>261</b>
---	------------

**ახალი წიგნები**  
New Books

**263**

<b>შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის სამეცნიერო პუბლიკაციების სტილი</b>	<b>Style of Academic Publications in Shota Rustaveli Institute of Georgian Literature</b>
	<b>275</b>

---

## საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის აღსაყდრების 35-ე და დაბადების მე-80 წლისთავის აღსანიშნავად

---

### პატრიარქის კურთხევით...



**უწმიდესი და უნეტარესი საპატრიარქოს  
კარიბჭესთან**

თავის ცნობილ სიტყვაში „საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიის შესახებ“ უწმიდესმა და უნეტარესმა, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსმა ილია II-მ ერთი მნიშვნელოვანი ცნება განმარტა: „რას ნიშნავს კათოლიკოსი? მანამდე ეკლესიის მეთაურს მთავარეპისკოპოსი ერქვა და მხოლოდ ავტოკეფალიის შემდეგ მიემატა ტიტული კათოლიკოსი. ეს არის ბერძნული სიტყვა და ნიშნავს ყველაფერს, ყველას. ამგვარად, საქართველოს კათოლიკოსი ეს არის ყოველთა ქართველთა სულიერი მოძღვარი. საქართველოში იქნება ეს თუ უცხოეთში. ყოველი ქართველი საქართველოს ეკლესიის მეთაურის მფარველობის, მისი ომოფორის ქვეშაა“.

ვინ მოთვლის, რამდენი ადამიანია „ყოველთა ქართველთა“ შორის, რომელსაც უფიქრია თავის შვილობრივ ვალზე სულიერი მამის წინაშე — იმ სულიერი მამისა, რომლის სახელს უკავშირდება გასული საუკუნის 70-იანი წლებიდან დაწყებული ქართული საეკლესიო ცხოვრების არნაული

აღორძინება და ამასთან — მთელი ჩვენი საზოგადოების ათწლეულობით მინავლებულ სულიერ კერებთან და ფასეულობებთან მიბრუნება.


ვინ ჩამოთვლის, რამდენი იდეა, რამდენი სასიკეთო ჩანაფიქრი განხორციელებულა უწმიდესის კურთხევით ან უშუალო ძალისხმევით. ერთი ასეთი წამოწყების ავტორი 1989 წლის ზამთარში თავად გახლდით და თვითმხილველი ვიყავი იმისა, როგორ დამუხტა ჩვენი

რამდენიმე გულანთებული თანამოქალაქე პატრიარქის კურთხევამ და როგორ შეენაცვლა ერთი თვის განმავლობაში ავადსახსენებელი წითელი მე-11 არმიის „სამახსოვრო ქვას“ ტაბახმელასთან აღმართული, იუნკერთა უკვდავსაყოფი ქათქათა მემორიალური სტელა. მემორიალის გახსნაზე, პატრიარქის ზურგსუკან მდგარ იდეალისტებს, დარწმუნებული ვარ, ერთი ფიქრი და იმედი გვაერთიანებდა — რომ საცაა დავამარცხებდით „საბჭოთა

გველეშაპს“, რომ „მემორიალთა შენაცვლება“ ოდენ სიმბოლური აქტი არ იყო და კარსმომდგარ გაზაფხულთან ერთად საქართველოს ნათელი მომავალი ამობრწყინდებოდა...

ვინ ჩამოთვლის, რამდენიგანხიბლვა, რამდენი სიმწარე, რამდენი ტკივილი გავიარეთ იმ ყმანვილური იდეალიზმის, იმ სულსწრაფობის, იმ მაღლემრწმენობის საზღლურად?! მერე, ისევ და ისევ, „პატრიარქის ზურგსუკან“ ვეძებდით თავშესაფარს — მის სიბრძნეს, მის განჭვრეტას, მის სათხოებას მინდობილნი...

ამ მისასალმებელი წერილისათვის საგანგებოდ ავირჩიე ცნობილი რუსი ფოტოურნალისტის იური როსტის მიერ გადაღებული ერთი ფოტო, რომელზეც საქართველოს ეკლესიის საჭეომბყრბელი საპატრიარქოს კარიბჭესთან, მონოლითური ქვისაგან გამოთლილი ჯვრის ფონზეა აღბეჭდილი. თუ „გულის მზერით“ ჩააკვირდებით უწმიდესის დაღ-



**კათოლიკოს-პატრიარქი იუნკერების  
უკვდავსაყოფი მემორიალის გახსნაზე,  
1989 წ.**

ლილ სახეს, უთუოდ გააგრძელებთ ამ სიმბოლიკას...

აյ წარმოდგენილ ფოტოსურათთაგან კიდევ ერთი, 24 წლის წინანდელი, რომელზეც ზემოთ ნახსენები ტაბახმელის მემორიალის გახსნაა აღბეჭდილი, ჩემთვის, რაღა თქმა უნდა, განსაკუთრებით ძვირფასია: სხვათა შორის, გასულ შემოდგომაზე, წამით, გავიფიქრე ეს ფოტო პატრიარქის საიუბილეო ფოტოალბომში ჩაგვერთო („ილია II“, გამომცემლობა „საოჯახო ბიბლიოთეკა“, 2012 წ.). მაგრამ აღტერნატივა ულმობელი იყო — ან ამ ალბომის რედაქტორობაზე უნდა მეთქვა უარი, ან რამენაირად ჩემი თავი „ამომეშალა“ ფოტოსურათიდან... სამაგიეროდ, პატრიარქის მეორე, არაჩვეულებრივი ფოტო, მის აღსაყდრებაზე გადაღებული, ალბომის ყდას რომ ამშვენებს — სწორედ ჩემს საოჯახო არქივში აღმოჩნდა და ეს ფაქტი ისევე მეამაყება, როგორც ამ საიუბილეო გამოცემის რედაქტორობა...

რადგან საგამომცემლო საქმიანობაზე ჩამოვარდა სიტყვა, არ შემიძლია ერთი ნიშანდობლივი თანხვედრა არ აღვნიშნო: გასული წლის ივნისში „საოჯახო ბიბლიოთეკაში“ დასრულდა (ჩემი ხელმძღვანელობითა და მთავარი რედაქტორობით) „აბიციური“ საგამომცემლო პროექტი — ოცტომეული „დიდი ქართველები“. რამდენიმე დღის შემდეგ კი



საიუბილეო ალბომი „ი ლ ი ა II“

უკვე ჩვენი დიდი თანამედროვის — ილია II-ის საიუბილეოდ გამიზნულ იმ ალბომზე დავიწყეთ მუშაობა, რომელზეც ზემოთ მოგახსენებდით... ეს თანხვედრა გამიზნული ნამდვილად არ ყოფილა, მაგრამ სიმბოლური კი იყო და ამდენადვე — მრავლისმთქმელი... ალბომის წარმატებამ (რაც მთავარია, თავად პატრიარქის მოწონებამ) შეგვმატა სიმხნევე და პათოსი კიდევ ერთი საიუბილეო პროექტის განსახორციელებლად: ესაა სამტომეული, რომლის პირველი ტომი — პროფ. სერგო ვარდოსანიძის ყოვლისმომცველი მონოგრაფია — „ილია II“ ახლახან გამოვიდა; მალე გამოვა მეორე ტომიც — „გვიამბობს პატრიარქი“, სადაც მკითხველი უწმიდესის მოგონებებს, ქადაგებებს და მის მიერ მოთხობილ „ზნეობრივ გაკვეთილებს“ გაეცნობა; ვაგრძელებთ მუშაობას მესამე ტომზე, რომელშიც ქრონოლოგიური მიმდევრობით შევა პატრიარქის საშობაო და სააღდგომო ეპისტოლები.

ამ წერილის დასაწყისში ლაპარაკი იყო ადამიანებზე, რომელთაც თანსდევთ ერის სულიერი მოძღვრისადმი გადაუხდელი ვალის განცდა. ერთ-ერთი იმ მრავალთაგან მეც გახლავართ და, რაღა თქმა უნდა, მიფიქრია ამ თემაზე: მიფიქრია, რარიგ მოუხელთებელია „ვალმოხდილობის“ ცნება და იმაზეც, როგორ გაგვიმართლა მე და ჩემს კოლეგებს „საოჯახო ბიბლიოთეკიდან“, რომ საშუალება მოგვეცა, თუნდაც ამ ფორმით, სიმბოლურად გამოგვეხატა უსაზღვრო მადლიერება ჩვენი სულიერი მამისადმი.

ზაზა აბზიანიძე

# რუსთველოლოგიური კვლევანი

## თამარ ხვედელიანი

### ხატაეთის ელჩის სახე „ვეფხისტყაოსანში“

ხატაეთის ელჩი „ვეფხისტყაოსანში“ მხოლოდ ერთხელ გამოჩნდება, მაგრამ მეტად შთამბეჭდავ კვალს ტოვებს.

როგორც ცნობილია, ინდოეთის ამირბარმა იმისათვის, რომ თავგასული მოხარკე ქვეყნისთვის ნაკისრი ვალდებულება შეეხსენებინა და თან სატრფოს წინაშე თავიც გამოეჩინა, ხატაეთისკენ დაძრა რჩეულ ინდოთა ლაშქარი: „ვუბრძანე წვევა ლაშქართა, გავგზავნე მარზაპანია, იგი ვარსკვლავთა ურიცხვი მოკრბეს ინდოთა სპანია“. თავადაც საბრძოლოდ მომზადებული დაესწრო სამხედრო აღლუმს, აღმართა ალამი წითელ-შავი და ხატაეთისკენ აიღო გეზი, რათა გაურჩებული ვასალებისთვის ჭუუა ესწავლებინა, რომ-ლებმაც, როგორც ჩანს, დაივიწყეს, რომ ინდოეთის „სახარაჯონი“ იყვნენ, რომ მორჩილად უნდა ეხადათ ხარკი მთელი სიცოცხლის მანძილზე და საჭიროების შემთხვევაში სისხლის უკანასკნელ წვეთამდე დაეცვათ დამპყრობელთა ინტერესები.

საგულისხმოა, რომ ხატაელთა შემაშფოთებელ განწყობას მხოლოდ ნესტან-დარე-ჯანმა მიაქცია ყურადღება, მხოლოდ მას გაუჩნდა განცდა, რომ „მათნი ჯავრნი“ უკვე „არდასათმონია“, შენიშნა რამაზ მეფის თავდაჯერება, კადნიერება, მოისმინა მისი პა-სუხი „ლალი და უკადრონია“: „არც რამე ჩვენ ვართ ჯაბანნი, არც ციხე-უმაგრონია, ვინ არის თქვენი ხელმწიფე, ჩვენზედა რა პატრონია?“ უფრო მეტიც შენიშნა, რომ რამაზ მეფე ირონიითაც კი მიმართავდა ტარიელს: „რაგვარა თუ მანდა გეხმე? ვინ ვჰპატრონობ ბევრსა ერსა?“ და რჩევის მიცემასაც ბედავდა: „ამის მეტსა ნუმცა ვნახავ კვლალა წიგნსა შენმიერსა“.

უცნაურია! ნუთუ თვითმპყრობელმა, „ტანად ლომმა და პირად მზემ, ომად მძლე“ ფარსადანმა არ უწყოდა, რომ ხატაეთში ანტიინდური განწყობა თანდათან იყიდებდა ფეხს და ძლიერდებოდა? ხატაელთა მსგავსი თავდაჯერება ხომ იმის მაუწყებელი იყო, რომ „ძალი შესწევდათ ქადილისა“, რომ ინდოეთის ულლის გადაგდებას ლამობდნენ და ამ მიზნის მისაღწევად მიზანმიმართულად ირჯებოდნენ კიდეც: ამაგრებდნენ ციხე-სიმაგრეებს, აგებდნენ თავდაცვით ნაგებობებს, ლესავდნენ იარაღს, ჭრიდნენ საიდუმლო გვირაბებს, წვრთნიდნენ ასიათასობით რჩეულ მოყმეს და განამტკიცებდნენ რწმენას, რომ „ბევრი ერის“ პატრონი ხელმწიფე მომხვდურ მტერს საკადრისად დახვდებოდა და თუ არა ძალით, ხერხით მაინც გაიტანდა ლელოს, ინდოეთის ხუნდებისგან დაიხსნიდა თავის ხალხს. ხერხი კი ხშირ შემთხვევაში სჯობია ღონეს, თუ, რასაკვირველია, კაცი მოიგონებს, თანაც ვითარების შესაფერისა და მახვილგონივრულს. ნუთუ ეს ყოველივე არ იცოდა ფარსადან მეფემ? თუ სათანადო ყურადღებას არ იჩენდა დამონებული ქვეყნის მიმართ?

რატომდაც არც ფარსადანს, არც ინდოეთის ამირბარ ტარიელს არ გასჩენიათ მოსალოდნელი ხიფათის განცდა და მხოლოდ ნესტანმა, მამისგან ფაზარის ქვით ნაშენ კოშ-

კში, ერთი შეხედვით, ნებიერად მჯდარმა, იგრძნო იდუმალი საფრთხე. ქალმა, რომელსაც თითქოს გაწყვეტილი ჰქონდა კავშირი გარე სამყაროსთან და მხოლოდ მამიდა დავარის „სიბრძნის გაკვეთილებს“ ერაფებოდა. სწორედ ნესტანმა აიძულა მასზე გამიჯნურებული ამირბარი ქვეყნის ინტერესებიც დაეცვა და „თავიც კარგად გაეჩვენებინა“, გაურჩებული ვასალი სათანადოდაც დაესაჯა და თან „ელაშერა და ენაპირა“.

რაც შეეხება ფარსადანს, მას მაშინაც არ გამოუხატავს ინტერესი, როცა ინდოეთის „ვარსკვლავივით ურიცხვი“ მხედრობა მწყობრი ნაბიჯით დაიძრა დედაქალაქის კარიბჭისაკენ. არადა მეფეს გადამწყვეტი ომის წინ უნდა დაელოცა ლაშქარი და გამარჯვებით დაბრუნება ესურვებინა. როგორც ჩანს, მის უმოქმედობას თავისი მიზეზები ჰქონდა.

ნესტანმა, მამასთან შეუთანხმებლად, ვფიქრობთ, საკმაოდ გაბედული გადაწყვეტილება მიიღო, რადგან ინდოეთს ხატაელებთან იმდენი ხნის განმავლობაში ჰქონდა ურთიერთობა, რომ საფუძვლიანად უნდა შეესწავლა მათი ზნე. ამაზე მეტყველებს ტარიელის თანმხლებ ვაზირთა სიტყვები: ხატაელები „არიან მეტად მუხთალნი, — ჩვენ ერთხელ კვლაცა ვნახენით, — არამცა მოგვლეს დალატად...“ და ურჩევენ, არ მიენდოს რამაზ მეფის მოქარგულ სიტყვებს, პირფერულ დაპირებებს, ზედმეტად არ დააცილოს რჩეული სამასი მეომარი ძირითად ლაშქარს, ფხიზლად ადევნოს თვალი საომარ ვითარებას და ისე იმოქმედოს, როგორც ძლიერი ცენტრალიზებული ქვეყნის გამჭრიახ მხედართმთავარს შეეფერება.

ბრძენ ვეზირთა შეხედულების ჭეშმარიტება სულ მალე დამტკიცდა, როცა ტარიელს რამაზ მეფის გამოგზავნილი რამდენიმე დესპანი შეეგება და მათგან ერთ-ერთმა მეტად მნიშვნელოვანი ინფორმაცია მიაწოდა: „...ისი კაცი გდალატობენ, ერთგან შენთვის დამალულნი სპანი ასჯერ ათასობენ... ანვე თავსა არ ეწევი, ფათერაკასა შეგასწრობენ“. ხატაეთის ელჩი ამ გულახდილობას იმით ხსნის, რომ პაგშვობაში იცნობდა სარიდან მეფეს („მე მამისა თქვენისაგან ვარ ცოტათო განაზარდი, თქვენი მესმა სალალატო, საცნობელად გამოვვარდი...“), ტარიელი მიიჩნევს, რომ „კარგი საქმე კაცსა ზედა აზომ თურმე არ წახდების“, კეთილი საქმე ერთგვარად ქვაზე დადებული მაღლია, რომელიც აუცილებლად იძლევა ნაყოფს, აუცილებლად დაგხვდება წინ, თანაც ყველაზე საჭირო დროს. იგი მადლიერია ხატაეთის ელჩისა, რომელმაც არ დაივიწყა სარიდან მეფის ამავი, მის მიერ გამოჩენილი გულმოწყალება, მამაშვილური სითბო, მცირე ხნის განმავლობაში მის ალზრდაში მიღებული მონაწილეობა (ცოტაი განაზარდობა) და ახლა, დათესილი სიკეთის სანაცვლოდ, სარიდანის შვილის გადარჩენა მოიწადინა, დეტალურად გაუმხილა რა რამაზ მეფის მზაკვრული ჩანაფიქრი — ტარიელისა და მისი მცირერიცხოვანი რაზმის მოჩვენებითი კეთილგანწყობით მიღება და ჩასაფრებული ასიათასკაციანი ჯარის ელვისებური იერიში.

პოემაში სულ რამდენიმე სიტყვით, მაგრამ სავსებით სრულყოფილადაა დახატული რამაზ მეფის ელჩის სახე. მის შესახებ ინფორმაცია მწირია. მკითხველმა იცის, რომ ცხოვრობს ხატაეთში. როგორც ჩანს, ფრიად შეძლებული დიდგვაროვანი უნდა იყოს, საპასუხისმგებლო თანამდებობისთვისაც მიუღწევია. ელჩია, რამაზ მეფის ნდობით აღჭურვილი პირი. სავარაუდოდ ბრძენი, გამჭრიახი, წინდახედული დაბლომატი, საინტერესო პიროვნება. ის, რომ მის ალზრდაში სარიდან მეფე მონაწილეობდა, გვაფიქრებინებს, რომ სიყრმეში გარკვეული კავშირი ჰქონდა ინდოეთთან, უფრო სწორად კავშირი ჰქონდა მამამისს და, ამავე დროს, მეფესთან საკმაოდ დაახლოებული პირი უნდა ყოფილიყო (მით უფრო საკვირველია, რატომ ენდობოდა ასე ხატაელთა მეფე, რატომ არ ფიქრობდა, რომ

მსგავსი რამ შეიძლებოდა მომხდარიყო. იქნებ თავისი გამჭრიახობისა და დიპლომატიური ნიჭის წყალობით ოსტატურად ფარავდა გულისნადებს?)

შეიძლება ისიც ვივარაუდოთ, რომ ხატაელი დიდგვაროვანი გარკვეულ მისიას ას-რულებდა ინდოეთში. თავისი პიროვნული თვისებებითა და საქმისადმი სერიოზული დამოკიდებულებით მიიპყრო სარიდან მეფის ყურადღება და მისი პატივისცემა დაიმსახურა, დაუახლოვდა სამეფო კარს და მეფემ თავისი დამოკიდებულება მისი მცირებლოვანი ვაჟის მიმართ ყურადღებაში გამოხატა.

მოგვიანებით, როცა ინდოეთში მისი მისია ამოინურა, სამშობლოში დაბრუნდა ოჯახთან ერთად, მაგრამ მის შეილს არასოდეს დავინყებია ინდოეთის მეშვიდედის მფლობელის მამაშვილური სითბო და პირველივე ხელსაყრელი შემთხვევა გამოიყენა ვალის დასაბრუნებლად.

შესაძლოა, ეს ასეც იყოს, მაგრამ საინტერესოა, უფიქრია მას, რომ თავის სამშობლოს (ხატაეთს) სარიდანის „ძნელად გარდასახდელი ვალის“ გამო ლალატობდა? იმ ომში ტარიელის მხარეს დგომა ხომ სამშობლოს ინტერესების ფეხქვეშ გათელვას ნიშნავდა? აცნობიერებდა ხატაელი დიპლომატი, რომ მისი გაზრდისთვის სიცოცხლით უნდა ეგო პასუხი ათასობით და ასიათასობით უდანაშაულო ხატაელს, რომლებიც ამ ომში მხოლოდ თავისუფლების სიყვარულით მონანილეობდნენ? ნუთუ ესოდენ ბრძენმა და გამჭრიახმა დიპლომატმა მადლის გადახდის უფრო შესაფერისი და, რაც მთავარია, უმსხვერპლო საშუალება ვერ გამონახა? ნუთუ ასე ძვირად უნდა დასჯდომოდა ხატაეთს ერთი ჭაბუკის „ცოტაი განაზარდობა“? იქნებ ინდოთა „გახასახებისა“ და ხატაეთის „გარდაქარების“ წინააღმდეგიც არ იყო? მაშინ ხომ ერთი-ორად დაფასდებოდა მისი „ლვაწლი?“ აკი სიტყვაც მისცა ტარიელმა: „მას კაცსა ამოდ ვეუბენ და მადლსა გარდვიხდიდა: რომე არ მოვკვდე, შემოგზო, შენ ამას ინატრიოდა... თუ დაგივინყო, უთუოდ მემცა ვარ განაკიდია“ და ამ სიტყვებს არ გაულიზიანება ხატაეთის ელჩი, არ უთქვამს, რომ არა სანაცვლო მისაგებელისთვის, არამედ სარიდან მეფის „მადლის გარდასახდელად“ „იღვნოდა“, სიკეთეს სიკეთით პასუხობდა, ან რატომ იტყოდა უარს მეფურ ჯილდოზე, თუ მისთვის სამშობლოს ერთგულ სამსახურზე მაღლა პირადი ინტერესი იდგა?

საინტერესოა, იგრძნო თუ არა პასუხისმგებლობა მაშინ, როცა ტარიელი თავისუფლებისმოყვარე ხატაელებს შუბით გმირავდა, დახოცილი ცხენებისა და მებრძოლების გორებს დგამდა, მენინავე ლაშქარს წყვეტდა და „სისხლსა მჩქეფრსა აღმოღვრიდა?“, იფიქრა თუ არა რა ძვირად დაუჯდა უამრავ ადამიანს მისი არსებობა, მისი აღზრდა, ცოდნა და კაცობა? ალბათ, არა, რადგან ტარიელის გამარჯვება მის გამარჯვებად ქცეულიყო, სწამდა, რომ სარიდანის ვაჟი სიტყვას არ გატეხდა და სათანადოდ დაუფასებდა „ნამსახურს“.

მაგრამ შესაძლოა ხატაეთის ელჩის მიმართ ზედმეტად მკაცრი დამოკიდებულება შეიცვალოს, თუ დავუშვებთ, რომ იგი არ იყო ხატაელი, არ მიიჩნევდა სამშობლოდ ამ ქვეყანას. მისი სიტყვები სარიდანის ძნელად გარდასახდელ ვალზე მხოლოდ იმას ამტკიცებს, რომ სიყმარევილის წლები ტარიელის მამის სიახლოვეს გაუტარებია, ხატაეთიდან შორს. იქნებ ინდოელ დიდგვაროვანთა წრეს ეკუთვნოდა ან ინდოეთში გატარებული წლების სიმრავლის გამო სწორედ ამ ქვეყანას თვლიდა სამშობლოდ და მის წინაშე იხდიდა თავის მამულიშვილურ ვალს? ის, რომ იმხანად ხატაეთის მკვიდრი და რამაზ მეფის ქვეშევრდომია, მისი ხატაელობის მტკიცებულებად არ გამოდგება და ამ შემთხვევაში მისი სამშობლოს მოღალატედ მიჩნევა, შესაძლოა, ზედმეტად მკაცრი შეფასებაც აღმოჩნდეს. სავალ-

დებულო ხომ არ იყო ხატაეთის ინტერესების დაცვა და რამაზ მეფის ჩანაფიქრის განხორციელება თავის უზენაეს მოვალეობად ჩაეთვალა?

მიგვაჩინია, რომ ზემოხსნებული მოყვე ეროვნებით სწორედაც რომ ინდოელი უნდა ყოფილიყო. მართალია, რამაზ მეფე მას დესპანის ფუნქციას აკისრებს და საგანგებო მისით წარგზავნის ინდოეთის შეიარაღებული ჯარების მთავარსარდალთან, მაგრამ, სავარაუდოა, რომ თვითმპყრობელი მეფე ფარსადანი დაპყრობილ და ვასალადქცეულ სახელმწიფოებში თავის წარმომადგენლებს დაიმუშავდა, რომლებიც, დიპლომატიური მისის ფარგლებში, თვალს მიადევნებდნენ ქვეყანაში განვითარებულ მოვლენებს და ამით სუზერენი ქვეყნის სიმშვიდეს უზრუნველყოფდნენ.

დიპლომატური კორპუსი ხომ დღესაც ანალოგიურ ფუნქციას ასრულებს. სხვადასხვა ქვეყნის საელჩო-საკონსულოთა წარმომადგენლები ქვეყანაში მიმდინარე პროცესებს მთელი ყურადღებით აკვირდებიან, ყველაფრის საქმის კურსში არიან და საჭიროების შემთხვევაში პირველები რეაგირებენ, ცდილობენ ქვეყნებს შორის არსებული პრობლემების უმტკივნეულოდ მოგვარებასა და დაძაბული ვითარების შეძლებისდაგვარად განმუხტვას.

ვფიქრობთ, ხატაეთის ელჩიც ანალოგიურ ფუნქციას ასრულებს. ჩვენი აზრით, ის ინდოეთის სამეფოს სრულუფლებიანი დესპანისა ხატაეთში, რომლის სამსახურებრივი მოვალეობაა, არ დაუშვას ორ ქვეყანას შორის პოლიტიკური ვითარების გამნვავება და, მით უფრო, საომარი მოქმედებების განხორციელება. როგორც დიპლომატი, იგი ვალდებულია მომხდართან დაკავშირებით თავისი პოზიცია გამოხატოს და იქნებ რამაზ მეფემაც შემთხვევით არ აირჩია მისი კანდიდატურა?

მისთვისაც ხომ ხელსაყრელი იქნებოდა, თუ ტარიელს ხატაეთში ბრძოლის ჟინს ისე-თი ადამიანი გაუნელებდა, რომელიც იცნობდა ინდოელი ამირბარის ოჯახს, მამის კეთილშობილური საქმეების გახსენებით გულს მოულბობდა, სიფხიზლეს მოუდუნებდა და განზრახვაზე ხელს ააღებინებდა? ინდოელი ვეზირებიც ხომ აღნიშნავენ, ხატაელები „არიან მეტად მუხტალნიო“, როგორც ჩანს, ეს თვისება რამაზ მეფისთვისაც არ იყო უცხო, თუმცა ჩვენ მიგვიჩინა, რომ რამაზი თავისი ქვეყნის ინტერესებისათვის მებრძოლი გვირგვინოსანია და ნებისმიერი მისი ქმედება ქვეყნის სიყვარულითა და ერთგული სამსახურითაა ნაკარანახვი, მაგრამ ეს სხვა თემაა. გამოდის, რომ რამაზ მეფემ სავსებით სწორად გათვალი მოსალოდნელი შედეგი და ინდოელი ელჩის წარსულის სათავისოდ გამოყენებას დაეშურა, მაგრამ ის ველარ წარმოიდგინა, რომ ინდოელი დიპლომატი საკუთარ თამაშს წამოიწყებდა და ხატაეთის მეფის, ერთი შეხედვით, უნაკლო გეგმას წყალს გაატანდა. შესაძლოა, რამაზის არც ის ეგონა, რომ ინდოელი დიპლომატისთვის ცნობილი იქნებოდა მისი საიდუმლო ჩანაფიქრის ნიუანსები.

საგულისხმოა, რომ რუსთველი მას ერთხელაც არ მოიხსენიებს ხატაელად. უწოდებს „ერთ კაცს“ („ერთი კაცი უკ-მორე-სწყდა...“) და ის თავისდაუნებურად კიდეც ემიჯნება დანარჩენ ელჩებს, როდესაც ამბობს: „ისი კაცი გლალატობებ“ და გულისხმობს ან სხვა ელჩებს, რომლებმაც რამაზ მეფის დანაბარევი გადასცეს და, როგორც დიპლომატებმა, გარკვეულნილად თავადაც იკისრეს ტარიელის სამასკაციანი რაზმის უსაფრთხოდ მიღებისა და გამასპინძლების პასუხისმგებლობა, თუმც შეუძლებელია არ სცოდნოდათ ხატაელთა მეფის რეალური გეგმა, შესაძლოა „ისი კაცი“ გულისხმობდა მეფეს, მის მოხელეებს, ხატაეთის მოსახლეობას. ნებისმიერ შემთხვევაში ნათქვამია „ისი კაცი“, ხატაელები, ანუ ისინი და არა ჩვენ (მეც მათთან ერთად).

ვფიქრობთ, ელჩმა თავის ქვეყნას (ინდოეთს) უერთგულა, მაგრამ ტარიელისგან მადლის გადახდაზე, სამაგიერო ჯილდოზე მრავლისმთქმელი დუმილით მეტად არასასიამოვნოდ დაგვამახსოვრა თავი.

ამასთან დაკავშირებით შეიძლება გავიხსენოთ საქართველოს ისტორიის ერთი ტრაგიკული ფურცელი, როცა მხედართმთავარმა ივანე ათაბაგმა მაშველი ჯარი არ გაუგზავნა სარდალ შალვა ახალციხელს გარნისის ომში, 1225 წელს, მიუხედავად სამგზის თხოვნისა: „ივნე ათაბაგი და სპანი ქართველთანი ხედვიდეს ძლიერსა ომსა და არა შეიწყალებდეს თანამონათესავეთა და ერთოჯულთა ქრისტეს აღმსარებელთა და მრავალთა სახელოვანთა...“ (ქართლის ცხოვრება 2012: 171). თანამემამულეთაგან გამეტებული შალვა ახალციხელი ჯალალ ედ-დინმა დაინდო, სიცოცხლე შეუნარჩუნა, სრული მორჩილება მოითხოვა მხოლოდ და ამის სანაცვლოდ მეფურად დააჯილდოვა, რჩეულ დიდებულებს გაუთანასწორა, თავის კარზე დააწინაურა. ეგებ იმედი ჰქონდა, რომ ხელსაყრელ შემთხვევას ხელიდან არ გაუშვებდა და შურს იძიებდა, საქართველოს დაპყრობაში დაეხმარებოდა თავის „კეთილისმყოფელს?“ შალვა ახალციხელმა თავისი ნიჭითა და სამხედრო საქმის ცოდნით ისეთი სახელი მოიპოვა, რომ სულთანმა საქართველოს დედაქალაქზე გალაშქრების წინ მასთან მოთათბირებაც გადაწყვიტა, რათა ნაკლები მსხვერპლით მიეღწია მიზნისთვის, მაგრამ „მოულოდნელად მოახსენეს, რომ შალვა ახალციხელისთვის საგანგებოდ მიჩნილ ჯაშუშებს წერილი დაეჭირათ, რომლითაც სულთნის ტყვე, ქართველი სარდალი, საქართველოში თავისიანებს ატყობინებდა ჯალალედინის გეგმებს, მისი დიდი ჯარის თბილისისკენ გალაშქრებია ამბავს, ჯარის რიცხვს, სავარაუდებელ თარიღს და ლაშქრობასთან დაკავშირებულ სხვა ცნობებს“ — წერს ვახტანგ ჭელიძე (ჭელიძე 1984: 559), მაგრამ ამის გამო ახალციხელი მოღალატედ არავის მიუჩნევია. ჯალალ ედ-დინმა პატივ-დიდება არ დაისურა მისთვის, რადგან კარგად ესმოდა მსგავსი მეომრის ფასი, არნახული და არს-მენილი პატივი მიაგო, მაგრამ სამშობლოს სიყვარული გულიდან მაინც ვერ ამოურეცხა და მოღალატედ ვერ გადააქცია, რადგან ასეთებისთვის საქართველო არასოდეს ყოფილა ივანე ათაბაგი და მსგავსნი მისნი, რომლებმაც 1225 წელს კიდევ ერთხელ (უკვე მერამდენედ) მოკლეს სამშობლოც და საკუთარი თავიც, რადგან უმთავრეს მოსახვეჭელზე საკუთარი ნებით თქვეს უარი — სახელზე, რაც თავი-სუფლებისმოყვარე ერში ყველაზე ძვირად ფასობს.

#### დამოცვებანი:

**ქართლის ცხოვრება 2012:** ქართლის ცხოვრება. ტ. II. თბ.: „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა“, 2012.

**ჭელიძე 1984:** ჭელიძე ვ. ქართლის ცხოვრების ქრონიკები. ტ. III. თბ.: „მეცნიერება“, 1984.

## **The Image of the Khatavian Messenger in the *Vepkhistqaosani***

### **Abstract**

**Key words:** Vepkhistqaosani, the messenger of the Khatavian King, Tariel, Shalva Akhaltsikheli

The paper deals with the messenger of the Khatavian King Ramaz who appears in the poem only once but creates quite an impressive and unforgettable image.

The information about him is pretty sparse. It is only known that he is a messenger of the Khatavian king Ramaz, apparently of a noble family, king trusted person because he is a diplomat and plays rather responsible mission.

It can be supposed as a youth his father had certain relations with India because the messenger says that he was brought up in the court of king Saridan. A duty before his tutor makes him save Tariel's life and uncover Khatavian king's treacherous plan to defeat the Indian troop. King's intention was to meet him with flattering speech, blunt his attention assuring him of his loyalty and regret, and at the right time, to call his men waiting in ambush to attack.

The paper assesses wrong, unpatriotic act of the Khatavian messenger. It turns out that thousands of the Khatavians, who in their country's interests fought for the freedom of their own homeland, had to fall victim to his gratitude and desire to repay a kindness.

Negative nuance to his personality is also added by the fact that Tariel's promise to repay for this with royal reward is accepted by the Khatavian messenger silently that in those circumstances was really a sign of consent. It looks like the price for his treachery was Tariel's promise to repay royally and not his gratitude to Saridan. This episode gives a negative connotation to the Khatavian diplomat.

An opinion is expressed that extremely strict attitude to the Khatavian messenger can be changed if we assume that he was not Khatavian but Indian who was in Khataeti with a certain mission. It should be also taken into consideration that Rustveli never refers to him as Khatavian and calls him "a man".

The paper draws a parallel with one tragic page in Georgia's history. It concerns the battle of Garnisi in 1225 when the Commander-in-Chief of Georgian troops Ivane Atabak deliberately denied help to the commander Shalva Akhaltsikheli and with this, actually, doomed him to death because the result of Atabak's unjustifiable act was that thousands men were perished in the battle and Shalva Akhaltsikheli was captured.

It is known from the history that being fascinated with Shalva Akhaltsikheli's personal qualities and knowledge of military affairs Jalal ad-Din spared his life, and moreover, he sometimes co-ordinated plan for battles with him. Jalal ad-Din's such unexplained mercy is suggested to be caused by Shah's hope that being betrayed by his compatriots Akhaltsikeli would not have missed the right moment to revenge his country and help his benefactor to conquer Georgia that was Jalal ad-Din's goal too. However, for Shalva Akhaltsikheli Georgia was never associated with Ivane Atabag and such-like corrupted souls, their treachery would never prevent Akhaltsikeli to love his motherland and that is why through espionage he secretly informed Georgians about Khvarazmian shah's intentions.

# ქართული საკარო და საერო მწერლობა

## თინა ნახუცრიშვილი

კახეთის მეფის კონსტანტინეს (მამადყულიხანი) სახე მე-18 საუკუნის

## ქართულ პოეზიასა და ისტორიოგრაფიაში

XVIII საუკუნის ქართულ პოეზიაში მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა საისტორიო ეპოსს, რაც თავისთვად განაპირობებს ისტორიულ პირთა სახეებისა და ხასიათების გამოვლენას. ამჟამად ჩვენი ინტერესის საგანია კონსტანტინე-მამადყულიდხანი — კახთა მეფე. ისტორიულად კონსტანტინე ერთ-ერთი ის პიროვნებაა, რომელსაც, ბუნებრივია, გვერდს ვერ აუვლიდა მე-18 საუკუნის საისტორიო ეპოსი, ამიტომაცაა ასე გამოკვეთილი დავით გურამიშვილისა და იასე ტლაშაძის ისტორიულ პოემებში კონსტანტინეს პიროვნული და პოლიტიკური სახე. ჩვენი მიზანია ვაჩვენოთ როგორ არის წარმოდგენილი კონსტანტინე მეფე, ერთი მხრივ საისტორიო წყაროებში და, მეორე მხრივ, დავით გურამიშვილის „დავითიანსა“ (გურამიშვილი 1955) და იასე ტლაშაძის „ბაქარიანში“ (ტლაშაძე 1962).

კონსტანტინე იყო უკანონი შვილი ერეკლე I ნაზარალი-ხანისა. ვახუშტი ბატონიშვილის ცნობით, კონსტანტინე ერეკლეს ხარჭისგან შესძენია (ვახუშტი ბატონიშვილი 1973: 619). ის გამაპმადიანებულა 1687 წელს თავის მამა ერეკლესთან ერთად (ჩხეიძე 1854: 320). ჩვენ მიერ ისტორიული საბუთების, სიგელ-გუჯრების შესწავლა-შეჯამების შედეგად ცხადი გახდა, რომ კონსტანტინე იზრდებოდა შაპის კარზე და იწოდებოდა მაპმად-ყუდიხანად 1701 წლიდან 1724 წლამდე. შაპმა კონსტანტინეს უბოძა ტარულობა. როდის დაინიშნა ამ თანამდებობაზე, არ ვიცით, მაგრამ 1704 წლის აპრილის 12-ს დავით იმამყულიხანი წყალობის წიგნებში კონსტანტინეს უკავე ისპაპანის ტარულად მოიხსენიებს (ფუთურიძე 1955: 413, 430). 1722 წელს არის დაწერილი „ღმრთაების გუჯარი“, ამ ძეგლიდან ჩანს, რომ კონსტანტინე ამ დროსაც არის ისპაპანის მმართველი ე.ი. ტარულა (დოლიძე 1965: 359).

დავითის სიკვდილის შემდეგ შაპმა კახეთი დაუმტკიცა დავითის ძმას კონსტანტინე მამადყულიხანს და დაუმატა შამშადილი, ყაზახი და ერევანი (ქართლის ცხოვრება 1973: 619). თ. უორდანიას „ქრონიკების“ მიხედვით, ეს მოხდა 1722 წლის მარტში (უორდანია 1967: 82) კონსტანტინე საქართველოში ისპაპანიდან ჩამოსულა 1722 წელს, როდესაც შაპმა მას კახეთის მეფობა უბოძა. ამას ადასტურებს 1724 წელს დაწერილი კონსტანტინეს წერილი პეტრე პირველის მიერ საქართველოში გამოგზავნილი რომელიდაც სარდლისადმი. კახთა მეფე მას სწერს, რომ „ორი წელიწადი ჯერ არს რომე აქ საქართველოში მოველ. საქართველო დიალ მტრისაგან გაოხრებული და წამხდარი დამხვდა, მრავალი პატიოსანი მონასტერი, წმინდათ საფლავები უპატრონოდ გამხდარა, ოხრად დამხვდა მონასტრების ეპისკოპოზები და კრებულნი“ (ბროსე 1861: 167).

პოემა „დავითიანში“ დავით გურამიშვილი კონსტანტინეს ასე ახასიათებს:

„კონსტანტინეს თათრის ენით ერქო მამად-ყულიხანი, იყო სანახავად ვარგი, მკვეთე-ლობით უჩნდა ფხანი, ისპა(ა)ნის ტარულადა მორჭმით იჯდა კარგა ხანი, ავის კაცის თავ-სავარცხლად, აქვნდის კარგი მოსაფხანი“ (224) ეს უკანასკნელი სტრიქონი ჩვენი აზრით უნდა ნიშნავდეს შემდეგს: კონსტანტინემ იცოდა როგორ უნდა მოქცეულიყო საქართველოს მტრებთან, რომ მათი ნდობა როგორმე დაემსახურებინა. ე.ი. აქ დავით გურამიშვილი ყურადღებას ამახვილებს კახთა მეფის პოლიტიკურ ალლოზე.

ვფიქრობთ, სწორი არ უნდა იყოს გ. პაიჭაძის მოსაზრება, თითქოს დავით გურამიშვილი აქ ახასიათებს მას (კონსტანტინეს) როგორც „რენეგატს“ (პაიჭაძე 1981: 119), რადგან ჩვენი ყურადღება მიიქცა „ქილილა და დამანა“ -ში სიტყვა „სავარცხლის“ მნიშვნელობამ. აქ „სავარცხელს“ ორპირობის გაგება აქვს: „სავარცხელი რომ ორპირია, მშვენიერთა და კეკლუცთა თმათა ზედა იარების“, აქვე „სავარცხელი“ ორპირი ადამიანის სიმბოლოდაცაა წარმოდგენილი: „ვინ სავარცხლურად ორპირობს ათენაობის მცდელია“ (ორბელიანი 1962: 229). ჩვენს საანალიზო სტროფშიც, სავარცხელი ორპირობაზე უნდა მიუთითებდეს, ე. ი. კონსტანტინე ირპირობდა მტრებთან. დავით გურამიშვილი სიტყვა „სავარცხელს“ კიდევ ახსენებს კონსტანტინესადმი მიმართვის დროს: „შენ სავარცხელი შემწედ გჩანს“ (258,3) რაც, ჩვენი აზრით, უნდა ნიშნავდეს; რომ კონსტანტინეს მტრებისაგან იცავს ორპირობა. ამასთან დაკავშირებით ყურადღება უნდა მიექცეს ისტორიულ საბუთს, სადაც კონსტანტინე მეფე წერს: „მე რომ აქ (საქართველოში) მოველ, მრავლის ვეცადე ზოგი ხმლითა და ზოგი მტრების შეხვეწითა, მაგრამ მტრები დიალ გაძალიანებული არიან... ზოგი ძალითა ზოგი მტრების შეხვეწით ის მონასტერი ისევ შემინახავს, ჯერ მტრებს არ წაუხდენიათ“ (ბროსე 1861: 167) ხომ არ ივარაუდება კონსტანტინეს ორგვარ საქციელში: ძალის გამოყენებასა და შეხვეწნაში სავარცხლური ორპირობა, ორპირობა არა ცუდი გა-გებით, არამედ ორგვარი საქციელის მნიშვნელობით, აქედან გამომდინარე, არასწორად მიგვაჩინა დ. გურამიშვილის ტექსტისათვის მ. ნასიძის განმარტებაც: „სავარცხელს სპარ-სეთში ჯვრისებრი მნიშვნელობა აქვს, რადგანაც ისინი ლოცვის დროს სარკეში იყურებიან ხოლმე და თან სავარცხლით წვერს ივარცხნიან. და გურამიშვილთანაც ეს მნიშვნელობა ივარაუდებაო“ (ნასიძე 1987: 58).

იმ დროს, როდესაც კონსტანტინემ შაჰისგან კახეთი მიიღო, ქართლის მმართველი იყო ვახტანგ VI. ასტრახანის გუბერნატორ არტემ ვოლინსკის კი საიდუმლო დავალება პქონდა მიღებული პეტრესაგან. მას უნდა გამოეძიებინა ირანის პროვინციების მდგომარეობა ქართლ — კახეთის მეფები ვახტანგი და კონსტანტინე, რუსეთის მხარეზე გადაებირებინა და შეემზადებინა ირანზე გასალაშერებლად (ბუტკოვი 1869: 6). ვახტანგ VI განუდგა სპარსეთს რადგანაც ერთადერთ საიმედო ძალად რუსეთი მიაჩინდა. ქართლის მეფე მზად იყო მათი დახმარებით ამიერკავკასიის ხალხები გაეთავისუფლებინა ყიზილბაში და ოსმალო დამცყრობლებისაგან. მაგრამ ამისათვის ვახტანგის აზრით, აუცილებელი იყო რუსთა ჯარის შირვანს მისვლა. ამის მოლოდინში თვეზე მეტ ხანს ფრიალებდა განჯასთან „აჯანყებულთა“ დროშა. 40 ათასიან ქართველ სომეხთა ლაშქრის სათავეში იდგა ვახტანგი. მაგრამ დერბენდის დაკავების შემდეგ პეტრე პირველი უკან გაბრუნდა. ვახტანგის ამ პოლიტიკურმა ნაბიჯმა თავის წინააღმდეგ ამხედრა მაპმადიანური სამყარო (მაისურაძე 1982). თვით ვახტანგიც პეტრე პირველთან გაგზავნილ წერილში წერდა: „...ამ საქმით ყენიც დაგვემდურა, კახი ბატონიც აგვეშალა და ხონთქარიც წყინობს და იმუქრება“ (ბროსე 1861: 141). აქედან ჩანს, რომ კონსტანტინე ვახტანგს თავისი საქციელის გამო შემოსწყრა. ცნობილია ისიც, რომ ვახტანგი პეტრესთან მიწერილ ერთ-ერთ წერილში მტრადაც კი

მოიხსენიებს კონსტანტინეს: „კიდევ არის კახეთის მეფე და ვიმედოვნებთ, რომ თქვენი ძალის დახმარებით მას დავამარცხებთ“ (ბროსე 1861: 141) ამას აუწყებდა ქართლის მეფე რუსეთის იმპერატორს კონსტანტინეზე.

ვახტანგის და კონსტანტინეს კონფლიქტის მიზეზის შესახებ 1722 წლის 12 სექტემბერს ბაადურ თურქისტანიშვილი გიორგი დადიანს აცნობებდა, „აქეთკენ ყენის წახდენას, ხვანთქრის მოსვლას უბნობენ გაზაფხულზე და კახეთის ხანი, ერეკლეს მეფის ბუში და ქართლის მეფე დიდად აიშალა“ (ბროსე 1861: 146). ამ დროს ოსმალეთმა და რუსეთმა ირანი გაინარჩულეს: „ხონთქარმა კასპიის ზღვის სანაპიროები რუსეთის საკუთრებად იცნო, პეტრემ კი სამაგიეროდ ოსმალეთს დაუთმო ირანის მთელი ჩრდილო-დასავლეთი ნაწილი, რომელსაც ალმოსავლეთ საქართველო მიათვალეს“ (ბერძენიშვილი 1965: 196). ამრიგად, კასპიისპირეთის შეთანხმება ჩაიშალა. ამან ცუდ მდგომარეობაში ჩააგდო ვახტანგ VI, შაჰმა ქართლის ტახტი 1723 წელს კონსტანტინეს გადასცა. ასეთი იყო ისტორიული ვითარება, როდესაც დავით გურამიშვილის „დავითიანსა“ და ისე ტლაშაძის „ბაქარიანში“ ასახვა პოვა კონსტანტინე მეფის ცხოვრებამ და მისმა პოლიტიკურმა საქმიანობამ.

გურამიშვილის ცნობით, ვახტანგ მეფეს ბევრი მტერი ჰყავდა შაჰის კარზე, რომელთაც შეასმინეს ყავნს, რომ ვახტანგი „თქვენ გიჭირს და არას გშველის, არის რუსეთს წამავალიო“ (222,3), ამან გააცოფა ირანის მბრძანებელი და ვახტანგზე გაბრაზებულმა ქართლის ტახტი კონსტანტინეს გადასცა, რადგან თავის შერყეული პოლიტიკის ერთ-ერთ დასაყრდენად თვლიდა კონსტანტინეს ქართლ-კახეთში გამეფებას.

მაგრამ განსხვავებულ ცნობას გვაწვდის ისტორიკოსი სეხნია ჩხეიძე, მისი სიტყვით, კახმა ბატონმა (კონსტანტინემ) დაასმინა მეფე ვახტანგი შაჰთან: „რომ ის არის მტერი შენი და ეყმო ხელმწიფეს რუსეთისასა, ამოსწყვიტა რჯულისა თქვენისა მოსავნი, მიბოძე საქართველო, გიახლო ქართლისა და კახეთის ჯარითა და ვსძლიო მტერთა შენთა“. „ახალგაზრდა შაჰი, რომელმაც არაფერი იცოდა ვახტანგის და კონსტანტინეს ურთიერთობაზე, გაუწყრა ვახტანგს, ჩამოართვა ქართლი და გადასცა კონსტანტინეს“ (ჩხეიძე 1854: 330). თვით ვახტანგ მეექვსე პეტრე პირველთან მიწერილ წერილში შაჰის მიერ ტახტის ჩამორთმევას სხვანაირად ხსნის: „აზრუმის ფაშამ ხვანთქარს მისწერა, იქიდამ იმის-თვის ეპრძანებინათ ჩემი მტერობა, მოვიდა აზრუმის ფაშა ჩვენ სამძღვაოზე დადგა, ამან ყენს წიგნი მისწერა წაახდინეო; ყენმა ქართლი კახს ბატონს მოსცა“ (ბროსე 1861: 148). არც ვახუშტი ბატონიშვილი ასახელებს კონსტანტინეს ვახტანგისათვის ქართლის ტახტის ჩამორთმევის მიზეზად. ის ამბობს მხოლოდ, რომ შაჰ თამაზმა „განამზრახთა თესა-გან ალირჩია მაჰმად ყულიხან და მოსცა ქართლი“ (ვახუშტი ბატონიშვილი 1973: 620).

დავით გურამიშვილიც იმ აზრისაა, რომ კონსტანტინეს ბრალი არ მიუძღვის ვახტანგისათვის ქართლის ტახტის ჩამორთმევაში. იგი ვახტანგის დალატის ფაქტს პოემაში კიდევ ერთხელ აღნიშნავს კონსტანტინეს წერილში ვახტანგთან. „ყენს უმტყუნე, გაგი-წყრა, — აქ ზიხარ შემამწყრალია, ქართლი წაგართვა მე მომცა, ჩემი ხომ, არა ბრალია (280,1,2) „დავითიანში“ კახელი დიდებულებიც კახთა მეფისათვის ქართლის მიცემას უწოდებენ: „დვთის წყალობას კარს მოსულა“ (233,3).

დავით გურამიშვილის ამ თვალსაზრისს ეთანხმება ისე ტლაშაძეც. ისე ტლაშაძე კონსტანტინესათვის ქართლის ტახტის ბოძებას შაჰის წყალობად მიიჩნევს და არა თვით მამადყულიხანის დამსახურებად: „ყენმა მიყო წყალობა, ქართლი გარ შემამახვია“ (32,3) — ამბობს კონსტანტინე „ბაქარიანში“.

უნდა აღინიშნოს, რომ იმ დროს, როდესაც კახთ-ბატონს შაჰმა ქართლის მეფობა შესთავაზა, კონსტანტინე კარგ ურთიერთობაში იყო ვახტანგთან: „მე ვახტანგ მეფეს

შევრიგდი, პირობა მივეც ძმობისა, შევფიცე ვით-ლა ვიტვირთო ეს საქმე ფიცთა გმობისა?“ (229.1,2) – უცხადებს კონსტანტინე კახელ დიდებულებს და აქ დავით გურამიშვილი იმაზეც მიუთითებს, რომ კახთა მეფე შესანიშნავად ერკვევა შაპის ცბიერ პოლიტიკაში. მას წინდახედულად განუცხადებია: „ქართლი მომცა ძმათ საჩხებრად, ამხანაგთა მოსამორად“ (236,4). მართლაც, როდესაც შაპ თამაზი ყაენად დაჯდა (1722 ოქტომბერი), შეიტყო ვახტანგის კეთილი დამოკიდებულების შესახებ, გადაწყვიტა მათ შორის შუდლი ჩაეგდო, მისცა კონსტანტინეს ქართლი და ამცნო: „ვინადგარ ხარ მაპმადიანი, შენ ამის-თვის სარწმუნოდ გრაცე და მეფესა ვახტანგს ვერღა-რა ვენდობი, განაძე მეფე ვახტანგ და ქართლი იპყარ“ (ხერხეულიძე 1854: 473). „დავითიანის“ ავტორიც ამასვე იმეორებს.

შემდეგ დავით გურამიშვილი მოგვითხრობს: კონსტანტინემ შაპის წყალობა რომ მიიღო ქართლის სახით, მოიწვია „მდივან ვეზირინი“, კახელი დიდებულები და შეუდგნენ რჩევას, თუ რა სჯობს ქართლის ტახტის გადასაწყვეტად. მეფე მიმართავს დიდებულებს, საქმე სამართლიანად გაარჩიონ: „სიბრძნით მიჰევდეთ უდელთა ჩემთა სასწორის წონათა“ (227,2) ამასთანავე დასძენს: „თუმცა მიბოძა ყენმა არ მჭამს მიღება ქართლისა, ამად რომ მტერთგან დამდნარნი ვართ, ვით ნალვენთი სანთლისა“ (228,3,4). გურამიშვილისეულმა კონსტანტინემ იცის, რომ ვახტანგი შაპის რაყამს ანგარიშს არ გაუწევს და თუ კონსტანტინე ქართლს მოსთხოვს, ამას მძიმე შედეგი მიჰყება. ქართლის მეფე უბრძოლველად ტახტს არ დასთმობს და მოსალოდნელია შაპის „ამ საქმითა ძალს აჭმევდეს ძმა ძმის შიგნებს“ (239,4). კახთა მეფე ძმასთან მტრობის კატეგორიული წინააღმდეგია. ის აცხადებს: „ვარჩევ სჯობს ფიცთა გატეხას, გატეხა ამ რაყმობისა“ (229,4), აქ კონსტანტინეს „დავითიანის“ ავტორი პატრიოტულ სიტყვებს ათქმევინებს: „მოვისვენებ სანამდის ვერ, სანამ ლეკზე ჯავრს არ ვიყრი. მე ჩემს ძმაზე სამტეროდა არაოდეს ჯარს არ ვიყრი!“ (232,1,2). ამ სიტყვებიდან ჩანს, რომ კახთა მეფეს ამ დროისათვის სხვა მიზნები აქვს: მას სურს გაამაგროს კახეთის საზღვრები, განდევნოს იქიდან ლეკები, რომელთა თარეშს ბოლო არ უჩანს. როგორც ცნობილია, მე-18 საუკუნის დასაწყისიდან მოყოლებული „კახეთის მეფეები ყოველ ღონეს ხმარობდნენ იმისათვის, რომ როგორმე დაიპყრან ჭარ-ბელაქანი და ამით ბოლო მოუღონ ლეკების მიერ კახეთის სოფლების სისტემატიურ ძარცვასა და რბევას“ (პაპუაშვილი 1972: 38). მაგრამ საქმე იმაში იყო, რომ თავისი ხალხი კონსტანტინე მეფეს არ ენდობიდა, როგორც მარი ბროსე ალნიშნავს, კონსტანტინეს ძმის, დავითის სიკვდილის შემდეგ დიდებულებს და სამღვდელოებას უნდოდათ ტახტზე დაესვათ თეიმურაზი, დავითის უმცროსი ძმა. ხალხს კონსტანტინე არ უყვარდა, რადგან მუსულმანი იყო და ცოლად ჰყავდა ფერიჯან ბეგუმი, მამხალის ასული, და შირაზის ბეგლარ ბეგისა. თეიმურაზმა კი, თავისი სინდისით თუ რაიმე სხვა მოსაზრებით, გადაჭრით უარი განაცხადა, ძმას (კონსტანტინეს) მოციქულები გაუგზავნა და იბარებდა მოსულიყო და ტახტი დაეჭირა (ბროსე 1900: 121-122). ჩვენი ფიქრით, კახელ დიდებულთა დარბაზის ეპიზოდშიც დავით გურამიშვილი უნდა გამოხატავდეს კახელთა უნდობლობას თავიანთი მეფისადმი, როდესაც კონსტანტინე აცხადებს „რომ ის უძეოა, თვითონაც დღეს თუ ხვალ მიწა-მტკრად იქცევა და მოითხოვს მომავალი თაობისათვის მოსაწონად გადაწყდეს ტახტის საკითხი, კახელი დიდებულები მას თითქოს ნიშნის მოგებით უცხადებენ: „შენ რომ შვილი არა გყვანდეს, ჲა ძმა შენი და ძმისნული“ (233,4). და მოითხოვენ კონსტანტინესაგან უეჭველად შეასრულოს შაპის ბრძანება ღვთის წყალობა კარს მოსული“, რადგან შაპის ბრძანების წინააღმდეგ გამოსვლა გამოიწვევს ქვეყნის უფრო მეტად მოოხრებას. მოდარბაზეები ურჩევენ კონსტანტინეს, გაგზავნოს თავისი უმცროსი ძმა თეიმურაზი ქართლის

ტახტის საოცნელად და, თუ ვახტანგი არ დათანხმდება მაშინ ომი გარდუვალი იქნება. გურამიშვილი კონკრეტულად არ ასახელებს კახელ დიდებულს, რომელიც დაუპირისპირდა კონსტანტინეს. ვახუშტის კი კონსტანტინეს მონინაალმდეგეთა შორის უპირველესად დაუსახელებია ალავერდელი (ვახუშტი ბატონიშვილი 1973: 620-621). „ბაქარიანის“ ავტორიც ამ ისტორიულ ფაქტზე უნდა მიუთითებდეს, როდესაც ამბობს: „სულ კახნი დარბაისელნი ქართლის დაჭერას ჩქაროდეს“ (35,3).

„დავითანში“ კახთა მეფებ არ გაიზიარა დიდებულთა აზრი და თავისი სურვილისა-მებრ იმოქმედა. კონსტანტინემ წერილი გაუგზავნა ვახტანგს, რომელშიც ქართლ-კახეთის იგავი დაუხატავს: შუაში მოქცეულ ერთადერთ შეკრულ წალამს, გალავნად ცეცხლი შემოარტყა, წალმის თავზე დახრილ ორ ალამს, ერთს „ფეშქაშ-დურ“ დააწერა და მეორეს — „სალამი“, სიტყვიერად კი მისნერა: „შენ მამა ჩვენ ვიყენებთ შენი შვილები თუმცა მიბოძა ყევნმა, მე ქართლსა არ გეცილები“ (240 1,2) „მანდ გახსლებით, მოგვმადლეთ მამაშვილური მცნებაო“ (241,4) მოციქულების მიერ მიტანილი წერილი ვახტანგმა ასე ამოხსნა:

„ფეშქაშ-დურ ქართლის მოძღვნა არს, სალამ-ალამი მშვიდობა; გარს გალავანი ცეცხლისა გარეშე მტერთა დიდობა; წალამი ჩვენ ვართ ორნივე, გვპამს ერთმანერთის მინდობა“ (246 2-4)

კორნელი კეკელიძე კონსტანტინეს წერილის გამო შენიშნავს: „მართალია, ყველა არ იზიარებდა კონსტანტინეს ბრძნულსა და ჰუმანურ შეხედულებას, მაგრამ მან მაინც სიმბოლურად გამოახატვინა წერილში ქართლ-კახელთა ცეცხლის რკალში ყოფნა და მათთვის ერთობის აუცილებლობა და გაუგზავნა ვახტანგს“. მკვლევარი დასძენს: „ვახტანგმა სურათის მნიშვნელობა სწორად შეიგნო“ (კეკელიძე 1981: 542). ჩვენი აზრით, მართალია, ვახტანგმა იგავი ძირითადად სწორად გაიგო, „ფეშქაშ-დურ“ მართლაც, ქართლის მოძღვნას ნიშნავს, მაგრამ „სალამი“ მშვიდობაზე მეტად ქართველების ირანთან კავშირში მტრის ნინაალმდეგ გაერთიანებას ხომ არ უნდა ნიშნავდეს. ამას გვაფიქრებინებს იმდროინდელი პოლიტიკური ვითარება (თურქეთ-რუსეთის ხელშეკრულება). ამასთან დავით გურამიშვილი აშკარად გვეუბნება, რომ კეთილი საქმე ბოროტად გადაიქცა: „აქ ნახეთ საქმე კეთილი ვით გაბოროტდეს ენებით“ (242,4). პოემაში ქართლელმა დიდებულებმა, განსაკუთრებით ვახტანგის ძმამ იესემ, იგავში მუქარა დაინახეს, მაგრამ ვახტანგმა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, იგავის შინაარსი ძირითადად სწორად ამოიცნო და მკაცრად განაცხადა: „წარწყმედილს არს ვინც რა თქვას ძმასთან ძმის დასაშორები“ (248,4)

მიუხედავად ამისა, ვახტანგი დააეჭვეს კახეთის მეფის „კეთილ“ საქციელში, გადაწყვიტეს მოენვიათ კონსტანტინე. ვახტანგ მეფებ ბრძანა: „რადგან იმას მოსვლა უთქვამს, ჩვენცა გვმართებს მოუწოდოთ“ (249,4). ქართლის მეფებ თავისთან იხმო კონსტანტინე კიდევ იმიტომ, რომ დარნმუნებულიყო, ის მტერი იყო თუ მოყვარე და თუ კახთა მეფე მას მტრობდა, ღირსეულად გასწორებიდა. ვეზირების თანხმობით ორი მეფის შეყრა დაინიშნა. კახთა მეფის მოსვლას ვახტანგ მეფესთან დიდი მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა, მაგრამ კეთილი განზრახვა მეფეთა მორიგებისა ფუჭი აღმოჩნდა. ქართლში ფეოდალური ინტრიგების სათავეში იდგა ვახტანგ მეფის ძმა იესე, რომელმაც არ ისურვა ქართლისა და კახეთის შეკავშირება. იესე იღებს გადაწყვეტილებას: ქართლ-კახეთის მეფეები ერთმანეთს არ შეახვედროს, იხმოს მისთვის სანდო პირი დიდოელი ბერი ეპიფანე, დაარწმუნოს იმაში, რომ ვახტანგი კონსტანტინეს მოკვლას უპირებს და გზავნის კონსტანტინესთან, თან მისწერს კიდევ კახთ ბატონს: „რომ მოხვალ, როდი დაგინდობს, მოგვლავს, ეს შენი მტერია“ (257,3) შენი ძმა თეიმურაზი ვახტანგის მხარეს დაიჭერს, რადგან სიძეა და ქრის-

ტიანია. ყავენი კი ქრისტიანებს მტრობს, შენ ძმას (თეიმურაზს) არ გაამეფებს და ქვეყანაც განადგურდებაო. ქართლის მეფესთან მიმავალი კახთა მეფე უკან გაპრუნდა.

ამრიგად, გურამიშვილის აზრით, კონსტანტინეს და ვახტანგის შეხვედრა და მოლაპარაკება ჩაშალა იქსეს წერილმა.

ვახტანგთან მიმავალმა კონსტანტინემ იქსესგან მიღებული წერილი თავის ხალხს დაუმალა და „ფიცხლავ უკან გამობრუნდა“ (261,4). ამან კი უფრო გაუმნვავა ეჭვები კახელებს, კონსტანტინეს შესახებ იძახდნენ: „ნეტარ ბატონმა რაზედ იცვალა გუნება, რად მოინდომა უნინვე არ იყო მისი თუ ნება“ (262,2,3). ზოგი მას ძრახავდა კიდეც და მიაჩნდა, რომ „უჯობდა ქართველ ბატონსა შეყროდა თავაზიანად“ (263,2). ჯერ კიდევ ამ კრიტიკაში იყვნენ, როდესაც კახელები იმის მოწმენი გახდნენ, რომ უკანდაბრუნებულებს ქართლელები დაესხნენ თავს და კონსტანტინეს გაუძარცვეს „ჯორ აქლემნი კიდებულნი, დასჭრეს ზანდუკ მაფრაშები ამოილეს შიგ დებულნი“ (265,1,2), მართალია, კონსტანტინეს ხალხი მათ გამოუდგა, მაგრამ შებინდებამ შეუშალა ხელი და ნაძარცვი საქონელი ვერ დაიბრუნეს.

ჩვენი ფიქრით, ეს ფაქტი „ბაქარიანშიც“ არის აღნერილი, როდესაც იქსე „ატენის ომში“ დამარცხებულ კონსტანტინეს წამოაძახებს: „არ გახსოვს გაგაყრევინე იახტანი და სურადა?“ (147,4). იქსე ტლაშაძე, გურამიშვილისაგან განსხვავებით, პიდაპირ ამბობს, რომ კონსტანტინე იქსე მეფემ გაძარცვაო.

როგორც დავით გურამიშვილი მოგვითხრობს, ამ ძარცვამ კიდევ უფრო დაარწმუნა კახელები თავიანთი მეფის მცდარ პოლიტიკაში. ისინი აყვედრიდნენ, რომ ქართლის მეფემ მას ყველა იმედი გაუცრუა, არ ისურვა მასთან მეგობრობა და კონსტანტინეს მიერ წამოწყებული საქმით ქართლელებმა ტახტის მიცემის ნაცვლად „დორ-სუზანიც“ (მისაყრდენი ბაბიში) ააცალეს. რაც, ჩვენი აზრით, შაჰთან კავშირის დაკარგვას ნიშნავს. ხოლო კახთა მეფემ როცა გაიგო, ხალხი მას ვახტანგთან დამოკიდებულებაში გადადგმულ ამ ნაბიჯს უძრახავდა, ის იძულებული შეიქნა, მათთან თავის გამართლების მიზნით, ვახტანგთან შესახვედრად წასვლა „წავარდად“ და „საქმის ჩხრეკად“ გამოეცხადებინა. კონსტანტინე მიმართავს კახელებს, რომ მან ისინი გამოცადა და როდესაც დარწმუნდა, რომ ქართლელებმა და კახელებმა ერთმანეთში შური არ მოშალეს, ის იძულებული გახდა კახელი ფეოდალების სურვილის თანახმად იმოქმედოს და შეყაროს ჯარი ქართლის წინააღმდეგ საბრძოლველად. გურამიშვილი ამბობს, რომ ამისათვის კონსტანტინე კახელებმა აიძულეს და კახეთის მეფე თავის რუსებას „უნესურად“ და ცოდვად მიიჩნევს. მას კი უნდოდა ქართლ-კახეთში შორის ყოფილიყო „სიყვარული ძმური“, მაგრამ კონსტანტინეს კახელმა ფეოდალებმა არ მისცეს საშუალება ვახტანგთან ურთიერთობაში ჩამოეგდო „სამართალი ბატონყმური“ (269,1,2).

„ბაქარიანის“ ავტორიც ეთანხმება დავით გურამიშვილს, რომ კახელები ქართლელებთან ჩხუბს ვერ მოიშლიან, რადგან მათ ეს ძველთაგანვე მოსდგამთო „მაგრამ კახნივე დაგვჩხუბენ არს მამა-პაპათ ზნეთია“ (82,4).

დავით გურამიშვილის მიხედვით, მართალია, კონსტანტინემ ვახტანგის წინააღმდეგ ჯარი შეყარა, მაგრამ ქართლზე არ გაილაშქრა და მეფეს წერილი ხელმეორედ გაუგზვნა. კახთა მეფე ატყობინებს ვახტანგს, რომ მასთან შეხვედრას ესწრაფოდა, რადგანაც აპირებდა „საქმეს კარგა მონაგვარსა“ (271,1). აქ კონსტანტინე შეუთვლის მას, თუ რა მიზეზით გაბრუნდა უკან:

1. ვახტანგმა ქართლ კახეთის ერთობის სურვილი მტრობად ჩაუთვალა. „სასმელთა მასმევდი რაც არ მწყუროდა“ (270,3).

2. ვახტანგი მას არ ენდო. „ვაპირებდი საქმეს კარგა მონაგვარსა, არ მიმინდევ“ (270,1,2).

3. მახე დაუგო. „სახე უცან მახეს, შენგნით მონაგვარსა“ (271,1,2).

4. გააძარცვინა. განგერიდე რად მომხვიე გასაცრცველად მონა გარსა?“ (274,4) და შემდევ დასძენს: „შენ ოთხ რიგად გული დამწვი, არამც მე კი განვახუთო, მერმე დამგმობ დასაწვავად წამისვაო გაძრას უთო“ (272,3,4) კონსტანტინე ვახტანგისაგან მოითხოვს წაძარცვის დაპრუნებას, რითაც მას ყველა ჩამოთვლილი წყენა მოუშუმდება, ხოლო, წინააღმდეგ შემთხვევაში, ჩაადენინებს ისეთ რაიმეს, რომლისთვისაც ვახტანგი მას დაგმობს და საქციელსაც წინასწარგაზრახულად ჩაუთვლის. ამ წერილის პასუხს კახეთის მეფისათვის დიდი მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა, რადგან ამით საბოლოოდ უნდა გარკვეულიყო ვახტანგის დამოკიდებულება მისდამი და ამავე დროს „სიყრმით მონაგარი“ საქონლის დაპრუნების საკითხიც. კონსტანტინე ვახტანგ მეფეს ტახტს არ მოსთხოვდა თუ წაძარცვს დაუპრუნებდა. „არას გთხოვდი თუ დამხსნოდი სიყრმით ჩემით მონაგარსა (271,4) „სიყრმით მონაგარი“ უნდა ყოფილიყო შაჰის წაბოძები ნივთები, აკი ტლაშაძეც ამბობს, იესე მეფეებ მას „გააგდებინა იახტანი და სურადაო“. მაგრამ როდესაც კონსტანტინემ ვახტანგისაგან „ადვილად მოსაშორები“ წერილი მიიღო: „ვინ დაგიცარცვათ, არ ვიცი, ლარ კიდებული ჯორები; ეგ ჩვენს კაცს არვის უქნია, გსმენიათ მრუდი ჭორები“ (9273,2,3). დავით გურამიშვილის თქმით, კონსტანტინეს ლახვარივით გულში ეცა ქართლის მეფის ამგვარი პასუხი და მაინც მესამეჯერ მისწერა. ამჯერად თავისი წერილი მეფესთან „ჩინით რჩეულ“ ბერებს გაატანა. კონსტანტინე მიხვდა, რომ ვახტანგის ასეთი საქციელი მის მიმართ გამომდინარეობდა მეფის შინაური მტრებისაგან, რომელთაც ვახტანგი უჯერებდა, ამიტომ ურჩია ვახტანგს: „ორგულთა სიტყვას ნუ ისმენ, გაფრთხილდი ნუ მოსტყუვდები, გასწყურ, დასჭერ და დახივე მტყუვანთ ტყუილის გუდები“ (275,1,2). აქ დავით გურამიშვილი მიუთითებს კონსტანტინეს მკაცრ ხასიათზე. ის დაუნდობელია მოღალატეების მიმართ. „უკანიდან მტერი სცემდეს წინ მოყვარეს წაეკიდოს, ამისთანა უგუნურსა უნდა ცეცხლი წაეკიდოს“ (237,2,3), — ამბობს კახეთის მეფე „დავითიანში“. იესე ტყლაშაძეც აღნიშნავს კონსტანტინეს დაუნდობლობას. „ვის გაუწყრება თავს უნაყს, მალ მისცემს ხელში ჯალათსა“ (37,4), ხოლო ვახუშტი ბატონიშვილი კახეთის მეფის სიმკაცრეს მის მაჰმადიანობას აბრალებს; „იყო ესე მაჰმადყულიხან ფრიად მაჰმადიანი... მრისხანე, რამეთუ არა რიდებდა მცირესა ზედა კაცთა სიკუდილსა“ (ვახუშტი ბატონიშვილი 1973: 619). ვფიქრობთ, აქ ი. ტლაშაძის და ვახუშტის მიერ კონსტანტინეს ეს თვისება მათი პიროვნებისადმი დამოკიდებულების მიხედვით არის შეფასებული.

„დავითიანში“, ზემოთ დასახელებულ წერილში, კონსტანტინე მოუწოდებს ვახტანგს წინდახედულობასა და თავმდაბლობისაკენ, დაიცვას ქრისტიანული ზნეობა „კაცს მართებს დაბლაც დახედვა, რაგინდ მაღლამდის აროსა, სიამპარტავნით ხარისხსა ძირი არ განებდაროსა“ (276). ყმამ ბატონს უნდა მოუსმინოს, თორებ სანინაალმდეგოს ღმერთი არ აპატიებს, ყოველივე ამის შემდეგ კი ურჩევს, დაემორჩილოს შაჰი, რადგან თუ იგი არ მოუსმენს თავის უფალს (ბატონი, პატრონი), არც მას დაემორჩილებიან. „დამორჩილება უფალთა უთქვამს დავითის ენასა, ვინც თავის უფალს არ უსმენს, ნურც შენს მონას ეჭვ სმენასა“ (279). მართალია, წერილში კახეთის მეფე ვახტანგს ძლიერებით ლომს ადარებს, მაგრამ იმასაც უუბნება, რომ მხოლოდ ღვთის ძალით თუ მოერევა მტრებს, გრძელკუდიან ვეშაპებს; თავის საქციელით კი კარგავს მოკავშირებს (სპარსეთს) და ამით „არწივებს“ ე.ი. ოსმალებს, რუსეთს აფხიზლებს, რომლებიც მას დაღუპავენ. ვახტანგს აფრთხილებს,

ნუ ეშულლება შაპს, რადგან მას შეუძლია ჩამოართვას „ჯილა“ ე.ი. გაუუქმოს მეფობის უფლება და იძულებულს გახდის, რომ რუსეთში გადასახლდეს; კონსტანტინეს კი, თუ ყაენის დავალებას არ შეასრულებს, ვახტანგივით დასჯის და ამით სხვადასხვა მტრები-სგან აოხრებული საქართველო მთლიანად მოოხრდება. ღმერთი კი მეფეს არ აპატიებს ქვეყნის დაღუპვას ისე, როგორც მოღალატე იუდას არ აპატია თვითმკვლელობა, თუმცა ქრისტეზე იძახდა „სისხლი მართალი მივეცო“, ხოლო პეტრე, რომელსაც სარწმუნოებით იუდა სჯობდა, „ან მკვიდრობს კლდე სიმტკიცითა“, იმიტომ, რომ მან თავისი ცოდვანი უფლის წიმაშე მოინანია.

ჩვენი ფიქრით, გურამიშვილის მიერ მაპმადიან კონსტანტინეს წერილში მოყვანილი იუდას და პეტრეს მაგალითები ამ შემთხვევაში და შემდეგ სიტყვები: „ვინც შეინანებს შე-უნდობს უფალი თავის ცოდვასა“ — იმაზე ხომ არ მიგვანიშნებს, რომ კონსტანტინეს არ უნდა იუდას მდგომარეობაში ჩაიგდოს თავი და პეტრესავით აქვს გადაწყვეტილი ღვთის წინაშე ცოდვანი მოინანიოს, რომელიც შემდეგ შეასრულა კიდეც და ეს ფაქტი „ბაქარი-ანში“ ნათლად არის წარმოდგენილი.

ვახტანგთან ურთიერთობის ეპიზოდში დავით გურამიშვილს კონსტანტინე გამოჰყავს, სამართლიან, გამჭრიას და პატრიოტული სულისკვეთების ადამიანად, რომელიც წინააღმდეგია მათა შორის შულლისა და კარგად ესმის მიზეზები საქართველოს დაქსაქ-სვისა. ის სპარსეთთან ურთიერთობით ხედავს საქართველოს კეთილდღეობას.

ჩვენი ყურადღება მიიქცია გუჯარმა, სადაც კონსტანტინეს ერთგვარად ახასიათებენ დავით გურამიშვილი და დავით იმამყულიხანი, რომელსაც მონაზონ მაკრინესათვის სიკვდილის წინ უკარნახებია: „ირანის ტახტის გამგებლად დგენილმან, ბრძენ ფილოსოფოსმან, მჭერემ, ახოვანმან, ირანის მდივან-ბეგმან და თვალუხვავად მსაჯულმან, უხუცესმან ძმამან, ჩვენმან კონსტანტინემ მაპმადყულისა“ (დოლიძე 1965: 359).

იესე ტლაშაძე, რომელიც ვახტანგ მეექვსის კარის პოეტი იყო, პოემაში რამდენჯერმე ახსენებს კონსტანტინეს, როგორც „ჭევიანს“ და „გამსაჯარს“, თუმცა გურამიშვილის საპირისპიროს ამბობს, რომ კონსტანტინე „წიგნსა სწერს დარბაისელთა მოტყუებით და მელობით; ქართლი მე მამცა ყევნმა მთითა, ბარით და ველობით, არ შევიცილებ მე კაცსა, ჩემი ყოფილა ძველობით,“ (34). „ბაქარიანში“ კონსტანტინეს თავიდანვე მტრული დამოკიდებულება აქვს ვახტანგთან, ყაენისაგან ქართლის მიცემას დიდ წყალობად თვლის და იქადის კიდეც „ვეცდები ამას იქითა, ჩემს მტერს მოუდგა მახა“ (32,4) და ვახტანგ მეფეც ამის გამო ღმერთს შესთხოვს: „მე მამარჩინე სატანას ამ ეშმაკსა და გველასა“, (38,3) — სატანასა, ეშმაკსა და გველაში კი კახეთის მეფე იგულისხმება. ი. ტლაშაძესაც კონსტანტინე თავიანთ მტრად მიაჩნია. „რა გავიმტყუნე მტერზედა მტერს გული მოუფხანია“ (31,3), — ამბობს იგი „ბაქარიანში“.

„დავითიანში“ როდესაც კონსტანტინემ შეიტყო, რომ ვახტანგის ვეზირებმა ითათბირეს, მისი რჩევა არ მიიღეს, ბერებიც დააპატიმრეს და „ემზადებიან სალაშქროდ, ნალარა დანაყვირესო“ (301) „ნამოვიდა, დაიჭირა ავლაბარი“ (302,12) და ყიზილბაშების დახმარებით თბილისში გაბატონდა. „ნარიყალა მიმბაშს ეპყრა შაის-ტახტი ციხის კარი, რა მივი-და ფიცხვლავ მოსცა, გაიკეთა მუნ საფარი“ (302,3,4) ნარიყალა — სიმაგრეა, რომელშიც სპარსთა გარნიზონი იდგა (ჩხეიძე 1854: 330). ხოლო სტრიქონი „შაის ტახტი — ციხის კარი“ უნდა ნიშნავდეს, რომ ქართლი ამ დროს სპარსელებთან ვასალურ დამოკიდებულებაშია. „მოვიდა კონსტანტინე კახთ ბატონი ავლაბარსა შიგან თურმე ციხის კაცთა იცოდნენ და მეფე ვახტანგ უმეცარ იყო“, ამბობს სეხნია ჩხეიძე (ჩხეიძე 1854: 330). როდესაც კახეთის

მეფე თბილისში შემოვიდა „ესე ამცნო მაპმად-ყულიხან ტფილისის მეციხოვნეთა. ამათ დაკშეს კარნი ციხისანი ღამე და ისროდნენ თოფზარბაზანთა, კუალად შემოეპარნენ კახნი და ალიეს კლდისუბანი“ (ვახუშტი ბატონიშვილი 1973: 501).

„ბაქარიანში“ კონსტანტინე მაპმად ყულიხანს თბილის ქალაქის აოხრება აქვს ჩაფიქრებული და ვახტანგის ნინაალმდეგ იყენებს „არესზეითის ლაშქარს“ ე.ი. არეზის (მდინარე არაქსის ჯარი). „თუ არ მოვასხამ ლაშქარსა, ეს არსად გამეცლებისო, სულ აგაოხრებ ქალაქსა, თუ ხანი დამეცლებისო“ (43,3,4.). ამბობს კახეთის მეფე და „მოვიდა ჯარი მრავალი“. ... და სულ დაიჭირეს კრწანისი ციხე და გართაბორია“ (45,3), — გვიამბობს იქე ტლაშაძე.

როდესაც კონსტანტინემ თაბორის ციხე დაიკავა, მაშინ ვახტანგ მეფემ გაგზავნა დედოფალი გორს და „თუთ დაადგრა სპითა თბილისს, ბრძოლა მიმდინარეობდა სამ თუეს“ (ვახუშტი ბატონიშვილი 1973: 501) „იყო ყოველი დღივ ომი“ (ჩხეიძე 1854: 331). ი. ტლაშაძის ნაამბობით, კახეთის მეფეს თბილისიდან გააგდებს ბაქარი. პოეტის თხრობას მხარს უჭერს ვახუშტი: „ბაქარ ეკუეთა მამად-ყულიხანს და მისლვასასვე ივლტოდნენ“ (ვახუშტი ბატონიშვილი 1973: 502) (53,4) და აქ არ ჩანს, რომ კონსტანტინე შეპყრობას გადაარჩინეს ქართლელმა დიდებულებმა, როგორც ამას ვახუშტი გვაუწყებს: „დევნად არღარა აუფლეს მთავართა ბაქარ ზაკუთ, ვინაოთგან მცირე დევნითა შეიპყრობდა მამად-ყულიხანს, რათა არ მოსპოს მეტოქე თვისი“ (ვახუშტი ბატონიშვილი 1973: 503). სამეცნიერო ლიტერატურაში კი ცნობილია, რომ კონსტანტინე თბილისში როდესაც შემოვიდა „თავადთა ერთი ნაწილი ფარულად თუ აშკარად ვახტანგს ლალატობდა და კონსტანტინეს უჭერდა მხარს“ (მაისურაძე 1982: 66). რუსეთის დახმარების დაგვიანებამ ვახტანგის მომხრეებშიც შეიტანა ეჭვი და უნდობლობა, ხოლო მისი პოლიტიკური მოწინააღმდეგენი კახეთის პროირანული ორიენტაციისაკენ გადაიხსარნენ (მაისურაძე 1982: 66). ქართლის მეფეს მოქალაქეთა ნაწილიც განუდგა, რომელთა შორის, ცხადია, სომხებიც იქნებოდნენ“ (მაისურაძე 1982: 66). „ბაქარიანში“ კი ი. ტლაშაძე კონსტანტინეს აბრალებს ქართლელების პროირანულ ორიენტაციაზე გადასვლას: „ვინც მოვა ქართველი კაცი, ფიცხლავ ჩააცმევს ხალათსა“ (38), ამბობს პოეტი კახეთის მეფეზე და აქედან გამომდინარე ალბათ სიმართლეს შეესაბამება ის აზრი, რომ კონსტანტინე კახთ ბატონი შეპყრობას გადაურჩა ვახტანგ მეფის მოწინააღმდეგე ქართლელების დახმარებით. დავით გურამიშვილი მთელ ამ ომს ორი სიტყვით გვიამბობს: „შემოებნენ, დაამარცხეს“ (303,1) ე.ი. კონსტანტინეს შეებრძოლეს და დაამარცხესო. თუ რატომ არიდებს თავს პოეტი ქართლ-კახეთის ბრძოლის უფრო დეტალურად გადმოცემას, ამის მიზეზს სხვა ადგილას თვითონ დავით გურამიშვილი ამბობს: „ამ ამბის თქმა გარჩევითა გულმან ამად არ ინება, ბევრი ავი გამოჩნდების ჩვენი მასზე მერცხვინება“ (168,1,2,) აქედან ჩანს, რომ დავით გურამიშვილს, დიდ მამულიშვილს და ჭეშმარიტ პოეტს ანუხებს ძმათა შორის გაჩაღებული ეს ბრძოლა და სამარცხვინოდ მიაჩინია მისი დეტალურად გამოაშკარავება, თუმცა ობიექტურად, მაგრამ საოცარი გულისტკივილით და სინანულით აღწერს მას, ხოლო იასე ტლაშაძე, როგორც ვახტანგის კარის პოეტი და ისტორიკოსი სიზუსტით მოგვითხრობს ისტორიულ ფაქტებს და ერთგვარად გულგრილი მეთვალყურის როლში გამოდის, როდესაც ქართველთა შორის სისხლისმდვრელი ბრძოლის საზარელ სურათს გვიხატავს.

იქე ტლაშაძეს ეგონა, თბილისიდან გაქცეული კონსტანტინე დასახმარებლად შაპს მიაკითხავდა და უკან დაბრუნდებოდა სპარსელებთან ერთად, მაგრამ კახეთის მეფე შოულობს ლეკის ლაშქარსაო (56,7), — აცხადებს პოეტი, და ვახუშტი ბატონიშვილი კახეთის

მეფის საქციელის მიზეზს კი ასე გვიხსნის: „მაჰმადყულიხანი მივიდა ქისიყს სპისათვის ლეკთა, რამეთუ აქუნდა შიში ყენისა ვინათგან მოცდუნებით ყო შფოთი ესე“ (ვახუშტი ბატონიშვილი 1973: 503).

ქართლის ცხოვრების მიხედვით, კონსტანტინე ვიდრე ქიზიყს მივიდოდა ჯერ მტკვრის გავლით, ნავით, მივიდა მარტყოფს (ჩხეიძე 1853: 331). ხოლო თეიმურაზი კახელ დიდებულებთან ერთად დარჩა თაბორის ციხეში. ვახტანგის სიძე, თეიმურაზი, ეხვენა შე-მორიგებასა ვახტანგს, „არად ისმინა, გაუსია ჯარი მარტყოფს და იავარ ჰყვეს“ (ვახუშტი ბატონიშვილი 1973: 503). მაშინ კონსტანტინე წავიდა ქიზიყს სპისათვის ლეკთა, მიმართა ლეკთა ჭარელთა, აღუთეუა მისაცემი მრავალი, ვერცხლი დიდალი წამოიყვანნა და დაესხნეს ტფილის მეფესა“ (ტაბაღუა 1982: 147). ეს ის მარბიელი ლეკებია, რომლებიც ჭარში „უბატონო თემების“ სახით ჩამოყალიბდნენ (ჯავახიშვილი 1943: 336) და, როგორც უკვე ვთქვით, კონსტანტინე მათ ემტერებოდა, კახეთიდან გაყრას უპირებდა.

„დავითიანშიც“ თბილისიდან განდევნილმა კონსტანტინემ „მიმართა მუხრახ-ჭარსა; უთხრა ქართველთ გამანბილეს, არც მე შევჭამ იმათ ჯავრსა; შეიპირა ჭარელები, სასყიდელი მისცა ჯარსა, ნაუძლვა და ჭელმეორედ მიაყენა ჯარი კარსა“ (303). ამასვე ამბობს ი. ტლაშაძეც. კონსტანტინე „შეშჩივლა ლეკთა: „დამმართეს მე ქართველთ საქმე ვებული, მათზე მილაშერეთ, მიშველეთ, ხმალი გარტყიათ ქებული, ხელთ მოგცემთ რაც მაბადია მე სალაროში დებული“ (57) და მეფეს „ლეკის ლაშქარი გამოჰყვაო“ (59). ამასთან დაკავშირებით, მართებული არ უნდა იყოს ს. კაკაბაძის მოსაზრება, თითქოს „სპარსელებმა მოიხმეს კახეთის მეფე მამადყულახანი — კონსტანტინე და ლეკის ჯარით გამოგზავნეს ის თბილისზე“ (კაკაბაძე 1921: 30).

როგორც სეხნია ჩხეიძე წერს, „ვახტანგს მოუვიდა ამბავი კონსტანტინეს ლეკთა ჯარის შოგნისა, არად ჩააგდო მოსულა მისი, არცა ხიდთა აყრა, ამას კი დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, ლეკის ლაშქარი მოვიდა დილა ბინდზედა სამ პირად, ერთი ავლაპრისა ზედა, ერთი ხიდის პირსა, რა ჰცნეს მოსულა მათი ხიდის აყრა ვეღარ დაასწრეს, ქნეს იერიში, გამოვიდნენ ხიდზედა და ციხიდამ გამოვიდა ბატონიშვილი თეიმურაზ და იქა მყოფნი თათრები, შეიქნა ცემა, გაემარჯვათ, მრავალი დარბაისელნი ამოსწყდნენ“ (ჩხეიძე 1854: 331).

ალბათ, იესე ტყლაშაძე ამ ხიდს ახსენებს, როდესაც ამბობს: „კონსტანტინეს ლეკის ლაშქარი გამოჰყვა, ხიდი არ ჩააქციესო, თაბორზე ვახტანგს დაესხნენ, იქიდამ გააქციესო“ (59). დ. გურამიშვილის და იესე ტლაშაძის ნაამბობს ეთანხმებიან იმდროონდელი მემატიანები ვახუშტი (ვახუშტი ბატონიშვილი 1973: 505) და სეხნია ჩხეიძე (ჩხეიძე 1854: 331). მართალია, ამ შემთხვევაში ორი პოეტის თხრობა თითქოს ერთი მეორის იდენტურია, მაგრამ მათ მიერ კონსტანტინეს საქციელის შეფასება — განსხვავებული.

ი. ტლაშაძეს კონსტანტინე მტრად მიაჩინა და მისთვის კახეთის მეფის ამგვარი საქციელი გასაგებია, რადგან კონსტანტინემ ლეკების დახმარებით მიზანს მიაღწია და „ქალაქში დაჯდა ბატონად, ქართლი უნდა გულითაო“ (62,2), დავით გურამიშვილს კი კონსტანტინეზე სხვაგვარი წარმოდგენა აქვს და ყველაფერ ამას იმით ხსნის, რომ ღმერთმა ხელი აიღო ქართლ-კახეთზე მაშინ, როცა კონსტანტინე კახელებისა და ლეკებისაგან შემდგარი ჯარით თბილისში შემოვიდა (304,7). „დავითიანის“ ავტორი იმასაც ამბობს, რომ კონსტანტინეს და ვახტანგის შუღლმა გამოაღვიძა „არწივი“, „გარიელს კლანტი მან უკრა, სხდენ ორნივ ცარიელზედა“ (306) და გამოღვიძებულ არწივში დავით გურამიშვილი აშკარად ოსმალებს გულისხმობს. თუმცა მის გამოღვიძებას მარტო შუღლს არ აბრალებს,

არამედ ერთგვარად ადანაშაულებს ვახტანგ მეფესაც, როდესაც მან „ძილ-გაკრთობილ-მან საზღაპროდ მძინარე შეძრა ხვანთქარი“ (308,2).

ურუმთა ლაშქრის მოსვლაზე მიუთითებს, იესე ტლაშაძეც „წამოდგაურუმთ ლაშქარი“ და განაგრძობს „თრიალეთზე რომ მივიდა, წინ მიეგება ბაქარიო“ (65.1.2). იესე ტლაშაძე ვახტანგის ამგვარ საქციელს მიესაღმება. ქართლის უბედურებას საზოგადოდ აბრალებს კახელებს, მაგრამ ამავე დროს არც ვახტანგი მიაჩნია უდანაშაულოდ „სულ კახნი დარბა-ისელნი ქართლის დაჭერას ჩქაროდეს ორნივ (კონსტანტინე და ვახტანგი) დაკარგეს ჯავ-რითა ქართლზე ურუმნი ხაროდეს“ (35).

კონსტანტინეს ლეკებით შემოქრა თბილისში ეს იყო „კახთ ნაჩინჩხლო წინწკალთ“, რომელსაც დაერთო — „ქართველთა ქარი ალზედა“ (306) — ასეთია დავით გურამიშვილის აზრი. და პოეტის შიში სამართლიანი იყო. თურქებს გეგმაში ჰქონდათ ვითომდა დახმარების მიზნით, „იმ პროვინციების დაპყრობა, რომლებიც ასი წლის წინ ოტომანებმა დაუთმეს სეფიანებს“ (ჭიჭინაძე 1983: 73). და ვახუშტის მიხედვით, სერასკარი წამოემარ-თა ვინათ-გან იხილა უამი მარჯუე და მოუმცნო მეფესა (ვახტანგს) წარმომივლინე ნათე-სავი შენი, მე ვაოტნო მამად ყულიხან (კონსტანტინე) და დაგიმტყიცო კუალად ქართლი ხონთქრისაგან“ (ვახუშტი ბატონიშვილი 1973: 503-504). ვახტანგმაც ოსმალთა შესახვე-დრად გაგზავნა იესე (ძმა) და 1723 წლის 12 ივნისს სერასკარი ქალაქის გალა-ვანს მოადგა (ტაბალუა 1966: 147). როგორც დ. გურამიშვილი ამბობს, კონსტანტინემაც აუსრულა ოსმალებს სურვილი „ქმნა მათის სანუკარისა“ (311,3), „წინ მიეგება, მიართვა კლიტენი ციხის კარისა (311), მაშინ, როდესაც „სცნა კახმა ბატონმა, ლაშქარი სარასკა-რისა საქართველოსა მიადგა, ვით გოლსა ბრბო ფუთკარისა; წინააღმდეგობა არ ეძლო“... (311).

ამრიგად, კონსტანტინემ ალლო აუღო პოლიტიკურ სიტუაციას, ბრძოლა მიზანშე-უწონლად ჩათვალა და თბილისი მტერს უომრად ჩააპარა. „ოსმალო თიფლის შევიდა, კარები დახვდათ ლია რა“, — აცხადებს პოეტი „დავითიანში“ და ამ ფაქტს ადასტურებენ იმდროინდელი წყაროებიც (ვახუშტი ბატონიშვილი 1973: 505; ჩეეიძე 1854: 352).

მაგრამ ჩვენ მიერ მოპოვებული სიგელ-გუჯრებიდან ვიგებთ, რომ კონსტანტინე სიცოცხლის ბოლომდე დაუძინებელი მტერია ოსმალების და თავის ძალას, ენერგიას არ იშურებს მათ წინააღმდეგ ბრძოლაში. ჯერ იყო და ბაქართან ერთად ეწეოდა პარტი-ზანულ ბრძოლებს თურქების წინააღმდეგ (ტაბალუა 1966: 318). სულ რაღაც ექვს თვეში განმათავისუფლებელი მოძრაობის ყველა ძალა ანტიოსმალურ ძალად ჩამოყალიბდა. განჯასთან ოსმალების დამარცხებაში გადამზყვეტი როლი შესარულა კახეთის მეფემ კონსტანტინემ (მაისურაძე 1982), მაგრამ თბილისში შემოსულმა ოსმალებმა მალე მთე-ლი ქართლი დაიპყრეს. ვახტანგ მეფე რუსეთს გაემგზავრა. ამ დროს არანაკლებ მძიმე იყო კახეთის მდგომარეობაც: ოსმალებმა გარე კახეთი დაარბიეს, ლეკებმა მთელი კახე-თის მოიცვეს (ბერძენიშვილი 1958: 162). კახეთის მეფე ლეკებს შეუკავშირდა ოსმალთა წინააღმდეგ და შეება ყაზახში. ამ ბრძოლაში კონსტანტინე დამარცხდა და ძლიეს გადა-ურჩა მოკავშირე ლეკთაგან შეპყრობას (მაისურაძე 1982: 230). „კახთა ბატონმა მომართა ფშავ-ხევსურეთის კიდესა“, — აცხადებს დავით გურამიშვილი და საქმის ახლო მცოდნე-სავით აღგვინერს კახელებისა და კონსტანტინეს გაჭირვებულ ყოფას სოფელ თვალივში (ფშავში) (ლეონიძე 1966: 552). ქართლი და კახეთი დაცარიელდა. ვახუშტის ცნობით, „შემ-დგომ ეზრახდნენ ქართველნი მამად-ყულიხანს რათა მოვიდეს სპითა კახეთისათა, განა-

ძონ ოსმალნი და იყოს მეფედ მათდა, ესე ირწმუნა მაჰმად-ყულიხან“... (ვახუშტი ბატონიშვილი 1973: 662) „დავითიანში კონსტანტინემ ერთგულების ფიცით გააერთიანა კახელები და ქართლელები. მათ იერეიში უნდა მიეტანათ გორის ციხეში მყოფ ოსმალებზე. „არჩივეს გორის ციხესა გამოუთხაროთ ძირები, კახთა ბატონმა მომართა დაბდაბნი და საყვირები“ (314). ეს გარემოებაა აღნერილი „ბაქარიანშიც“. მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთს მეფის ეს გადაწყვეტილება გონივრულ ნაბიჯად არ მიაჩნდა, კონსტანტინეს შიშით მასთან ყველა როგორც ერთი გამოცხადდა. ამ ეპიზოდში იესე ტლაშაძე ოთარ ერისთავს კონსტანტინეზე ათქმევინებს: „მივენდოთ კახსა ბატონსა არს კაცი გამსაჯარია“ (342). ეს იმას უნდა ნიშნავდეს, რომ კონსტანტინე მართალია, მეცრი იყო, მაგრამ სამართლიანიო — ამას ფიქრობს, და განაგრძობს, რომ კონსტანტინემ ოსმალებთან ბრძოლის წინ ცოდვანი მოინანია რათა უფალს მისთვის ხელი მოემართა. კახეთის მეფე დარწმუნებულია, რომ უფალი მას შეუნდობს და ბრძოლაში გაიმარჯვებს: „ვიცი გავაქცევთ ამოვსწყვეტთ ლეთისაგან ველი შველასა (143), — ამბობს პოემაში კონსტანტინე.

ეს გარემოება გვაფიქრებინებს, რომ გარეგნულად გამაჰმადიანებული კონსტანტინე შინაგანად მართლმორნმუნე ქრისტიანი უნდა იყოს. ამასთან ყურადღებას იპყრობს ისიც, რომ მთელ რიგ სიგელ-გუჯრებში, კახეთის მეფე საქართველოში ჩამოსვლის დღიდან ზრუნავს ქრისტიანული ეკლესიების გადარჩენისათვის და 1724 წლის შემდეგ თავის თავს მაჰმადიანური სახელით, მაჰმადყულისახანად, აღარ მოიხსენიებს. წყალობის წიგნებში ის ხელს აწერს უკვე როგორც ქართველთა და კახთა მეფე, განჯა ყარაბალის ბეგლარბეგი და ყაზახის მშერობელი და მქონებელი მეფეთ მეფე კონსტანტინე. ამასთან დაკავშირებით ვახუშტი ბატონიშვილის თვალსაზრისი, კონსტანტინე „ფრიად მაჰმადიანია“ მიკერძოებულია.

ქართველთა და ოსმალთა ბრძოლა გორის მიდამოებში მიმდინარეობდა. „მათ ჩვენმან ჯარმან აჯობა პირველ მისვლაზე შეტევით, მაგრამ ბოლოს კი დამარცხდა შინათვე ნალალატევით“ (613), — ამბობს გურამიშვილი და „დავითიანში“ როგორც ზემოთ ითქვა, ის კონსტანტინეს შეუპოვარ მებრძოლად ახასიათებს. კონსტანტინეს ეს თვისება არც „ბაქარიანის“ ავტორს დარჩენია ყურადღების მიღმა, როდესაც მოგვითხრობს კახეთის მეფის შემოსვლას სოფელ თედორნიდაში „მამაცად არის მამადყულ არა აქვს მტრისა რიდია, სარდლობს, ასწავლის ლაშქარსა მტერზე ამგვარად მიღია“ (139). აქ პოეტი კახეთის მეფეს ათქმევინებს: „არ მეშინია მტრისაგან, როგორც რომ თხისგან ლომსაო“ (140). ამის შემდეგ იესე ტლაშაძე განაგრძობს, საარწივეს ქედთან ქართველებმა შეუტიეს ოსმალებს და „აჯობეს ქართველთა გადრიკეს, გააქცივესა“ (146), მაგრამ ამის გამგონე თბილისის ფაშა კონსტანტინეს წინააღმდეგ გზავნის იესე მეფეს საბარათიანოდან ქართველთა ჯარით. კახეთის მეფე მათ წინააღმდეგობას არ უწევს, ბრძოლიდან გარბის და ხევსურეთის გავლით საღამოს უკვე კახეთშია — გვაუწყებს „ბაქარიანის“ ავტორი. დ. გურამიშვილი ზედაველაზე ქართველთა დამარცხებას ქართლელებს აბრალებს „კახელების აღმა ხნული, ქართველებმა დაღმა ფარცხეს“, ხოლო იესე ტლაშაძე კონსტანტინეს მიიჩნევს მტრად, როდესაც ამბობს: „ამ დენი კაცის გაწყვეტას კახს ბატონს დაუჯინია“ (162).

თუმცა ამავე დროს ქართლელების ღალატსაც ამხელს „ქართლი ისევე ქართლელებს დააქცევინეს“ — აცხადებს ტლაშაძე და მას კარგად ესმის დამარცხების მთავარი მიზეზი „თავი არ ჰყვან და ქართველთა ურუმი მით მოერია“ (131) ე.ი. წინამდლოლი არ ჰყავდათ და აქ გულისხმობს ვახტანგს“. ქართლი დააგდო, წავიდა ... ხმალი არა ჰკრა ხვანთქარსა“ (108).

ამრიგად, ერთი და იმავე მოვლენას ორი პოეტი — მემატიანე სხვადასხვაგვარად აფასებს. დავით გურამიშვილს როგორც პირუთვნელ ისტორიკოსს და პოეტს ქართველთა უთანხმოება, ღალატი სავალალოდ მიაჩნია. ხოლო იესე ტლაშაძე, რომელმაც კარგად იცის ქვეყნის განსაცდელის მთავარი მიზეზი, იჩენს კუთხურ მიკერძოებას და მხოლოდ კონსტანტინე მიაჩნია საქართველოს მტრად. ამაშია განსხვავება და გურამიშვილისა და ი.ტლაშაძის თვალსაზრისთა შორის, მოვლენათა ამგვარმა შეფასებამ კი განსაზღვრა მათ მიერ კონსტანტინეს შეფასებაც. კონსტანტინეს დამარცხებით და კახეთში გაქცევით ას-რულებს კონსტანტინეს შესახებ თხრობას იესე ტლაშაძე.

ომის შემდეგ, 1725 წელს ოსმალებმა ქართლის მმართველად ისაყ ახალციხის ფაშა დანიშნეს და კახეთის დაპყრობა დაავალეს (ბერძებიშვილი 1965: 164-165). იმავე წელს კონსტანტინემ ელჩი გაუგზავნა ასტრახანის გუბერნატორს თხოვნით, როგორც ქრისტიანს გადაერჩინა საქართველო მტრების მიერ სრულ განადგურებისაგან. მან კი შესთავაზა კახეთის მეფეს ქართველებთან ერთად გადასულიყო რუსეთში და დასახლებულიყო „კასპიის ზღვის სანაპიროზე, წმინდა ჯვრის ეკლესიის მიდამოებში“ (ბროსე 1861: 164). როგორც ჩანს, კონსტანტინემ ეს შემოთავაზება არ მიიღო და განაგრძო ოსმალებთან ბრძოლა. როდესაც საქართველოს „დახმარება არსაოდან არ ჩანდა, მაშინ კახთა მეფემ მოახერხა ლეკებთან მორიგება და მათი ძალის ოსმალთა წინააღმდეგ გამოყენება სცადა. ოსმალები კახეთში სანადელს დიდხანს ვერ ეწივენ, ქვეყანა ვერ დაიპყრეს. მაგრამ რაც დრო გადიოდა, კახეთის მეფის მდგომარეობა სულ უფრო უარესდებოდა. ხანგრძლივი ბრძოლის შემდეგ კონსტანტინე დაეზავა ოსმალთ და მათი ხარკი და სამსახური იყისრა, თუმცა თბილისის ფაშა უნდობლად უყურებდა კახეთის მეფეს და მისი ოსმალებისადმი ერთგულებისა არა სწამდა (ბერძენიშვილი 1965: 164-165). 1728 წლის გუჯარში კონსტანტინე მამადყულიხანი თავის თავს მოიხსენიებს მაპმად ფაშად (თაყაიშვილი 1910: 156). „დავითიანშიც“ აისახა კონსტანტინეს ეს პოლიტიკა: „კას ბატონს კონსტანტინესა საქმე მოუხდა ყალათი (არახი), ტანთ ხვანთქრის ქურქი ჩაიცვა, დასთმო ყერნის ხალათი, მტერს დამორჩილდა ნებითა, ველარა ქნა რა ძალათი, მიენდო, თავის თავზედა აქმარებინა ჯალათი“ (322) ე.ი. როგორც კ.კეკელიძე განმარტავს, კახეთის მეფემ „თავისი თავი წარუმართა ე.ი. მოაკვლევინა ჯალათს“ (კეკელიძე 1955: 316).

ვახუშტის ცნობით, უსუფ ფაშამ 1729 წელს თავისთან დაიბარა კონსტანტინე, „რათა დაუმტკიცოს ხონთქარისგანცა კახეთი... და მოკლეს მაპმადყულიხან (ვახუშტი ბატონიშვილი 1973: 623). ომან ხერხეულიძე კონსტანტინეს მოკვლის თარიღად ასახელებს 1733 წელს (ხერხეულიძე 1854: 473). ამ თვალსაზრისს ემხრობიან ივ. ჯავახიშვილი, ნ.ბერძენიშვილი და ს. ჯანაშია (ჯავახიშვილი... 1943: 340). გ. ლეონიძე კონსტანტინეს მოკვლის ნ. ჯერ 1729 წელი მიიჩნია, შემდეგ კი — 1733 წ. მეცნიერი იმოწმებს 1733 წელს სოლალის ციხეში მყოფ გენერალ ლევაშვილის მოხსენებას: „გენერალი რუსეთის მთავრობას აცნობებს საქართველოს საქმეთა მდგომარეობას და კერძოდ კონსტანტინე კახთ ბატონის სიკვდილის ამბავსაც, როგორც ახალ ამბავს“ (ლეონიძე 1955: 2).

მართლაც, ამ დროს საქართველოში პოლიტიკური ვითარება შეიცვალა. „თამაზ შაჰის ნიჭიერმა სარდალმა ოსმალთა ჯარი დაამარცხა და მთელი ადერბაიჯანიც მტერს ხელიდან გამოსტაცა. კონსტანტინე კახეთის მეფე სათანადოდ აფასებდა შექმნილ მდგომარეობას და ქართლის დასაჭერად დროს შესაფარისად თვლიდა. ამიტომ იყო, რომ ოსმალები წდო-

ბით ველარ უყურებდნენ ორგულ ყმას და ვერაგულად მოკლეს“ (მეგრელიძე 1973: 444). „კონსტანტინები ოსმალებთან ბრძოლას საკუთარი სიცოცხლეც კი შესწირა“ (მესხია... 1978: 191) — კონსტანტინე ოსმალთა ბრძოლაში დაიღუპა“ (ბერძენიშვილი 1965: 157).

კონსტანტინეს მოღვაწეობის გურამიშვილისეული შეფასება, რომელსაც მხარს უჭერს საისტორიო წყაროებში მოძიებული მასალაც, ეწინააღმდეგება დღევანდელ სამეცნიერო ლიტერატურაში არსებულ თვალსაზრისს, რომ კახეთის მეფე არის „რენეგატი“ (ბაიჭაძე 1981: 119), „მან დიდი ზიანი მოუტანა ქართლისა და კახეთის მოსახლეობას“ (ბარამიძე 1954: 461), „ცნობილია გამაპმადიანებული კონსტანტინეს ვერაგობა და ბნელი საქმეები. „ის პირადი განადიდების მიზნით შულლსა და მტრობას აღვივებდა ქართლსა და კახეთს შორის“ (ქიქოძე 1964: 169). ზოგს ისიც კა მიაჩნია, რომ დ. გურამიშვილი ყოველთვის არ დგას „მართლის თქმის“ პრინციპის პოზიციებზე და მხედველობაში აქვს პოეტის მიერ დახატული სახე კონსტანტინესი (მოსია 1986). ჩვენ მიერ საისტორიო წყაროებში მოძიებულმა მასალამ გვიჩვენა, რომ დღევანდელ სამეცნიერო ლიტერატურაში ამგვარი თვალსაზრისი კახეთის მეფეზე უნდა მომდინარეობდეს იესე ტლაშაძის მიკერძოებული შეფასებიდან და ვახუშტის ცნობიდან კონსტანტინეს შესახებ (ვახუშტი ბატონიშვილი 1973: 619). რაც შეეხება დავით გურამიშვილს, პოემაში კონსტანტინე კახეთის მეფის პიროვნული და პოლიტიკური სახის წარმოჩენით პოეტმა დაგვარნებუნა, რომ ის თავის თანამედროვეთა შორის ყველაზე გაძედული, „მართლის მთქმელი“, პირუთვნელი მემატიანეა.

## დამოცვებანი:

**ბარამიძე 1954:** ბარამიძე ა. იესე ტლაშაძე. // ქართული ლიტერატურის ისტორია. ტ I. 1954.

**ბერძენიშვილი 1965:** ბერძენიშვილი ნ. საქართველოს ისტორიის საკითხები. II. თბ.: 1965.

**ბროსე 1861:** Броссе М. *Переписка грузинских царей с российскими государями*. Путербург: 1861.

**ბროსე 1900:** ბროსე მ. საქართველოს ისტორია. ნაწ. II. თბ.: 1900.

**ბუტკოვი 1869:** Бутков П. *Матерялы для новой истории Кавказа*. ч I, С.П.Б., 1869.

**გურამიშვილი 1955:** გურამიშვილი დ. „დავითიანი“. თბ.: 1955.

**დოლიძე 1965:** დოლიძე ი. ქართული სამართლის ძეგლები. II ისიდორე დოლიძის რედაქციით. თბ.: 1965.

**დონდუა 1959:** დონდუა ვ. დავით გურამიშვილი და საქართველოს ისტორია. თბ.: 1959.

**გახუშტი ბატონიშვილი 1973:** გახუშტი ბატონიშვილი. ქართლის ცხოვრება. ტ. IV. ს. ყაუხჩიშვილის რედაქციით. თბ.: 1973.

**თაყაიშვილი 1910:** თაყაიშვილი ე. (რედაქტორი). საქართველოს სიძელენი. ტ. III. ე. თაყაიშვილის რედაქციით. თბ.: 1910.

**კავაბაძე 1921:** კავაბაძე ს. შემოკლებული ისტორია საქართველოსი. ახალი საუკუნეების ძელი ეპოქა. ტფ.: 1921.

**კეკელიძე 1955:** კეკელიძე კ. კომენტარები წიგნში დ. გურამიშვილი „დავითიანი“. თბ.: 1955.

**კეკელიძე 1981:** კეკელიძე კ. ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია. თბ.: 1981.

**ლეონიძე 1955:** ლეონიძე გ. კონსტანტინე კახთ ბატონის სიკვდილის თარიღის გამო. გაზ. „ლიტერატურული გაზეთი“, 22 ივლისი, 1955.

**ლეონიძე 1966:** ლეონიძე გ. დავით გურამიშვილი. // ქართული ლიტერატურის ისტორია. ტ. II (ავტორთა კოლექტივი). თბ.: 1966.

**მაისურაძე 1982:** მაისურაძე გ. ქართველი და სომეხი ხალხის ურთიერთობა XIII-XVIII საუკუნეებში. თბ.: 1982.

**მაისურაძე 1982:** მაისურაძე გ. არმანი რუსული ისტორია XVIII. თბ.: ც 212, დოკ №202. 1982.

**მეგრელიძე 1973:** მეგრელიძე დ. ბრძოლა ირან დამპყრობელთა წინააღმდეგ. // საქართველოს ისტორიის ნარკევები. IV. თბ.: 1973.

**მესხია... 1958:** მესხია შ., გვრიტიშვილი დ., დგებუაძე მ., სურგულაძე ა. თბილისის ისტორია. თბ.: 1958.

**ნასიძე 1987:** ნასიძე მ. დავით გურამიშვილი. // ქართველი მწერლები. II. თბ.: 1987.

**ორბელიანი 1962:** ორბელიანი ს.ს. თხზულებანი. ტ. III. ალ.ბარამიძე რედაქციით. თბ.: 1962.

**პაიჭაძე 1981:** პაიჭაძე გ. ვახტანგ VI. თბ.: 1981.

**პაპუაშვილი 1972:** პაპუაშვილი თ. ჭარ-ბელაქანი. თბ.: 1972.

**საქართველოს სიძველენი 1948:** საქართველოს სიძველენი. ტ. III. ე. თაყაიშვილის სტ. თბ.: 1910.

**ტაბალუა 1966:** ტაბალუა ი. საქართველო საფრანგეთის უერთიერთობა. თბ.: 1996.

**ტაბალუა 1982:** ტაბალუა ი. მასალები XVIII ს-ის პირველი მეოთხედი. საქართველოს ისტორიისათვის. თბ.: 1982.

**ტლაშვაძე 1962:** ტლაშვაძე ი. „ბაქარიანი“. ს. ყუბანეიშვილის რედაქციით. თბ.: 1962.

**ფუთურიძე 1955:** ფუთურიძე ვ. (რედაქტორი). ქართულ სპარსული ისტორიული საბუთები. ვლ. ფუთურიძე რედაქციით. თბ.: 1955.

**ქიქიძე 1964:** ქიქიძე ბ. ისტორიული პოემა ძეელ ქართულ ლიტერატურაში. თბ.: 1964.

**ქრონიკები 1854:** ქრონიკები. // ქართლის ცხოვრება. ტ. II. დ. ჩუბინაშვილის რედაქციით. სანკტ პეტერბურდი: 1854.

**ქრონიკები 1967:** ქრონიკები. III. გ. ჟორდანიას და შოთა ხინთიბაძის რედაქციით. თბ.: 1967.

**ჩხეიძე 1854:** ჩხეიძე ს. ქართლის ცხოვრება. ტ. II. დ. ჩუბინაშვილის რედაქციით. სანკტ პეტერბურდი: 1854.

**ჭიჭინაძე 1983:** ჭიჭინაძე თ. უცხოელი ავტორები საქართველოსა და საქართველო ირანის ურთიერთობის შესახებ. XVIII უკანასკნელი მეოთხედი – XVIII ს. I მეოთხედიდან. თბ.: 1983.

**ჭყონია 1948:** ჭყონია თ. გორკის ოლქშიალმოჩნილი ქართული სიძველენი // ლიტერატურული ძიებანი. IV. თბ.: 1948.

**ხერხეულიძე 1854:** ხერხეულიძე ო. მეფობა ირაკლი მეორისა თეიმურაზის ძისა. // ქართლის ცხოვრება. ტ. II დ. ჩუბინაშვილის რედაქციით. სანკტ პეტერბურდი: 1854.

**ჯავახიშვილი... 1943:** ჯავახიშვილი ი., ბერძენიშვილი ნ., ჯანაშია ს. საქართველოს ისტორია უძველესი დროიდან XIX საუკუნის დამდეგამდე. თბ.: 1943.

**Tina Nakhutsrishvili**

## **The Image of the King of Kakheti Constantine (Mamadkulikhani) According to the Georgian Poetry and Historiography**

### **Abstract**

**Key words:** King of Kakheti - Constantine, Davit Guramishvili, Iese Tlashadze, Georgian historical chronicles

This paper is dedicated to the life and activities of King of Kakheti Constantine, political opponent of the King Vakhtang VI, according to the 18<sup>th</sup> century epic poems “Davitiani” and “Bakariani”. Narrative of two poet-annalists Davit Guramishvili and Iese Tlashadze is identical, except for the appraisal of the conduct of Constantine. D. Guramishvili characterizes Constantine as a positive person and uses a word “comb”, which defends him from Muslim enemies. In our opinion, the “comb” means double-facedness – from the positive standpoint. Constantine was using the abovementioned attitude for the benefit of his homeland, which means that the matter is his political wisdom and not his Muslim customs (according to the researchers). For ten years, the King of Kakheti ceaselessly fought against the Ottoman conquerors ruling in Georgia and sacrificed his life for fulfilling this purpose. While, I. Tlashadze, the court poet of King Vakhtang, considers Constantine as the enemy and displays a subjective approach towards him, calling him ‘damned’, ‘villain’ and ‘snake’ and notes his double-facedness.

The historical materials analyzed by us justify that Davit Guramishvili, who has revealed personal and political image of Constantine, is a “truthful narrator” and an impartial annalist.

# XIX საუკუნე — ეპოქა და ლიტერატურა

გოჩა კუჭუხიძე

## ილია ჭავჭავაძე და გლობალიზაცია\*

გლობალიზაცია ის ბუნებრივი პროცესია, რაც დადებითადაც შეიძლება იქნას გამოყენებული და უარყოფითადაც, — გააჩნია, ვინ არის ამ პროცესების წარმმართველი (თანამედროვე მსოფლიოში გლობალიზაციის ორ მოდელზე ლაპარაკობენ, — ეს არის ნეოლიტური და ანტიგლობალისტური მოდელი, რომლის მიმდევართა შორის გამოყოფენ ერთ ჯგუფს, — რომელიც, როგორც სამეცნიერო ლიტერატურაშია აღნიშნული, „გლობალიზაციას, როგორც ასეთს, იღებს, მაგრამ წინააღმდეგია ნეოლიტური მოდელის ანტისოციალური მიმართულებისა. მათ ალტერგლობალისტებს ეძახიან“, — ამ დასხვა საკითხებზე იხ. — მოამბე 2010: 9...).

ილია ჭავჭავაძის დროს, ცხადია, მსოფლიო გლობალიზაციაზე ჯერ არ საუბრობდნენ, მაგრამ პროცესები უკვე საკმაოდ ძლიერი იყო.

წერილებში „მილიტარობა ევროპაში“, „ისევ ევროპის მილიტარობის შესახებ“, „ევროპის მილიტარობა და ამერიკის მერმისი“ ილია ჭავჭავაძე ევროპის მილიტარობას საკმაოდ უარყოფითად უყურებს: „უეჭველია, რომ რაეკი ამერიკის სახელმწიფონი ძმურად მორიგდებიან, მხედრობით გატაცებულს ევროპას კიდევ უფრო დასცემს ეკონომიურად და მსოფლიო მეთაურობასაც დაიმკვიდრებს ამერიკა“ (ჭავჭავაძე 1929: 68). ილია ჭავჭავაძე ერთმანეთთან აპირისპირებს მილიტარობასა და „ძმურ მორიგებას“.

ილიამ ლექსში „პოეტი“ თავი მოსესებურ წინამდლოლადაც კი წარმოადგინა. ერის ცხოვრებაში პიროვნების როლს დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა.

გლობალური პროცესები ევროპული კულტურისა და რუსეთის მეშვეობით წელ-წელა ძლიერდებოდა საქართველოში და, თუ ერის წინამდლოლობის მისიის თავზე ამღები ამ პროცესების სწორი გზით წარმართვას არ შეეცდებოდა, თუ ნებაზე მიუშვებდა მათ და სასიკეთოდ არ გამოიყენებდა, მაშინ ერის გადაგვარების საფრთხე სულ უფრო გაძლიერდებოდა. ილია ჭავჭავაძის წერილებსა და მოთხრობებზე, თარგმანებით, თეატრით დაინტერესებაზე ერთი თვალის გადავლებაც კი ცხადყოფს, რომ ავტორი მსოფლიო მოვლენების ჭრილში იაზრებს საქართველოს მომავალს და თავის ქვეყანაში პროცესების წარმართვას ისე ცდილობს, რომ საქართველომ უბირველესად თავი გადაირჩინოს, ერმა სახელმწიფოებრიობა ეტაპობრივად აღიდგინოს... „უთვალავი ფერით შექმნილ“ სამყაროში ადგილის დამკვიდრებაში შეენიოს თავის სამშობლოს.

მაგრამ ილია ერთადერთი არ არის, ვინც ამ პროცესებთან საქართველოს დამოკიდებულების განსაზღვრას ცდილობს. XIX ს-ის მიწურულს უფრო და უფრო ძლიერდებიან ის ძალები, რომელთაც სურთ, რომ მხოლოდ სოციალური პრობლემებისათვის მზრუნ-

\* წარმოდგენილი ნაშრომი შესრულდა ქართველოლოგის, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფონდის გრანტის ფარგლებში. იბეჭდება შემოკლებით.

ველთა მიერ წარმართულ პროცესებში ჩართონ ქართველები და ეროვნულობა კი რეგ-რესად მიაჩნიათ... ილია ჭავჭავაძე გლობალიზაციის პროცესების სწორი გზით წარმართვას ცდილობს. თუ დაინახავს, რომ ამ გარდაუვალ პროცესებში არაეროვნული ძალები იმარჯვებენ, მაშინ ბრძოლას გამოუტხადებს მათ (მარქესისტებს, ათასი მიმართულების სოციალისტს, ტოლსტოველთა ანარქიზმს და სხვას), თუ მსოფლიოში მოვლენათა მთავარი წარმართველები ის ძალები გახდებიან, რომელიც ერების თვითმყოფადობას საფრთხეებს შეუქმნიან და მათგან თავდაცვა ვეღარ მოხერხდა, შესაძლოა, გლობალური პროცესებისაგან დროებით განზე გადგომაც მიიჩნიოს საჭიროდ, თუმც, მის შემთხვევაში ასე არ მომხდარა.

ილია ჭავჭავაძე წერს: „ევროპის ერი თ. ბისმარკის წყალობით იმ მოძღვრების ქვეშ არის, რომელიც ჰქადაგებს ჯერ პოლიტიკაა და მერე ერიო. აქ განირული ერია, და რაღა საკვირველია, რომ იგი ზოგან ჰტოკავს, ზოგან შფოთავს, და ხანაც იმისთანა პამპულას მოეჭიდება ხოლმე კალთაზედ, როგორც ბულანჟეა და სხვა ამისთანა ცრუპენტელა და ჩიტირეკა გენერალი“ (ჭავჭავაძე 1929: 61).

როცა „ჩიტირეკა გენერალებზე“ ლაპარაკობს, ცხადია, მილიტარობას უპირისპირდება ილია, — მილიტარობას, რომლის იმედიც გასჩენია ერს, — ერს კი, ილია ჭავჭავაძის განსაზღვრით, გადასარჩენად უპირველესად განათლება, მეცნიერება, კულტურა, ეკონომიკა სჭირდება, ჯერ რაობა უნდა წარმოჩნდეს ერისა და ამის შემდეგ შეიძლება იმისი გაცხადება, თუ რომელ ქვეყანასთან რა პოლიტიკის დამყარებას აპირებს.

გლობალიზაცია ილიას მსგავსი ადამიანისათვის ერების მიერ საკუთარი რაობის, მოწოდების განსაზღვრას შეიძლება გულისხმობდეს და არა — საკუთარ სახეთა დაკარგვას. სახელმწიფოები ერების თვითმყოფადობის შენარჩუნების გარანტი უნდა იყონ. ერებში ერთმანეთი თავიანთი კულტურებით უნდა გაამდიდრონ.

წინამდებარე სტატიაში ჩვენ უფრო ლიტერატურული ასპექტებიდან მიმოვიხილავთ საკითხს და ამჯერად სიტყვას ლიტერატურაზე გადავიტანთ.

გაუნათლებლობა, სულიერი სიძაბუნე, ფარისევლური ქრისტიანობაა, ილიას თანახმად, ერთ-ერთი უმთავრესი, რაც საზოგადოებასა და მთელ ერს სასიცოცხლო ძალას ართმევს... ამ მიმართებით გავიხსენოთ მოთხოვთ „სარჩობელაზედ“, — მისი მთავარი გმირი — პეტრე.

ლიტერატურათმცოდნები ბევრ ცოდვას აბრალებდნენ პეტრეს, არადა, თუ არ ვცდებით, მისი დანაშაული ძირითადად ის არის, რომ ვერ ხედავს, რა ხდება ირგვლივ და ვერავის ეხმარება. ყრუ არის და ბრმა, ვიტყვით ასე, — ილიასეული „ბედნიერი ერის“ წევრია (მანანა კვაჭანტირაძე მძინარეს უწოდებს პეტრეს და საგსებით მართებულადაც), — უდარდელად „სძინავს“ და „როსღა ელირსება გაღვიძება“, ეს ილიამაც არ იცის. იმდენად მიამიტია, რომ ირგვლივ ვერაფერს ხედავს, ადამიანების ცნობა ვერ მოუხერხებია, ქურდა და პატიოსან კაცს ერთმანეთში ვერ არჩევს, ვერც ის დაუჯერებია, რომ მოედანზე ადამიანს მართლა აღრჩობენ, ვერ ხვდება, რომ ზოგ ადამიანს დახმარება სჭირდება, სანამ დამნაშავე გახდებოდეს და ჩამოსაღრჩობად წაიყვანდნენ.

გაუნათლებლობა და უმოქმედობა, ფარისევლური ქრისტიანობაა, ილიას აზრით, ქართველი ხალხის უბედურების ერთ-ერთი მიზეზი... ფარისევლობაა ისეთი ქრისტიანობა, როცა ადამიანს თითქოს უმანსპინძლდებიან, მაგრამ არ ადარდებთ, თუ რა ბედი ეწიათ ამ ადამიანებს. „პატიოსან“ ადამიანებს, სანახაობითაც უჯერებიათ გული, მღვდელიც მოუყვანიათ ჩამოღხრჩობის მომენტში (ქეთევან ელაშვილს აქვს ყურადღება გამახვილე-

ბულ იმ ფაქტზე, რომ მღვდელი, რომელიც ჩამოლრჩობის პროცესებს ესწრება, აღარ ჰგავს ნამდვილ მღვდელს). ადამიანს კლავენ და პროტესტი არ აქვს, თითქოს პროფესიად ქცევია ასეთ პროცესებზე სიარული, გულგრილი გამხდარა... ცხადია, ეს არ არის ქრისტიანობა.

სრული სულიერი სიბრძავის, მოქმედების უუნარობის გაკიცხვა არის, ჩვენი აზრით, მოთხოვთ მთავარი თემა. როცა ამ კუთხიდან შევხედავთ, როცა საღრჩობელასთან შეგროვილ ამ უმოქმედო ადამიანებს დავაკვირდებით, დავინახავთ, რა შემზარავი სურა-თები დაბატა ილია ჭავჭავაძემ.

ნამდვილი ქრისტიანული განათლება, — ისეთი განმანათლებელი მღვდელია საჭირო, როგორიც „გლახის ნაამბობშია“ აღნერილი. ეს კაცი „ვეფხისტყაოსანსაც“ ასწავლის ყრმებს და, საერთოდ, განმანათლებლობის ერთგვარ ნიმუშადაც კი ნარმოვიდგება. თუმც, საბოლოოდ, „გლახის ნაამბობის“ გმირებიც დალუპვისაკენ მიექანებიან. ცხადია, ამ მოთხოვთაში უბედურების ერთ-ერთი მიზეზი ის არის, რომ ქართველი თავადი — და-თიკო მრუშობის მორევშია ჩათრეული და მოყვასს და ბავშვობის მეგობარს ყიდის. ამა-სთან, ჩვენი აზრით, უბედურების არანაკლები მიზეზი ისიც არის, რომ გაბრიელმა საკუ-თარ თავში მსახური ვერ დაძლია, — „შერმადინად“ დარჩა, ვერ გაიგო, რომ ადამიანები, ყველანი, ერთმანეთის „შერმადინები“ უნდა იყონ და ბოლოს მკვლელი გახდა. „ვენაცვალე შენს დამწერსა! აი, ბატონ-ყმობა თუ იყოს, ამისთანა!“ — ნამოიძახებს მღვდელთან „ვე-ფხისტყაოსანზე“ საუბრისას შერმადინ-ავთანდილის ურთიერთობით აღფრთოვანებუ-ლი გაბრიელი და მღვდლისგან ასეთ პასუხს ისმენს: „მოგზონს?“, „უარესს ეგა სჯობია“. ცდილობს მღვდელი გააგებინოს გაბრიელს, რომ ადამიანი თავისუფალი უნდა იყოს. გაბ-რიელს კი მაინც „შერმადინობა“ მოსწონს და იმასაც ძალიან გვიან ხვდება, რომ დათიკო „ავთანდილი“ არ არის და არც თვითონ გამოუვა „შერმადინობა“. დათიკოცა და გაბრიე-ლიც ავთანდილ-შერმადინის ანტიპოდები არიან, რაც, ცხადია, არ მოსწონს ილიას, თუმც, მისი დროისათვის არც „ვეფხისტყაოსანური“ პატრონ-ყმობაა მოსაწონი, — ეს ის არის, რაც „უარესს სჯობია“.

გაბრიელი ვერ ხვდება, რომ კარგი ბატონობა კი არა, კარგი მეგობრობა, — მოყვა-სობა უნდა ეთხოვა დათიკოსაგან ბავშვობიდანვე. მღვდლისგან არც დათიკო განისწავლა და გაბრიელმაც ვერ შეიგნო მთავარი, — ქრისტიანული ცნობიერება ვერც გაბრიელმა გაითავისა და ჩევენ ამ მოთხოვთაშიც უსწავლელობა გვესახება უბედურების ერთ-ერთ მიზეზად... თამროც ცოდვის გზაზე დგება უბედურების შემდეგ. პეპიასაც შურისძიების სურვილის გრძნობით ატანილს უხდება ამ ქვეყნიდან ნასვლა.

„გლახის ნაამბობის“ მოტივი, ვფიქრობთ, „აჩრდილში“ გამოჩნდა:

„ქალს წაგარომევენ, ქალს გაჰყიდიან,  
ნამუსა მოუკვლენ შეუბრალებლად“...  
„უმანკო პირზე შენს ტურფა ქალსა  
გარყვნა დაასვამს საზარო დალსა“...  
„და მაშინ იტყვი: ნეტავი გველად,  
გველის წინილად მე მომცემოდი,  
რომ ქვეყნის ქელვად, ქვეყნის სათრევლად  
შენ, შვილო ჩემო, არ გამხდომოდი“...

პეპიას აჩრდილი ილანდება ილიას ამ სიტყვებში, თამროსი... „სოციალური უსამართ-ლობაა“, ცხადია, ყველაფრის მიზეზი, მაგრამ მხოლოდ კანონის შიში არ უნდა ნარმარ-

თავდეს ადამიანს, — მას ქრისტიანული განათლება და ზნეობა აკლია... „შრომისა ახსნა“, — ექსპლოატირებულის გათავისუფლება რომ ენატრებოდა ილიას, ეს ცხადია, მაგრამ ეს „ახსნა“, ილიას მსოფლმხედველობის თანახმად, მხოლოდ ქრისტიანული ფასეულობების გათავისებით მიიღწევა: — „შრომის სუფევა მოვა მაშინა ჭეშმარიტების მის ძლიერებით“. „მე ვარ ჭეშმარიტება“ — ეს თავად უფლის სიტყვებია...

ბიბლიური რემინისცენციებით უპირველესად იმ ნამდვილ ურთიერთსიყვარულს ჰქადაგებდა ილია, რაც გულიდან მოდის და არა — ფარისევლობიდან:

„აგერა მღვდელიც — ერთა მამანი —  
რომელთ ქრისტესგან ვალად სდებიათ  
ამა ერისა სულის აღზრდანი  
რა-რიგ გულ-ხელი დაუკრებიათ“.

ფარისევლობას მამების თაობას აბრალებდა (თუმც, ალბათ, ზედმეტი გაცხარება მოუვიდა...): — „სარწმუნოება/და სათონება/ფარისევლობად არ შეგვიქმნია“.

რევოლუციური იდეები ზოგჯერ „აღიტაცებდა ხოლმე“, უნდოდა, „თავის მამულშიც გაეგონა“ ეს „ხმა ტკბილი“, მაგრამ ილიას მთელ ცხოვრებას და შემოქმედებას თუ გადავ-ხედავთ, დავინახავთ, რომ შინაგანად ქრისტიანული ურთიერთზრუნვა იყო მისი ბუნებისათვის მისაღები... განათლება უნდა შემოვიდეს ხალხში, მსოფლიო აზროვნების მიღწევებს უნდა ეზიაროს ერი, ცხოვრების წესად კი ჭეშმარიტი, თუ შეიძლება ასე ითქვას, ცოცხალი ქრისტიანობა გაიხადოს.

„გლახის ნაამბობში“ არის ერთი პერსონაჟი, — მასაც პეტრე პეტრი და, თავისი ცხოვრების ერთ მომენტში, აშკარად იმ პეტრეს ჰქავს, რომელზეც უკვე ვისაუბრეთ („სარწმუნებლაზედ“). კეთილი ადამიანია, მაგრამ სწავლას არ აფასებს და ისიც „ბრმების დასის“ წევრია. თითქოს მზე და სითბო ეღვრება ბაგეთაგან, როცა მღვდელს ელაპარაკება:

„ჩვენი წიგნი დედამიწაა, ვენაცვალე იმის მადლს! როცა დედამიწას მწვანე ხავერდსავით ჯეჯილის ყდა გადაეკვრება, მაშინ იმაზედა ვკითხულობთ ჩვენს ბედსაცა. ჩვენი კალამი დაუღალვი გუთანია.“

თბილად უდერს ამ გლეხკაცის სიტყვები, მაგრამ უეცრად ამბობს: „გაგიბედავთ, შენი ჭირიმე, და გეტყვით, ჯერ კუჭი უნდა გავიძლოთ, კუჭი!..“ როცა შიმშილის დაკმაყოფილებაზე საუბრობს, საკმათოც არაფერია, მაგრამ განათლება არ უნდა და ამიტომ მოულოდნელიც არ უნდა იყოს უხეში გამონათქვამით თხრობაში ასეთი მკვეთრი „გადასვლა“. როცა ამგვარ მეტყველებას იწყებს ადამიანი, როცა წიგნზე უარს ამბობს, — წიგნზე, რომელსაც მღვდელი აძლევს და რომელშიც უწერია — „გიყვარდეს მტერი შენი“, მაშინ ეს კაცი რევოლუციისა და კაცის კვლისკენაც ადვილად გადადგამს ნაბიჯს. მღვდელი სწრაფად მიახვედრებს, რომ გონიერი და განათლებული ადამიანების გარეშე არც გუთანი იქნებოდა, არც წინაპართაგან გადმოცემული სხვა სიკეთე...

„გლახის ნაამბობში“, თვალი აეზილა“ „ბრმა“ პეტრეს, აღარ ჰქავს ღვინის გადამზიდველ პეტრეს. ამ მოთხრობის მღვდელი ანტიპოდია იმ მღვდლისა, მოთხრობაში — „სარწმუნებლაზედ“ რომ აღნერა ილიამ. მოთხრობათა ეს პერსონაჟებიც უშუალოდ არიან ერთმანეთთან დაკავშირებულნი.

„გლახის ნაამბობის“ მღვდელი ზოგადი სახეა იმ ნამდვილი სასულიერო მოღვანისა, რომელიც გაბრიელ ეპისკოპოსის მსგავს ადამიანებში ეგულებოდა ილია ჭავჭავაძეს. განათლებას და წიგნიერებას ხედავს ილია ჭავჭავაძე ერის გადარჩენის მთავარ საფუძვლად და ის სათქმელი, რაც წერილში „რა გითხრათ, რით გაგახაროთ“ მკაფიოდ გამოაცხადა,

მისი მოთხოვნების ერთ-ერთი მთავარი სათქმელიც არის და მსოფლმხედველობის ერთ-ერთი საყრდენიც.

— „შეირთავდი?“ — ეკითხება არჩილი კესოს და პასუხად ლებულობს — „არა“. — „მეც ეგრე მოვიქცეოდი. გამოიდის, რომ თუ გვარიშვილობას... — „ნუ იტყვი მაგას“ — შეჰკივლებს კესო... — „არ მიყვარდა და იმიტომ?“

კესოს ჩამორჩენილობად, უღვთო საქციელად მიაჩნია გვარიშვილობის არქონის გამო კაცზე უარის თქმა. „სჩანს, ჩვენთვის წიგნი სხვა ყოფილა და საქმე სხვა“, — ამბობს არჩილი და აქაც აშკარა ხდება, რომ სოციალური საკითხების მოგვარებასაც სიტყვისა და საქმის ერთიანობაში, მართლა წიგნიერ ქცევაში, ანუ ნამდვილ — არაფარისევლურ ქრისტიანობაში ხედავს ილია ჭავჭავაძე (როგორლაც სახარებისულ „მწიგნობრებსაც“ ემსგავსებიან არჩილი და კესო). „გიყვარდეს მოყვასი“ — ეს არის ერთ-ერთი მცნება, რომელიც ვერ გაუთავისებიათ ამ მოთხოვნაში და, თუ ხიდჩატეხილობის პრობლემაზე ვისაუბრებთ, უნდა ითქვას, რომ ხიდსაც ეს უტეხავთ.

ცოდნა და მასზე დამყარებული შრომაა საჭირო... რაინდობა — ქართველის თვისებაა და ნიკოლოზ გოსტაშაბიშვილზე ზღაპრებით კიდევაც უნდა ზრდიდნენ მშობლები შვილებს, მაგრამ გაიზრდებიან და გაიგებენ, რომ გადასარჩენად უკვე სულ სხვა „ხმალი“ სჭირდებათ. შემთხვევითი არ არის, რომ ილია ჭავჭავაძემ „ნერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება“ უწოდა თავის მიერ დაარსებულ, — ფაქტიურად საქართველოს „ფინანსთა სამინისტროს“, — თუ ილიას შემოქმედებაში სიმბოლოები უნდა ვეძიოთ, მხოლოდ ლიტერატურულ შემოქმედებაში კი არა — მოღვაწეობაშიც იძებნება ისინი. ეს სახელი დიდ ეროვნულ მიზნებს მოხერხებულად მაღლავს, — საქართველო განათლებული უნდა იყოს, განათლებული და რაინდული, რათა საკუთარი სახე გადაირჩინოს...

ქართველის საკუთარი სახე ვლადიკავკაზიდან მომავალ დარბაისელ ილიაში მოჩანს, — იმ ახალგაზრდა ილიაში, რომელსაც მყინვარზე მეტად — თერგი, გოეთეზე მეტად — ბაირონი მოსწონს. ამ მოთხოვნაში საოცარი დინამიკით იცვლება სურათები, ნელნელა იკვეთება მთავარი სათქმელი... ლელთ ღუნიასთან საუბრისას ცივი მყინვარისა და დაუოკებელი თერგის დაპირისპირებას სხვა დაპირისპირება ცვლის, — ჯანმრთელი მთისა და დაავადებული ბარის დაპირისპირება. წარმოჩნდება, რომ ბარში მცხოვრებ „კაცს ფერი არა აქვნ, ჯანი არა აქვნ. აქაველ ჯან-მრთელი არნ. ცარგვალის გამჩენმა განაჭო: იქანთ მაძლრობა, აქანთ სიმრთელე“.

ლელთ ღუნიას სიტყვით, — ადრე აქ, — მთაში „აირჩიუნ ბჭედა ბრძენ-ბერ-კაცნი, პეიტრობით სახელდებულნი“, — თითქოს თერგისა თუ ბაირონის ენერგიას, რომლითაც არის სავსე ჭაბუკი ილია, მთის სიბრძნე მიმატებია.

„აჩრდილშიც“ „მთისა“ და „ბარის“ დაპირისპირების თემა გამოიკვეთა. აქ მთას, თითქოს, დაუკარგავს ის სიმშვიდე, რამაც ერთავად სიმშვიდის მაძებარი (და არა — მშვიდი) გოეთე მოაგონა ილიას... ოღონდ, ამ მთას ისეთი მრისხანება მოძალებია, რომელიც, თითქოს, შურისძიების გრძნობით აღვსილა და უნდა, რომ სხვასაც რისხვად დაატყდეს თავს და ბოლოს თავიც დაიღუპოს:

„ქვესკნელთ ძალთაგან იგი მთა მედგრად  
ცის გასარღვევად აღმოზიდულა“...

„დასცექერის რისხვით და მუქარებით,  
თითქოს ელისო განკითხვის დღესა,

რომ იგრიალოს, წამოიქუხოს,  
ხმელეთს დაეცეს, მერმეთ ქვესკნელსა,  
თვითც დაიღუპოს, ისიც დაღუპოს“.

დილა ისეთი მშვიდია,

„რომ თვით მყინვარის რისხვა და ზარი  
იმ დილის მაღლასა დაემორჩილა“.

მაგრამ მის სიმშვიდეშიც მრისხანებაა მიმალული, — აპოკალიფსის მომლოდინე მრისხანება:

„ღრმად ჩააკვირდი მის დუმილს და სცნობ,  
თვით მაგ დუმილში რა წყევაც არი!...“

„მყინვარზე მდგომი მოხუცებული“, „ვითა ქვეყანა“, მშვიდი ჩანს, მის გარეშემო კი

„შვენოდნენ მთანი  
და მათ ფერხთა ქვეშ თერგიც გაჰყეფდა,  
თერგი მრისხანე, თერგი ბრდლინვარე  
ქაფისა ზვირთთა მიაქანებდა“...

შემდეგ არაგვს მიმართავს ილია, — „ქართვლის დროების მონამეს“ (თითქოს ილიასა და ბარათაშვილის სიახლოვეც იგრძნობა — „მრავალ დროების მონამე ხარ“). იმ დროს შე-ნატრის, როცა ფარნავაზმა საქართველო გააერთიანა და როცა „მაკედონის გმირის ლაშ-ქარს“, — ლაშქარს იმ „უცხო მთავრისა“, ვისაც „სძაგდა ქვეყანა, და ვისაც „სძაგდა თვით ერიც“, წინ „აღუდა ქართვლის ქველობა“... ცხადია, „მაკედონის გმირის უცხო მთავარში“ მაკედონელის მომხრე აზონია ნაგულისმები, ოლონდ დარწმუნებულნი არ უნდა ვიყოთ, თითქოს ილია ჭავჭავაძეს მიაჩნდა, რომ ალექსანდრე მაკედონელმა თვითონ ილაშქრა ქართლში.

საქართველოს თანამდევ „მარად სულში“, ამ „მოხუცეში“, მგზნებარებაც საკმაოდ არის და სიბრძნეც, — მისი სიბრძნე, ცხადია, უყვარს ილიას, — „აჩრდილში“ ხილულ მყინვარს, თითქოს, მოხუცის სიბრძნე აოკებს, „მყინვარის“, „სრბოლა ცაში უეცრად თითქოს განგებით შეყენებულა“ და თერგს ეხმიანება, ილიას მიაჩნია, რომ მგზნებარება „დილის მადლს დამორჩილებულმა“ სიბრძნემ უნდა მართოს, ხალხისაგან განრიდებამ კი არა — ხალხის გადარჩენისაკენ მიმართულმა, საკუთარ თავში გზენაპადაოკებულმა სიბრძნემ უნდა წარმართოს „თერგისებური“ გზნება და მაშინ ასეთი სიმშვიდეც მისაღები გახდება ილიასათვის, რადგან სიბრძნე სიმშვიდის გარეშე ძალას კარგავს. მოხუცის სიბრძნე და სიმშვიდე „აჩრდილისეულ“ მიმალულ მრისხანებასაც აწყურებს... სიმშვიდე არ უნდა დაეკარგოს მთას, შურისძიების სურვილმა და მრისხანებამ არ უნდა იძალოს მასში, რაც თითქოს „აჩრდილისეულ“, საკუთარი თავის დამღუპველ მრისხანებაში, არცთუ ძალიან გამოკვეთილად, მაგრამ, მაინც, მოჩანს... არც სიცივე არ უნდა მოეძალოს მას...

ვცდილობთ, ილიას პოეზია და პროზა ერთ არეალში განვიხილოთ და ამიტომ „აჩ-რდილზე“ საუბრისას „მგზავრის წერილებსაც“ ისევ შევეხებით. ლელთ ღუნიაც ის შინაგანად აღელვებული და წარსულზე მეოცნებე კაცია, როგორიც „აჩრდილისეულ“ მყინვარზე წარმოუდგა ილიას მოხუცის სახით, თავდაჭრილობას და სიბრძნეს ფლობს ეს კაცი, — მთის მკვიდრი; ცოტა პირქუშია, მაგრამ არც ცივია და მრისხანებაც წაკლებად ჩანს მასში.

„აჩრდილისეულ“ მოხუცს ენათესავება ლელთ ღუნია. სიბრძნე საკმაოდ აქვს შენარჩუნებული. სულიერი სიმაღლე (მთა) ცივს არ ხდის. ლელთ ღუნიასთან შეხვედრის შემდეგ, თითქოს, გასაგები ხდება, რომ სულიერი სიმაღლე (მთა) ხალხზე ზრუნვისაკენ უნდა იყოს მიმართული, მთა, სიბრძნე, ბარის, გზნების სწორი გზით წარმართველი უნდა გახდეს, მრისხანებაში არ უნდა გადაიზარდოს... ლელთ ღუნიას მსგავს ადამიანს სულიერი სიმაღლე კი არ გაყინავს სულიერად და ხალხს კი არ დააცილებს, არამედ, ხალხზე ზრუნვისაკენ, მისდამი წუხილისაკენ მიმართავს ამ სიმაღლეს. იგი სულიერ სიმაღლეს სიკეთისათვის იყენებს. ასეთ შემთხვევაში მთა თავის დანიშნულებას აღიდგენს, ამაღლებულობა სიცივისა და მრისხანებისაგან შორს იდგება და ხალხს მოემსახურება...

ილიასეული „გოეთე“, სიმშვიდის მაძებარი, ლიტერატურული პერსონაჟია და ისტორიულ გოეთესთან, ვფიქრობთ, ბოლომდე არ უნდა გავაიგივოთ. ილიამ, ცხადია, კარგად იცოდა, რომ გოეთეში სიბრძე და გრძნობიერება იყო და არა — სიცივე. გოეთესეული სიმშვიდის მძებნელობა ხალხისაგან განყენებულობის იდეისათვის გამოიყენა. ამასთან, ჩანს, გოეთეს, ისევე, როგორც პუშკინს, ხალხისაგან განზე დგომას მაინც საყვედურობდა (ამ საკითხზე ცალკე წერილში ვმსჯელობთ, იხ. მწერლობა 2005), მიაჩნდა, რომ ღვთისგან ბოძებული სულიერი სიმაღლე მათ ხალხზე ზრუნვისაკენ არ წარმართეს... ლელთ ღუნიასთან საუბარმა ცხადი გახადა, რომ მართალია, ბარი თერგისებური, არა — მდორე, არამედ, — გზნებით უნდა ცხოვრობდეს, მაგრამ მთავარია, ეს ახალგაზრდული გზნება სწორი გზით მოხუცის სიბრძნემ წარმართოს. ლელთ ღუნია, ცხადია, გოეთეს სიმაღლეებამდე ზეასული ადამიანი არ არის, მაგრამ, როგორც მთის მკვიდრი, სიმბოლურად ისიც სულიერ სიმაღლეს განასახიერებს და მისდამი სიმპათიის გამოხატვით ილია ჭავჭავაძე ცხადყოფს, რომ ეს სიმაღლე ხალხისათვის ზრუნვისაკენ უნდა იყოს მიმართული. ლელთ ღუნიასთან საუბრის შემდეგ იდეალური სულიერი სიმაღლე უკვე სულ სხვა სახით წარმოწნდა... მკაფიოდ გამოიკვეთა, რომ მთამ ბარში ზნეობა უნდა გააღვიძოს. სულიერ სიმაღლეს არც სიცივე უნდა მოეძალოს, არც — მრისხანება. უზნეობამ და სულიერმა სიცივემ მთაშიც თუ შეაღნია, სიბრძნე თუ სხვა ქვეყნის ვაჭარს დაემორჩილა, ეს ნამდვილი სიბრძნე და სინმიდე აღარ იქნება და ვეღარ მართავს ბარს, ბარშიც სულ გაქრება სინმიდე... სულიერი სიმაღლე ხალხს ვეღარ მოემსახურება. „აჩრდილში“ წერია, რომ მცხეთა, სადაც ერთ დროს „ჰყაოდა ხე ცხოვრებისა“, „ან სამიკიტნოდ გადაქცეულა“. ეს ისეთივე ცოდვაა, როცა ღმრთის ტაძარს სავაჭრო სახლად აქცევენ, რის შესახებაც სახარებაშია მოთხრობილი.

ლელთ ღუნიაც წარსულს შენატრის და „საქართველოს თანამდევი მარადი სულიც“ წარსულის დიდების აღდგენისთვის ზრუნვისაკენ მოგვიწოდებს:

„ადრიდა აფად თუ კარგად ჩვენი თაჭნი ჩვენადვე გვეყუდნეს, მით იყვის უფედ. ადრიდა ერი ერობდის“... — ამბობს ლელთ ღუნია.

ალბათ, დიალექტოლოგებმა უნდა განსაზღვრონ, რამდენად სწორად აამეტყველა ილია ჭავჭავაძემ ლელთ ღუნია მოხევის კილოზე და რამდენად სწორად ამბობს მოხევე — „ჩვენი თაჭნი ჩვენადვე გვეყუდნეს“, — „გვეყუდნეს“ წარსული დროის ფორმა იყო გასულ საუკუნეში? იგივეა, რაც — „გვეყუდნოდის?“ იქნება, ისეთი ფორმით ათქმევინა ეს სიტყვა ილიამ ლელთ ღუნიას, რომ თან წარსულ დროში ყოფილიყო მეტყველება და თან მინშებით მომავლის ფორმა მიეღო ამ სიტყვებს და მოწოდებად ქცეულიყო? იქცა კიდეც ეს სიტყვები მოწოდებად, — „ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნეს“.

ილია ჭავჭავაძე ფრთხილობდა, რომ საქართველოში გაჩენილ ვიწრო პარტიულ ინტერესებს არ შეეზღუდა ქვეყნის სულიერი პოტენციალი და სოციალურ თეორიებს გა-

დაყოლილი არ გამქრალიყო მსოფლიო ხალხთა ერთობაში. თუ პარტიას შექმნიდა ილია, ეს მართლაც ისეთი პარტია იქნებოდა, რომ ზოგადკაცობრივი და, აქედან გამომდინარე, ეროვნული და სოციალური ინტერესები, დემოკრატიული უფლებები მთლიანად ყოფილიყო გათვალისწინებული. განათლების გარეშე დაიღუპება ილიას საოცნებო საქართველო, ჩაიკარგება ახალ მსოფლიოში.

განათლება ტრადიციების გაცოცხლებასა და გათავისებას თავისთავად გულის-ხმობს, — მარადიულ ლირებულებებს შენატრის ლელო ლუნია, იმ დროს შენატრის, როცა „ჩვენობა იყვის“ (ცხადია, ყველა ერს სჭირდება ეს „ჩვენობა“): მერე „წარხდა ქართველთა სახელი, ქართველთა წესთ-წყობაი...“, „ანინა ერობა დაიშალის, მეძავ-მრუშობაი ჩამოვარდნის, ხარბობაი, ანგარი გვერიუნის, ერთ-სულობაი დავარდის, მტრობა-ბძარვაზ გახშირდნის. ანინა ქვრივ-ობოლ ვინ განიკითხის, ატირდომილ ვინ გააცინის, დაცემულ ვინ ალადგინის? ანინა არა არნ კაცნი და თუარნ — პირად და გულად ჯუღურ არნ. ერი დავარდნილ, გალაცულ არნ, ვრდომილ-კრთომილ“... აქ და შემდომ ლელო ლუნია ფაქტიურად ერის ტრადიციებზე ლაპარაკობს და ილიაც წარმოაჩენს, რომ სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს ამ ტრადიციების აღდგენას. პოეტურად მეტყველებს ლელო ლუნია (განმეორებანი, შინაგანი რითმაც არის მის მეტყველებაში, — „ვრდომილ-კრთომილ“...). ვფიქრობთ, „ბედნიერი ერის“ წინასახეც საგრძნობია მის მეტყველებაში: — „ერი დავარდნილ, გალაცულ არნ, ვრდომილ-კრთომილ“...

როცა განათლებაზე ვსაუბრობთ, არავითარ შემთხვევაშია არ უნდა დავივინყოთ, რომ, ილიას თანახმად, მხოლოდ ცოდნა კი არა, — ნამდვილი, ცოცხალი მოაზროვნეობა სჭირდება საქართველოს გადასარჩენად. თეორიების უსიცოცხლო ცოდნა ერს სიცოცხლის უნარს ვერ მისცემს, ვერც ლიტერატურული კრიტიკა განვთარდება და ვერც სხვა მეცნიერება, ერი დაუძლურდება, თუ მას მოაზროვნე ადამიანები არ ეყოლება, თუ ისეთი საზოგადოება არ შეიქმნება, სადაც მოაზროვნებს ცხოვრების საშუალებას მისცემენ: „თვითმსჯელობა, თვითმხედველობა გონებრივი უმაღლესი წერტილია ადამიანის განვთარებისა და წარმატებისა. შესაძლოა კაცს მრავალი ცოდნა ჰქონდეს, და ის უნარი-კი, რომელიც თავისით ჭრასა და კერვას მოასწავებს გონების საქმეში, არ გახსნოდეს, არ გაშლოდეს სამოქმედოდ. ამ-გვარის მშრალის და უქმის გონების კაცი სახელოვანმა გეტემ დაგვიხატა თავის ფაუსტში. ფაუსტში რომ გამოყვანილია ვაგნერი, სწორედ ზედგამოქრილი სახეა იმ-გვარის კაცებისა, რომელთაც ცოდნა აქვთ და საკუთარი ჭკუით ტარების უნარი-კი ღმერთს, თუ ბედს, იმათთვის არ მიუმაღლებია“ („რა მიზეზია, რომ კრიტიკა არა გვაქვს“, ჭავჭავაძე 1929: 166). შემდეგ: „ნუ გაგვინყრებიან, თუ ვიტყვით, რომ ჩვენ ინტელიგენციას სწორედ ეგ უნარი თვითმსჯელობისა, თვითმხედველობისა არა აქვს გახსნილი და გადაშლილი“ (ჭავჭავაძე 1929: 167). „ჩვენი „სწავლულნი“ „განათლებულნი“, დარვინის თეორიის ზედმინევნით გაცოდინებენ, ჰეგელის ესთეტიკას, ლესინგისა და ტენის ფილოსოფიას ხელოვნებისას თავის სელის-გულისავით გადაგიშლიან, შექსპირზედ, გეტეზედ, ბაირონზედ და თუნდა პომიროსზედაც, — ჩვენში-კი ითქვას — ათასში ერთს არ წაუკითხავს, თუნდა მთელს უზარმაზარ წიგნებს დასწერენ, და იქნება ისეთი სასწაულიც მოხდეს, რომ წასაკითხად ღირსი წიგნებიც დასწერონ, და ერთს პაწია ლექსს-კი ჩვენის რომელისამე პოეტისას ვერ გაუძღვებიან, როგორც რიგია“ (ჭავჭავაძე 1929: 164).

ილია ჭავჭავაძეს განწირულად მიაჩნია ის ერი თუ სახელმწიფო, რომლებიც სხვა ერების მიღწევათა საკუთარ ცხოვრებაზე ხელოვნურად მორგების მეტს ვერაფერს აკეთებს, მეცნიერებას არ ავითარებს, რადგან მიაჩნია, რომ მეცნიერება სხვა ერებმა უნდა მარ-

თონ, ცოცხალი აზროვნება აღარ უნდათ და მხოლოდ სხვის მიღწევებს სწავლობენ მეორეხარისხოვანი ადამიანებივით, ან უსიცოცხლო თეორიებითა და რეალური სიკეთის ვერმომტანი, გაუგებარი ფუჭმეტყველებით არიან გატაცებულნი. ასეთ შემთხვევაში ზოგჯერ მხოლოდ ფოლკლორს სწავლობენ ხოლმე თავისას, — ისიც მხოლოდ ზედაპირულად, — სხვისთვის საჩვენებლად და გასართობად. ხალხთა დაახლოების პროცესები ძლიერდება, „ერთა დიალოგი“ უნდა დაიწყოს მალე და ილიამ უკვე იცის, რომ ეს დიალოგი მოაზროვნე ერებს ექნებათ, სხვები კი ჯერ მოკრძალებით მოუსმენენ ამ დიალოგს, შემდეგ კი, თუ არ იაზროვნეს, თუ ისეც მოხდა, რომ მხოლოდ გართობა აქციეს თავიანთ საქმედ, გონება ნელ-ნელა დაუსუსტდებათ ლუარსაბ თათქარიძესავით, მეორეხარისხოვან ადამიანებად ჩამოყალიბდებიან და გაქრობის საფრთხეეც მთელი სიმკაცრით დადგება მათ წინაშე.

ისევ პოეზიაზე გადავიტანთ საუბარს და გავიხსენებთ 1858 წელს დაწერილი ლექსს — „სიმღერა“:

„შორს მომავლის ვარსკვლავი  
თუმც არის უხილავი,  
მაგრამ, ვგრძნობ, შეხვალ დიდს ზღვას  
და იქ ჩაჰლუპავ ჩემს ნაც“.

ცხოვრების „მდინარეს“ მიმართავს ილია, საკუთარ თავზე წერს, წუთისოფელში საკუთარი პიროვნების ჩაკარგვის ეშინია თითქოს, მაგრამ ილიასათვის პიროვნული და ეროვნული ერთმანეთთან ძალიან მჭიდროდ არის გადანასკვული და, ვფიქრობთ, აქ ერიც იგულისხმება:

„ორსა ობლად მცურავსა,  
მე და ჩემს მცირე ნავსა,  
ჰოი, გვედრებ, მდინარევ,  
იმ დიდ ზღვაში ნუ შეგვრევ!“

„შორს მომავლის ვარსკვლავი“ ძალაუნებურად გვახსენებს ილიას სხვა სიტყვებს: „ჩვენ უნდა ვსდიოთ ახლა სხვა ვარსკვლავს“.

გვახსოვს, თუ რას ევედრებოდა ილია ქართვლის დედას: „ისე აღზარდე შენ შვილის სული, /რომ წინ გაუძლევს ჭეშმარიტება“. ჭეშმარიტება, ანუ თავად ღმერთი უნდა წარუძლეს წინ ქართველს და მაშინ იმ „დიდ ზღვაში“ არ ჩაიკარგება, საკუთარი სახე შენარჩუნებული ექნება...“

ილიას „დამაკვირდი“ გავიხსენოთ:

„პატიოსან მტერთა შორის  
მოციქული ნამუსია.  
ხმალი იმოდენს ვერას იქმს  
მრისხანე და ძლიერიო,  
რასაც იქმს მშვიდობანი  
კალმის პატარა წვერიო“.

ზოგან აკაკისეული ინტონაციებით აუღერებულ ამ ლექსში შემდეგ „ხმლის“ ძაგება და „პატარა წემსის“, ანუ კალმის ქებაა...

ილია სრულიად ცხადად ქადაგებს ქრისტიანულ სიყვარულს:

„სიკეთით სძლიერ შენს მტერსა,  
ერიდე სისხლით ზღვევასა „.

ბოლოს გონება და გული საუბრობენ ერთმანეთში, გონება ამბობს:

„უდონოს ღონე მე მივეც,  
ხელი მე გავაქნევინ“.

ილიას სიტყვები „ჩვენი გონება არს ჩვენი ღმერთი“ სულში ცოცხალი რელიგიური აზ-როვნების დამკვიდრებას გულისხმობს. გონებაში ღმერთი შემოსულა თითქოს, ანუ სული-წმიდა დამკვიდრებულა ადამიანში (სწორედ ასე უნდა იქნას გაგებული ილიას ეს სიტყვები და მამინ ცხადი გახდება, რომ ქრისტიანულ მსოფლმხედველობას სრულიად ეთანხმება ეს ფრაზა). თითქოს ზიარებია მთელი თავისი აზროვნებით ილია ღმერთს და მისი გულიც გონების მიერ არის წარმართული.

კიტა აბაშიძე წერილში „ილია ჭავჭავაძე და ლევ ტოლსტოი“ ილიას განდევილის შე-სახებ წერდა, რომ ეს პერსონაჟი „ცხოვრების წარმავალ და გულის ამრევ სინამდვილეს კი არ ჰყოფს უარს, იგი ებრძოდა ხორციელებას“ ... „სულის დამკვიდრებას ეტანებოდა. მაგრამ ჩვენ ვიცით, რომ ეს ცდა სრულის გაკოტრებითა და დამარცხებით გათავდა“ ... ცხადია, სულის დამკვიდრებას უნდა ცდილობდეს ყოველი ადამიანი, მაგრამ სული, გონება და გული, მოყვასის, ადამიანის სიყვარულით უნდა იყოს სავსე, თუ არა და მას წუთისოფური გულისთქმა მაინც დაამარცხებს.

ილიასათვის ესოდენ საყვარელი „მთისა“ და „ბარის“ დაპირისპირების თემა „განდე-გილშიც“ გვახსენებს თავს, — ძლიერი ველარ არის ეს „მთა“, მისი სულიერება. გარდა იმისა, რომ, როგორც ეს ამ ბოლო ხანებში მართებულად გამოითქმის მეცნიერებაში (მაია ნინიძე, მამა გიორგი ზვიადაძე...), აქ სუსტი ბერი ჰყავს დახატული ილიას, რაც მართლაც სრულებით არ ნიშნავს იმას, რომ იგი, საერთოდ, ბერობას ებრძის, — პოემაში წარმოჩენილია, რომ ეს მთა სავსე, ცოცხალი სულიერი ცხოვრებით ველარ ცხოვრობს, ბარში მყოფებისათვის სულიერად ველარ ზრუნავს, გონებაცა და სულიც დასუსტებულა და ერიც ველარ იღებს სულიერ საზრდოს: — „აქა ყოფილა უნინ კრებული/დვოთისთვის ქვეყნიდან განდეგილ ძმათა“, და აქ ერთ დროს ისმოდა ლვთის „ქება წმიდა-წმიდათა“.

აქ მდვიმეა, რომელსაც ბეთლემი ჰქვია, მაგრამ ვინ იბადება, რა ახალი სულიერი სიმაღლე იშვება ამ „გაუქმებულ“ ბეთლემში? — „ოდესლაც ტაძარს იმ გაუქმებულს/ მეუდაბნოე შეჰქედლებია“ ...

ილიას ისეთი მოღვაწეობა უყვარს, როცა მოყვასისათვის იღვწის ეს სული, მისდამი სიყვარულითაა სავსე. არის ილიას „განდეგილი“ ასეთი?! ემსახურება მისი „სულიერი სიმაღლე“ ხალხს?! ლოცულობს კი იგი მოყვასისა და ერისათვის?! საეჭვოა! ამ შემთხვევაში „სულიერი სიმაღლე“, მთა, ბარისათვის სიკეთის მომტანი ველარა ხდება, უძლურდება...

გზნება არის ქართველ ერში, რაც ყოველთვის თუ არ ჩანს, ხშირად იჩენს ხოლმე თავს. მაგრამ საქართველოში ღვთაებრივი გონიერება, სიბრძნე სჭირდება ერს, რათა სახე ალიდგინოს და „დიდ ზღვაში“ არ ჩაიკარგოს. ეროვნული იდენტობის პრობლემაზე თუ გადავიტანთ სიტყვას, — სულის განმაცოცხლებელი ქრისტიანული სიბრძნე სჭირდება ქართველს. მხოლოდ ემოციებით ზაქროსავით შურს კი იძიებს მამისთვის, მაგრამ მარტო გზნება, ემოციები, ქრისტიანული სულიერებისაგან დაშრეტილი საზოგადოება საბოლო-

ოდ სევდიანი წუთისოფლის საუფლოს დაემსგავსება და „სიყვარული“ არ „ააშენებს“ ამ საზოგადოებას, არ აღადგენს ქართველი ერის სახეს. გლახა ჭრიალაშვილების მსგავსი და წერა-კითხვის უცოდინარი ადამიანები, თუნდ, ბუნებით კეთილნი იყონ, განათლების გარეშე, მკითხავების იმედითა და უვიცობით ან ფსევდორელიგიურობით ვერ გამრავ-ლდებიან, ვერ გადარჩებიან...

კიტა აპაშიძემ „ოთარაანთ ქვრივი“ პლატონ კარატაევთან დააპირისპირა... იგი რუსული სულის ინდეფურენტიზმს ხედავდა კარატაევის პასიურობაში. ილიას კი ამგვარი რამ ცოცხალი ქრისტიანობის გამოხატულებად კი არა, — უმოქმედო ფარისევლობად მიაჩნდა. ეს თითქოს ბოროტის წინააღმდეგ არალდგომაა, მაგრამ ქრისტიანულად წინააღმდეგობის არგანევა ბოროტებისადმი, სწორედ ბოროტების დამარცხებას, — ადამიანში სინდისის გამოლვიძებას გულისხმობს და ილიას ოთარაანთ ქვრივის მოქმედება მიაჩნია სწორად. თუმც, ოთარაანთ ქვრივიც მარცხდება საბოლოოდ, — იქნებ იმიტომ, რომ მის გაზრდილ შვილს გამბედაობა, სწორედ მოძრაობის უნარი არ ჰყოფნის, — არ ძალუძს, სიყვარული გაუმჯდავნოს კესოს და მხოლოდ მისი ცქერაც აკმაყოფილებს. კარატაევთან ოთარაანთ ქვრივის დაპირისპირება კვლევის ცალკე თემაა და ამის შესახებ სიტყვას ალარ გავაგრძლებთ, — გავიმეორებთ მხოლოდ ზემოთქმულს, — დიდი ადამიანის ცხოვრება სხვაგვარად წარმოუდგენია ილიას, — ღმერთთან მოსაუბრეცა და ხალხის წინამძღვლიც, — სრულყოფილად მოქმედი უნდა იყოს იგი. გოეთესგან, პუშკინისა თუ ტოლსტოისაგან სწორედ იმას ითხოვს, რომ „ღმერთამდე ამაღლებულებს“ ხალხისათვის თავგანწირვაც შეეძლოთ. სამივე რომ ძალიან უყვარს, ამას, ალბათ, განსაკუთრებული მტკიცება არც დასჭირდება, — ილია მხოლოდ მსოფლმხედველობრივად შეიძლება დაუპირისპირდეს მათ, — დიდი ადამიანის დაპირისპირება დიდთან, — ასეთი შემთხვევაა აქ.

თავის სატრფოს, გენერალ ჩაიკოვსკაიას ასულს, ასეთ სიტყვებს ათქმევინებს ილია ერთ ლექსში:

„ერთხელ მითხრა: „ცხოველს ქვეყნის  
ივერიის შობილი ხარ;  
მაღალ მთების ქარიშხალით  
ელვით, ჭექით გაზრდილი ხარ.  
მე ჩრდილეთის ველზე ვყვავი,  
ზამთრის სუსხით დაჩაგრული;  
შენს მხურვალს გულს ვითა გასცემს  
პასუხს ჩემი ცივი გული?!“

სატრფოს მიერ, ვიტყვით ასე, ცელქად წარმოთქმული ეს სიტყვები ძალიან არ უნდა განზოგადდეს, მაგრამ, თუ ილიას მიერ დანახული ქართველის ხასიათზე ვილაპარა-კებთ, იმდენის თქმა კი შეიძლება, რომ ილიას ქართველში მეტი სულიერი მხურვალება ეგულება „ზამთრის სუსხით დაჩაგრულს“ კი სითბო ესაჭიროება და სწორედ სითბო, ეს სულიერი მხურვალება უნდა გასცეს „ცივი ქვეყნის შვილებს“ (ბარათაშვილისებურად თუ ვიტყვით, — ჩრდილოეთს... ერთმანეთს ეხმიანება ილია ჭავჭავაძისა და ბარათაშვილის მიერ ერეკლე მეფისადმი მიძღვნილ ლექსში ნათქვამი სიტყვები, — „მათი ცხოველი, ტრფიალებით აღსავსე სული/უდნობს ყინულსა ჩრდილოეთსა, განცეცხლბული“).

ილია, ცხადია, ტოლერანტია, — ქართველის ხასიათს ამჟღვნებს, როცა ერთ-ერთ ლექსში („მუშას“) ამ მუშისადმი ასეთი თანაგრძნობით ლაპარაკობს:

„մարդու ըցաւեծի და ლეიბად გեյնեბա նա մաջა  
და սաხუրաვად, თუ კი მოგყვა, რუსის ფარავა.  
մարტու იცოცხლებ და մარტოცა, ძმაო, მოჰკვდები!“ ...  
„արագյերո ար մոացոնեბს  
შენ „այ“ ყოფնասա“.

თითქოს სახარებისეულ სიტყვებს ეხმიანება („უცხო ვიყავ და არა შემიწყნარეთ მე“), — ქართველი უცხოთა შეწყნარებელი არის, მაგრამ ამ დროს ცოდვა ეპარება ხოლმე მას, — „უცხოთა შეწყნარება“ არ ნიშნავს იმას, რომ მისი ცხოვრების წესი ბრმად გადაიღოს და საკუთარი ეროვნულობა საფრთხეში ჩააგდოს. თითქოს ქართველის ზოგადი სული ალაპარაკებულა ლექსში პოეტის ენით, ოლონდ, ამ შემთხვევაში, ეს სული, პოეტი, სტუ-მარსაც სიყვარულით უყურებს, — ნამდვილი სტუმართმოყვარეობითა და უცხოთშემწყნარებლობით.

საინტერესოა, რომ ამ ლექსში სიტყვა „აქ“ ბრჭყალებშია ჩასმული, ალბათ, — იმიტომ, რომ იგრძნოს მყითხველმა, — მუშა, რომელიც საქართველოში იყო, შეიძლება ითქვას, სინამდვილეში არც ყოფილა აქ, რადგან არ უგრძენია ნამდვილი საქართველო, არ ჰქონია ადამიანური ურთიერთობა არავისთან. ძნელიც კი არის ამის წარმოდგენა, მაგრამ ამ ლექსში უკვე სრულიად სხვა უკიდურესობაში ჩავარდნილი ქართველი მოჩანს, — ისეთი, რომელსაც დავიწყებია, თუ რას ნიშნავს ნამდვილი „უცხოთშეწყნარება“.

გვახსენდება ილიას ლექსი, — „უცხოეთში“... ღამეული მშვენიერებაა წარმომდგარი, თითქოს სიჩუმესაც ვგრძნობთ. პოეტი ამბობს, რომ წუხს მისი გული. რატომ?! — თავადვე მოგვიგიბს:

„მისთვის ხომ არა, რომ ვსჭვრეტ სხვა ზეცას, სხვათა უფერულთ ვარსკვლავთა დენას? თუ მოაგონდა, რომ ერთხელ მეცა ეგრეთ დამცექერდა სამშობლოს ზეცა, ზეცა სულ სხვა დრად გაბრძყინებული და სულ სხვა რიგად დამშვიდებული“.

ყველას თავისი ზეცა, თავისი ქვეყანა აქვს. ყველა სახელმწიფო და ამ სახელმწიფოში მცხოვრები ხალხი თავისთავადობით, თავისი კულტურითა და ხასიათით არის მშვენიერი. უცხო კი ყველამ უნდა შეიწყნაროს. სხვაგვარად წარმოუდგენელია „ძმობა ერთობა, თავისუფლება“, რაც ილიასათვის ერტბის განადგურებას კი არა, — მათი თავისთავადობის წარმოჩენასა და მათ შორის მეგობრობას გულისხმობს. რაც შეეხება ერტბის განადგურებას, ჩვენ გვახსოვს, რას წერდა ილია ერის „დაბერტის“ შესახებ, რომ წარმოუდგენლად მიაჩნდა ერის დაბერტება და, მხოლოდ აქედან გამომდინარეც, მკრეხელობაც კი იქნება საუბარი იმის შესახებ, თითქოს ილია ჭავჭავაძეს ხალხთა ერთობა (დღევანდელი — გლობალიზაცია) ამ ხალხების თავისთავადი სახის დაკარგვად შეიძლებოდა გაეგო...

ზოგადსაკობრიო ღირებულებები ერებისათვის თვითმყოფადი კულტურის შენარჩუნებას თავისითავად გულისხმობს. ქრისტიანობა ერების განადგურების საშიშროებას არ სახავდა, — სულთმოვენისას სხვადასხვა წნაზე ალაპარაკდნინ მოკიტელები...

ფოლკლორული ელემენტების კვლევა რომ აუცილებლობად მიაჩნია ილიას, ამასაც არ სჭირდება მტკიცება, მაგრამ, ილიას თანახმად, მარადიულ ღირებულებებს თუ გამოაკლდა ქართველი ერი და მხოლოდ და მხოლოდ ფოლკლორის ელემენტებს გამოკიდა,

მაშინ ოდენ გარეგნული, — შინაგანად გაუაზრებელი ფორმალური მხარეების წინ წამოწევის სურვილი გაძლიერდება მის ცხოვრებაში და ესეც ფარისევლობის ცოდვაში ჩაგდებს, ერთ უსულო სამუზეუმო ექსპონატს დაემსგავსება. მარადიულ ფასეულობებთან ზიარება ეროვნული ტრადიციების აღდგენას რომ გულისხმობს, ეს საკამათო არ არის, — მარადიული ფასეულობაა მცნებები „პატივი ეც მამასა შენსა და დედასა შენსა“, „გიყვარდეს მოყვასი შენი“ ... ეს და სხვა მცნებები წინაპრების სიყვარულსა და პატივისცემას თავისთავად გულისხმობს, და, ვისაც წინაპარი, თავისი ქვეყნის ისტორია უყვარს, მისი ცხოვრების წესიც ეყვარება, — ის წესი, რომელიც მარადიულ ფასეულობებს არ ეწინააღმდეგება; სიმღერაც ეყვარება თავისი, მისი კილო და ლექსიც... თავისი ერის თავისთავადი კულტურაც ეყვარება და სხვისაც. და, თუ ერის მესიანიზმზე ვისაუბრებთ, შეიძლება ითქვას, რომ ყველა ერს აქვს თავისი მისია და ეს მისია საკუთარი კულტურის თავისებურებითა და, ცხადია, ზოგადი ფასეულობების ასპარეზზე მიღწეული გამოცდილების ერთმანეთი-სადმი გაზიარებით თავის კეთილ როლს შეასრულებს. ილიას ვინროდ გაგებული არაფერი უყვარს, მისთვის უცხოა ვინრო პარტიული ინტერესები, ცალმხრივობა, — მას სრულყოფილება იზიდავს. ფარისევლობაში დამღუპელ ცალმხრივობას ხედავს, — ისეთს, როცა ადამიანს უსულო რიტუალი უყვარს და ნამდვილი სიყვარული არ შეუძლია.

შეიძლება ითქვას, რომ ილია ჭავჭავაძე ლიტერატურაშიც თავისებურ ფარისევლობას ხედავს მაშინ, როცა უყურებს ისეთ გმირებს, რომლებიც ადამიანისადმი მწერლის სიყვარულით კი არ იქმნებიან, ადამიანის ნამდვილ, — ცოცხალ გრძნობებს კი არ წარმოაჩენენ, არამედ, თუ შეიძლება ასე ითქვას, მწერლის მიერ წინასწარ მოფიქრებულ ქარგაში მოკალათებულან და უსულ-გულოდ იხატებიან პატრიოტებად, სამშობლოსათვის ბრძოლაში გამარჯვებულებად (ამ მიმართებით გავიხსენოთ მისი წერილი — „ახალი დრამების გამო“, — ჭავჭავაძე 1929: 204-205, სხვა წერილები...), რომლებიც თავისთავადი ცხოვრებით არ ცხოვრობენ. ილიას არც რელიგიურ ცხოვრებაში უყვარს ერთი რომელიდაც ვინრო ფილოსოფიური, ცალმხრივი ჩარჩოებიდან გამოხედვა (გავიხსენოთ, მისი „წერილები ქართულ ლიტერატურაზე“, ჭავჭავაძე 1929: 240). „შორს რათ მივდივართ“ — წერს იგი, — „ეს დღევანდელი სპირიტობა, ბუდიზმობა, გრაფ ტოლსტოის „სულის კვეთება“, ის ამბავი, რომ ამერიკაში სადღაც ბავში დაბადებულა და დიდი და პატარა მირბის იმის თაყვანის-საცემლად, და ბევრი სხვა ამისთანა, — განა ყოველივე იმას არ ჰმონიბს, რომ დღევანდლამდე ყოფილს მყუდრო ბინას ადამიანის მყუდროებისას ფუქე დაენძრა და თვით თაღიც მთელის შენობისა გაირღვა და ჰლამის გადმოქცევას? (ჭავჭავაძე 1929: 240). საინტერესოა, რომ ეს ჩვეულებრივი ბუდიზმიც აღარაა, — „დღევანდელ ბუდიზმობაზე“ წერს ილია და არა საერთოდ — ბუდიზმზე. ცალმხრივ გატაცებებში ნამდვილ სიცოცხლეს ვერ ხედავს. ზოგჯერ ეს „დანგრეული ფუქე“ სულიერი ცხოვრებისა დიდ პიროვნებებს (ბარათაშვილის მსგავსთ) უკიდეგანო „სარბიელზედ“ გააჭენებინებს თავის მერანს, მაგრამ ადამიანი კი მთლიანობაში სულიერად დაპატარავებულა და სავსე სიცოცხლით ვერ ცხოვრობს. უსულობამ დროის რომელიდაც მონაკვეთში იქნებ ხელოვნურად გააერთიანოს კიდეც სხვადასხვა რელიგია, მაგრამ სიკეთეს ვერ მოიტანს ეს, რადგან გაერთიანება მხოლოდ ფორმალური იქნება და არა — სულიერ სიკეთეზე დამყარებული. ერთ დროს კი ადამიანები მართლა ეზიარებიან სულიერ ფასეულობებს, მართლა რელიგიურ აზროვნებას ისწავლიან, განიწმიდებიან და ამაღლდებიან სულიერად და მაშინ კი ექნებათ ძალა,

რომ ერთმანეთის სარწმუნოებაში მართლა ეძიონ სასიკეთო. თუ რელიგიური კუთხიდან გადავხედავთ, მორწმუნისათვის ეს იქნება ის ბუნებრივი დაახლოება, როცა მეორედ მოსვლის ჟამი ახლოს ექნება წარმოდგენილი...

ილიას ცალმხრივი ადამიანები ეცოდება, რადგან ნახევრად ცოცხალი ადამიანები, — „ნახევარ კაცნი“ არიან ისინი. სრულყოფილი ცხოვრებით კი ვერც არჩილი ცხოვრობს. გავიხსენოთ მისი საუბარი: „მე აბუჩად წიგნებს კი არა, ჩემს თავს ვიგდებ: არც უნიგნობა ვარგა და არც მარტო წიგნებიდან გამოხედვა. უნიგნოდ თვალთახედვის ისარი მოკლეა და მარტო წიგნითაც საკმაოდ გრძელი არ არის. უკადრისობად მიგვაჩნია ჭკუა უნიგნო ტყაპუჭ-ქვეშაც ვიგულვოთ. ჩვენ ვთაკილობთ და არა გვჯერა, რომ ყველა გონიერი კაცი იგივ წიგნია. ყველა გონიერი კაცი, თუნდა უნიგნოც, ზოგჯერ მნიგნობარისთვისაც კი ოსტატია“. „ნახევარ კაცად, ნახევარი გულით ცხოვრება სიკვდილია, კვდომაა“. ეკსოს სიტყვებს: „— აკი ორივენი, — ჩვენცა და ისინიც მკვდარნი ვართ, შენის სიტყვით“, — არჩილი ასე პასუხობს: — „ეგრეა, მაგრამ შენ ის ცოცხალი ნახევარი გავიწყდება, რომელიც შერჩენილი გვაქს. განსხვავება ის არის, ჩვენ რაცა ვართ, გაკეთებულნი ვართ, ისინი კი — შექმნილნი. ჩვენ დაბლანდულნი ვართ, ისინი კი გვირისტით შეკრულნი, იმ გვირისტით, რომელიც მარტო ბუნებამ იცის და ბუნება — ხომ იცი, რა ოსტატია. ისინი ჩაკირულნი არიან, ჩვენ — დონდლონი, დუნენი. აბა, იმათ სიმღერას უყურე: ერთი გრძელი კვნესაა და მაინც სიმღერას ეძახიან. ჩვენი სიმღერა კვნესა არ არის და მაინც ლხენა ვერ დაგვირქმევია“. ეს უნიგნო და კულტურანაკულული გლეხი სულიერად ბოლომდე ცოცხალი ვერ არის, მაგრამ არანაკლებად უარეს დღეშია მხოლოდ წიგნით მხედველი, ცხოვრებას მოწყვეტილი, „დონდლო“, „დუნე“ ინტელიგენტი (ილიას არჩილი მიხეილ ჯავახიშვილის თეიმურაზ ხევისთავის ერთგვარი წინაპარია). სრულყოფილი სულიერი ცხოვრებით ვერ ცხოვრობენ ისინი, — ცალმხრივები და რომელიდაც ერთი იდეითა თუ თეორიით ატანილები არიან. გიორგიც ვერ არის სრულყოფილებით მცხოვრები, — გარდა იმისა, რომ წიგნიერება აკლია, ზემოთაც ითქვა, — არა აქვს ძალა, სიყვარული გაუმჯდავნოს საყვარელ ქალს, — ვერ შეუგნია, რომ ეს უპირველესად მისი საყვარელი ასულია და არა მხოლოდ — თავადის ქალი (გაბრიელს მოჰვავს...). ისიც დასუსტებულა... სიცოცხლისუნარიანები და მთლიანები, სავსენი უნდა გახდენ ადამიანები, რომ სულიერად გაცოცხლდნენ, — ცოცხლად, ცხოვრებისულად, სისხლ-ხორცეულად უნდა ეზიაროს ადამიანი ღმერთს, რომ გაცოცხლდეს სულიერად. ეს არის ილიას ერთი სათქმელთაგანი. მარადიულ ფასეულობებთან ზიარება გააცოცხლებს ადამიანებს და ეს კი, როგორც ზემოთაც ითქვა, ხალხის ხასიათსაც, მის თავისებურებას, მისი ცხოვრების სტილს აღადგენს.

მარადიულ ღირებულებებთან ზიარება ეროვნული ფასეულობების გადარჩენას, ხასიათის კარგი თვისებების შენახვასა და ცუდისაგან გათავისუფლებას თავისთავად რომ გულისხმობს, ეს კარგად ჩანს ილიას წერილებიდან:

„ფალსტაფი ისეთივე შეილია მთელის კაცობრიობისა, როგორც ჰამლეტი, ოტელო, ტარიელი, ავთანდილი და სხვანი ამისთანანი. დიდის შემოქმედობის ძალით შექმნილნი. რამოდენადაც მწერალის შემოქმედობის ძალი სწვდება ამ ზოგად-კაცობის ტიპსა, იმოდენად მწერალი დიდია, იმოდენად მსოფლიოა“ („აკაკი წერეთელი და ვეფხვის-ტყაოსანი“, — ჭავჭავაძე 1927: 186). ილიასათვის ზოგადკაცობრივია მთავარი და ეს ზოგადკაცობრივი ეროვნულს თავისთავად გულისხმობს.

მისი სხვა წერილი გავიხსენოთ:

„ბურება ადამიანისა — ქართველია თუ გარმიანელი — ავ-კარგიანობით არის სავსე და ქვეყანაზედ არ არის ერი, რომ მიწყურული ჰქონდეს ან მარტო კარგი, ან მარტო ავი. ავი და კარგი ყველგან არის და, ვისაც ეს ავიწყდება, ის დიდ მანძილს ვერ გაირბენს მწერლობაში“ („ახალი დრამების გამო“, ჭავჭავაძე 1927: 206).

„ბარათაშვილმა ჩვენს აზრს, ჩვენს გულთათქმას, ჩვენს ჭუა-გონებას დიდი განძი მისცა, კაცობრიობის წყურვილს ქართველიც თანამოზიარედ გაუხადა და კაცობრიულ წყურვილის მოსაკლავ წყაროს ქართველიც დაანაფა“ („წერილები ქართულ ლიტერატურაზე“, ჭავჭავაძე 1927: 241).

ქართული სიმღერების შემსრულებელ — რატილზე ნათქვამი ზოგიერთი სიტყვა გვახსენდება:

„ყოჩალ, რატილ, რომ ძნელი საქმისა არ შეშინებია და საქმე საქმეზედ მოჰყავს. მერე ვინა ჰყავს ხოროში, სულ ყმანვილი ხალხი, რომელთაც, ვინ იცის, იქნება, კეთილწყობილი სიმღერა არც კი გაეგონათ“ (ჭავჭავაძე 1929: 362). „კეთილწყობილ“ სიმღერაში, ჩანს, მრავალხმოვანებას გულისხმობს ილია (სხვაგან „წყობილ სიმღერას“ უწოდებს მას, — ჭავჭავაძე 1929: 360) და ბედნიერია, რომ უცხოელმა მაინც მოჰყიდა ხელი ქართული „ხოროს“ შექმნას...

ქართული ფოლკლორი, კულტურა რომ უზომოდ უყვარს ილიას, ცხადია, ამას მტკიცება არ სჭირდება, ყველა ერის კულტურის თავისთავადობას პატივისცემით ეპყრობა... ოღონდ, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ნამდვილი ეროვნული კულტურის გადარჩენა მარადიული, ზოგადსაკაცობრიო იდეების გათავისების გარეშე შეუძლებლად მიაჩნია... ზოგადსაკაცობრიოზე ზრუნვას და ეროვნულ თავისებურებათა გადარჩენისათვის ამით იღვწის, ეს არის მისი ლიბერალობა... ზოგადსაკაცობრიო ქართველი სამოციანელებისათვის ეროვნულს თავისთავად გულისხმობს, — იქნება ეს ვაჟა თუ აკაკი... თუ ვაჟასაც შევეხებით ჩვენს წერილში და, თუ რელიგიური ასპექტიდანაც შევხედავთ მას, შეიძლება ითქვას, რომ ვაჟა ის ქრისტიანია, რომელმაც იცის, რომ მოყვასი, მტერიც, საერთოდ, ადამიანი, აქედან გამომდინარე, ყველა ერი, უნდა უყვარდეს მართლა ქრისტიანს, მაღალი სულიერი გადმოსახედიდან უნდა უყურებდეს ადამიანს. სწორედ ამიტომ ნამდვილმა ქრისტიანმა არ უნდა თქვას „კაცი ჩვენა ვართ, მარტო ჩვენ გვზრდიან დედანი“... ყველასი უნდა ესმოდეს ჭეშმარიტ ქრისტიანს (ქრისტიანობაა გამომჟღავნებული ვაჟას ამ სიტყვებში და არა — თანამედროვე ეკუმენიზმის მსგავსი მოვლენა, როგორც ეს ზოგჯერ ესმით ხოლმე...).

ილია ჭავჭავაძის შემოქმედებიდან ეს უმთავრესი აზრი იყვეთება: ერი ცოცხალი ორგანიზმი უნდა იყოს; მისი მოწინავე ნაწილის შემწეობით აზროვნებითი პროცესი არ უნდა შესუსტდეს; რეალური, შინაგანი რწმენა უნდა ასაზრდოებდეს საზოგადოებას და არა — ფორმალური, ფარისევლური; ეროვნული ტრადიციების გარევნული, — ფორმისმიერი ნიშნები თავისთავად გადარჩება, როცა ამ ტრადიციების საზრისი იქნება გაცნობიერებული, — ტრადიციების მხოლოდ ფორმალურ მხარეებზე ზრუნვა კი ილა ჭავჭავაძისათვის რელიგიური ფარისევლობის ცოდვას უტოლდება... თუ ერში სააზროვნო ენერგია ძლიერი იქნება, მაშინ მას გადაგვარების საფრთხე არ დაემუქრება, სხვა შემთხვევაში კი მსოფლიო კულტურულ პროცესებში ჩართვა, შესაძლოა, დამღუპველიც აღმოჩნდეს მისთვის... ილიასათვის ცოცხალი სიტყვა, ხალხისათვის ბუნებრივად და გასაგებად თქმული, ძლიერი აზროვნება, — ნამდვილი განათლება არის სასიცოცხლო მნიშვნელობის მქონე,

ერის გადარჩენის წინაპირობა და არა — ათასგვარი სოციალური თუ პოლიტიკური თეორიის ღრმად გაუაზრებელი, შეიძლება ასეც ითქვას, — უსიცოცხლო ცოდნა; ზოგად-საკაცობრიო ფასეულობებს უნდა ეზიაროს ერი, ღრმად უნდა გაითავისოს იგი და მაშინ აღუდგება თვითმყოფადი სახე, არც გადაგვარების საფრთხე და ემუქრება და შეძლებს, რომ სხვისთვის კულტურის გამლები გახდეს... მისალებს მიიღებს სხვათაგან, მიუღებელზე კი უარს იტყვის... წინააღმდეგ შემთხვევაში გლობალიზაცია საშიში იქნება მისთვის.

წინამდებარე ნაშრომში ილია ჭავჭავაძის ეკონომიკურ შეხედულებებზე საგანგებო ყურადღებას არ ვამახვილებთ, აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ იმხანად მრავლად შემოტანილი ეკონომიკური თეორიები, ასევე, უსიცოცხლო, მკვდარ სისტემებად მიაჩნდა მას, ცხადია, არც სოციალისტი იყო და არც — კლასიკური (გერმანული ან — ინგლისური) კაპიტალიზმის მომხრე, — მისი წერილებიდან სრულიად ცხადად ჩანს, რომ საკუთრების შერეულ ფორმას ანიჭებდა უპირატესობას, იცოდა, რომ მცირერიცხოვანი ერის კულტურაზე თუ მთელმა საზოგადოებამ, სახელმწიფომ არ იზრუნა, დაკანიდება და გადაგვარდება ამ ერის კულტურა და, შესაბამისად, — მთელი ერი.

წერილში — „ძველი საქართველოს ეკონომიკური წყობის შესახებ“ ილია ჭავჭავაძე წერს: „ჩვენს ეკონომიკურს წყობაში ორგვარი მდინარეობა იყო, როგორც ყველგან სხვაგან: ერთი სამსოფლო და მეორე საკომლო. პირველი მიიზიდებოდა ისე, რომ სოფლის წრეში ყოფილიყო მამულები, მინა, მინდორი, ტყე — საზოგადო, სამსოფლო ხმარებაში ყოფილიყო; მეორე ისე, რომ ყოველივე ეგენი განსაკუთრებულიყო. [...]“

აქედამ ცხადია, ჩვენი მეფეები რას უნდა გაჰყორთხილებოდნენ. როგორც ეტყობა, უფრთხილებოდნენ კიდეც, თუ არ მეფენი, თითონ ხალხი მაინცა. [...]“

ბოლოს-და-ბოლოს ამ უკეთეს მხარეს ჩვენის ეკონომიკურის წყობისასა ყური აღარ ათხოვეს; გაიღგა ფეხი განსაკუთრებამ და კომლეურობამ, ჩამოვარდა უსწორ-მასწორობა მინის მფლობელობაში არამც თუ კომლთა შორისაც, არამედ სოფელთა შორისაც“ (ჭავჭავაძე 1927: 203-204).

ილია ჭავჭავაძის ამ წერილიდან აშკარად ვხედავთ, რომ საკუთრების შერეული ფორმა მისთვის მისაღები, ოღონდ — იმგვარი, რომ საზოგადო მფლობელობის ფორმას ჰქონდეს უპირატესობა მინიჭებული. ცხადია, იცის, რომ საზოგადოებაში კერძო მესაკუთრეთა შორის სრული თანაბრობა ერთხაშად ვერ გახდება დაცული, მაგრამ, ჩანს, მისი სურვილია, კერძო საკუთრება იმგვარად მართოს საზოგადოებამ, კანონმა, რომ ყოველი ადამიანის თავისუფლების სამსახურში ჩადგეს იგი, რომ საზოგადოების ყოველ წევრს სრულად ჰქონდეს თვითრეალიზაციის საშუალება...

ილია ჭავჭავაძეს ძალიან რთულ დროში მოუხდა ცხოვრება, — როცა ჭეშმარიტი განათლება და აზროვნება, სარწმუნოება იყო გასაძლიერებელი, როცა მრავალგვარი სოციალური თეორია მოახვიეს ქართველ ერს თავზე... ილია ჭავჭავაძის სწავლება იმდენად მასშტაბურია, რომ დღევანდელობასაც სრულიად თავისუფლად წვდება.

## დამოწმებანი:

**მოამბე 2010:** ჭითანავა ნ. „გლობალიზაცია და ეროვნული ეკონომიკის განვითარების ტენდენციები“. საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა აკადემიისა და ჰუმანიტარულ-ეკონომიკური უნივერსიტეტის მოამბე, XIII-XIV, თბ.: 2010.

**მწერლობა 2005:** სამეცნიერო კრებ, — „კლასიკური და თანამედროვე ქართული მწერლობა“, საქართველოს მეცნიერებათა აკადემია, შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი, თბ.: 2005.

**ძიებანი 2003:** ლიტერატურული ძიებანი. საქართველოს მეცნიერებათა აკადემია, შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი, XXIV, თბ.: .2003.

**ჭავჭავაძე 1927:** ჭავჭავაძე ი. სრული კრებული. პ. ინგოროვასა და ალ. აბაშელის რედაქციით. ტ. IV, ტფილისი: 1927.

**ჭავჭავაძე 1927:** ჭავჭავაძე ი. სრული კრებული. პ. ინგოროვასა და ალ. აბაშელის რედაქციით. ტ. V, ტფილისი: 1927.

**ჭავჭავაძე 1929:** ჭავჭავაძე ი. სრული კრებული. პ. ინგოროვასა და ალ. აბაშელის რედაქციით. ტ. IV, ტფილისი: 1929.

## **Gocha Kuchukhidze**

### **Ilia Chavchavadze and Globalization**

#### **Abstract**

**Key words:** Ilia Chavchavadze, globalization, national identity and globalization

This paper makes an attempt to study the attitude of Georgian writer and public man, later canonized by Georgian church Ilia Chavchavadze to the processes of globalization (clearly in Ilia Chavchavadze's time globalization had not yet been started but processes were already noted).

On the verge of the 19<sup>th</sup>-20<sup>th</sup> centuries some political forces tried to direct these processes in accordance with their own world outlook. Many of them neglected national interests and in most cases, regulation of social issues was their only priority. Those were the parties based upon Marxist philosophy, forces which conducted a policy of "Russification" of Georgia. Ilia Chavchavadze's intention was to implement such world outlook in Georgia, which did not harm the national interests of his people.

The examination of Ilia Chavchavadze's creativity evidences that universal and eternal values are of crucial importance for the writer. The recognition of universal values implies by itself protection of national values. According to Ilia Chavchavadze, for Georgia it is obligatory to recognize universal ideals which seemed to him the precondition of preservation of national culture. According to his world outlook without recognition of these values the concern for national culture would fail to bring good result, - in such case the nation will resemble the museum piece that is totally unacceptable for Ilia Chavchavadze.

Ilia Chavchavadze's world outlook is based on Christian faith. He had great respect for religion and church and was totally opposed to false Christianity, - pharisaism, strengthening of the Pharisees in the church. He is tolerant, respects the identity of any nation and considers that nations should enrich each other with national cultures.

The main thing for Ilia Chavchavadze was to preserve identity by Georgian people and contribute to treasury of world culture.

## ალექსანდრე ყაზბეგისეული შიოლა ღუდუშაური — მხატვრული გამონაგონი თუ სინამდვილე

1894 წელს უურნალ „მოამბეში“ (№ 8, განყოფილება I, გვ. 17-24) პირველად დაიბეჭდა ალექსანდრე ყაზბეგის დაუმთავრებელი მოთხრობა „შიოლა ღუდუშაური“, ხელნაწერი დაცულია მწერლის ფონდში [И №122]; 1905 წელს უკვე წიგნად გამოვიდა ყაზბეგის მოთხრობები და იქაც დაიბეჭდა ეს ტექსტი, რომელიც პირდაპირ ასე იწყება:

„შიოლავ ღუდუშაურო, სკამს ზიხარ ერისთვისასა,  
აღარც ქალს ინდობ, აღარც კაცს, არცა ბალლს — ერთის თვისასა.  
პირიდან ცეცხლს ჰყრი, კლდეს ადნობ ბასრის ქვისასა!

ასეთ სურათად გვიხატავს სახალხო გადმოცემა შიოლა ღუდუშაურს, რომელიც „ხევში გაბატონებულის არაგვის ერისთავთა მარჯვენას შეადგენდა და შეუბრალებლად სწვავდა, სდაგავდა და ცეცხლში ატარებდა თავის მოძმეთ... ღუდუშაური შიოლა, შავ-შიოლა, როგორც მას ხალხი ეძახდა, დადიოდა გაცეცხლებული გატიალებულს ხევში და თვით ჯოჯოხეთიდან მოვლენილს ცეცხლის მათრად სწვავდა და სდაგავდა ხალხსა“ (ყაზბეგი 1905: 1089-1090). როგორც ვხედავთ, ამ მოთხრობაში ალექსანდრე ყაზბეგი გამოხატავს „მოღალატე შიოლასადმი მოხევეთა გულისწყრომას“ (ლატარია 2010: 27). 1950 წელს გამოცემულ ალ. ყაზბეგის თხზულებათა მე-4 ტომში დაბეჭდილ ამ დაუმთავრებელ მოთხრობას პროფესორი სოლომონ ყუბანევიშვილი ასეთ კომენტარს დაურთავს: „ალ. ყაზბეგს განზრახული ჰქონია მთიელთა თავისუფლებისათვის თავგანწირული ბრძოლა ერისთავებთან და მათ აგენტ შიოლა ღუდუშაურთან მხატვრულად აღეწერა. საამისოდ მას შეუსწავლია ხალხური ლექსებიც და დაუწერია „შიოლა ღუდუშაური“ და მისი ვარიანტი „ნინო“, რომელთაგან მხოლოდ დასაწყისი ნაწილია მოღწეული“ (ყაზბეგი 1950: 488). ს. ყუბანევიშვილის მიერ ნახსენებ მეორე მოთხრობაში, „ნინო“, ყაზბეგი წერს: „...ღუდუშაურებს სისხლსა და ხორცში გაუჯდა სიამპარტავნე, აზნაურობის გემოვნებამ გაიდგა ფესვი და ერთაშად გაბატონებულებმა თავის თანამოძმებზედ, ხალხს უწყალოდ წვალება დაუწყეს. ხალხი ჰგმინავდა, ჰკვნესავდა, ჰგრძნობდა უსამართლიობას.. ხალხი ამ მდგომარეობაში იყო, როდესაც ერთი უღმერთოდ გამძლავრებული შიოლა ღუდუშაური იქაურობას მუსრს ავლებდა. გამოჩენილი შიოლა, მებრძოლი და ძლიერი, გულადი და შეუპოვარი, ამასთანავე, იყო ამპარტავანი, კაცმიუკარებელი და დაუნდობელი“ (ყაზბეგი 1950: 158-159).

თემის მოღალატის პრობლემა არაერთგზის აქვს ყურადღებული ყაზბეგს. შესაბამისად, შიოლა ღუდუშაურის მსგავსი ანალოგიები გვხვდება „ხევისბერ გოჩაში“. მართალია, ამ მოთხრობაში აშკარად არ ჩანს თემის პირის გამტეხი, თუმცა უკვე „ელგუჯაში“ დაუფარავადაა გაკიცხული გაგი ჩოფიკაშვილი. სხვათა შორის, ნანა ლატარიას აზრით, ხევში გამძლავრებული „ღუდუშაურების თავგასულობა ნაჩვენებია აგრეთვე მოთხრობაში „ციკო“, სადაც აშკარად შეინიშნება მსგავსება შიოლასა („შიოლა ღუდუშაური“) და გორჯასპ ღუდუშაურის („ციკო“) პორტრეტების ჩვენებისას“ (ლატარია 2010: 29).

რეალურად რასთან გვაქვს საქმე? რატომ აწუხებს ასე ალ. ყაზბეგს მოღალატე შიოლა ღუდუშაურის თემა? მის მიერ დახატული პორტრეტი ფანტაზიის ნაყოფია თუ უტყუარი ფაქტი?

ისტორიულად, XVI საუკუნიდან აღმოსავლეთ საქართველოს მთიელებს მოსვენებას არ აძლევდნენ არაგვის ერისთავები, დაბეჯითებით ცდილობდნენ მათს დამონებას, ყმებად გადაჭცევას, მაგრამ თავისუფლებისმოყვარე ხევსურთა თუ მოხევეთა ამაყი და უდრევი სული ასე ადვილად დასაპყრობი და მოსათვინიერებელი არ იყო. ამ ბრძოლების შესახებ ქართულ საისტორიო წყაროებში მნირი ცნობებია შემონახული. არაგვის ერისთავებიდან ხევის დასაპყრობად პირველად ნუგზარ ერისთავს გაულაშქრებია. ეს ამბები მხატვრულად აქვს აღნერილი ალექსანდრე ყაზბეგს თავის უკვდავ „ხევისბერ გოჩაში“. მოხევეთა ბრძოლა თავისუფლებისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობისა იყო, გაუტეხელ და დაუმონებელ მთიელებს ბოროტებად მიაჩნდათ მონობა და ადამიანური ღირსების ფეხქვეშ გათელვის ნებისმიერი მცდელობა. ამიტომაც, ალ. ყაზბეგის სულისკვეთება სრულიად გასაგებია. მან სამარცხვინო ბოძზე გააკრა ნუგზარ ერისთავისა და მისი მომხრეების ველური პოლიტიკა. ისტორიულად და „ხევისბერი გოჩას“ მიხედვითაც, მაშინ ნუგზარ ერისთავს გეგმა ჩაუვარდა, თუმცა მისმა მემკვიდრემ, ზურაბმა, 1616-1629 წლებში შეძლო ხევის დროებით დაპყრობა, დროებით, რადგან მისი სიკვდილის შემდეგ ხევის დამონება ვეღარ გაბედეს. სერგი მაკალათია ასე მოგვითხრობს განვითარებულ მოვლენებს: „ხალხური გადმოცემებით, როდესაც არაგვის ერისთავები ვერარას გახდნენ და ხევი ვერ დაიმორჩილეს, მაშინ ისინი მშვიდობიანი გზით და დიპლომატიური ხერხებით ცდილობდნენ თემის მოთავების გადმობირება-მოსყიდვას და ამით თემის პირის გატეხვას... ერისთავებმა დააწინაურეს გავლენიანი გვარის მეთაური შიოლა ღუდუშაური, რომელსაც აზნაურობა უბოძეს თურმე... ახლად გააზნაურებულმა შიოლამ ერისთავების წაქეზებით დაიწყო ხალხზე ბატონობა და საბეგრო ხარჯებით მოხევეებს ძლიერ აწუხებდა. ამაზე თემი ღელავდა. სათემო საბჭოში გვარის უხუცესებმა პირი შეკრეს, რომ თემის მოღალატე შიოლა სასტიკად დაესაჯათ“ (მაკალათია 1934: 42-43).

მოღალატე ნუგზარის თავნებობის მხატვრულად ასახვის შემდეგ, ბუნებრივია, ალ. ყაზბეგს შიოლა ღუდუშაურის ვერაგობისა და სისატიკის წარმოჩენის მწვავე სურვილი გასჩეროდა. მისი სახით ხომ დასაყრდენი იპოვა ზურაბ ერისთავმა. შესაძლოა, ეს ფაქტი უფრო გამაღიზიანებელი იყო მთელი ხევისთვის, ვაჟეაცობისა და ერთგულების მოტრფიალე კუთხისთვის, სამშობლოს მტკიცე ციხესიმაგრედ რომ ევლებოდა. თავის შემოქმედებაში დაუნდობელი იყო „ხევის ბეთჰოვენი“ იმათ მიმართ, ვინც არად დაგიდევდა თემის ერთობით განმტკიცებულ ტრადიციას, ვისაც შეეძლო ვაჟეაცობის ფეხქვეშ გათელვა და პირადი კეთილდღეობისთვის მოძმეთა განირგა. ასეთი იყო შიოლაც, რომლის მიმართ სრულიად მიუკერძოებელი და ობიექტურია ალ. ყაზბეგი. იგი ცდილობს, არ დაუკარგოს კარგი თვისებები ღუდუშაურის: „გამოჩენილი შიოლა, მებრძოლი და ძლიერი, გულადი და შეუპოვარი, ამასთანავე იყო ამპარტავანი, კაცმიუკარებელი და დაუნდობელი“ (ყაზბეგი 1950: 159). როცა მისი პორტრეტის შესახებ გვესაუბრება, იმასაც შეგვახსენებს, რომ შიოლას გაამპარტავნებას ხელი შეუწყო ერისთავების უზნეობამაც: „შიოლა იყო შუა ტანის, ჩასხმულ-ჩაკირული, ჩაკუმშ-ჩარგვალებული, ძარღვიანი კაცი, მოძრავი, დაუზარებელი, თავისნება და ამპარტავანი. ყველაზედ მომეტებულად ის გაეზვიადებინა ერისთავიანთაგან სიგელების მიცემას, რომელიც მათ აზნაურობის სახელს და ხალხთან უღმრთოდ მოპყრობის ნებას აძლევდა“ (ყაზბეგი 1905: 1089).

არსებობს მოთხოვნა „შიოლა ღუდუშაურის“ დასაწყისი ვარიანტიც „შენყალებულის“ სახელწოდებით და, როგორც სოლ. ყუბანეიშვილი მიუთითებს, შეიცავს შემდეგ ცნობას: „კარგა ხანია მას აქეთ, რაც მთიელნი ჩამოსულიყვნენ ბარად, რომ ქართველისთვის ჩვეულებრივი ძმობა გაეწიათ. მათი გუნდი დაბანაკებული იყო ანანურში, რომელზედაც ჩამოდიოდნენ ლეკები და წამდაუნუმის ავაზაკობით ხალხს მოსვენებას აღარ აძლევდნენ. ამ ლაშქარში, სხვათა შორის, მოხევეთა გუნდიც იყო. ამ უკანასკნელთ მოთავედ ითვლებოდა ერთი გამოჩენილი სიგაუაციო — ღუდუშაური“ (ყაზბეგი 1950: 488). როგორც ვხედავთ, ალ. ყაზბეგი აპსოლუტურად თავისუფალია მიკერძოებისაგან და ცდილობს, მაქსიმალური ობიექტურობით, თავისი ავ-კარგით დაგვიხატოს შიოლა ღუდუშაურის სახე, თუმცა ეს „კარგი“ იმდენად მცირეა მის ავთან შედარებით, რომ რეალურ სურათს ვერ ცვლის. მკვეთრად უარყოფითად წარმოაჩენს შიოლა ღუდუშაურის მხატვრულ სახეს ბელეტრისტული ცდანი ყაზბეგისა, რადგან იგი ტრადიციის ერთგული მიმდევარია და ფაქტებს აღნერს ისე, როგორც სინამდვილეში იყო, როგორც ახსოვდა მის სათაყვანო ხევს.

ალექსანდრე ყაზბეგი იყო ქართულ სინამდვილეში ერთ-ერთი პირველი, რომელმაც ღუდუშაურის შესახებ დაინტერეს საუბარი. არ დასცალდა, თორემ ვინ იცის, შიოლას ნაქნარი რა „საქმენი საგმირონი“ ელოდა დღის სინათლეს.

6. ბერძენიშვილის აზრით, ღუდუშაურები სინში ყველაზე ადრე მისულან, ესენი ყოფილან შიოლა, პაპა და მესამე ძმა (სახელი არავინ იცის)... შიოლასა და პაპას მამა ყოფილა შალვა ღუდუშაური... შიოლას მარაბდას გაუმარჯვნია. ლეკს ხმალში გამოუთხოვია შიოლა. შიოლას მოუკლავს. შიოლა დაუსაჩუქრებიათ მთელი შეიარაღებით (ვერცხლის მუზარადი, ხმალი, საბუხარი და სხვა). შიოლა კიდევ უფრო განთქმულა. ფშავები, ხევსურები და თუშები გულნაკლულები ყოფილან. შიოლას წინააღმდეგ მარაბდიდან წამოსული ცხრა ფალავანი გამოუყვიათ (სამ-სამი); შიოლას ისინი სათითაოდ დაუმარცხებია. ამ გმირს, შიოლას, პირველს გაუტეხია თემის პირი. ეს იყო ნუგზარისა და შემდეგ ზურაბის მოხელე“ (ბერძენიშვილი 1964: 35-36). ღუდუშაურების საგვარეულოზე დოკუმენტურ მასალებზე დაყრდნობით საუბრობს როლანდ თოფჩიშვილიც (თოფჩიშვილი 1998:).

არსებობს ლეგენდა სნოს ციის მფლობელ შიოლა ღუდუშაურის შესახებ, რომლის მიხედვითაც: „თემთა გადაწყვიტა შიოლას დასჯა, მაგრამ ეს არც ისე ადვილი იყო: შიოლას კარგი ციხე-სიმაგრეები ჰქონდა სნოსა და მის მიდამოებში. რაკი თემმა შიოლასთან შეხვედრა ვერ მოახერხა, მოისყიდა ვინმე ხევსური მორეხელი. ეს უკანასკნელი ძმადნაფიცი ყოფილა იქვე ახლოს მდებარე სოფელ ახალციხეში გათხოვილი შიოლას დისა. ხევსურს ძლვენის მიტანისას უნდა მოეკლა შიოლა. შეჯდა ცხენზე და გასწია ძლვენით შიოლასაკენ. მაგრამ იგი გათქვეს და მორეხელი აჩხოტში სანადიროდ მიმავალ შიოლას შეეყარა. შიოლამ ბრძანა ცხენის წართმევა. მორეხელს ცხენი კი წაართვეს, მაგრამ მშვილდ-ისარი ვერ აართვეს და ისარი პირდაპირ გულში გაუყარა შიოლას. ამ უკანასკნელის მხედრები დაედევნენ მას და დადნაფიცის სახლში მოკლეს. ასეთი საქციელი ოჯახის დიდ შეურაცხყოფად ითვლებოდა. ოჯახის უფროსი სინში მიუხტა ცოლოურებს, ორი მოკლა და თვითონაც ზედ შეაკვდა“ (სნო 2012:). ეს თემა კარგადაა შემონახული მთის ფოლკლორში, სპეციალურ ლიტერატურაშიც შესწავლილია ბალადა „შიოლა და მორეხელი“, თუმცა მორეხელის ვინაობის შესახებ სხვადასხვა ინტერპრეტაცია არსებობს (ა. კობაიძე, ჯ. ჯაყელი, ა. არაბული, ა. გურასაშვილი...).

შეკითხვაზე, თუ ვინ იყო შიოლა ღუდუშაური, დიდი ხანია პასუხი გაცემულია როგორც ქართულ ფოლკლორში, ხალხურ გადმოცემებში, ისე სამეცნიერო თუ მხატვრულ ლიტერატურაში. ფეხდაფეხ მივყვეთ მოვლენებს:

1. 1888 წლის ივერიის 19 აპრილის ნომერში (84) პირველად გამოქვეყნდა ხევსურულ ლექსთა ციკლი 6. ურბნელის მიერ გაგონილი, რომელსაც ბადია ბალიაურისაგან ჩაუწერია შიოლა ღუდუშაურზე დაბეჭდილი ლექსი (ივერია 1888:). 1902 წელს კი ამავე გაზეთში (124) კალმის-წვერას ფსევდონიმით დაბეჭდა ფელეტონი შიოლა ღუდუშაურის შესახებ: „შიოლამ მართლაც ჩქარა გამოიჩინა აზნაურული მადა და, ერისთავების ნაქეზებით, სა-დაც კი ხელი მიუწვდებოდა, დაუწყო სუსტებსა და უძლურებს ძარცვა და გლეჯა... თემის აზრით, შიოლა უნდა დასჯილიყო იმიტომ კი არა, რომ აზნაურად გახდა ხევში, არამედ იმიტომ, რომ მამულის მოღალატე იყო და გამტეხი თემის პირისა“ (ივერია 1902:). „კალმის-წვერას“ ფსევდონიმის უკან იდგა ა. კობაიძე;

2. 1931 წელს გამოვიდა აკაკი შანიძის ფუნდამენტური შრომა „ხალხური პოეზია“. აქ დაბეჭდილია ლექსები შიოლა ღუდუშაურის შესახებ. დიდი მეცნიერი იმონმებს ბესარიონ გაბურის ცნობას: „იგი (შიოლა) იმდენად ზნედაცემული ყოფილა, რომ ძველი ხალხური ლექსი ასე მიჰმართავს:

„არც ქალს უშობდი, არც რძალსა,  
არც ბალდსა შვიდის წლისასა.“

— ასე ამბობდა მოხევე ბიჭა ღუდუშაური, 1925 წელს სოფელი სწო — ბიჭა ამ დროს 94 წლისა ყოფილა (მანიძე 1931: 337). ცნობილი ხალხური ბალადა პოემად გადაუკეთებია ბე-სარიონ გაბურს („შიოლა და მთრეხელი“). აკაკი შანიძე იქვე მიუთითებს: „რომ დიდი არ იყოს (387 სტრიქონია, რაიცა დაახლოებით ცხრა გვერდს დაიჭერდა), აქვე მოვიყვანდი“. ბესარიონ გაბურის ეს პოემა (გამოუქვეყნებელი) ინახებოდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოგრაფიული კოლექციის არქივში (1939);

3. 1957 წელს გამოიცა გიორგი კალანდაძის მონოგრაფია „ქართული ხალხური ბალადა“. მასში ავტორს ცალკე თავად აქვს გამოყოფილი „ბალადები, რომლებშიაც აისახა სოციალური უთანასწორობის წინააღმდეგ ბრძოლა“ და მან საანალიზოდ სწორედ აქ შეიტანა შიოლასა და მთრეხელის შესახებ ბალადა. მისი აზრითაც: „შიოლა ღუდუშაური აჩხოტას (ხევი) ბატონი ყოფილა, ზნედაცემული და გაუმაძლარი“ (კალანდაძე 1957: 112);

4. 1964 წელს დაიბეჭდა თინათინ ოჩიაურის „ხევსურეთში“, რომელშიც მეცნიერი საუბრობს იმათზე, „თავის თემს რომ ემიჯნებოდნენ, ხალხის ნებასა და სურვილს არად აგდებდნენ, მოძმეუბზე რომ თვითნებურად ბატონობდნენ. [ასეთებს-ს.მ.] არასოდეს მიუშვებდა ნებაზე ხალხი. აჩხოტელი თათხელიონნი, ფშავში ასევე აღზევებულნი სულ-კურდლელა, თაღლაური, ხოლო ხევში ღუდუშაური საკუთარი თავგასულობის მსხვერ-პლი გამხდარან“ (ოჩიაური 1964: 25).

5. 1967 წელს გამოქვეყნდა გურამ დოჩიანაშვილის მოთხოვნა „აჩხოტელის ბატონი“, რომელშიც მხატვრულადა გაცოცხლებული შიოლასა და მთრეხელის საბედის-წერო შეხვედრა. ტექსტში ერთგან ვკითხულობთ: „ეს რა გაუბედეს აჩხოტის ბატონს, ერისთავებთან დაახლოებულ კაცს, შარამბალის მამას, გააზნაურებულ შიოლას — მისივე თემელი, ტანსაცმელჩამოხეული იაგორა, თავისი ციინგლიანი ბლარტის გულისათვის დაემუქრა კიდევაც. ვის გაუბედია აქამდე რამე: ხალხზე ბატონობდა — ხმა არავის ამოულია, ბეგარას ითხოვდა და იღებდა კიდეც, რასაც იტყოდა, ყველაფერს უსრულებდნენ, დედამისის შვილები იყვნენ და არ შეესრულებინათ, ნაცარტუტად აქცევდა იმათ სახლ-კარს შიოლა“ (<http://lib.ge/book.php?author=21&book=3405>).

6. 1997 წელს ჟურნალმა „კლდეკარმა“ დაბეჭდა ლადო ბალიაურის მოთხოვნა „მეცნიერი“, რომელშიც შიოლასა და მისი დის თემაა აქცენტირებული (ბალიაური 1997: 92-126);

7. 1992 წელს უურნალ კლდეკარში (№ 2) დაიბეჭდა ტრისტან მახაურის წერილი „ქართული ხალხური ბალადა „შიოლა და მთრეხელი“, რომელშიც ვკითხულობთ: „სნოელი შიოლა ღუდუშაური აჩხოტის ბატონად იხსენიება ხალხურ ლექსებში (აქამდე სჭამე აჩხოტი... ბატონსა აჩხოტისასა). აჩხოტი ყაზბეგსა და სნოს შუა მდებარეობს, უფრო სწორად, თერგისა და სნოს წყლის შენაკადში. აჩხოტის მინდვრიდან იწყება სნოს ხეობა. თურმე აქ ჩამოლილი შიოლა, გზაზე უხვდებოდა გამვლელ-გამოვლელს“ (მახაური 1992: 176).

8. ამავე უურნალის 1993 წლის მეორე ნომერში პროფესორი ამირან არაბული წერს: „არაგვის ერისთავებისაგან წაქეზებულმა, გააზნაურებულმა შიოლა ღუდუშაურმა ხევის მოსახლეობის დამონება განიზრახა... წელიწადში ყოველ კომლს ლიტრა ერბო უნდა ეძლია თავნება ბატონისათვის, სასწორის პინას ფეხს დაადგამდა, — ჩემი ფეხი ლიტრას იწონის, არც მეტი არც ნაკლები, ამდენი უნდა მომცეთო... დაკლული ხარის მარცხენა მხარზე უარს ამბობდა, სხვა გზა არ იყო, მარჯვენა უნდა მიერთმია ხარის მეპატრონებს. ეგ კიდევ არაფერი, პირველი დამის უფლებითაც სარგებლობდა და ადვილი წარმოსადგენია, რაოდენ აცამტვერებდა მთიელთა ვაჟუაცების თავმოყვარეობას“ (არაბული 1993: 194).

9. შ. არაბულის ცნობით: „შიოლამ გაბატონება მოინდომა, ამასთან საბეგრო ხარჯებით ძალზე შეავინოვა მოხევეები“ (არაბული 1999: 172).

10. ბექა ქურხული თავის სადისერტაციო ნაშრომში „მოლაშქრეობა — მექოპრეობის ასახვა აღმოსავლეთ საქართველოს მთის ხალხურ პოეზიაში“ შიოლა ღუდუშაურის შესახებ გვაუწყებს: „ზურაბ არაგვის ერისთავმა მისი რჩევითა და პირდაპირი მონაწილეობით თრუსომი სამოცი ნარჩევი ხევსური ჩანაციტა“ (ქურხული 2005: 79-84).

11. ს. მაკალათია ზემოთ ნახსენებ წიგნში ასე დაასკვნის: „ამგვარად, თემმა ერისთავებისაგან მოსყიდული და თემის მოლალატე შიოლა მოჰკლა და ამით ბოლო მოუღო მათ ვერაგულ პოლიტიკას“ (მაკალათია 1934: 44).

ასეთი ერთგვაროვანი დამოკიდებულება არსებობს შიოლას მიმართ. ყველა თანხმდება იმაზე, რომ ის იყო სასტიკი, დაუნდობელი, უზნეო და მოლალატე. ამდენად, ალექსანდრე ყაზბეგის მიერ წამოწყებული, თუმცა დაუმთავრებელი ნარატივი შიოლა ღუდუშაურის შესახებ არ ყოფილა მითი, ლეგენდა თუ მხატვრული გამონაგონი. ის ანარეკლი იყო კონკრეტული ისტორიული ფაქტისა.

1999 წელს გამოვიდა რ. ჩხეიძის „ორი შიოლა“ (ლიტერატურულ-ფოლკლორული ცდა), რომელიც შიოლა ღუდუშაურის გამართლების პირველი და ჯერჯერობით უკანასკნელი მცდელობაა. ავტორი გულწრფელად წერს თავისი ნარკვევის ეპილოგში, რომ ღუდუშაურის შთამომავალთათვის შიოლა გმირი, ხევის დამცველი და მფარველი, სახელოვანი და ღალატით მოკლულია, თუმცა ეს თვალსაზრისი სრულიად მიუღებელია სამეცნიერო ავტორთა და მათი შეხედულების მომხრეთათვისო. „შეურიგებლად დაპირისპირებულია ეს ორი თვალსაზრისი და, არ ვიცი, რა მრჯიდა, მათ შორის რომ აღმოვჩნდი... ესეც ეტყობა ჩემი ბედია — ყოველთვის დაპირისპირებულთა შორის მოვექცე და ორივე მხარის გულისწყრომა დავიმსახურო“ (ჩხეიძე 1999: 88). ამავე წიგნის რედაქტორი, ტ. მახაური, ბოლოსიტყვად წერს წერილს „თავალებული აზნაური“ მთის ხალხურ პოეზიაში, „რომელშიც კატეგორიულად არ იზიარებს რ. ჩხეიძის „სრულიად განსხვავებულსა და უჩვეულ“ თვალსაზრისს და ამბობს: „შიოლა-მოძალადე“, „შიოლა-მჩაგვრელი“ ჩვენ კი არ წარმოვსახეთ და ჩვენ კი არ დავამკვიდრეთ, არამედ იგი დაამკვიდრა ხალხის საღმა და მიუკერძოებელმა აზრმა, ხალხურმა ცნობიერებამ“ (ჩხეიძე 1999: 102).

თანამედროვე საქართველოში ერთობ საშიშ მოვლენასთან გვაქვს საქმე. სტეფან-წმინდის რაიონის სოფელ სნოში გახნილია „შიოლა ღუდუშაურის სახელობის სულიერე-

ბისა და კულტურის ცენტრი“, იქვე დგას შიომლას ძეგლიც. მარტივად შეიძლება ინტერნეტ-სივრცეში სოლო სიმღერის მოძებნა „შიომლა ღუდუშაური, ბატონი აჩხოტისაო“ ([http://www.youtube.com/watch?v=F4g8N\\_YReOo](http://www.youtube.com/watch?v=F4g8N_YReOo)), რომელშიც იგი ლამის წმინდაზე გამოყვანილი:

„შიომლა ღუდუშაური, ბატონი აჩხოტისაო,  
სნოს ჭალას მადგა მთაზედა, გერგეტა დასწერს ჯვარსაო.  
... ვაჟკაცი იყავ გულადი, პურადი სტუმრისთვისაო,  
კვლავაც სმენ შასანდობარსა ლალის არწივის მთისაო.  
... კაც იყავ ხევჩი ნაქები, ვით ვეფხი სალის კლდისაო,  
კვლავამც კი შაგენეოდეს სამება გერგეტისაო“...

ეს ლექსი ზუსტად იმის კონკრეტული მაგალითია, თავის წიგნში რ. ჩხეიძე რომ მიუთითებს: ღუდუშაურთა „საგვარეულოში უფრო სხვა ლექსები და გადამოცემები ტრიალებსა აჩხოტელების ბატონზე, სხვა კუთხით ზომავენ მის საქმეებს და არავის დაუთმობენ მისი სახელის ვაგლახად ხსენებას“ (ჩხეიძე 1999: 27), არადა ფაქტები, მოყოლებული ალექსანდრე ყაზბეგის ორი დაუმთავრებელი მოთხრობიდან, მოწმობს აბსოლუტურად საპირისპიროს. ახლა ჩვენ თვალწინ სამარცხვინოდ აყალბებენ ისტორიას, მოღალატებსა და აღვირახსნილებს გმირებად რაცხავენ, ზნედაცემულს (როგორც ალექსანდრე ყაზბეგი წერდა: „აღარც ქალს ინდობ, აღარც კაცს, / არცა ბალდს ერთის თვისასა, / პირიდან ცეცხლს ჰყრი, / კლდეს ადნობ ბასრის ქვისასა“) ძეგლს უდგამენ, სულიერებისა და კულტურის ცენტრს ანიჭებენ ისეთი ადამიანის სახელს, რომელიც „იყო ამპარტავანი, კაცმიუკარებელი და დაუნდობელი“ (ყაზბეგი 1950: 159). არის თუ არა ეს ისტორიის შეცვლა და გაყალბება, ანტიგმირის გმირად გამოცხადება, — ამაზე პასუხს, ალბათ, ისტორია გასცემს!

### დამოვებანი:

**არაბული 1993:** არაბული ა. მშვილდ თაოდ უნდა მთრეხელსა. კლდეკარი, № 2, გორი: 1993.

**არაბული 1999:** არაბული შ. ნარჩევი ხევსურები. თბ.: 1999.

**ბალიაური 1997:** ბალიაური ლ. ძმის მკვლელი. კლდეკარი, № 1, გორი: 1997.

**ბერძნიშვილი 1964:** ბერძნიშვილი ნ. ხევის ისტორიული ფოლკლორიდან. მრავალთავი. თბ.: 1964.

**დოჩანაშვილი 1967:** დოჩანაშვილი გ. აჩხოტელების ბატონი. მისამართი: <http://lib.ge/book.php?author=21&book=3405>.

**თოფჩიშვილი 1998:** თოფჩიშვილი რ. მოხეური გვარ-სახელები. თბ.: „მემატიანე“, 1998.

**ივერია 1888:** გაზეთი „ივერია“, № 84, 19 აპრილი, თბ.: 1888.

**ივერია 1902:** გაზეთი „ივერია“, № 124, 15 ივნისი, თბ.: 1902.

**კალანდაძე 1957:** კალანდაძე გ. ქართული ხალხური ბალადა. თბ.: „სახელგამი“. 1957.

**ლატარია 2010:** ლატარია ნ. ალექსანდრე ყაზბეგის დაუმთავრებელი მოთხრობები. თბ.: „უნივერსალი“, 2010.

**მაკალათია 1934:** მაკალათია ს. ხევი. ტფ.: სახელგამის სასწ.-პედ. სექტორის 1-ლი სტ. 1934.

**მახაური 1992:** მახაური ტ. ქართული ხალხური ბალადა „შიომლა და მთრეხელი“. კლდეკარი, № 2, გორი: 1992.

**ოჩიაური 1964:** ოჩიაური თ. ხევსურეთში. თბ.: „საბჭოთა საქართველო“, 1964.

- სწო 2012:** სწო. განთავსებულია 2012 წლიდან. მისამართი: <http://dzeglebi.com/view.php?id=31>.
- ქურხული 2005:** ქურხული ბ. მოლაშქრეობა — მეკოპრეობის ასახვა აღმოსავლეთ საქართველოს მთის ხალხურ პოეზიაში. სადისერტაციო ნაშრომი. თბ.: 2005.
- შანიძე 1931:** შანიძე ა. ხალხური პოეზია. ხევსურული. I, თბ.: სახელმწიფო გამომცემლობა, 1931.
- ყაზბეგი 1905:** ყაზბეგი ალ. მოთხრობები. ტფ.: წიგნების გამომცემლობა ქართული ამხ-სა, 1905.
- ყაზბეგი 1950:** ყაზბეგი ალ. თხზულებანი ხუთ ტომად. ტ. IV, თბ.: „საბჭოთა მწერალი“, 1950.
- ჩხეიძე 1999:** ჩხეიძე რ. ორი შოთა თბ.: „ლომისი“, 1999.
- ჯაყელი 2001:** ჯაყელი ჯ. შიოლა ღუდუშაურის ფოლკლორული წყაროებისათვის. „ლიტერატურული აჭარა“, № 8, ბათუმი: 2001.

**Saba Metreveli**

## Shiola Gudushauri by Aleksandre Kazbegi - The Narrative Image or Truth

### Abstract

**Key words:** Aleksandre Kazbegi, Shiola Gudushauri, Khevi, Hero-Antihero

Since sixteenth century the Heads of Aragvi had not been let the Easter-Georgia to be at peace. They were trying convincingly to enslave them but the souls of pride Khevsurians and steely Mokhevians were not so easy to be conquered and tamed. There are scanty resources in Georgian history books about them. From the heads of Aragvi, the first person who took the field was Nugzar Eristavi. The story in details are described in the immortal book “Khevisberi Gocha” which is written by Aleksandre Kazbegi.

The Fight for existence for them was vital. The firm and refractory mountaineer hated slavery and any insult to human values. Therefore the state of mind of the author was quite clear. He hated Nugzar Eristavi’s policy and his supporters. Historically, and according to work, Nugzar Eristavi couldn’t execute the plan, but his successor, Zurab, managed to invade Khevi in 1616-1629 temporarily. Temporarily because none could invade it again after the death of Zurab. According to legends when commanders-in-chief couldn’t win Khevi in any way, they began in the diplomatic ways to bribe commanders-in-chief of fraternity and to destroy them. Then heads of community appointed as a nobleman Shiola Gudushauri. As a new nobleman, Shiola started dominating over peasants and forced them to pay taxes, the community excited in this regard. In Community Council the head agreed that the traitor of the fraternity, Shiola would be punished.

Aleksandre Kazbegi wanted to reveal perfidy and inhumanity of Ghudushauri very much. This fact may be very annoying for the whole community, for the region which loved bravery and devotion. The great Georgian writer was severe towards the people who could forget about bravery and could doom fellows. There is one story „Shiola Ghudushauri’s“ beginning version, it’s called „Forgiven“ The author is absolutely free from partiality and tries to show us a real face of Shiola Ghudushauri. But Shiola’s good Character is not enough to change reality. Khazbegi’s beletristical efforts that show us Shiola Ghudushauri as a character, are sharply negative , because he is a tradition-follower and describes facts as they were really and as the Mokhevians remembered it. Aleksandre Khazbegi was the first in Georgian reality, who started to speak about Ghudushauri.

---

## XX საუკუნის მწერლობა

---

თამარ გელიტაშვილი

### სიკვდილთან შერიგებული გენიოსი

„უპირველესი მომანიჭეს დაფნა მეფეთა“  
გალაკტიონ ტაბიძე

„აღფრთოვანებულ ფიქრებში იდგა ყრმა მეოცნებე და გენიოსი“, — წერდა 1909 წელს ჯერ კიდევ 17-18 წლის გალაკტიონ ტაბიძე ლექსში „რაა ეს გრძნობა“. ძნელი დასა-ჯერებელია, რომ ამ პათეტიკურ სიტყვათა მიღმა იდგა მარტოსული, დედის მუცლიდან თანდაყოლილი არსებობის შიშით შეძრნუნებული (ზაზა აბზიანიძის გამოთქმა) პოეტი, რომელმაც საკუთარი ყოფიერება ლექსად გარდაქმნა.

გაივლის სულ მცირედი დრო და „გენიოსი ყრმის“ შემოქმედებითი მდელვარება თავპრუდამხვევი სისწრაფით მიაღწევს იმ თვალშეუდეგამ პოეტურ სიმაღლეს, რასაც რუსთაველის შემდგომ თითქმის არც ერთი პოეტი არ შესწოდენა.

გალაკტიონისათვის განსაკუთრებით ნაყოფიერია 1915-18 წლები. სწორედ ამ პერიოდიდან ვეცნობით მას, როგორც სიმბოლისტ პოეტს, როგორც ტონის მიმცემს ქართული პოეტური სივრცის ყველაზე უფრო ძნელადასახსნელი და რთულადაღსაქმელი ლექსებისა. ალიშტული წლების მისეულ პოეზიაში უფრო მეტია სიმბოლიზმი; აქ უფრო მეტად ჩანს დღემდე ბოლომდე ამოუხსნელი მგოსნის უკიდეგანო იდუმალება — „მე ვხედავ სიზმრებს არა თქვენებურს“ — და ამასთანავე შემოქმედებითად განუძარცველი სული — თავისუფალი ეპოქის კონიუნქტურისაგან.

მოიპოვებს რა სალიტერატურო კრიტიკისა და საზოგადოების აღიარებას, შემოქმედებით შესაძლებლობებში თავდაჯერებული პოეტი საკუთარ თავს ასე შეაგულიანებს:

**შენ გელის დაფნა, შენ დიადი დიდება გელის  
პოეტო! არვინ არ ყოფილა ესდენ ძლიერი.**

ეს სიტყვები გალაკტიონმა 1915 წელს წარმოთქვა (ლექი „აუზისაგან“), ხოლო ვიზიონერული ხილვა მეფური დიდების გვირგვინით შემკობისა იმავე, 1915 წელს გამოხატა ლექსებში: „შერიგება“ და „მთაწმინდის მთვარე“.

\* \* \*

„შერიგებას“ მეტად საგულისხმო და დამაფიქრებელი სათაური აქვს. იგი არ გულისხმობს ვინმე კონკრეტულ პიროვნებასთან შერიგების სურვილს. მას გაცილებით მეტი სილრმძისეული დატვირთვა აქვს. ოღონდ თუ რა შინაარსის მატარებელია ლექსის სათაური (რაც ამავდროულად ნაწარმოების დედააზრიცაა), ამაზე ცოტა მოგვიანებით, მანამდე კი ლექსის ზოგად მიმოხილვაზე შეეჩერდეთ.

„შერიგება“ თავიდან ბოლომდე საზეიმო, ამაღლებული განწყობილებითაა გამსჭვალული. ამგვარი ეგზალტირებული მზაობა პირველივე სტრიქონიდან ჩინდება და ფონად

გასდევს მთელ ნაწარმოებს. გალაკტიონი მისთვის ჩვეული, ამოუცნობი იდუმალებით იკარგება შთაგონების მიღმა, სადაც თეთრი ტანსაცმლით მორთვასა და ქარში გასვლას აპირებს მოცარტის მსუბუქი მუსიკის ზვირთებით გარემოცული:

...თეთრ ტანსაცმელში მე მოვირთვები  
და წავალ ქარში, როგორც მოცარტი,  
გულში სიმღერის მსუბუქ ზვირთებით.

გალაკტიონის საოცარ ფერთა პალიტრაზე არაერთხელ შეინიშნება თეთრი ფერი, როგორც სიმბოლო სიწმინდისა, როგორც სასწაულის დადასტურება სხვა სამყაროსკენ მიზანსწრაფული მგზავრისა („სადმე ყრუ ადგილს დავესახლები, / სხვა საუკუნის მგზავ-რი გვიანი“ — „გზაში“), მაგრამ ამ პოეტური აღმაფრენის უამს უჩვეულო და მნიშვნელოვანი სულ სხვა რამეა: გალაკტიონის მზერაცა და გონებაც კონცენტრირებულია თვალშეუდგამი სიმაღლისაკენ — მყინვარის მწვერვალისაკენ, სადაც მყინვარის მარადიულ სიდიდესთან ერთად თვალნათლივ ხედავს საკუთარ პოეტურ დიდებას, დრო-სივრცეში აღმობრნყინებულსა და მოკაშვაშეს.

გალაკტიონი მყინვარს „მაღალ ზრახვათა მეფეს“ უწოდებს და ამ პოეტური ალუზის საშუალებით რადიკალურად განსხვავებულად წარმოგვიდგენს ილია ჭავჭავაძის მიერ „მგზავრის წერილებში“ დახასიათებული მყინვარის ნიშან-თვისებებს. იმისათვის რომ ეს თვალში საცემი სხვაობა ნათელი გახდეს „მგზავრის წერილები“ გავიხსენოთ: „დიდებული რამ არის ეგ მყინვარი. აბა მაგას შეუძლიან სთქვას: ცა ქუდადა მაქვს და დე-დამინა ქალამნადაო. ცისა ლაუჯარდსა მოჩანდა იგი თეთრად და აუმღვრევლად. ერთის მუჭისოდენა ღრუბლიც არა ჰუარავდა მის მაღალს შუბლსა, მის ყინვით შევერცხლილ თავსა. ერთადერთი ვარსკვლავი, მეტად ბრწყინვალე, ზედ დაპნათოდა, ერთს ალაგს გაჩერებული, თითქო მყინვარის დიდებულ სახეს განუციფრებიაო. მყინვარი.. დიდებულია, მყუდრო და მშვიდობიანი, მაგრამ ცივია და თეთრი. დანახვა მისი მაკვირვებს და არ მაღელვებს, მაციებს და არ მათბობს, — ერთის სიტყვით მყინვარია. მყინვარი მთელის თავის დიდებულებით საკვირველია და არა შესაყვარებელი. აბა რად მინდა მის დიდება? ქვეყნის ყაყანი, ქვეყნის ქარიშხალი, ქროლვა, ქვეყნის ავ-კარგი მის მაღალს შუბლზედ ერთ ძარღვსაც არ აატოკებს. ძირი თუმცა დედამინაზედ უდგა, თავი კი ცას მიუბჯენია, განზედ გამდვარა; მიუკარებელია. არ მიყვარს არც მაგისთანა სიმაღლე, არც მაგისთანა განზედ განდგომა, არც მაგისთანა მიუკარებლობა“ (ჭავჭავაძე 1985: 176).

როგორც მოცემული მონაკვეთიდან ჩანს, ილიას გული ვერ მოუნადირებია მყინვარის სიდიდეს, ვინაიდან მწერალი ფიზიკურ ხატში კი არ ეძებდა ხიბლს ყოველი არსისა (იქნებოდა ეს სულიერი თუ სულიერად გარდაქმნილი უსულობა), არამედ შინა-არსში.

„მგზავრის წერილებში“ მყინვარის „მაღალი შუბლი“ მარტომდენ ყინვით შევერცხლილ მშვენიერებას განასახიერებს, თუმცა, სწორედ ილიას ფრაზა: „მყინვარი უკვდავებისა და განცხრომის დიდებული სახეა“ იქცა გალაკტიონის შთაგონების წყაროდ, ვინაიდან პოეტმა მყინვარის მიუწვდომელ დიდებულებაში, მის მეფურ სიდიადეში სულ სხვა რამ — საკუთარი უკვდავებისა და დიდების ანალოგი შეიცნო; ამიტომაც მოიხსენიებს მას: „**მაღალ ზრახვათა მეფე**“: ილიასთან თუ მყინვარს ერთადერთი ვარსკვლავი დაპნათის და არა ვარსკვლავთა დასი, გალაკტიონთან ის მზით დაფერილი ყინულებიდან არეკლილ კაშვაშა ნათებად წარმოჩინდება, რასაც მგოსანი „**უმძიმეს იაგუნდებს**“ უწოდებს.

ამდენად, ილიას მიერ უარყოფით კონტექსტში დახატული მყინვარი გალაკტიონთან აშკარად ტრანსფორმირდება და სულ სხვა განზომილებაში ინაცვლებს:

**და მყინვარს, მაღალ ზრახვათა მეფეს,  
მაისი ალით ააზამბახებს.**

მოცემულ პასაუში მგოსანი პოეტურ ლიცენციას მიმართავს და ნაცვლად სიტყვისა — „ააგიზგიზებს“, საოცრად ფერადოვან და ხატოვან სიტყვას ქმნის — „ააზამბახებს“, რაც ერთდროულად გულისხმობს აგიზგიზებასაც, აფერადებასაც, აყვავებასაც, აყვავილებასაც. აქ, როგორც აღინიშნა, საქმე გვაქვს პოეტურ ლიცენციასთან — ოკაზიურ ფორმასთან. ამგვარი სიტყვაქმნადობა უპირველესი მახასიათებელია გალაკტიონის პოეზისა, რათა სიტყვას მაღალმხატვრული ელფერი მიანიჭოს, უფრო ღრმაშინაარსიანი, ნატიფი და მოქნილი გახადოს — ფრაზა დაიმორჩილოს.

„შერიგების“ აზრობრივი შინაარსის ამოსაცნობად საჭიროება მოითხოვს, კვლავ მყინვარის დიდებულებას მიუუბრუნდეთ. ვსაუბრობთ რა მის მარადიულ სიდიადეზე, უნებლიერ ჩნდება კითხვა: რა საერთოა მყინვარსა და პოეტს შორის? ამ კითხვას მგოსანი მარტივად და მკაფიოდ პასუხობს:

ჩვენ გვირგვინები გვაქვს ოდნავ მსგავსი,  
ლამაზი შუქთა მარადი ნთებით:  
მე მსუბუქ დაფუნის ფოთლებით სავსე,  
მყინვარს — უმძიმეს იაგუნდებით.

ამრიგად, ლექსის თანახმად, პოეტი და მყინვარი ერთმანეთს იგავმიუწვდომელი დიდებისა და მარადიულობის ნიშნით აღბეჭდილი გვირგვინებით ემსგავსებიან. ამიტომაც ამკობს გალაკტიონი მყინვარს მეფური დიადემით — უმძიმესი „ყინულის იაგუნდებით“, ხოლო საკუთარ თავს — „მსუბუქი დაფუნის ფოთლებით“.

აქვე უნდა ითქვას, რომ არა მარტო ამ ლექსში („შერიგება“), არამედ სხვაგანაც, სავარაუდოა, რომ სწორედ მყინვარის დიდებულებამ უბიძგა პოეტს საკუთარი თავისთვის შემოეძახებინა:

შენ მხოლოდ მარადი სიმაღლე გიშველის,  
როს შუქად მშობლიურ ცას შეეშენები.  
(„დრო“)

როგორც ცნობილია, გალაკტიონს 1921 წელს ამკობენ სიმბოლური დაფნის გვირგვინით და ანიჭებენ მას ქართული პოეზის (პოეტების) მეფის ტიტულს. მანამდე კი იდუმალი პოეტი, რომელსაც ტიციან ტაბიძემ, 1916 წელს, „მარტობის ორდენის კავალერი“ უნდა, წინ უსწრებს მწერალთა კავშირის ერთი ნაწილის გადაწყვეტილებას და საკუთარ თავს თვითონვე უმკვიდრებს პოეზის (პოეტების) მეფის სახელს. სწორედ ეს თამამი განაცხადია გამუღავნებული 1915 წელს დაწერილ ლექსებში: „შერიგება“ და „მთაწმინდის მთვარე“.

ლექსში „მთაწმინდის მთვარე“ საკუთარ შემოქმედებით პოტენციაში ღრმად დაჯერებული პოეტი დაუფარავად აცხადებს: „რომ მეფე ვარ და მგოსანი და სიმღერით ვევდები“. ამ სიტყვებით სავსებით შეცნობადი ხდება გალაკტიონის იდუმალთმეტყველება — ის თავის ტოლად და სწორად არც ერთ თანამედროვე პოეტს არ მიიჩნევს. ერთი წლის შემდეგ კი კიდევ უფრო მკაფიოდ იტყვის: „როგორც ერთია ქვეყანა მთელი, ისე ერთია გალაკტიონი“. თუმც, აღსანიშნავია, რომ თანამედროვეთა ერთგვარი იგნორირების მიუხედავად, გალაკტიონი ღრმა პატივისცემით არის გამსჭვალული გამორჩეულ წინა-

პართა მიმართ. ამაზე ნათლად მეტყველებს „მთაწმინდის მთვარე“, სადაც გალაკტიონმა პირდაპირ მიანიშნა, თუ ვის სულიერ მემკვიდრედ მიიჩნევს საკუთარ თავს. ეს პოეტები არიან ნიკოლოზ ბარათაშვილი და აკაკი წერეთელი.

წერილში „საკუთარი ლექსების შესახებ“ გალაკტიონი წერდა: „რომ მეფე ვარ და პოეტი“ — მქონდა ასეთი ფრაზა „მთაწმინდის მთვარეში“. ეს ლექსი („მთაწმინდის მთვარე“) მიუხედავად იმისა, რომ ძალიან პოპულარულია, საკუთარისად შესწავლილი არ არის, როგორც ერთ-ერთი გასაღებთაგანი ჩემი შემოქმედებისა. ამ ლექსში უსათუოდ სჩანს პოეტი, რომელიც თავის შემოქმედებას უკავშირებს მეცხრამეტე საუკუნის პოეზიის კორიფეების შემოქმედებას, აცხადებს რა თავს ნიკოლოზ ბარათაშვილისა და აკაკი წერეთელის მემკვიდრეთ“ (ტაბიძე 1950-1958: 22).

ასე რომ, სრულიად მიზანმიმართული და კონკრეტული შინაარსის შემცველია „მთაწმინდის მთვარის“ პოეტური სტრიქონები: „**ბარათაშვილს აქ უყვარდა ობლად სიარული...**“

**და აქ ჩემს ახლო მოხუცის ლანდს სძინავს მეფურ ძილით...**“

დიდი კვლევა არ სჭირდება იმის დადგენას, თუ ვის გულისხმობს გალაკტიონი მოხუცში, ვისაც „**სძინავს მეფურ ძილით**“, რადგან ლექსის პირველ ვარიანტში ის აკაკის პირდაპირ ასახელებდა: „**აქ ჩემს ახლო აკაკის ლანდს სძინავს მეფურ ძილით**“ (ეს ასეა დღესაც ზოგიერთ გამოცემაში). შემდეგ კი, როგორც თავად უწოდებდა: „**დაუმონებლად ამაყი და ციური ნიჭით დაჯილდობული ნამდვილი პოეტი აკაკი**“ კონკრეტიკას აარიდა და მის-თვის, სიმბოლისტისთვის ჩვეული საფარველით შებურა — სიტყვა „**აკაკი**“ „**მოხუცით**“ ჩაანაცვლა: „**აქ ჩემს ახლო მოხუცის ლანდს სძინავს მეფურ ძილით**“. ეს კი იმისათვის დასჭირდა, რათა ფრაზისთვის მეტი მხატვრული გამომსახველობა მიენიჭებინა, დამაფიქრებლად ეფექტური გაეხადა მკითხველისა და მსმენლის წინაშე წამოჭრილი ამოცანა — თუ ვინ იგულისხმება მეფური ძილით განსვენებული მოხუცის ლანდში.

„მთაწმინდის მთვარეს“ ისევე, როგორც „შერიგებას“, ფონად გასდევს ავტორის უაღრესად ეგზალტირებული, მძაფრი პოეტური იმპულსით გაჯერებული ამაღლებული განცდა. ორივე ლექსში მგოსანი თავს პოეზიის (პოეტების) მეფეს უწოდებს და არ არსებობს ამქვეყნად ძალა, რომელიც შემოქმედის ემოციას შეაფერხებს, დათრგუნავს მის ესოდენ ძლიერ გრძნობას — გამარჯვების სიხარულს, რომელიც პოეტის არსებაში მას შემდეგ დამკიდრდა, რაც გააცნობირა, რომ თავისი უკვდავი პოეზიის წყალობით თვით სიკვდილიც კი დაამარცხა. „**მე პოეზიამ დავიწყების ცელს ამარიდა**“, — იტყვის გალაკტიონი ცოტა მოგვიანებით (1916 წელს). მანამდე კი თავისი სათქმელი, როგორც უკვე ითქვა, ყველაზე მძაფრად „შერიგებას“ და „მთაწმინდის მთვარეშ“ გამოხსატა, სადაც აკლდამისა და სასაფლაოს ხსენების მიუხედავად, მაინც იგრძნობა მაჟორული ტრინალობა.

მთაწმინდაზე მყოფ პოეტს მთვარის იდუმალება შთაგონებით აღავსებს და ძვირფას ლანდებს გამოახმობინებს. პოეტურ საუფლოში ამაღლებულ, სულიერი პარმონიით გამსჭვალულ მგოსანს არა თუ თრგუნავს ან აშინებს ბინდებუნდის აჩრდილებთან ლაციცი, პირიქით, ათამამებს კიდეც დიდებულ ლანდებთან სიახლოვე, ვინაიდან მან უკვე იცის, რომ მთაწმინდის არც ერთი ბინადარი, არც ერთი დიდი მგოსანი გარდაცვლილად არ ჩაითვლება, რადგანაც ხალხის ხსოვნაში მათ თავიანთი შემოქმედებით სამარადუამო დიდება და უკვდავება დაიმკვიდრეს. ამიტომაც სუფევს მთაწმინდის პანთეონში არა მწუხარება, როგორც საზოგადოდ შეეფერება სასაფლაოს, არამედ მგოსანთა საძვალე აღიქმება პარნასად — ვარსკვლავების შუქით აკიაფებულ მხიარულ გარემოდ:

**აქ მწუხარე სასაფლაოს ვარდით და გვირილით,  
ეფინება ვარსკვლავების კრთომა მხიარული.**

სწორედ ამგვარი განცდა უბიძგებს პოეტს, რომ საკუთარი თავი მაშინაც კი პოეზიის უჭქნობი გვირგვინით — დაფნის გვირგვინით შემკობილად წარმოიდგინოს, როდესაც დადგება დრო მისი აღსასრულისა, რომელთან შეხვედრაც გედის სიმღერით, ანუ თავისი უკვდავი პოეზიით სურს („რომ წაჟყვება საუკუნეს თქვენთან ჩემი ქნარი...“). თუ რაოდენ დიდია ემოციური მუხტი სიკვდილის დამარცხებით გახარებული პოეტისა, რაოდენ რომანტიკულად წარმოუდგება სიცოცხლის დასასრული, ამას შემდეგი სტრიქონები გვამცნობს:

და მეც მოვკვდე სიმღერებში ტბის სევდიან გედად,  
ოღონდ ვთქვა, თუ მთვარემ სულშე როგორ ჩაიხედა,  
თუ სიზმარმა ვით შეისხა ციდან ცამდე ფრთები,  
და გაშალა ოცნებათა ლურჯი იალქნები;  
თუ სიკვდილის სიახლოეს როგორ ასხვაფერებს  
მომაკვდავი გედის პანგთა ვარდებს და ჩანჩქერებს,  
თუ როგორ ვგრძნობ, რომ სულისთვის, ამ ზღვამ რომ აღზარდა,  
სიკვდილის გზა არა არის, ვარდისფერ გზის გარდა.

როგორც ითქვა, გალაკტიონი სიკვდილის შიშს პოეზიით ამარცხებს, რადგანაც იცის, რომ მარადიულ დიდებას საკუთარი ლექსები დაუმკვიდრებენ. ამიტომაც ეჩვენება მას აღსასრულის გზა ვარდისფრად, ანუ მსუბუქად, სადაც მშვენიერ ზღაპარს ემსგავსება მგოსანთა შემოქმედებითი წვა და თავგანწირვა.

ის ფაქტი, რომ „შერიგება“ და „მთაწმინდის მთვარე“ კონცეფციურად ერთმანეთის მსგავსია, უკვე ითქვა. ახლა კი დადგა დრო, დავაკონკრეტოთ, თუ რისი მიმანიშნებელია სათაური ლექსისა — „შერიგება“ და რა საერთო აქვს მას ნაწარმოების აზრობრივ შინაარსთან.

ერთ თავის ნერილში „ავტობიოგრაფიული ჩანაწერები“ გალაკტიონი აღნიშნავს: „ჩემი ტრიბუნა იყო პოეზია და მე არასოდეს არ მიმიტოვებია ეს ტრიბუნა და არ გადამიცვლია რაიმე სხვა სამსახურზე“ (ტაბიდე 1952: 175). პოეტურ ტრიბუნაზე შემდგარი პოეტი „შერიგებაში“ საკუთარ სულს თეთრ აკლდამაზე, ანუ სიკვდილზე ამაღლებისაკენ მოუწოდებს:

ამაღლდი სულო, თეთრ აკლდამაზე  
მშვენიერების ლექსით მქებელი:  
დღეს ყველგან მზეა და სილამაზე  
სიკვდილთან ჩემი შემრიგებელი.

ესაა ახალგაზრდა პოეტის რიტორიკული მიმართვა საკუთარი თავისადმი, იმ პოეტისა, რომელიც, შემოქმედებით ძალებში დარწმუნებული, სიკვდილს იოლად ურიგდება, ვინაიდან შესანიშნავად იცის, რომ პოეზია უკვდავებას დაუმკვიდრებს და მაშინაც კი, როდესაც მისი სხეული მინას შეერევა, სახელი პოეტისა არასოდეს დაეშვება დიდების მწვერვალიდან.

\* \* \*

დასასრულ, მსურს, ორიოდე სიტყვით შევეცხო მოსაზრებას, გამოთქმულს „შერიგების“ შესახებ (ამ შემთხვევაში გადამწყვეტ მნიშვნელობას არ ვანიჭებ, თუ ვის ეკუთვნის იგი).

სენიებული მოსაზრების თანახმად, გალაკტიონი იმიტომ ურიგდება სიკვდილს, რომ ამას მისი რელიგიური მრწამსი განაპირობებს და მას, უბრალოდ, სხვა გზა არ დარჩენია, რადგანაც ბუნების კანონზომიერება აღსასრულის კლანჭებიდან თავის დაღწევას შეუძლებელს ხდის. მიმაჩნია, რომ ასეთი მოსაზრება აღარიბებს ლექსის ღრმააზროვან შინაარსს, რამეთუ ამგვარ შერიგებას ყოველი მართლმორნმუნე ქრისტიანი აცნობიერებს, მაგრამ სიკვდილის მოახლოებას ჯერ არავინ შეხვედრია ხელებგაშლილი, აღფრთოვანებული და სიხარულით აღსავსე. პოეტის პათეტიკური განწყობა, ლექსის საერთო ამაღლებული ტონალობა, რომლის მიღმა ვხედავთ ნეტარებამოგვრილ ავტორს, რომელმაც თითქოს ეს-ესაა საკუთარი მარადიული დიდებისა და უკვდავების მიზეზი შეიცნო, რითაც სიკვდილზე ამაღლდა — „დღეს ყველავან მზეა და სილამაზე, / სიკვდილთან ჩემი შემრიგებელი“, — გვაფიქრებინებს, რომ ეს არ არის ჩვეულებრივი მოკვდავის აუცილებელი ხვედრი, ეს უფრო ამაღლებული, სულიერი ჰარმონიით აღვსილი შემოქმედის ყოფაზე მიგვანიშნებს, უფრო დიადსა და მიუწვდომელზე, ვიდრე თითოეული ჩვენგანის შეგუებაა გარდაუვალ აღსასრულთან. თუმც, ყოველივე ეს — ფიქრი დიადსა და ამაღლებულზე, უკვდავსა და მარადიულზე — ყველაზე უკეთ თვითონ გალაკტიონმა გამოხატა. ამიტომაც კიდევ ერთ-ხელ მოვუხმოთ მას:

ცხოვრება ჩემი უანკარეს ლვინის ფერია,  
იგი ელვარებს, საბოლოოდ დაშრება ვიდრე,  
მასში დიდება პოეტისა მე დავიმკვიდრე,  
რომლის გარეშე — უკვდავებაც არაფერია.  
თეთრი დღეების ისევ ისე მიჰყვება დასი,  
მე არც წარსულის, არც მომავლის არ მეშინა.  
(„ცხოვრება ჩემი“)

ამგვარი შემართებით ეგებება გალაკტიონი გამოცხადებას, როდესაც 1959 წლის 17 მარტს „თეთრი დღეების“ ბროლებით მოჯადოებული და სიკვდილისშიშდაძლეული ადის ფანჯრის რაფაზე და საავადმყოფოს მეოთხე სართულიდან ხელებგაშლილი მისისწრაფვის მარადისობისაკენ, რათა საკუთარ სხეულთან გაუცხოებული მისი სული სამუდამოდ შეუერთდეს უკიდევანი იდუმალების მიღმა მოლივლივე თავისსავე ლანდს — დაფნის გვირგვინით შემკულსა და უკვდავი დიდებით გაცისკროვნებულს.

### **დამორჩებანი:**

**აბზიანიძე 2004:** აბზიანიძე ზ. „გალაკტიონი“ (ლიტერატურული პორტრეტი). თბ.: „ინტელექტი“, 2004.

**ტაბიძე 2011:** ტაბიძე გ. თხზულებანი ხუთ ტომად. ტ.I. თბ.: „ჩემი რჩეული“, 2011.

**ტაბიძე 2011:** ტაბიძე გ. თხზულებანი ხუთ ტომად. ტ.IV. თბ.: „ჩემი რჩეული“, 2011.

**ტაბიძე 2011:** ტაბიძე გ. თხზულებანი ხუთ ტომად. ტ.V. თბ.: „ჩემი რჩეული“, 2011.

**ჭავჭავაძე 1985:** ჭავჭავაძე ი. თხზულებანი. ტ.IV. თბ.: „ნაკადული“, 1985.

## **Genius Reconciled to the Death**

### **Abstract**

This article is a hermeneutic analysis of the main motive of Galaqtion Tabidze's poems "Conciliation" and "Mtatsminda Moon". Still quite young, he is confident in his own creative force and imagines himself on a peak of poetry. That is why he compares himself to Mkinvari—one of the highest peak of Caucasian mountains and declares that both of them keep the crowns of glory—the crown of snowy and icy sapphires for Mkinvari and the crown of light bay leaves for him (the poet).

In Galaqtion Tabidze's verse we see the allusion with the prose of Ilia Chavchavadze "The letters of a Traveller", where Mkinvari is represented in some negative context due to its coldness, haughty and inaccessibility in view of Ilia and it doesn't care the country's adversity. Mkinvari is the symbol of motionless and inaction in Ilia's story. In this way, Mkinvari is confronting the noisy river-Tergi, which is the symbol of motion and action in "The Letters of a Traveller".

Ilia called the Georgian readers for the active action through this story. His, as the nation's spiritual leader's mission was to activate the enslaved people and struggle for independence. Despite Ilia's criticism of Mkinvari's passive role, the prose writer clearly mentions the royal splendor, haughty and immense height of Mkinvari—the most beautiful mountain of the Caucasus.

Galaqtion Tabidze in his verse pays attention to the part of Ilia's assessment of Mkinvari (royal splendor, beauty, inaccessibility) and neglects his emphasis on the second quality-passivity. The peak's royal splendor is the main idea. For this reason, he compares himself (his poetry) to Mkinvari. His poetry has also such vast height how tall is this peak. Both of them are close to eternity and keep the crowns of glory (one for its height and beauty, and the second for his poetry sharing with eternity and being distinguished among contemporary poets). Moreover, Galaqtion Tabidze in the verse "Conciliation" clearly notes that he is not only the leader of contemporary poets but he is the owner of laurel wreath, royal crown for his first place similar to Mkinvari. For this reason, neither everyday reality nor the death itself can harm him (the poet). A person, who is on the peak of his poetry, is not afraid of physical death and concludes a truce with it and comes to understanding. That's why the verse is titled as "Conciliation".

The great creator is close to eternity as well as everlasting is the Caucasian snowy-icy peak.

The same topic is repeated in "Mtatsminda Moon" where he declares himself the successor of Nikoloz Baratashvili and Akaki Tsereteli, classical writers of XIX c. poetry. Moreover, he declares himself king of contemporary poets (king of poetry) and defeats death by everlasting virtue of Art as well. For this reason, poets' Pantheon-cemetery is not perceived as a place of sorrow. In the contrary, the stars shed funny light on the cemetery of geniuses with Galaqtion Tabidze in the center.

Young poet clearly believes in his great talent in both verses. He puts out a hand to eternity and therefore, is not afraid of death and concludes a truce with it.

## რელიგიური იდენტობის პრობლემა ოთარ ჭილაძის რომანში „ყოველმან ჩემმან მპოვნელმან“

XX საუკუნე წინა ეპოქებისაგან არა მხოლოდ სხვადასხვა სახის ეკონომიკური თუ პოლიტიკური კრიზისით გამოიირჩა, ყველაზე დიდი და მნიშვნელოვანი, რაც ამ პერიოდს დაატყვადა თავს, სულიერების კრიზისი იყო. ადამიანი მოსწყდა თავის ღვთაებრივ არსს, რამაც მის ცნობიერებასა და ყოფაში უამრავი გადაუჭრელი პრობლემა წარმოშვა. მათ შორის ერთ-ერთი უმნიშვნელოვნესი ის იყო, რომ ადამიანმა დაკარგა პირად ცხოვრებასა და მოღვაწეობაში აზრის პოვნის უნარი, დაკარგა რელიგიური იდენტობა.

იდენტობა ადამიანის ფსიქოლოგიური წარმოდგენაა საკუთარ მე-ზე, რომელიც ხასიათდება ინდივიდუალური თვითგანივებისა და მთლიანობის სუბიექტური განცდით. იგი ფართო კონცეფციაა და მოიცავს ყველა პიროვნულ თვისებას, რაც, უმეტესწილად, განპირობებულია ბიოლოგიური, ფსიქოლოგიური, სოციალური და კულტურული ფაქტორებით (ფსიქოსოციალური... 1998: 239). იდენტობის ერთ-ერთი სახეა სოციალური იდენტობა, რომელიც იდენტობათა მთელ კომპლექსს მოიცავს: ეროვნულს, ისტორიულს, რელიგიურს, სქესობრივს და ა. შ. საკუთარი თავის ამა თუ იმ რელიგიურ ჯგუფთან მიკუთვნებულობის განსაზღვრა უმნიშვნელოვანესი ფაქტორთაგანია ამ კომპლექსში. ამავე დროს ეს არის ურთულესი პროცესი, რადგან „რწმენის ფესვები გარეშეცნობიერშია, ადამიანის ფსიქიკის ყველაზე ღრმა სფეროში, რომელიც, გარკვეულნილად, ადამიანის ევოლუციის პროცესში ჩამოყალიბდა“ (იუნგი). გარეშეცნობიერი მიუწვდომელია გონებისათვის, რაციონალიზმი აქ უძლურია. ამიტომაცაა ამ პრობლემის გადაჭრა ერთ-ერთი ურთულესი ინდივიდისათვის.

რატომ გახდა ასეთი მნიშვნელოვანი ამ პრობლემის კვლევა ჩვენს დროში? საქმე ისაა, რომ ადამიანის ჯანსაღი იდენტობის დადგენა არის პიროვნების განვითარების ღერძი, საფუძველი. თავის მხრივ, ჯანსაღი საზოგადოების ფორმირებაში, რაც ერისთვის აუცილებელი სასიცოცხლო პირობაა, უმთავრეს როლს ცალკეული პიროვნების მიერ პოზიტიური იდენტობის მოპოვება ასრულებს. პოზიტიური იდენტობის საფუძველი ზნეობრივი ნორმებისა და ჭეშმარიტი ფასეულობების სისტემაა, ეს უკანასკნელი კი გარკვეულ რელიგიურ რწმენებში იღებს სათავეს. სწორედ ამიტომ იქცა იგი თანამედროვეობის ერთ-ერთ მთავარ განსახილველ საკითხად და, შესაბამისად, მხატვრული ლიტერატურის ასახვის საგნადაც.

ლიტერატურა ყოველთვის იყო ადამიანის სულიერებისა და ღირებულებათა გადამრჩენი კრიზისის დროს. იგი არქეტიპებსა და სიმბოლოებში ახდენდა ხოლმე სულიერ ფასეულობათა კრისტალიზაციას და ამგვარი სახით აწვდიდა ადამიანს. ასე მოხდა XX საუკუნის ქართულ მწერლობაშიც: ღმერთთან მიმსგავსებულობის, წინაპრების ცოდვის გაზიარებისა და ტვირთების, ადამიანური მოვალეობისა და ღვთაებრივ საწყისთან კვლავ მიბრუნების იდეებია ჭაბუა ამირეჯიბის, ოთარ ჭილაძის, გურამ დოჩანაშვილის, ჯემალ ქარჩხაძის, რევაზ ინანიშვილის და სხვათა შემოქმედების მთავარი ღერძი.

გასულ საუკუნეში ჩვენში, ისე როგორც ყოფილი საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე არსებულ სახელმწიფოებში, მნიშვნელოვნად დაიკარგა ფასეულობათა ქრისტიანული

სისტემა, რომელიც კვებავდა ერის სულიერ ცხოვრებას საუკუნეთა მანძილზე. როგორც რუსი მკვლევარი ვ. გრუზდევა აღნიშნავს, „ეომუნისტური ესქატოლოგის იდეა ნელ-ნელა გამოხრა რეალურმა ცხოვრებამ და დაინგრა“ (გრუზდევა 1998: 175). სამაგიეროდ, დარჩა ხალხი ლირებულებათა გარეშე. რა არის ლირებულება და რატომაა ერისათვის ამ სისტემის გარეშე ცხოვრება საფრთხის შემცველი? სამყარო შედეგება იმისაგან, რაც არსებობს (ანუ სინამდვილე) და რაც არ არსებობს, მაგრამ მნიშვნელობს. ლირებულებაც სწორედ ისაა, რაც მნიშვნელობს. მაქს ვებერის აზრითაც, ადამიანის მიერ საკუთარი ცხოვრების ინტერ-პრეტაციას საფუძვლად კულტურული ლირებულებები და რელიგიური რწმენები უდევს (სურმანიძე 2004: 140). კულტურული ადაპტაციისთვის ლირებულებათა ქონა აუცილებელია. საზოგადოებაში გავრცელებული ლირებულებები კი მეტნილად ამ კულტურული არეალისთვის დამახასიათებელი რელიგიური ფასეულობებიდან მოდის. ამის თვალსაჩინო მაგალითია ქართული სინამდვილე, სადაც ერის ცნობიერების განმსაზღვრელი ყოველთვის ქრისტიანული ნორმები იყო. საუკუნეთა მანძილზე მას ჰქონდა ერთგვარი დამცველობითი ფუნქცია. ერი რჯულის შენარჩუნებასთან ერთად რელიგიასაც იცავდა და პირიქით, რისი მაგალითიც არაერთია ქართულ ლიტერატურაში. იოვანე საბანისძე „ჩვეულებისამებრ მამულისა სლვაში“ სწორედ ეროვნებისა და რწმენის, როგორც გადამრჩენი ფაქტორების, შენივთებას გულისხმობს, ხოლო აკავის „ბაში-აჩუკში“ დამპყრობელიც კი ხვდება ერთი მუჭა ქართველობის სიცოცხლისუნარიანობის საიდუმლოს — „რას გააწყობ იმ ხალხთან, რომელსაც რჯული და ეროვნება ერთმანეთზე გადაუბამს, შეუხორცებია და სულს ხორცზე მაღლა აყენებს“ (წერეთელი 1989: 142).

რომანში „ყოველმან ჩემმან მპოვნელმან“ ადამიანში რწმენის გაღვიძებას, ფასეული, ზნეობრივი ნორმების ჩანერგვას ცდილობს ზოსიმე მღვდელი. იგი ხვდება, რომ ქაიხოსრო მაკაბელი გზასაცდენილი ცხვარია და მისი ჭეშმარიტ გზაზე დაბრუნება საკუთარ მოვალეობად მიაჩნია. „შენ ია ხარ, ფესვიანად მოგლეჯილი, შინმიტანამდე სუნდაკარგული, ხელში დამჭენარი ია“ (ჭილაძე 1986: 275). მღვდლის ამ სიტყვებიდან ქაიხოსრო „ფესვებდაგლეჯილი“ და საკუთარი მე-ს ვერშემცნობი, მაგრამ მაინც „იაა“. ია თავისი არსით (ან ნებისმიერი სიმბოლური ნიშნით) არ შეიძლება, იყოს უარყოფითი სახე, იგი აუცილებლად დადებითი ესთეტიკური და ეთიკური მახასიათებლების მატარებელია. თუ გავიხსენებთ ქაიხოსროს ცხოვრებას, ძნელია, მის სულიერ მშვენიერებაზე ვისაუბროთ. მაშ, რატომ უწოდებს ზოსიმე მას „იას“? მღვდლის პოზიცია ამ შემთხვევაში ამოდის ქრისტიანული მოძღვრებიდან, რომლის მიხედვითაც, ადამიანი თავისი არსით არ არის ბოროტი. უფალს იგი ასეთად არ შეუქმნია. იგი დადებითი საწყისის მატარებელი არსებაა. ხოლო უარყოფითს იძენს ამ წუთისოფელში სხვადასხვა გარემო ფაქტორის ზეგავლენის შედეგად. „ქაიხოსრო არის ფესვებმოგლეჯილი ია, ანუ სიკეთის ადგილას აღმოცენებული ღვარძლი, ნიშან-სიმბოლო თავისი ღვთიური არსიდან მოწყვეტილი ადამიანისა“ (კვაჭანტირაძე 1999: 127). ამრიგად, ოთარ ჭილაძის კონცეფცია ადამიანზე უაღრესად ჰუმანურია, ქრისტიანული მოძღვრებით ნასაზრდოები.

ჰარმონიული ერთიანობის შეგრძნება ამა თუ იმ კულტურულ, ისტორიულ ან რელიგიურ ჯგუფთან ადამიანს შესაძლებლობას აძლევს, გაიაზროს საკუთარი ყოფიერების მნიშვნელობა და შეინარჩუნოს არსებობის სისავსე და მთლიანობა გარდაუვალი ფიზიკური დასასარულის წინააღმდეგ. სწორედ ეს ჰარმონია აკლია ქაიხოსროს, ამიტომაც სიკვდილის შიში მთლიანად ანგრევს მის ფსიქიკას, უკარგავს ამქვეყნიური მშვენიერე-

ბის, სიყვარულის, სიკეთის რწმენას და სიცოცხლეს უმნარებს გარდაუვალი უბედურების მოლოდინი. მისი ერთადერთი დამრიგებელი და მესაიდუმლე ზოსიმე მღვდელია. რელიგიური იდენტობის კრიზისში მყოფ ქაიხოსროს უკვე საკუთარ თავშიც კი ეპარება ეჭვი და სამყაროსადმი გამოუთქმელი სიძულვილი იპყრობს: „მე მეზიზღება მოყვასი ჩემი!.. რა ვიცი, რომ მე მართლა მე ვარ და ანდა ჩემი მოყვასი რომ მართლა ჩემი მოყვასია?“ (ჭილაძე 1986: 111). აქ თავს იჩენს კიდევ ერთი, თანამედროვე სამყაროსთვის უაღრესად მტკიცნეული პრობლემა — ობიექტურობის ანუ მნიშვნელობათა კრიზისი. მნიშვნელობებს კარგავენ არა მხოლოდ ფასეულობები და ნორმები, არამედ თვით ადამიანებიც. ამიტომ ოპოზიცია მოყვასი/მტკერი (ისევე, როგორ ბარაბა/ქრისტე ალექსანდრესთან) ერთმა-ნეთში ირევა, იგივედება, შესაცნობ ნიშნებს კარგავს და მათი გარჩევა შეუძლებელი ხდება. ქაიხოსროსთვის „სამყაროს სარკე“, რომელშიც თითოეული ადამიანი ხედავს საკუთარ თავს და ადგილს, „ნამსხვრევებადაა ქცეული“, ეს კი უპირველესი პრობლემა იდენტიფიკაციის პროცესში. მაიორს არ სურს, ალიაროს, რომ ეს ყველაფერი მისი ფსიქიკური მდგომარეობის და უღმერთოდ ცხოვრების ბრალია და მიზეზს სამყაროს მოწყობაში ექცება. მისი თქმით, ეს უძველესი ეჭვი ყველაფრისადმი მისი ინდივიდუალური ცნობიერების პრობლემა არ არის, იგი კაცობრიობას დასაბამიდან მოჰყვება და აწვალებს.

ცხოვრების საზრისის ძიებასა და პოვნაში, რაც, თავის მხრივ, აუცილებელია ადამიანური ბედნიერების მოპოვებისათვის, უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება იმას, თუ როგორ ალიქვამს ინდივიდი სამყაროს. ფილოსოფიაში დამკვიდრებული ხედვის მიხედვით, სამყარო ადამიანის წინაშე წარმოდგება, როგორც ცალკეულ საგანთა ერთობლიობა, რომელიც უნდა დახარისხდეს და საჭირო მითვისებული იქნეს. წეს-ჩვეულებათა და მედიტაციის გზით კი, პირიქით, სამყარო არის მთლიანობა, რომლის რიტმშიც უნდა შეხვიდე შენი საკუთარი შინაგანი ცხოვრებისეული რიტმის აღდგენით. პირველ შემთხვევაში სამყაროს ცნობიერი აღქმა მოიაზრება, რომელიც პრობლემათა გონისმიერ გადაჭრას მოითხოვს, მეორე კი სულიერ სფეროს შეეხება და ამ შემთხვევაში სიმშვიდის მოპოვება მთლიანობის განცდის გარეშე შეუძლებელია. ქაიხოსროს პრობლემებიც სწორედ აქ იღებს სათავეს. მას არ ძალუდს ირგვლივ არსებულ საგანთა შორის საკუთარის გამორჩევა. ამის მიზეზი, შესაძლოა, მის წარმომავლობაშიც იყოს, სხვისი გვარის, მუნდირისა და კერის მითვისებაში. მართალია, სოფელმა არაფერი უწყის ამის შესახებ, მაგრამ ქაიხოსრომ ხომ კარგად იცის, რომ იგი არც მაკაბელია და არც მაიორი. სამყაროში საკუთარი ადგილის ძიებას სწორედ ეს აფერხებს. თანაც ქაიხოსრო არა მხოლოდ სხვისი გვარით ცხოვრობს, არამედ „სხვის“ ცოლთან (ჯვრისწერის მიუხედავად, ანა ვერ გახდა „მისი“, რასაც შინაგანად ყოველთვის გრძნობს) და „სხვის“ სახლში (სახლიც თვითონ აშენა, მაგრამ გიორგას მამისეული სახლის მასალით). ამრიგად, მას პერსონალიზაციის პროცესშიც კი უამრავი ბარიერი ხვდება, რაც, თავის მხრივ, სამყაროს საკუთარ სახლად გადაქცევაში უშლის ხელს. ქაიხოსრო ვერც სამყაროს მთლიანობის განცდას ახერხებს, რადგან მისი ცხოვრებისეული რიტმი ვერაფრით თანხვდება სამყაროს რიტმს, მეტიც, მედიტაციის შესაძლებლობას აქ საბოლოოდ გამორიცხავს ერთი შეგრძნება — ქაიხოსროსთვის თვით სამყაროა დაშლილი. ამ დაშლილში კი მისი ადგილი არსადაა. ფრანგულ ფსიქიატრიაში ფსიქიკურ აშლილობათა კლინიკურ-ანთროპოლოგიური გაგების ანალიზისას მეცნიერებმა „მიაგნეს“ ერთ სერიოზულ მიზეზს. ადამიანი ყოველდღიურ ცხოვრებაში ხდება უპიროვნო „იგი“ — „das Man“. ეს მისი ყოველდღიური ცხოვრების არსია, ყოველდღიურობა აკარგვინებს მე-ს და ამ-

სგავსებს **სხვა-ს**. ამის შედეგად ვიღებთ ე. წ. „უპიროვნებო საზოგადოებას“, რომელშიც „თაობის კატეგორია“ უპირატესი ხდება „ინდივიდუალურის კატეგორიაზე“. ჰაიდეგერის თანახმად, უპირველესი მიზეზი იმისა, რაც ხელს უშლის ინდივიდუალიზაციის პროცესს, არის „საკუთარი თავისადმი შიში“, რომელიც ანგრევს ადამიანსა და სამყაროს მორის ნდობის ილუზიას (კენჭაძე... 2004: 32-33). ქაიხოსროს პრობლემის ანალიზი ამ სქემით უაღრესად წარმატებულია, რადგან მას სწორედ სამყაროსადმი უნდობლობა აქცევს გარიყულად. იგი კარგავს **მე-ს**, მაგრამ ვერც სხვას ემსგავსება. ამ დამსგავსებისთვის აუცილებელია სოციუმთან კავშირი, საკუთარი თავის ამ სამყაროს ნაწილად მოაზრება, ქაიხოსროსა და სამყაროს შორის კი ყოველგვარი კავშირი ჩაშლილია. ინდივიდის ამგვარი განწყობა განაპირობებს მის გადაწყვეტილებას — ცხოვრების ბოლო წლები ჩაეტილ ოთახში გაატაროს, სადაც შესვლის უფლებას მხოლოდ ზოსიმე მღვდელს აძლევს. ეს ოთახი ყველას და ყველაფერსაა მოწყვეტილი და თითქოს სამყაროს გარე სივრცეში არ-სებობს. კაცობრიობასთან მისი დამაკავშირებელი ერთადერთი ძაფი ზოსიმე მღვდელია, მაგრამ რწმენადაკარგულ მაიორს აღარც მისი გულწრფელობისა სჯერა; ჰერნია, რომ ეს მღვდელიც მხოლოდ შავი ღვინის საწრუპავად და იმის შესამოწმებლად დადის მასთან, ჯერ კიდევ ცოცხალია თუ — არა.

კრიზისის ხაზს კიდევ უფრო აძლიერებს მაიორისა და ბიბლიური კაენის გზათა საერთოობა. მართალია, მაიორს ფიზიკურად არავინ მოუკლავს, მაგრამ ეს არ არის მთავარი. „გინდა მოგეელას და გინდა მოკვლა გდომებოდესო“, — განუმარტავს ზოსიმე მღვდელი. ამდენად, ქაიხოსროც ცოდვილია, არა ნამდვილი, მაგრამ პოტენციური მკვლელი. მკვლელად გახდომაშიც ლარიობამ შეუძლა ხელი და არა ქრისტიანულმა მცნებამ — „არა კაც ჰყლა“. თათრის მკვლელობის მცდელობა საკუთარი სიცოცხლის დასაცავად ჩადენილი ინსტიქტური ქმედება იყო და არა დაჩაგრულის გამოსარჩლება. ასეთი მაღალზნეობრივი საქციელისათვის მაიორს არც ვაჟაცობა აქვს და არც სასიცოცხლო ენერგია. ამ ყველაფერს ემატება ის, რომ ქაიხოსრო მაკაბელი მოკლებულია საკუთარ თავთან დიალოგს, მას არა აქვს შინაგანი ხმა, არ ჰყავს შემკითხველი და განმსჯელი. იგი ვერ ახერხებს საკუთარი საქციელის სისწორის შეფასებას. თუმც „ამ დანაკლისს ავსებს მამა ზოსიმე, რომელიც მის შინაგან ხმად იქცევა, მისი მდუმარე ადამიანური სინდისის როლს ასრულებს“ (კაზბეკოვა 1984: 155). მიუხედავად ყველაფრისა, ქაიხოსროს კრიზისი იმდენად გამოუვალია, რომ ზოსიმე მღვდლის ქრისტიანული რჩევებიც კი ვეღარაფერს ცვლის. მაიორი არა მხოლოდ რელიგიური, არამედ უფრო მასშტაბური — ფსიქოსოციალური იდენტობის კრიზისში იმყოფება, რომლიდან გამოსავლის პოვნაში ისევ და ისევ რწმენის არქონა უშლის ხელს.

ბევრ სხვა პრობლემასთან ერთად, **XX** საუკუნის ადამიანი გადაეჩვია სიკეთისა და ბოროტების ერთმანეთისაგან გარჩევას, შესუსტდა სულიერ-ზნეობრივი იმუნიტეტი, გაჩნდა პოზიტიურ ფასეულობათა ვაკუუმი, მეტიც, პოზიტიური ფასეულობები ბევრ შემთხვევაში ჩანაცვლა ნეგატიურმა. ამ პროცესმა კი, პირველ რიგში, საზოგადოება ჩააგდო კრიზისში. ღირებულების გარეშე გაზრდილი თუნდაც ერთი ადამიანი უკვე არის საზოგადოების პრობლემა, სახარებისეული იგავის ალუზით რომ ვთქვათ, იფქლის ადგილას ამოსული ღვარძლი. ფასეულობათა ჩანაცვლების მაგალითია რომანში ის პასაჟი, როცა მაიორი სროლას ასწავლის გიორგას: „იცი, რაზე ვნადირობთ მე და შენ? ღმერთზე ვნადირობთ, ღმერთზე!“ (ჭილაძე 1986: 48). ქაიხოსროს უღმერთობა არა მხოლოდ მის-

თვის, არამედ ირგვლივ მყოფთათვისაც არანაკლები საფრთხის შემცველია. „ღმერთზე ნადირობით“ მაიორი ბავშვის არსებაში ღვთისმოშიშობის აღმოფხვრას ცდილობს. აქ ორმაგად არის კოდირებული დანაშაული — მკვლელობა და თან ღმერთის. მაიორს ბავშვის სულიერი გახრწნა სურს, რადგან სასტიკი და შემზარავი ჩანაფიქრი აქვს განსახორციელებელი, გიორგას ხელით იმის გაკეთებას აპირებს, რისი ქმნაც შიშის გამო თავად არ ძალუბს. უღმერთო ადამიანს აღარ აქვს ცოდვის ჩადენის წინაშე შემაფერხებელი ფაქტორი. ორმაგადაც კოდირებული რომანში თვით გიორგას სახეც. იგი წმინდა გიორგის მოსახელეა, რაც მას გველეშაბის დამარცხებას (რომანში დედამისის ნამუსის შემბილველი თათარი) ავალდებულებს. ეს კი რწმენით უნდა გაკეთდეს და არა პირიქით. გიორგა ვერ ახერხებს დედის დაცვას, რის გამოც არის იგი გიორგა და არა გიორგი. ავტორი შეგნებულად აფორმებს მის სახელს კნინობითი ფორმით, დაეკინებული ქმედების აღსანიშნავად. გიორგასაც, მაიორის მსგავსად, სასიცოცხლო ძალები არ ყოფინის შეურაცხყოფილი და შებილნული დედის დასაცავად, თუმც ამის მიზეზი სულ სხვა (ადრიანად დაობლებული ბიჭი „სავაუკაცო ზნეს“ ვერ ეზიარება მამისაგან, ოთარ ჭილაძის მხატვრულ სისტემაში კი უმამობა იდენტობათა მთელი კომპლექსის ჩაშლის მთავარი მიზეზია). მაიორი იმის მაგივრად, რომ ბავშვი რწმენის გაძლიერებით სამართლიანობის აღზევებას შეუწყოს ხელი, პირიქით იქცევა — სულიერი ფასეულობების მოშლით მასში ადამიანობის ჩაკვლას ცდილობს. ამ მიზანს ემსახურება გიორგას თვალში წმინდა გიორგის სახის დაკინებაც: „შენ კი არა, იმ მართლა გიორგისაც ვერ მოუკლავს აქამდე ურჩხული. სულ კლავს და კლავს, მაგრამ რომელ ხატზე გინახავს მკვდარი ურჩხული? ან ხახა აქვს დაფრინილი, თითქოს ცხენიანად უნდა ჩაყლაპოსო, ან კუდი აქვს აპრეხილი, თითქოს ეგაა, ცხენიანად შუაზე უნდა გააპოსო. შუბი კი აქვს ფერდში ნაძვერები, მაგრამ ჯერ კიდევ საკითხავია, მოკვდება თუ არა. ... ხოდა, გიორგობას თუ იჩემებ, ან უნდა მოკლაის შენითათარი, ან უნდა მოეკვლევინო. ესაა შენი ვალი“ (ჭილაძე 1986: 55-56). ასეთი დარიგებით ცდილობს მაიორი საკუთარი თავის დაცვას (ანუ თათრის მოშორებას) სხვისი, თანაც ბავშვის, ხელით.

სამყაროს ჰარმონიულობა, პირველ რიგში, დამოკიდებულია ქალური და მამაკაცური საწყისების ერთიანობასა და მჭიდრო კავშირზე. თუკი მამაკაცში სოციუმი კულტად ხდის ხასიათის ბევრ ისეთ თვისებას, რაც აუცილებელია სამყაროში გადარჩენისათვის, ქალი ითვლება ეკონომიკური ტრადიციის, მორალისა და რელიგიის შემნახვად. ამ ორი საწყისის ურთიერთშეთანხმება იძლევა ადამიანური მოდგმის გადარჩენის გარანტიას (ბლოხინა 1998: 168). ესაა გზა სამყაროს ჰარმონიული ყოფიერებისაკენ და ამის განსახიერებაა ანას მხატვრული სახეც. „შენმა სიკეთემ დაგვლუპა, გაგვაუნდილა... შენგან გამოყოლილი სიკეთე შხამივით მიდგას ძარღვებში“, — საყვედურობს ბებიას ალექსანდრე, როცა პაპის მოსახლავად მისული ვერ ახერხებს ამას. აქ კარგად ჩანს, რაოდენ დიდი ძალა აქვს სიკეთეს. მაკაბელთა უარყოფითად ფორმირებულ სივრცეში ანაა ერთადერთი ნათელი სხივი, რომელიც ძლიერდება ოჯახში ჯერ ბაბუცას შემოსვლით, შემდეგ კი ანეტას დაბადებით. სწორედ ქალური საწყისი იქცევა რომანში ტრადიციის, მორალისა და რელიგიის შემნახვად. და, მიუხედავად იმისა, რომ რიცხობრივად ისინი უმცირესნი არიან, მაინც იმარჯვებენ, რადგან არსი სიკეთისა „გრძელია“.

პიროვნული იდენტობის კრიზისი მეტისმეტად მძაფრია ალექსანდრესთანაც, რისი მიზეზიც, მნიშვნელოვანნილად, არის რწმენის უქონლობა. ალექსანდრე ისეთი საშინელი

საქმის ჩადენასაც კი აპირებს, როგორიც პაპის მკვლელობაა. მას ჰგონია, ამით იმ ბოლ-მისგან გათავისუფლდება, რომელმაც ცხოვრება გაუმნარა. ალექსანდრე სოციალურ იდენტობას საბოლოოდ მაშინ ადგენს, როცა იგი განსაზღვრავს საკუთარ თავს, როგორც პიროვნებას. საზოგადოდ, ეს განსაზღვრა შეიძლება მრავალი წყაროსგან მოდიოდეს: ღმერთის, სამყაროს, საზოგადოების თუ სხვა ინდივიდებისგან. მოცემულ შემთხვევაში დიდი როლი ითამაშა ოჯახის ფაქტორმა. ოჯახი არ არის მხოლოდ რეზიდენციალური ერთეული, იგი ამავე დროს ეკონომიკური, იურიდიული და კულტურული ერთეულიცაა, რომელიც ინდივიდის სამყაროში ინტეგრაციას უწყობს ხელს, როგორც მათი დამაკავ-შირებელი შუალედური რგოლი. ოჯახის უარმყოფელი, მეამბოხე ალექსანდრე აღიარებს, რომ ოჯახი ყველაზე საიმედო თავშესაფარია, ის ადგილა, სადაც ყოველთვის მიგიღებენ და უთქმელად გაიგებენ შენს სატკივარს. ამასთან ერთად მის პიროვნებაში ალორძინებას იწყებს ის სიკეთე, რომლის დროებით ჩაკვლაც მოახერხა ქაიხოსრომ მაკაბელთა მოდგ-მაში. ესაა ქრისტიანულ ღრმებულებათა სისტემა, რითაც ინდივიდი საკუთარ ადამიანურ მისიას შეიცნობს. ბოროტებას ნაზიარებმა ალექსანდრემ გააცნობიერა საკუთარი შეც-დომები, ამაში მას ინჟინერი მიტოც დაეხმარა, როცა განწყლი სილით დაანახვა საკუთარი სიპატარავე და უსუსურობა. ოჯახში დაბრუნებული, ცოდვებმონანიერული ალექსანდრე დაკარგულ მე-ს პოულობს მოყვასის მოძიებითა და მასზე მზრუნველობის აღებით. მან შეძლო საკუთარ თავში ბარაბას დამარცხება და ადამიანისთვის ლეთითბოძებული ხატის დაბრუნება. რომანის ფინალიც მძაფრ ადამიანურ ვნებათა ჭიდილის კეთილი დასასრულის მოდელია: პატარა მართასთან ერთად მომავალი ალექსანდრე გადაჭრის პიროვნული და რელიგიური იდენტობის კრიზისა, საკუთარი ქრისტიანული ვალის შეცნობით მაღლდება და ადამიანი ხდება: „მე ვარ ალექსანდრე, ალექსანდრე მაკაბელი. აი, ამ პატარა გოგოს ბიძა და მეტიც არაფერი მინდა, ვინმე გადაუდგეს გზაზე!“ (ჭილაძე 1986: 424). აი, აქ უკვე ყველაფერი საბოლოოდა ნაპოვნი და გარკვეული. ეს სწორედ ის პროცესია, რასაც პა-ბერმასი „პიროვნების ავტონომიურობის“ დადგენაში მოიაზრებს: „ჩემი იდენტობის შე-საბამისად, მე, როგორც ავტონომიურად მოქმედი და სრულიად ინდივიდუალიზებული არსება, შეიძლება მყარი ვიყო მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მე მივიღებ დამტკიცებასა და აღიარებას, როგორც საერთოდ პიროვნება და როგორც ინდივიდუალური პიროვნება“ (იდენტობა 2001: 300). ეს ორსაფეხურიანი ინდივიდუალიზაციის პროცესი — ჯერ პი-როვნულობის, შემდეგ კი ინდივიდუალობის დაბრუნება, რისი რეზულტატიც მოპოვე-ბული იდენტობაა — წარმატებულია რწმენადაბრუნებულ ალექსანდრესთან, ხოლო შე-უძლებელი — ქაიხოსრო მაკაბელთან.

#### **დამოხიპანი:**

**ბლოხინა 1998:** Блохина Н. «Женское измерение культуры и семья» // Семья в новых социально-экономических условиях. 1998.

**გრუზდევა 1998:** Груздева В. «Семья как институт формирования ценностного отношения человека к миру» // Семья в новых социально-экономических условиях. 1998.

**იდენტობა 2001:** «Идентичность» // Постмодернизм. Энциклопедия. Минск: Интерпресссервис – Книжный дом, 2001.

- კაზბეკოვა 1984:** Казбекова З. «*Mир романа или романный мир?*». Литературная Грузия. №12, 1984.
- კენჭაძე... 2004:** კენჭაძე ვ., კურატაშვილი მ. ფსიქიურ აშლილობათა კლინიკურ-ანთროპოლოგიური გავების თავისებურებათა შესახებ ფრანგულ ფსიქიატრიაში. ფსიქიკა, პრობლემები, პერსპექტივები. № 1(4), 2004.
- კვაჭანტირაძე 1999:** კვაჭანტირაძე მ. ოთარ ჭილაძის მხატვრული სისტემის სემიოლოგიური ასპექტები. თბ.: 1999.
- სურმანიძე 2004:** სურმანიძე ლ. ღირებულება კულტურის თანამედროვე კვლევებში. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მაცნე. ფსიქოლოგია. № 1, 2004.
- ფსიქოსოციალური... 1998:** Идентичность психосоциальная // Культурология. XX век. Энциклопедия. том 1. Санкт-Петербург: 1998.
- წილაძე 1989:** წილაძე ა. რჩეული ნაწარმოებები ხუთ ტომად. ტ. III. თბ.: „საბჭოთა საქართველო“, 1989.
- წილაძე 1986:** წილაძე თ. რჩეული თხზულებანი სამ ტომად. ტ. II. თბ.: „საბჭოთა საქართველო“, 1986.

**Ada Nemsadze**

## **The Problem of Religious Identity in the Novel by Otar Chiladze “Everyone Who Finds Me”**

### **Abstract**

In the 20th century in the states of the former Soviet Union, Christian system of values, which was very important for the spiritual life of the nation, was lost. In Georgian reality, through centuries religion has a rescue function, which was very well reflected by Georgian writers.

In the novel by Otar Chiladze “Everyone Who Finds Me” crisis of belief in a person is peculiar to Kaikhosro and Aleksandre. Kaikhosro loses his “I”, but does not resemble anybody. For this resemblance he needs connection with society, but all connections between Kaikhosro and society are torn. The crisis of personal identity is strained for Aleksandre as well. Family plays a great role in this case. He regains individuality by realizing his mistakes, returns to the family having repented his sins and takes responsibility for his orphan nephew. The process of two-stage individualization –returning, first, personality, and then individuality, is successful for Aleksandre who regained belief and is impossible for Kaikhosro, who is in crisis of belief.

The harmony of the world depends on the unity of man and woman and their close union. Their mutual interconsistency warrants salvation of human race. Anna’s artistic face is the proof of it. Woman becomes the guarantor of rescue of belief. Thus, Otar Chiladze’s conception of a person is deeply human, full of Christian doctrine.

## ნატო ონიანი

### დაღლილი სისხლის კონცეპტი დემნა შენგელაიას მოდერნისტულ რომანში

„დაღლილი კაცი დაღლილი სისხლით! მერამდენე  
საუკუნეა, რაც ჩვენი სისხლი დის ძარღვებში?“  
(დემნა შენგელაია, „სანავარდო“)

დაღლილი სისხლის კონცეპტი ქართული მოდერნისტული პროზისთვის უცხო არაა: დემნა შენგელაიას „სანავარდოს“ გამოქვეყნების (1924 წ.) შემდეგ კონსტანტინე გამსახურდია ასრულებს რომანს „დიონისოს ღიმილი“ (1925 წ.), სადაც სწორედ დაღლილი სისხლის პრობლემას სვამს. კონსტანტინე სავარსამიძე ურწმენოდ, უფესვოდ და უსამშობლოდ დარჩენილი კაცია, რომელსაც ვერც სხვა რელიგიებთან ზიარება შველის, ვერც ტაია შელიას (ზარმართი მორდუს) მითოსური პირველყოფილობა და ვერც საოცნებო ქალთან მიახლება: იგი უნაყოფოა (უნაყოფობაში, უპირველესად, ეროვნული ენერგიის-გან დაცლა იგულისხმება). მოგვიანებით მწერალი თარაშ ემხვარის სახეს ქმნის („მთვარის მოტაცება“, 1935-36 წ.წ.), სადაც ასევე, ძველის ნგრევისა და ახლის შენების მიჯნაზე ძველი ინტელიგენციის, დაღლილი სისხლის, დაღლილი ჯიშის ტრაგიზმს აღწერს. გრიგოლ რობაქიძის „გველის პერანგში“ (1926 წ.) არჩიბალდ მეკეში სასიცოცხლო ენერგიის აღსაფენად მამულს უბრუნდება, იქორნინებს და მაყაშვილთა სისხლიც ცოცხლდება, მოდგმა მრავლდება. მოდერნიზმის ეპოქაში მოღვაწე ნეორეალისტი მწერალი მიხეილ ჯავახიშვილი 1925 წ. ქმნის ქართული პროზის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს რომანს „ჯავახ ხიზნებს“, სადაც ასევე მტკივნეულად აყენებს დაღლილი სისხლის პრობლემას და მას სოციალურ-პოლიტიკურ კონტექსტსაც უძებნის: ჯავახიზმის ძალადობასა და ველურ, დამანგრეველ ენერგიას საფუძველს თეიმურაზთა უგერგილობა, ანემიურობა, უშედეგო აქტიურობა უქმნის.

დემნა შენგელაიასეული დაღლილი სისხლის კონცეპტი მოდერნისტული სულითაა ნაკვები და რასაც კირველია გარკვეულ, იმ ეპოქაში არსებულ ცოდნას ემყარება. ცნობილი ფაქტია, რომ „სანავარდო“ ავტორმა ათჯერ გადაწერა (ჩხაიძე 2000: 53). მისთვის მნიშვნელოვანი იყო რომანში გამოყენებული ყველა ფაქტობრივი დეტალი, ამდენად, სისხლის კონცეპტუალიზაციისა და სიმბოლიზაციის მექანიზმის ასახსნელად საჭიროდ მიგვაჩნია მოკლედ მიმოვიხილოთ სისხლთან დაკავშირებით XX ს. დასაწყისისთვის არსებული ცოდნა და მეტედულებები.

სისხლი, როგორც ფენომენი, თავისი სიმბოლიზაციის გზაზე გენეტიკურ-ბიოლოგიური და კულტურულ-ზნებრივი ასპექტების შემცველად იქცა. სისხლის სიმბოლიზაცია ბიბლიაში იწყება. „სისხლი სულია“ და მის სემანტიკას რამდენიმე მოდელი უკავშირდება — უპირველესად, ესაა კაენის მიერ დაღვრილი უდანაშაულო ძმის, აბელის სისხლი, უფლის მსხვერპლის წინასწარმოსწავების და ადამიანის ცოდვილობის სიმბოლო: „შენი ძმის სისხლი მიწიდან შემომღალადებს. ამიერიდან დაწყევლილი ხარ მიწისაგან, რომელმაც გახსნა პირი, რათა მიეღო შენი ძმის სისხლი შენი ხელიდან“ (ბიბლია 1989: დაბადება 4.10,11). აქ ტოლობის წიშანია დასმული სისხლსა და სიცოცხლეს შორის. „მოსეს სჯული“ სისხლის

გამოყენებას საკვებშიც კრძალავდა: „სისხლშია ხორციელის სული. მე დაგიწესეთ ის სამსხვერპლოსთვის, თქვენი სულის შესანდობლად, რადგან სისხლია, რომ შეუნდობს სულს“ (ბიბლია: ლევიანი, 17.11); „თუ ვინმე ისრაელიანი და ვინმე მდგმური, რომელიც თქვენს შორის არის მდგმურად, მოინადირებს ნადირს ან ფრინველს, რომელიც იჭმევა, სისხლი უნდა გამოუშვას და მიწით დაფაროს. რადგან სული ყოველი ხორციელისა მისი სისხლია, მის სულშია იგი. ვუთხარი ისრაელიანებს: არა ხორციელის სისხლი არ ჭამოთ, რადგან ყოველი ხორციელის სული მისი სისხლია; ყოველი მისი მჭამელი უნდა მოიკვეთოს“ (ბიბლია: ლევიანი, 17.13,14). სისხლის მიწაზე დაღვრა ამ შემთხვევაში ის სიმბოლური აქტია, როთაც ღვთისგან შექმნილის სიცოცხლე ღმერთსვე უბრუნდებოდა.

სისხლიანი მსხვერპლი ქრისტიანობამ იქსოს (ახალი ადამის) სისხლით ჩაანაცვლა, რომელმაც განწმინდა გოლგოთის ძირში დაფლული ადამის ნეშტი („ესე არს სისხლი ჩემი ახლისა აღთქმისა, მრავალთათვის დათხეული მისატევებლად ცოდვათა“. ახალი აღთქმა: მათე, 26.,28), ეს იყო ღვთისა და ადამიანის შესარიგებლად, ადამიანთა ცოდვების მოსანანიებლად, მათი სულების გამოსასყიდად დაღვრილი სისხლი, რის შემდეგაც საღვთო ლიტურგიაში მკვიდრდება უსისხლო მსხვერპლი — პური და ღვინო, რომელიც ევეკარისტიის საიდუმლოს აღსრულებისას გარდაიქმნება იქსოს ნამდვილ ხორცად და სისხლად, ამდენად, ზიარებისას მორწმუნენი თავად ქრისტეს ეზიარებიან. ქრისტიანობაში სისხლის ფერი — წითელი — რწმენისთვის თავდადებულთა სიმბოლოდ იქცა, ქრისტეს უარყოფას სიკვდილი რომ არჩიეს. ამდენად, სხვა ასპექტებთან ერთად, ბოლშევიკთაგან წითელი ფერის იდეოლოგიური სიმბოლიზმება ქრისტიანული სიმბოლიკის პროფანაციის მცდელობადაც შეიძლება მივიჩნიოთ.

სისხლი სიმბოლურად წითელ ფერს, ცეცხლს, მზიურ (სოლარულ) ენერგიას, სულს, სიცოცხლეს, გაახალგაზრდავებას, ძლიერებასა და განწმენდის რიტუალს უკავშირდება. პრიმიტიული ტომები სხეულზე სისხლის წასმით იმედოვნებდნენ სასიცოცხლო ძალების აღდგენასა და სულის განმტკიცებას. სისხლი ნებისმიერი რიტუალის განუყოფელი ნაწილი იყო, იქნებოდა ეს ინიციაცია, საფლავზე სისხლის სხურება (როგორც ადამიანის მკვდრეთით აღდგინების პირობა), სისხლის წმინდა ქვაზე სხურება (სადაც მითიური გმირის სული იყო დავანებული), ნაყოფიერების წესჩვეულებები (მინდორში კამეჩის, ღორის ან ქათმის სისხლის პჟურება), სისხლზე გადაბიჯება (ნაყოფიერების უნარის აღსადგენად), სისხლის დალევა (მოსისხლე მტრების შესარიგებლად, დასანათესავებლად ანდა მტრის ძალმოსილების მისაღებად) და სხვა. სისხლი, როგორც მსხვერპლშეწირვის სიმბოლო, ადამიანს არიდებდა სასჯელის საფრთხეს — არაბული ანდაზა ამბობს: „სისხლი დაიღვარა, საფრთხემ გაიარა“. ამდენად, შემთხვევითი არ იყო ის, რომ ძველ ხალხებში სისხლი ადამიანის სხეულში მდინარე სასიცოცხლო, ღვთაებრივ ელემენტად ითვლებოდა.

ადამიანის ჩასახვის ანტიკურ თეორიაში სისხლს ახალი სიცოცხლის ჩასახვისთვის ორიდან ერთ-ერთ (სპერმასთან ერთად) აუცილებელ შემადგენლად მიიჩნევდნენ. ადონისის მითში მისი სისხლი ბუნების აღორძინებას უკავშირდება, გაზაფხულის ყვავილად (ანემონად) იქცევა, ხოლო საყვარლის, აფროდიტეს სისხლი კი თეთრ ვარდებს აწითლებს. მითრასა და კიბელეს კულტში მორწმუნებს სამსხვერპლო ხარების სისხლს აპკურებდნენ, რათა მათ ხარის სასიცოცხლო ძალა გადასცემოდათ. სლავურ კულტურაში, მაგ., უკრაინაში მიიჩნევდნენ, რომ სისხლში ადამიანის სულია: შორს მიმავალი ადამიანი შინ სისხლის წვეთს ტოვებდა, მისი გაშავება პატრონის სიკვდილს მოასწავებდა (ბელოვა... 2002: 521).

სისხლის მაგის შესახებ ეზოთერულ სწავლებებში სისხლი ინფორმაციის მატარებელია, ასახავს და მოიცავს ადამიანის ეთერულ სხეულს, ამიტომაც ატარებს ინფორმაციას ნებისმიერი უჯრედის, მთლიანად ორგანიზმის ჯანმრთელობის შესახებ. სისხლი ასტრალურ სხეულთანაცაა დაკავშირებული, რამეთუ შეიცავს წყალს, რომელიც თავის მხრივ ადამიანის ემოციური მდგომარეობის, მისი სურვილების შესახებ ინფორმაციის მატარებელია. ანთროპოსოფიის ფუძემდებელი რუდოლფ შტაინერი ლექციას „სისხლის ოკულტური მნიშვნელობა“ იწყებს მეფისტოფელის ციტირებით: „Blut ist ein ganz besonders Saft!“ — „ო, არა, სისხლი სხვა რამეა, სულ სხვა წვენია“ (არილი 2009) და განაგრძობს: „პროფესორი მინორი შენიშნავს, რომ „ეშმაკი სისხლის მტერია“ და მიუთითებს, რომ რადგან სისხლი ისაა, რაც სიცოცხლეს ხელს უწყობს და იცავს, ადამიანთა რასის მტერი ეშმაკი შესაბამისად, სისხლის მტერიც უნდა იყოს“ (შტაინერი 1906).

სისხლი კულტურის მაფორმირებელი უნივერსალური სიმბოლოა. ლეგენდის მიხედვით დედამინის ღმერთმა გეამ გიგანტები ღმერთ ურანოსის დასაჭურისების დროს დალვრილი სისხლისგან შექმნა, შესაბამისად, დაპადება ჭრილობაა, სისხლის დალვრაა (ამ კონტექსტში საინტერესოა გამოთქმა: „ენით დაკოდილი“ — ენა ჭრის, კოდავს, სისხლს ადენს, რადგან სიტყვა თავის თავში ქმედებასაც მოიცავს.). სვირინგი, დუელის ნაკვალევი თუ ინიციაციის შედაგად დარჩენილი ნაიარევი განიხილებოდა როგორც ჭეშმარიტი სრულწლოვანების დამადასტურებელი ნიშნები: ადამიანის სამყოფელის — სხეულის კედლებიდან გამოსვლა, გამოღწევა. სამკურნალო მიზნით სისხლის გამოშვება პირველად ჩვ.წ. აღ.-მდე 23-22 საუკუნებში დასტურდება. ეს იყო ადამიანის მცდელობა, ჩარეულიყო სისხლის მოძრაობის თვითორეგულირებად მექანიზმი. ამდენად, სისხლი მნიშვნელოვანი სოციალური ინსტიტუტებისა და კონცეპტების საფუძველია: სისხლით ნათესაობა, სისხლის ალება, სისხლიანი მსხვერპლი და სხვ. (უახლესი ფილოსოფიური ლექსიკონი: 2003).

სისხლის სიმბოლიკა ქართულ მითოსშიც უხვადაა — დაწყებული არგონავტების ლეგენდით, სადაც მედეა ადამიანებს სწორედ სისხლის განახლებით კურნავდა და აახალგაზრდავებდა და დასრულებული ზღაპრებითა და მითებით, სადაც ნებით მსხვერპლშენირვა ან უდანაშაულო სისხლი ერთადერთი საშუალებაა გმირის გასაცოცხლებლად. საპირისპიროდ — არსებობს უსურმაგის, ანუ „ანტიმსხვერპლის“ სისხლი, რომლის ნასმაც საკრალური გარემოს დესაკრალიზებას იწვევს. უძველეს ხევსურულ მითში იახსარის შესახებ, თვალგამოთხრილი დევი ხვთიშვილს აბუდელაურის ტბაში დაემალა. „უწმინდურის სისხლმა დაფარა ტბის ზედაპირი, მის გასანადგურებლად ჩასულ იახსარს კი მხრები შეუკრა და დახრჩობა დაუპირა. იახსარის ყებმა ქვეყნის ოთხივე კიდე მოიარეს, მოიძიეს ოთხრექა, ოთხყურა ცხვარი, მოიყვანეს და დაკლეს ტბის ნაპირზე. საღვთო მსხვერპლის სისხლი უწმინდურის სისხლს როგორც კი ესხურა, შებოჭილ იახსარს გზა გაეხსნა. ამ დროს ზეციდან ნათლის სვეტიც ჩამოეშვა და სადაც იახსარი იყო, ჯვარი გამოისახა. აქამდე ხორციელი ვაჟეაცი იახსარი ახლა მტრედის სახით ამოფრინდა ტბიდან“ (მახაური 2011: 55-56). სისხლის ფენომენს უკავშირდება საქართველოს მთანეთში (სვანეთი, ხევსურეთი) სისხლის აღებისა და, აგრეთვე, დაძმობილებისას თითის გაჭრის ჩვეულება. სისხლის აღრევა უდიდეს და უპატივებელ ცოდვად ითვლებოდა ძველთაგან. ცალკე თემაა „ცისფერი სისხლის“ ფენომენი, რისი მეშვეობითაც არისტოკრატია საკუთარი უპირატესობის წარმოჩენას სწორედ სისხლის ხარისხის აქცენტირებით ცდილობდა და ბოლოს: სისხლი უშუალო კავშირშია სექსუალურ აქტთან და განაყოფიერების პროცესთან.

სისხლის თეორიები პოპულარული იყო და არის დღემდე. ცნობილი გერმანელი ექიმი, ფილოსოფოსი, ალქიმიკოსი, რეფორმაციის ეპოქის მსოფლმხედველობითი აზროვნების წარმომადგენელი თეოფრასტე პარაცელსი (1493-1541 წწ.) ამბობდა: „ვინც სისხლს აკონტროლებს, მას კაცობრიობა მტკიცედ უპყრია ხელთ“-ო („Газета тайных знаний“).

რაც შეეხება დემნა შენგელაიასეულ ტერმინს „დაღლილი სისხლი“ — ასე მედიცინაში საკმაოდ გავრცელებულ დაავადებას, ანემიას მოიხსენიებენ. სისხლის ერთ-ერთი ძირითადი დანიშნულებაა ორგანიზმის ყოველ უჯრედამდე ფილტვებში შეთვისებული ჟანგბადის მიტანა და იქიდან ნივთიერებათა ცვლის შედეგად წარმოქმნილი ნახშიროუნგის ფილტვებში დაბრუნებაა. ჟანგბადის გადატანა ხდება ერითროციტებით, ანუ სისხლის წითელი ბურთულებით, რომელიც გამოტენილია რკინის შემცველი ნივთიერებით — ჰემოგლობინით. ჰემოგლობინის რაოდენობა სისხლში 14-16 % შეადგენს. სისხლში ერითროციტებისა და ჰემოგლობინის შემცირებას ეწოდება ანემია. ანემიის პროგრესირება ინვეცი ჟანგბადის ნაკლებობას (ჰიპოქსიას), რაც ხშირად სიკვდილის მიზეზი ხდება (მცირე სამედიცინო ლექსიკონი 1966: 378).

ძნელი სათქმელია, კონკრეტულად, რა ინფორმაციასა და ცოდნას ფლობდა დემნა შენგელაია „სანავარდოზე“ მუშაობისა და დაღლილი სისხლის, როგორც ტერმინის, შემოტანისას, მით უფრო, რომ რომანის გარკვეულ პასაჟებს ავტორის თეორიული ცოდნის კვალი აშკარად ატყვია. გასათვალისწინებელია ისიც, რომ მოდერნიზმის ეპოქამ აბსოლუტურად ახლებურად გადაიაზრა ადამიანის ფსიქოლოგიური თუ ფიზიკური ასპექტები, ადამიანი თეატრის სცენაზე მდგარი მსახიობივით ყველა რაკურსიდან სოფიტის შუქით განათდა და აქტუალური მისი შინაგანი სამყარო და ფსიქოლოგიური პორტრეტი გახდა. როგორ იაზრებს დემნა შენგელაია დაღლილი სისხლის კონცეპტს, რას იყენებს ქართული მოდერნისტული რომანის ავტორი იმ არსენალიდან, XX საუკუნის დასაწყისამდე რომ ჩამოყალიბდა?

დაღლილი სისხლი დემნა შენგელაიას მოდერნისტული პროზის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კონცეპტია და „სანავარდოში“ მას მნერალი ჭილაძეთა გვარის დაცემის, სანავარდოს დაბერნებისა და სკოპცების შემოსევის კონტექსტში გვიჩვენებს. განკუვეტილი კონტაქტი უშუალო წინაპართან, მამა-შვილის ურთიერთობების დესტრუქციული მოდელი და შინაგანი მზაობა მოსალოდნელი უბედურებისადმი რომანის პირველი ფურცლებიდანვე იკითხება. „სანავარდო“ იწყება ყარამანის პორტრეტით: „ახოვანი ვაჟეაცი, აქა-იქ ჭაღარა შექპარვია, სიარული ნელი, დინჯი, მაღალი, მხრებში ოდნავ მოხრილი, შემოხედვა ამაყი, ჯიშიანი. **ამღვრეული თვალები.** ჩვეულებად გადაქცეული შუბლზე ხელის გადასმა (ალბათ სისხლი უვარდებოდა თავში) (ხაზგასმა ყველაგან ჩემია. ნ.ო.) (შენგელაია 1968: 7). ყარამანი კიდევ უფრო ღრმად, არაცნობიერის დონეზე აქვს ჩამარხული და „დავინწყებული“ საკუთარი ცოდვა: გლეხის ქალ მაკრინეზე ძალადობა და მისი შედეგი, პირუტყვული ინსტიტებით აღჭურვილი ბასტარდი გუჯუ ლაბახუა. ერთ დროს უდარდელი ყარამანი („საქართველოს დარდსა და წარსულ დიდებას ღვინოში თუ მოიგონებდა“ (8)) ვერ ახერხებს „წარსული დიდების“ შენარჩუნებას: ოჯახი დღითიდღე ნადგურდება, ბონდოს თავ-გადასავლებს მამულები ენირება, რასაც სანავარდოს გაბერნებაც ერთვის. სწორედ ასეთ, შენკუპული თოვლივით დაძაბულ ვითარებაში ბრუნდება შინ ბონდო, პერსონაჟი, რომლის ბედშიც არეკლავს დემნა შენგელაია სანავარდოს (საქართველოს) დაცემასაც და ჭილაძე-თა მოდგმის გადაშენებასაც.

მნერალს ეტაპობრივად მიუყავართ მამა-შვილს შორის გამართული მთავარი დიალოგისკენ. იქამდე კი, რომანში დამოკლეს მახვილივით ჰქიდია ყარამანის მძიმე შინაგანი განცდა შვილის ტრაგიკული ბედის გამო. ეს წინათგრძნობა ინტუიტურია, სხვაგვარად ვერაფრით ავხსნით, რომ შვილთან უშუალო დიალოგებში ყარამანი ვერ აცნობიერებს ბონდოს პიროვნული დრამის მიზეზსა და არსს. იგი სტატისტის როლშია, მეტიც, ღიზიანდება შვილის საქციელით, აღიზიანებს ის, რასაც ვერ აცნობიერებს, რასაც მისი სულის სილრმე ვერ სწვდება. მნერალი ფსიქოლოგიურად ზუსტად ალაგებს ყარამანის ემოციებსა და განცდებს: თავდაპირველად, მას ეშინია იმ „საგვარეულო სენისა, დიდებასთან ერთად რომ დაუტოვეს წინაპრებმა და კვალდაკვალ რომ მოსდევდა მის მოდგმას“ (8). ყარამანის განცდას აძლიერებს სოფლის დამოკიდებულება უშუალო წინაპრისადმი, მამისადმი — სანავარდო ყველა უბედურებას ავხორცობით გამორჩეულ ოტიას უკავშირებს. ქართულ კულტურაში პაპისა და შვილიშვილის მსგავსება გვარის ურლვევობისა და მარადიულობის განცდას აღვივებს, ყარამანს კი იმთავითვე აფრთხობს ბონდოს გარეგნული თუ პიროვნული მსგავსება ოტიასთან. ბონდოს შეშლილობა (მეტად მოდური დისკურსი მოდერნისტულ და განსაკუთრებით პოსტმოდერნისტულ პროზაში: აღსანიშნავია, რომ ლიტერატურას ყოველ ეპოქაში საკუთარი „მოდური“ დაავადებები მოაქვთ: შუა საუკუნეებისას — შავი ჭირი, XIX ს. — შავიკი, XX ს. დასაწყისისას — ჭლექი, ფსიქიკის, ცნობიერების რღვევა...), ბავშვობაშივე ვლინდება: ბონდოს ამღვრეული თვალები სიფრთხილეს აღძრავს, თანატოლებთან არ მეგობრობს, რადგან საფრთხეს გრძნობს მათგან, რაც უკვე დაშლილი „მე“-ს მაუწყებელია, ლანდებში და ლანდებთან ცხოვრობს, ლამღამობით კი მისი ოთახის კედლიდან ხალიჩა იხსნება და გარემო ეროტიული მოჩვენებებით იტვირთება, რეალობა ნაცვლდება ზმანებით („თეთრი რაშები მოაგდებდნენ იქროს მოაჯირთან ძვირფას ტახტრევანდს, მზეთუნახავი გადაიწევდა ოქსინოს რიდებს და ჩამოეკიდებოდა მაღალ კისერზე... მთელი ლამე იყო ალერსი მინანაქრის სასახლეში და ბნელი მონები დარაჯობდნენ მათ სიყვარულს... როდესაც პირველი მამალი იყივლებდა... მზეთუნახავი... ტრფობით დაღლილი, მადლიერი თვალებით აკოცებდა გაცრეცილ ტუჩებში“ (14-15).

ყარამანი დაუძლურებულ და შინაგანად გატეხილ ბონდოს მტრულად ხვდება, განსხვავებით შვილზე დარდით დაჭლექებული დედისა, რომელიც „კინალამ შეიშალა. კოცნიდა, ეფერებოდა, ეხუტებოდა, ბოდავდა რაღაც უაზროს დედური გრძნობით ატიტინებული“ (45). მამა თავდაპირველად შვილს ვერც კი სცნობს, ხოლო შემდეგ ერთადერთ ნაშიერს ასე აღიქვამს: „მაღალი, გამხდარი, ხელ-ფეხი ისე ქანაობდა, თითქოს ქინძისთავებით ჰქონდა მხრებზე მიბნეული, გრძელი, მოღუნული ცხვირი, დედის ეშნანი თვალები და ამ თვალებში რაღაც უაზრო და დამაფიქრებელი... სიარული აჩქარებული, წინწასწებული... მამასავით შუბლზე ხელს ისვამდა ხშირად (მოდგმით თუ გამოჰყვა). ტუჩები მსხვილი, ვნებიანი და ქვედა ბაგე უსიამოვნობ გადმოკიდებული. შემოხედვა ბლუ და უაზრო... რაღაც ბნელსა და გამოუცნობს მიუხვდა შვილს, მაგრამ არ იცოდა — რას და თითქოს მტრული განწყობილება იგრძნო მისდამი. ბონდომ რაღაც ბნელი მოიტანა. მას რაღაც საშინელი მოჰყვა თან. ეს იგრძნო ყარამანმა“ (44-45). ბნელი, საშინელი, გამოუცნობი, უაზრო, დამაფიქრებელი — ეს შვილისადმი მიმართული ის ეპითეტებია, ერთ აბზაცში რომ ატევს ყარამანი. მამის რეაქცია არც ტრადიციულ ქართულ კულტურულ კონტექსტში ჯდება და არც „უძლები შვილის“ ლიტერატურულ მოდელში, უფრო ზუსტად, მოდელი დეფორმირებულია: მამა არამშიბლიური რაციონალიზმით ასათაურებს შვილისგან წამოსულ

ემოციასა და ასოციაციას — **სიბნელე**. ყარამანი ბონდოში საკუთარ თავს შეიცნობს და ეს აძრწუნებს, რომანის დასაწყისში იგი ზუსტად ასე ხედავს საკუთარ თავს: „ეშინოდა თავის თავის და თმის დავარცხნის დროს თუნუქის სარკეში ნაღვლიანად უცქეროდა **ამღვრეულ თვალებს**. **თვალებში იყო რაღაც დამაფიქტერელი და ვერაწობა...**“ (8) (ალუზია ნ. ბარათაშვილის ცნობილი სტრიქონებისა: „ჰომ, მთამინდავ, მთაო წმინდავ, ადგილნი შენნი დამაფიქტერელნი, ვერაწონი და უდაბურნი“). ეს ისაა, რითაც ყარამანი ოტიას ჰგავს, ბონდო კი — ემსგავსება.

ბონდოს შინ დაბრუნება შვებად ვერ ექცა, ბავშვობაში, მზეთუნახავებისა და ხათუნას სამყაროში კვლავ შებიჯება ფუჭი მცდელობა აღმოჩნდა: წარსულისენ, აყვავებული სანავარდოს კენ დასაბრუნებელი გზა სამუდამოდა ჩახერგილი, ტრაგიზმის განცდა კიდევ უფრო ძლიერდება. ყარამანსაც ის ბონდო, ის დრო უყვარს, როცა ჭილაძეთა გვარი ხარობდა და სანავარდო-მამული ყვაოდა. მშობელსა და ერთადერთ ნაშიერს შორის პირველივე დიალოგი (სადაც ყარამანი უკვე მეორედ გრძნობს მტრულ განწყობას შეილი-სადმი) გაუცხოების ტიპიური მაგალითია: ბონდოს ვიღაცის მოთქმა ესმის (დაბერნებულ სანავარდოში ხალხი იღუპება) და პირველად სვამს მთავარ კითხვას: **რა ვქნათ?** — „ამ მოთქმამ მომსპო მე და გამანადგურა, წელში გამწყვიტა იქ, პეტერბურგშიც, არ დაწყნარდა იგი და ხშირად მესმოდა ღამეებში ეს გულის ამაღულებელი მოთქმა!.. რა ვქნათ, მამაჩემო, რა ვქნათ!“ (47) პასუხად კი მამისგან არაფრისმთელ ფრაზებს იღებს. მეტიც, თითქოს, როლების ცვლა ხდება მშობელსა და შვილს შორის: „დამწვიდდი, მამაჩემო, დამწვიდდი!... მე უკვე შევურიგდი ბედს!..“ (78); „მაპატიე, მამა!... — თქვა ბონდომ წყარად. — რა, შვილო?... შეეკითხა დაყვავებით და თვალებზე ცრემლი მოადგა. — მე რომ ასე ვარ!..“ (65). ყარამანი თავადვე გრძნობს საკუთარი მდგომარეობის სიყალებს: ნუ გეძინია, შვილო!... ღმერთია მოწყალე!... და იგრძნო, რომ სისულელეს ამბობდა“ (77).

მამაშვილობის დარღვეულ კავშირს ავტორი საერთო წინაპრისადმი დამოკიდებულებით კრავს. ყარამანისა და ბონდოს აღქმაში ოტია ჭილაძე ბოროტების სიმბოლოა: ბონდოს ბაბუა თრგუნავს და აშინებს, ყარამანი კი მას ჭილაძეთა საგვარეულო სენის სათავედ და ბონდოს ავადობის მიზეზად მიიჩნევს, („—მოშორდი ჩემ შვილს, შე ბებერო ყუბაქო!“ (17)). „ბაბუაჩემმა მოანდერდა მე ავხორცობით დალლილი სისხლი“ (78) — ამბობს ერთგან ბონდო. ამ შიშისმომგვრელ განცდას მამა-შვილს ოტიას პორტრეტი გადასცემს, იტალიელი პატრის მიერ დახატული და, როგორც ჩანს, მძლავრი ენერგეტიკული ველის მქონე, რადგან მამა-შვილი მას თანაბარი ემოციური იმპულსით აღიქვამს: „**დიდი ბატონის გამოხედვა იყო გოროზი და სასტიკი**. თეთრი თმა-წვერი ფაფარივით ეყარა მეერდზე და **თვალები... ამღვრეული...** ნაცრისფერი... ყარამან შედრება. მასში კიდევ იყო შიში და მორიდება მამის ხსოვნის წინაშე“ (17); „**დიდი ოტიას სურათი სასტიკად დასცქეროდა შვილიშვილს...** ბონდო იდგა მორჩილი. მოსცილდა სურათს. მივიდა... წმინდა ხატთან, დაემხო და ლოცულობდა მხურვალედ“ (73). ავტორს ოტიას პორტრეტის მამა-შვილისეულ აღქმაში შემოაქვს განსაზღვრება — **დიდი**. ეს არის განცდა (მიშთან ერთად), რასაც ოტია შთამომავლებში იწვევს. ოტია ცოდვილი წინაპრის სიმბოლოა, მისი პორტრეტი რომანში თითქოს, დამოუკიდებელ ცხოვრებას იწყებს: ხან ყარამანს ელანდება, ხან ბონდოს აშინებს. ამგვარი ფატალური შიში წინაპრის ხატისადმი თაობათა ურთიერთობის წყვეტის მანიშნებელია. ოტია კერპივითაა, ავტორიტეტია, რომელსაც ვერ იშორებენ. მწერალი პრობლემას სიბრტყეს უცვლის: ავტორიტეტის დამხობის დისკურსი ნაცვლდება მისი მდლავრობის შედეგების გაცნობიერებისა და გადაჭრის სურვილით.

იმის მიუხედავად, რომ სულიერ სიახლოვეს ბონდო დედასთან გრძნობს, ყველა მნიშვნელოვანი დიალოგი მას მაინც მხოლოდ მამასთან აქვს, თუმცა მისგან პასუხს ვერ იღებს. ბონდოს სულიერი კრიზისი Ego-ს კრიზისია Super-Ego-სთან: ზიგმუნდ ფროიდის ფსიქოანალიზმი Super-Ego კულტურულ ნორმებსა და ლირებულებებს გულისხმობს, იგი არის მორალი და სინდისი, რომელიც ძირითადად, მამის ავტორიტეტთან შეხვედრის შედეგად აღმოცენდება. ბონდოს შემთვევაში მისი Ego მამას (Super Ego) მიმართავს, თუმცა პასუხს ვერ იღებს: ბონდოს კითხვას „რა ვქნათ?“ ყარამანი უნდილი და არაფრისმთქმელი ფრაზებით პასუხობს. ფროიდისეულ სქემას თუ გავყვებით, ესაა ცნობიერების საფეხურებრივი სამერთიანობის (Id, Ego, Super-Ego) პრინციპის რღვევა, ვითარება, როცა ეს შრები ერთმანეთთან კავშირს ვერ ამყარებენ, Super-Ego-ს კონტროლი Ego-ზე ვერ ხორციელდება და ზედაპირზე Id ამოდის, პიროვნება დაშლილია, დაქუცმაცებულია (ფროიდი 1990: 370-390). Super-Ego ყარამანისთვისაც შერყეულია: იგი მამისგან საფრთხეს ელის და არა პასუხს, დამნაშავე ოტია ავტორიტეტის ფუნქციას ვერ ასრულებს. ბონდოს თვითშეფასების დაქვეითება პიროვნული „მე“-ს დაშლის შედეგია, რაციონა და ემოციონ შორის კონფლიქტის ნიშანი. სწორედ ამგვარ კრიზისეულ ვითარებას მოჰყვა ანრი ბერგსონისა და ფრიდრიხ ნიცშეს „სიცოცხლის ფილოსოფია“, მოდერნიზმის წარმოშობა. ქართულმა მწერლობამ მოდერნიზმი, როგორც ახალი ლიტერატურული ფორმა, ისევ და ისევ ეროვნული თვითშეფასების, კრიზისის გაცნობიერების შედეგად გაჩერილი თვითშეგნების ზრდისკენ, იმ ახალი სასიცოცხლო მუხტისა და ენერგიის ძიებისკენ მიმართა, რეალობამ რომ ჩაკლა. ამ კონტექსტში უნდა განვიხილოთ დაღლილი სისხლის კონცეპტიც — სისხლის იდეა ისეთივე მესიანისტურია, როგორც გრ. რობაქიძის „რასასა“. ეროვნული ფესტივალის ძიება, მითოსის განახლების ტენდენცია გარდამტეხი ეპოქების თანმდევი პროცესია.

ამ კონტექსტში გასათვალისწინებელია XX ს. დაასაწყისის გაპატონებული დისკურსი: ნიცშესეული „ღმერთი მოკვდა“-ს ვარიაციები, რამაც კრიზისეული ევროპული ცნობიერებისათვის დამახასიათებელი გარკვეული რელიგიურ-იდეოლოგიური ლირებულებები დააყენა აჭვეჭშ: განღმრთობის იდეოდან ადამიანი ღვთიურის, მიღმურის უარყოფამდე მივიდა და საკუთარ თავს მიენდო. ნიცშემ ზეკაცის — სრულყოფილი და ამორალური, ძლიერი ადამიანის იდეა იქადაგა (მიხეილ ჯავახიშვილი ამ დროს „ჩანჩჩურას“ წერს, სულ მალე ჩარლი ჩაპლინი მსოფლიოს პატარა მანანნალის ბედზე დააფიქრებს). იმდროინდელ ქართულ მწერლობაში ქრისტიანობისადმი არაერთგვაროვან დამოკიდებულებას სხვა ასპექტებიც განსაზღვრავდა: ქრისტიანობა რუსეთის მხრიდან ძალადობის ერთ-ერთ არგუმენტად განიხილებოდა. ეს ტენდენცია მძლავრად ჩანს კ. გამსახურდიას „დიონისოს ლიმილსა“ და „მთვარის მოტაცებაში“, მ. ჯავახიშვილის „ლამბალო და ყაშაში“. „სანავარდოში“ (განსხვავებით „ბათა ქექიასაგან“) ავტორი გაცილებით ფრთხილი და მოზომილია: ბონდოს სტკივა ჩვენი ისტორია, „საქართველო გეოპოლიტიკურ ჯვარს რომ აცვა“ და ის სიყრუე, რასაც საქრისტიანო პატარა ქვეყნის ყოფნა-არყოფნის პრობლემის მიმართ იჩენდა. ქრისტიანობასთან დამოკიდებულება რამდენიმე ასპექტად უნდა განვიხილოთ: ესაა სარწმუნოება, რომელზე აქცენტირებითაც მოხდა საქართველოს ანექსია და ესაა ახალი რელიგია, რომელმაც დაამხო წარმართული კერპები, მოსრა მისი ნაკვალევი, ამდენად, ცენზურის პირობებში მოდერნისტები მას დამპყრობლის სიმბოლოდაც იყენებდნენ. აკი გურამ ასათიანთან დიალოგში თავად დემნა შენგელაია ამბობს: „ჩვენს დროშიც მოხდა ასეთი ფანტასტიკური ცვლილებები. ბევრმა საგანმა იცვალა ფერი ჩემს თვალწინ.

ზოგს თვალი მოსჭრა ფერისცვალების სურათმა, შეაკრთო, ცხოვრების ხალისი დააკარგვინა სამუდამოდ” (ასათიანი 1971: 5, 12); და რაც მთავარია, ქრისტიანობისადმი დამოკიდებულებას განსაზღვრავდა ნიცშეს „ღმერთის სიკვდილის“ ცნობილი თეზა, ამდენად იგი ეპოქის მოთხოვნაც იყო, წინააღმდეგ შემთხვევაში უარყოფითი მუხტი XIX საუკუნის დასაწყისშივე გაჩნდებოდა, როცა ანექსია ჯერ კიდევ ახალი ჭრილობა იყო. XIX საუკუნის ქართული მწერლობა კი ამგვარ მიღვომებს არ იცნობს, პირიქით, ქართული აზროვნება ვერაფრით დაუშვებდა ქრისტიანობის ასოცირებას რუსეთთან — ქრისტეს სჯული ჩვენში რუსებს არ შემოუტანიათ, სახელმწიფო რელიგიად ექვსი საუკუნით ადრე გამოცხადდა და მეტიც, მეფის რუსეთი თანმიმდევრულად ებრძოდა ქართულ ეკლესიას: გააუქმა ავტოკეფალია, აკრძალა მშობლიურ ენაზე ლიტურგია, დახურა 800 ეკლესია და 15 მონასტერი. თეთრი მეფე სწორედ საქართველოში ასახლებდა რელიგიურ სექტანტებს: დუხობორებს, სკოპცებს, მალაკვებს... როგორც რევაზ სირაძე აღნიშნავს: „რუსეთმა საქართველოში ეყლესია გაარუსა. ხალხი განუდგა ეყლესიას და არა ქრისტიანობას. ამიტომ ეროვნულ ძირებთან მისაბრუნებლად წინ წამოსწიეს მითოსის კულტი, ხალხში შემორჩენილი წარმართული ტრადიციები. წარმართობა ლამის ეროვნულ ღირსებად იქნა მიჩნეული“ (სირაძე 2000: 101-102) ასე რომ, „სანავარდოს“ პათოს ამ მხრივ უფრო მოდერნიზმის კვალი ატყვია.

მოდერნიზმსა და ნიცშესეულ დიდ დაეჭვებას ტრადიციული ღირებულებების ნგრევა მოჰყვა, დაირღვა მამა-შვილობის ქრისტიანული მოდელიც; როგორც სოფიო კვანტალიანი წერს: „ქრისტიანული მოდელი ითვალისწინებს თანაარსებობის ჰარმონიას. ჰარმონიის რღვევა ღვთის საიდუმლოს ტაბუს ახსნასთან ერთად მოხდა. გაჩნდა ეჭვი და მეტოქეობა მამის ხატთან. ღმერთის არსებობაში ეჭვის შეტანა ბიოლოგიური მამისა და ძის ურთიერთობის მექანიზმს რომ მოვარგოთ, მივიღებთ ღმერთსა და ადამიანს შორის დისტანციის მოშლას“ (კვანტალიანი 2004: 62). სავარსამიძისა და თარაშ ემსვარის გაუცხოება მამასთან სწორედ ტაბუს ახდის შედეგია. ბონდოსა და ყარამანის ურთიერთობა კი განსხვავებულ ასპექტს მოიცავს: ბონდო კი არაა ამხედრებული მამის წინააღმდეგ, პირიქით, ყარამანია აგრესიული ბონდოს მიმართ, რადგან მასში შთამომავლის გამგრძელებლის ნაცვლად საფრთხეს ხედავს. მნერალი აქაც „აყირავებს“ ტრადიციულ მოდელს და გვაძლევს მის სახეცვლილ ვარიანტს. „დიონისოს ლიმილში“ ან „მთვარის მოტაცებაში“ მამის წინააღმდეგ შევილის ამხედრება განიხილება, როგორც ადამის შთამომავლის ამხედრება ღვთის სიტყვის წინააღმდეგ. ამ ძველაღთქმისეულ მოდელში ღმერთი სჯის ადამიანს (სავარსამიძისა და თარაშ ემსვარის მამები სწორების საკუთარ ნაშიერებს). ბონდოს შემთხვევაში მამაც ცოდვილია და ბაბუაც, ამდენად აქ სხვა მოდელთან გვაქვს საქმე — ესაა წინაპრისა და შთამომავალის ურთიერთობაში ცოდვის მემკვიდრეობითობის, წინაპრის ცოდვაზე პასუხისმგების („ბაბუის ნაჭამმა ტყემალმა შევილშვილს მოსჭრა კბილი“) მოდელი. სამივე მამაკაცის ცოდვის ობიექტი ქალია, ოტია ავხორცობით გამორჩეულია, მის დანახვაზე სოფლელები ცოლებსა და ქალიშვილებს მალავდნენ; ცოდვილია ყარამანი, მისი ცოდვის ნაყოფი — გუჯუ — ავადყოფობის შედეგად გამონაყარს ჰავას (სიმბოლურია, რომ ყარამანისგან ნაცდენები მაკრინე მონაზონი ხდება); ცოდვილია ბონდოც, მან აცდუნა და თვითმეცვლელობამდე მიიყვანა ფეხმძიმე სკოპცის ქალი — ოტიას პორტრეტი კი ცოდვის, ბოროტების სიმბოლოსავით ჰკიდის ჭილაძეთა საგვარეულო მამულში და თანაბრად ზემოქმედებს შვილზეც და შვილშვილზეც. ბონდო წინაპრთა ცოდვების გამო სასჯელის

მატარებელია (ყარამანი ქვეცნობიერად გძნობს ამას და ამიტომაც შიშით ეძებს ბონდოში „საგვარეულო სენის“ ნიშნებს). „რისთვის უნდა ვზღო მე, მამაჩემო, ის ცოდვები, რომლებიც ოდესლაც ჩემ მამა-პაპას ჩაუდენია!“ (78) — რიტორიკულად კითხულობს ბონდო და სხვა გამოსავალს ვერც ხედავს აკი, სანავარდოდანაც (სამშობლოდან) სცადა გაქცევა და სუიციდის მცდელობაც ჰქონდა, თუმცა, უშედეგოდ: მან საკუთარი ჯვარი გაცნობიერებულად, ბოლომდე უნდა ზიდოს.

მამა-შვილს შორის გაუცხოებას ავტორი ლექსიკურ-სინტაქსურ დონეზეც აღნიერს: ყარამანის მეტყველება გაცილებით დინჯი და განონასწორებულია, მაშინ, როცა ბონდოს სათქმელი დანაწევრებული, დაუსრულებელი, ნერვიული და ავადმყოფურია, მასში შინაგანი ცახცახი და შიში გამოსჭვივის, ამ განცდას დაუსრულებელი ფრაზა, კონვულ-სიური ინტონაციები, მრავალწერტილები და ძახილის ნიშნები აძლიერებს. რომანში მამა-შვილის ურთიერთობათა, წინაპრის ცოდვათა განცდის ხაზი არის მზადება მთავარი დიალოგის-თვის, როცა ბონდო დაღლილი, დალორწილი, დამჟავებული სისხლის მქონე-თა გარდა-უვალ დაღუპვას წინასწარმეტყველებს. მონოლოგები დაღლილ სასხლზე (სა-დაც ყარამანი სტატისტის როლს ასრულებს) არის ახსნაც, გამართლებაც და პასუხიც ჭილაძების თუ სანავარდოს (საქართველოს) უნაყოფობასა და სიბერწეზე. ბონდოს, როგორც მემკვიდრის, გვარის გამგრძელებლის თვითგანცდა კრიტიკულ ზღვარს მიღმაა: მამის წინადადებას, ცოლი მოიყვანოს, იგი ასე პასუხობს: „რის მაქნისი ვარ მე?... აბა შე-მომხედვე!... მშიშარა და დაჩიავებული!...“ მე დაღლილი ვარ, მამაჩემო, დაღლილი მგზავრობით... ხუმრობა ხომ არ არის ამოდენა გზა! მთელი ორი თვევა მოვჯახირობ! ... მე მიყვარდა ქალი პეტერბურგში და როცა მე უნდა დამეთრო იგი, ვნებით თავდავინწყებაში შემეყვანა, მე ვერ შევძელი ეს და მან შენიშნა, რომ ღილი მაკლდა საყელოზე!“ ჭილაძეთა დიდი გვარის შთამომავალი ვერც საზოგადოებრივ ასპარეზზე აღწევს წარმატებას: „მე მინდოდა ერთხელ ქვეყნის დახსნა. ამისთვის საჭირო იყო რუსხემნიფის მოკვლა, მაგრამ შემეშინადა!... მეშინოდა ღმერთის, მეშინოდა ჩემი თავის და არ ვიცი, კიდევ რისი არ მეშინოდა“... ამ საქმისთვის საჭიროა სხვა ხალხი!.. ახალ ქვეყანას ახალი ხალხი ქმნის!.. მე კი დაჩიავებული ვარ!..“ (62). ამ შიშის მიზეზიც იქვე იყიდება: რევოლუციონერ-ტერორისტებთან ბონდოს შეხვედრას ავტორი ასე აღწერს: „ერთი ჯაყელი იყო, გადაგვარებული, ქართულს ძლივს ახერხებდა, მეორე — ებრაელი და მესამე — პოლონელი“ (106) — ზუსტი სურათი იმდროინდელი რევოლუციურად განწყობილი, უეროვნებო, იდენტობადაკარგული ჯგუფებისა, რომლებთანაც ბონდო ჭილაძე თვითიდენტიფიცირებას ვერაფრით მოახდენდა. ავტორი ერთ კონტექსტში განიხილავს საზოგადოებრივ აქტივობას, მამაკაცურ აქტივობას და მოვალეობას ოჯახისა და შთამომავლობის წინაშე; ბონდო სამივე ასპექტში უნაყოფოა, მას საკუთარი თავისთვის და წოდებისთვის განაჩენი გამოაქვს: „დაღლილი კაცი დაღლილი სისხლით! მერამდენე საუკუნეა, მამაჩემო, რაც ჩვენი სისხლი დის ძარღვებში?“ (64) „ჩვენ შეგვიძლია წავიდეთ, მამაჩემო!.. ახლა რკინიგზა მოდის და ჩვენ უნდა დავხუროთ მატიანე!.. ახლა სხვები მოვლენ ჩვენ ადგილას, დაზიდული ძარღვებითა და ახალი სისხლით, ახალი ხალხი!..“ (62) „ბონდო დარჩა მარტო, დაღლილი სისხლით. — სისხლი!.. — სისხლი!.. — სისხლი!.. ჩურჩულებდა იგი... სისხლი დაიღალა, მამაჩემო, სისხლი!.. — სისხლი, მამაჩემო, სისხლი დამჟავდა ძარღვებში!“ (102-103) სისხლის ხშირი ხსენებით ავტორი ბონდოს სულიერი განცდის ინტენსივობასა და სიღრმეს ზრდის. სისხლი დაღლილია, სისხლი დამჟავდა, სისხლი დაბერდა — ესაა ბონდოს თაობის არისტოკრატიის პასუხი და

არგუმენტი „ახალი, წვივმაგარი“ ხალხის იდეოლოგიის გარდუვალობის საპირნონედ. სისხლის აქცენტირებით მწერალი მის საკრალურ მნიშვნელობას უსვამს ხაზს: ახალი ხალხი ახალი სისხლით მოდის, ეს განახლება, სისხლის გამოცვლაა დაუძლურებული და დაჩიავებული ეროვნული სხეულისთვის, ეს გადარჩენის შანსია, თუ გადარჩენის არა, არსებობის შენარჩუნებისა მაინც, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში, დამუავებულ და დაღლილ სისხლს ორგანიზმი დაღუპვამდე მიჰყავს.

ასე რომ, შინ დაპრუნება ბონდოსთვის მხოლოდ ფორმალური აქტი აღმოჩნდა: იგი პირველ დღესვე აცნობიერებს, რომ მის ტვინსა და სულში ჩასახლებულ ეპილეფსიას, დაღლილ და დამუავებულ სისხლს ვერსად გაექცევა. სანავარდოს სახეცვლილება, ნახევარძმასთან შეხვედრა უფრო მეტად უძლიერებს ამ განცდას. ავტორი არსად ამბობს, როდის შეიტყო ბონდომ, რომ გუჯუ ლაბახუა მისი ნახევარძმაა. გუჯუსთან პირველი შეხვედრა ორპირის ბაზრობაზე ხდება, როცა კბილებდაღრჭენილ და შეშლილთვალებიან გუჯუს თვალებში ჩახედავს და: „გუჯუ იდგა გახედნილი მოზვერივით მორჩილი, ბონდოს წინ... ყარამან... ფიქრობდა და ვერ მიმხვდარიყო, რა ამოიკითხა მან გუჯუს თვალებში“ (56-57). ეს მხოლოდ ბონდომ იცის, რაინდთა გვარის ბოლო ნაშერმა, დაღლილი სისხლით.

სიმბოლურია, რომ სწორედ სულით ავადმყოფ, მაგრამ სხეულით ჯანმრთელ, სექსუალურად ჯანსაღ გუჯუსთან შეხვედრა გახდა კატალიზატორი ბონდოს მამაკაცური სისუსტის გახსენებისა. გუჯუსთან შეხვედრის შემდეგ იწყებს ის დაღლილ სისხლზე მსჯელობას და გუჯუ იქცევა მისთვის იმ უწმინდურად, გაცოცხლებულ, განსხეულებულ ოტიად, რომელსაც იგი სიზმრად ხედავს, „ასე მოდის ყოველ ღამე და ვიღუპები, მამაჩემო, ვიღუპები...“ (68). საინტერესოა ორი დეტალი: ბონდოს რეაქცია გუჯუს ყოველ დანახვაზე არის „შეაურუოლა“ (56, 103); და კიდევ: სიზმრად ნანას გუჯუს ბონდო სახარებას უღერებს — კიდევ ერთი დასტური გუჯუს უწმინდურად მიჩნევისა, მისი დრაკონიზირებისა. ცოცხალი გუჯუ ოტიას სურათს ჩაენაცვლა, დაასრულა, დაადასტურა საფრთხის ის მოლოდინი, რომელიც მამასაც და შეილსაც სულს უღრღნიდა; ნიათგამოცლილი ბონდო ოტიას სურათს დახსნას სთხოვს: „რა გინდა, ჩემო ბაბუ ჩემგან!... მომასვენე!.. ხომ ხედავ, არ შემიძლია!.. ცოდვა ვარ, ბაბულია... დავიღალე!.. მომცილდი!..“ (121).

დედის დასაფლავების შემდეგ ბონდო გუჯუ ლაბახუას ხვდება, როგორც ახალი ძალის, ახალი ადამიანის სიმბოლოს. ვნებაჩამქრალი, უილაჯო და უნიათო ბონდოს ფონზე ავტორი გუჯუს ასე ხატავს: „გუჯუ დგას კუნთებგატენილი ბარკლებით და თითქოს მიწიდან ამოზრდილა, ისეა მიწაზე დაბჯენილი. ბონდოს შეაურუოლა და დამფრთხალი თვალების ცეცხება დაიწყო... „გუჯუ, მოი!.. დაუძახა მას ვიღაც ახალგაზრდა ქალმა წკრიალა ხმით და გუჯუს შეაურუოლა. ვნებაანთებულმა დააღო პირი (103). იზმუვლა ატეხილი მოზვერივით, მკერდზე მუშტი დაიკრა, უცნაურად გაიპრანჭა და წინსაფარი აიწია... და იდგა სატანასავით ვნებააყეფებული, ბლაოდა და ეძახდა დედალს... ბონდო... გაიქცა და მუხლებში ჩაუვარდა გუჯუს. — გუჯუ!.. — გუჯუ!.. შენ შეგვეწიე, გუჯუ, შენ დაგვიფარე!.. ბლაოდა იგი ხელაპყრობილი და ფეხებს უკოცნიდა, თაყვანს სცემდა გუჯუ ლაბახუას..“ (104) ამ შემზარვ სურათში ჩანს გუჯუ, როგორც დროის მოტანილი პასუხი ბონდოს დაღლილ სისხლზე: გუჯუში სუბლიმირებულია ახალი ადამიანის პირუტყვული ენერგია, ეს არაა შიშველი ვნება, თუნდაც, ყოვლისწამლეკავი, მაგრამ ადამიანური, ესაა სატანური ვნება, სატანის ვნება. გუჯუსაც ისევე აურუოლებს, როგორც ბონდოს მისი დანახვისას. შემთხვევით არ ხმარობს ამ სიტყვას ავტორი ასე ხაზგასმულად, ესაა მაკავში-

რებელი განცდა ნახევარძმებს შორის. ბონდოს თაყვანისცემა გუჯუ ლაპაზუასადმი ფა-ლიკური სიმბოლოსადმი თაყვანისცემაა, აქ სარწმუნოების, რწმენის პაგანიზების თემაც იყითხება: ბონდო ისე სცემს თაყვანს გუჯუს, როგორც მორწმუნე — უფალს.

თინა ჩხაიძე ბონდოსა და გუჯუს წყვილს დიონისოს ორასპექტოვნებას უკავშირებს: ნიმფა აურა დიონისესგან ბადებს ტყუპებს, ერთ ჩვილს დედა გლეჯს (ესაა დიონისოს ტანჯული და მოკვდავი ასპექტი) მეორეს, ვაკეს, მამა გადაარჩენს და ათინას მიაპარებს. „ვაკხი — სასიცოცხლო ძალებით აღსავსე დიონისე გუჯუა, რომელიც ყარამანისა და მოახლის, გლეხის ქალის ნაბიჭვარია, ხოლო ტანჯული, მომაკვდავი დიონისე კი დიდი ფე-ოდალური გვარის უკანასკნელი ნაშიერი ბონდო ჭილაძეა“ (ჩხაიძე 2000: 45). „ბონდოსა და გუჯუშია გამოვლენილი კულტურისა და ბუნების, რაციონალიზმისა და ინტუიტური საწყისების შეპირისპირება. ესაა ჰარმონიული ერთის გახლეჩა, დანაწევრიანება, დეფორ-მირებაც კი და, ამასთანავე, ამბივალენტური ერთობაც“ (ჩხაიძე 2000: 44). გრიგოლ რობა-ქიძე მიიჩნევდა, რომ „დიონისოს გახელება იხსნის ქვეყანას“. არის თუ არა გუჯუ- ბნელი დიონისო ქვეყნის ხსნა?

ყარამანთან დიალოგში ბონდო კითხულობს: „— ბნელია ხომ, მამა?.. — რა იყო შვი-ლო?.. — მე ვიცი ერთი რამ!.. — რა?.. — გუჯუ ჩემი ძმა!.. — კმარა, ბონდო!.. — დაიკვენესა ყარამანმა... — ისიც ავადმყოფია, გიუია, მამა, იმიტომ, რომ ისიც შენი ნაყოფია!.. ყარამან ზარდაცემული უცქერის შვილს“ (122). ბონდოს მიერ ნათქვამი „ისიც გიუია“ - თვითშე-ფასებაცაა და გუჯუსადმი გამოტანილი განაჩენიც. ბონდო მიზეზსაც ასახელებს: „იმი-ტომ, რომ ისიც შენი ნაყოფია!“ - ეს უკევ მამისადმი გამოტანილი განაჩენია. ბონდო თან დიონისეს მეორე, ტანჯული სახეა, და თან ის Ego, რომელიც გუჯუ — Id-სა და ყარამანი — Super-Ego-ს შორის იჭყლიტება: Id ზედაპირზე ამოსვლას ლამობს, Super-Ego კი პასუხს ვერ სცემს Ego-ს, მორალისტად, სინდისის ქენჯნად ვერ გამოდგება, ისევე როგორც ოტია, რომ-ლის პირტეტი შვილსაც და შვილშვილსაც შეახსენებს, „ვისი გორისანი“ არიან. ნეკრო-ფილურ, უნარგამოცლილ ბონდოს სასიცოცხლო ენერგიით აღსავსე გუჯუ უპირისპირდება. ამიტომაც მილტვის ბონდო მისკენ, ამიტომ იზიდავს ნახევარძმა, როცა სამომავლო კითხვაზე „რა ვქნათ?“ მამისებან პასუხს ვერ იღებს, ამ პასუხს რაციონალიზმის ეპოქის ნარმომადგენელი ინსტინქტების სამყაროში ეძებს. რომანის თავდაპირველი ვარიანტის ესქატოლოგიურ ფინალშიც, შუა წარლენაში დგას წინსაფარ აწეული გუჯუ ლაპაზუა, მუხლებზე დაცემული ბონდო კი შებდავლებს: „— შეგვეწიე, უფალო ფალო!“ („მნათო-ბი“ 1924). შემდგომ გამოცემებში სანავარდოს მყუდროებას ახალი, წვივმაგარი ხალხი და მატარებელი არღვევს, (რომელიც შესაძლოა 1905-1907 წლების რევოლუციის სიმბოლოც იყოს). ხომ არ ნიშნავს ეს იმას, რომ ორივე გზა — ბონდოც და გუჯუც — ავტორის მიერ უარყოფილია?! ამდენად, გუჯუ არა გადარჩენის, ახალი გზის მოდელია, არამედ უფრო კვაზიმოდელი (ასეთი გადანაცვლება, დეფორმირება მოდელებისა „სანავარდოში“ მრავ-ლადაა). ეპოქის მთავარი გამოწვევა — ფალოცენტრული სამყაროს ნგრევის დასაწყისი — ახალმა, „წვივმაგარმა“ ხალხმა უნდა შეაჩეროს. ისინი მოდიან მატარებლით, რომელიც ანადგურებს ჭაობადქცეული სანავარდოს მყუდროებას.

დემნა შენგელაია იყო ერთ-ერთი პირველი ქართველი მწერალი, რომელმაც სისხლი, როგორც სიმბოლო, ერის სიცოცხლისუნარიანობის განმსაზღვრელად აქცია. სისხლი ადამიანის ორგანიზმის უმთავრესი, მამოძრავებელი ძალაა, უძველესი დროიდან მოყო-ლებული ნაყოფიერების, გამრავლების, მზიური ენერგიის, ჯანმრთელობის, სიცოცხლის,

ხრწნილებიდან აღდგომის, ძალის, საკრალიზების, ნათესაობის, ერის ერთიანობისა და ეროვნული იდენტობის სიმბოლო, ქრისტიანული ლიტურგიის განუყოფელი ნაწილი, გენეტიკური ინფორმაციის მატარებელია, მოდგმისა და ჯიშის ნიშანს რომ ინახავს („სისხლმა იყივლა“ — ანუ წინაპართა ნიშანი გამოჩენდა მემკვიდრეში). დაღლილი, ანემიური სისხლი კი — ავადმყოფი სისხლია, რომელიც საკუთარ ფუნქციას ვერ ასრულებს: სისხლს უანგბადს ვერ აწვდის, ვერ კვებავს, რაც ჰიპოქსიას — უანგბადის ნაკლებობას და სიკვდილს იწვევს. მოწინააღმდეგე — ახალი ხალხია ახალი სისხლით: ისტორიის ფართო ასპარეზზე ახლად გამოსულნი, სიცოცხლითა და დაუშრეტელი ენერგიით სავსე, ჭაბუკური ძალის მქონე, გაუნათლებელი და კოსმოპოლიტური იდეებით შეპყრობილნი, რომელთა დრო-სივრცულ არეალშიც ღმერთი მოკვდა! მათ არ ესმით ჭაობში ჩაძირული ხალხის სევდა და ტკივილი, მათი ტოლი და ფარდი გუჯუ ლაბაბუაა.

დემნა შენგელაიასეული დაღლილი სისხლი — ილიასეული თერგის საპირწონე და იმ ტრაგიკული ვითარების გამართლება თუ არა, ახსნა მაინცაა, საქართველო XX საუკუნის დასაწყისში რომ აღმოჩენდა. ბონდო ჭილაძე იმ კლასის ნარმობადგენელია, რომელსაც ქვეყნის ბედ-იღბალზე პასუხისმგებლობა ეკისრებოდა, თუმცა, წარსული დიდება მხოლოდ საფლავის წარწერებს შემორჩაო, — გვამცნობს მწერალი და ჭილაძეთა გვარის დეგრადირების სურათს ხატავს: ოტია მექალთანე და გარყვნილი იყო, ყარამანი — უნდილი, წარსულ დროებაზე ფიქრი მალევე რომ მოიკლა, ბონდოს ძარღვებში კი უკვე დაღლილი და დამჟავებული სისხლი დის.

## დამოწევანი:

**არილი 2009:** გოეთე. „ფაუსტი“. არილი, 24.01. 2009.

**ასათიანი 1971:** ასათიანი გ. „სამი საღამო დემნა შენგელაიასთან“. გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 5.12.1971.

**ახალი აღთქმა 2003:** ახალი აღთქმა. „რაეო“, 2003.

**ბიბლია 1989:** ბიბლია. თბ.: საქართველოს საპატიოარქოს გამომცემლობა, 1989.

**ბელოვა... 2002:** Белова О., Петрухин В. Славянская мифология. Энциклопедический словарь. М.: 2002.

**კვანტალიანი 2004:** კვანტალიანი ს. „დიონისოს ღიმილი“ და „გველის პერანგი“: მამისა და ძის ურთიერთობის ორი მოდელი“. „კრიტერიუმი“, № 62, თბ.: 2004.

**მახაური 2011:** მახაური ტ. ფოლეკლორულ-ეთნოგრაფიული ნარკვევები. წიგნი III, თბ.: 2011.

**სირაძე 2000:** სირაძე რ. კულტურა და სახისმეტყველება. თბ.: 2000.

**ფროიდი 1990:** Фрейд З. Избранное. М.: 1990.

**შენგელაია 1968:** შენგელაია დ. სანავარდო. // თხზულებანი. ტ. I. თბ.: „საბჭოთა საქართველო“, 1968.

**ჩხაიძე 2000:** ჩხაიძე თ. მიბრუნება წარმართობისაკენ. თბ.: 2000.

**მცირე სამედიცინო ენციკლოპედია 1966:** Малая медицинская Энциклопедия. М.: 1966.

**იდუმალ ცოდნათა გაზეთი:** Газета тайных знаний <http://miryasnosveta.ru/news/misteriya-krovi/>

**უახლესი ფილოსოფი ლექსიკონი 2003:** Новейший философский словарь. М.: Книжный Дом, 2003.

**შტაინერი 1906:** Штайнер Р. Окультическое значение крови. 1906. <http://lib.ru/URIKOVA/STEINER/occultsignificansofbloodr.txt>

**Nato Oniani**

## **A Concept of “Tired Blood” in Demna Shengelaya’s Modernist Novel**

### **Abstract**

**Key words:** “tired blood”, people with strong muscles, fruitlessness, ancestral sickness, estrangement.

The paper deals with the problem of a “tired blood”, “tired stock” on the verge of the 19<sup>th</sup> and 20<sup>th</sup> centuries in the novel *Sanavardo*. Blood as a phenomenon has become a symbol containing genetic and biological and cultural and moral aspects. Tired blood is one of the most important concepts in Demna Shengelaya’s modernist prose and in *Sanavardo* he describes this in the context of the decline of the Chiladzes aristocratic family, fruitlessness of Sanavardo and intrusion of Skoptses that symbolically reflects the tragedy of old intelligentsia against the background of Russia’s aggression, Nietzsche’s death of God and disappearance of aristocracy from the social arena.

The author considers the unity of social, masculine activity and the duty of a man to his family and offspring. The main character of the novel, Bondo Chiladze, is fruitless in all three aspects; he condemns himself and his title out of his own mouth: “A tired man with a tired blood! How many centuries our blood flows in our veins? We can leave; others will take our place, with strong muscles and new blood”. Blood is tired, blood turned sour, blood has become old – this is a response of the aristocracy of Bondo Chiladze’s generation and argument in contrast to inevitability of the ideology of new people’s with strong muscles. By focusing on blood the writer underlines its sacral meaning: new people are coming with the new blood, this is renovation, blood transfusion to weakened and degenerated national body, this is the chance to survive, if not survival, at least maintenance of the existence because otherwise sour and tired blood leads to the death of the organism.

Demna Shengelaya was one of the first Georgian writers who used blood as a symbol for determination of nation’s survival ability. Blood in human body has been the most important, driving force since ancient times – symbol of fertility, reproduction, solar energy, health, life, national identity, integral part of Christian liturgy, bearer of genetic information, which preserves the feature of kindred and breed. Tired, anemic blood is very unhealthy and fails to fulfill its function and cause death. In opposition to the Chiladzes new people are coming with new blood: newly appeared on broad historical arena, full with vitality and unquenchable energy, seized with illiterate and cosmopolitan ideas in whose space and time there is no God. If not justification Demna Shengelaya’s tired blood is at least an explanation of that tragic situation in which Georgia found herself in the beginning of the 20<sup>th</sup> century. Bondo Chiladze is a representative of the class that was responsible for the country’s fate but greatness of the past remained only on tombstone inscriptions, informs the writer and describes a picture of degradation of the Chiladze family: Bondo Chiladze’s grandfather Otia was a womanizer and seducer, father Karaman was inactive, who quickly killed the thought about the past and in Bondo’s veins flows already tired and sour blood.

## მაია ჯალიაშვილი

### ღვთაებრივისა და დემონურის ჭიდილი გრიგოლ რობაქიძის ესეების მიხედვით

„დმერთსა და არარსებობას შორის ჭიდილისას მოხვედრილი ადამიანური არსება მუდმივად თავის მეტაფიზიკურ საზღვარს ეხლება; უცარი უძლურებისას, არარსებობის შურისძიებამდე, მას თაურშიში შეიპყრობს“ (რობაქიძე 2012ა: 51), — წერს გრიგოლ რობაქიძე და თავისი შემოქმედებითა თუ ესეებით ცდილობს ახსნას თაურშიშის გამომწვევი მიზეზები და მოძებნოს მისგან თავდაღწევის გზები. მისი აზრით, „ყოველ საწყისში თაურსაწყისი თვლემს და მარადიული ცალკეულშია წარმოდგენილი. და თუ ცალკეული თავის თავზე მარადიულის გამანაყოფიერებელ ზემოქმედებას შეიგრძნობს, ამგვარად ის მარადიულთან წილანაყარია. მაშინ მისთვის ყოველი სასიკედალო ზღვარი მეტად აღარ არის საბედისწერო საფრთხე და, მეტაფიზიკურ მიჯნას შეჯახებული მისი „მე“ შეიძლება გადარჩეს“ (რობაქიძე 2012ა: 51).

მწერლის ფიქრი ამ ესეებშიც („დემონი და მითოსი“) ერთ მთავარ კითხვას დასტრიალებს: როგორ შეიძლება აიხსნას სამყაროს საიდუმლოება? მისი აზრით, ამ საიდუმლოს გასაღები ღვთაებრივ და დემონურ ძალთა ჭიდილის გააზრებაშია.

„საგნებს ოცნების მსგავსად უნდა მიეახლო, შინაგანად ჭეშმარიტებისათვის ანთებული – რათა კოსმიურად განვითარებული მასზე თვითნებობისა და ჩარევის გარეშე შევიმეცნოთ“, — წერს გრიგოლ რობაქიძე 1935 წელს გერმანიაში გერმანულ ენაზე გამოცემული ესეების კრებულის „დემონი და მითოსი“ წინათქმაში (რობაქიძე 2012ა: 5). იგი, როგორც თვითონ აღნიშნავს, საგნებს ჭვრეტით, ე.ი. პოეტურად შეეხო და ამ წიგნში წარმოაჩინა შთაბეჭდილებები, ანაბეჭდები, ან უკეთ, ვიზიონების წამიერი გამოსახულებანი.

ამ ესეებში ყოველივე სულიერი მზერითაა განხილული. მწერალი წინათქმაში აღნიშნავს, რომ დედამინას გაიაზრებს, როგორც კოსმიურ არსებას, „კოსმიურ სულს“. მწერალს აღელვებს მისი ბედი, გრძნობს, რომ მეორე მსოფლიო ომის შემდეგ მისი „ეთერული სხეული მძიმე განსაცდელშია“.

რობაქიძე ფიქრობდა, რომ დედამინაზე ორგვარი ძალა მოქმედებდა: ერთი დედამინას განიხილავდა როგორც მატერიას. ამგვარი თვალსაზრისი მას არასწორად მიაჩნდა: „დედამინა განხიბლულია და ღვთისგან მიტოვებული. მარადიული უარყოფილია და ინდივიდუალური პატივაყრილი. ამიტომაც იგი სწორედ ამ ძალას უწოდებდა დემონურს და მას განსაკუთრებით ამჩნევდა „საბჭოთა კავშირში“. ეს დემონური, გამანადგურებელი, სულის გამხრნელი, სიცოცხლის უარყოფელი ძალა კარგად წარმოაჩინა რომანში „ჩაკლული სული“.

მეორე ძალა კი დედამინას აღიქვამს, როგორც სულიერს, დიდ დედას, ამ თვალსაზრისით, ყოველი მოვლენა სამყაროსთან კოსმიურ კავშირშია და მითიურად განიხილება. თვითონ სწორედ ამგვარად, მითიურად, გაიაზრებდა სიცოცხლეს.

ასე რომ, ესეების სათაურად მწერალმა გამოიტანა მთავარი სათქმელი: „დემონი და მითოსი“. საზოგადოდ და თანამედროვე სამყაროშიც ერთმანეთს უპირისპირდება დემონური და მითოსური ძალები. დროის კონტექსტის გათვალისწინებით, მითოსურ ძალთა ასპარეზად მწერალს XX საუკუნის 30-იანი წლების გერმანია მიაჩნია, ხოლო დემონურ

ძალთა საუფლოდ — საბჭოთა კავშირი. ეს იყო საბედისწერო დრო მსოფლიოსთვის, რადგან ყველა გრძნობდა, როგორ მზადდებოდა რაღაც საზარელი კაცობრიობისთვის. უმთავრეს საფრთხედ მნერალს კომუნისტური იდეოლოგია მიაჩნდა, ჯერ კიდევ 1932 წელს გამოცემულ „ჩაკლულ სულში“ წარმოაჩინა ამ სულისგამხრწნელი რეჟიმის არსი, რომელიც თავისი ბუნებით სატანური იყო, საბჭოეთის დემოკრატია კი მას მიაჩნდა დემონკრატიად. ამ რომანში მან გაჩხრიკა სტალინის ფენომენი და მისი ფსიქოლოგიურ-ფილოსოფიური პორტრეტი შექმნა თავში „სტალინის ჰინობის“ და შეცვადა იმ ძალთა დადგენას, რომელთაც წარმოშვეს ურჩხული, სიყვარულის უნარს მოკლებული. ესების ამ კრებულში რობაქიძემ გადმოიტანა ეს თავი, ოლონდ შეცვალა და დაამატა კიდევაც.

ამ ესებში მნერალი ორივე ძალას, დემონურსა და მითოსურს, სხვადასხვა ასპექტით წარმოაჩენს, რადგან სწორედ ესენი მიაჩნია ყოფიერების განმსაზღვრელად.

რატომ სწორედ ევროპის ეს ნაწილი, გერმანია მიიჩნია რობაქიძემ მითოსურ ძალთა სამკიდროდ? „ამ კითხვას რომ ვუპასუხოთ, სულიერად უნდა ჩავიძიოროთ გერმანულ მისტიკაში, გერმანულ მხატვრობაში, გერმანულ პოეზიასა და გოეთეს ფენომენში“ (რობაქიძე 2012ა: 4). თვითონ სწორედ ამგვარად „იძირებოდა“ ამ ყოველივეში, ამიტომაცა მისეული თვალსაზრისები და მოვლენების ანალიზი ასეთი შთამბეჭდავი და ორიგინალური.

ამ ესებში კითხვისას, როგორც მნერალს სჯეროდა, მართლაც, „საგნები გონებაში უეცრად გამოჩნდება და გამოანათებს ახალ კონტექსტში“. მკითხველისთვის სულიერი მზერის გასახსნელად მნერალი მას ნეფერტიტზე ესეს სთავაზობს. იგი წინათქმაში მკითხველს უხსნის, არ შეაცბუნოს დროის კონტექსტში ნეფერტიტის ხსენებამ: „თუმცა ფარაონის მეუღლე ნეფერტიტი ჩვენგან ათასობით წლითაა დაშორებული, მაგრამ იქ, სადაც დედამინა სულიერი მზერითაა განხილული, ის ჩვენს თანამედროვედ რჩება“ (რობაქიძე 2012ა: 6). მნერალი ნეფერტიტის პორტრეტს მიიჩნევს სხვა პორტრეტ-თა გასაღებად. რატომ?

მნერალი მას — მზის ქალიშვილს — სიცოცხლისა და სიკვდილის მიღმა არსებულ, უსასრულობის განსახიერებად მიიჩნევს და მის სხეულს წარმოაჩენს, როგორც ფორმის სრულყოფილებას, მაგრამ მთავარი მისი სულია. ნეფერტიტი მას ეგვიპტის მიწის ნორჩ ყლორტად წარმოუდგება. ნეფერტიტის მეუღლე, ეხნატონი მზეს ჰიმნებს აღუვლენდა და მზის ხატებაში ნეფერტიტის ღვთაებრივ სილამაზესაც გულისხმობდა.

ნეფერტიტი ამ ესეში, მართლაც, სულიერი მზერითაა განხილული. მნერალი ისე შთამბეჭდავად აღწერს ქალის თავის ყოველ დეტალს, მკითხველსაც სულიერი თვალი ეხილება და მატერიალური ფორმების მიღმა ჭვრეტს უხილავს. მნერლის დაკვირვებული მზერა მიემართება ნეფერტიტის ყელიდან თვალებისკენ. განსაკუთრებულ ყურადღებას მის თვალებსა და მზერას მიაქცევს: „მისი ხედვა შიგნით შეიგრძნობს: მისივე სისხლის ჩუმ სიმღერას... უკიდეგანო დაბლობზე მქრქალ მეტალისებურად მძიმედ ეშვება ცისფერი ჩრდილები და სინათლის ოკეანის ფონზე ქალის რბილინაკვთები მკაცრად და სუფთად იკვეთება“ (რობაქიძე 2012ა: 8). ეს სტრიქონები პოეტური პროზაა.

ნეფერტიტის მზერისას მნერალი შეიმტკნებს ყოფიერების არსს. მზე საკუთარ თავს თავად წარმოშობს. ამ მისტერიის სიმბოლოა ეგვიპტეში წმინდად აღიარებული ხოჭო სკარაბეუსი, საკუთარ თავზე რომ ქორწინდება. ნეფერტიტის მზერისას მნახველმა მის ირგვლივ არსებული იდუმალება უნდა შეიგრძნოს. ამ სიტყვების გასაგებად მნერალი იხსენებს, თუ რა ურჩია დანაღვლიანებულ მბრძანებელ სწორუს ბრძენკაცმა: აევსო ნავი შიშველი ლამაზი გოგონებით და ტბაზე გაესეირნა. მართლც, ქალწულებს ბადეები გადააცვეს და

ნიჩბების მოსასმელად დასხეს. ასე ფრთხილად, თავშეკავებულად შეძლო მბრძანებელმა შიშველი სხეულებით ტკბობა და სიცოცხლის ხალისი დაუბრუნდა.

ნეფერტიტის სახეში მწერალი წარმავლობის სევდით აღძრულ მსუბუქ ჩრდილსაც შენიშნავს, მაგრამ მთავარი ის მითიური სახეა, რომელიც ამ მატერიალურ სხეულში უცებ იელვებს.

ქურუმებს სჯეროდათ, რომ 19 ივლისს მზის თვალიდან წვეთი ეცემოდა პატარა ნაკადულში, რომელიც მას ნილოსად აქცევდა.. ადიდებული მდინარე კი წყარო იყო ტანჯული მიწის კვლავ გაცოცხლებისა, გამხმარ ხეთა აყვავებისა. სწორედ ამ „წვეთის ღამეს“ აღესრულებოდა სიცოცხლის მისტერია.

მწერალი სვამს კითხვას: ხომ არაა ეს წვეთი თავად ნეფერტიტი, რომელიც სიცოცხლის ხალისს აძლევდა ეგვიპტის მიწას.

როდესაც მნახველი ნეფერტიტს უმზერს, მასში უთუოდ მარადიულობას შეიცნობს: „იგი მთლიანად წამშია გახსნილი და წამი მასში მარადისობის მდუმარე შთაბეჭდილებაა“. რობაქიძე გოეთეს ზულეიკას სიტყვებს იხსენებს: „მარადისობა ღვთის ნებაა, / მას ჩემში უყვარს ეს წამი“ — და დაასკვნის: „ეს ის წამია, რომელიც ნეფერტიტში მარადისობადაა ქცეული“ (რობაქიძე 2012ა: 10).

რობაქიძის აზრით, უცნობმა მოქანდაკემ ფარაონის საოცარი მეუღლის პლასტიკურ სახეში იდუმალებით აღსავს „კა“ გადმოსცა. რა არის კა? „არსის შინაგანი სუბსტანციაა: ის სამყაროს შექმნამდე ცოცხლობს, დედამიწაზე თავის თავს განახორციელებს, სიყვდილის შემდეგ იგი სულის სფეროებში ადის, ის განუმეორებელი სახეა... მასში ღვთაებრივი იხსნება. ამის შედეგად იგი მარადიული ხანგრძლივობის ნიშანს იღებს. ის მოუხელთებელია და, ამავე დროს, ნათლად შეგრძნებადი... ეგვიპტელისთვის ყოველი წამი ამ კა-თია გამსჭვალული. ამის გამო ეგვიპტელი ყოველ წამში შეყვარებულია“. სწორედ ამიტომ ამუმიფიცირებს სხეულსაც: „კა მუმიაშია ჩაძირული. მუმია კი თვლემს და ირგვლივ ყოველივე ზემინიერებით სუნთქავს“ (რობაქიძე 2012ა: 11).

მწერლის აზრით, ეგვიპტეში მითი ქვად არის ქცეული, ამას მოწმობს ქვეყნის ობელისკები, სარკოფაგები, ტაძრები, სფინქსები. ეგვიპტელი შეიცნობს და ფორმას აძლევს კა-ს, ამიტომაც არის, რომ ასე გამაოგნებლად ზემოქმედებები მკითხველზე ეგვიპტის სკულპტურული გამოსახულებანი. ისინი თითქოს ცოცხალი არსებანი არიან: „ნახატი გამოსახულის მოუხელთებელ არსა თავის თავში ინახავს... ეგვიპტელის მიერ გამოსახულ მასალაზე ჩანს კა, როგორც ახლა შეძენილი და ხორცშესხმული“.

სწორედ ეს კა აცოცხლებს ნეფერტიტსაც, რომლის იდუმალ ღიმილსაც რობაქიძე ჯოკონდას ადარებს და მათი ღიმილების განსხვავებულობაზე ამახვილებს ყურადღებას. მონა ლიზა, სავსე გამოცდილებით, თავის ქალურ უპირატესობაშია დარწმუნებული და დამთრგუნველად ზემოქმედებს მამაკაცზე, რომელიც კოსმიურ სისუსტეს შეიგრძნობს. „ნეფერტიტის ღიმილი კი ქალწულებრივი შიშის მომზიბვლელობითაა აღსავსე. მისი იზისის ძალა შეყვარებულის მზის თესლით ნაყოფიერდება“. მზის პოეტი, მზის ძალის მფლობელი ეხნატონი, ვისაც ჩვეულებად ჰქონდა თავის თავზე ეთქვა: „მე სინამდვილით ვცოცხლობ“, მიეახლებოდა მშვენიერ მეუღლეს არა უინისათვის, არამედ „რათა ღვთაებრივ შენში წარუვალი საკუთარი სახე შეენარჩუნებინა“ (რობაქიძე 2012ა: 13).

მწერალმა იცის, რომ დრო დაშლის ამ მშვენიერ ბიუსტსაც და სვამს კითხვას: „გაქრება მასთან ერთად ნეფერტიტიც?“ მისი პასუხი მრავალმნიშვნელოვანია და დამაფიქრებელი: „არა! წაიშლება მეცხრე სიმფონია, როდესაც ოდესმე ყველა ვიოლინო, საყვირი, ყველა

ჰობოი და ფაგოტი განადგურდება. ალბათ ისინი სადღაც ტონის სამეფოში სამყაროს აღ-სასრულამდე კვლავ იუდერებენ, ამგვარად, მუსიკალური ტალღა, ნეფერტიტი, ისევ მარა-დისობისთვის ცოცხლობს“ (რობაქიძე 2012ა: 20).

როგორ შეიძლება დროსთან შეტიდება, მისი უკან დაბრუნება?

რობაქიძის აზრით, ადამიანი მუდმივად საიდუმლოს წინაშეა უცხო შიშით შეპყრო-ბილი. რაღაცის, თანაც, ავის მოლოდინი უფლეთს ადამიანს გულს. რატომ? მწერალი ცდილობს ამ მოვლენის ახსნას ესეში „თაურშიშ და მითოს“.

ადამიანს უცნაური შიში იპყრობს მაშინ, როდესაც მეტაფიზიკურად ეხება ყოფიერე-ბას, როდესაც მატერიალისტურად ვერ ხსნის რაიმე მოვლენას. მწერლის აზრით, შიში ყოფიერებაშია ფესვგადგმული, რადგან ადამიანის „მე“ გამუდმებით ეხლება საზღვარს, რომელიც მეს ანადგურებს. არადა, „არაფერია უფრო ტკბილი, ვიდრე საკუთარი „მეს“ შემოსაზღვრული კიდევებით ტკბობა. მწერალი სვამს კითხვას: „არის კი „მე“ კოსმიური ბოროტება?“ ამ კითხვაზე საპასუხოდ მწერალი იხსენებს „ბიბლიას“, თუ როგორ დაარ-ღვიეს ადამმა და ევამ ღვთის ნება და სამოთხე დაკარგეს. მწერალი სვამს კითხვას: „სი-ნამდვილეში „მე“ ხომ არ არის წყევლა, რომლისგანაც ადამიანს სურს თავი გაითავისუ-ფლოს?“ აღმოსავლურ სამყაროში მესგან გათავისუფლება ცხოვრების წესივითაა. ამის დამადასტურებლად მწერალი მოიხმობს მაგალითებს: „ჩინელი შორდება „მეს“, როდე-საც ცდილობს, თაურარსს მიუბრუნდეს. ინდუსი საგნებს, მათ შორის. საკუთარ „მესაც“, მარადიულ გამონათებად აღიქვამს და თავდავინწყებით უპიროვნო ნირვანას ერწყმის“ (რობაქიძე 2012ა: 27). რობაქიძე ჯალალ-ედინ-რუმის (რომელსაც იგი ნათელმხილველს უწოდებს) სტრიქონებსაც მოიხმობს დასტურად:

„...სადაც სიყვარული იზრდება,

კვდება „მე“, ბნელი დესპოტი.

გათავისუფლდი ამ „მესგან“, მოკვდეს ღამეში

და განთიადზე თავისუფლად ამოისუნთქე“ (რობაქიძე 2012ა: 28).

ამგვარად, აღმოსავლეთისთვის „მეს“ სიკვდილი სამყაროსთან თავისუფალ ურთიერ-თობას უხსნის გზას. დასავლეთშიც აქვთ განცდა იმისა, რომ მე შემბოჭველია, მაგრამ აქ მისგან მთლიანად მაინც ვერ თავისუფლდებიან.

რობაქიძე ბიბლიაში ეძებს მეს საიდუმლოს გასაღებს და პოულობს კიდეც. მისი აზრით, მე არა მხოლოდ წყევლა, არამე ყოფიერების უმაღლესი საჩუქარია. იგი ყურადღება მიაქცევს იმას, რომ „შესაქმები“ ღმერთს „ელოპიმი“ ეწოდება, რაც ძველებრაულად „ღმერთებს“ ნიშნავს. იგი ცდილობს ამ უცნაურობის ახსნას და მახვილგონივრულ მსჯელობას ამგვარ დასკვნას მოაყოლებს: „ღმერთი „მეა“, უზენაესი და ყველაზე სიღ-რმისეული, მაგრამ, ამავე დროს, „სხვაცაა“, იგი საკუთარ თავს თავისივე თავისგან წარ-მოქმნის, და როდესაც მისგან შექმნილი მისი „მესგან“ გამოცალკევებულია, ის თითქმის „სხვაა“, თითქმის უცხო“ (რობაქიძე 2012ა: 30).

რობაქიძე სამოთხისეულ ადამს ბავშვს ადარებს, რომელსაც არა აქვს სივრცის აღქმა. მისი „მე“ არ იცნობს საზღვარს და უსასრულობის ნანილია. მხოლოდ აკრძალული ნაყო-ფის გემოსხილვის შემდეგ (რობაქიძე იმასაც მიაქცევს ყურადღებას, რომ ქართველთა ტრადიციით, ადამმა ვაშლი კი არა, ღელვი იგემა), ღვთაებრივთან განშორებისას, შეიგ-რძნო სიშიშვლე, მეტაფიზიკურ საზღვრებთან შეხებამ მას შიში გაუჩინა „მეს“ გაქობისა.

საინტერესოა, თუ როგორ გაიაზრებს რობაქიძე ევასა და ადამის მაცდუნებელი გვე-ლის სახეს. აქ იგი ორიგინალურ ახსნას გვთავაზობს. მისთვის გველი სწორედ ეს საზღვარია — „გესლიან-ცივი ტალღა, რომელიც ღვთაებრივსა და არაღვთაებრივს შორის ელვისებურად მიკლავნება“. ამგვარად, მისთვის გველი „თაურშიშის ხორცშესხმაა“. ამ შიშს დევნიან „ან კლავენ (ნმინდა გიორგი და დრაკონი), ან უყავებენ (გველის შელოცვა), ან სულაც თაყვანს სცემენ (მაგალითად, გველის კულტი საქართველოში, სვანებთან). გველი ოდენ ურჩხული არ არის, ის მეტაფიზიკური რეპტილიაა. ზიგფრიდი დრაკონის სისხლისგან ახლად დაიბადა, მას ესმის ჩიტების გალობა და ხეების ჩურჩული. ქართული მითის მიხედვით, მინდია, მას შემდეგ, რაც მან გველის ხორცი გასინჯა, ყველა ცოცხალი არსების ენას იგებს“ (რობაქიძე 2012ა: 32).

მნერლის აზრით, ყოველ არსებულში (სულიერსა თუ უსულოში) თაურსანყისია იდუმლად, რაც წარმოშობს ყოფიერების მითიურ აღქმას, რომელიც მარადიული უკანდაბრუნების იდეაში გამოიხატება. რობაქიძე პითაგორას იხსენებს, ეგვიპტურ სადუმლოებებს ნაზიარებ ბრძნენკაცს, რომელმაც მარადიული უკანდაბრუნების იდეა გააცნო მსოფლიოს. პითაგორელებს სჯეროდათ, რომ ათასი წლის შემდეგ ისინი კვლავ შეხვდებოდნენ ერთმანეთს და კვლავ მოისმენდნენ ამ იდეას. შეიძლება ეს ვინმეს სასაცილოდ შეიძლება მოეჩვენოს, მაგრამ დემონური კი ნამდვილად არისო, ფიქრობს რობაქიძე.

საგულისხმოა, რომ მნერალი ევროპულ აზროვნებაში გაშლილ ამ იდეას მცდარად მიიჩნევს. იგი მკითხველს ნიცშესეულ თვალსაზრისს შეახსენებს: „ყოფიერების მარადი ქვიშის საათი მუდამ გადაბრუნდება და მასთან ერთად შენც, მტვრის მცირე ნამცეცი მტვრისაგან“. მისივე აზრით, ამგვარადვე აღიქვამდა ამ იდეას დოსტოევსკი („ძმები კარამაზოვები“, ეშმაკი ივანთან, სვიდრიგაილოვი „დანაშაული და სასჯელი“). რობაქიძე ფიქრობს, რომ ცალკეული მარად კი არ უბრუნდება საკუთარ თავს, არამედ მარადიული, იგივე თაურსანყისი, ბრუნდება ცალკეულში. მისი აზრით, სწორედ ეს არის „თაურმითოსი ყოველივე მომხდარისა დედამიწაზე“ (რობაქიძე 2012ა: 34).

როგორ შეიძლება ყოველივე ამის შემეცნება? რობაქიძის აზრით, მხოლოდ ჭვრეტით. სამწეხაროდ, ადამიანმა დაკარგა „მითიური ჭვრეტით საგნების ხილვის უნარი და სიკვდილივით ცივი ცნებები აქ საბოლოოდ უძლურია“. თუმცა რობაქიძე ბედნიერ გამონაკლისად მიიჩნევს გოეთეს, რომელიც მას „აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის მსოფლიო-ისტორიული სინთეზის ცოცხალ ხატად“ აღიქვამს. მისი აზრით, გოეთე საგნებს წმინდა მითიურად სწვდება და მარადიული დაბრუნების თაურმითოსს სიმბოლურად ხსნის. რობაქიძე მკითხველს კიდევ ერთხელ გამოწვლილვითა და ხატოვნად უხსნის იმ გზას, რომელმაც გოეთე თაურსანყისის გენიალურ აღმოჩენამდე მიიყვანა. საგულისხმოა, რომ ამ თემას რობაქიძე სხვადასხვა წერილში ხშირად დასტრიიალებს და მისი რომანებიც სწორედ თაურსანყისის, მარადიულის ერთეულში განცდის, იდეას დასტრიიალებს.

რობაქიძე გოეთესა და შილერის ერთ შეხედრას იხსენებს, რომელშიც წარმოჩნდება ორი განსხვავებული სამყარო, ორი სახე ჭვრეტისა. გოეთემ შილერს თაურმცენარის მეტაფიზიკა გააცნო და სიმბოლური პალმის მცენარე დაუხატა. შილერს უთქვამს: „ეს ცდა არ არის, ეს იდეაა“. ამაზე გოეთეს უპასუხია: „მე იდეებს არა მხოლოდ ვიცნობ, არა-მედ ვხედავ კიდეც“ (რობაქიძე 2012ა: 36).

ამგვარად, რობაქიძეს მიაჩნია, რომ თაურმცენარის იდეა მოაზროვნეს საშუალებას აძლევს ყოფიერება წარმოიდგინოს, როგორც მითიური რეალობა: „ყოველივეში თაურსანყისი თვლებს და მარადიული ცალკეულშია წარმოდგენილი“.

რობაქიძე პოულობს გასაღებს, თუ როგორ უნდა დაძლიოს ადამიანმა თაურშიში. მან თავი მარადიულთან წილნაყარად უნდა შეიგრძნოს, მაშინ მისთვის ყველა სასიკვდილო ზღვარი წაიშლება და „მეტაფიზიკურ მიჯნას შეჯახებული მისი მე გადარჩება“. მას სჯერა, რომ მითიური რეალობის ცოცხალი წვდომა არის თაურშიშის დაძლევის ერთადერთი გზა.

თაურშიშის ფენომენი მწერლისთვის საყრდენია, რომელიც ეხმარება მას ერთმანეთისგან განასხვავოს აღმოსავლეთი და დასავლეთი („სიცოცხლის განცდა აღმოსავლეთსა და დასავლეთში“). მისი აზრით, ადამიანის გონებაში მუდმივი ჭიდილია ღმერთსა და არარსებობას შორის, მაგრამ ამ ჭიდილისას აღმოსავლელი მესგან თავისუფლდება და თაურსაწყის უახლოვდება, მას არ შორდება დაკარგული სამოთხის წუხილი. ამ წუხილს შეიგრძნობს მწერალი აღმოსავლური სიმღერების მონოტონურ ნაღვლიან ჟღერაში, ქარავნის ნელ სვლაში, აქლემთა მეღანქოლიურ მზერაში — სამშობლოს მეტაფიზიკური სევდა აქ ყოველივეს ჟღინთავს.

რობაქიძის დაკვირვებით, დასავლეთში თაურშიში დასაძლევად ადამიანი საკუთარ „მეს“ კი არ ამდაბლებს, არამედ აფართოებს და ამგვარად მე ნაკლებად განიცდის ტყივილს, თითქოს მეტაფიზიკურის საზღვრების გადაწევა ხდება, მაგრამ არ იშლება. საზღვართან შეხლა კი შეიძლება მოულოდნელი და დამანგრეველი აღმოჩნდეს. მწერალს მოჰყავს მაგალითი საშუალო ამერიკელისა, 77-ე სართულზე რომ ცხოვრობს, არაფერი აკლია — სამსახური, მეგობრები, საქმეები, ურთიერთობები, მაგრამ იგი წლების განმავლობაში ვერც ერთ ცხოველს ვერ ხედავს და ფოთოლთა სურნელებას ვერ შეისუნთქავს. იგი საზღვრებს ვერ შეიგრძნობს, მაგრამ საკმარისია ერთი შეცდომა ამ მექანიკურ ცხოვრებაში, რომ ყველაფერი დაკარგოს — სამსახური, ურთიერთობები, მაშინ გაუსაძლიოს სიცარიელე ისადგურებს, რომელიც მას არარაობად აქცევს.

აღმოსავლეთისა და დასავლეთის მეტაფიზიკურ მსგავსება-განსხვავებას არაერთგზის შეხებიან და რადიკალურად განსხვაბული აზრებიც გამოუთქვამთ. რობაქიძისთვის ეს ნაცნობი და საყვარელი საფიქრალია, ამიტომაცაა, რომ მის წერილში არსობრივად და ხატოვნადაა გაჩრეკეილ-გაანალიზებული ეს თემა.

მწერალი მკითხველის ყურადღებას მიაქცევს აღმოსავლური და დასავლური ლანდშაფტებისკენ. მისი აზრით, აღმოსავლეთის პეიზაჟები ადამიანს მარადიულობის სუნთქვას შეაგრძნობინებენ, აქ დედამინა კოსმიური ყოფიერებაა, რომელშიც მითის სუნთქვაა: „დრო აქ არ მიედინება, ის, სივრცეში ამაღლებული, გაქვავებულია — და წამი თავის თავში მარადისობას ინახავს, როგორც ნიჟარა ხმაურს დიდი ხნის ნინათ უკუქცეული ოკეანის ტალღებისას“. დასავლეთში კი, მართალია უხვადაა მშვენიერი და საუცხოო სანახები, მაგრამ გენეზისის სუნთქვა არ შეიგრძნობა, აქ დედამინა მხოლოდ ნიადაგია, რომელსაც უვლიან. დასავლეთში ხელშეუხებელი აღარაფერია, აღარ არსებობს ტოტემი და ტაბუ; „წამი აქ არ გახლავთ ჩასუნთქვა, რომელშიც მარადიულობის კეთილსურნელება შეინოვება“. არადა, მწერალი ფიქრობს, რომ დასავლეთის პეიზაჟთა ესთეტიკურ ხიბლს მთავარი რამ აკლია — სივრცე, რომელიც უსაზღვროებას შეიცავს. ამიტომ მისტიკურ შეგონებას აძლევს დასავლელებს, მიწის რაღაც ნაწილი ხელშეუხებელი დატოვონ, რათა დედამინა კოსმიურმა სუნთქვამ არ დატოვოს.

დასავლეთისა და აღმოსავლეთის განსხვავებულობის წარმოსაჩენად რობაქიძე კვლავ მცენარესა და თაურმცენარეს იხსენებს. აღმოსავლეთში თაურმცენარის შეგრძნება მეტადაა, დასავლეთში — მცენარისა. თაურსაწყისში ყველა ნივთი ერთეულია, საგანთა

შორის ზღვარი წაშლილია. ყოველივე, რაც ჩანს, მაიაა, სინათლით სავსე ნათება. იგი ძველი ინდოელთა შეგონებას იხსენებს: „ყველაფერი, რასაც შენ ხედავ, თვით შენ ხარ“. დასავლეთში კი ყოველი ნივთს მტკიცე მონახაზი აქვს. რობაქიძე ამ განსხვავებულობის გამოვლენას, უპირველესად, ხელოვნების ნაწარმოებებში ხედავს. მისი აზრით, უსაზღვროებაში ჩაძირულმა აღმოსავლეთმა დასრულებული ნაწარმოების შექმნა ვერ შეძლო, მაგრამ შექმნა „ბაბილონური ეპოსი“, რომელიც უსასრულოს სუნთქვას ინახავს. დასავლეთმა კი სამყაროსა და მეს სისრულე „ლეთაებრივი კომედიით“ თუ გოთური კათედრალებით გამოხატა.

რობაქიძე ამ განსხვავებას ჩვეულებრივ რიგით მოკვდავებშიც ამჩნევს და ცხოვრებისეულ მაგალითებს ასახელებს. „სინამდვილე და პოეზია აღმოსავლეთში ერთია“, ამიტომაც უჭირთ აქ რაიმეს ზუსტი დათვლა თუ ამბის ობიექტურად მოყოლა. „აღმოსავლეთის ადამიანი ღმერთს დახუჭული თვალებით ხედავს“, დასავლელი კი გახელილი თვალებით ცდილობს მასთან შეხებას. მწერლის დაკვირვებით, დასავლელის მზერა გარეთ მიიმართება, აღმოსავლელისა — შიგნით, დასავლეთში კითხულობენ: „საით?“ და მოუთმენლობით მოუსვენრად დრტვინავენ, აღმოსავლეთში: „საიდან?“ და აუჩქარებელ მოლოდინში ირინდებიან. აღმოსავლეთში ყოველთვის აქვთ დრო, დასავლეთში კი არა. მწერალი აპოკალიფსის ფრაზას იმონებს: „ეშმაკს ცოტა დრო აქვს“. წერილში კიდევ არაერთი მაგალითია, რომლებიც მოწმობენ აღმოსავლეთ-დასავლეთის მეტაფიზიკურ სხვაობას. თუმცა, მწერლის აზრით, დასავლეთი და აღმოსავლეთი, ყოფიერების ორი სახე, ერთმანეთს ავსებენ: „დასავლეთი აღმოსავლეთს რომანტიკულად ესწრაფვის და აღმოსავლეთი მოლოდინით უმზერს დასავლეთს“ (რობაქიძე 2012ა: 55) მისი აზრით, როგორც თაურსანყისია წარმოუდგენელი საწყისის გარეშე, ასევე დასავლეთი და აღმოსავლეთი უერთმანეთოდ. მართალია, დასავლეთის კუთვნილებაა ტექნიკის ჯადოსნური ძალა, მაგრამ მხოლოდ მის ამარა დარჩენა შეუძლებელია. ტექნიკა საფრთხის შემცველია, რადგან ადამიანს ღმერთზე აღმატებულად, ან მის დარად, „შემქმნელად“ წარმოადგენინებს თავს, მაგრამ ღვთის გარეშე ქმნა დემონურია და ურჩხულთა წარმომქმნელი (ფრანკეშტეინიდან დაწყებული თანამედროვე რობოტებით დამთავრებული). მწერლის აზრით, ადამიანმა უნდა გადალახოს ტექნიკის გზით განცდილი დემონური თრობის ცდუნება. ამას მხოლოდ ის შეძლებს, ვინც თაურსანყისის არ დაშორდება.

თაურსანყისთან დაშორებულ დემონურ ძალას ხედავს მწერალი სტალინში, „ლეგენდარულ ქართველში“ და ცდილობს ახსნას მისი ფენომენი წერილში „სტალინი, ვითარცა არიმანული ძალმოსილება“. სტალინის პორტრეტი, როგორც აღვნიშნეთ, ამ წიგნში მწერალმა თავისი რომანიდან, „ჩაკლული სულიდან“, გადმოიტანა, თუმცა მნიშვნელოვანი ცვლილებები შეიტანა.

მწერლისთვის მნიშვნელოვანია სტალინის, როგორც ადამიანურისაგან გაუცხოებული „არსების“, ფიზიკური და სულიერი დახასათება. ამ თვალსაზრისით, ის ყურადღებას მიაქცევს მის ვიწრო შუბლს, ჭორფლიან სახეს, მაღლაანეულ მარცხენა წარბს, სუსხიან, გამჭვირვალე თვალებს, ირონიულ მზერას, კატისებურ ნაბიჯებს. მისთვის სტალინი არის წილაბი, რომელიც მის ნამდვილ სახეს მაღავს. მის მიერ ფსევდონიმთა ცვლასაც ამ დამალვის, გაუჩინარების სურვილს უკავშირებს. მწერლის აზრით, ის გველივით იცვლიდა კანს და შინაგანად ხელუხლებელი რჩებოდა.

სტალინის სისასტიკისა და შეუბრალებლობის ახსნას ის მამაშვილურ ურთიერთობაში ეძებს. ლოთი მამისგან დათრგუნულმა იოსებ ჯულაშვილმა უარყო მამა, და მასთან ერთად,

შექმნისა და სიცოცხლის მისტერია. ის „უმამოდ“, ულმერთოდ იქცა და დაუპირისპირდა სიყვარულს, როგორც არსებობის მამოძრავებელ ცხოველმყოფელ ძალას. ის ჩაიკეტა საკუთარ თავში და ვერანირი ძალა, მათ შორის, ხელოვნებისა, ვერ გაათავისუფლებდა. ამიტომაც, რობაქიძის აზრით, სტალინმა არ იცოდა, რა იყო ექსტაზი, ვერც სხვის აღ-ფრთოვანება გადაედებოდა. რობაქიძე სტალინის ცხოვრებიდან მაგალითების მოხმობით დაასკვნის, რომ მას მადლი აკლდა. სტალინი მონაფეობისას საეპისკოპოსო გუნდში ხავერდოვანი რბილი ალტიტ მღეროდა, მწერლის აზრით, ეს დაცემული ანგელოზის ხმა იქნებოდა. რაც შეეხება ლექსების წერას, ესეც ერთგვარ გადახვევად მიაჩნია, ის პოეტი-ვით შეიგრძნობდა ცოცხალ ენას და, იმავე დროს, უსიცოცხლო, ხელოვნურად შექმნილი ესპერანტოც იზიდავდა. მწერალი დაასკვნის, რომ სტალინს სიცოცხლის ატანა არ შეეძლო, რომ მას ნგრევა იზიდავდა, რათა თავისი გამანადგურებელი თვითნებობა გამოეცადა და გაეტარებინა. სიცოცხლის მიმართ მტრულად განწყობილი ყველგან მტერს დაეძებდა და მოწინააღმდეგეს ცილისწამებითა და დამცირებით ანადგურებდა.

რობაქიძე სვამს კითხვას: იყო ის ბოროტი ჩვეულებრივი აზრით? და პასუხობს, რომ არა. ამის დასტურად ის მიაჩნია, რომ სტალინი არც მკვლელი იყო და არც ყაჩაღი, ადამი-ანებისთვის კეთილი სურდა, არც მიწიერი სიამოვნებანი: ქალი, ღვინო, ოქრო, აზარტული თამაშები იზიდავდა, გულუხვიც იყო, მაგრამ არავის ენდობოდა. მას „სხვის“ სიყვარული არ შეეძლო, ის მხოლოდ ბოლშევიკურ იდეას აღიარებდა და იყო „ბოლშევიზმამდელი ბოლშევიკი“.

რობაქიძე გამოწვლილვით ანალიზებს სტალინის ურთიერთობებს ლენინთან და სხვა ბოლშევიკებთან და ფსიქოლოგიური ჩაღრმავებით, ნიუანსობრივად გაჩხრეკს, როგორ იქცა ჩვეულებრივი მოკვდავი ურჩხულად, როგორ შეიძინა მასების დაპიპნოზების უნარი, როგორ ჩამოიშორა პარტიული თანამოძმენი, რათა მთელი ძალაუფლება ხელთ ეგდო, როგორ იქცა ელექტროგამტარად გამაფრთხილებელი წარწერით: „სახიფათოა სიცოცხლისათვის“, როგორ იქცია ცხოვრება ჯოჯოხეთად, რადგან აქ რობაქიძე დოსტოევსკის სიტყვებს მოიხმობს: „ჯოჯოხეთი არის ტკივილი იმის გამო, რომ აღარ ძალგიძს სიყვარული“. თუმცა მწერალს თითქოს მაინც არ ემეტება იგი და ეიმედება, რომ ერთხელაც იქნება იდუმალი დენის კონტაქტი გადაირთვება, ისიც „გამოცოცდება დინებათა ქსელიდან საკუთარი თავისგან გაუცხოებული და შეშინებული იგრძნობს, რომ ქართველი სოსო ჯულაშვილია, გაახსენდება შორეული საქართველო, რომლისგანაც მას მხოლოდ ეს შემორჩა: გემო ქართული საჭმლისა „საცივი“, კახური ღვინო, სიმღერა „მრავალუამიერი“ და ქართული გინება“. რობაქიძე წერილში : „Pro domo sua“ წერს: „ლეოპოლდ ციგლერი თავის მონუმენტურ „ტრადიციაში“ ამტკიცებს, რომ მე „ჩაკლულ სულში“ სტალინის „მითოსური ხატი“ შემაძრნუნებელი ხელოვნებით წარმოვადგინე“. იქ, სხვათა შორის, ნათქვამია: „რობაქიძე, როგორც ძე და შვილთაშვილი ქალდეური ხალხის ნამსხვრევებისა, მართლაც, კვლავ მითოსური სამყაროს შუაგულში დგას, ვითარცა საკუთარ, მემკვიდრეობით მიღებულ განცდათა სივრცეში, და არ სჭირდება, როგორც ჩვენ, ხელოვნურად მიღებული ხსოვნა, არამედ ოდენ შთამბეჭდავი აზრი, ალერსიანი თვალმიდევნება იმისა, რაც მას ჯერ კიდევ ყოველმხრივ გარემოიცავს, ვითარცა ხელუხლებელი დედის წიაღი“ (რობაქიძე 2012ბ: 58).

კრებული პირველი ესე ნეფერტიტზეა, ბოლო კი გრეტა გარბოზე, ორ უმშვენიერეს ქალზე. შვედი მსახიობი რობაქიძემ „დღევანდელობის ზმანებად“ მიიჩნია. ამ ესეში მწერალმა თანამედროვეობის სული სიღრმისეულად წარმოაჩინა და დახატა პორტრეტი ქალისა, როგორც მარადქალურობის ცხოველმყოფელი ხატისა. მისი აზრით, „ყოველ დროს

საკუთარი ხიბლი და საკუთარი აღქმის ვიბრაციის ამპლიტუდა აქვს. ყოველი დრო საკუთარ ერთჯერად ზმანებას ქმნის, რომელშიც ის თავის თავს წარმოშობს და ავითარებს“ (რობაქიძე 2012ა: 109).

მარსელ პუსტმა დროის ძიებას რომანების ციკლი მიუძღვნა და „დაკარგული დროის ძიების“ გზაზე ლიტერატურა აქცია მთავარ მეგზურად. რობაქიძეს დროის დინებასთან ჭიდოლში ხელოვნება ესახება ფარად.

დროის ფენომენისადმი დამოკიდებულება განსაზღვრავს ადამიანურობასაც. დრო სხვადასხვაგვარად დაიძლევა. თუ დროის შეგრძნება იყარება, ადამიანი ცხოველს ან მცენარეს ემსგავსება. სხვა გზა „უკანდაბრუნებაა“. შინაგანი ხედვის განვითარება. მეორე გზა კი დროის წინსწრაფვით დაიძლევა — დროის მონაკვეთი მოკლდება და ირეალური ხდება — სწორედ ეს მეორე გზა მიაჩნია რობაქიძეს მეოცე საუკუნის დამახასიათებლად. მწერალს მაგალითები მოჰყავს, თუ როგორ ააჩქარა ტექნიკამ დრო — ელვისუსწრაფესად მქროლი ავტომობილები „მთვარეულ არსებებს“ ჰგვანან და ადამიანებს ილუზორული ძალის შეგრძნებას უჩენენ, თუმცა თანამედროვე ადამიანში მწერალი მზის ნაკლებობას ამჩნევს.

საკულისხმოა, რომ მწერალი საუბრობს არა რეალურ გრეტა გარბოზე, არამედ მის ფილმისეულ ხატებაზე — ერთგვარ ფანტომზე, რომელმაც მთელი მსოფლიო თავის თაყვანისგანმცემლად აქცია. მწერალს მისი თვალების უჩვეულობა ხიბლავს, მისი დანისლული მზერა, რომელიც ადამიანს „სხვის“ არსებობას შაგრძნობინებს. ეს ქალი მისთვის „ხორც-შესხმული ნატიფი სინათლის ქსოვილია“. მისი ხიბლის წარმოსაჩენად მწერალი მარლენ დიტრიხის აფროდიტულ მშვერებასაც მოიხმობს, თუმცა გარბო მას იმგვარ ქალად მიაჩნია, რომელშიც ერთდროულად, როგორც შესაძლებლობანი, თანაარსებობენ ბაქი ქალი, დიონისეს მხლებელი მენადა, წმინდა მადონა, კურტიზანი, დედა. მწერლის აზრით, გრეტა გარბო ყოველ როლში ბუნებრივია, რადგან კი არ თამაშობს, ნიღაბს კი არ ირგებს, არამედ ყოველთვის საკუთარ თავს გამოხატავს.

რობაქიძე თავის ესეებში ხშირად საუბრობს ხოლმე იმის შესახებ, რომ ყოველ არსს თავის თავში აქვს რაღაც, რაც ურღვევია, ეს არსის შინაგანი ხატია. თუ არსი ნივთებში გადადის — მატერიალურად გამოიხატება, ხატი ყოველთვის თაურსანყისში რჩება, მაგრამ ხატსაც აქვს საკუთარი სინამდვილე, რომლის დანახვა შინაგანი ჭვრეტით პოეტებს შეუძლიათ. მწერლის აზრით, კინემატოგრაფმა ხატთა სინამდვილე ბრნყინვალებით ფანტასტიკურ სიმაღლემდე აიყვანა. სწორედ ამ ხატთა შორის მბრძანებლობს გრეტა გარბოს ხატი და აღმოსავლეთსა თუ დასავლეთის ქვეყნებს თანაბრად ატყვევებს. იგი საუბრობს ამ ხატის მიბაძვით შექმნილ სახეებზე-ერთგვარ გარბოიდებზე. ამ ხატს საკუთარი ბედის-წერა აქვს. ამ ხატში მწერალი შეიგრძნობს როგორი სავსეა ქალი მინიერებითა და მზით, რაც ასე აკლია თანამედროვე მამაკაცს. „ჩვენ წინაშე ტექნიკის მეშვეობით შეუმჩნევლად დედამინის ახალი ევოლუცია ხდება“ — ეს მას აპოკალიტისის დასაწყისად მიაჩნია.

გრეტა გარბოზე მსჯელობა მწერალს სჭირდება თანამედროვეობის სულის განსხვავებული რაკურსით დასანახავად და გასაანალიზებლად. მყითხველიც გრძნობს დემონური და ღვთაებრივი ძალების ჭიდოლის ასპარეზად ქცეული ადამიანის ტრაგიკულობას.

გარბო მწერალს არა მხოლოდ ზმანებად, არამედ „დღევანდელობის მსხვერპლადაც“ წარმოუდგება: „ადვილი საფიქრებელია, რომ ერთ დღეს იგი, ბედისწერით აღძრული, თავის საკუთარ ფილმს შეუმჩნევლად ეწვიოს. მაშინ მის საოცარ წამნამებს ორი დიდი ცრემლი დაამძიმებს — მსოფლიოს უმშვენიერესი და ყველაზე მწუხარე მარგალიტები“ (რობაქიძე 2012ა: 125).

მკითხველისთვის ძვირფასი საჩუქარია გრიგოლ რობაქიძის ესეების ეს კრებული, რომელიც გამომცემლობა „არტანუჯმა“ გამოსცა.

ცნობილია, როგორი თავისებური სტილი აქვს რობაქიძეს. ასევე უჩვეულოდ წერდა გერმანულადაც, თვითონ გერმანებსაც რომ აოცებდა ამ ენის სილრმისეული ცოდნითა და აზრის გადმოცემის საოცრად მეტაფორული და ხატოვანი ხვეულებით. ასე რომ, მით უფრო დასაფასებელია ამ ესეების ქართულ ენაზე მთარგმნელის, მანანა კვატაიას შრომა. ის კარგად იცნობს გრიგოლ რობაქიძის შემოქმედებას, ამიტომაც ახერხებს, რომ თარგ-მანში არ იყარგება რობაქიძისეული სიტყვის ენერგია და ხიბლი.

#### **დამოწმებანი:**

**რობაქიძე 2012ა:** რობაქიძე გრ. დემონი და მითოსი. თბ.: „არტანუჯი“, 2012.

**რობაქიძე 2012ბ:** რობაქიძე გრ. *Pro domo sua*. თბ.: „არტანუჯი“, 2012.

***Maia Jaliashvili***

### **The Struggle Between the Divine and the Demonical**

According to the Grigol Robakidze's Essays

#### **Abstract**

**Key words:** Grigol Robakidze, Grigol Robakidze's Essays, Divine, Demonical

The constant Strong struggle is going on between the divine and the demonical forces in the world. Grigol Robakidze was trying to explain both the phenomenon of good and evil in his book of essays “Demon and Mythos”, that he wrote in German and published in Germany. The most important problems of life are considered in religious - philosophical context in this essays. How can we explain the secrets of the universe? This is the writer’s main thoughts. The writer thought that the two powerful, contradictory, conflicting forces were acting on the earth. In his opinion, the earth had a soul, like creature of space. The writers worry about the fate of the Earth. He felt that after World War II Earth’s astral body was in serious danger. The writer does not agree with those, who considered earth as a material. He thought this opinion was demonical. Such evil forces he saw in the Soviet Union. It’s devastating, any kindness anti-soul, demonical, pernicious power the writer demonstrated in his novel “Repress soul”. There was another force in the world, which perceived the earth as a spiritual. In this case, each event is linked spiritually to the universe. The writer thought it was a mythical forces in Germany. The writer presents German spiritual phenomenon, German Mysticism, German art, German poetry and Phenomenon of Goethe’s writings. Robakidze’s analysis of good and evil is an interesting, original and impressive. Robakidze’s opinion, exactly demonical influence, people have lost the ability of mythical contemplate. That is why people can not perceive things and events thoroughly. The writer interested in mythos, from this point of view, analyzed in Eastern and Western cultures. He paid special attention to the idea of eternal return. In his opinion, the eastern culture rather keeps the divine, than western.

## ხალხური შემოქმედების კვალი რევაზ ინანიშვილის პროზაში

მეოცე საუკუნეში ხელოვნების ხალხური შემოქმედებისადმი დამოკიდებულება ნაწარმოებებში ფოლკლორული მოტივების შემოჭრით განისაზღვრება. ევროპულ ლიტერატურაში ამ პერიოდში „ხალხური შემოქმედების წყაროებს ენაფებიან არა მხოლოდ კაფეა და ჯოისი, ბროხი და პაუნდი, არამედ თომას მანიც, ჰერმან მელვილიც, ფედერიკ გარსია ლორკაც, ჰემინგუეიც, უილიამ ფოკლნერიც“ (თანამედროვე... 1966: 491-492).

ევროპულ ხელოვნებაში გაჩენილმა რემითოლოგიზაციურმა ტალღამ თავისი კვალი დაატყო მსოფლიო, და შესაბამისად, ქართულ ლიტერატურულ პროცესებს. ქართველი მწერლებიდან ერთ-ერთი, რომელმაც ორგანულად, ცოცხლად განიცადა მითოსური სამყარო, ფოლკლორი, არის რევაზ ინანიშვილი. მან თავის შემოქმედებაში წინა პლანზე წამოწია ეროვნული კოლორიტი, რაც მითოსური აზროვნების გარეშე წარმოუდგენელია. ის ხშირად უბრუნდება ხალხური სიტყვიერების სათავეს ნამდვილი, სრულყოფილი ხელოვნების ნიმუშების შესაქმნელად. ზეპირსიტყვიერების თავკიდურებს დამყარებული მისი მოთხოვნები მაღალმხატვრული ლირებულებისაა.

ფოლკლორი მის მოთხოვნებში სხვადასხვა ასპექტით არის შეჭრილი. ხელოვნების ნამდვილი სრულყოფილი ნიმუშების შესაქმნელად მწერალი ხალხური სიტყვიერების სათავეს უბრუნდება. იგი ხშირად მიმართავს ხალხური შემოქმედებისთვის დამახასიათებელ მხატვრულ-გამომსახველობით ფორმებს, სტილს, სიუჟეტებს.

რევაზ ინანიშვილის მოთხოვნებში ვხვდებით ხალხური ზღაპრისთვის დამახასიათებელ გამომსახველობით საშუალებებს: ქარგის, მოტივის, პერსონაჟთა ხატვის სახით. მწერალი შესანიშნავად იცნობს და ღრმად სწვდება ზღაპრის ბუნებას, ცალკეულ მოტივებს. რიგ შემთხვევებში ქმნის მხოლოდ მისთვის დამახასიათებელ ზღაპრულ სამყაროს, ზოგჯერ კი გარკვეული მიზანდასახულობით იყენებს ზღაპრის სიუჟეტებს და მოტივებსაც. მოთხოვნებში: „გოგონა ღამე რომ შეუყვარდა“, „პატარა პოეტის გზა“, „ძალიან პატარა დიდ ქვეყანაში“, „ცისარტყელა“, „ზამთრის ზღაპრი“ მწერალი იყენებს ფოლკლორულ ქარგას, ოღონდ ხალხური ზღაპრისაგან განსხვავებით აქ არ არსებობს ზღაპრისთვის ნიშანდობლივი თანმიმდევრობის შეზღუდვა, მყარი საზღვრები, აქ ერთადა თავმოყრილი ხალხური ფენომენი და თანამედროვეობა.

რევაზ ინანიშვილის მიერ შექმნილი ზღაპარი ისევე შეუმჩნევლად არღვევს ფოლკლორული კანონზომიერების მკაცრ საზღვრებს, როგორ შეუმჩნევლადაც მოაქცევს მასში საკუთარ ნანარმოებებს.

ზღაპრის გმირის მოქმედებათა, ფუნქციათა თანმიმდევრობას მიჰყებიან ინანიშვილის მოთხოვნების გმირებიც: 1. გადიან სახლიდან, 2. გარეთ ეშლებათ საოცრებათა სამყარო, 3. განსაცდელს სძლევენ. 4. წარმატების შემთხვევაში ბედნიერებას ეზიარებიან. ზღაპრულ სამყაროს დაუფლებული, ზღაპრული სულისკვეთებით სულდგმულობენ; ეძებენ წარმატებას, სიხარულს, სიკეთეს, ძებნის პროცესში ანტიგმირსაც წააწყდებან.

რუსულად ჩოლოყაშვილი აღნიშნავს, რომ ხალხური ზღაპარი მისი შემქმნელის რწმენისა და მისწრაფების მიხედვითაა შექმნილი: „ზღაპარში ყველაფერი ისეა მონოდებული, როგორც სჯეროდა და ესმოდა მის შემქმნელს“ (ჩოლოყაშვილი 2004: 3). ასეა რევაზ ინა-

ნიშვილის ზღაპრებშიც. მწერალი საკუთარი რწმენის მიხედვით ქმნის ნაწარმოებებს. მან სითბო და სიკეთე ზღაპრის მეშვეობით განსაკუთრებული მნიშვნელობის მოვლენად წარმოადგინა და ამ სიკეთის შესავსებად მეითხელისათვის პატარა ადგილიც დატოვა.

წინაპართა შემეცნებაში ჩამოყალიბებული შეხედულებები, საგანთა მიმართ დამოკიდებულება, ხშირად რევაზ ინანიშვილის გმირების ხასიათის განმსაზღვრელი ფაქტორიც ხდება. მწერლის პერსონაჟთა ხატვის ხერხებითაც, ზღაპრის ჯადოსნურ სამყაროს ეხმიანება.

„ზღაპარში პერსონაჟთა ხატვის მანერა საკმაოდ თავისებურია და გარკვეული ნიუანსებით ხასიათდება... მასში უფრო მეტად, ზოგადი შტრიხების წამოწევა შეინიშნება, ეს ერთ-ერთი მთავარი თვისებაა ზღაპრისა“ (ზანდუკელი 1985: 49).

რევაზ ინანიშვილის შემოქმედებისათვის ნიშანდობლივი ზოგადი პორტრეტული სახის შექმნა, პორტრეტის იმპიათად და განცენებულად ხატვის მანერა ეროვნულ ზღაპრებს უკავშირდება. მწერალი ხშირად გვერდს უვლის პერსონაჟის გარეგნული დახასიათებისას მის დეტალურ აღნერას. ზღაპრის დარად ყურადღებას მხოლოდ ზოგად ნიშნებზე ამახვილებს, რითაც იგი ხაზს უსვამს არა პერსონაჟის, არამედ იდეის პრიორიტეტულობას, წინა პლაზე აყენებს აზრს. იგი გმირს იმდენად ახასიათებს, რამდენადაც საჭიროა იდეის გამოკვეთისათვის.

ხალხურ შემოქმედებასთან რევაზ ინანიშვილის ასეთი მიდგომა მისი შემოქმედების თავისებურებითა და ეროვნულ სულთან მეტი სიახლოვით განისაზღვრება. მისი მანერა გმირთა ხატვისა საინტერესოა ჯერ ერთი იმით, რომ ისინი მხატვრული ხერხებით ხალხურ გმირთა მსგავსად ხასიათდებიან, და მეორეც, ასე დახატული პერსონაჟთა სახეები უფრო ხშირად ზოგადია, ვიდრე კონკრეტული.

რევაზ ინანიშვილის მოთხოვნებში ხშირად ვხვდებით ფოლკლორული ტექსტებისთვის დამახასიათებელ, როგორც კომპოზიციურ, ასევე სიტუაციურ და დიალოგურ გამეორებებს.

ხალხურ შემოქმედებაში გამეორების ტენდენციას გრ. კიკნაძემ „ფიქსირებული ფორმის გამეორება“ უწოდა და მიიჩნია, რომ ყველაზე მეტად იგი „ნაკლებად კონტროლირებულ მეტყველების პროდუქციაში, ზეპირსიტყვიერების ნიმუშებში უნდა გამოჩნდეს“ (კიკნაძე 1957: 70).

ზღაპრებში ბუნებრივად და ლოგიკურად აღქმული კომპოზიციური გამეორების მხატვრული ხერხის გამოყენებისას რევაზ ინანიშვილი მეტად ორიგინალური და თავისთვალი გამეორებები მის პროზაში ზოგჯერ პირდაპირაა გადმოცემული, რიგ შემთხვევაში კი ტრანსფორმირებული სახით გვეძლევა. მოთხოვნებში გამოყენებული სიტუაციურ-დიალოგური გამეორებანი სხვადასხვა მიზანს ემსახურებიან, უმეტესწილად კი პერსონაჟთა სახეებისა და ხასიათის გამოსახატავად არიან გამოყენებულნი. დიალოგები ერთნაირად ფორმდება და მათ აზრობრივი ფუნქცია ეკისრებათ.

მოთხოვნებში მსგავსი სიტუაციები სიტყვიერადაც ერთნაირად ფორმდება. ერთხელ გამართული დიალოგის რეპროდუქცია ხდება. ანალოგიურ შემთხვევებს ვაწყდებით ზღაპრებში: „ვინც საქმე გააკეთა პურიც იმან ჭამოს“, „სიზმარა“. გამეორებულ დიალოგებს ზღაპარშიც აზრობრივი ფუნქცია ეკისრება. მთქმელი საგანგებოდ ამახვილებს ყურადღებას გარკვეულ სიტუაციაზე და შეგნებულად რამდენჯერმე იმეორებს, რათა ეს ფაქტი მსმენელის გონებაში ჩაბეჭდოს და ფინალი ამით უფრო ლოგიკური გახადოს.

რ. ინანიშვილის მოთხოვნებში „კაცები“ გამოყენებული მხატვრული ხერხი — გამეორება — მნიშვნელოვნად ემსგავსება ზღაპარში გამოყენებულ ფორმას.

მოთხრობა ორ პატარა ბიჭზე — გოგიასა და ბახაზე გვიამბობს, რომლებიც ხევს გალ-მა-გამოლმა ცხოვრობდნენ.

ერთ დღეს მათი დედები ქალაქში გაემგზავრნენ და ბიჭები მამებს დაუტოვეს.

სამუშაოდან დაბრუნებულ მამებსა და შვილებს შორის დიალოგი იმართება:

„— წავიდა დედაშენი? — იკითხა გოგიას მამამ.

— ჰო, წავიდა, — მიუგო გოგია.

— რა არი, წავიდა დედაშენი ქალაქში? — იკითხა ბახას მამამაც.

— წავიდა, მაშ რა! — მიუგო ბახამ.

— წადი, ბახას მამას დაუძახე, მამამა ჩვენსა გადმოდი-თქო, — უთხრა გოგიას მამამისმა.

— ბახაც წამოვიდეს?

— წამოვიდეს, მაშ!

სწორედ ამ დროს ბახასაც ასე ეუბნებოდა მამამისი:

— წადი, გოგიას მამას უთხარი, ახლავე ჩვენსა გადმოდი-თქო.

— გოგიაც წამოვიდეს?

— წამოვიდეს, აბა, შინ რა უნდა გააკეთოს!“

ბავშვები შუა გზაზე შეხვდნენ.

გაოცებულებმა მამების დანაბარები გადასცეს ერთმანეთს და უკან გაბრუნდნენ:

„უთხრა გოგიამ, რაც დაებარებინა ბახასთვის მამამისს, ბახამაც ასევე — რაც დაებარებინა გოგიასათვის მამამისს.

— თფუიო! — წამოიძახა გოგიას მამამ. — მე ხომ გითხარი, ის გადმოვიდეს-მეთქი.

წადი, ახლავე და ეგრე უთხარი, შენ გადმოდი-თქო, გესმის?

— თფუიო! — ბრაზობდა ბახას მამაც. — მე ხომ გითხარი ბიჭო, ის გადმოვიდეს-მეთქი.

წადი და უთხარი, შენ გადმოდი-თქო.“

სიტუაცია კვლავ მეორდება. ბიჭები ისევ შუა გზაზე შეხვდებიან ერთმანეთს.

— ი! — ისევ გაუკვირდა გოგიას.

— ე! — დააღო პირი ბახამ.

— რაო?

— შენ რაღაო?

— მე ვერ გადმოვალ, მამაშენი გადმოვიდესო, მამაჩემმა.

— მამაჩემმაც, მამაშენი გადმოვიდესო“.

დიალოგები ერთნაირად ფორმდება. მათ აზრობრივი ფუნქცია ეკისრებათ. დიალოგებს და მოქმედებებს იმეორებენ მამებიც.

მამები გაოცებულნი დარჩნენ ბიჭების მიერ უკან მოტანილი ამბებით და ერთმანეთის დაპატიუება თავად გადაწყვიტეს... და ისინიც შუა გზაზე შეეჩენენ ერთმანეთს.

— რატომ არ მოსდიოდი, ჰა? — იკითხა ბახას მამამ გოგიას მამასა.

— შენ რატომ ალარ მოსდიოდი?

— ბიჭო, — თავი გვერდზე გადასწია ბახას მამამ, — რაღა შენი წყალწყალა — ღვინით გავიჭიპოთ, ჩემი კარგისა დაგლიოთ, არა სჯობია?

— ხა-ხა-ხა! — იცინის გოგიას მამა. — ჩემი ღვინოა წყალწყალა? ჩემი? წამო, — ძმაო, ეგ წყალწყალა გერჩივნოს შენს ჭარხლის წვენით გასქელებულსა“.

მამებმა ბრიგადირს მიმართეს გასარკვევად, ვისი ღვინო სჯობდა. ბრიგადირმა ორივესი დაიწუნა და თავისთან შეიპატიუა. მამებმა მის აივანზე მოიკალათეს. დაღონებულმა ბიჭებმა კი სახლებისკენ მოკურცხლეს.

მნერალი დიალოგურ გამეორებებს იდეისთვის მიმართავს, ეს იდეა კი მოთხრობის დასასრულში ცხადდება. ანალოგიურ სიტუაციებს არსებითად შინაგანი შეპირისპირების ფუნქცია ეკისრება და ამით ლაიტმოტივი უკეთ წარმოჩნდება. ფინალით იხსნება გამეორების ფუნქცია და მოთხრობის დასასრული მეტად ლოგიკურია; მოთხრობის ფინალი დედობის უპირველესობას ცხადყოფს:

„ეხე, კარგები არიან მამები, ღონივრები, მხიარულები — არც ლექსის არცოდნაზე გაგიბრაზდებიან, არც ტალახიანი ფეხებით შინ შემობოტებაზე მოიშლიან ნერვებს დედებით, მაგრამ რაც მართალია, მართალია, ამათი ანაბარა, მამების ანაბარა, რომ დასტოვო ქვეყნიერება, ალბათ, თვალსა და ხელს შუა დაეფუშებათ ყველაფერი, თანაც ისე, რომ ვერაფერს შეამჩნევენ და თუნდაც შეამჩნიონ, არც ამაზე შეწუხდებიან დიდად....

მიტომ იყო, რომ მამების მოსასვლელ გზაზე უფრო ხშირად თივთიკის თეთრი ფუმფულაქუდებიანი დედები ჩნდებოდნენ.“

ხალხური შემოქმედებისთვის ნიშანდობლივ მხატვრულ გამეორებებს რევაზ ინანიშვილი შეგნებულად მიმართავს, ამით მოთხრობის ძირითად იდეას უკეთ გამოკვეთს და მეორეც — ნანარმოებს ტრადიციულ, ხალხისთვის საყვარელ ფორმას აძლევს.

რევაზ ინანიშვილმა შესანიშნავად გამოიყენა ხალხური შემოქმედებისთვის სპეციფიკური მხატვრული ხერხი. გამეორებაში რიტმულობა შესაძინა მოთხრობას. შეიქმნა „პროზაული რიტმი“ (ს.ლაზუტინი). ასეთ შემთხვევებს ფოლკლორისტიკასა და ლიტერატურათმცოდნებაში „ერთი ამოსუნთქვით წარმოთქმის“, ან „ერთი ამოძახილის“ (ლექსიკონი 1974: 139) მომენტს უწოდებენ. ს. ლაზუტინი ამის შესახებ წერს: „პროზაული რიტმი იქმნება მსგავსი გამეორებებით ან ერთმანეთთან ძალიან დაახლოებული სინტაგმებით, რომლებიც წარმოიქმნებიან ერთნაირი ინტონაციით და ერთმანეთისაგან გამოიყოფიან პაუზით“ (ლაზუტინი 1981: 167).

ხალხურ შემოქმედებაში გამეორება პროზაულ რიტმს ქმნის. ზღაპრის რიტმულობა სწორედ სიტყვათა თუ სიტუაციათა გამეორების შედეგად არის განპირობებული. ანალოგიური შემთხვევა გვაქვს მოთხრობაში „მატარებლობანა“. მოხუცების მიერ ერთი და იმავე დიალოგის რამდენჯერმე გამეორებით წანარმოებში პროზაული რიტმი შეიქმნა. პარმონიული რიტმი, რომელმაც მოხუცების ერთი ჩვეულებრივი დღე ესთეტიზმით აავსო და თვითონ ავტორიც აღაფრთოვანა: — „რაღაც უხაროდა წამით ჩქაფზე შემდგარ ჩემს სულსაც“.

რევაზ ინანიშვილი მეტად ორიგინალურად ითავისებს ზეპირსიტყვიერებიდან მომდინარე მხატვრულ სახეებსა და ფორმებს და ქმნის შესანიშნავ, ლამაზ, სათნოებით სავსე პატარ-პატარა მარგალიტებს.

ხასიათების ხატვისას, პერსონაჟთა სულიერ-ზნეობრივი პორტრეტების სრულ-ქმნისას მწერალი მითოსს მიმართავს. მითოსიდან იღებს ძვირფას მასალას მხატვრული სახეების შესაქმნელად; წვდება რა მითიური სამყაროს მისტერიას, მის ალეგორიულ თუ მეტაფორულ არსს, მწერალი მხატვრული ელფერით მოსავს მისთვის ესოდენ მახლობელ, „გრძნეულთა საგანმგებლოდან“ (რ. ინანიშვილი) გადმოსულ პერსონაჟებს; ირემს, წყალს, გველს, მავნე სულთა საუფლოს, რომლებიც ყოველთვის ინარჩუნებენ მითოსურ ხასიათს, თვისებებს.

რევაზ ინანიშვილის ნანარმოებების მიხედვით, ირემი ყოველთვის დავთიური ცხოველია („ნეკერჩელის წითელი ფოთოლი“, „გოგონა, რომელსაც ღამე შეუყვარდა“, „მზია“). იგი ყველგან ნათლის ნიშნის მატარებელია. მას ოქროს რქები, გიზგიზა, ანთებული, ოქროსფერი თვალები აქვს, სიცოცხლის არსის მგრძნობიარედ განმცდელია. იგი ხვდება

გამორჩეული სულისა და გრძნობის ადამიანებს. მასთან შეხვედრის შემდეგ ადამიანები შინაგან ცვლილებას განიცდიან; ტრადიციული, ყოფითი გარემოდან გამოცალკევებულები, ირმის ნათელთან ნაზიარები, უცნაურად იქცევიან. საიდუმლოს არ ამხელენ. მართალია, მათი მოქმედება ირგვლივ მყოფთათვის აუხსნელია, ისინი მზის ნათლით არიან მოსილნი, მათ მაინც მწერალი ადამიანებად ტოვებს, ჩვეულებრივ ადამიანებად.

სანესჩევეულებო რიტუალებსა და ხალხური შემოქმედების სხვადასხვა უანრში მიმოფანტული ქართული მითოლოგიური წარმოდგენები წყლის კულტზე, ახლებურად წარმოდგება რევაზ ინანიშვილის შემოქმედებაში.

როგორც სამეცნიერო ლიტერატურით დასტურდება, ქართული ფოლკლორული შეხედულება და ეთნოგრაფიული სინამდვილე მნიშვნელოვან მასალას იძლევა წყლის კულტზე. საქართველოს მთასა და ბარში დამოწმებულია არაერთი ჩვეულება თუ რიტუალი, რომლის ძირითადი არსი წყლის სტიქიის სასწაულებრივი თვისებების შესახებ საუკუნეთა მიღმიდან მომდინარე შეხედულებებს უკავშირდება და წარმართული რელიგიის ბეჭედი დღესაც მტავიცედ აზის. „ამგვარი რწმენა შეხედულებები უშუალოდაა ასახული ხალხურ პოეზიასა და პროზაში, ლექს-სიმღერებში, ზღაპრებში, ლეგენდა-თქმულებებში, სანესჩევეულებო მითოლოგიურ პოეზიაში, მაგიურ ტექსტებსა და სხვა უანრის ფოლკლორულ ნიმუშებში“ (თანდილავა 1996: 5).

რევაზ ინანიშვილის შემოქმედებაში მინაზე განსხეულებული გაღმერთებული წყალი სათავეს საუკუნეთა მიღმა არსებულ ხალხურ აზროვნებაში იღებს. მწერალი წყლის კულტს ათი ათასობით წლის წინ ჩასდევს და დამშვიდებული ფიქრით ეალერსება წყალს გამოყოლილ საუკუნეებს; „გაყინული ზამთრის ტბა“ მისთვის უპირველესად მიტოვებული სამლოცველოა, „მომცრო ხევი“ ღვთაებრივი ბუნების მატარებელი, „დამდგარ ფშას“ მის მოთხოვნებში სიცოცხლის საწყისის ფუნქცია აკისრია. მის შემოქმედებაში წყალი ნაყოფიერებასთან და სიყვარულთან ასოცირდება. ხალხური სიბრძნით ნასაზრდოები მწერალი თავისი სულის ნაწილს წყლის ნაჟურებში პოულობს. ადამიანთა სულიერ განწმენდას და ზეობრივ ნაყოფიერებას სიბრძნით დამძიმებული მითოსიდან მომავალ წმინდა წყალს უკავშირებს, თვითონ კი ამ წყლის, როგორც ადამიანთა სულის მკებავი წყაროს, გამწერდად და აპოლოგეტად გვევლინება.

გამაოგნებელია რევაზ ინანიშვილის მავნე სულთა საუფლო თავისი ჯადოსნურობით. თავზარდამცემიდა საოცარია ბავშვის თვალით დავლილი ტყეები, ბილიკის პირას დაცუცქული პატარა ეშმაკი, ღორის ძუძუებს მიმაგრებული ორი დიდი დედალ-მამალი გველი, იდუმალი სურათი ტაშნის ველზე მოცეკვავე ქალებისა. მავნე სულები მის ლიტერატურაში ანთროპომორფული სახისანი არიან, ისინი აფართოებენ რეალისტური აღქმის არეს და იდუმალ სამყაროს ამძაფრებენ. ეშმაკისა და ალების გვერდით ყველგან ჩასაფრებული შავი ქონიანი კატა, კბილებდაკრეჭილი ცხრაბერვა ბაჯავლანები, თავმლექელები ბავშვურ წარმოსახვას უფრო შთაგონებულს ხდიან, წარსულის შიში და შეძრნუნება სიმშვიდედ და სიფრთხილედ იქცევა მოთხოვნებში.

ხალხური რწმენა-წარმოდგენები, სადღეებრძელოები, სუფრის ტრადიციები, ყოფითი იუმორი თუ საკულტო წარმოდგენები კოლორიტულს ხდიან რევაზ ინანიშვილის შემოქმედებას. შეუდარებელი სიძლიერითაა გამოხატული სამშობლოს სიყვარული მთელ რიგ ნანარმოებებში, რომლებშიც საინტერესოდაა აღნერილი ქართული სოფლის ეთნოგრაფიული ყოფა. მწერლის თვალსა და კალამს უყურადღებოდ არ რჩება არაფერი, რაც კი მშობლიური „წყალ-ჭალის“ ხმებს მოაგონებს. საოცარი სიფაქიზით აღნერს ელიაზე ჩამოვლას, ჩიტაფონბას, ვენახის მოვლისა და კრეფის რიტუალებს, ლენზე სადღეგრძელოებსა და სუფრის ტრადიციებს.

რევაზ ინანიშვილის შემოქმედება ხალხური საუნჯით ქვითკირდება. იგი მშობლიური ნიადაგით, ეროვნული მითოსით, ფოლკლორით არის ნასაზრდოები. მის მიერ შექმნილი ლიტერატურის, რომელიც ერთდროულად ზღაპრულიცაა და ოცნებისეულიც, სახატე ხალხის სული, ხალხის საუნჯეა.

#### **დამოწმებანი:**

**ზანდუკელი 1985:** ზანდუკელი ფ. მხატვრული ოსტატობის საკითხები ქართულ ფოლკლორში. თბ.: „ნაკადული“, 1985.

**თანამედროვე... 1966:** Современная литература за рубежом. М.: 1966.

**კიენაძე 1957:** კიენაძე გრ. მეტყველების სტილის საკითხები. თბ.: სტალინის სახელობის თბილისის უნივერსიტევის გამომცემლობა, 1957.

**თანდილაგა 1996:** თანდილაგა ზ. ნულის ჯულტი და ქართული ფოლკლორი. ბათუმი: „აჭარა“, 1996.

**ლაზუტინი 1981:** Лазутин С. Г. Поэтика русского фольклора. М.: 1981.

**ლექსიკონი... 1974:** Словарь литературоведческих терминов. М.: 1974.

**ჩოლოყაშვილი 2004:** ჩოლოყაშვილი რ. უძველეს რწმენა-ნართოდგენათა კვალი ხალხურ ზღაპრულ ეპოსში. თბ.: „ნეკერი“, 2004.

***Irma Kvelashvili***

#### **The Trends of Georgian Folk Works in Revaz Inanishvili Prose**

##### **Abstract**

**Key words:** Revaz Inanishvili, Fairy tale, Mythology, ethnography.

The new wave of European mythology greatly influenced on the world and especially on the Georgian literature . Revaz Inanishvili is one of the Georgian writers whose works really depict the European trend. The writer highlights national tint and uniqueness that are manifested in mythology, in his works writer widely uses folk style to perform and create the characters of his works. All his works that are based on folk are of paramount importance for Georgian literature . Revaz Inanishvili works introduce the folk fairy tale heroes, he creates his characters in the universal manner and gives them the folk and fairy tale style. The modern and folk phenomenon are manifested simultaneously in his works.

Revaz Inanaishvili often uses the forms peculiar to the folk works, he novels widely involve folk style and plot as well. The writer brilliantly uses the style relevant for the Georgian fairy-tales , he uses all the folk and fairy tale skills to depict the fairy tale world.

The writer skillfully reveals all the traits and motives that are specific for the folk characters. Revaz Inanishvili narrative devices include ethnography, mythology and folk beliefs to create spiritual and moral characters, the writer uses toast andfeat traditions , everyday humor , worship beliefs as well. All the used skills make his characters and works colorful.

Revaz Inanishvili fairy tales violate all the strict rules of the folk pattern, he skillfully creates his novels using his own unique style. All his works are shaped by the folk and fairy tale motifs. Revaz Inanishvili works are the manifestation folk and fairy tale genre and is the significant contribution to Georgian literature. The writer reveals his delicate and respectful approach towards his nation and Georgian literature works as well.

# პოეტიკური კვლევანი

ირმა რაჭიანი

## მსხვერპლის თეორია და ალ. ყაზბეგის პროზა („ხევისბერი გოჩა“)

ალ. ყაზბეგი ქართველ მწერალთა იმ რიგს განეკუთვნება, რომელთა შემოქმედებითი მემკვიდრეობის ჩართვა საერთაშორისო ლიტერატურულ პროცესში არათუ შესაძლებელი, არამედ — ძალზე საშურია. სწორედ ყაზბეგის რანგის მწერლები ასაბუთებენ იმ დებულებას, რომ ყოველი ნაციონალური ლიტერატურა, თავსდება რა საერთოლიტერატურულ კონტექსტში, ამავ დროს, ინარჩუნებს ორიგინალურ შემოქმედებით აზროვნებას და თავის მხრივ, აფართოებს საერთაშორისო ლიტერატურული პროცესის პორიზონტებსა და მასშტაბებს. მაგრამ ნებისმიერი ლიტერატურული დებულების თეორიული დასაბუთება სცდება ოდენ ისტორიულ ან ესთეტიკურ ფაქტორებს და კონკრეტულ მეთოდოლოგიურ მიდგომასა და დამაჯერებელ არგუმენტაციას საჭიროებს. ალ. ყაზბეგის პროზასთან მიმართებაში მსგავს წარმატებულ მცდელობად უნდა შეფასდეს ვახტანგ კოლეგიშვილის გამოკვლევა „ალექსანდრე ყაზბეგი“, სადაც ყაზბეგის ტექსტების ინტერპრეტაცია თანამიმდევრულად და დამაჯერებლადა განხორციელებული ფსიქოლოგიური (და არა ფსიქოანალიტიკური — ი.რ.) და ეთიკური კრიტიკის ჭრილში\*. ის ფაქტი, რომ ხარისხიანი მხატვრული ტექსტი შრეობრივი სისტემასა და ფართო ინტერპრეტაციული შესაძლებლობები გააჩნია\*\*, გვაძლევს მოტივაციას, გადავანაცვლოთ მისი კვლევა თეორიული ანალიზის ახალ ეტაპზე და ვცადოთ ალ. ყაზბეგის რიგი ტექსტების გააზრება ანთროპოლოგიური თეორიის, კერძოდ, რენე ჟირარის მიერ დამუშავებული მსხვერპლის თეორიის კონტექსტში.\*\*\* აღნიშვნული თეორია ჟირარს არ მიუსადაგებია მხატვრულ-ლიტერატურული ტექსტის ზოგად მოდელთან, არამედ გამოიყენა ანტიკური ტრაგედიის, უფრო დაზუსტებით, „ოიდიპოს მეფის“ სიუჟეტური ქარგის განმარტების მიზნით. ვფიქრობთ, თანამედროვე ლიტერატურათმცოდნეობის გაფართოებული საზღვრები სამულებას იძლევა განვიხილოთ ჟირარის თეორია, როგორც მხატვრული ტექსტის ინტერპრეტაციის ერთ-ერთი საყურადღებო მეთოდოლოგია, განსაკუთრებით, იმ ტიპის ტექსტებში, სადაც აქცენტირებულია პრინციპული დაპირისპირება ინდივიდსა და საზოგადოების ინტერესებს შორის.

ჟირარის თეორია სათავეს იღებს აბრაამისა და ისაკის ბიბლიური მითიდან\*\*\*\*, და მეთოდოლოგიურად სამ საბაზისო ცნებას უფუძნება — **მსხვერპლი/მსხვერპლშენირვა/**

\* იხ. ვახტანგ კოტეტიშვილი, „ალექსანდრე ყაზბეგი“. ტფილისი, მთავლიტი 12, ამიერ კავკასიის რეინის გზების სტამბა-ლიტოგრაფია, 1925.

\*\* იხ. რ. ინგარდენი, „ლიტერატურული ნანარმოები როგორც ხელოვნების ნიმუში“, 1931.

\*\*\* Girard, R. *Violence and the Sacred*, trans. Patrick Gregory. Baltimore: Johns Hopkins University Press, 1977.

Girard, R. *The Scapegoat*, trans. Yvonne Freeccero. Baltimore: Johns Hopkins University Press, 1982.

\*\*\*\* ბიბლიის ტექსტისთანახმად, აბრაამი გამოსცადა ღმერთმადაუბრძანა, მსხვერპლად შეენირა მისი მხოლოდშიმილი ძე, ისაკი. აბრაამი დაემორჩილა უფლისი წებას, მაგრამ, სწორედ მაშინ, როდესაც მამამ დანა აღმართა შვილზე, ის შეაჩერა უფლის ანგელოზშ. მაშინ აბრაამი ვერძი შესწირა „აღსავლენ მსხვერპლად შვილის ნაცვლად“. ბიბლია, დაბადება, თ. 22. საქართველოს საპატრიარქო, თბილისი, 1989, გვ. 28-29.

**განტევების ვაცი.** თეორია მიზნად ისახავს ამ ცნებების ინტეპრეტაციას როგორც მი-თოლოგიური სტანდარტის, ისე უფრო ფართო თვალსაზრისითაც, კერძოდ, **ინდივი-დისა და საზოგადოების** ცნებებთან მიმართებაში. მიგვაჩინა, რომ ალ. ყაზბეგის პროზა, რომელიც ორიენტირებულია როგორც ცალკეული პერსონალიების, ისე — ინდივიდისა და საზოგადოების მტკიცნეულ ურთიერთობებზე, შესაძლებელია წავიკითხოთ **მსხვერ-პლის ანთროპოლოგიური თეორიის** ჭრილში და გავაფართოვოთ კვლევის კონკრეტული თეორიული მიზნების შესაბამისად. ამგვარი წაკითხვა, ერთი მხრივ, გაამრავალფეროვ-ნებს ყაზბეგის შემოქმედების კვლევას, ხოლო მეორე მხრივ, გაზრდის ქართული ლიტერა-ტურის ჩართულობის ხარისხს საერთაშორისო ინტერპრეტაციულ სისტემაში.

ანთროპოლოგიური მეთოდების გამოყენება ლიტერატურათმცოდნეობით კვლევებ-ში ჩვენი ხანგრძლივი ინტერესის საგანია. პირველად ასეთი ექსპერიმენტი ათიოდე წლის წინათ განვახორციელეთ, როდესაც მივუბრუნდით ლიმინალობის თეორიას, შემუშავე-ბულს პოზიტიური ანთროპოლოგიის წიაღში\*, დავეყრდნოთ მას, როგორც მეთოდოლო-გიას, და მივმართეთ მხატვრული ტექსტის უანრული და დრო-სივრცული სპეციფიკის დადგენის თეორიული ამოცანისკენ. შედეგად, დაიბეჭდა სტატიები და გამოიცა არაერთი მონოგრაფია, მათ შორის — „ტექსტი და ქრონოტოპი“\*\*. წინამდებარე წარკვევში ჩვენ კვლავ გამოვიყენებთ კვლევების ანთროპოლოგიურ ჭრილს, რომლის ფარგლებშიც წარ-მოებული ლიტერატურათმცოდნეობითი კვლევა ინტერდისციპლინურ ხასიათს შეიძენს და მოგვცემს ლიტერატურულ-თეორიული პოზიციის ანთროპოლოგიურ თეორიასთან გადაკვეთის შესაძლებლობას. ამჟამად ჩვენი ინტერესის საგანს რენე უირარის **მსხვერ-პლის თეორია** და მასთან ალ. ყაზბეგის პროზის ურთიერთმიმართება წარმოადგენს.

უირარის ხედვა, ლიტერატურულ ტექსტთან დაკავშირებით, სრულიად ინოვაციური აღმოჩენდა გასული საუკუნის 60-70-იანი წლებში. მისი აზრით, საყოველთაოდ მიღებული თეორია, რომლის თანახმადაც ხასიათები, როგორც ტექსტის ძირითად საკომუნიკაციო ბერკეტები, ჩართული არიან ტექსტის ყოველ კონტექსტში და განსაზღვრავენ მას, საჭიროებს გადახედვას. კერძოდ, ხასიათების სწორად მართვა მხოლოდ გენიალურ მწე-რალს შეუძლია, ვინაიდან ყოველ ტექსტში მუშაობს ხასიათის „**ფსიქოლოგიური კანონი**“ (მარსელ პრუსტის ტერმინი), რომელიც მწერლის მიერ განსახოვნებული რეალობის თანამიმდევრული რეცეფციის შედეგებს ეფუძნება და რომელსაც უირარი „**სურვილის მიმეტურ ბუნებად**“ წათლავს. უირარის აზრით, არც ერთი ხასიათი არასოდეს არ არის ავ-ტონომიური ერთეული: ყოველი ხასიათი **სურვილის ესთეტიკით იკვეთება** მეორე ხასიათ-თან — ხასიათებს ერთმანეთთან ან არიგებს, ანაც — აპირისპირებს სურვილის საერთო ობიექტების სისტემა. ეს თავისთავად ნიშნავს, რომ დამოკიდებულება სუბიექტსა და ობიექტს შორის ტექსტში არ არის პირდაპირი: სახეზეა ერთგვარი სამკუთხედი — **სუბი-ექტი, ობიექტი და სურვილი, როგორც შუალედური მოდელი.** სურვილს, რომელიც სცდება ჭამის ან სხვა აუცილებელი ფიზიოლოგიური მოთხოვნილებების ფარგლებს, უირარი გან-მარტავს როგორც მეტაფიზიკურ განზომილებას, რომელიც შეესაბამება შუამავლის სტა-ტუსს. **მიმეტური სურვილი** შეიძლება იყოს: აბსტრაქტული ან კონკრეტული, გარეგანი

\* იხ. Turner, Victor, Images of Anti-Temporality. An Essay in the Anthropology of Experience // Turner , Victor, On the Edge of the Bush. Tuscon, Arizona: 1985; Turner, Victor, The Ritual Process. Structure and Anti-Structure. New York: 1995.

\*\* იხ. ირმა რატიანი, „ტექსტი და ქრონოტოპი“. თბილისი, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემობა, 2010.

ან შინაგანი, შესაბამისად, იყოს ობიექტური ან სუბიექტური. ყველა ამ შემთხვევაში შუა-მავალის როგორც ფუნქცია, ისე არსი განსხვავებულია. სწორედ სურვილების (და არა ხასიათების — ი.რ.) ამ განსხვავებულობათა შეჯახების ველია ტექსტი, რომლის კონცეპ-ტუალურ და ფსიქოლოგიურ წინააღმდეგობათა დაძლევა უჭირს საშუალო რანგის მწერ-ალს\*. მწერალს უხდება ხასიათთა ყველა შესაძლებელი მიმეტური სურვილის — მოქმედე-ბის, ქცევის, უესტიკულაციის, აზრობრივი თუ ნერვული მდგომარეობისა და სხვა — დე-ტალები გარკვევა და მათი მიმართების რეგულირება ტექსტში. ამრიგად, უირარის მიერ შემოთავაზებულ მიმეტური სურვილის თეორიას მნიშვნელოვანი კორექტივები შეაქვს ხასიათის თეორიის ტრადიციულ მოდელში (არისტოტელედან ჰეგელამდე და ჰეგელიდან ფრონიდამდე) და უბიძგებს მეცნიერებს მსჯელობის შემდგომი გაღრმავებისკენ.

მიმეტური სურვილის თეორია აღმოჩნდა პირველი საფეხური უირარის ანთროპოლო-გიურ პირამიდაში, რომლის შემდეგი საფეხურიც ჩვენთვის საინტერესო მხვერპლის თე-ორიაა, დაფუძნებული მიმეტური სურვილის თეორიაზე. **მსხვერპლის** ცნება უირარმა იმ-თავითვე დაუკავშირა რამდენიმე სხვა ცნებას. კერძოდ: **კრიზისს, დევნას, ბრალდებას, ძალადობას, საზოგადოებრივ სისტემას, ინდივიდს და საკრალურს.** კვლევის მეთოდოლო-გიად შერჩეულ იქნა ანთროპოლოგიური მეთოდი, რის საფუძველზეც უირარმა განაცხა-და: მსხვერპლშენირვის პროცესი წარმოადგენს რეფლექსისას არქაულ რელიგიურ მითზე (იგულისხმება აბრამისა და ისაკის ბიბლიური მითი) და აუცილებლად ითვალისწინებს ორ სანინააღმდეგო პოლუსს — **ძალადობას, როგორც აქტს, და საკრალურს,** როგორც არ-სებულ მოცემულობას.

როგორ შეიძლება მოვახდინოთ მხატვრულ ტექსტში ძალადობის მითოლოგიური მოდ-ელის ტექსტუალიზება და პროვოცირება? ვუპრუნდებით მიმეტური სურვილის თეორიას: თუკი ორ ადამიანს, ანუ ორ მხატვრულ ხასიათს, აღეძვრება ერთი და იგივე ტიპის სურ-ვილი, აუცილებლად გამოჩნდება მესამე ხასიათი, შეიძლება მეოთხეც, იგივე მისწრაფე-ბით და პროცესი ჯაჭვური რეაციით იხლართება. შედეგად, შექმნილ ვითარებაში, პირვე-ლადი სურვილი გადაინაცვლებს უკანა პლანზე, გარკვეულწილად, დავიწყებასაც მიეცემა და თითქოს უწყინარი მიმეტური კონფლიქტი მკითხველის თვალწინ ტრანსფორმირდება პრინციპულ ანტაგონიზმით. სახეზეა **კრიზისი, რომელიც, სურვილის თავდაპირველი მოდელიდან გამომდინარე, სრულიად სხვადასხვა შინაარსის ანტაგონიზმს შეიძლება ინვეცდეს: პოლიტიკურს, სოციალურს, საზოგადოებრივს, ისტორიულს, პიროვნულს და სხვა. კრიზისის პირობებში დაპირისპირებულ მხარეთა წინააღმდეგობის საგანი აღარ არის პირველადი მიმეტური სურვილი, არამედ — მათი ანტაგონიზმი რომელიმე გლობა-ლურ იდეასთან მიმართებაში: საერთო სურვილის გაზიარების შეუძლებლობა გარდაიქ-ნება ერთმანეთის განადგურების მიზეზად.** ძალადობა მკვიდრდება, როგორც დიალოგის ერთადერთი ფორმა. თუკი დავუშვებთ ძალადობის არსებობას, მაშასადამე, უნდა დავუშ-ვათ მსხვერპლისა და მოძალადის არსებობაც. ვინ არის მსხვერპლი და ვინ არის მოძალადე?

ძალადობის პაროქსიზმი ფოკუსირებას ახდენს მსხვერპლზე, ინდივიდზე, ამ შემთხ-ვევაში ხასიათზე, რომელიც იმსახურებს (რაღაც მიზეზით) საყოველთაო ანტიპატიას და რომელიც უნდა გასამართლდეს. ბრუტალური წესით მსხვერპლის დასჯა დაამშვიდებს აგზებულ საზოგადოებას. მაგრამ, რა ბედი ეწევა თავად მსხვერპლს? მსხვერპლი დამ-ცირებული დგას საზოგადოების წინაშე და მიიჩნევა ერთი მხრივ, შექმნილი მიმეტური

\* საგულისხმოა, რომ მისაილ ბახტინი ტექსტს მიიჩნევდა სხვადასხვა ენობრივი მოდელების შეჯახების ვე-ლად (იხ. ბაхტინ M. M., Слово в Романе // M. M. Бахтин, Вопросы литературы и эстетики, М.: 1985).

**კრიზისის პირველმიზეზად, ხოლო მეორე მხრივ — ამავე კრიზისის განაღმვის საშუალებად.**

ლიტერატურათმცოდნებით სიბრტყეზე უირარის თეზა შეიძლება ამდაგვარად ჩამოყალიბდეს: **მსხვერპლის ლიტერატურული მოდელი მიმეტური კრიზისის შექმნისა და დაძლევის საშუალება.** შეიქმნა კრიზისი? რეაქციაც არ აგვიანებს: „დამნაშავე“, „იძებნება“, „იდევნება“, „მიკვლეულია“, „გასამართლებულია“, „დასჯილია“. მაგრამ, კითხვა, რომელიც ამ თეორიაში გვანუხებს, შემდეგია: ვინ არის მართალი?

ერთ-ერთ პირველ მსჯელობას ამ მიმართულებით არისტოტელე გვთავაზობს. არისტოტელეს „პოეტიკა“-ში „მართალისა“ და „დამნაშავის“ საკითხი ტრაგედიის **ფორმის თეორიის** ჭრილში წყდება\*: ტრაგედიის გმირი სახედისნერო შეცდომის გამო ვარდება უბედურებაში. მას იმთავითვე აქვს **ბზარი** (მისი ნებისაგან დამოუკიდებლად), რაც იწვევს კიდევაც მის გაუბედურებას, ხოლო მაყურებელს შიშა და სიბრალულს აღუძრავს. ჭეშმარიტი ტრაგედიის ეპიცენტრში მოქცეულია **უდანაშაულოდ დამნაშავე** ადამიანი, რომელიც, ბედისწერის განჩინებით, აღმოჩნდება უბედურ მდგომარეობაში და საკუთარი ქმედებით გამოიმუშავებს მაყურებლის ემოციურ რეაქციას. რენესანსის ეპოქამ, მოხსნარა „დღის წესრიგიდან“ ანტიკური პოეტიკისათვის პრინციპულად მნიშვნელოვანი ბედისწერის ფაქტორი, გააფართოვა „მართალისა“ და „დამნაშავის“, „მსხვერპლისა“ და „მოძალადის“ ინტერპრეტაციის შესაძლებლობები, რის უშუალო შედეგადაც შეიძლება მივიწნიოთ ის ფაქტი, რომ პოსტ-რენესანსული ხანის გერმანელმა ფილოსოფოსმა ჰეგელმა, ანტიკური ტრაგედიის წაკითხვის თვალსაზრისით, **ორი სიმართლის თეორია დაამკვიდრა**\*\*.

ჰეგელის თეორიის არსი შემდგომში მდგომარეობს (ძალიან მოკლედ): ტრაგედია ორი თვითმყოფადი პოზიციის კონფლიქტია, სადაც ორივე მხარე უძლურია, აღიაროს მეორის კანონიერება ანაც — სამართლიანობა. გამოსავალი მხოლოდ „გმირის დაცემაა“, რის შედეგადაც უნდა აღდგეს დარღვეული კავშირი და განხორციელდეს ეთიკური კათარსისი, როგორც „უნივერსალური შერიგების“ წინაპირობა. ჰეგელის თეორიაში აქცენტირებულია, თუ როგორ იხლართება გმირების შეცდომა მათთავე სიდიადესთან და **ტრაგიული კოლიზის** წიაღში როგორ წარსდგება ერთმანეთის პირისპირ ირი სარწმუნო და დამაჯერებელი, თითქოს სარკისმიერი ორეული (მაგალითად, ანტიგონე და კრეონი). ჰეგელის თეორიის მნიშვნელოვანების მიუხედავად, უნივერსალურობის თვალსაზრისით, ის ვერ უტოლდება არისტოტელესულ მეთოდოლოგიას, გამორჩეულს მეტი მასშტაბურობით: მაგალითად, ანტიკურ ეპოქაშივე შექმნილი, „დამსახურებული სასჯელისა“ და „მსხვერპლშენირვის“ ტრაგედიები სრულად გამორიცხავს ჰეგელისეული ინტერპრეტაციის შესაძლებლობას.

ჰეგელი ექებს ჰარმონიას ტრაგედიაში, რასაც ვერასდიდებით ვერ ხედავს წიცშე. ნიცშეანური განცდა ტრაგედიისა, ჩამოყალიბებული ნაშრომებში „ტრაგედიის დაბადება მუსიკის სულიდან“ და „ტრაგედიის დაბადება, ანუ ელინიზმი და პესიმიზმი“, ეფუძნება ისეთ პოზიციებს, როგორიცაა პალლონი და დიონისე, სინათლე და ქაოსი, ელინისტური და პესიმისტური და სხვა. მისთვის ტრაგედია ჰერცეპტურულ გამოცდილებაშია განთავსებული (მაგალითად ოიდიპოსის განცდებზე მეტად მნიშვნელობს მაყურებლის განცდები, რომელიც ფიზიკურად დაშორებულია ოიდიპოსიაგან!), რაც იწვევს **შუალედური დისტანციის სუბლიმაციას მყისიერ გამოცდილებასთან**.

\* დაწვრილებითი მსჯელობა ამის შესახებ იხ. ი. რატიანის ნაშრომში „ფაბულა და სიუჟეტი. Pro et Contra“ (2011).

\*\* დაწვრილებითი მსჯელობა ამის შესახებ იხ. ჰეგელის „ესთეტიკაში“.

მთლიანად სუბიექტისა და სუბიექტური განცდების მნიშვნელობას დააფუძნა საკუთარი ინტერპრეტაციული მეთოდი ფრონდმა: „**თიდიპოსის კომპლექსით**“ მან ახსნა, ერთი მხრივ, პერსონაჟის გაუცნობიერებელი და დათრგუნული სურვილების რეალიზაციის, ხოლო მეორე მხრივ, ავტორის სექსუალური და აგრესიული ლტოლვების სუბლიმაციის პროცესი\*.

საგულისხმოა, რომ უირარის მეთოდოლოგია ყველა ამ პოზიციას ითვალისწინებს და ფარავს კიდევაც: მიმეტური სურვილის თეორიით ის ანესრიგებს ურთიერთობას ნიცხესა და ფრონდის თეორიებთან, ხოლო მსხვერპლის თეორიით — არისტოტელესა და პეგელის თეორიებთან. მონესრიგება არ გულისხმობს თანხმობას, არამედ — გათვალისწინებას და ხშირად უარყოფას, როგორც ეს ხდება პეგელის თეორიის შემთხვევაში: მსხვერპლისა და მსხვერპლშენირვის ანთროპოლოგიური თეორიის ლიტერატურული იმპლიკაციები გამორიცხავს ორი სიმართლის არსებობას. **სიმართლე ერთია, თუმცა, დასადგენი.** დადგენის კრიტერიუმები კი, რომელსც უირარი გვთავაზობს, ასეთია:

ა)კრიზისის გამომწვევი რეალური მიზეზის აღმოჩენა;

ბ)კრიზისის არსის განსაზღვრა;

გ)კრიზისთან მსხვერპლისა და საზოგადოების მიმართების დეფინიცია;

უირარის პოზიციით, ტრაგიკული სიტუაციის პროვოცირება დამოკიდებულია კრიზის აღმოცენებაზე: საზოგადოება აღმოჩნდება „**რაღაც ტიპის**“ კრიზისში, რომელიც, როგორც ზემოთ აღნიშნეთ, ამოზრდილია სურვილის თავდაპირველი მოდელიდან და იწვევს შესაბამისი სახის/გარკვეული სახის ანტაგონიზმს. ანტაგონიზმი გლობალურ იდეასთან მიმართებაში თანდათან ღრმავდება და საერთო სურვილის გაზიარების შეუძლებლობა გარდაიქმნება ერთმანეთის განადგურების მიზეზად. განადგურების იარაღია ძალადობა.

ძალადობის აქტი ისეთივე რეალურია, როგორც თავად კრიზისი. ძალადობის აქტს განსახორციელებლად მინიმუმ ორი ინდივიდი ესაჭიროება: მოძალადე და მსხვერპლი, ხოლო მსხვერპლის შერჩევის პროცესი, უირარის აზრით, სულაც არ არის შემთხვევითი. მიგვაჩინა, რომ ამ მოსაზრებით უირარი ლოგიკურ მოტივაციას უძებნის არისტოტელესეულ „უდანაშაულო დამნაშავის“ ცნებას: მსხვერპლი შესაძლოა მართლაც უდანაშაულო იყოს, მაგრამ ის აუცილებლად არის „**რაღაც ნიშნით**“ გამორჩეული (არისტოტელესეული ხასიათის „ბზარის“ ესთეტიკური გაფართოება). **მსხვერპლის ნიშანი**, როგორც მარკერთა სისტემა, უირარის თეორიის ერთ-ერთი ცენტრალური ბერკეტია. „**გამორჩეულობა**“ საგულისხმო კრიტერიუმებს ითვალისწინებს, რომელთა მორგებაც ტრაგიკულ სიუჟეტზე სირთულეს აღარ წარმოადგენს. გამორჩეულობა შესაძლებელია: ფიზიკური ნიშნით (ოიდიპოსი კოჭლია), **სოციალური ნიშნით** (ოიდიპოსი მეფეა), **კუთვნილების ნიშნით** (ოიდიპოსი „უცხოელია“), **ნარმომავლობის ნიშნით** (ოიდიპოსი მეფის შვილია), **ფსიქოლოგიური ნიშნით** (ოიდიპოსი თავადაც მოძალადე — მოკლა მამა და ცოლად შეირთო დედა). ნიშანთა სისტემა საზოგადოებრივი სისტემის დონეზე, ცხადია, ინდივიდუალურია და ასევე უნდა ვივარაუდოთ ტრაგედიების გმირებთან მიმართებაშიც — იქნება ეს ანტიგონე, მედეა, პერაკლე, ელექტრა, ორესტეა, აგამერნონი, ფედრა თუ სხვა. **პერსონაჟი**, რომელიც ფლობს მსხვერპლის ნიშნებს, თუნდაც მათ ნაწილს, უკვე აადვილებს მსხვერპლის შერჩევის პრო-

\* დაწვრილებითი მსჯელობა ამის შესახებ იხ. ლ. ბრეგაძის წერილში „ფსიქოანალიზი და მხატვრული შემქმედება“ (კრებულში „ლიტერატურის თეორია. XX საუკუნის ძირითადი მეთოდოლოგიური კონცეფციები და მიმდინარეობები“, 2008).

**ცესს.** როგორც კი აღმოცენებული კრიზისის ფონზე გამოიკვეთება ვინმესამე გამორჩეულობა, უირარის აზრით, პროცესი გადაინაცვლება ახალ ეტაპზე, რომელიც შეიძლება განისაზღვროს, როგორც **დევნა და გასამართლება**.

ვინ დევნის ვის? **კრიზისით თავზარდაცემული საზოგადოებრივი სისტემა უპირის-პირდება მას, ვინც მისი აზრით, დამნაშავეა ამ კრიზისში:**

საზოგადოება ან მისი გარკვეული ნაწილი დევნის **ინდივიდს**, რომელიც იმთავითვე მონიშნულია. უირარი გამოყოფს დევნის სხვადასხვა ანთროპოლოგიურ მოდელებს, რომელთაგანაც, ჩვენი აზრით, ყველა ვერ რეალიზდება მხატვრულ ტექსტებში, არამედ მხოლოდ ის მოდელები, რომლებიც შეიძლება საფუძვლად დაედოს ტექსტში ესთეტიკური ლირებულებების დევლარირებას. ნებისმიერ შემთხვევაში, საქმე გვაქსა დაპირისპირებასთან საზოგადოებასა და ინდივიდს შორის, რაც გამოიხატება პრინციპულ ანტაგონიზმში: ერთი მხრივ დგას სახიფათო ერთნაირობით შეპყრობილი საზოგადოება, ხოლო მეორე მხრივ — **იდენტიფიცირებული მსხვერპლი**. პრობლემის ძირს საზოგადოება ექცებს არა საკუთარ თავში, არამედ — ადამიანებში, რომლებიც, მისი აზრით, საზოგადოებისათვის მავნებლურად გამოიყურებიან ან იქცევიან. მას აქვს ურყევი რწმენა, რომ მის მიერ დევნილი მსხვერპლი (ან მსხვერპლთა ჯგუფი) დიდ ზიანს აყენებს საზოგადოების სიმყარესა და ავტორიტეტს, რაც აუცილებლად უნდა გამოიხატოს მოტივირებულ **ბრალ-დებაში**. ბრალდებათა დიდი ნაწილი სტერეოტიპულია, აცხადებს უირარი, და ჩვენ სავსებით მიზანშეწონილად მიგვაჩნია ამ განცხადების გადმოტანა მხატვრული ტექსტის სიბრტყეზე: უდიდესი უმრავლესობა ტექსტებისა, რომელიც ზემოთ განხილული პროცესების სიუჟეტურ გაშლას ემსახურება, სტერეოტიპულ ბრალდებებს ეფუძნება (ეს ბრალდებები შესაძლოა იყოს მითოლოგიური ხასიათისაც — ი.რ.) — ამგვარი ბრალდებები თითქოს სამოტივაციო ხიდია იმ ნაპრალში, რომელიც არსებობს ინდივიდის უმნიშვნელობასა და საზოგადოების სისასტიკეს შორის. განრისხებულმა საზოგადოებამ უნდა მოითხოვოს ინდივიდის გასამართლება. **მსხვერპლშენირვის აქტი**, რომელიც გარდაუვალად ახლავს თან ზემოთ ჩამოთვლილ პროცესებს, ორ განსხვავებულ ასპექტში ვლინდება: ეს შეიძლება იყოს **(ა) საკრალური მოვალეობა** (საღვთო მოვალეობა); **(ბ) კრიმინალური ქმედება**. პირველ შემთხვევაში ის კანონიერია და სახალხო, მეორე შემთხვევაში — უკანონო და, ხშირად, დაფარული. ეს პევრადა დამოკიდებულია იმაზე, თუ ვინ ასამართლებს მსხვერპლს: **სამართლის ავტორიტეტული ინსტიტუტი** თუ **ბრბო?**

რასაკვირველია, მითოლოგიური ხასიათის მხატვრულ ტექსტებში, ვგულისხმობთ ანტიკურ ტრაგედიებს, ძალადობისა და მსხვერპლშენირვის პროცესი უფრო „მაღალ რეგისტრშია“ წარმართული, ვიდრე — არამითოლოგიური ხასიათის (თუნდაც ისტორიულ) ტექსტებში. თუმცა არამითოლოგიური ხასიათის ტექსტებში ვითარება რამდენადმე რთულდება: **მითოლოგიურ სიუჟეტებში „დამნაშავე“** (მხევრპლი) თავისი „დანაშაულის“ უტყუარი ნაწილია, ანუ — „**დანაშაული**“ მისი ონტოლოგიური ატრიბუტია (არისტოტელე, ჰეგელი) და კავშირიც დანაშაულსა და კოლექტიურ კრიზის შორის ძალზე ძლიერია; არამითოლოგიურ სიუჟეტებში კი რამდენადმე არადამაჯერებელია როგორც „**დამნაშავის**“ (მხევრპლის), ისე — „**დანაშაულის**“ იდენტიფიკაცია: რაც მეტად აგრესიულია საზოგადოება, მით მეტად არადამაჯერებლად გამოიყურება იგი და მით მეტად არადამაჯერებლია მსხვერპლშენირვის აქტიც. ამ, მეორე ტიპის ტექსტებს განეკუთვნება ანტიკური ეპოქის შემდგომი ხანის არამითოლოგიური სიუჟეტების დიდი ნაწილი, რომელიც

აღნიშნულ პრობლემატიკას უდრმავდება. მათ შორის შესაძლოა მოვიაზროთ ალ. ყაზბეგის პროზაც („ხევისბერი გოჩა“, „მოძღვარი“, „მამის მკვლელი“ და სხვა).

ალ. ყაზბეგის პროზა, უპირატესად, ორიენტირებულია საზოგადოებისა და ინდივიდის რთულ ურთიერთობებზე კრიზისის პირობებში. კრიზისი შეიძლება იყოს ცალხაზოვანი (მაგალითად, სასიყვარულო, პოლიტიკური, რელიგიური), ანაც — კომბინირებული (რამდენიმე სახის კრიზისი ერთდროულად). ნებისმიერ შემთხვევაში, ყაზბეგი ქმნის სიუჟეტურ ქსელებს, სადაც „მართალისა“ და „დამნაშავის“ დადგენა მარტივი არ არის. მიგვაჩინია, რომ უირარის თეორიის მომარჯვება ამ საქმეს არამარტო გააადვილებს, არამედ — ნათელსაც მოჰქონდება.

ანალიზისათვის ყურადღებას შევაჩერებთ ყაზბეგის ერთ-ერთ ყველაზე სრულყოფილ ტექსტზე (მხატვრული და სტილისტური თვალსაზრისით) — „ხევისბერი გოჩა“. თხზულების ფაბულა წინააღმდეგობრივ სასიყვარულო და საზოგადოებრივ ზნეობრივ სამკუთხედებს ემყარება, შესაბამისად, **სახეზეა პირადი და საზოგადოებრივი კრიზისის მოდელები**, რომლებიც ტრაგიკული გარდაუვალობით იკვეთება ერთმანეთთან. სასიყვარულო სამკუთხედის მოდელი — ონისე/ძიძია/გუგუა — ერწყმის საზოგადოებრივი სამკუთხედის მოდელს — ონისე/ხევისბერი გოჩა/თემი — და ახდენს ღრმა კრიზისისა და კონფლიქტების პროვოცირებას. ორივე მოდელს ჰყავს უცვლელი წევრი — ონისე. ის საბედისწერო ფიგურაა, რასაც ადასტურებს კიდევაც ნარატივის სიუჟეტური დეტალები.

თხრობა იწყება დინამიურად, მაგრამ ავისმომასწავებლად: ტრაგიზმი ტექსტის დასაწყისშევე ჩადებული — ხელისმომკიდეს უყვარდება პატარძალი. ჩვენი კვლევისათვის ამჟამად ნაკლებად საინტერესოა საკითხი, თუ რა ხდება ონისესა და ძიძიას შორის, სიყვარულია ეს თუ სექსუალური ლტოლვა, ან როგორ შეიძლება ონისემ თავი იმართლოს ძიძიას საქმროს, თავისი მეგობრის, გუგუას წინაშე და სხვ., მაგრამ პერსონაჟთა შეხვედრის ბედისწერით განპირობებულობას, რასაც არაერთხელ ხაზგასმით აღნიშნავს მწერალი, ვალდებული ვართ მივაქციოთ ყურადღება:

„ძიძიას შესტრფოდნენ ბევრი, ძალიან ბევრი, რამდენჯერმე მისი მოტაცებაც კი სცადეს, მაგრამ, როგორც ეტყობოდა, მისი ბედილბალი გუგუა იყო და მას დარჩა“ (ყაზბეგი 1993: 167);

„ონისე კი ფშავს წასულიყო... მაგრამ, როდესაც სადმე ქედზედ გასული ბედს დააკვირდებოდა, თავის მაშინვე ძიძიას სახე განმანათლებლად ჩაეშუქებოდა გულში და სანეტარო ტკბილს მკვნესავს ოხვრაში შეიყვანდა“ (ყაზბეგი 1993: 185).

ბედისწერის ფაქტორი, რასაკვირველია, არ და ვერ ასრულებს ტექსტში იმ ფუნქციას, რაც მას ანტიკურ ტრაგედიებში აქვს დაკისრებული, თუმცადა: ა) ამწვავებს კრიზისულობისა და ტრაგიზმის გარდაუვალობას; ბ) გვევლინება პერსონაჟთა ქცევისა და ქმედების „გამართლების“ ერთადერთ არგუმენტად. ვ. კოტეტიშვილი აღნიშნავს, რომ ონისეს („ხევისბერი გოჩა“), ისევე როგორც მათიას („ელგუჯა“), სულში „ვნების გრიგალი არის ატეხილი, ხოლო მოვალეობის შეგნება კი ყალყზე დამდგარ აფთარივით ახრჩობს ამ დევ-ვაჟკაცებს. და იწენება მათი სული, ილრნება მათი ნების-ყოფა, მაგრამ ისე ლამაზად, რომ მთელი ჩვენი სიმპატიები მათ გარს ევლებიან. ჩვენ გვესმის ეს დიდი დრამა, რადგან ადამიანის ეთგვარი „ბედის-წერაა“, და ამ ბრძოლაში დაცემულიც კი პატივსაცემია, როგორც დიდი ომში დამარცხებული“ (კოტეტიშვილი 1925: 101). თხზულებაში აღმოცენებული სასიყვარულო და საზოგადოებრივი კრიზისები ბედისწერის აჩრდილქვეშაა

მოქცეული და გარდაუვალობის ბეჭედი აზის. მაგრამ ბედისწერა არ არის ერთადერთი განსაზღვრულობა, რაც ზღუდავს პერსონაჟთა თავისუფალ ნებას ყაზბეგის ამ ტექსტში. თეზულების პერსონაჟები ორმაგი ხუნდებით არიან შებორკილი — **ბედისწერისა და საზოგადოებრივი ეთიკის ხუნდებით**: მათ არა აქვთ არჩევანი, ისინი ერთნაირად განიცდიან როგორც საკუთარი, მიუღებელი ვნებებისა და ემოციების ტრაგიზმს, ისე — საზოგადოების წინაშე მათი ეთიკური პასუხისმგებლობის სიმძიმეს. „ხევისბერ გოჩაში“ დანაშაულის შეგრძნება არასოდეს არის ერთი, ის ყოველთვის ორმაგია, ხოლო თნისეს შემთხვევაში — სამმაგიც. ის პასუხს აგებს არამარტო საკუთარი თავისა და თემის, არამედ — მამის, ხევისბერი გოჩას წინაშეც.

ონისე იმთავითვე გამორჩეული პერსონაჟია, მინიმუმ, **მსხვერპლის ორი ნიშნით: წარმომავლობის ნიშნით** — ის ხევის მეთაურის, ხევისბერის ვაჟია, და — **ფსიქოლოგიური ნიშნით:** მას უყვარდება მეგობრის საცოლე, შემდგომში კი — ცოლი, ქალი, რომელსაც თავდაპირველად „დად“ დებულობს: „იყოს თავდებად ზევით ღმერთი და ქვეშ დედამიწა, რომ ძიძია დასავით მეყვარება, გაუწევ ძმობას, მაგისტრის ძმაზედ უფრო მეტი ვიქენები!“ (ყაზბეგი 1993: 169). თუ გავითვალისწინებთ, რომ ამ პროცედურას წინ უძლვის ძიძიას საქმროსთან, გუგუასთან მისი მეგობრობა და ძმობა, ონისესა და ძიძიას ვებას ინცესტის ელფერიც კი დაპკრავს, რაც კიდევ მეტად აღრმავებს ფსიქოლოგიური ნიშნით პერსონაჟის გამორჩეულობას. სასიყვარულო სამკუთხედის აღმოცენება, თუკი სიუჟეტის ამ მონაკვეთს ჩავულორმავდებით, ანტიკური ტრაგედიებისათვის ნიშანდობლივი არქაული მოდელის — **ჩანაცვლების რიტუალის** — პირდაპირი შედეგა: ხევის კანონით, პატრიარქი, ვიდრე სასიძოს მიჰევრიან, ხელისმომკიდეს უნდა ჩააბარონ, როგორც საქმროს წარმოგზავნილს, მის შემცვლელს დროის უმცირეს მონაკვეთში — ქალის სახლიდან საყდრამდე. **ყაზბეგის აღნიშნულ ტექსტში სწორედ ეს უწყინარი რიტუალი იქცევა პერსონაჟთა პირადი კრიზისს პირველმიზეზად, რომლის უშუალო შედეგსაც „აკრძალული ხილის“ დაუოკებელი სურვილი და, მოგვიანებით, დაუფლება წარმოადგენს.** ძიძიას სიყვარული ონისეს მიმეტური სურვილის ობიექტია, რითაც ის იკვეთება გუგუას მიმეტურ სურვილთან, ხოლო ყაზბეგის, როგორც მწერლის, ამოცანის სირთულეს ამ ორი ხასიათის დამოკიდებულების სწორად წარმართვა ქმნის. ონისე **საბედისწეროდ** ჩანაცვლებს გუგუას და **ბედისწერის მარხილითვე** (რომელიც მას და ძიძიას მეტაფორულად მიაქანებს ნამქერში) დაეშვება საკუთარი დაცვისაკენ. ყაზბეგის „სულიერი ძიება, მუდმივი მოუსვენრობა „ბედის წერით“ არის გამოწვეული, — აღნიშნავს ვ. კოტეტიშვილი, — ადამიანის სიცოცხლის მთელი ტრალიზმი და იმავე დროს სილამაზეც იმაში მდგომარეობს, რომ იგი ერთსა და იმავე დროს ორფეზი ცხოველიც არის და სულიერი, თვით-გამომრკვევი სუბსტანციაც; იგი სუსტიციურიც, მაგრამ დიადიც, რადგან აზროვნება აქვს და იცის რატომ იტანჯება. მასში ძნელი და მძიმე წინააღმდეგობანი ღრღნიან მუდამ მოუსვენარ სულს, და ამ საშინელ დრამის მნარმოებელი გონებაა, რომელიც ყოველთვის ვერ იმარჯვებს“ (კოტეტიშვილი 1925: 108). შეიძლება დავამატოთ, რომ მსხვერპლის ეს ანთროპოლოგიური მოდელი დაკავშირებულია როგორც არქაულ რელიგიურ პლასტიკურთან, ისე — ცხოველთა პიოლოგიურ სამყაროსთან. ონისე საბედისწერო ჩანაცვლების მსხვერპლია — მას ერგება ის, რაც სხვისთვისაა განკუთვნილი, თუმცა, ანტიკური ტრაგედიებისაგან განსხვავებით, ონისე მშვენივრად გრძნობს შექმნილი ვითარების საფრთხეს და სრულიად გააზრებულად ერთვება ვნებათალელვებში, რაც კიდევ მეტად აღრმავებს შეცოდების სიმძიმეს და ქმნის ამ ქმედების დასჯის გარადაუვალობის მოლოდინს.

ვინ შეიძლება მოგვევლინოს დამსჯელად? გუგუა? საზოგადოება? მამა?

პასუხს ამ შეკითხვაზე ართულებს მეორე სამკუთხედის, ანუ მეორე კრიზისული მოდელის — **საზოგადოებრივი კრიზისის** — აღმოცენება, რომელიც უშაუალოდ იკვეთება პირველთან. საზოგადოებრივი კრიზისის სამკუთხედი ასე გამოიყურება: ონისე/ხევის-ბერი გოჩა/თემი (საზოგადოება).

ხევისბერი გოჩაც იმთავითვე **სოციალური ნიშნით** გამორჩეული პერსონაჟია, **ხევის თავი**, დახატული „ჭეშმარიტი მონუმენტურობით“ (ქიქოძე 1963: 211), თუმცადა, მისი სოციალური გამორჩეულობა ტექსტში გადაფარულია: ა) ნუგზარ ერისთავის სოციალურივე გამორჩეულობით (თუნდაც ნეგატიურით); ბ) ონისეს სამსხვერპლო მარკერებით (იხ. ზემოთ).

„გათეთრებული, ლაზათიანის შეხედულებით, მბრძანებლის მიხვრა-მოხვრით და მედიდურის, მტკიცე სახის გამომეტყველებით“ (ყაზბეგი 1993: 177) შემცული გოჩა, „მშობელი მამა თავის ხალხისა“ (ყაზბეგი 1993: 180) მითოლოგიურ პერსონაჟებს უფრო წაგავს, ვიდრე ჩვეულებრივ, მიწიერ ადამიანს, მათსავით ძლიერი, ღირსეული და უკომპრომისოა. თეზულების ნარატივის დასაწყისიდანვე ცხადია, რომ გოჩა შვილზე უსაზღვროდ შეყვარებული მამაა, თუმცა, **ეს სიყვარული არ არის უპირობო!** მამის წინათგრძნობა თავიდანვე ჭვრეტს უბედურებას — „გოჩას აშკარად ეტყობოდა, რომ მისი მრავალგვარად გამოცდილი გული რაღაც უბედურების მოახლოვებასა ჰკერძნობდა. მისი გამოცდილის თვალებისათვის შვილის ერთი დანახვა კმაროდა, რომ მის საქციელში ავადმყოფობის მაგიერ, სხვა მიზეზი დაენახა, მაგრამ რა იყო ეს მიზეზი, საიდანა ჰქონდა ნიავი, რომელიც მას, როგორც ნადირს, სუნს აყრიდა და აკრთობდა, — მოხუცი ვერ მიმხვდარიყო“ (ყაზბეგი 1993: 181). ეჭვი ღრღნის გოჩას და, მიუხედავად იმისა, რომ ზუსტ მიზეზს თავისი ეჭვისა ვერ ადგენს, სწორ გზას ადგას და გრძნობს, რომ შვილთან მისი თანხმობის მთავარი პირობა — **გვარის ლირსების შენარჩუნება და დაცვა** — შეიძლება დაირღვეს: „გახსოვდეს, ვისი გორისა ხარ და კაცი კი ტანჯვისთვის არის გაჩენილი“ (ყაზბეგი 1993: 183).

ამ სიტყვებით იწყება **არჩევანის ფაზა** თხზულების სიუჟეტში: არჩევანის წინაშე დგება კრიზისული სამკუთხედების მონაწილე თითოეული პერსონაჟი და კომპონენტი — ონისე, გუგუა, თემი, გოჩა, თუმცა, ყველაზე მძიმე არჩევანი გოჩას მოელის.

ონისეს ეძლევა არჩევანი, გოჩს მოეგოს და შეაჩეროს საკუთარი ვნებები, რასაც ის ვერ ართმევს თავს და, ძიძიასთან განმარტოებული და ვნებასაყოლილი, დაივიწყებს რა თავის მოვალეობას, პრინციპულ ბრძოლაში, **უნებლივედ** უღალატებს საკუთარ ხალხს; გუგუას ეძლევა არჩევანი, გაუსწორდეს ონისეს, მაგრამ ნაცვლად ამისა, ონისეს ძებნისას, **უნებლივედ** შეუძლვება მტერს თავისი ხალხის ბანაკში. აღსანიშნავია, რომ **ბედისწერით განსაზღვრული ეს უნებლიობაც**, გამოხატული სიუჟეტის კონკრეტული ეპიზოდით, **ჩანაცვლების რიტუალს** ეფუძნება, თუმცა უფრო გაღრმავებული ფუნქციით: ამ ეპიზოდში, ჩანაცვლების ხერხის შემოტანით, ყაზბეგი არქაული მითოლოგიური პლასტებიდან მომდინარე კიდევ ერთ მოდელს ააქტიურებს — **სუროვატი მსხვერპლის მოდელს**. სუროვატი მსხვერპლის უძველეს მოდელად რენე ჟირარი სამართლიანად მიიჩნევს ისაკის მიერ იაკობის დალოცვის ბიბლიურ ამბავს, როდესაც რებეკა იაკობით ჩანაცვლებს მის ძმას, ესავს, ბრმა ისაკის წინაშე. ისაკი ვერ ხვდება ამ თვალთმაქცობას და, შედეგად, კურთხევას, რომელიც ესავისთვის არის განკუთვნილი, იღებს იაკობი\*. ვიდრე ონისე ანაცვლებს გუგუას მისსავე ცოლთან, შეურაცხყოფილი გუგუა გარბის შურის საძიებლად და უნებ-

\* ბიბლია, დაბადება, თ. 27. საქართველოს საპატირიარქო. თბილისი, 1989, გვ. 34.

ლიედ ანაცვლებს ონისეს მოღალატის როლში: მიუხედავად იმისა, რომ მტრის შემოსვლა მოხევეთა ბანაკში ონისეს უყურადღებობის ბრალია, სუროგატ მსხვერპლად გუგუა იქცევა — ონისეს ბრალეულობა დაფარულია, საზოგადოება-თემი ვერ ხვდება სიმართლეს და მისი ზიზღი და გაკიცხვა მიემართება გუგუას, როგორც მოღალატეს, და არა ონისეს, რომელსაც ის რეალურად უნდა მიემართებოდეს.

არჩევანის და, ზოგადად, ვითარების სიმწვავეს განაპირობებს ორივე ზემოთ განხილული კონფლიქტის — სასიყვარულოსა და საზოგადოებრივის — თავმოყრა (გნებავთ, შეხვედრა) საზოგადოებისათვის უმისოდაც კრიზისულ ვითარებაში: კრიზისი ეროვნული ხასიათისა — მოხევეებს ემუქრება ნუგზარ ერისთავი მათი დამორჩილების მიზნით. მეტიც, ერისთავი ცდილობს, ძმათაშორის ომში ჩაითრიოს მთიულები და მთიანი რეგიონის სხვა მცხოვრები. შექმნილ კრიზისთან საზოგადოების ერთსულოვანი მიმართება აღსავსეა მაღალი პაუხისმგებლობით, რისი სიმბოლური გამოხატულებაცაა ხევისბერი გოჩას პოზიცია, გამსჭვალული ლიდერისთვის ჩვეული უკამპრომისობითა და თავდადებით. სწორედ ამ დაბაბულ ვითარებაში იჩენს თავს სხვადასხვა ტიპის ანტაგონიზმი, რომელთაგანაც ერთ-ერთმა ცენტრალური სიუჟეტური ანტაგონიზმის ფუნქცია უნდა შეასრულოს. მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ ანტაგონიზმი გოჩასა და ნუგზარ ერისთავს, მოხევეებსა და ნუგზარ ერისთავის ჯარს შორის უაღრესად პრინციპულია, ცენტრალური ანტაგონიზმის სივრცეს მთლიანად იცყრობს ხევისბერ გოჩასა და ონისეს, ანუ მამასა და შვილს შორის ნარმოქმნილი ანტაგონიზმი: დაპირისპირება ეფუძნება ლირებულებითი პრინციპების გაზიარების შეუძლებლობას — ის, რაც ონისესათვის ბედისწერით თავსდატეხილი გრძნობა ან თუდაც მისი და საყვარელი ქალის პირადი არჩევანია, გოჩასათვის მამაკაცური ლირების შელახვას უტოლდება; ის, რასაც ონისე სიყვარულის სახელით ჩადენილ შეცდომად (თუნდაც მძიმე შეცდომად) მიიჩნევს, გოჩასთვის უპატიებელი საზოგადოებრივი დანაშაულია. სად არის ამ დროს საზოგადოება? რას აკეთებს თემი, ესოდენ ერთსულოვანი და ერთაზროვანი საზოგადოება? როგორ ექცევა ის იდენტიფიცირებულ მსხვერპლს ონისეს სახით?

თემი, რომელზეც წერს ყაზბეგი „ხევისბერ გოჩაში“, ცალსახად არ არის ბრბო, არამედ საკუთარი ეთიკური კოდექსის მქონე ერთობაა, რომელიც ეფუძნება არა იურიდიულ კანონებს, არამედ — მყარ ტრადიციებსა და შეხედულებებს. მისი მიზანი ნებისმიერი სახის კრიზისის თავიდან აცილებაა. ანთროპოლოგ რობერტ ლოუის აზრით, სამართლის კანონების თვითდანესება „პრიმიტიული საზოგადოებისათვისაა“ დამახასიათებელი, თუმცადა მათ შორისაც არსებობს პირნციპული განსხვავება: არსებობს საზოგადოებები, რომლებიც ქმნის სამართლის ავტორიტეტულ ინსტიტუტს და არსებობს ისეთი საზოგადოებებიც, რომლებიც ამას არ ან ვერ აკეთებს და ბრბოს სტიქიაში რეალიზდება: ბრბო აფასებს მოქმედებას და არ ეძებს მიზეზებს, ხოლო ინდივიდი ეძებს მიზეზებს, რომლებიც გაამართლებს მის მოქმედებას. სახეზეა სრული ცთომილება, რაც აუცილებლად უნდა დასრულდეს ძალადობის აქტით. ასეთ შემთხვევებში საქმე გვაქვს კუსტარულ მოვლენასთან, რასაც საზოგადოება მიჰყავს პიროვნულ კონფრონტაციებამდე ადამიანების ცალკეულ ჯგუფებს შორის და ახდენს ისეთი ქმედების პროვოცირებას, როგორიცაა, მაგალითად, სისხლის აღება (ვენდეტა) ანდა სხვა კრიმინალური აქტები (ჟირარი 1977: 15). სამართლის ავტორიტეტული ინსტიტუტი კი გამორიცხავს მსგავსი ტიპის პირად კონფრონტაციებს — ის საზოგადოების ინტერესებზეა ორიენტირებული და

მისი კეთილდღეობის სახელით მოქმედებს (ლოუი 1970: 400). მას საქმე არა აქვს პირად შურისძიებასთან, არამედ საზოგადოების სახელით განხორციელებულ სამართლათან. ასეთ შემთხვევაში მსხვერპლის (რომელიც დამნაშავედაა შერაცხული) გასამართლება მიიჩნევა არა კრიმინალურ, არამედ — საკრალურ აქტად. სწორედ ამგვარ სამართლებლივ ინსტიტუციას მიეკუთვნება ყაზბეგის თემი თხზულებაში „ხევისბერი გოჩა“.

მაშ, რატომ არ სჯის განრისხებული თემი ონისეს, რომელმაც შეურაცხყო მეგობარი, დაივიწყა ძმობის კოდექსი, შეიყვარა ქალი, რომელიც არ უნდა შეეყვარებინა და, ვნებას-აყოლილმა, უღალატა თავის ხალხს? რატომ მიმართავენ თემის თავნი გოჩას უცნაური ფრაზით: „გოჩა! შენს შვილს ხევი არ გაუყიდნია... მხოლოდ ყმანვილკაცობას გაუტაცნია და თავდავიწყებაში ჩაუყდია...“ (ყაზბეგი 1993: 234). ნუთუ თემი დაიბნა? ან იქნებ ხევისბერის ავტორიტეტს შეუშინდა?.. მაგრამ ეს შეუძლებელია, ვინაიდან ყაზბეგის თემი ძლიერია, მონოლითური, ის არ ბარბაცებს (როგორც ვაჟა-ფშაველასთან, მოგვიანებით), არამედ მტკიცედ იცავს თავის კანონებს.

ვფიქრობთ, რომ ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს **სამსხვერპლო კრიზისის** ალბათობასთან, რაც განსაკუთრებით დამახასიათებელია არამითოლოგიური სიუჟეტებისათვის. გართულებულია როგორც დამნაშავის, ისე დანაშაულის იდენტიფიკაცია, მით უფრო, რომ არსებობს სუროგატი მსხვერპლი გუგუას სახით. საზოგადოება-თემი თავს იკავებს აგრესიულობისგან, ვინაიდან დარწმუნებული არაა მსხვერპლშენირვის აუცილებლობა-ში: დიდია იმის რისკი, რომ მსხვერპლშენირვის საკრალური აქტი კრიმინალურმა ქმედებამ გადაფაროს — ონისეს დანაშაული არ არის ჩადენილი წინასწარი განზრახვით და, თანაც, მან ხომ გამოისყიდა თავისი უნებლიერ შეცდომა თავისივე არნახული მამაცობით? მაშ, რატომძა უნდა არკვიოს თემმა გუგუასა და ონისეს პირადი უთანხმოება — პირადული ხომ ვერასოდეს გაუტოლდება საზოგადოებრივს?! აჯობებს თუ თემი მოარიგებს მათ (თავისისავე საკეთილდღეოდ) და ამით თავიდან აიცილებს კონფლიქტის ახალ კერას.

შესაბამისად, სწორედ თემი, რომელიც ვერ/არ იღებს გადაწყვეტილებას, უბიძებს გოჩას საბედისწერო არჩევანისკენ. აქ კი სხვა კითხვები დაისმის: რატომ ასაჩივრებს ხევისბერი თემის განაჩენს? რატომ არ ეთანხმება და არ ემორჩილება მის გადაწყვეტილებას, რომ ეპატიოს ონისეს? ვინ მისცა გოჩას უფლება, ერთპიროვნულად გადაწყვიტოს შვილის ყოფნა-არყოფნის საკითხი?

პრიმიტიული პასუხი ამ კითხვებზე ასე გაიუღერებს: გოჩა მოძალადეა, ის კრიმინალურ დანაშაულს ჩადის — კლავს ადამიანს, რომელსაც დამნაშავედ არ სცნობს სამართლის ავტორიტეტული ინსტიტუტი — თემი და, მეტიც, თავისი ქმედებით იწვევს კიდევ ერთი ადამიანის, გუგუას, თვითმეტვლელობას.

მაგრამ ყაზბეგი არ არის პრიმიტიული მწერალი. ის დიდი მწერალია, რომელსაც დიდი თემები აქვს, დატვირთული დიდი პრობლემებითა და არაპრიმიტიული პასუხებით. თხზულების ფინალი ნარატივის დასაწყისშივე კოდირებული ავისმომასწავებელი ტრაგიზმის ლოგიკური დასასარულია: ბედისწერით პროვოცირებული შემთხვევითობები და ჩანაცვლებები, რომელთაც ვერ უმკლავდება ონისე, იმთავითვე ერწყმის ტრაგიზმის ეთიკურ შრეს — ონისე მხოლოდ საკუთარი თავისა და თემის წინაშე არ არის პასუხისმგებელი, ის მამის, **ხევისბერის**, წინაშეც აგებს პასუხს! მამის სიყვარული მკაცრი პირობითაა განსაზღვრული: „გახსოვდეს ვისი გორისა ხარ!“, „ვინძლო ქვეყანა არ გააცინო“, აფრთხოებს გოჩა შვილს და სწორედ ამ შეგონების შვილის მიერ დავიწყება იქცევა ტექსტის მთა-

ვარ ეთიკურ ანტაგონიზმად. „ღმერთო,ჩემი შვილი პირნათლად ატარე!.. ადრევე მოუსპე სიცოცხლე, სანამ გაწბილდებოდეს, ქუდი მოეხდებოდეს! ..“ (ყაზბეგი 1993: 214), შეს-თხოვს მამა უფალს, ონისე კი გაწბილდა კიდევაც, სახელიც შეირცხვინა და ისიც დაივინყა, ვისი გორისა იყო! თუ დაკვირვებით შევხედავთ საკითხს, თემის სამართალს მნიშვნელობა აღარ აქვს გორჩასთვის (გორჩა სავსებით დარწმუნებულია ონისეს დანაშაულში), თემის სა-მართალი მხოლოდ უკანასკნელი იმედია, რომ თავად მამამ არ აღასრულოს შვილისათვის გამოიტანილი განაჩენი! და ეს იმედიც ქრება — თემი უკან იხევს, გაუგებს ონისეს, შეუნ-დობს... მაშ, ჯერი გორჩაზეა. გორჩა საკუთარი ხელით კლავს ონისეს და ეს არის ერთადერთი გამოსავალი, რომელმაც შეიძლება მოარიგოს მამა-შვილი, წამალოს ის ეთიკურ-ლირე-ბულებითი ანტაგონიზმი, რომელიც მათ შორის ჩამოწვა. ანტიკური ტრაგედიებისათვის ნიშანდობლივი ეს მოტივაციური მოდელი (ხშირად სხვა თანმიმდევრობით წარმოდგენილი) მოულოდნელი ენერგიითა გააქტიურებული ყაზბეგის თხზულებაში, რაც გვაფიქრებინებს, რომ აღ. ყაზბეგი საგანგებოდ მიმართავს არამითოლოგიური სიუჟეტის მითოლო-გიზების ხერხს: თუკი თემს გაუჭირდა დამნაშავის შეცნობა და დასჯა, გორჩასათვის ონისე მისივე დანაშაულის უტყარი ნაწილია და კავშირი ონისეს დანაშაულსა და აღმოცენებულ კრიზის შორის გორჩასთვის სავსებით ცხადია. შესაბამისად, გორჩა თვლის, რომ მსხვერ-პლშენირვის აქტი მისი საკრალური მოვალეობაა და არა კრიმინალური ქმედება. გორჩა კლავს ონისეს იმ მოტივაციით, რომ: ა) წაშალოს ეთიკურ-ლირებულებითი ანტაგონიზმი, რომელიც ჩამოწვა მასა და მის შვილს შორის; ბ) აღასრულოს თემის მიერ აღუსრულებელი სამართალი (სხვაგვარად, ბრძანდ არ დაემორჩილოს თემის გადაწყვეტილებას!).

ამრიგად, მსხვერპლის თეორია სამუალებას გვაძლევს ვივარაუდოთ, რომ „ხევის-ბერი გორჩას“ ავტორი თავს ართმევს თითქმის დაუძლეველ ამოცანას: ახდენს არამითო-ლოგიური სიუჟეტის განზავებას მითოლოგიური სიუჟეტისათვის ნიშანდობლივ მახა-სიათებლებთან. შედეგად, სახეზეა ანტიკური დრამის კანონებით დაწერილი მოთხოვბა, როგორც სუბჟანრული მოდელი, სრულიად ინოვაციური მე-19 საუკუნის ქართული ლი-ტერატურისათვის (და არა მარტო!).

თხზულების ფინალში არც ანტიკური ტრაგედიისა და არქაული მითოლოგიური პლას-ტებისათვის დამახასიათებელი კიდევ ერთი თემა იჩრდილება — სუროგატი მსხვერპლის გასამართლების თემა („ოიდიპოს მეფე“): გუგუა, რომელიც შეცდომით მიიჩნიეს მოღ-ალატედ, და რომელსაც წილად ხვდა ნამდვილი დამნაშავისათვის განკუთვნილი დევნა, შეპრობა და გასამართლება, სახალხოდ იკლავს თავს. თუ არა სუროგატი მსხვერპლის როგორც არქეტიპული მოდელის ამოქმედება, გაუგებარი იქნებოდა გუგუას თვითმევ-ლელობის აქტი: რატომ? ხომ გაირკვა სიმართლე? მისი თვითმევლელობა დაუმსახურე-ბელი ეჭვით შეურაცხყოფილი ვაჟავაცის ქმედებაა („ერთხელ მაგვარის ცილის შენამების შემდეგ აღარ ვიცოცხლებ-მეთქი“) თუ სახალხოდ შერცხვენილი ქმრის გადაწყვეტილება? გუგუა შეძრულია გორჩა განაჩენით: ონისე შეიძლებოდა სულაც არ ყოფილიყო მისი ხე-ლასმომკიდე, არ შეხვედროდა ძიძიას პირისპირ, ან გუგუას არ შეეტყო ღალატის შესახებ ხევისათვის მძიმე დღეებში, არ გამოქცეულიყო მის მოსაკლავად და მტერს ეს არ გამო-ეყენებინა თავის სასარგებლოდ. . . ახლა კი ონისე უმნეოდ ფართხალებს მინაზე... გუგუა ვერ ხედავს გამოსავალს: ის ვეღარ იცხოვრებს უწინდელივით — თუნდაც უნებლიერ, მაგ-რამ ისიც დამნაშავეა. გუგუას დანაშაული სუროგატი მსხვერპლის არქეტიპული მოდელ-ისათვის ნიშანდობლივი ტრაგიკული არცოდნაა, ვერმიხვედრა, ვერშეცნობა, სხვაგვარად — საბედისნერო სიბრძანვე.

ავტორი ვირტუოზული ოსტატობით დააბიჯებს მითოლოგიურისა და არამითოლოგიურის ზღვარზე: ის, რაც ცხადია გოჩასთვის, ბუნდოვანია თემისთვის; გოჩას მიერ ჩადენილი ქმედება, თემის პოზიციიდან, სულაც არ არის მიმართული საზოგადოებრივი კრიზისის განაღმვისკენ — კრიზის უკვე განაღმულია მას შემდეგ, რაც ირკვევა გაუგებრობანი! გოჩას მიერ შვილის სასიკვდილოდ გამეტება მისი პირადი სამართლის აღსრულება და არა ანგარიშსწორება საზოგადოების ხსნის სახელით. შესაბამისად, ერთი და იგივე ეპიზოდი, სხვადასხვა პერსპექტივიდან ერთდროულად მითოლოგიზებულიცაა (გოჩას პერსპექტივა) და არამითოლოგიზებულიც (საზოგადოების პერსპექტივა).

სცენა — შვილის გვამზე გადამხობილი გოჩა — მკითხველს შექსპირის ტრაგედიის, „მეფე ლიორის“, ბოლო სცენას მოაგონებს: შეშლილი ლიორი დამხობილია მისსავე ხელებზე გადასვენებულ კორდილიას გვამზე. ფინალიდან გამომდინარე, მე-19 საუკუნის ინგლისურმა კრიტიკამ შექსპირის ამ ტრაგედიის თეოლოგიური ინტრპრეტაციის საკითხი დააყენა და მიზრინა, რომ ტრაგედია „მეფე ლიორ“ წარმოადგენს ლიორის ხანგრძლივ მოგზაურობას მონანიებისაკენ (უოლესი 2009: 53). მოგვიანებით, ა. ს. ბრედლი დაწერს: „ლერთების მიზანს ლირთან მიმართებაში შეადგენს არა ის, რომ გატანჯონ იგი ან თუნდაც „კეთილშობილი მრისხანების“ მარტუხებში ჩააგდონ, არამედ დაეხმარონ მას, რომ აშკარა უილბლობისა და მარცხის მიღმა, შეიცნოს ცხოვრების დასასრული და მიზანი“ (ბრედლი 1985: 114). ლიორი, რომლის ხელებზეც გადასვენებულია კორდილია, ბრედლიმ მიქელანჯელოს პიეტას შეადარა, იმ განსხვავებით, რომ დედისა და ვაჟის მოდელი შექსპირის ტრაგედიაში მამისა და ქალიშვილის მოდელითაა ჩანაცვლებული. პიეტას ჩამოჰგავს „ხევისძერის გოჩას“ დასასრულიც: მკვდარ შვილზე გადამხობილი მამა, მხოლოდ, შექსპირის ტრაგედიისგან განსხვავებით, გოჩა თავისი ხელით აღასრულებს ონისეს სიკვდილს, რაც თხზულების ფინალს აბრაამისა და ისაკის არქაულ მითთან უფრო აახლოვებს, ვიდრე ღვთისმშობლისა და მისი ჯვარცმული ძის მითოლოგიურ მოდელთან.

მომხდარით შეძრული ხევისბერი გიუდება: „გაიარა კარგა ხანმა, ხევი დამშვიდდა... მხოლოდ სამტკვეროს ტყე გადაიქცა ყველასათვის მოსარიდებლად, რადგანაც იქ ჩასახლდა ჭკუაზედ შემცდარი გოჩა“ (ყაზბეგი 1993: 235). გოჩას სიგიურ არც მხოლოდ ემოციური სტრუქტის შედეგია და არც მნერლის მიერ შერჩეული სტერეოტიპული დასასრული, არამედ — კათარსისის ტოლფასი ღვთიური სიგიურა, რომლითაც გოჩა თავისი ქმედების მონანიებისაკენ მიისწრაფვის\*. გოჩას სიგიურ ეჭვეჭვეშ აყენებს მამის მიერ შვილის მოკვლის ზემოთ ჩამოთვლილ მოტივაციებს! „გამვლელ-გამომვლელს თავის შვილზედ ამბის კითხვით არ უსვენებდა. ის ყველას ეპატიურებოდა თავის სახლში და უამბობდა, რომ შვილს მოელოდა შორის გზიდან“ (ყაზბეგი 1993: 235). ვფიქრობთ, აქ არცთუ უადგილო იქნება აგასფერის უძველესი მითის მოხმობა. მითის თანახმად, „მაცხოვარი, მიემართებოდა რა გოლგოთასაკენ, სულის მოსათქმელად აგასფერის სახლთან შეჩრდა. მაგრამ ეს უკანასკნელი უხეშად მოექცა მას და არ მისცა ნება, მიახლოვებოდა მის საცხოვრებელს. „მე დავრჩები და შევისვენებ, — თქვა იესომ, — შენ კი წახვალ“. მართლაც, აგასფერი მყის გაუდგა გა გზას და მას შემდეგ აღარ გაჩერებულა“ (ბატიუშკოვი 1892: 676). თავისი შეცოდები-

\* აღსანიშნავია, რომ „ღვთიური სიგიურის“ მოდელს, რენესანსის ეპოქის მოაზროვნების კვლადაკვალ, აქტიურად მიმორთავენ გვიანი რეალიზმისა და მოდერნიზმის ეპოქის მნერლები: დოსტოევსკი, ბულგაკოვი, ნაბოკოვი და სხვ.

სათვის აგასფერი მოკლებულია სიკვდილის პრივილეგიას და, ვიდრე მეორედ მოსვლამდე, განწირულია სამუდამო ხეტიალისთვის. აგასფერი მითოლოგიური სასჯელის მატარებელი პერსონაჟია, მისი უკვდავება კი შეჩვენებაა, წყევლა, უაზრო, გამანადგურებელი ერთფერვნებისაგან მოგვრილი ტანჯვა. როგორც არ უნდა იხტიალოს აგასფერმა, იგი ვერ შეცვლის საკუთარ ხვედრს, სწორედ ამიტომ, ზოგიერთი ვერსიის თანახმად, ფეხშიშველი და წვერმოშვებული აგასფერი გამუდმებით გარს უვლის სვეტს და სვამს კითხვას: „ხომ არ მოდის კაცი, რომელიც ჯვარს ეზიდება?“ აგასფერის მოლოდინი მონანიების მოლოდინია, ასევეა გოჩას მოლოდინიც — ის ელის შვილს, რომელსაც უთუოდ უნდა თხოვოს პატიება. მაგრამ პატიება არ ჩანს: ყაზბეგი კვლავაც გადმოინაცვლებს არამითოლოგიზებურ რეალობაში — გოჩა, ყველასაგან დავიწყებული და მიტოვებული, მარტოდმარტო კვდება დათოვლილ ხევში. ნუთუ მაღალი ეთიკურ-ზნეობრივი მოტივაციის მიუხედავად, გოჩა მაინც დამნაშავეა? დამნაშავეა, რადგანაც: ა) არ დაემორჩილა თემის განაჩენს? ბ) არ იფიქრა იმაზე, რომ ადამიანები ხშირად ხდებიან საბედისნერო ვნებებისა და ლტოლვების მსხვერპლნი? გ) ხელი აღმართა კაცზე, რომელიც თავმოდრეკილი (იქნებ დაჩიქილიც?) იდგა მის წინაშე?

ონისე მსხვერპლია, ხოლო „**მსხვერპლი არის განტევების ვაცი,** — წერს ჟირარი, — ... განტევების ვაცი ერთდროულად გამოხატავს მსხვერპლის უდანაშაულობასა და კოლექტიურ პოლარიზაციას მის მიმართ, და კოლექტივი წერტილს უსვამს ამ პოლარიზაციას“ (ჟირარი 1983: 39). მაგრამ, ონისეს ასამართლებს არა კოლექტივი — სამართლის ავტორიტეტული ინსტიტუტი საზოგადოება/თემის სახით, არამედ — მამა, რომლისთვისაც ეთიკური ლირებულებანი უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე შვილისადმი სიყვარული ან თემისადმი პატივისცემა. მამა, როგორც ბრალმდებელი ანაცვლებს კოლექტივს. გოჩას ქმედება იმ წინააღმდეგობრივი მოტივაციური მოდელების მხატვრული შედეგია, რომლებიც თანამიმდევრულადაა აკინძული თხზულების სიუჟეტში: საბედისნერო წინასწარგანსაზღვრულობა, საზოგადოებრივი კრიზისი, რიტუალური ჩანაცვლება, სუროგატი მსხვერპლი, სამსხვერპლო კრიზისის საშიშროება, დაბოლოს — მსხვერპლშენირვა საკრალური აქტის აღსრულების განზრახვით. მაგრამ, განა შეიძლება, საკრალურ აქტად მივიჩნიოთ ერთი კაცის (თუნდაც მამის) მიერ გამოტანილი განაჩენი? მაშ, რაღატომ იკლავს თავს ჰაჯი უსუპი?\* ხომ არ აჯობებდა, რომ ის ტყვია საფარ-ბეგს მოხვედროდა?..

### **დამოვებანი:**

**ბატიუშკო 1892:** Батюшков Ф. Вечный Жид. // Энциклопедический словарь. Изд. Ф.А. Брокгауз и И.А. Ефрон, т.14. - СПб, 1892.

**ბრედლი 1985:** Bradley, A.C. *Shakespearian Tragedy*. Basingstone: Macmillan , 1985.

**კოტეტიშვილი 1925:** კოტეტიშვილი ვ. „ალექსანდრე ყაზბეგი“. ტფ.: „მთავლიტი“, № 12, ამინ კავკასიის რკინის გზების სტამბა-ლიტოგრაფია, 1925.

**ლოუ 1970:** Lowie, R. *Primitive Society*. New York, 1970.

**ჟირარი 1977:** Girard, R. *Violence and the Sacred*, trans. Patrick Gregory. Baltimore: Johns Hopkins University Press, 1977.

\* იხ. აკაკი წერეთლის პოემა „გამზრდელი“.

**უირარი 1982:** Girard, R. *The Scapegoat*, trans. Yvonne Freeccero. Baltimore: Johns Hopkins University Press, 1982.

**უოლესი 2009:** Wallace, J., *The Cambridge Introduction to Tragedy*. Cambridge University Press, 2009.

**ქიქოძე 1963:** ქიქოძე გ. რჩეული თხზულებანი სამ ტომად. ტ. I. თბ.: „საბჭოთა საქართველო“, 1963.

**ყაზბეგი 1993:** ყაზბეგი ა. თხზულებანი ორ ტომად. ტ. 2. თბ.: „საქართველო“, 1993.

**Irma Ratiani**

## **Theory of Sacrifice and Al. Qazbegi's Fiction ("Khevisberi Gocha")**

### **Abstract**

**Key words:** Alexandre Qazbegi, Rene Girard, Sacrifice/ Scapegoat

Alexandre Qazbegi is an outstanding Georgian writer and the inclusion of his literary inheritance into the international literary process is an urgent matter. Qazbegi alongside some other Georgian writers verifies the thesis that each national literature, connected with the world literary process at the same time widens its aesthetical possibilities by means of individual originality. But to prove any literary thesis it is not enough to interpret the text from the historical or aesthetical standpoint, but it is important to put the text within the concrete theoretical methodology and find the proper arguments. This kind of methodological approach already was experienced towards the Qazbegi's fiction by an excellent Georgian literary critic, Vakhtang Kotetishvili, who succeeded to interpret Qazbegi's fiction in the frames of Physiological and Ethical Criticism. As much as the qualitative literary text is supposed to be a complicated system with numerous layers, we are encouraged to move to the new level of theoretical research and to interpret Qazbegi's fiction in the context of anthropological theory, particularly in the context of Rene Girard's "Theory of Sacrifice".

Girard's theory derives from the Biblical Myth of Abraham and Isaac and methodologically is based on several terms: **the Sacrifice/ to Sacrifice/ Scapegoat**. The theory aims to interpret those terms not only within the Mythological standard, but within the more widen standpoint of "Individual" and "Society". We suggest that Qazbegi's fiction, which is generally oriented on the painful relationships of personalities, as well as person and society, is perfectly fitting Girard's theoretical considerations.

This new interpretation of Qazbegi's fiction, especially of his novel "Khevisberi Gocha" will carry some interesting diversity in the history of Qazbegi's criticism and, also, will extend the level of participation of Georgian literature in the world interpretational system.

## მანანა კვაჭანტირაძე

### სახელი და სამყარო

გზის კონცეპტი, გააზრებული როგორც ადამიანის განვითარების გზა, მისი სულიერი გამოლვიძების პროცესი შემოქმედებისა და სიყვარულის ძალით ერთგვარი ხიფათის შემცველიც კია მწერლისათვის თავისი მითოსურ-ლიტერატურულ-კინემატოგრაფიული ნაცნობობის გამო. ამ ხიფათის თავიდან ასაცილებლად ჯემალ ქარჩხაძემ ზუსტი რაკურსი შეარჩია და ამას, უპირველეს ყოვლისა, მოთხოვნის სათაური მოწმობს: მოთხოვნას „იგი“ ჰქვია და იმ სიტუაციის მხატვრულ რეკონსტრუქციას გვთავაზობს, როცა ადამიანი ის-ისაა იწყებს საკუთარი თავის, როგორც „მე“-ს ფუნქციის გაცნობიერებას, მისი შემოქმედებითი სული კი — არსებულ გარემოში კორექტივების შეტანას.

სათქმელის გამოხატვის ერთი პარადოქსული გზა ლიტერატურაში ნაცნობი რეალობისაგან სხვა დროსა და სივრცეში „გაქცევაა“ და „იგის“ ავტორი სწორედ ამ გზას ირჩევს. ცხადია, ეს გაქცევა გათამაშებულია და მას საკუთრივ ლიტერატურული და საკმაოდ რისკიანი მიზანი წარმართავს: მთელი „სიძველე“ ისე უნდა გაითამაშო, რომ შენი გმირისა და სიტუაციის სიმბოლურ „ნაცნობობაში“ ახალი გრძნობად-ემოციური განზომილება შეიტანო. თანაც, „სიძველემ“ შენს სათქმელს სიმწვავე და თანამედროვე რაკურსი არ უნდა დაუკარგოს.

სულეტის დასაწყისისთვის სამყარო უკვე შექმნილია, განსაზღვრულია მისი მატერიალური შემადგენლობა. სრულქმნამდე სულ ერთი ნაბიჯია დარჩენილი: ადამიანის შინაგანი სამყაროს დასრულება უნდა აღინიშნოს ღვთის ჩანაფიქრის დამაგვირგვინებელი პირველი ონომატეტური აქტით: — სახელი უნდა დაერქვას ყველაფერს, რაც უკვე არსებობს. ეს ის მომენტია, როცა, როგორც ტოპოროვი ამბობს, დამთავრებულია კოსმოლოგია და უნდა დაინტერიროს „სემიოლოგია“ — სემიოზისის, რეფერენციის უწყვეტი და უსასრულო პროცესი, „როგორც პირველი საფეხური პნევმატოლოგიისა, ცხოვრებისა სულში“ (ტოპოროვი 2007: 307).

სულიერება, ინდივიდუალობა იქადება სიტყვით. სიტყვები ეძებენ და უკავშირდებიან ერთმანეთს, იქცევიან ნინადადებებად, ფრაზებად, რათა დაასახელონ სამყარო, ადამიანის ლტოლვები და სურვილები, და მისივ ნებით და ამ სიტყვის ძალით დაასახელონ სულის უსასრულო პერსპექტივა სამყაროში (სანამ მე-20 საუკუნეში გალაკტიონი იტყვის: „სულს სწყურია საზღვრი... როგორც უსაზღვროებას; 21-ეში კი — ბესიკ ხარანაული: „გაშლილ სივრცეში ადამიანი არ გაიძლება, არც გაშლილ დროში“). ეს ჯერ ისევ მოუღლელი ადამიანი და ხელშეუხებელი სამყაროა, სადაც სახელი ჯერ ისევ „კულტურის იმპულსია“ და არა მისი მეურვეობის შედეგი, ჯერ კიდევ ინდივიდუალობის გზაზე შემდგარ ცალკეულ „იგი“-თა დასაფუძნებელი და საპატრონოა. ეს-ესაა იწყება ნების გამოსხვავება ბუნებისაგან და თუმცა ამ პირველ ნაბიჯებს გაუზედაობისა და შიშის კვალი ატყვია, ჩვენ უკვე ვხედავთ, სიუჟეტის განვითარების კვალდაკვალ, როგორ იღვიძებს პირველყოფილ ადამიანში პიროვნება, როგორ გარდაიქმნება უპიროვნო, ზოგადი მესამე პირის აღმნიშვნელი „იგი“ საკუთარ სახელად და როგორ პგავს ეს ყველაფერი ზნეობრივად ამორფული, ცხოველური ყოფიერების პირველ გაუცნობიერებელ მოძრაობას რაღაც ღირებულის შექმნისაკენ. პირველი იმპულსები ამ გამოლვიძებისა, ლექსიკურად და სემანტიკურად,

აღქმის სინთეტური ტიპით შეესაბამება არქაული ადამიანის ხედვას და შეიძლება დახასი-ათდეს, როგორც მეტაფორული. მწერლის მიერ საამისოდ გამოყენებული სინესტეზიური ხატებიც სხვა არაფერია, თუ არა მეტაფორის კერძო შემთხვევა: „ბელადის სიტყვებს ცხე-ლი ხიფათის სუნი აუვიდა“; „მოლოდინის მძაფრი სუნი იდგა“.

პერსონაჟის შინაგანი განცდების, აღქმის ნიუანსების მოტანას მკითხველამდე ქარ-ჩხაძე შეგრძნებათა, აღქმათა, ფსიქო-სენსორულ ნიშანთა სემანტიზაციით აღწევს. გემო, სუნი, სითბური და ვიზუალური შეგრძნებები ასრულებენ ერთგვარი არაცნობიერი არხის როლს სამყაროს ტექსტის ამოსაცნობად. ისიც გავიხსენოთ, რომ სწორედ სუნი წარმოადგენს არაცნობიერის ყველაზე არქაული და ღრმა ფენის გამტარ არხს.

უსპენსკი საუბრობს ორი ურთიერთსაპირისპირო ნაკადის — რეგრესისტულისა და პროგრესისტულის თანაარსებობაზე პოეტურ ენაში: „პროგრესისტული“ მიემართება ახ-ლის ძიებას, ობიექტის ახლებურად განსაზღვრის ნებას. „რეგრესისტული“ კი უბრუნდება და იძირება ძველში, არქაულში, დავინიყებულში, ობიექტის გრძნობად-კონკრეტულ აღქ-მაში. პოეტურ ენაში ცნობიერების ორივე ეს ინტენცია ერთად იყრის თავს და ხატი მათი ურთიერთშერევის ნაყოფია. შეიძლება ითქვას, რომ პოეტური ენა ყოფიერებისეულ ერ-თიანობაში ჩაბრუნების აქტია, შეგრძნება კი — „შინაურულობაში“ ჩასართველი არხი თუ გვირაბი. შეგრძნებების „ენა“ კვლავ გვიშინაურებს იმას, რაც აზრმა გარიყა ჩვენგან თავისი ობიექტივაციის ხანგრძლივ გზაზე. სხეულისა და შეგრძნებების ენა ქარჩხაძისა-თვის ის „რეგრესისტული“ არხია, რომლის საშუალებითაც იქმნება შესაფერისი კონტექ-სტი და მიიღწევა აზრის აქტუალიზაცია.

შეგრძნებათა ულრმეს ფესვებზე და პოეტურ ენაში მის განსაკუთრებულ ფუნქციაზე საგანგებო ყურადღებას ამახვილებს პოლ რიკიორი. ჰაიდეგერის კვალდაკვალ, იგი გა-ნიხილავს შეგრძნებას, როგორც ჩვენი მყოფობის (არსებობის, ყოფიერების) მეთოდს სამ-ყაროს საზღვრებში: „შეგრძნების ოპერაცია მდგომარეობს იმაში, რომ შემოგვიყვანოს სამყაროს საზღვრებში არაობიერებული გზით... მხოლოდ შეგრძნების გზით ვუკავ-შირდებით რეალობის იმ ასპექტებს, რომელთა მიმართაც ენას რეფერენცია არ განუხორ-ციელებია (რიკიორი 1990:432). ანუ: პოეტური ენა ასახელებს რეალობის უცნობ, სასუბრო ენის მიერ ჯერაც დაუსახელებელ ასპექტებს, რომელთა შესახებ ცოდნასაც იგი მხოლოდ შეგრძნების გზით იღებს.

მწერალი გაათამაშებს იგი-ში, როგორც ნაცვალსახელში ჩადებულ ორმაგ პოტენ-ციურ მნიშვნელობას: ერთი მხრივ, ადამიანის მტკიცნეულ, შეუპოვარ მოძრაობას ზოგადი „იგი“-დან საკუთარი „მე“-საკენ, „აბსოლუტური მოტივირებისაკენ“, მთავარ ნიშანსვე-ტებს და ანთროპოლოგიურ აქტებს ამ გზაზე, რაც, თავის მხრივ, მისი სოციალიზაციის ნიშნებად იქცევა. მეორე მხრივ, ამ მოძრაობაში იბადება ჰარმონია, გადაადგილდებიან საგნები, სახეს იცვლიან მოვლენები. მოკლედ, ერთი კაცის წყალობით სამყაროში ჩნდება გარემომცველი რეალობის მიმართ ღირებულებითი დამოკიდებულება, სივრცის ორგა-ნიზაციის, მისი ეთიკურად და ესთეტიკურად მოწესრიგების პირველი სტიქიური ნიშნები. ამ განვითარების კვალდაკვალ საკუთარი სახელი „იგი“ სიმბოლიზდება და ზოგადად ადა-მიანის ნაცვალსახელად იქცევა.

ეთიკურად განურჩეველი სამყაროში ადამიანმა უნდა შეიტანოს არჩევანი და პასუხის-მგებლობა ამ არჩევანის მიმართ. მისი მეგზური ამ ამოცანის გადაჭრაში სიყვარულია. ამავე სიყვარულის ძალით იღვიძებს ადამიანის მარადიული შემოქმედებითი სული, რომელიც

მას განასხვავებს დანარჩენი სამყაროსაგან და ამსგავსებს შემოქმედს, ღმერთს, დემიურგს. მოკლედ, სახეზეა სამყაროს ანტროპოცენტრული მიწყობის პირველი ნიშნები.

ის, რაც ჩნდება, იბადება საყოველთაო დუმილში გაულერებული სიტყვით და მთელი სამყარო სულგანაბული ელოდება ამ წამს: „ირგვლივ დუმილი იყო და მოლოდინის მძაფრი სუნი იდგა“. იწყება ცნობიერების დიალოგური ბუნების გამოლვიძება. ჯერ ისევ არა-დიფერენცირებულია სხეული და გონი, ცნობიერება და მატერია. შეკითხვები ჯერ ისევ „საკუთარ სხეულში იბადებიან“ და იქვე იღებენ პასუხს. იგი ჯერ მხოლოდ სხეულის ენაზე ლაპარაკობს: „მუხლებში სიძაბუნის გემო ჩაუდგა“; „დღის თვალი ამოცურდება“. ეს ენა ჯერ ისევ გარემოსთან ფიზიკური სხეულის განუყოფელობას გამოხატავს, ადამიანი ჯერ მხოლოდ შეგრძნებების, სურვილებისა და ინსტინქტების ენით საუბრობს, ჯერ კიდევ არ იცნობს არაფერს ზოგადს, აბსტრაქტულს. მაგრამ სემიოზისი დაწყებულია, დაწყებულია რეფერენცია, აღმნიშვნელთა ჩამოყალიბება, თუმცა აღსანიშნის მეტობა საგრძნობია. სამყარო ეთიკური შეფასების მოლოდინშია.

იბადება პირველი პასუხგაუცემელი, მტკივნეული კითხვები, ადამიანის სულს პირველად აღბეჭდავს სამართლიანობის განცდის კვალი: „რატომ უნდა მოკვდეს, ნუთუ მხოლოდ იმიტომ, რომ ბელადი აღარა? რისი განაჩენია სიკვდილი? რა შეიცვლება, თუკი დამარცხებული ბელადი კი არ მოკვდება, არამედ იცოცხლებს?“ იგის ჯერ პასუხები არა აქვს, მაგრამ კითხვები დასმულია და დიალოგი საკუთარ თავთან დაწყებულია (ჰოლდერ-ლინი: „ადამიანის არსებობა დიალოგიდან იწყება“), ანუ გადადგმულია პირველი ნაბიჯი პირველული იდენტიფიკაციის გზაზე.

როგორც ზემოთაც ვთქვით, მეტ-ნაკლები ინტენსივობით გონებისა და სულის გამოლვიძების პროცესი ყველა დროის ლიტერატურის თემაა. იგის სახის არქეტიპული მოდელირებით მწერალი იმ პროტესტული სულის სიმბოლიზმას ახდენს, რომელიც განუშორებლად თან ახლავს ანთროპოსის, კულტურული გმირის, შემოქმედის განვითარების წინააღმდეგობრივ გზას. ამ ეტაპზე ადამიანი პირველად იწყებს საკუთარი ფუნქციის გააზრებას ჯერ სოციალურ ერთობასთან, მერე კი მის გარეთ — სამყაროსთან, სიკვდილ-სიცოცხლესთან მიმართებაში. თვითიდენტიფიკაცია სრულდება იგის მიერ საკუთარი ცხოვრების სიკვდილისწინა შეფასებით: „იგისგან სწორედ ის დარჩა, რაც იგიში იგი იყო“; ამ თვითშეფასებით იგი უკვე შემდგარი პირველება ანუ განსაკუთრებული „იგი“-ს, რომელსაც ამიერიდან უფლება ეძლევა, მოახდინოს საკუთარი თავის პრედიკაცია, თანამე-დოვე ფილოსოფიის ენაზე რომ ვთქვათ, შეუძლია დაბეჭითებით განაცხადოს „მე ვარ“ და დაეუფლოს „მე-ს“ პრეზუმიციას. ან, ცოტა სხვაგვარად: დაასახელოს საკუთარი თავი, როგორც „მე“, იღაბარაკოს საკუთარ თავზე პირველ პირში და არა მესამეში, როგორც მანამდე („იგიმ დიდი რაღაც იცის“).

ცნობიერების გამოლვიძების პირველი ნიშანი სხეულის მძაფრ წინააღმდეგობას ან-ყდება: იგი ფიზიკურ ტკივილს გრძნობს სიტყვების დალაგებისას, დაღლილობისგან ძილი ერევა და თვალები ეხუჭება. სხეული რეაგირებს ცნობიერების პირველ წინააღმდეგობაზე ყოფიერების მიმართ, რადგან შეკითხვა სხვა არაფერია, თუ არა ამ წინააღმდეგობის ნიშანი, გაურკვევლობის მიმართ პროტესტის ფორმა. გონისა და სხეულის ოპოზიციურობის ეს პირველი შეგრძნება, რომელსაც მწერალი სხეულის რეაქციითა და ენერგეტიკული დანაკარგის საშუალებით გამოხატავს, სიტყვამ უნდა მოარიგოს ისევე, როგორ აღსანიშნ-აღ-მნიშვნელის დაპირისპირებას არიგებს ნიშანი. სწორედ ლინგვისტურობიდან იბადება იგი,

როგორც დამოუკიდებელი სამყარო, შინაგანი ქაოსი ლაგდება კოსმოსად ზუსტად ისევე, როგორც ღვთის სიტყვით („იქმენ“) წესრიგდება მატერიალური სამყარო. სიტყვა ჯერ ისევ ძლიერადაა დაკავშირებული ფიზიკურ სხეულთან და ქცევასთან (მოძრაობასთან), აღმნიშვნელი ესესაა იწყებს აბსტრაგირებას მატერიალური საგნისა თუ მოვლენისაგან; აღსანიშნაა და აღმნიშვნელს შორის დისტანცია, მათ შორის კონფლიქტის აღქმა ძალზე სუსტია, სიტყვა უფრო სიგნალია, ვიდრე ინდექსია ან, მით უფრო, სიმბოლო. ეს გარემოება მკაფიოდ ვლინდება ნის სიტყვების ავტორისეულ კომენტარში: „იგი გამართულია. ეს სიტყვები თვალსაჩინო იყო და ბელადს მათი პოვნა არ გაუჭირდებოდა“, როგორც ვხედავთ, აღსანიშნის არგუმენტი ჯერ მხოლოდ „თვალსაჩინოებაა“.

მოგვიანებით იგი სიტყვებს უკვე სწრაფად და იოლად ალაგებს: „სიტყვები გამწკრივ-დნენ და ისე მიუყვებიან მათთვის მიჩენილ გზას, როგორც ნადირი მიუყვება გაკვალულ ბილიკს წყაროსაკენ“. შედარება ძალზე ზუსტია: დალაგების ინტუიცია უზრუნველყოფს ცნობიერებისა და ენის, აზრისა და სიტყვის სტრუქტურულ კავშირს, ეს უკანასკნელი კი სამყაროს წესრიგის ფუნქციური ანალოგიაა: ლინგვისტური ტექსტიდან ისევე შეიძლება სამყაროს წესრიგის ამოკითხვა, როგორც სამყაროს ტექსტიდან — ენობრივი წესრიგისა (ბესიკ ხარანაული: „.... ორი კანონი./კანონი ღვთისა და კანონი სიტყვისა“). აზრის ჩამოყალიბების პროცესში ცნებათა კომბინატორიკას აინშტაინი „ცნობიერების საკმაოდ გაურკვეველ თამაშად“ მოიხსენიებს, რაც სხვა არაფერია, თუ არა აზრის არქიტექტონიკის ფარული დეტერმინაცია, მეტაფორულად კი — ნადირის უცდომელი გუმანი და გეში („გაკვალული ბილიკი“) წყაროს მიმართ.

და აი, ამ დაბადების, დასაწყისის პირველი ნიშანი, გონისა და სხეულის დიადი კავშირის, უფრო ზუსტად, კავშირთა კოსმიური დეტერმინაციის ზენიშანი — კავშირი ადამიანის ნელში გამართვასა და პირველი ფრაზის დალაგებას შორის (ფსიქოლოგიის ის მიმართულება, რომელიც ქცევის გენეტიკას შეისწავლის, ექსპერიმენტულად ადასტურებს ქცევის აქტიურ როლს ევოლუციურ-გენეტიკურ პროცესებში (ენიკეევი 2002: 71-72). ნელში გამართვა აქ ქცევის ელემენტარულ ფუნდამენტურ ფორმად უნდა განვიხილოთ — მ.კ.).

ამ აქტის მერე სამყარო ვეღარ იქნება ისეთი, როგორიც მანამდე იყო. პირველივე წინადადებით ადამიანი ერთვება წესრიგში, როგორც თანაშემოქმედი და მონაწილე. ნელში გამართვა — გონის პროტესტი სხეულის ცხოველური მდგომარეობის მიმართ, სხეულის ენის პირველი რეაქცია თავის ახალ სტატუსზე თანხვდება პირველ ენობრივ აქტს და ადამიანში შემოქმედებითი სულის გამოლვიძებას. ამ ახალი რაკურსით ადამიანი უკვე მაღალია, გა-მართვა-სთან ერთად იგი სულიერ სი-მაღლესა და სამყაროს მართვის უნარს იძენს („ცაც მაღალია, მთაც მაღალია და კაციც უნდა იყოს მაღალი“ (ტიციან ტაბიძე)).

იგის სინათლის სხივი ეხმარება გამართვაში. კაცი საბოლოოდ სწორდება იმ მომენტში, როცა სხივზე თვალმიდევნებულ მის სხეულში ტკაცანი გაისმება. საბოლოოდ და რადიკალურად ტყდება ხისტი სტრუქტურა. ტკაცანი — სხეულის სტრუქტურის რადიკალური შეცვლის ხმა — გაქვავებული, უძრავი ყოფიერებიდან სულიერი და ინტელექტუალური არსებობის გამოყოფის, ანთროპოსის ხანის დადგომის მაუწყებელი ინდექსალური ნიშანია. პირსის კლასიფიკაციით, ხატისა და სიმბოლოსაგან განსხვავებით, ინდექსალური ნიშანი ობიექტთან ასაცირდება არა ფაქტობრივი მსგავსებით ან კონვენციის საფუძველზე, არამედ სწორედ მათ შორის არსებული ბუნებრივი (მიზეზ-შედეგობ-

რივი) კავშირის ძალით. ასე რომ, მკითხველისთვის ეს ხმა წარმოადგენს არა უბრალოდ „ხმაურს, რომელის ინფორმაციული ღირებულება მინიმალურია“ (იაკობსონი 1972: 84), არამედ უმნიშვნელოვანეს შეტყობინებას შეუქცევადი დროის დადგომის შესახებ დედამიწაზე. ხმა ახლავს ენერგეტიკული განმუხტვის ყოველ მომენტს, ქაოსიდან პირველი სტრუქტურის გამოყოფას, ფონეტიკურ ნიშანში რეპრეზენტირდა „დიდი აფეთქებაც“ და აღსანიშნისა და აღმნიშვნელის პირველი შეხვედრაც ნიშანში.

აქ კიდევ გაისმის ერთი ხმა, რომელიც კაცს გამართვის მომენტში აღმოხდება. როგორც კომბინირებული აღმნიშვნელი, ეს ხმა იგის სხეულის მიერ „გამოთქმული“ პირველი შეფასება მომხდარის მიმართ: „ხმა ისეთი იყო, როგორიცა გამარჯვების ყიუინა, მაგრამ უფრო რბილი და თბილი სუნი ასდიოდა“. და მაშინვე იგრძნო, რომ წელში გამართული იჯდა. ამ დროს იგი ცას შესცეკრის, ზემოთ, ცის მხარეს ყურებას ეჩვევა... რაღაც სხვანაირად უჩანს კბილებიც — იგი სიცილს სწავლობს: „კბილებსაც და მთელ სახესაც სითბოსა და სიხარულის სუნი ასდიოდა, როგორც იმ ხმას აუკიდა, წელან რომ აღმოხდა“. ესაა პიროვნების, ანტროპოსის დაბადების პირველი წამი, ჩვილის პირველი გალიმება და პირველი ბგერა, სიცოცხლის სიხარულით გამოწვეული. ეს ჯერ ისევ განუყოფელი სამყაროა — არც ცუდი, არც კარგი, პირველყოფილ სიმშვიდეში „ყველაფერი ისე იყო, რომ ვერც ცუდი დააკლებდა რამეს და ვერც კარგი შეპატებდა“. ჯერ არ დაწყებულა მეტნაკლებობა, განხეთქილება, კარგი-ცუდის ოპოზიცია, არჩევანის დილემა. ამ წამს იგი სამყაროსთან სრულ ერთიანობას გრძნობს, როგორც მისი ნაყოფი: „ცის თვალსაც, კენჭებსაც, ტყესაც და ზღვასაც ისე გრძნობდა, როგორც საკუთარ ხელ-ფეხს“. ერთიანობის დაუნაწევრებელი შეგრძნება იგიში ბადებს განწყობას, „თითქოს სულ არ ყოფილოყოს“. ყოფიერების სიმსუბუქის ეს შეგრძნება — ერთიანობაში ყოფნის სითბო, სიმშვიდე და სიხარული — სამყაროს ჰარმონიულობის ესთეტიკური განცდის არქეტიპია, მდგომარეობა, როცა ერთიანობის სრული შეგრძნება არაფერს გაიძულებს ამ ერთიანობით ტკბობის გარდა — არც არჩევანს, არც რეფლექსიას.

იგის სემანტიკათა რიგში დგას სითბოსა და სინათლის არა მხოლოდ დენოტაციური, არამედ კონტაციური მნიშვნელობებიც. მეტიც, შეიძლება ითქვას, რომ იგის მხატვრული სახის მთელი სიღრმე სწორედ კონტაციურ დონეზე ხდება საცნაური: „სახეზე, როგორც ყოველთვის, სიმშვიდისა და სითბოს სუნი ასდიოდა“. სითბო/სიცივის არქაული ოპოზიციის კონტექსტში სითბო უკავშირდება ცეცხლს, მზეს, სინათლეს და შესაბამისად, ამ უკანასკნელთან კორელაციაში მყოფ იმ მრავალრიცხოვან კულტურულ-ასოციაციურ მნიშვნელობებს, რომლებიც თავისი განვითარების ისტორიულ გზაზე გამოიმუშავა კაცობრიობამ, მათ შორის, ცოდნას, სულიერებას, მომავალს, იმედს. სიმშვიდე ასოცირდება წესრიგთან, სტრუქტურის უშფოთველობასთან, ატრაქციის მდგომარეობასთან, კოსმიურ ჰარმონიასთან.

„ნი“, ანუ მოთხრობის ქალი პერსონაჟი — ვუნიდოთ მას სიყვარულის იმპულსის ინდექსალური ნიშანი — ძველი ბელადის დამარცხების პირველივე დილას იბადება: „წვიმის ნესტიანი სუნი რომ იგრძნო, იგის სხეულში უცებ ნი გაჩნდა“. ამ ორ ხდომილებს შორის კავშირი წვიმის სუნით მყარდება, წვიმის სუნს ამოაქცს ზედაპირზე იგის შინაგანი შფოთი ბელადის სიკვდილის გამო, მისი „მოგერიების“ ასევე გაუცნობიერებელი სურვილი და იმავდროულად, ლტოლვის უეცარი იმპულსი. ყველა ეს კავშირი მკაცრადაა დეტერმინირებული შეგრძნების დონეზე, თუმცა დეტერმინაციის ტიპის განსაზღვრა საკმაოდ ძნელია. ვფიქრობ, აქ უნდა დავეთანხმოთ რიკიორის დაკვირვებას შეგრძნების ინტენ-

ციონალურობაზე: „შეგრძნება მეორე რიგის ინტენციონალური სტრუქტურაა“ (რიკიორი 1990: 430). სწორედ ამ ინტენციონალობის ნყალობით მონაწილეობენ შეგრძნებები წარმოსახვის მუშაობაში, ავსებენ და აფართოებენ წარმოსახვას, როგორც გამოსახულებითი მიმართებები და პოეტური განცდის მნიშვნელობთა შექმნაშიც სწორედ ეს შეგრძნობილი აზრი მონაწილეობს. შეგრძნების მთელი ეს „ყველგანმყოფობა“ ძალზე მკაფიოდ იგრძნობა პოეტური რეფერენციის დონეზე, როცა იგი ერთდღრულადაა ჩართული აზრის, წარმოსახვის და სხვა კოგნიტიური ფუნქციების სინთეზირების პროცესში, თუმცა ამ დეტერმინაციის სრულყოფილი ახსნა ისევე შეუძლებელია, როგორც მეტაფორული აზრის ლოგიკური განმარტება. როდესაც პოეტი ამბობს, რომ „ნისლი ფიქრია მთებისა, იმათ კაცობის გვირგვინი“ — ნათქვამის დარჩენას(შეკავებას) რეალობის საზღვრებში სწორედ შეგრძნება უზრუნველყოფს: ლოგიკური აზრის უგულებელყოფის ხარჯზე წარმოსახვის გაფართოების გზით და, თავდაპირველი, არაობიერებული აზრის „მოშინაურებით“. შეგრძნება „ხედავს“ ანალოგიას ფიქრს, როგორც ადამიანის სუბსტანციის უხილავ ემანაციასა და ნისლს, როგორც მთის შესაძლებელ (დასაშვებ) წარმოსახვით სუბსტანციას შორის.

ჯოგისგან პირველი გაუცხოება სწორედ ფიზიკური განსხვავების აღმოჩენით ინყება: „ყველანი მოხრილები იყენებ“. წუხილი და მარტოობა შეახსენებენ, რომ იგი უკვე განსხვავებულია და ჯოგთან ერთიანობის, მსგავსების მფარველ განცდას თავს ვერ შეაფარებს. დაწყებულია გამოცალკევების, ინდივიდუალიზაციის გარდაუვალი პროცესი. იგის ცნობიერება და სხეული გამოყოფის, გაყოფის, უტყვი, მარტივი ყოფიერებიდან რთულ, ფსიქიკურ და სულიერ ყოფიერებაში გადასვლის ტკივილს განიცდის: „მარტო როცა იყო, მაშინ არ გრძნობდა მარტოობას, სხვებთან როცა იყო, მაშინ გრძნობდა“. ამას ახლავს „ცივი შიში“ — ერთიანობიდან გამოსვლის ხიფათის შეგრძნება, რომელიც მოგვიანებით იგისნაირთა განვითარების მრავალთასაწლოვან ისტორიაში მარტოობისა და გაუცხოების განცდად გარდაიქმნება; და პირველი კარნახიც „პრაგმატული“ გონებისა, რომ ეს განსხვავებულობა არ უნდა შეიმჩნიოს, უნდა დამალოს. რაც ზემოთ ვთქვით, ერთგვარი არგუმენტაცია ამ აზრისა, რომ იგიში, როგორც სიმბოლურ მხატვრულ ნიშანში, კოდირებული სახით მოცემულია კაცობრიობის განვითარების ისტორია, შემოქმედთა და ხელოვანთა, ანუ „განსაკუთრებულთა“ უძველესი გამოცდილება და პირველი გაფრთხილება: განსაკუთრებულობა საშიშია! — და ამასთან დაკავშირებული სოციუმის პირველი ძალადობა ინდივიდზე, „ჩვეულებრივთა“ შურისძიება „გამორჩეულებზე“ წესის, ჩვეულების, ნორმის სახელით. მაგრამ იგის აღარ შეუძლია ძველ მდგომარეობაში დაბრუნება და ამასაც სხეული მიანიშნებს: საშინელ ტკივილს გრძნობს მოხრისას. სხეულის ენაზე ესაა სულის პროტესტი, დაუბრუნდეს ძველ მდგომარეობას, განვლილ ეტაპს, წინ აღუდგეს იგიში გამოვლენილ სიცოცხლის ინტენციას განვითარებისკენ.

„თვალები ვერ ხედავდნენ ბალას, მაგრამ ფეხისგულები ხედავდნენ“ — სინესტეზია, როგორც სიცოცხლის ონტოლოგიური ერთიანობის ტროპოლოგიური აღმიშვნელი, ადასტურებს შეგრძნებათა სრულ ღიაობას ყოფიერების როგორც ხილული, ისე უხილავი შრეების მიმართ. ხედავს ყველაფერი, მარტო თვალი კი არა, სხეულის მთელი ზედაპირი. სხეული, ტანი გახსნილია სამყაროსათვის, ყველა უჯრედი მხედველობის ორგანო და ყოფიერების ტექსტის ნიშნებსაც პირველად სწორედ სხეული ღებულობს. სინესტეზური ტროპები ზუსტად გამოხატავენ სხეულის წუნებიდან გამოყოფის გამო, მარტოობის შეგრძნების პირველად, ინტუიტურ ფორმას, თავშესაფრის დაკარგვის შიშით გამოწვეულ არაცნობიერ განგაშს. „წუხილი ავი იყო“ — გრძნობადი შეფასებაა

ადამიანის ახალი მდგომარეობისა, საკუთარ თავთან დაწყებული ბრძოლისა, შფოთისა, ეჭვისა, არჩევანის აუციელებლობისა, რომლის მოგერიებასაც მოგვიანებით იგისნაირები მხოლოდ შემოქმედთან განუწყვეტელი დიალოგით შეძლებენ. სწორედ ამ წუხილმა უნდა აქციოს იგი ადამიანად, ანუ დაარქვს საკუთარი სახელი. სწორედ ეს წუხილი უნდა დასრულდეს ონომასტიკური აქტით. მაგრამ, ჯერჯერობით, იგის ტკივილი ურჩევნია წუხილს, რადგან ტკივილი ხორცს ეკუთვნის და ნაცნობია, წუხილს კი ვერაფერს უხერხებს, ვერაფერს უპირისპირებს, რადგან „სხვაგანაა“ — სულში: „არხეინად იჯდა სხეულში და ნადირივით ღრღნიდა ძვლებს“. ეს ის ეტაპია, როცა ესესაა იწყება განცდათა პოლარიზება, ოპოზიციების შექმნა. იგი ჯერ მხოლოდ ყველაზე მარტივ და უშუალოდ სხეულებრივ შეგრძნებებს თუ ასხვავებს, მაგალითად, ცივსა და ცხელს, ნინ-ს და უკან-ს, შიმშილს და სიმაძლრეს, ჯერაც არ იცის უმი და მოხარშული, თუმცა ყველაფერი წინაა — შეუქცევადი პროცესი დაწყებულია.

სიუჟეტი აგებულია, როგორც უწყვეტი, ზეალმავალი, მაგრამ არათანაბარი განვითარების პროცესი მუდმივი ფლუქტუაციების თანხლებით. პერსონაჟის ცნობიერება ვითარდება უხეში ბიძგებით, აფეთქებებით, ტალღოვანი ტრაექტორიით, მაგრამ ჯიუტად და თანმიმდევრულად, აგრესულადაც კი. დავაკვირდეთ ხდომილებათა რიგს მწერლის მიერ მეაცრად და ლოგიკურად დალაგებულ სიუჟეტურ სივრცეში: იგი ჯერ შეკითხების დასმას სნავლობს, მერე წუხილს ეჩვევა, მომდევნო ეტაპზე კი — სიყვარულითა და შიშით ალძრული ტკივილის ქვიშაში „გადატანას“ ეუფლება. ამ მტკივნეულ პროცესში იბადება ადამიანი, ნაბიჯ-ნაბიჯ გამოდის განურჩეველი არსებობის ბეჭლი სათავსოდან და ახლად თვალახელილი, უპიროვნო არსებობიდან გამოსხვავებული, აღქმაში გაჩენილი ნაპრალიდან ინტერესით უმზერს იმას, რასაც დაშორდა, სვამს ახალ კითხვებს და პასუხებსაც აგნებს.

შემეცნების ამ აღმავალ მოძრაობას წინ უსწრებს გაკვირვება. გაკვირვება ცნობიერების პირველი შერხევის, ცნობის მოყვარეობის პირველი სიგნალია. ცოდნა იშვება გაკვირვებისაგან, რომელსაც ახლავს ცნობის, შეცნობის, ანუ უცნობზე ცოდნის დაუფლების სურვილი. საკვირველი, როგორც შემეცნების ამძრავი მექანიზმი, აჩენს უამრავ კითხვას, კითხვათა რიგებს, კოლონებს და საბოლოოდ, ცნობიერების მთლიან, უწყვეტ რიგს. კითხვები ბადებენ უცნობი ფსიქიკური მოვლენების დასახელების აუცილებლობას და იგიც ასახელებს, მნიშვნელობას ანიჭებს მათ, ანუ იშინაურებს. იწყება სემიოზისის უსასრულო აქტი. იგი პირველ შეფასებებს აკეთებს და ეს შეფასებები პირველი მორალური გრძნობის, კარგი-ცუდის პირველადი ოპოზიციურობის გაჩენის წინადლეა: „თანამოძმები კარგები იყვნენ, ბელადიც კარგი იყო“.

იგი ცდილობს როგორმე გამოხატოს, ანუ ფორმა მოუძებნოს ნისადმი გრძნობას. ფიზიკური სიახლოვის შემდეგ დამახინჯებულ ნის იგი საკუთარი სხეულიდან განდევნის და სილაზე გადააქვს: „მახინჯი ნი გამოვიდა იგის სხეულიდან და სილაში ჩაწვა“. სიყვარულის ძალით ინსპირირებული შემოქმედებითი მაგია — ასე შეიძლება დახასიათდეს ის ეპიზოდი, რომელშიც „ნი ქრებოდა სხეულში და ჩნდებოდა ქვაზე. ნი ლამაზი იყო“. მოულოდნელად იგი აღმოაჩენს, რომ „სილაში ნი კი არა, იგის საკუთარი ნაკვალევი ჩაწვა“. სად იბადება პოეზია, ხელოვნება? როცა ადამიანს მასში უეცრად შემოქრილი სიყვარულის გამოხატვის სურვილი იყვრობს და როცა ხვდება, რომ საამისოდ რეალობის (საგნის, მოვლენის, განცდის) გადალახვა აუცილებელი. ამ სურვილებსა და პირველ შემოქმედებით აქტის შორის კავშირის გამოხატვას ავტორი იგის ენაზე ცდილობს და ძალზე ბუნებრივად შეაქვს არამიმეტური, თანამედროვე ხედვა პირველყოფილი ადამიანის აღქმაში: აღსანიშ-

ნისა და აღმნიშვნელის ოპოზიციურობა გადაილახება კვალით, თუმცა ეს კვალი, როგორც ნიშანი, ამ საგნის მხოლოდ ვიზუალური ანაბეჭდი (ხატი) კი არ არის, არამედ მასთან ურთიერთობით გაჩერილი შემოქმედის სულის ანაბეჭდი, ანუ ნის მიმართ გაჩერილი გრძნობის სიმბოლური გამოსახულება და ინდექსიცაა.

ამ მომენტიდან კაცი პირველად ამჩნევს სხვაობას რეალობასა და გამოსახულებას შორის, ანუ, სემიოტიკის ენაზე რომ ვთქვათ, ახდენს პირველადი და მეორადი ნიშნების დიფერენცირებას. ნის რეალური გამოსახულება პირველადია, ქვიშისა კი — მეორადი. შეიძლება ითქვას, რომ იგიმ ქვიშამი ნის მიმართ გაჩერილი განცდის მოდელირება მოახდინა. იგი კვალის შეცნობას იწყებს დანის კვალს ბელადის კვალს ადარებს. უკვე ხვდება, რომ ყველა ტოვებს თავის კვალს — ნიც, იგიც, ბელადიც, რომ ყველა დატოვებული კვალი რაღაცის სიგნალია, მაგრამ ნის კვალი ნის კი არ ეკუთვნის, არამედ იგის წარმოსახვას. ადამიანები ერთმანეთში კვლებით გადადიან, კვლებით ცოცხლობენ, კვლებით არიან დაკავშირებულნი. კვლების ეს კავშირი სხვა არაფერია, თუ არა დროში ადამიანთა გადაბმულობის ნიშანი და ყოფიერებისადმი მათი საერთო კუთვნილების არგუმენტი.

კაცში შემოქმედის, დემიურგის თვითალება იღვიძებს და იგი მოულოდნელად აღმოაჩენს, რომ „ზოგჯერ ნიც იგია“, რომ მთელი სამყარო მასშია და იგიც მთელ სამყაროშია, რომ ყველაფერი, რაც მასში შეგრძნების სახით შემოდის, თვითონაა: „ახლა, რაც კი იყო ირგვლივ, ყველაფერი გაერთიანდა, ერთ არსად იქცა ყველაფერი. არ არსებობდა ცალკე ზღვა, ცალკე იგი. არსებობდა მხოლოდ ერთი რამ და ეს ერთი რამ იგი იყო. ერთი რაღაც გაცხადებულიყო ყველაფერში, ყველაფერი სათითაოდ ეს ერთი რაღაც იყო“.

ქმნადობის იმპულსი ადამიანსა და სამყაროს შორის იდუმალი კავშირის შეგრძნები-დან იბადება. ლექსსაც და ლოცვასაც სწორედ კავშირის, ერთიანობის უღრმესი ინტიმი ამსგავსებს ერთმანეთს. „ლოცულობს გველი“ (ანა კალანდაძე) სამყაროს ამ ერთანობის შეგრძნებიდან ამოზრდილი პოეტური ხატია, ისევე, როგორც „მწვანედ შრიალებს წვიმაა“ (დავით წერედიანი) ამ გამაერთიანებელი ინტუიციის ნაყოფი. შემოქმედი ის ადამიანია, რომელიც „იქტერს“ კავშირს, შეიგრძნობს ერთიანობას და პასუხისმგებელობას იღებს ამ ერთიანობაზე იმით, რომ გარდაქმნის ამ კავშირს ქვაზირეალობად, ანუ სიცოცხლის ახალი ფორმის — გამოსახულების, ქვაზიმატერიის სახეს ანიჭებს. ხელოვანის, პოეტის ეს უნიკალური, მთელი დანარჩენი სამყაროსაგან განსახვავებული უნარი — დამანგრეველიც და ამშენებელიც, გამაერთიანებელიც და გამოიშველიც ერთდროულად, დასაბამს აძლევს მისი ძალისა და ავტორიტეტის განსაკუთრებულ ტრადიციას არქაული ხანიდან დღემდე. ამ ეტაპიდან იწყება „პომო საპიენსის“ უნიკალური კოდირებული ფაქტურის ჩამოყალიბება სამყაროს ტექსტში.

„იგი სხვა ჯიშისაა“ — განსხვავებულობის არგუმენტი იგის შემოქმედებითი ძალაა: მას შეუძლია ადამიანის სახე გამოიყვანის ქვიდან და ეს სახე ნამდვილზე უფრო ლამაზი იყოს. ამასთანავე, „იგის ისეთი სიტყვები აქვს, როგორიც სხვებს არა აქვთ.“ ამ „ბრალდებას“ კაცი პასუხობს უჩვეულო ფრაზით, რომელიც თავისი სიზუსტითა და ფარული სიმართლით, ამ სიმართლის გამოხატვის ღრმა, ემოციური და მარტივი ფორმით, ფაქტობრივად, აღნერს ლოგოსს, ენის შემოქმედს, სამყაროს ტექსტის შემქმნელს: „სიტყვები არავის არა აქვს. სიტყვები რაღაცაა და თავისთვისაა. ხოლო რაღაცა ყველგანაა. ხეში, ზღვაში, შორეულ ქედებში, ტყის მწვანე სულში, ბალახის ღეროში. ხანდახან იგი თავში შემოდის, იქ სიტყვებად იქცევა და პირიდან გამოდის“. იგი ერთდროულად ფილოსოფონიით და პოეტიკით ლაპარაკობს: „რაღაც ყველაფერი რაღაცაა... ქვეყანა ზეცაა, მაგრამ ქვეყნის სახე აქვს, ფოთოლი ხეა, მაგრამ ფოთლის სახე აქვს, ლამის სიბნელეც ცის

თვალია, მაგრამ სიბნელის სახე აქვს, (სიბნელე და ხუჭული ცის თვალია — მ. კ.) ყველაფერი რაღაცაა, და როცა იგი რაღაცას ხედავს, იგიც ყველაფერია“. იგი ასახელებს მარადიულ სტრუქტურას, რომელიც ყველაფერშია, რაც უკვე ქმნილია და რაც ამიერიდან შეიქმნება. საუბრობს სამყაროს დემიურგზე, მისი შემოქმედებითი ძალის ემანაციაზე სამყაროში, ამ ერთის უსაზღვრო მრავალფეროვნებასა და ერთიანობაზე, მის მიერ შექმნილთა უთვალავ კავშირებზე, ამ ძალის არსებობაზე ადამიანში, რომლის წყალობითაც მას შეუძლია იყოს ზღვაც, ცაც და ბალახიც, ხეც და ფრინველიც.

იგი პოეტია. მან იცის რაღაც ისეთი, რაც დანარჩენებმა არ იციან. იგი ამ უსახელო „ყველაფერის“ მიმღები, გამტარი და გადამცემია, ამ „ყველაფერის“ ნებით ხატავს და ლაპარაკობს. მაგრამ ამ დიადი აღსანიშნის რეფერენცია ჯერ არ დასრულებულა, ის ჯერ კიდევ არაა მარკირებული. ადამიანი საკუთარ თავში მოიცავს ამ „ყველაფერს“ და მისგან იმდენად განუყოფელია, რომ ჯერჯერობით სახელის დარქმევას არ საჭიროებს. სახელში აბსტრაგირებამდე ის პრედიკაციის ეტაპს გადის.

„სილის ნის იგის ფეხის ნაკვალევი შემოერტყა“ — კვალის ჩარჩოთი კაცი თავის შექმნილს დანარჩენი ბუნებრივი სივრცისაგან გამოაცალკევებს და ამით მასზე „საავტორო უფლების“ აცხადებს: ეს უკვე ჩემია, მე მეკუთვნის — დაახლოებით ასე იკითხება იგის ჟესტი. თუმცა მისი ეს მოძრაობა ახალი ქმნილების მოფრთხილების, დაცვის, მისი განსაკუთრებულობის აღიარების ნიშნადაც შეიძლება აღვიქვათ. ჩარჩოს „სემიოტიკა“ „იგის მოენონა“, „და არც კი განუზრახავს, ისე თქვა თავის სხეულში: „იგიმ რაღაც იცის ისეთი, რაც სხვებმა არ იციან“. გამოსახულების სივრცის ორგანიზაციის ეს უძველესი აქტი სახვითი ხელოვნების ისტორიაში ფუნდამენტური ძრების დასაწყისია, მისი შედეგებით დღემდე სარგებლობს არა მხოლოდ ფერწერა, არამედ ფოტოგრაფია, კინო და ტელევიზია. მოთხრობის კონტექსტში იგი ბუნებისაგან კულტურის, პირველქმნისაგან — არტეფაქტის გამოსხვავების პირველი ნიშანია და სივრცის ახლებური დალაგების საკუთრივ ადამიანურ და კულტურულ იმპულსზე მიგვითოებს. ამ ინტუიციის წყალობით კაცი ხვდება, რომ ბეჭდის დახატვით შეიძლება მისადმი შიში დაამარცხო. ამ საფეხურზე იგი უკვე თავისი ცოდნის შეფასებასაც ახდენს: „იგიმ დიდი რაღაც იცის“, იმავდროულად უჩნდება ხელოვანისთვის კარგად ნაცნობი ეჭვიც და კითხვა რეალობის მიმართ: რომელია ნამდვილი ნი: ის, რომელიც სილაში შექმნა, თუ ის, რომელის მის გვერდით დგას? — „ნამდვილი ის ნია, რომელიც მასშია და არა ის, რომელიც გარეთაა“. შემოქმედებითი ცნობიერებისათვის დამახასიათებელი ეს ინტენცია, ერთის მხრივ, ღმერთთან მებრძოლი იაკობის კომპლექსს ბადებს, მეორეს მხრივ კი — პასუხისმგებლობას და რწმენას, რომ ხელოვნებას შეუძლია იხსნას სამყარო, რომ ნარმოსახვის ნიჭი ადამიანს რეალობის მოსაწყისი ხელევად, ღვთიური წესრიგის აღსადგენად ეძლევა.

ამავე ინტუიციის წყალობით იგი გრძნობს, რომ სიტყვა წარმოადგენს იარაღს და მისი საშუალებით იგის შეუძლია წინააღმდეგობა გაუწიოს ბელადს, რომელსაც ფიზიკური ძალით ვერ დაამარცხებს. იგისთვის სიტყვის ძალა გაუცნობიერებლად უკვე არის ფიზიკური ძალის საპირნონე. სიტყვისგან მომავალ ამ ხიფათს გრძნობენ სხვებიც, რაკიდა იგის განსხვავებულობის არგუმენტად, გამართულობაზე მეტად, იგის „უჩვეულო სიტყვები“ მოაქვთ: განსხვავებული სიტყვებით მოლაპარაკე ადამიანი ჯოგისთვის საშიშია. „მოაზროვნე ლერწმი“ სწორედ ამითაა მეტი დანარჩენ საყაროზე, ამითაა სამყაროს ტექსტის ყველაზე ღირებული ნაწილი, ერთადერთი „იგი“, რომელმაც თვითონვე შექმნა ტექსტი.

პირველი ეგზისტენციების გამოლვიძება ემოციური სფეროს ჩამოყალიბების დასაწყისია. ჩნდება წუხილი, ზრუნვა, თუმცა ეს ჯერ ისევ შეგრძნებების, ნახევრად მთვლემარე ცნობიერების დონეა, რომლის მიღმა, პერსპექტივაში, თანამედროვე ადამიანის ტკივილი და საწუხარი იკითხება.

ბელადი მიდის („ქრება“), ატალახებულ მიწას კი მისი ფეხის კვალი შერჩება. იგისთვის ის ჯერ მხოლოდ ფიზიკური ანაპეჭდია და არა — კოდირებული. თუმცა უკვე ჩნდება პირველი კითხვები, რომლებიც სიმბოლიზაციის პროცესის დაწყებაზე მიგვანიშნებენ: რატომ არ გაქრა ძველი ბელადის კვალი ფეხთან ერთად? ამას მოსდევს უფრო რთული კითხვა: „ნუთუ კაცი რომ დიდი დაძინების ქარაფზე იძინებს, მთლიანად არ ქრება?“ სიმბოლიზაციის პროცესი ეთიკური კონცეპტის ამოძრავებას უკავშირდება, რასაც მოსდევს შეფასებითი დამოკიდებულების გაჩენა სამყაროს მოვლენების მიმართ, ადამიანის დანიშნულების გამორკვევის პირველი სურვილი.

კვალი არის ის, რაც გავალებს ხსოვნას. ხსოვნა კი დროის, წარმავალობის მიმართ პირტესტის მექანიზმია, იმის ნიშანი, რომ კულტურა და მისი შემქმნელი ადამიანი ინახავს ხსოვნას თავის მონაწილეობაზე წესრიგის შექმნაში. ხსოვნით ჩნდება ადამიანის მოქმედების პირველი ღირებულებითი აღქმაც და პირველი კითხვებიც იმ ყველაფრის მიმართ, რაც ადამიანის მონაწილეობით არ შექმნილა, რაც მას მზად დახვდა და რაც მთელ სამყაროში ვიღაც უფრო დიდისა და ძლიერის კვალზე მიანიშნებს. ბარათაშვილის „მერანის“ ღირიკული გმირის გადაწყვეტილება და არჩევანი („რომ ჩემს შემდგომად მოძმესა ჩემსა სიძნელე გზისა გაუადვილდეს“) განვითარებული საფეხურია ცნობიერების ამ პირველადი იმპულსისა, რომელიც ფიზიკური კვალისთვის ეთიკური მნიშვნელობის მინიჭებით, ანუ მისი სიმბოლიზაციით იწყება. გზა სხვა არაფერია, თუ არა კვლების უწყვეტი რიგი და სამყაროში ადამიანის დანიშნულების სუპერნიშანი.

იგის შემდეგი ნაბიჯი ისეთი კვალის დატოვების სურვილია, რომელსაც წვიმა ვერ წაშლის. სურვილი, შექმნას ისეთი რამ, რაც გაუძლებს დროის სვლას, სივრცის ცვლილებებს, შინაგანი სრულყოფისაკენ გადადგმული ახალი ნაბიჯია, ოლონდ მას არა თვითიძულების, არამედ იგიში იმთავითვე არსებული უცნობი ძალის გამოლვიძების ელფერი ახლავს. იგის განვითარების (გამართვის) მთელი პროცესი სწორედ ამ კანონზომიერი და აუცილებელი გამოლვიძების სახეს ატარებს: „ეს გზა იმთავითვე იგისთვის იყო გამიზნული. ვიღაცამ თუ რაღაცამ იმთავითვე იცოდა, რომ რომ იგი უნდა გამართულიყო“.

იგიში გაჩენილი უნარი საკმარისია ჯოგზე ზემოქმედების მოსახდენად, მათი ნებისა და სურვილის დასასუტებლად, იქნებ, ბელადის დასამარცხებლადაც კი, მაგრამ იგი არ აპირებს საკუთარი ძალის გამოყენებას ადამიანების დასამორჩილებლად. იგი შემოქმედია და სილამაზითა და სიყვარულით ცდილობს მათზე ზემოქმედებას. დაახლოებით ასე გამოიყურება ძალაუფლებისა და შემოქმედებითი ნებელობების გადანაწილების სურათი ქარჩხაძის მიერ დახატულ პრეისტორიულ ეტაპზე.

რაც შეეხება დღევანდელობას, სურათი დიდად არ შეცვლილა, თუმცა თანამედროვე ხელოვანი თითქოს აღარც კი ცდილობს აღადგინოს სამყაროს აღქმის ის ცოცხალი იმპულსი, რაც შემოქმედებითი გზნების გაჩენას ანუ საჭრეთელის ხელში აღებას ახლავს. აგრესიულ გულგრილობაში სამუდამოდ იკარგება პირველადი სენსორული მგრძნობელობა — „სხეულიდან ხედვა“ და ის ყველაგანშემდნევი სინათლეც, რომელიც ადამიანს ყოფიერების სიღრმეების ხილვას უადვილებს. რაციონალური გონის ცივი ილუმინაციისათვის მიუწვდომელია საგნის, მოვლენის იმ პირველად, ლოგოსურ მთლიანობაში ხილვა, რომელშიც მას ძველი ადამიანი ხედავდა. მას შემდეგ, რაც ხელოვანმა დაკარგა რეალო-

ბის ნდობა, და მასთან ერთად, საკუთარი „მე“-ს მთლიანობის განცდა, იგი სამყაროს იმ გამამთლიანებელი ძალის რწმენასაც გამოეთხოვა, რომლის მიმართაც იგის ეპოქის ადამიანებს ის-ისაა ეხილებოდათ თვალი და ყური. ის-ისაა იწყებდნენ მათში შემოღწეული შუქის სხეულებრივ აღქმას, შეგრძნებების გზით შემოსული ენირგეტიკული და რიტმული სიგნალების ამოცნობას: სითბოს მოზღვავებას, სხეულის უჩვეულო დაძაბულობას, გახშირებულ გულისცემას („ბაგაბუგი“).

ჯოგის ცხოვრებაში ერთდროულად ხდება ორი გარდამტეხი აქტი: პირველი: იგი აჩენს ახალ ლამაზ სამყაროს ქვაში, და მეორე: ბელადი აჩენს, „ახალ სიტყვებს“, და ამ სიტყვებით სასიკვდილო განაჩენი გამოაქვს იგისთვის. ეს პარალელიზმი ორ ენას, ცნობიერების თან მდგომარეობას შორის აღარასოდეს შეიცვლება, მარადიულ განხეთქილებად დარჩება: „მინა რომ გაიბზარება და ნაპრალი აღარასოდეს ამოიცისება, ისე“. ეს ის განაჩენია, რომელსაც ამიერიდან ძალა-უფლება(ხელის/უფლება) განუმზადებს ხელოვანს, როგორც თავის-უფალს. როგორც შფოთი განუმზადებს სიმშვიდეს, ნაკლოვანება — სისრულეს, ბოროტება — სიკეთეს. ორთაბრძოლა არ დასრულდება, მარადიულ წინააღმდეგობად დარჩება და მასზე მწერალი ისევ სხეულის ენით მოგვითხრობს: ბელადი კეტით, იგი — საჭრეთელით; ბელადი „ავი სუნითა“ და მძვინვარებით, იგი — სიმშვიდის „თბილი სუნით“; ბელადი — მინამდე ხელებდათრეული, მოხრილი, ვიწრო შუბლით, იგი — წელგამართული, ღია მზერითა და სინათლით საცე სხეულით.

ფინალური სურათი ასეთია: იგის სამყარო უნდა დაინგრეს. როგორი იქნება სამყარო ერთი ადამიანის სიკვდილის შემდეგ? იგი ხვდება, რომ სამყარო ვეღარასოდეს იქნება ისეთი, როგორიც მანამდე იყო — ვერც წვიმა, ვერც ბალაზი, ვერც ადამიანები. „მაგრამ იქნებ იგი მთლიანდ არ ქრება? იქნებ ის რაღაც, რაც ყველაფერშია, მაინც დარჩეს ქვეყანაზე?“ — ქარჩხაძე ადამიანის მარადიულ კითხვას ეხმანება: რა რჩება ადამიანისგან სიკვდილის შემდეგ? რა უნდა მოიმოქმედოს საამისოდ, რომ კვალი დარჩეს? იგის გონება გამალებით ცდილობს პასუხის მიგნებას.

უცნობი ძალა ჩააგონებს, რომ რაღაც მაინც დარჩება მისგან. ეს შეგრძნება გამართული ზუს დანახვისას ეუფლება. და იგი პოულობს პასუხს კითხვაზე, რა დარჩა ძველი ბელადისგან. კვალი? არა. „კვალი სხვა რამეა“. „ძველი ბელადისგან დარჩა ის, რომ იგი ამბობს: „ძველი ბელადი“. დარჩა სახელი, სახელის ხსოვნა, როგორც დამაკავშირებელი ენერგიის აუცილებელი ულუფა. დარჩა სიტყვა და არა საქმე. საქმე ყოველთვის თავიდან კეთდება სიტყვის ძალით და ხსოვნით, სიტყვის განაჩენით.

რა რჩება იგისგან? ის, რაც „იგიში იგი იყო“, ანუ სახელი, რომელმაც გააერთიანა ადამიანები და მათ ნაცვალსახელად იქცა; სიყვარული, რომელიც კაცმა ქალს ასწავლა; „საკვირველი სიტყვები“, რომლითაც ის მოიხსენია და ხატი, რომელიც მისგან შექმნა და რომელიც რეალურზე უკეთესი იყო.

## დამონშენი:

**ენიკეევი 2002:** Еникеев М. *Енциклопедия. Общая и социальная психология*. М.: 2002.

**იაკობსონი 1972:** Якобсон Р. *Семиотика и искусствометрия*. «Мир», 1972.

**რიკონორი 1990:** Рикёр П. *Теория метафоры*. М.: «Прогресс», 1990;

**ტოპოროვი 2007:** Топоров. სახელი, როგორც კულტურის ფენომენი. „სემიოტიკა“, № 2, 2007.

**Manana Kvachantiradze**

## **The Name and the World**

### **Abstract**

**Key words:** “Igi”, body posture, memory, onomatetic act

Jemal Karchkhadze’s novel “Igi” (**igi** is third-person singular masculine pronoun in Georgian) offers us artistic reconstruction of the situation when a man is just beginning to awaken spiritually through the power of love and creativity, to aware of one’s own self as a function of “I” and introduce corrections in the existing environment.

The process of individualization starts with the first onomatetic act: cosmology is over and “semiology” – semiosis, the infinite process of reference starts. Words seek and connect with each other, become sentences and phrases in order to name and give meaning to the world, man’s aspirations, desires and on one’s own will and with the power of this word name the infinite perspective of the soul in this world.

The name is still “an impulse of the culture” and not a result of its guardianship. It is just time when differentiation of the will from the nature starts and though these first steps have a trace of hesitation and fear, step by step with the development of a plot we can already see how the personality is awakening in a primitive man and how impersonal “he” denoting the third person transforms into proper name.

In order to convey inner feelings, nuances of perception to the reader, Jemal Karchkhadze uses semantization of senses, perceptions, psycho-sensory signs. Taste, smell, warm and visual sensations play the role of a channel in cognition of the world text.

The arrangement of the first phrase coincides with body posture. This coincidence is a supreme sign of the mind/body connection, cosmic determination of these connections. Through the vertical posture a man expresses a protest of the reason in relation to animal state of the body. Man straightens his back in full at a time when gazing at a ray of light a crack is heard in his body. The crack – a voice of radical change of body structure – is an indicator which informs the start of coming out of petrified, stagnant existence, period of Anthropos. From this new perspective man is already tall. Along with the upright position he acquires an ability of controlling spiritual height and the world.

Igi’s consciousness and body experience the pain of transition in differentiating from the herd, dumb, simple existence to complicated psychic and spiritual existence. The formation of emotional sphere starts and there appears anxiety, concern, “cold fear” of leaving the unity and love which awakens man’s creative soul, although it is still the state of half-asleep consciousness beyond which, in perspective, pain and trouble of modern man is read.

The process of symbolization is linked with ethical concept of putting into motion; there appears evaluative attitude to the events, the first wish to clear up man’s destination: What remains from man after death? How can you leave a trace? Trace is a sign which makes you remember. It is the sign that culture and man creating it, keep the memory of one’s participation in creating the order. What remains from Igi?- “what was he in Igi”, i.e. his own “self” that united human beings and turned into their pronoun; love that man taught to woman and “amazing words” that made this love pronounce; finally, an image created from him and which was better than reality.

## ინგა მილორავა

### ზღვის სივრცული მოდელი მოდერნისტულ ტექსტებში

ზღვის სივრცული მოდელი, როგორც მხატვრული ნაწარმოების ქრონოტოპის ფორმა, ძალიან მნიშვნელოვანია მრავალი კულტურისათვის, ისევე როგორც „მთის“, „გზის“ და ა.შ. მოდელები. დასავლური თუ აღმოსავლური კულტურები სხვადასხვა ეპოქაში, შეიძლება ითქვას, ჩვენთვის ხილული დროული ხაზის სათავიდან დღემდე უხვად იყენებენ მათ და ესთეტიკურად არაერთგვაროვან, თუმცა საკმაოდ საგულისხმო შედეგებს იღებენ ამა თუ იმ მხატვრული რეალობის თავისებურებების გამოვლენის თვალსაზრისით.

ქართულ მხატვრულ აზროვნება, შეიძლება ითქვას, განსხვავებულ და ბევრი თვალსაზრისით საგულისხმო სურათს ქმნის. ტრადიციულად ითვლება, რომ ზღვა არ თამაშობს რაიმე გადამწყვეტ როლს ქართული ლიტერატურისა და ხელოვნების სხვადასხვა დარგის მხატვრულ სივრცეში. ვერ დავადასტურებთ ზღვის მნიშვნელოვან ფუნქციას ვერც ყოფითი, ვერც წარმოსახვითი სიბრტყებისა და შრების განვითარებაში. ისტორიული მოვლენებითა და ბატალიებით მდიდარ საქართველოს ისტორიაში არ ჩანს თუნდაც ერთი გადამწყვეტი საზღვაო ბრძოლა და არც ძლიერი ფლოტის არსებობაზეა მინიშნება. არ გვყოლია საზღვაო გზების დასალაშერად თავგადადებული მოგზაურები და, საერთოდ, ზღვა თითქოს ჩაიკარგა იმ მოვლენათა და სახეთა მართლაც ზღვაში, რომლითაც საკმაოდ მდიდარია საქართველოს ხორციელი და სულიერი ცხოვრება. ათასწლოვანი მწერლობის ადრეული ნიმუშები თითქმის არ გვაძლევს ზღვის მხატვრული გააზრების მკვეთრ მაგალითს, არ ჩანს მისი ფუნქცია. გამონაკლისია ისევ „ვეფხვისტყაოსანი“, რომლის მრავალშრიან და მრავალპლანიან მხატვრულ სამყაროში მოიძებნა ზღვის აღგილიც და თანაც თავისებური ინტერპრეტაციის საშუალებებიც გაჩნდა. ზღვა ამ ჰარმონიული სამყაროს ორგანული ნაწილია და, სავარაუდოდ, სწორედ შინაგანი და გარეგანი ჰარმონიულობისა და დაუნანევრებლობის გამო გახდა შესაძლებელი ამ ფერადოვან სივრცეში ზღვის გამოკვეთილი ფუნქციით არსებობა. „ვეფხისტყაოსანი“ ერთგვარი სამყაროს ზემოდელია, რომელშიც ზეცა, დედამინა — თავისი სიუხვითა და მრავალფეროვნებით, და ადამიანი — ასევე თავისი შინაგანი სიმდიდრითა და მრავალსახეობით, ერთ მთლიანობადა გააზრებული და მას არაფერი აკლია, ანუ სამყარო წარმოდგენილია „უთვალავი ფერით“ და მასში ზღვაც იკავებს თავის ბუნებრივ ადგილს. გმირები შედიან ზღვაში, ეძებენ დაკარგულს, იბრძვიან. ზღვა თითქოს ყოველდღიურობის ნაწილი გამხდარა და ამ თვალსაზრისით ეხმანება მსოფლიო ლიტერატურაში გავრცელებულ მხატვრულ სახეებს. მაგრამ შეიძლება ვივარაუდოთ, რომ აქაც გამოვლინდა ზღვისადმი ქართული კულტურის დამოკიდებულება: დავარმა ზღვაში გადააგდო ნესტან-დარეჯანი. კიდობანი, რომელშიც დასალუპად განწირული უშვენიერესი მეფის ასულია მომწყვდეული, არავინ უნდა იხილოს, ალარასოდეს დაბრუნდეს იქ, სადაც სიცოცხლე, სიყვარული და ბედნიერებაა, ანუ ზღვა არის დასასრული დავარისთვის. სიკვდილის წინ მას აშკარად იმედი აქვს, რომ საბოლოოდ იძია შური თავის ძმასა და ნესტან-დარეჯანზე და იქ გაისტუმრა, სადაც დასასრულია, საიდანაც არავინ დაბრუნდება. მისა განცდა ასეთია. მაგრამ „ვეფხისტყაოსანი“ თავისი შინაგანი ჰარმონიით, რომელიც შემდგომში არსად, არც ერთი ქართული

ლიტერატურული ნაწარმოების მხატვრულ დროსა და სივრცეში ასეთი ძალით აღარ განმეორებულა, არ სცნობს რაიმე დადგენილ ჩარჩოს. ნესტანი, შეიძლება ითქვას, ერთადერთი გმირია, რომელიც ზღვის წიაღიდან ამოვიდა და უკან დაუბრუნდა სიცოცხლეს. ის წყლების მისტიკური წიაღიდან შეცვლილი ამოდის და თავისი ტკივილისა და ტანჯვის გზით მიემართება სიყვარულისა და ბედნიერებისაკენ, რომლისკენაც ყველა გმირი ასევე თავთავისი გზით მიეშურება.

ასე რომ, როგორც ჩანს, „ვეფხისტყაოსანი“ გამონაკლისია ან, უფრო სწორად, ზემხატვრული სამყარო, რომელიც იმდენად უახლოვდება პირველსაწყისს, კოსმიურ ჰარმონიას, რომ გარკვეული ეთნიკურ-კულტურული კომპლექსებისათვის მასში ადგილი აღარ რჩება. ეს კომპლექსი კი შკარად არსებობს, თუ გავითვალისწინებთ, რომ არც მანამდე და არც შედარებით გვიან პერიოდებში ხელოვნებასა და ლიტერატურაში არსად გვხვდება ზღვის ესთეტიკურ-სიმბოლური ფუნქციების ძიების კვალი. ისიც აღსანიშნავია, რომ საქართველოში არ არის მარინისტი მხატვარი, მაშინ როცა ამ უანრში მუშაობენ იმ ქვეყნების წარმომადგენლები, რომელთა სიახლოვესაც კი არ არის ზღვა. ამ მოვლენის ახსნა ძნელია, მაგრამ მიზეზი აუცილებლად იარსებებს და ის სადღაც ერის ცნობიერების სიღრმეშია საძიებელი.

მითოლოგიას თუ მიემართავთ, ხომალდი „არგო“, რომელიც ზღვით მოვიდა, გახდა კოლხეთის სამეფოს უბედურებისა და მისი სიძლიერის დაკარგვის მიზეზი, მაგრამ ეს ბერძნული მითია და ქართველი ერის ცნობიერების გამოძახილად არ შეიძლება ჩაითვალოს, თუმცა გამორიცხული არ არის, რომ რაღაც გავლენა მაინც მოეხდინა მასზე. სამაგიეროდ ეს მითი ხაზს უსვამს, თუ როგორია სხვა ხალხების, ამ შემთხვევაში ძველი ბერძნების დამოკიდებულება ზღვისადმი. ისინი ესწრაფვიან მის გადალახვას, დაძლევას, მიიღწვიან ზღვის იქით მდებარე მიწისკენ, რათა იქიდან წამოიღონ, შეიძიოთ, თუნდაც მიითვისონ ის, რაც მათ გააძლიერებს. ზღვა არ არის მათთვის გადაულახვი ზღვარი, პირიქით, ის ეძახის, იწვევს ამ ადამიანებს და ისინიც ებრძვიან და ამარცხებენ მას. მართლაც ძალიან საინტერესოა როგორ აღიქვამდნენ ზღვას იმ კულტურათა წარმომადგენლები, რომლებმაც, ჩვენგან განსხვავებით, ყველანაირად „გამოიყენეს“ იგი — პრაქტიკულადაც და ესთეტიკურადაც? მათთვის ზღვა არის ის, რასაც უნდა შეერკინო, აჯობო, გადალახო. ზღვა (ოკეანე) არის არა ბოლო მიჯნა, დასასრული, არამედ დასაწყისი, რომლის იქითაც იწყება რაღაც ახალი და იმალება პიროვნების და ერის გაფართოების შესაძლებლობა. ევროპული ლიტერატურა, შემდგომ უკვე ამერიკულიც (სხვათა შორის, აღმოსავლურიც), თუნდაც „ათას ერთი ღამე“ გავიხსენოთ ზღვებზე საოცარი მოგზაურობებითა და სინდბად მეზღვაურით) გამოსახავს გმირებს, რომლებიც არ ეპუებიან ამ საკალურ სივრცეს, პირიქით, ცდილობენ მისი პრაქტიკული, მინიერი მნიშვნელობა წამოსწიონ წინ. თუმცა არის მფრინავი ჰოლანდიელის ლეგენდაც, რომელიც ზღვიდან ვერგამოლწევას და მის მისტიკურ არსს უსვამს ხაზს, მაგრამ ამ ლეგენდაშიც კი მუდმივად არსებობს იმედი, რომ რაღაც ძალით, თუნდაც სიყვარულის მეშვეობით დაიძლევა მოჯადოებული წრე და უსასრულო ხეტიალს ბოლო მოეღება. და მაინც, თუ დავუკვირდებით, ამ შემთხვევაშიც აღსასრულისთვის არ არის ზღვა. აღსასრული მხოლოდ მიწაზე შეიძლება დადგეს. ზღვა კი მოქმედების, მოძრაობის, მუდმივი მოგზაურობის ადგილია, რომლის დასასრულიც, როგორიც არ უნდა იყოს ის, ნაპირზეა, მიწაზე. სიკვდილი თუ შვებაა მარადიული ხეტიალით დაღლილისთვის, ის მხოლოდ მიწაზე შეიძლება მოიპოვოს. ძირითადად მაინც

ყველა ნაწარმოები, რომელშიც არის ზღვა, ერთი და იმავე განცდის გამომხატველია. შეიძლება ეს ნაწარმოებები არ იყოს არც ჟანრულად და არც მხატვრული ღირებულებით მსაგაესი. თუნდაც ზედაპირული მაგალითისთვის შევადაროთ ერთმანეთს სტივენსონის „განძთა კუნძული“, მელვილის „მობი დიკი“, ტომას მორის „უტოპია“ და ჰემინგუეის „მოხუცი და ზღვა“. ერთი შეხედვით სრულიად განსხვავებული მხატვრული სამყაროებია, მაგრამ თითქმის ყველგან შენარჩუნებულია წინააღმდეგობის დაძლევის სულისკვეთება და ზღვის გადალახვისადმი დაუკავებელი სწრაფვა.

ქართული ლიტერატურა კი ამ მხრივ უჩვეულოდ მწირია. შეასაძლოა, პოეზიაში, ლირიკაში უფრო აისახა ზღვის თემა, მაგრამ აյ აქცენტი უფრო გრძნობიერებაზეა გადატანილი და ზღვის ფუნქციის გააზრებისათვის და მისდამი გარკვეული კულტურის განსაკუთრებული დამოკიდებულების წარმოჩენისათვის საკმარისი მასალა არ ჩანს, თუნდაც ნაწარმოების მოვლენათა პლანის, მოქმედების განვითარების თვალსაზრისით.

მხოლოდ მოგვიანებით, უკვე მოდერნისტულ პროზაში, გვხვდება რამდენიმე ნაწარმოები, რომლებიც შეიძლება ასე თუ ისე ჩაითვალის ზღვის მოდელის გააზრებისა და მხატვრულირეალიზაციის ნიმუშად. ლ. ქიაჩელის „თავადის ქალი მაია“ გვიჩვენებს ზღვას, როგორც დასასრულს, ბოლო ზღვარს, სიკვდილს. მასში ზღვამ შეითავსა მოდერნისტულ სისტემაში არსებული სიკვდილის ყველა ესთეტიკური ფუნქცია, მათ შორის უმთავრესი: სიმშვიდის მოპოვების, ტკივილისა და ტანჯვისგან გათავისუფლების საშუალება. ზღვა ადამიანის დინამიკიდან სტატიკაში გადასვლას უზრუნველყოფს. იგი ნთქავს დროს, მოვლენებს, სიცოცხლეს. მაია მიდის ლურჯ ზღვასთან, რომელიც ზმანებასავით ღრმა და უსზღვროა. „საღამოს მოახლოება — ლურჯი ქვიშა და ლურჯი ზღვა. ლურჯი ცა და ამავე ფერის ტყეები და მათ შორის დაკარგული ზღაპრების ლურჯი ზმანება“ (ქიაჩელი 1985: 259). თავადის ქალი მაია თანდათან უახლოვდება ზღვას, ე. ი. უახლოვდება სიკვდილს. იგი ზღვის ტალღებს სწირავს და მშვენიერ ნივთებს — მოგონებების ნივთიერ ხატებს. „ნივთები“ ბიოგრაფიულ დროს, ხსოვნას, გარდასულ მოვლენებს ინახავენ. მაიას თითოეული სამკაული მისი ცხოვრების ერთი თავია და ერთად მთელ სიცოცხლეს მოიცავს.

„აი, ეს ბეჭდები შემრჩა მხოლოდ და ეს სამაჯური! მათ თვალებში ჩემი ბედის ყველა საფეხურია ალბეჭდილი და სიცოცხლე და სიკვდილი იმდენი ვაჟკაცის, რამდენიც ხელზე ბეჭედი მაქვს და სამაჯური“ (ქიაჩელი 1985: 276).

მაია, რომელიც მიდის ზღვასთან, რათა მის ტალღებში პოვოს აღსასრული, სათიათოდ იხსნის ამ „ნივთებს“. ყოველ მათგანს თავისი ამბავი აქვს, მათ ირგვლივ განფენილია წარმოსახვითი ველი, რომელშიც მუდმივად არსებობს გარდასული მოვლენები და გრძნობები. თავადის ქალი მაია ნელ-ნელა ატანს ზღვას თავის სამკაულებს, თავის ხსოვნას, თავის ცოდვებს, სიყვარულს, სიძულვილს... მთელ სიცოცხლეს. ყოვლის გამწმენდ ზღვის წყალში დაინთქა „ნივთებში“ შენარჩული მთელი ცხოვრება და მხოლოდ ამის შემდეგ მიიღო ზღვამ და სიკვდილმა დაშრეტილი, სასომიხდილი ქალის სხეული.

ბოლო თავშესაფარმა — ზღვა-სიკვდილმა — შთანთქა ყოველივე: წარსული, აწმყო, მომავალი, დალლილი სხეული, გრძნობები. ზღვის ტალღებში ინთქმება დრო და სივრცე. — ჰო, ეს ზღვა დღეს რა რიგ მაშინებს, დაფა! მეჩვენება, თითქოს სიკვდილსაც ლურჯი ფერი აქვს, როგორც ზღვას და როგორც ზღვა ისე, დიდია, ისე ღრმაა სიკვდილი“ (ქიაჩელი 1985: 276). ჩანს, ლეო ქიაჩელის წარმოსახვაში ზღვა საბოლოოდ დამკვიდრდა, როგორც სიკვდილისა და ამავდროულად შვების ესთეტიკური სიმბოლური სახე. „ალმასგირ კიბუ-

ლანში” კიდევ უფრო ფერადოვანი სურათი იქმნება. ზღვის ლურჯ მრთრთოლავ სხეულს დაემატა მთვარის ვერცხლის დისკოს ათინათები. იმავდროულად მთვარე გააზრებულია როგორც ქალღმერთი დალი, რაც იდუმალების შეგრძნებას ბადებს და მისტიკურ ელ-ფერს ანიჭებს მოქმედებას. დალად გარდაქმნილი მთვარის თმებს თან მოჰყვება საოც-რება, რომელიც აერთებს მიწას და ზეცას და ეს არის ზღვა. „... თვალწინ გაუგებარი საკ-ვირველება გადაეშალა — ჰაერისა და წყლის უსაზღვროება ერთმანეთში არეულიყო და უსახეობას ქვეყნიერება ჩაენთქა, ეს იყო ზღვა ინგურის შესართავთან“ (ქიაჩელი 1985: 289). ამ სამყაროში თავისუფლად დასრიალებენ ჩრდილები, ზმანებანი და მოდის სიკვდი-ლი, როგორც შვება. აქ შეიძლება დავინახოთ მინიშნება ცნობიერების სიღრმეში არსებულ იმ მოდელზე, რომელიც ზღვას ცის მიწიერ ანარეკლად აღიქვამს და ამიტომ ანიჭებს მას სასუფევლის, განსასვენებლის ფუნქციას აქვე, მიწაზე. ეს შეიძლება რომელილაც წარ-მართული მოდელის ფარულად და გაუაზრებლად შემონახული ხსოვნაც იყოს, თუმცა რაიმეს მტკიცება ძნელია.

„ჰაკი აძპაში“ მოდერნისტული პროზის ტენდენციები უკვე საქმაოდ განეიტრალებუ-ლია და მხოლოდ შიგადაშიგ, მხატვრული ქსოვილის წმინდა ესთეტიკური დამუშავების დონეზე გამოკრთის. შესაბამისად, ბევრი მოვლენა აღარ არის ზედმიწევნით ესთეტიზე-ბული, მაგრამ ზღვის, როგორც ბოლო ნავსაყუდელის სიმბოლური სახე ინარჩუნებს თა-ვის მხატვრულ მიზანდასახულობას. ზღვიდან მოდის საფრთხე — გემი „შმიდტი“ (ახალი დროის „არგო“), ზღვა აირეკლავს მოახლოებულ ტრაგიკულ მოვლენებს. სტიქის მრის-ხანებაში ილანდება ადამიანთა სამყაროს მღელვარება. მაგრამ ის ამავე დროს სრული სიმშვიდის ერთადერთი აღმთქმელიცაა. მის წიაღში გადავა ყველა, ვისაც ახალი ეპოქა არ მისცემს არსებობის საშუალებას, ზღვა კი მიიღებს, როგორც მშობელი შვილს.

ასევე ზღვაში მიაქვს თარაშ ემხვარის სხეული ენგურს (კ. გამსახურდია, „მთვარის მოტაცება“). თარაშიც ასევე პოულობს უკანასკნელ ნავსაყუდელს მარადიული წყლების წიაღში. საგულისხმოა, რომ მოგვიანებით ო. ჭილაძე აქცევს განსაკუთრებულ ყურად-ღებას ზღვის მოდელს და „რკინის თეატრში“ იმეორებს მის ამგვარ ფუნქციას — ერად-ერთი ადგილი, დასასრული, სადაც შეიძლება სიმშვიდის მოპოვება, საბოლოო თავშესა-ფარი მისთვის, ვინც ცხოვრების ნაკადში ვეღარ ძლებს. ამის ნათელი მაგალითია მსახი-ობისა და ზღვის სურათი, როცა სიმშვიდის მოსაპოვებლად ადამიანი დროებით, მაგრამ ისევ ზღვას მიაშურებს და უფრო მეტად კი ნატოს საბოლოო შერწყმა ზღვასთან.

შეიძლება ითქვას, რომ მხოლოდ მოდერნისტული ტექსტები ძალიან მწირი მასალაა, თანაც შედარებით ახალი იმისთვის, რომ ცალკეული კულტურის მიერ ამა თუ იმ ფენო-მენის აღქმაზე ვიძისჯელოთ. თანაც თუ გავითვალისწინებთ სრულიად თანამედროვე მხატვრულ ინტერპრეტაციას აკა მორჩილაძის „Santa Esperansa“-ში, ნათლად ჩანს, რომ დროთა განმავლობაში, ზღვისადმი დამოკიდებულება შეიცვლება, ის არც ისე გაქვავე-ბულია და ერთხელაც იქნება ზღვა დაკარგავს თავის საბოლოო ნავსაყუდელის სტა-ტუსს, თუნდაც სხვა კულტურებისა და მხატვრული აზროვნების გავლენით. თუმცა მო-ცემულ მნირ მასალაზე დაყრდნობითაც შეიძლება გამოვთქვათ ვარაუდი, რომ მოცემულ ტექსტებში აისახა შორეული გამოხატილი იმ შეგრძნებისა თუ გარკვეული კომპლექსისა, რომელიც სხვა კულტურებისთვის ნიშნეული და საყოველთაოდ გავრცელებული დინა-მიურობის, გაფართოებისა და განვითარების საპირისპიროდ, ზღვაში ხედავს სტატიკურ საწყისს, აღიქვამს მას არა როგორც გზის დასაწყისს, არამედ დასასრულს, სიმშვიდეს და

არ აპირებს გადალახოს, გადაცუროს თავისი სულის ბოლო ნავსაყუდელი. რა მოუტანა ამგვარმა აღქმამ ქვეყანას სხვადასხვა, მხატვრული სისტემების თუ სრულიად არამხატვრული, მეტიც, პრაგმატული თვალსაზრისით, ესეც ცალკე განსჯას საჭიროებს. თუმცა ნათელია, რომ მოდერნისტულმა ტექსტებმა აშკარად ასახა გარევეული ფორმის მქონე მოდელი და შორსმიმავალი ფესვების მქონე ტენდენცია.

#### **დამოვარებანი:**

**ქაჩელი 1985:** ქაჩელი ლ. თხზულებანი ოთხ ტომად. ტ. II. თბ.: 1985.

**Inga Milorava**

### **Spatial Pattern of the Sea in Modernist Texts**

#### **Abstract**

**Key words:** Sea as a form of chronotope, modernism, L. Kiacheli, O. Chiladze

Spatial pattern of the sea as a form chronotope in literary work is very significant for numerous cultures. The cultures whether east or west have frequently utilized the sea in different epochs one might say since the origin of visible for us time line.

As to the Georgian artistic thinking, it is traditionally considered that the sea does not occupy an important space in the development of either actual or imagined planes or layers. At first glance it is really so: the earliest samples of the thousand-year writing do not give any vivid example of artistic thinking of the sea except *Vepkhistqaosani*. The trace for seeking aesthetic and symbolic functions is not found in comparatively later periods too. It is interesting to note that there has not been any seascape painter in Georgia. It is difficult to explain this phenomenon but the reason for this must definitely exist and it should be sought somewhere in the depths of the nation's consciousness.

How is the sea perceived by the representatives of those cultures who have “used” it in every possible way - both practically and aesthetically? For them the sea is something one is to fight with, surpass and overcome. The sea (ocean) is not a final boundary, the end but it is the beginning beyond which something new starts and the possibility for broadening of personality and nation is hidden.

In Georgian literature there can be found several works of modernist writing which in one way or another can be regarded as an example of artistic realization of the sea pattern. L.Kiacheli’s works *Princess Maya*, *Almazir Kibulan*, *Khaki Adzba* show the sea as an end, the final boundary, death. It becomes the means of obtaining the peace, release from pain and torture. The sea provides transition from man’s dynamics to mystics. It absorbs time, events, life.

Similarly, the Inguri River takes away Tarash Emkhvari’s body into the sea. It is noteworthy that later O.Chiladze pays special attention to the sea pattern. We can suppose that the given texts reflect that distant echo of the feeling which in contrast to the dynamics, expansion and development notable for other cultures and spread overall, sees in a sea static beginning, perceives it not as the beginning of the way but as an end, peace and is not going to overcome the last refuge of the soul.

## ქეთევან ბეზარაშვილი

### ადრეული ბიზანტიური პოეზია კლასიკური სალიტერატურული ფორმისა და ქრისტიანული შინაარსის ურთიერთმიმართების შესახებ

ცოდნისა და რწმენის ურთიერთმიმართება, ანტიკური/ნარმართული ლიტერატურული ფორმა და ქრისტიანული შინაარსი ბიზანტიური მწერლობის ერთ-ერთ წამყვან თემას წარმოადგენდა მთელი მისი არსებობის მანძილზე ადრე ქრისტიანული პერიოდის ისეთი ავტორებით დაწყებული, როგორებიც იყვნენ: კლემენტ ალექსანდრიელი, კაბადოკიელი მამები, ისიდორე პელუსიელი და სხვანი.<sup>\*</sup>

#### 1. სამეცნიერო კვლევები გრიგოლ ნაზიანზელის ადრეული ბიზანტიური პოეზიის შესახებ

გრიგოლ ღვთისმეტყველის ლექსში *In suos versus* (*Eis ta emmetra. PG 37, Carm. II, 1, 39*), რომელსაც თანამედროვე სამეცნიერო ლიტერატურაში *Ars poetica*-ად მოიხსენიებენ, ნარმოჩენილია პრობლემის თეორიული ანალიზი, პოეზიის შესახებ თეორიული წიაღსვლები კლასიკური პოეტიკის ლიტერატურული ფორმისა და ახალი შინაარსის — ქრისტიანული საღვთო აზრის საკითხებზე. ეს თეორიული ტრაქტატი არ გახლავთ, თუმცა კი ის ლიტერატურული თეორიის პრობლემებს ეხება (ფორმა და შინაარსი, მშვენიერების ცნება და ა.შ.), სწორედ ისე, როგორც ლუკრეციუსის *De Rerum natura* შეიცავდა პასაჟებს პოეტიკის პრობლემებთან დაკავშირებით იმავე პრობლემისადმი მიძღვნილი პორაციუსის *Ars Poetica*-ამდე 30-40 წლით ადრე.

ჩვენთვის ცნობილი ნაშრომები, რომლებიც ამ ლექსში თემების ანალიზს ეძღვნება, შემდეგ პრობლემებს განიხილავს: აღნიშნული ლექსის კლასიკური წყაროები და გრიგოლის სხვა ლექსები, უმთავრესად კალიმაქეს „ჰიმნი აპოლონისადმი“ და მისი ლექსი „მი-

\* H. A. WOLFSON, The Philosophy of the Church Fathers, I, Cambridge (Mas.), 1956. რწმენა განსჯას სრულყოფილებას ანიჭებს: გრიგორი ნაზიანზელის ხუთი თეოლოგიური სიტყვა. იხ. Fr. W. NORRIS-ის შესავალი და კომენტარები (*Vigiliae Christianae Suppl. 13*), Leiden, New York, 1991. E. NORDEN, Die antike Kunstsprosa vom VI Jahrhundert V.Chr. bis die Zeir der Renaissance, Bd.I, Bd.II, Leipzig, Berlin, 1918. H. HUNGER, On the Imitation (Μίμησις) of Antiquity in Byzantine Literature, in Dumbarton Oaks Papers, 23-24, Washington, 1969-1970, p. 17-38. H. HUNGER, Aspekte der griechischen Rhetorik von Gorgias bis zum Untergang von Byzanz, Wien, 1972. H. HUNGER, Die hochsprachliche profane Literatur der Byzantiner, Bd. I, Bd. II, München: Beck, 1978. H. HUNGER, The Classical Tradition in Byzantine Literature: the Importance of Rhetoric, in: Byzantium and the Classical Tradition, ed. M. MULLETT and R. SCOTT, University of Birmingham (13th Spring Symposium of Byzantine Studies, 1979), 1981, p. 35-47. R. J. JENKINS, The Hellenistic Origins of Byzantine Literature, in Dumbarton Oaks Papers, 17, 1963, p. 39-52 etc. ქ. ბეზარაშვილი, გრიგოლ ნაზიანზელის ერთი ჰიმნის ძველი ქართული თარგმნის ინტერპრეტაციისათვის. მაცწე, ენისა და ლიტერატურის სერია, 4, 1982, გვ. 68-79. ქ. ბეზარაშვილი, გრიგოლ ნაზიანზელის პოეზიის საზისმეტყველება, თსუ შრომება, 261 (ლიტერატურათმცოდნეობა), 1986, გვ. 121-142. ქ. ბეზარაშვილი, გრიგოლ ნაზიანზელის პოეზია ქართულ მწერლობაში. მაცწე, ელს, 3, 1986, გვ. 87-112. ქ. ბეზარაშვილი, ბიზანტიური ჰიმნოგრაფიული მემკვიდრეობიდან. თსუ შრომები, 269 (ლიტერატურათმცოდნეობა), 1987, გვ. 80-95. K. BEZARASHVILI, The Interrelation between the Classical Literary Form and Christian Contents Interpreted by Gregory the Theologian in his Poem "On his own Verses", in Motivi e forme della poesia cristiana Antica tra Scrittura e tradizione Classica. XXXVI Incontro di studiosi dell' anticità cristiana, Roma, 3-5 maggio, 2007 (Studia Ephemeridis Augustianum 108), Institutum Patrisiticum Augustinianum, Roma, 2008, p. 281-292. ქ. ბეზარაშვილი, ბიზანტიური და ძველი ქართული რიტორიკის თეორიისა და ლექსთნების საკითხები ანტიოქიური კოლოფონების მიხედვით: ეფრემ მცირე, თბ., 2011, ნ. I, ნ. II, ნ. III და სხვ. გვერდების საძიებლების მიხედვით.

ზეზები“, როგორც გრიგოლის პოეზიის წყარო;\* აგრეთვე ლუკრეციუსის *De rerum natura*\*\* ესთეტიკური, პოეტური ლიტერატურული ფორმისა და ფილოსოფიური იდეის განხილვით და ა.შ.

ს. მილოვანოვიჩ-ბარჟაში თავის სტატიაში გვთავაზობს მთელი ლექსის პირველ სრულყოფილ განხილვას და მის მნიშვნელობას ნარმოაჩენს პოეზიის პრობლემების შეხების კუთხით. მან გრიგოლის ორმაგი დამოკიდებულება გამოიკვეთა საკუთარი პოეტური მიზნებისადმი. გრიგოლს, ერთი მხრივ, სურდა, კლასიციზმირებული, მეცნიერული ქრისტიანული პოეზიის შექმნა, რომლის დანიშნულებაც აღზრდა და განათლება იყო, ხოლო, მეორე მხრივ, მას სურდა, ახალგაზრდა ქრისტიანთათვის გარკვეული ჯანსაღი გართობა, ანუ სიმღერები და ლექსები მიეწოდებინა, რომლებიც ნანილობრივ მაინც, აიღებდა სათავეს ბერძნული ხალხური მუსიკის სიმპოტიკური ტრადიციიდან. შესაბამისად, მკვლევარი პოემაში შემდეგ თემებს განიხილავს: აპოლოგიას, რელიგიურ დამოძღვრას იმ ახალგაზრდებისა რომლებსაც აკეთიათ მოთმინება, საღვთო ნერილის ინტერპრეტაციების თემებზე კონცენტრაცია მოახდინონ და ა.შ. მისი დასკვნით, გრიგოლი ერთადერთი ქრისტიანი ავტორი იყო, რომელმაც შეისმინა იმდროინდელი ლიტერატურული თეორია. ანტიკურ ლიტერატურულ კრიტიკაში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ბანალურს (ჰერმოგენე და სხვ.), რომელსაც გრიგოლი იყენებს, რათა პოეზია „ტკბილი“ და სამურა იყოს, განსაკუთრებით ახალგაზრდებისათვის. მკვლევარი ასევე ხაზს უსვამს გრიგოლის განსხვავებულ დამოკიდებულებას, მის სურვილს ბიბლიური დარიგება „დაუტკბოს“ მონაფეს, რათა ახალგაზრდები უფალთან დაახლოვოს სიამოვნებისა და სითბოს მინიჭების საშუალებით. ს. მილოვანოვიჩის აზრით, ლექსში ასევე შეინიშნება ძველი ლიტერატურული

\* A. CAMERON, Gregory of Nazianzus and Apollo, in: Journal of Theological Studies, 70, 1969, p. 240-241. A. KAMBYLIS, Gregory von Nazianz und Kallimachos, in: Hermes. Zeitschrift für klassische Philologie, 110, 1982, p. 120-122 (c. dogm. 1. cf. Apollohymnos). Q. CATAUDELLA, Il prologo degli Aetia (Αἰτία) e Gregorio Nazinazeno, in RFIC, N.S., 1928, p. 509-510. V. FRANGESKOU, Gregory Nazianze's Usage of the Homeric Simile, in HELLENIKA 36 (1985), p. 12-26. იხ. მათ შორის საფოს პოეზიის რეცეფცია გრიგოლ ნაზიანზელისათვის. Q. Cataudella, Saffo FG. 5(4) – 6(5) Diehl., in At. e Rome, s.III, 8, 1940, p. 199-201 (ქალების ლექსები: ნ. ტონია, საფოდან კასიამდე, ძველი სამყაროს პოეტი ქალები, თბ., 1990). იხ. უფრო ვრცლად რიტორიკული სქემის ბაძვა, კატალოგი, ძველების ლირაზე აღმატებული ახალი სიმღერა და სხვ. ნ. ტონია, საფოს პოეტური სამარო, თბ., 1991. იხ. С.С. АВЕРИНЦЕВ, Риторика как подход к обобщению действительности, Психика древнегреческой литературы, М., 1981, с. 22-33. S.A. MINNIS, A.B. SCOTT, D. WALLACE, Medieval Literary Theory and Criticism, c. 1100 – c. 1375, Oxford, 1988; C. MANGO, Discontinuity with the Classical Past in Byzantium, in: Byzantium and the Classical Tradition, ed. M. Mullett and R. Scott, University of Birmingham (13th Spring Symposium of Byzantine Studies, 1979), 1981, p. 48-57. ცხოვრების გზის არჩევის აღნერა, ადამიანური მოღვაწეობის სფეროს კატალოგზეაცია, ანუ რიტორიკული ჩამოთვლა ცნობილი რიტორიკული სქემა, კლასიკურ პერიოდში გამოყენებული (საფო, ჰორაციუსი და სხვ.). ანტითეზის მიზანია ერთი საგნის, მოვლენის სხვა საგნითან დაპირსპირება და მასზე აღმატება. ქრისტიანულ პოეზიაში (კერძოდ, გრიგოლ ლვთისმეტყველთან, რომლის შემოქმედება კლასიკურ ტრადიციებს ეფუძნებოდა) ეს იღებს ქრისტიანული ცხოვრების უპირატესობის აღიარების სახეს ამქვეყნიურ სიმდიდრესთან, ძალასთან, კეთილდღეობასთან შედარებით. ბუნებრივია, რომ საფოსა და გრიგოლის ლიტერატურული მოღვაწეობა ანტიკური და ბიზანტიური რიტორიკული ხრების გამოყენების თვალსაზრისით მნიშვნელოვანია შოთა რუსთაველისა და დავით გურამიშვილის ქრისტიანული მსოფლმხედველობის შესასწავლად. იხ. უფრო ვრცლად ქ. ბეზარაშვილი, ბიზანტიური და ძველი ქართული რიტორიკა..., 2011, I, გვ. 214-215; ნ. II, გვ. 146. ქ. ბეზარაშვილი, „სავალა მოსნავლეთას“ პრობლემატიკა, როგორც „დავითიანის“ ორგანული ნაწილი. დ. გურამიშვილი — 300. სამეცნიერო შრომების კრებული, თბ., 2005, გვ. 13-31. გვ. 25-27. ქ. ბეზარაშვილი, ამაღლებულისა და განსაცვიფრებლის ცნებები და პოეზიის მარადქალური ბუნება (საფო და ანა), — ლიტერატურული ძიებანი, XXXII, თბ., 2011, გვ. 101-113. (იხ. Carm. II, 1, 87, v. 1-12; Carm. I, 2, 10, v. 456-457) და სხვ.

\*\* K. BEZARASHVILI, Significance of Gregory the Theologian's Works for the Georgian Literary Tradition, Le Muséon, t.118, 2005, p. 292. S.A. REBILARD, Christianizing Classical Poetry: Gregory of Nazianzus' *Ars Poetica*, 2005.

თეორიის ალუზია, მაგ., ლიტერატურული ფიქციის (მითი, იგავი და ა.შ.) ნაცვლად, პოეტს სურს, ჭეშმარიტებას ეხებოდეს. აღნიშნული ლექსი წარმოადგენს ერთგარ მცდელობას ქრისტიანული განათლებისა და გართობის, სიამოვნების სათანადო ფორმების განსაზღვრისა მე-4 საუკუნეში.\*

უკანასკნელი პერიოდის ორი საფუძვლიანი შრომა, რომლებიც გრიგოლის მიერ პოეზიის შესახებ დაწერილ ლექსს ეძღვნება, ეკუთვნის სუზან აბრამს რებილარდს. პირველ სტატიაში, რომლის სათაურია „ახალი კალიმაქე: გრიგოლ ნაზიანზელის გედის სიმღერა“ (2001), იგი ხსნის ქრისტიანი პოეტის ახალ იდეებს, რომლებიც ელინისტური ეპოქის პოეტისაგან მემკვიდრეობით გადმოტანილი სახეებითაა გადმოცემული, მაგ., პოეზიის ღმერთის პაოლონისა და ოდებისა და ლირაზე შესასრულებელი სიმღების ნაცვლად ქრისტიან პოეტს საკუთარი მხატვრული სახეები შემოქვეს. მეცნიერის აზრით, გრიგოლი თავად გახლდათ ახალი კალიმაქე, რომელიც პოეზიის ძალას ასხამდა ხოტბას. იგი არის გედი, რომელიც ქრისტიან ღმერთს უმდერის მთელი თავისი განსწავლულობით; იგი ქმნის პოეზიას, რომელიც ლიტერატურული მონაპოვარია; მისი პოეზია წარმართულ მნერლობას აღემატება იმით, რომ სასარგებლო სიამოვნების განცდის მინიჭებით ყრმათა გულის მოგებას და საბოლოოდ ღმერთან მათ ზიარებას ისახავს მიზნად“. მეცნიერის ყურადღებას იპყრობს აღნიშნული ლექსის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრობლემა: გრიგოლი კარგ პოეზიას სწორ მოძღვრებასთან აიგვებს, რითაც პოეტიკა (პოეტიცს) ესთეტიკას სფეროდან თეოლოგიაში გადააქვს.\*\*

ნაშრომში, რომლის სათაურიცაა „კლასიკური პოეზიის გაქრისტიანება: გრიგოლ ნაზიანზელის *Ars Poetica*“ (2005), ს.ა. რებილარდი აანალიზებს გრიგოლ ღვთისმეტყველის ეპოქის ლიტერატურულ-პოეტურ ფონს (გრიგოლის პოეზია იმ ეპოქისათვის უნიკალური იყო როგორც ფორმის, ისე შინაარსის თვალსაზრისით). მკვლევარი ასკენის, რომ კლასიკური სტილის ლიტერატურული პოეზია კერძო ქრისტიანულ ლიტერატურულ მიმდინარეობად კი არ გარდაიქმნა, არამედ კელავინდებურად ასრულებდა განათლებულ პირთა შორის ინტელექტუალური ურთიერთობის როლს. მკვლევარი ლექსის შეთხზვის მიზეზს ივლიანე განდგომილის შემდეგ, მაქსიმუს ცინიკის წინააღმდეგ მიმართული რეაქციით ხსნის და მისი ლექსის რიტორიკულ სახეებს მაქსიმუსის მისამართით დაწერილ გრიგოლის სხვა ლექსის (carm. II, 1, 41) სახეებს ადარებს; მკვლევარი გრიგოლის მიერ დასახელებული ლექსის დაწერის ოთხი მიზეზის ინტერპრეტაციას გვთავაზობს: „მოზომილი სიტყვები“, როგორც პოეტური მეტრი და თავშეეკავება ქრისტიანული გაებით; პოეზია როგორც ასკეტობა; პოეზიის ლიტერატურული ფორმა, როგორც კითხვის სიამოვნება, „ყველა სიტყვის განგდება, მხოლოდ ღვთით ჩაგონებულის დატოვება“, ანუ იმისა, რაც საღვთო წერილს უკავშირდება (Resp. 590b).\*\*\*

\* Č. MILOVANOVIĆ-BARHAM, Gregory of Nazianzus: *Ars Poetica* (In suos versus: Carm. II, 1, 39), in: *Journal of Early Christian Studies*, 5. 4, 1997, p. 497-510. ორმაგი დამოკიდებულებისათვის იხ. აგრეთვე ქ. ბეზარაშვილი, ბიზანტიური და ძველი ქრისტული რიტორიკა..., წიგნ. I, II, III გვერდების საძიებლები; ბ) რიტორიკული ცნებების მიხ. ქ. ბეზარაშვილი, რიტორიკისა და თარგმანის თეორია და პრაქტიკა გრიგოლ ღმრთისმეტყველის თხზულებათა ქართული თარგმანების მიხედვით, თბ., 2004, გვ. 588-598 და სხვ.

\*\* S.A. REBILARD, A New Callimachus: The Swan Song of Gregory of Nazianzus (წარმოდგენილი ამერიკელ ფილოლოგთა ასოციაციის ყოველწლიურ შეხვედრაზე), სან დიეგო, კალიფორნია, 2001/ San Diego, CA, January, 2001).

\*\*\* S.A. REBILARD, Christianizing Classical Poetry: Gregory of Nazianzus' *Ars Poetica* (presented April 27, 2005 at Temple University, Philadelphia, PA). ქ. ბეზარაშვილი, ბიზანტიური მნერლობის მცირე ქრესტომათა, (პატრისტიკული კვლევა საქართველოში, ტ. II თ. დოლიდის და მ. მჭედლიძის მიხ.), ლოგოსი, თბ., 2012, გვ. 32-37.

საგულისხმოა, რომ ხელოვნებაში ჭეშმარიტი მშვენიერების ცნება (რომელიც გულისხმობს კარგის და არა ფუჭი სიამოვნების მიღებას) უკავშირდება მამუნისა და ლომის პლატონურ სახეს (Resp. 590b). ერთობ საინტერესოა ქრისტიანული პოეზიის ს.ა. რებილარდისეული კლასიფიკაცია — „ლიტერატურული“ პოეზია „ლიტურგიკული“ ანუ „ლვთისმოსავი“ პოეზიის საპირნონედ. მკვლევარი ყურადღებას ამახვილებს ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრობლემაზე, რომელიც ლექსში მოხსენიებულია როგორც ტრადიციის შეწევის მიზნით მიმსგავსებული ლიტერატურული ფორმისა და ახალი შინაარსის „კეთილშობილი ნაზავი“.\*

კ. დემონის ნაშრომებმა გრიგოლის ლექსების ანტიკური/წარმართული და ბიბლიური სახეების, აგრეთვე კლასიკური ტრადიციებისადმი გრიგოლის დამოკიდებულების შესახებ, რომლებსაც ის განიხილავს, როგორც ლექსის, რიტორიკული ფორმის სამართლიანობის დაცვას თეოლოგიური თემებისათვის\*\* (მსგავს პრობლემასთან დაკავშირებით სხვა მკვლევართა კვლევებთან ერთად), ბიძგი მოგვცა ამ მიმართულებით გვემუშავა და ეს პრობლება შეგვესწავლა გრიგოლ ლვთისმეტყველის ნაწარმოებების ქართულ თარგმანებში. ჩვენს ნაშრომში წარმოვაჩინო ქრისტიანი ავტორების ტრადიციულ გაორებულ დამოკიდებულებას კლასიკური ლიტერატურული ფორმებისადმი. ეს არის, ერთი მხევ, მათი კრიტიკა, ხოლო, მეორე მხრივ, მათი გამოყენება საშუალებების სახით; მაგრამ ის ასევე კლასიკური სამყაროს დამოკიდებულებიდან გამოსასვლელ გზას სახავს და მას „გარეშე“ სიბრძნისადმი ნეიტრალურ დამოკიდებულებად განავითარებს ქრისტიანული იდეების სამსახურში.\*\*\* უაღრესად მნიშვნელოვანია, რომ „გარეშე“ სიბრძნისადმი დამოკიდებულება სათავეს იღებს თავად წმ. გრიგოლის შრომებიდან, რაც თეორიულად ვლინდება მის ლექსში „საკუთარი პოეზიის შესახებ“.

გრიგოლის ლექსის შეთხვის ოთხი მიზეზი კლასიკური მეტრისა და სხვა კლასიკური სალიტერატურო ფორმების გამოყენებით, რომლებსაც გრიგოლი თავის ლექსში ახსენებს და რომელიც მრავალგზის გამხდარა მეცნიერთა განხილვის საგანი, შემდეგია:

1) ახალი იდეების მეტრში „გამოძერნვა“ (ეს ნიშავს, რომ ეს ხერხი მკითხველისათვის უკვე წაცნობი იყო, როგორც განათლების სასკოლო ნორმა, რადგან ლექსში ნახსენები არიან მკითხველები, რომლებსაც უყვართ ლიტერატურა — Gr. Naz. PG 37, carm. II, 1, 39,

\* S.A. REBILARD, Christianizing Classical Poetry: Gregory of Nazianzus' *Ars Poetica* (წარმოდგენილი 2005 წ. 27 აპრილს ტემპელის უნივერსიტეტში, ფილადელფია, პენსილვანიის შტატი). იხ. აგრეთვე პლატონის, პორაციუსის მიხ., იხ. წ. I, 122-154; II, 140; III და სხვ. ა) პირთა და ნაწარმოებთა საძიებელი; აგრეთვე ლომბადების წეს. II, 196-208; ი. დამასკ. და ეფრემ მცირის კოლონონების მიხ. იხ. ქ. ბეზარაშვილი, რიტორიკისა და თარგმნის თეორია და პრაქტიკა, გვ. 188-196; ქ. ბეზარაშვილი, ბიზანტიური და ძველი ქართული რიტორიკა..., წ. II, გვ. 143; წ. I, III და სხვ. საძიებლები ბ) რიტორიკული ცნებების მიხ. იხ. ვრცლად მშვენიერების ცნება ბიზანტიულებისა და ეფრემ მცირის მიხ. ქ. ბეზარაშვილი, რიტორიკისა და თარგმანის თეორია და პრაქტიკა, გვ. 546-562; მნარე და ტებილი ქრისტიანული იდეების სამსახურში იხ. ქ. ბეზარაშვილი, ალეგორიულობისა და აფორისტულობისათვის ბიზანტიურ ჰატრისტიკაში და რუსთაველთან. ლიტერატურული ძიებანი, XXII, 2001, გვ. 161-172 და სხვ.

\*\* K. DEMOEN, Pagan and Biblical Exempla in Gregory Nazianzen. A study in Rhetoric and Hermeneutics [Corpus Christianorum; Lingua Patrum II], Turnholti, 1996. K. DEMOEN, The Attitude towards Greek Poetry in the Verse of Gregory Nazianzen, in: Early Christian Poetry. A Collection of Essays edited by J. den Boeft and A. Hilhorst, Leiden, New York Koln, 1993, p. 235-252.

\*\*\* ქ. ბეზარაშვილი, „რიტორიკისა და თარგმანისა თეორია და პრაქტიკა“; ქ. ბეზარაშვილი, „ბიზანტიური და ძველი ქართულ რიტორიკა“..., წ. I, II, III, გვერდების საძიებლები. M. MATCHAVARIAN, The Classical Rhetoric in Old Georgian Translations (Based on David Tbeli's Translations of Gregory of Nazianzus' Works), in: Phasis, 2-3, Tbilisi, 2000, p. 275-279. მ. მაჭავარიანი, დიმიტრი თესალონიკელის შესხმა ქართულ მნერლობაში, მაცნე, ელს, 2004-2005, გვ. 165-176.

v. 38); ეს რაოდენობრივი სტროფები ზომის გარეშე არსებული სიტყვების, ანუ არარაოდენობრივი ახალი ტიპის სტროფების ნაცვლადაა (vv. 2, 35);

2) ახალგაზრდა თაობისათვის ჭეშმარიტი ცოდნის, ანუ ღვთიური სიბრძნის, მიღწევის გაადვილება; მნარე მცნებების გაგება ტკბილი პოეტური ფორმის დახმარებით სასიამოვნო ნამლის მსგავსად (შესადარებლად აქ გამოიყენება კლასიკურ მნერლობაში ხშირად ხმარებული მნარე ნამლის თაფლით დატკბობის სახე — Carm. II, 1, 39, vv. 37-45; 90); სტროფების ეს ახალი სახები უნდა გამოიყენებოდეს ნარმართული სიმღერებისა და ლირაზე დაკვრის სანაცვლოდ;

3) ბერძნების დაჯაბნა იმავე სალიტერატურო საშუალებებით, რომლებსაც ისინი იყენებენ რიტორიკასა და პოეზიაში სიტყვების მოსართავად (ე.ი. არ დაუშვან, რომ უცხოელებს/ნარმართებს ლიტერატურაში უპირატესობა ჰქონდეთ ქრისტიანებზე; მათი დამარცხება მათივე იარაღით), თუმცა მშვენიერება ქრისტიანთათვის ჭვრეტაშია (Carm. II, 1, 39, vv. 49-50);

4) ბებერი გედის გამოსამშვიდობებელი სიმღერა (Carm. II, 1, 39, v. 55).

თანამედროვე სამეცნიერო ლიტერატურაში მიიჩნევა, რომ ქრისტიანული პოეზიის კლასიკური სალიტერატურო ფორმით შექმნის მთავარ მიზეზს მესამე მიზეზი ნარმოადგენს, რადგან წარმართ პოეტებთან პაექროპაში ის იმხანად საუკეთესოდ ითვლებოდა (ისევე როგორც ლიტერატურული აზროვნების ყველა პერიოდში).<sup>\*</sup> მის სტილის თვისებების გამოვლენით, რომელსაც გრიგოლი იდეალურად მიიჩნევდა, ნიშნავს: ლაკონიურობას, მკაფიოობას და სილამაზეს (suntomia, saf hmeia, cari — Ep. 51. PG 37, 105B). სათანადო ფორმის, გამოხატვისას სწორი სტილის, მიღლებული მეტრიკის გამოყენებით, გრიგოლმა შეძლო თავის თავსა და მის აუდიტორიას თუ მკითხველს შორის გარკვეული დისტანცია შეენარჩუნებინა; მეორე მხრივ, მან მნიშვნელოვანი პრეტენზია გამოთქვა, ბერძნული ლიტერატურის განვითარებაში უწყვეტი ტრადიციის განუყოფელი ნაწილი გამხდარიყო. ეს სურვილი ნათლად გამოჭვივის მის მიერ დიდაქტიკური ლექსის დაწერის განზრახვაში. როდესაც კლასიკური ზომის ნექსებს იცავს, გრიგოლმა იცის, თუ რა გზით განვითარდა ლექსი და თავადაც ცხადად არის ამ განვითარების ნაწილი. მას სურდა, ამ დიად ტრადიციაში შეეღწია და ეჩვენებინა, თუ როგორ შეიძლებოდა, რომ ქრისტიან მნერალს არა უბრალოდ მიებაძა შესაბამისი ტრადიციებისათვის, არამედ შეექმნა რაღაც ისეთი, რაც დამოუკიდებლად იარსებებდა. ყოველივე ეს გრიგოლს ანტიკური მნერლობის ჭეშმარიტ მცოდნენ ნარმოაჩენს.<sup>\*\*</sup>

როგორც ვხედავთ, აღნიშნულ კვლევათა უმეტესობა გრიგოლის მიერ ქრისტიანულ პოეზიაში ძველი ლიტერატურული ფორმით ახალი შინაარსის დამკვიდრებაზე საუბრობს, როგორც სიახლეზე. რაც შეეხება ზემოხსენებულ შრომებს (მათ შორის ჩემს სტატიის), ვცდილობ, პოეზიის შესახებ გრიგოლის ლექსი განვმარტო ფორმისა და შინაარსის პრობლემის თეორიული შეფასების ფონზე, რომელსაც მიქაელ ფსელოსი ეხება გრიგოლ დათისმეტყველის ნაწარმოებების სტილთან დაკავშირებით თავის ტრაქტატებში (როდესაც ის მის აზრებს კლასიკურ რიტორიკულ თეორიებს ადარებს). ფსელოსის ტრაქტატები ბიზანტიური რიტორიკული თეორიის ახატენდენციებს ნარმოაჩენს ტრადიციული ცნებების ინტერპრეტაციის საფუძველზე.

\* B. Wyss, Gregor von Nazianz. Ein griechisch-christlicher Dichter des 4. Jahrhunderts, in: Museum Helveticum, 6, 1949, p. 177-179.

\*\* D.A. Sykes, Gregory Nazianzen as Didactic Poet, Studia Patristica-ში, 16, 1985, p. 433-437. ქ. ბეზარაშვილი, ბიზანტიური მნერლობის მცირე ქრესტომათია, გვ. 11, 70 და სხვ.

მიქაელ ფსელოსი არ ახსენებს გრიგოლის პოეზიას, ის, ძირითადად, მისი პომილი-ების სტილს განიხილავს, მაგრამ კლასიკური ფორმისა და ქრისტიანული შინაარსის იდეა, საზოგადოდ, იგივეა გრიგოლის ყველა ნაწარმოებში. ასე რომ, აქ, შესაძლოა, მივიღოთ ის დასკვნები, რომლებიც გამოვლინდა ტრაქტატების რიტორიკის ბიზანტიური თეორიის კუთხით შესწავლის დროს. ცხადი ხდება, რომ ბიზანტიურ თეორიაში ქრისტიანი ავტორების მიერ დიდი ხნის წინ მეტყველებულ ტრადიციულ ცნებებთან ერთად კლასიკური რიტორიკული თეორიების კონცეპტების ახალი ასპექტებიც შევიდა. ეს არის სტილის დონეთა, მიმესისის (ბაძვის), მშვენიერებისა და ა. შ. შესახებ არსებული კონცეპტების ორი ასპექტი.\*

აქ ურიგო არ იქნებოდა ზ. პოკროვსკაიას სტატიის მოყვანა როგორც პარალელური შრომისა, რომელიც ანალიზის იმავე მეთოდს იყენებს. ზ. პოკროვსკაია ლუკრეციუსის თეორიულ იდეებს იკვლევდა *De rerum natura*-ს პასაუების მაგალითზე ანტიკურობის, უმთავრესად ჰორაციუსის, პოეტური თეორიების მიხედვით.\*\* ასევე ვითვალისწინებ ი. ლიუბარსეის ნაშრომს, რომელიც ფსელოსის მხატვრულ სახეებს სწავლობდა, ძირითადად, გრიგოლ ლვილისმეტყველის რიტორიკული ნაწარმოებების საფუძველზე.\*\*\* იგივე შეიძლება ითქვას მიქაელ ფსელოსის მეთოდებსა და რიტორიკული თეორიის მხატვრულ სახეებზე ელინისტური პერიოდის ავტორებზე დაყრდნობით (დორისუ ჰალიკარნასელი და სხვები), ისევე როგორც იმ კონცეპტებზე, რომლებიც გრიგოლ ლვილისმეტყველს მოჰყავს თავის ნაშრომებში.

## 2. „ახალი სტილის“ შესახებ გრიგოლ ლვილისმეტყველის პოეზიაში

გრიგოლის მიერ ნახსენებ თემებთან დაკავშირებით შეიძლება დავასკვნათ, რომ თავის ლექსში იგი ეხება რიტორიკული თეორიების (როგორც კლასიკური, ისე ბიზანტიური) თანაფარდ პრობლემებს. გთავაზობთ ამ კონცეპტების ანალიზს:

1) ნარმართული სალიტერატურო ფორმისა და ქრისტიანული შინაარსის თანაარსებობაზე მითითება, როგორც რიტორიკის „განსხვავებულ“ / სხვა (all h) სალიტერატურო გზაზე (logo): all hn tw̄ logwn oflōn. Gr. Naz. PG 37, carm. II, 1, 39, vv. 22; 64), (საკუთარი გულისნადების, სულიერი გამოცდილების ლექსად თქმა), ახალი თემაა, რომელიც გრიგოლის *Ars Poetica*-ში გაუღირდა. იგი განსხვავდება წინარე კლასიკური თემებისაგან. თავად

\* A. MAYER, Psellos' Rede über den rhetorischen Character des Gregorios von Nazianz, \_ Byzantinische Zeitschrift, 20, 1911, S. 27-100. MICHAEL PSELLOS, Characteres Gregorii Theologi, Basilii Magni, S. Joannis Chizostomi et Gregorii Nyseni). PG 122, col. 901-908. ქ. ბეზარაშვილი, „მიქაელ ფსელოსის ეპისტოლებული ტრაქტატი სალვონის მეტყველობის სტილის შესახებ (გამოკვლეული, თარგმნი, კომენტატორები), ბაზანტიური მწერლობის ქრესტომათია III, თბ., 1996, გვ. 108-156. ქ. ბეზარაშვილი, „მიქაელ ფსელოსის ტრაქტატი წმ. მამათა სტილის შესახებ“ (წინასიტყვაობა, თარგმანი, კომენტატორები), „გზა სამეუფო“ 1/4), 1996, გვ. 70-92. BEZARASHVILI K., Michael Psellos: The Interpreter of the Style of Gregory the Theologian and the New Aspects of the Concepts of Rhetorical Theories, in: *Studia Patristica*, vols. XLIV-XLIX (vol. XLVIII; XVI. Greek Writers), Peeters, Leuven-Paris-Walpole, MA, 2010, p. 233-240. ქ. ბეზარაშვილი, ეფრემ მცირის შეხედულებიდან: ბაძვის ტრადიციული კლასიკური ცნება ეფრემ მცირესთან და ბიზანტიური რიტორიკის თეორიაში, — მაცნე, ელს, 104, 1997, გვ. 138-161; ქ. ბეზარაშვილი, ბაძვის ცნების ახალი, ქრისტიანული ასპექტი ეფრემ მცირესთან და ბიზანტიური რიტორიკის თეორიაში, მაცნე, 1-4, 1998, გვ. 89-128; ქ. ბეზარაშვილი, მშვენიერების ცნების გაგებისათვის ბიზანტიურ ესტეტიკაში და ეფრემ მცირესთან, — „სჯანი“ (ყოველწლიური ლიტერატურულ-თეორიული სამეცნიერო კრებული), III, თბ., 2002, გვ. 74-90; IV, 2003, გვ. 58-78. ქ. ბეზარაშვილი, „რიტორიკისა და თარგმანის თეორია და პრაქტიკა“, 2004, გვ. 159, 198; 530-587.

\*\* 3. Покровская. Лукреций о поэтическом искусстве. Проблемы античной культуры. Тбилиси, 1975, с. 163-173.

\*\*\* Н. Я. Любарский. Михаил Псевл и Григорий Назианзие. „ბიზანტიური სტუდიები“, თბილისი, 1978, с. 93-98.

გრიგოლიც მას „უფრო კეთილშობილ ნაზავს“ უწოდებს (mīki eūgenetera - v. 93). საუკეთესო წარმართული ფორმისა და მაღალი ქრისტიანული შინაარსის გაერთიანების პრობლემა მიქაელ ფსელოსის ტრაქტატშიც განიხილება, სადაც იგი მას „ახალ“ „უჩვეულო“ kainh) იდეას უქოდებს: kainon tout jaḥ eiḥ tō; nohma (Psellos, Ad Pothum, A. Mayer ed., c. 2<sub>32</sub>), რომელიც წამყვანი თემა გახდა გრიგოლის ნაშრომებში.\*

კლასიკური სალიტერატურო ფორმისა და ქრისტიანული შინაარსის თანაარსებობა შეესაბამება სტილის ცნების ახალ ასპექტს, რომელიც ამ ცნების კლასიკური ასპექტისაგან განსხვავდება და რომელსაც ფსელოსი რიტორიკულისა და „თეოლოგიურის“ (qeologikos carakthr) კომბინაციას უწოდებს. მიქაელ ფსელოსის მიხედვით, სტილის ამ ორი ნორმის ერთობის თანაარსებობა — ბუნებრივი სიდიადის, უბრალო მშვენიერებისა და გრიგოლ ღვთისმეტყველისათვის დამახასიათებელი მაღალი სტილისა (άπανταχοῦ მეγαληγορία კაὶ δ τοῦ λόγου ὅγκος კაὶ τὸ φυσικὸν μέγεθος კაὶ τὸ ἀνεπιτήδευτον κάλλος ... ὁ τοιοῦτος χαρακτὴρ ἀπαθῆς კაὶ ἀσχεμάτιστος πέφικε. Psellos, Ad Pothum, Mayer ed., c. 20<sub>377-383</sub>) - უჩვეულო შედეგით დამთავრდა: „ნმ. მამამ გაუერთიანებელი გააერთიანა“ (ό δὲ γε πατὴρ εἰς ταῦτα τὰ ἀσύγκλωστα θέμενος - c. 20<sub>382-383</sub>). გაუერთიანებლის გაერთიანების დუალობა რიტორიკისა და თეოლოგიის, კლასიკურისა და ქრისტიანულის ერთიანობას ნიშნავს. აქ ის ტექნიკის გარეშე არსებულ რიტორიკას გულისხმობს (ρήτορικόν ἔστιν ἀτεχνῶ - c. 13<sub>233-234</sub>). გრიგოლ ღვთისმეტყველის სტილის ხიბლი მის ბუნებრივ ქრისტიანულ უბრალოებაშია, რომელიც საამოდ გადადის მჭერმეტყველებაში, ანუ იმავდროულად ბუნებრივიცაა (κατὰ φύσιν) და მჭერმეტყველურიც (სიტყვასიტყვით: მომხიბლელად გასაგები და ტკბილი: კალირემიონეს्टერი კაὶ γλυκύτερον. c. 12<sub>215-216</sub>).

აღნიშნული ერთობა გრიგოლ ღვთისმეტყველის ნაწარმოებების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ნიშან-თვისებაა. გრიგოლ ღვთისმეტყველის, ამ ახალი თეოლოგიური სტილის დამარსებლის, ნაშრომებისათვის დამახასიათებელი ეს თავისებურება მიქაელ ფსელოსის მიერ ნორმად და მოდელადა მიჩნეული.\*\*

აღსანიშნავია, რომ ახალი და განსხვავებული გზის თემა კლასიკურ ლიტერატურაში უკვე იყო ნახსენები (კალიმაქე: pidiako kaqarh̄i-აპოლ. ჰიმნი და ა. შ.), მაგრამ ლუკრეციუსი ახალ გზაში (avia Pieridum loca nullis ante trita solo - I, 926) სტროფთა ერთობასა და ფილოსოფიის ახალ სწავლებას გულისხმობდა (ეპიკურეს სწავლებას). ახალი მის მიერ გაგებულია, როგორც წინააღმდეგობათა გაერთიანება (III, 151).\*\*\*

2) ამ ლექსში გრიგოლ ღვთისმეტყველი ხსენებულ ურთიერთმიმართებას ხელოვნების საშუალებებით მცნებათა „სიმწრის დატებობას“ უწოდებს (τεκνή glukazwn to; pikron tw̄n ejnt ol w̄n — „მცნებათა სიმკაცრის მოხერხებულად დატებობა“. carm. I, 2, 39, v. 41. ახალგაზრდა თაობისათვის სათნოებისაკენ მიმავალი გზის საჩვენებლად (ვვ. 37-43). ქვემოთ იგი იმეორებს: „მაინც რა არის საზიანო ყრმათათვის (τοις πεντις) იმაში, რომ ისინი

\* ქ. ბეზარაშვილი, „რიტორიკისა და თარგმანის თეორია და პრაქტიკა“ (იხ. საძიებლების გვერდები მიქაელ ფსელოსის მიხ.). ქ. ბეზარაშვილი, „ბიზანტიური და ძველი ქართულ რიტორიკა“, ..., ნ. II, 152, 154.

\*\* მიქაელ ფსელოსი საბოლოოდ, იმავე გაგებით, გრიგოლის ღვთიური სიტყვის გარეგან რიტორიკულ ორნამენტებს ადარებს სახარებისეულ მარგალიტის მოვარაყებას ოქროთი და ძვირფასი ქვებით (მათე. 13, 45-46) (Psellos, Ad Pothum, Mayer ed., c. 585-90). ფსელოსი გულისხმობს მისტიური ჭვრეტის მშვენიერებისა და სიბრძნის გამოხატვას რიტორიკული ორნამენტებით. იხ. ქ. ბეზარაშვილი, ბიზანტიური და ძველი ქართული რიტორიკის თეორია ..., ნ. I, გვ. 38, 43, 148; 117; ნ. II, გვ. 153-157 და მრავალი სხვ. საძიებელების მიხ. ქ. ბეზარაშვილი, რიტორიკისა და თარგმანის თეორია და პრაქტიკა, გვ. 260 და სხვ.

\*\*\* 3. Покровская. Лукреций о поэтическом искусстве. с. 163-173. ლუკრეციუსის მიხ. იხ. ქ. ბეზარაშვილი, ბიზანტიური და ძველი ქართული რიტორიკა..., ნ. I, გვ. 55, 110.

ლირსეულ სიამოვნებას განიცდიდნენ (di j hlonh» semnh») ღმერთთან ზიარების გზაზე?“ (pro) Qeou' koinwnian v. 91).

ამ ფრაზის წყარო კლასიკურ მნერლობაშია. გრიგოლი ლუკრეციუსისა და სხვა ავტორების ნაწარმოებებიდან დატებობის ნაცნობ ტროპს მიმართავს (რადგან ნამლის დალევა უფრო ადვილა, თუ მას თაფლით დავატკბობთ). De rerum natura-ში ლუკრეციუსის განზრახვაა ფილოსოფიის სიმწრის დატებობა მოზრდილ ყრმათათვის (I, 936–943).

რიტორიკა და ფილოსოფია, რომლებსაც კლასიკურ ლიტერატურაში ხანდახან ერთ მთიანობად განიხილავენ (იხ. პლატონის ჭეშმარიტი რიტორიკა, როგორც ფილოსოფიური რიტორიკა — *Gorg.* 517a; *Phaedr.* 261a და ა.შ.), ქრისტიანობაში უფრო ფართო გაგებით თეოლოგიისა და რიტორიკის ერთიანობად იქცევა — ჭეშმარიტ თეოლოგიურ რიტორიკად.\* შუასაუკუნეებში თეოლოგიის უპირატეს მდგრადი მართვის მიზანი პოქის ფილოსოფიის მაღალი/დიადი და აბსოლუტური ლირებულება ჩაანაცვლა. ის, რასაც პლატონი ამბობდა და ფილოსოფიის მიმართების შესახებ ლიტერატურასა და ხელოვნებასთან, შუა საუკუნეებში თეოლოგიის „გარეშე“, ანუ საერო (ἐξωθεν) სიბრძნესთან მიმართებად იქცა.\*\* „გარეშე სიბრძნედ“ იწოდებოდა, ზოგადად, კლასიკური, წარმართული ლიტერატურა, ისევე როგორც წარმართული ფილოსოფია კონკრეტულად, რომელიც შუა საუკუნეებში თეოლოგიის მსახურად იქცა *ancilla theologiae*).\*\*\*

სიტყვამ სასიამოვნოს ცნებაა — ესთეტიკური სიამოვნება და კარგი ლიტერატურული ფორმა, რომელიც კლასიკურ რიტორიკულ თეორიებში ფართოდ გავრცელებული ტერ-მინებით (*gl* ukuš, *hlus*) გამოიხატება.\*\*\*

ტკბილისა და მნარის ანტიოქეზა გრიგოლის საყვარელი პარადიგმაა. საერო ლიტერატურული ფორმისა და ქრისტიანული შინაარსის იმავე გაგებით იგი მას თავის ჰომილიებშიც იყენებს, ხან საწინააღმდეგო შენაცვლებით — მნარეს, როგორც საეროს, ხოლო ტკბილს, როგორც ლეიტურგს (Or. 36, c. 4 და ა. შ.).

გრიგოლი განმარტავს, რომ ეს პოეზია ტყბილი ფორმით იმ ყრმათათვისაა, ვისთვისაც ლიტერატურა საამურია (*toi nevi*, kai; twin o θ |oi mai ista cairousi logoi) – Carm. II, 1, 39, vv. 37-40). საამურს გრიგოლი აქ, შესაძლოა, სულიერად უმნიფართა პოეზიითა და ხელოვნებით გართობის პლატონისეული გაგებით ხმარობდეს. ამიტომაც, ჩემი აზრით, გრიგოლი *paizein*, *paizontwn logoi*-სს თავის ღერძში (vv. 45, 60), შესაძლოა, ხმარობდეს საპირისპიროდ ფილოსოფიისა და ლიტერატურის პლატონისეული გაგებისა: სულიერად

\* G.A. KENNEDY, Greek Rhetoric under Christian Emperors, Princeton, New Jersey, 1983, p. 126-131. G.A. KENNEDY, Classical Rhetoric and its Christian and Secular Tradition from Ancient to Modern Times, London, 1980, p. 41-82. G.A. KUSTAS, Studies in Byzantine Rhetoric, Thessalonike, 1973, p. 124-125.

<sup>\*\*</sup> სამეცნიერო ლიტერატურაში ცნობილაა, რომ ქრისტიანული ესთეტიკა კლასიკური ავტორების ფორ-მულირებებს საკუთარი მიზნით იყენებდა წარმართული ავტორების საწინააღმდეგოდ, მაგრამ მათ ახალი იდეალითაც ამდიდრებდა (B.V. Бычков. Малая история византийской эстетики. Киев, 1991, с. 26, 15).

\*\*\* Πατρικοὶ στυλῷ λογιθερατύρωνθί πρέπει διέξω(θει), ἔνιος, ἀλλότριος (γαρζῆς, υψηλούρο, υψεβο) αραιγήσισ-  
τιανοί, αραιεργεσιούροι, θαρράτρουλοι εργάτιοι πάντοι οἱ σαερον καδαγερέδοις σαελεύρεδοις (ἰθ. ἁδρ. 13, 9; II πε-  
τρο 1, 16; II γρονθο. 1, 12; I γρονθο. 2, 6; 3, 19; μαργοθ. 7, 7; ματ. 15, 9; 16, 23 ηδ. α.δ.), θεολογούροι  
ημέτερος (θιεροῦ) οιθθαρεύδοις κριτοίσιαν, εγκλησιούρον καδαγερέδοις δωτούρον σιδηράνοις αλσασινούροις (ἰθ. I γρο-  
νθο. 2, 7). G.W. LAMPE, A Patristic Greek Lexicon, Oxford, 1961.

\*\*\*\* გულისხმობენ რიტორიკულ ხერხებს, რომლებიც კომპოზიციის ღიტერატურულ ფორმას გამოხატავს და მათ ესთეტიკურ აღქმას გულისხმობს (J. MARTIN, Antike Rhetorik, Munchen, 1974, S. 338-339, 342-345; 169-170, 259, და სხვ.). ამ ტერმინთა აღნიშნული მნიშვნელობები ბიზანტიურმა ლიტერატურამაც შეითვისა და ისინი მასში აღექმებოდა როგორც ღვთიური იდეებს სილამაზის სპარისისობიდან. იხ. ქ. ქეზარაშვილი, მშვენიერების ცნების გაგებისათვის ბიზანტიურ ესთეტიკაში და ეფრემ მცირესთან, I. „სჯანი“, III, 2002, გვ. 74-90; II. „სჯანი“, IV, 2003, გვ. 58-78.

უმნიფარია ის, ვისაც ბავშვური/ყრმათა პოეზია უყვარს (პაიდივა), ხოლო ფილოსოფიურად მოაზროვნეა ის, ვინც გართობაზე ამაღლებულია და ჭვრეტასთანაა მიახლოებული (იხ. Resp. II 377ac, 378e; X 602b).

როგორც ცნობილია, პლატონი თავის „რესპუბლიკაში“ ესთეტიკურ ხედვას ბერძენი საზოგადოების ბავშვობის პერიოდს უწოდებდა, ხოლო ფილოსოფიას განათლებული ადამიანების ჭვრეტის საგნად განიხილავდა. ამიტომაც, მისი სიტყვებით, მხოლოდ ფილოსოფოსს ძალუძს, ღვთაებრივი მშვენიერებისა და ჭვეშმარიტების აღქმა (Resp. V 474cd, 476e; VI 485c, 487c და ა.შ.). ზემოთ აღნიშნული იყო, რომ ღუჯრესიუსიც აღიარებდა ფილოსოფიის სიდიადეს და განმარტავდა, რომ ის პოეზიას (ანუ ესთეტიკურ ფორმას) მწარე ფილოსოფიური შინაარსის (ანუ, ფილოსოფიის მიუდგომელი, ბუნდოვანი იდეების) დასატებობად იყენებდა მოზრდილი ყრმათათვის (De rerum natura I, 936-943).

პავლე მოციქულიც საუბრობს იმაზე, რომ შეურყვნელ/უნიგნურ და უმეცარ, ანუ ჩვილ მოაზროვნე ადამიანებს რეგ (ანუ, ნაზი საკვები) უნდა მიყცეთ, ხოლო უფროსებს (ანუ განათლებულ ადამიანებს) — მტკიცე საკვები, ანუ საღვთო, ღრმა შინაარსი, რთული — სოლიდური სიდიადე (Hebr. 5, 13-14; I Cor. 3, 1-2). ეს იმას ნიშნავს, რომ მისი განზრახვაა, ისინი ღვთიურ სიბრძნეს ყოველგვარი დაფარვის გარეშე აზიაროს.

ამავე დროს ცნება „ახალგაზრდა“ გრიგოლის შრომებში, შეიძლება, გამოყენებულ იქნას არა მარტო ახალგაზრდა თაობის მნიშვნელობით, არამედ ამ სიტყვის წმ. პავლე-სეული, სულიერი მნიშვნელობითაც — სულიერად უმნიფართა აღსანიშნავად (I kor. 13, 12; II kor. 12, 4).\*

3) მიქაელ ფსელოსის მიხედვით, აღნიშნული ორი ნიშან-თვისება გრიგოლ ღვთისეტყველის ნაწარმოებებში მსმენელისათვის შეუმჩნევლად თანაარსებობს. ამიტომაცაა მისი ნაშრომები თანაბრად სასურველი, როგორც ნასწავლთათვის, ისე უსწავლელისათვის; ისინი მისაღებია უმრავლესობისათვის და ამავე დროს უმრავლესობის შეგნებაზე ამაღლებულია; ისინი გასაგებია იმათოვის, ვინც ფლობს რიტორიკასა და ფილოსოფიას და იმათოვისაც, ვისაც სწავლების მხოლოდ ღვთიური შინაარსის წვდომა ძალუძს („ის მსმენელს საშუალებას აძლევს, მის მიერ განსაზღვრულ დონეზე შეიმეცნოს“ — Psello, Ad Pothum, Mayer ed., c. 15294-295; „იგი იშვიათად მეტყველებს და ისიც მაღალ იდეებს ზიარებულ მცირედთათვის“ — სულიერი მისამართი - c. 16<sub>300</sub>).\*\*

ლექსში გრიგოლი საუბრობს კლასიკურ ფორმაზე იმათოვის, ვინც მიჩვეულია და ვისაც მოსწონს ლიტერატურის ესთეტიკური ფორმები (იხ. ზემოთ 2-ში), ანუ ის განკუთვნილია ლიტერატურაში განსწავლული მსმენელისათვის, რომელსაც სჭირდება ღვთიური იდეების წვდომაში განათლება. ამრიგად, თავის ლექსში გრიგოლიც ეხება მსმენელისა და მკითხველის განათლების დონის პრობლემას, რომელიც ხშირად განიხილება რიტორიკულ თეორიებში. გრიგოლი განსახვავებს მკითხველის ორ დონეს: ერთი ჯერ კიდევ უმნიფარია და საჭიროებს ტკბილ ლიტერატურულ ფორმას, ხოლო მეორე უკვე განსწავლულია მის-

\* საღვთო სიბრძნე და სრული ცოდნა საღვთო წერილის რთული სწავლებით თუ მარტივი მნიშვნელობით იხ. ქ. ბეზარაშვილი, რიტორიკისა და თარგმანის თეორია და პრაქტიკა, 2004, გვ. 218.

\*\* კლასიკური ლიტერატურული ფორმა განათლებული ბერძენი საზოგადოებისათვის იყო განკუთვნილი (H. HUNGER, Die hochsprachliche profane Literatur, I, S. 67. E. NORDEN, Die antike Kunstsprosa, II, S. 479-492, 512. G. KENNEDY, Classical Rhetoric გვ. : 130-135). ქ. ბეზარაშვილი, რიტორიკისა და თარგმანის თეორია და პრაქტიკა, 2004, გვ. 372-373 და სხვ. ქ. ბეზარაშვილი, ბიზანტიური და ძველი ქართული რიტორიკის თეორია ..., ნ. III, მიქაელ ფსელოსი — გრიგოლ ღვთისმეტყველის სტილის ინტერპრეტატორი და რიტორიკის თეორიების ცნებათა რამდენიმე ახალი ასპექტი.

მისთვის კარგად ნაცნობი ლიტერატურულ-ფილოსოფიული ფორმით და რომელიც შემ-დგომში მზადაა, „გამოიტანოს ის, რაც საამოა“ (το; komyon) და მიიღოს მხოლოდ ღვთიური სიბრძნე (carm. II, 1, 39, v. 96). To; komyon რიტორიკის ტერმინი და ცნებაა.\*

4) გრიგოლის ლექსში გამოყენებულია წინა პერიოდის საუკეთესო ავტორების *mimesis*-ი, კლასიკური ლიტერატურული ფორმის მიბაძვა მისი ტრადიციული გაგებით. ის შე-ესაბამება ელინისტური რიტორიკული თეორიების (ცნებას „*minhsī*“ tw̄n aj̄cāiwn, \*\* kat a; zh̄l on aj̄cāiwn, რომელიც ბიზანტიურმა რიტორიკულმა თეორიამაც მიიღო მემკვიდ-რეობით (Psellos, Ad Pothum, Mayer ed., c. 2<sub>21-23</sub>; c. 2<sub>39-40</sub>).\*\*\* ლექსში ის კლასიკური/ანტიკური ლექსთნყობის მიტაციას ნიშავს (w̄l oīl paī ai prosh̄lōn eīmel ei” logou – „როგორც ძვე-ლად ადამიანები ხმაშენყობილად რომ მდეროდნენ სიტყვებს“. c. II, 1, 39, v. 85).

ლექსთნყობის ცოდნა აუცილებლად ითვლება ჰერმენევტიკული გრამატიკის უცნობი ელინისტური დეფინიციით (შემორჩენილია ბასილი დიდის გრიგოლისეულ ეპიტაფიასა და მის კომენტარებში), რომელიც იქ ნახსენებია როგორც *metroi* „epistatei“ — გრამატიკის მესამე ნაწილი, ანუ ლექსის წესები (Or. 43, c. 23. P.G. 36, 528 A 6).\*\*\*\* აქაც გრიგოლი ჰერმე-ნევტიკული გრამატიკისა და რიტორიკული თეორიების ცნებებს იზიარებს, რომლებიც შუა საუკუნეებში ერთმანეთთან ახლოს იდგა.\*\*\*\*\*

სამეცნიერო ლიტარატურაში არსებობს აზრი, რომ ბიზანტიური თეორიული კვლევები, უმთავრესად, კლასიკური ლექსთნყობის პრობლემას უფრო ეძღვნებოდა, ვიდრე ბერძნულ პოზიციაში განვითარებულ პროცესებს — ახალი თავისებურებების განვითარებას, რომლებიც ტონური პროსოდიასა და მარცვალთა რაოდენობას ემყარება და არა რაოდენობრივ კვანტიტატურ პროსოდიას.\*\*\*\*\* ამრიგად, გრიგოლი საუბრობს მეტრის კლასიკურ წესებზე (*metron* c. II, 1, 39, vv. 24, 37), თუმცა, როგორც უკვე აღინიშნა სამეცნიერო ლიტ-ერატურასა და ზემოთაც, მას გათვითცნობიერებული ჰქონდა ბერძნულ მეტყველებაში განვითარებული პროცესები, რომლებსაც თავის ლექსში მეტრად (*afmetro*) მოიხსენიებს.

5) ამ ლექსში ასევე ვხვდებით რიტორიკული თეორიებისათვის დამახასიათებელ მშვენიერების ცნებას (katlō, cari), ოღონდ ახალი გაგებით. გრიგოლის აზრითაც, ისევე როგორც სხვა წმიდა მამების თანახმად, მშვენიერებისა და ხიბლის ცნება ქრისტიანთათვის სიტყვებში კი არ არის, არამედ ჭვრეტაში, ღვთიურ იდეაშია (tō; katlō h̄mīn eīj qewria/- Gr. Naz. PG 37, c. II, 1, 39, v. 51). ელინისტური რიტორიკული თეორიებიდან მემკვიდრეობით მიღებული მშვენიერების ცნება აქ ახალი, ქრისტიანული მნიშვნელობითაა წარმოდგენილი. კლასიკურ თეორიებში მას რიტორიკული ფორმის გარეგანი სილამაზის მნიშვნელობა ჰქონდა შეძენილი. გრიგოლის ლექსში კი მას ტრანსცენდენტალური, საღვთო, ზოგ შემთხვევაში ბუნდოვანი, შეფარული სილამაზის მნიშვნელობა აქვს.

\* Lexicon Technologiae Graecorum Rhetoricae, cong. Ilustr. Jo. Ch. Th. ERNESTI, Leipzig, 1795/Darmstadt, 1962, s.v. komyeuešqai.

\*\* J. MARTIN, Antike Rhetorik, S. 7, 291. H. HUNGER, On the Imitation of Antiquity in Byzantine Literature, in: DOP, 23-24, 1969-1970, p. 17-38. G. KENNEDY, Classical Rhetoric, p. 25-40, 116-119.

\*\*\* ქ. ბეზარაშვილი, „მიმესინის ტრადიციული კლასიკური ბაძვის ცნება“. იხ. რიტორიკისა და თარგმანის თეორია და პრაქტიკა, გვ. 159-197; 165, 201 და სხვ.

\*\*\*\* იხ. ბასილი მინიმუსის კომენტარი — R. CANTARELLA, Basilio Minimo II. Scolii inediti con introduzione e note, Byzantinische Zeitschrift, 26, 1926, S. 28, 1.

\*\*\*\*\* K. BEZARASHVILI, On an Unknown Definition of Grammar in Byzantine and Georgian Literary Sources, in: XXI International Congress of Byzantine Studies, London, 2006.

\*\*\*\*\* С. С. Аверинцев. Школьная норма литературного творчества в составе византийской культуры. – Продлемы литературной теории в византии и латинском средневековье. М., 1986.

სწორედ ამ ახალი მნიშვნელობითაა ნახმარი ეს ცნება მიქაელ ფსელოსის ტრაქტატში, რომელიც გრიგოლის ნაწარმოებთა სტილს განიხილავს ორივე თვალსაზრისით: როგორც გრიგოლის სიტყვების რიტორიკულ სიმშვენიერეს და როგორც მათი ღვთიური ჰინაარსის სიმშვენიერეს. ამრიგად, მშვენიერების ცნება ონტოლოგიური, ეთიკური კუთხით გაიგებოდა, რასაც მეტაფიზიკური სილამაზის პლატონური და ნეოპლატონური ინტერპრეტაციები უძლოდა ნინ (Plat. *Sympos.* 210E-211D. Plotin. *Ennead.* I, 6, 1-2. Cfr. Dion. *Areop. De divinis nominibus*, IV, 7. *De coelesti hierarchia*, 3 და სხვ.).\* გრიგოლის მეთოდის შესნავლის შემდეგ მიქაელ ფსელოსმა თეოლოგიური მშვენიერების ახალი ცნება დანერგა (თბ თეოლოგიკის კატერის კალიο<sup>2</sup> c. II, 1, 39, v. 12), ზეციური, მისტიკური, ღვთაებრივი მშვენიერების ნარმოდგენის ცნება (იხ. თბ თუ<sup>3</sup> οὐνασιν<sup>4</sup> κάλλοι<sup>5</sup>. ხάριსιν ἀποβρήτοι<sup>6</sup> cc. 2, 6, 19, 19; cf. თბ მუსტიკის კალიο<sup>7</sup> Gr.Naz. Or. 2, c. 48. PG 35, 457 A 2-3. θεία χάρι<sup>8</sup>, ἄνωθεν χάρι<sup>9</sup> Photius, PG 101, 945C, 697D; PG 102, 861D, 657D), როგორც ღვთაებრივი მშვენიერების გამოხატულება, რომელიც ამ ცნების გარეგანი, გრძნობისმიერი, ანუ, ესთეტიკური მნიშვნელობისაგან განსხვავდებოდა.\*\*

6) ლექსში გრიგოლის მოთხოვნა, რომელიც კლასიკური, საერო პოეტური ფორმის გამოყენებას გულისხმობდა, წარმოადგენს რეაქციას იმპერატორ ივლიანე განდგომილის რეპრესიებზე. el l hni zein-ის ცნებაც, რომელიც გრიგოლმა ახალი გაგებით შემოიტანა თავის ჰომილიაში *Contra Julianum* (Or. 4, c. 4-5. PG 35, 536 A 1 – B 13. cf. *Vita Gregorii Nazianzeni*. PG 35, 304 A 5 – B 5), ასახულია ლექსში (იხ. In suos versus. PG 37, c. II, 1, 39, vv. 48-49: οὐδὲ εῇ λογοι» πλεὸν διδώμι τοὺς κενούς λίτην). გრიგოლი ლინგვისტურ და კულტურულ ელინიზმს რელიგიურისაგან განასხვავებდა და მიიჩნევდა, რომ ელინური განათლება (el l hni zein) ქრისტიან ბერძნებსაც ეკუთვნოდათ.\*\*\* იგივე აზრია გატარებული ლექსში, რომელშიც დასმულია კონტრპროგრამის ამსახველი დახვენილი კლასიკური ფორმების არსებობის აუცილებლობის საკითხი, რომელიც მიმართულია კლასიკური მწერლობისდარი (კლასიკური ნორმები, ჟანრი, მეტრი, პოეტურ-რიტორიკული ხერხები და ა. შ.) მრავალფეროვანი ქრისტიანული და ქრისტიანული შინაარსით კლასიკურზე აღმატებული ლიტერატურის შექმნისაკენ.

7) ამგვარად, არქაული ლიტერატურული ფორმა, ენა და სტილი ტიპურია ახალი შინაარსისათვის — ქრისტიანული ლიტერატურული პოეზიისათვის (ა. რებილარდის ტერმინი), რომელიც ლიტერატურული პოეზიისაგან გამოირჩევა ბერძნულ ენაში მიმდინარე ახალი პროცესების წყალობით — მეტრი შეცვლილია შინაარსით კლასიკურზე აღმატებული ლიტერატურის შექმნისაკენ.

\* В. В. Бычков. Эстетика поздней античности. М., 1981, с. 231-232.

\*\* ქ. ბეზარაშვილი, მშვენიერების ცნების გაგებისათვის ბიზანტიურ ესთეტიკაში და ეფრემ მცირესთან, I, II. ქ. ბეზარაშვილი, რიტორიკისა და თარგმანის თეორია და პრაქტიკა, 2004, გვ. 541, 546-562 (მიქაელ ფსელოსის მიხ.). ქ. ბეზარაშვილი, ბიზანტიური და ძველი ქართული რიტორიკის თეორია ..., ნ. II, 153-155 (გრიგოლ ნაზიანზელის/ღმრთისმეტყველის პოეზიის მიხ.).

\*\*\* B. C. HARDY, *The Emperor Julian and his School Law*, in *Church History*, 38 (1968), p. 131-143. P. LEMERLE, *Byzantine Humanism*, p. 63-66. B. WYSS, *Gregor von Nazianz, Realecikoin für Antike und Christentum*, Bd. XII, Stuttgart, 1983, col. 818-819. J. BERNARDI, *Grégoire de Nazianze critique de Julien*, *Studia Patristica*-ში, 14 (1976), p. 282-289. R. DOSTALOVA, *Tino to El hni zein, controverse au sujet de legs de l'Antiquité au 4<sup>e</sup> siècle*, From Late Antiquity to Early Byzantium-ში, Praha, 1985, p. 179-183 etc. R. BROWNING, *The Continuity of Hellenism in the Byzantine World: Appearance or Reality? History, Language and Literacy in the Byzantine World* (Variorum Reprints), Northampton, 1989, p. I, 124. იხ. ქ. ბეზარაშვილი, რიტორიკისა და თარგმანის თეორია და პრაქტიკა, გვ. 111, 106-107, 343, 450, 452; ქ. ბეზარაშვილი, ბიზანტიური და ძველი ქართული რიტორიკა..., ნ. I, გვ. 15, 26, 42-43, 92-95, 172, 242 და სხვ.

ჩანაცვლებულია განსაზღვრული რაოდენობის მარცვლებისაგან შემდგარი მახვილზე დამყარებული ნიმუშებით, რომლებიც ეკლესიის მრევლისათვის იწერებოდა. ის გათვალისწინებული იყო როგორც განსწავლულთათვის, ისე უსწავლელთათვისაც. როგორც ზემოთ ითქვა (დ. სიკესი), გრიგოლისათვის გამოხატვის სწორი სტილის გამოყენებით მიღებული მეტრიკა წარმოადგენდა საშუალებას, გარკვეული დისტანცია შეენარჩუნებინა საკუთარ თავსა და მის მაყურებელს თუ მკითხველს შორის. ამიტომაა მისი პოეზია ლიტერატურული და არა ლიტერატურიკული და მიმართული სულიერად ჩამოყალიბებულ პიროვნებებზე და არა, ზოგადად, უბრალო მრევლზე.

აღნიშვნის ლირისია ის გარემოება, რომ „კარგი პოეზია სწორი მოძღვრებით“, „პოეტიკის ესთეტიკის სფეროდან თეოლოგიაში გადატანა“, „ჭეშმარიტი მშვენიერების ცნება“, „სიტკბოგა“ და სიხარული, „მისაბაძი ლიტერატურული ფორმისა“ და ახალი შინაარსის „კეთილშობილი კომპინაცია“, „ტრადიციათა შერევის“ იდეა და „ადრინდელი ლიტერატურული თეორიის ალუზიები“ (ც. მილოვანოვიჩმა და ს. რეპილარდმა გამოკვეთეს როგორც თემები, რომლებსაც გრიგოლი განიხილავს *Ars Poetica*-ში. საინტერესოა, რომ ეს კონცეპტები ზემოთ ციტირებულ შრომებში განხილული რიტორიკული მოძღვრებების ცნებებია, რომლებიც გრიგოლ ღვთისმეტყველის სტილს უკავშირდება.\* წინამდებარე სტატიაში, პოეზიისადმი მიძღვნილ აღნიშნულ ლექსთან დაკავშირებით, ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე და ზოგიერთი სხვა მოსაზრების დამატებით, მე შევეცადე, ეს მოსაზრებები კლასიკური და ბიზანტიური რიტორიკული მოძღვრებების ცნებებთან დამეკავშირებინა და გამეანალიზებინა.

ამრიგად, პოეზიაზე დაწერილი გრიგოლის ლექსში ნახსენები ყველა პრობლემა წარმოაჩენს რიტორიკული მოძღვრებების კონცეპტთა თავისებურებებს, რომლებსაც დიდი თეოლოგი განიხილავს არა თეორიული ფორმით, არამედ პოეტურით, ლექსუაში. სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნავენ, რომ პირველი ქრისტიანი მამები თეოლოგიისათვის საძირკველის ჩაყრისას საკმარის დროს ვერ უთმობდნენ რიტორიკის თეორიულ პრობლემებს. სწორედ ამიტომა, რომ გვიანი კლასიკური და ბიზანტიური ხანის რიტორიკულ მოძღვრებებს ერთმანეთისაგან დიდი დრო ამორებს. პირველი ბიზანტიური თეორიული ანალიზი ჩნდება მხოლოდ ფოტოსის, ბასილიუს მინიმუსის, მიქაელ ფსელოსის, მოგვიანებით კი ოსებ რაკენდადესა და სხვათა შრომებში. მაგრამ პირველი მამების შრომებში რიტორიკის პრობლემები თეოლოგიისა და ლოგიკის პრობლემებთან თანაარსებობს ფარულად და ისინი მათ აქა-იქ თუ ეხებიან.\*\* გრიგოლ ნაზიანზელის 51-ე, 54-ე ეპისტოლები რიტორიკის ზოგიერთ ტრადიციულ თეორიას ეხება და, ბუნებრივია, რომ ავტორი იმავე პრობლემებზე თავის ლექსებშიც საუბრობს პოეტური ფორმით.

გრიგოლ ღვთისმეტყველის მიერ შემუშავებული პარადიგმა აქტუალური იყო ბიზანტიური ლიტერატურის არსებობის მანძილზე. იგი შუა საუკუნეების ქართული ლიტერატურის მნიშვნელოვნი ესთეტიკური მახასიათებელიც გახდა.

ბუნებრივია, რომ ეფრემ მცირის კოლოფონების მიხედვით საინტერესო გახდა ადრეული ბიზანტიური ინტერპრეტაცია — გრიგოლ ღვთისმეტყველის, მიქაელ ფსელოსისა

\* იხ. ქ. ბეზარაშვილი, რიტორიკისა და თარგმანის თეორია და პრაქტიკა, 2004; ქ. ბეზარაშვილი, ბიზანტიური და ძველი ქართული რიტორიკა..., ნ. II, გვ. 81-130, 140-171 და სხვ.

\*\* С. С. Аверинцев. Школьная норма литературного творчества в составе византийской культуры. – Продлемы литературной теории в византии и латинском средневековье. М., 1986. с. 16.

და სხვათა ფორმები და შინაარსი; წარმართული ფილოსოფიური სალიტერატურო ფორმისა და ქრისტიანული შინაარსის ნაცნობი ტროპები — ტებილი, მნარე ანტითეზები, უმნი-ფარისა და განსწავლულობის ღვთიური სიბრძნე, ორი ენის ცოდნა, ორენოვნება: სტილი მაშვრალთათვის, მრევლისათვის ან მცირე წრისათვის, იმავე სიტყვათა მიფარულება და სხვ., მშვენიერების ორგვარი ცნება (ანტიკური და ქრისტიანული), ბიზანტიურის ერთ-გულება, სტილთა დონეების თეორია, ახალი „უჩვეულო“ თემა და სხვ.

**Ketevan Bezarashvili**

## **The Old Byzantine Poetry According to Classical Literary Form and Christian Contents**

### **Abstract**

**Key words:** Byzantine literature, Concept of beauty, Gregory the Theologian, Michael Psellos

One of the important features of Byzantine literature, namely of Gregory the Theologian's writings was the problem of coexistence of pagan literary form and Christian contents. He calls it "to sweeten the bitterness" of the commandments with the help of art (*τενηθεὶς γλυκασών τοι πίκρων τῷ εἰπτολῶν* \_c. I, 2, 39, v. 41) with the purpose of showing the younger generation the path to virtue (vv. 37-43). The "young" in Gregory's writings is used in St. Paul's spiritual meaning of this word (Hebr. 5, 13-14). The source of this phrase is pagan: Lucretius intends to sweeten bitterness of philosophy for older children in "De rerum natura" (I, 936-943). The superiority of theology in the Middle Ages took the place of the superiority of philosophy of the classical period. The reason is that the concept of beauty and charm for Christians is not in the words, but in contemplation, in divine idea (*τοι κατέλογον ήμιν εἴη ρεωρία* \_Gr. Naz. PG 37, c. II, 1, 39, v. 51).

Michael Psellos, the interpreter of the style of the works of Gregory the Theologian, calls the interrelation of form and contents providing the Pearl of Gospel (Matth. 13, 45-46) with gold frames. He meant to express the beauty of mystic contemplation and wisdom with rhetorical ornaments (Psellos, Ad Pothum, A. Mayer ed., c. 5<sub>85-90</sub>). Both of these Christian authors (Gregory the Theologian and Michael Psellos) call this way of connecting pagan form and Christian contents a "different" (*ἄλλην*) or "new", "unusual" (*καινήν*) way of rhetoric (*λόγον*): *ἄλλην τὸν λόγων οὖλον* (Gr. Naz. PG 37, c. II, 1, 39, v. 22; 64); *καινὸν τούτον γάρ εἶπεν τοῖς νοήματι* (Psell. A. Mayer ed., c. 2<sub>32</sub>). The coexistence of classical literary form and Christian contents correspond to a new aspect of the concept of style, different from classical aspect of this concept, named by Psellos as "theological" (*καρακτὴρ*; *καρακτὴρ*).

The paradigm introduced by Gregory the Theologian was topical for Byzantine literature almost in all periods of its existence. It also became the main aesthetic peculiarity of Georgian literature in the Middle Ages.

## თინათინ ბიგანიშვილი

### ნიჰილიზმი, როგორც პოსტმოდერნიზმის ერთ-ერთი პანიდეა და „ახალი თეორიის“ ვაკუუმი

ხელოვნებათმცოდნებისთვის, კულტუროლოგებისა და ლიტერატურათმცოდნებისთვის სიახლე არ არის ის, რომ წებისმიერი ახალი ეპოქა, კაცობრიობის განვითარების ყოველი ახალი ეტაპი „ახალი მითის“ კულტურისა და ყოფის სხვადასხვა სფეროებში განტოტებით, განსხეულებით, ერთგვარი ემანაციით იქმნება (ბიგანიშვილი 2010: 296-301). ეს პროცესი ამბივალენტურია, რადგან, მეორე მხრივ, „ახალი მითი“ კულტურისა და ყოფის სხვადასხვა სფეროებში განტოტოვებით, განსხეულებით კანონიზდება და თანმიმდევრულად ხორციელდება მისი ლეგიტიმაცია, საბოლოოდ კი ერთგვარი კორონაცია, რაც მის ლეგიტიმურობას ღირებულებათა, ფორმათა და იდეათა სფეროში ლამის ხელშეუხებელი კოდექსის, უკიდურეს შემთხვევაში — დოგმატთა კრებულის იერს აძლევს და მისგან ნებისმიერი გადახვევაც კი „პრომეთეს სასჯელს“ მოუტანს ყველა შემოქმედს, რომელიც ეცდება უკვე კანონიზებული მითის დანგრევას და ახლის დამკვიდრებას — „ცეცხლის ჩამოტანას დედამიწაზე ზეციდან“.

XIX საუკუნისა და XX საუკუნის პირველი ნახევრის დასავლური კულტურის პანიდების აღქმა შეუიარაღებელი თვალითაც იყო შესაძლებელი. ეს არის ე.ნ. დეკადანისი, ევროპული კულტურის კრიზისი, ძველი მსოფლიოს ეკონომიკურ-პოლიტიკური სისტემების რღვევა, ცნობიერებისადმი, როგორც პიროვნების აქტივობის წამყვანი სტრუქტურისადმი უნდობლობის გამოცხადება (იგულისხმება ზიგმუნდ ფროიდის „ფსიქოანალიზი“, რომლის არსებითი მხარე არის „არაცნობიერის“ ანუ ცნობიერების საპირისპირო სტრუქტურის დომინანტურობის მტკიცება), ქაოსის პირისპირ მდგარი დეზორიენტირებული ადამიანი, რომელსაც ამჯერად „ლმერთი აღარ ეხმარება“ და რომელიც მარტოა, რადგან ზარატუსტრამ უკვე გააცხადა ყველასთვის ცნობილი ჭეშმარიტება, რომ „ლმერთი მოკვდა“. შედეგად, პანიდების ჯგუფში სრულებით ლოგიკურად აღმოჩნდა ესქატოლოგიური ნაკადიც. ამიტომ საბოლოოდ მაინც არ უნდა იყოს გასაკვირი, რომ პანიდეადქცეული აპოკალიპტური მოლოდინი, ერთი მხრივ, აპოკალიპტური მითის კანონიზების გრძნობისმიერი საფუძველი გახდა, ხოლო მეორე მხრივ — პანიდების ნაკადში მისი პოპულარული სახელწოდება არის ნიჰილიზმი:

„პოსტმოდერნიზმს განმარტავენ, როგორც ნეოკონსერვატიზმის კულტურულ ჯამს..., რაც გამოიხატება ტოტალურ კონფორმიზმში, „ისტორიის დასასრულის იდეებში“ (ფუკუიამა), ესთეტიკურ ეკლექტიზმში... ფსიქოლოგები მასში ხედავენ საზოგადოების პანიური მდგომარეობის სიმპტომებს, ინდივიდის ესქატოლოგიურ წუხილს“ (ჯანჯიბულაშვილი 2003: 62).

ცხადია, თანამედროვე კრიტიკისათვის ზემოთქმული უცხო არ არის, თუმცა ჩემთვის არსებითია არა მარტო იმის მტკიცება, რომ პოსტმოდერნიზმის იდეა არის ნონიდეა (Non-idea), გნებავთ, არაიდეა, იგივე — არაფერი და შესაბამისად — ნიჰილიზმი, რომელიც თვალსა და ხელს შუა გატოტალურდა და პანიდებიზმად ტრანსფორმირდა, არამედ პოსტმოდერნიზმის საზღვრებში აღტერნატივის არარსებობა და აღტერნატიული იდეის ვაკუუმი:

„პოსტმოდერნისტული ესთეტიკა, რომელიც სცილდება კლასიკური ლოგოსის ჩარჩოებს, არის პრინციპულად ანტისისტემატური, ადოგმატური, უცხო, კონცეპტუალურ მსჯელობათა სიმკვეთრისა და ჩაკეტილობისათვის. მისი სიმბოლოებია ლაბირინტი, რიზომა. დეკონსტრუქციის თეორია უარყოფს აზრის სისავსის რეპრეზენტაციის კლასიკურ გნოსეოლოგიურ პარადიგმას, ხელოვნებაში „მყოფობის მეტაფიზიკას“, გადააქვს რა ყურადღება დისკონტინუალობის პრობლემაზე, დედააზრის არარსებობაზე<sup>\*</sup>, ტრანსცენდენტურად აღსანიშნება“ (ჯანჯიბუსაშვილი 2003: 63).

ალტერნატიული „თეორიის“, გნებავთ, იდეის ძეგბა ხელოვნებისა თუ კულტურის, ლიტერატურის საზღვრებში გარდაუვალია. ლიტერატურაში ამის ინდიკატორია ჟანრის განვითარების პერსპექტივა სინქრონულ და დიაქრონულ რაკურსებში, რაც ჟანრის თეორიაშია წარმოდგენილი (რატიანი 2009). შესაბამისად, დიაქრონული ჭრილის მაპროვოცირებელ ერთ-ერთ ფაქტორად ჩვენ „ახალი იდეის“, „ახალი თეორიის“, გნებავთ, „ახალი მითის“ ფორმირების პროცესი მიგვაჩინია.

კრიტიკოსებსაც, ხელოვანთაც, ხელოვნების რეციპიენტებსაც, ფაქტორივად, საერთო აზრი აქვთ შემოქმედის რამდენიმე კონკრეტული თვისების შესახებ და ამ საკითხთან დაკავშირებით, როგორც წესი, იშვიათად დავობენ. შემოქმედი აწესრიგებს, დიფუზურ სტრუქტურას მეტ სიმკვეთრეს ანიჭებს, შეუცნობლის კონტურებს გამოყოფს, შესაცნობისა და შესაგრძნების, ჭეშმარიტებისა და მშვენიერების ახალი ფორმების საძებნელად შორეულ მოგზაურობაში გვეპატიურება და რაც მთავარია, საუკეთესო შემთხვევაში, წინასწარ ვგრძნობთ და ვიცით, რომ ამ „მოგზაურობიდან“ უკან დაბრუნებულებს იმედგაცრუება არ გვიწერია. ამასთან დაკავშირებით სოლომონ ტაბუცაძე წერს: „პოლ ვალერისა და საზოგადოდ პოეტის (არ მინდა დავძინო — ჭეშმარიტი პოეტის) შემოქმედების ებბლემატურ ცნებად „წვდომა“, „წვდომის აქტი“ მესახება. ამ შემთხვევაში „სილრმის“ მეტაფორაც კი უსაგნოდ გამოიყურება, რადგან სწორედ ეს „წვდომის“, „მოხელთების“... უფრო ზუსტად, ამ ყველაფრის მუდმივი, დაუოკებელი ცდისა და რუდუნების შედეგია ის ანასხლეტები, რაც, ვალერისნაირ შემოქმედთა კვალად, ადამიანურ შესაძლებლობათა ზღვრულ სივრცეებში იღანდება. პოეტის სწორედ ეს თვალშენავლები შეიძლება იქცეს შემდგომ და შემდგომ იმ გამოცდილებად, რომელზედაც მისი მომხმარებელ-ფილაფოზნი ყოფიერების სახლის დაშენებას ლამობენ ხოლმე“ (ტაბუცაძე 2012: 276).

პოსტმოდერნიზმის ფარგლებში ამ პროცესის განხილვას კონკრეტული მაგალითებით გთავაზობთ. საუბარია XX საუკუნის 60-70 წლებში წარმოქმნილი ჟანრის ე.წ. „High fantasy“-ს შესახებ, რომელთა ცნობილი წარმომადგენლები არიან ამ ჟანრის მამად წოდებული ჯონ ტოლკიენი, ჯონ როულინგი, სტეფანი მეიერი და ა.შ. საერთო მახასიათებელი ამ ჟანრისა არის მითოლოგიური მასალის ჭარბად გამოყენება, ფოლკლორული ლეგენდებისა და თქმულებების რეკონსტრუქცია. ეს არის ის, რაც ზედაპირზე ძევს და შეუიარაღებელი თვალითაც აღსაქმელია, თუმცა მოცემული ტექსტების შიდა ფენებსა და ღრმა შრეებში შესაძლებელია რელიგიურ-ფილოსოფიური ნარატივის კონკრეტულ ნაკადს მივაკვლიოთ, რასაც პირობითად ეზოთერულ მოძღვრებათა მხატვრული სუროგატი და „ახალი თეორიის“, „ახალი იდეის“, „ახალი მითის“ სიმულაცია შეგვიძლია ვუწოდოთ (მაგალითისთვის — ჯონ ტოლკიენის „ბეჭდების მბრძანებელი“, პაოლო კოელიოს „ალქიმიკოსი“ და ა.შ.), ხოლო კულტუროლოგებისა და ფოლკლორისტ-მითოლოგების ენაზე

\* სტატიაში წარმოდგენილ ციტატებში სტრიქონთა ხაზგასმა ავტორისაა — თ.ბ.

ამ პროცესს, რომლის კონკრეტულ გამოვლინებადაც მიმაჩნია ზემოხსენებული უანრის უმეტესი ტექსტები, ტრიქსტერის მიერ სიმულირებული დემიურგია და შედეგად — სიმულაკრა ეწოდება: „თუკი „გადამუშავებისავ და „ნარმოების“ სტადიაზე საგნობრივი სიმულაკრები მიიღებოდა ზოგიერთი რეალურად არსებული სახის კოპირების გზით, უკვე „სიმულაციის“ სტადიაში სახეები ფაქტობრივად არ არსებობენ — ისინი გადასროლილნი არიან აბსოლუტურ წარსულში „გადაკარგულ და არასოდეს არსებულ ობიექტებში“. ამ აზრით, სიმულაკრა არის „ასლი“, რომელსაც არ გააჩნია „ორიგინალი“, „პირველწყარო“... სიმულაკრას ფუნქციას მითში ახორციელებს „მითოლოგიური გაიძვერა“ — დემიურგის უარყოფითი დემონური ორეული — ტრიქსტერი. ტრიქსტერის გაიძვერული, ცბიერი, გაქნილი მანიფესტაციები მითში მიმართულია „მითიურ ორიგინალთან“ — დემიურგთან სრული იდენტიფიცირების „ცრუ პრეტენდენტობაში“. იგი არის „ერთი დანაყოფის“ მეორე დემონური ნაწილი, რომელიც არ წარმოადგენს რაიმე ტიპის იმანენტურობას, თავისთავადობას, არამედ მისი არსებობა მთლიანად დაფუძნებულია დემიურგის არსებობაზე, ხოლო ფუნქციონირება განპირობებულია — დემიურგის სიმულირებით. ამას გარდა, სიმულაკრას ფუნქციონირების პროცესის ონტოლოგიური ასპექტი მითში აისახა კოსმოგონიების გადამრავლებით, რომლებიც ხასიათდება, როგორც „კოსმოგონიური სიმულაკრა“ (თავდგირიძე 2012: 16).

პოსტმოდერნიზმის ფარგლებში ალტერნატიული „თეორიის“, „ახალი იდეის“ განვითარებისა და ჩამოყალიბების შეუძლებლობა, ერთი მხრივ, განაპირობებს მხატვრულ ლიტერატურაში ეზოთერულ მოძღვრებათა სუროგატების სიჭარბეს, რაც საბოლოო ჯამში ესთეტიკის ეკლექტიზმის უშუალო მიზეზი ხდება, მეორე მხრივ — პანნიპილისტური დომინანტა „ძალადობს“ მხატვრულ ფორმაზე, ცდილობს მის „დაცვას“ ესთეტიკის ეკლექტიზმისგან და გარდაუვალს ხდის ირონიულ-პაროდიული ნაკადის უალტერნატივო კანონიზებას. პოსტმოდერნის ესთეტიკური ნორმის დისპარმონიულ მთლიანობაში „ამაღლებულს ცვლის გასაოცარი, ტრაგიკულს — პარადოქსული. ცენტრალურ ადგილს იკავებს კომიკური და მისი ირონიული ჰიპოსტასები: ირონიზმი იქცვავა პოსტმოდერნისტული მოზაიკური ხელოვნების აზრთანარმომშობ პრინციპად“ (ჯანჯიბუხაშვილი 2003: 64).

ზემოხსენებულ კონტექსტში „ახალი თეორია“, რა თქმა უნდა, პირობითი სახელწოდებაა იმისა, რამაც ხელოვნების მდიდარი ფორმებით სილამაზის გამოსახვის ახალი ტრადიციის, ახალი ხედვის, ახალი სტანდარტების, კანონზომიერებების, გნებავთ, ახალი საზღვრების შექმნას ერთგვარი ინტელექტუალურ-შემეცნებითი, კოგნიტურ-სისტემური საფუძველი უნდა მოუმზადოს, რაც ფილოსოფიური სტუდიებით დაწყებული, ესეისტური შრომებით, მხატვრულ ფორმებში გაზავებული ინტელექტუალურ-ანალიტიკური ნაკადით, გნებავთ, ხელოვნების ახალი მიმდინარეობის დემონსტრაციული დეკლარირებით დამთავრებული (გავიხსენოთ XX საუკუნის დასაწყისში ავანგარდული მიმდინარეობების წარმომადგენელთა ეპატაური გამოსვლები, დადაისტების მანიფესტაციური პერფორმანსები) ყველაფერს გულისხმობს. „ახალი თეორიის“ ფუძემდებლები მწვავედ გრძნობენ კულტურის გარდატეხის მათ მიერ ფიქსირებულ მომენტს და ხელოვნებისა და კულტურის ამა თუ იმ სფეროში წინასწარმეტყველისა და შემოქმედის ფუნქციებს ტვირთულობენ, რაც ამავდროულად სილამაზის, ჭეშმარიტების, ხელოვნების სათქმელის, ყოფის მოწყობის ახლებური ფორმებით აღქმასა და გადმოცემას, დეკლარირებას, სისტემატიზებასა

და კანონიზებას გულისხმობს. მაგალითისთვის შეგვიძლია გავიხსენოთ XX საუკუნის და-საწყისის ავანგარდული მიმდინარეობების წარმომადგენელთა წარმატებული მცდელობა „ძველი ღვთაება შეეცვალათ ახლით“:

„ავანგარდულ ფენომენთა უმეტესობისათვის დამახასიათებელია შემდეგი ზოგადი შტრიხები: მათი ექსპერიმენტული ხასიათი, უმეტესწილად — შეგნებული; ტრადიციული ხელოვნებისგან ... და კულტურის ტრადიციული ფასეულობებისგან განსხვავებით რევოლუციურ-დამანგრეველი პათოსი; მკაცრი პროტესტი ყოველივე იმის წინააღმდეგ, რასაც მისი ფუქსემდებლები და მონაწილეები მიიჩნევდნენ რეტროგრადულად, კონსერვატულად, ობივატელურად... დაუოკებელი სწრაფვა პრინციპული სიახლეების შექმნისაკენ ყველა მიმართულებით, უპარველესად კი, მხატვრული გამოსახვის ფორმების, ხერხებისა და საშუალებების მხრივ; აქედან კი ავანგარდის წარმომადგენელთა მხრიდან საკუთარი თავისა თუ თავიანთი ნაწარმოებების, მიმართულებების, მოძრაობისა და ა.შ. დეკლარაციულ-მანიფესტური და სკანდალურ-ეპატაჟური ხასიათის პრეზენტაციები; ზღვრების წაშლისა-კენ სწრაფვა ახალევრობული კულტურის ტრადიციული ხელოვნების სახეობათა შორის; ტენდენციები ცალკეულ ხელოვნებათა სინთეზისა, მათი ურთიერთგანმსჭვალვისა და ურთიერთშენაცვლებისკენ“ (ჯანჯიბუხაშვილი 2003: 10).

ამის მიუხედავად, იმავე მეთოდებით პოსტ პოსტმოდერნისტულ გარემოში თავის დამკვიდრება მინიმუმ პიარტექნოლოგიური პლაგიატია, მაქსიმუმ — ანაქრონიზმი (მაგ.: ოიდიპოსის კომპლექსის საკითხით გაჯერებული ტექსტები და საზოგადოების ტრადიციული ნაწილის მძაფრი რეაქცია. საუბარია ერეკლე დეისაძის დებიუტზე; ან სამხატვრო აკადემიის სტუდენტების მიერ XX საუკუნის დასაწყისის ცნობილი დადაისტური პერფორმანსის „remake“). სამწუხაროდ, ქართულ კულტურასა და ლიტერატურაში ამ ერთგვარი ანაქრონიზმის მიზეზი ის 70-წლიანი ვაკუუმია, რომელმაც დასავლური კულტურისა და ლიტერატურის კვალდაკვალ ქართული კულტურისა და ლიტერატურის განვითარება შეაფერხა. შედეგად, საკმაოდ აქტუალურია პრობლემა, რომლის შესახებაც თქვენ წინაშე წარმოდგენილი სტატიით ვსაუბრობ.

„ახალი თეორიის“, „ახალი იდეის“, „ახალი მითის“ რეპრეზენტატიულობისა და შემდეგ მხატვრულ ფორმებში ემანაციის შედეგად კანონიზებული პროცესის შეფერხება — რაც, თავის მხრივ, კულტურისა და ხელოვნების, ლიტერატურის კრიზისის ერთ-ერთი გამომწვევი ფაქტორია — განპირობებულია იმით, რომ ახალი კონცეპციის შექმნის მცდელობაც კი წინასწარაა გამოცხადებული, გნებავთ, დალდასმული, როგორც, უკეთეს შემთხვევაში, მხატვრული შემოქმედების ფარგლებში ავანტიურა, ხოლო უარეს შემთხვევაში — არალევიტიმური, „კრიმინალური“, ან უტოპიური შემოქმედებითი აქტი, რომელსაც განხორციელებაზე პრეტენზია არ უნდა ჰქონდეს:

„სუბიექტი, როგორც ცენტრი წარმოდგენათა სისტემისა და წყარო შემოქმედებისა, განქარდება, მის ადგილს იყავებს ენობრივი სტრუქტურები, ლიბიდოს ანონიმური ნაკადები, წარმოების მსურველის მაშინურობა. მკვიდრდება ხელოვნების ეკუმენურ-უპიროვნო გაგება, როგორც ერთიანი უსასრულო ტექსტისა, რომელსაც ქმნის ერთიანი შემოქმედი. პოსტმოდერნისტული ხელოვნების მხატვრული საშუალებებისა და ხერხების ჰიპერტროფირებულ სიუხვეს, ესთეტიკურ „ფრისტაილს“ კვებავს შეგნებული ეკლექტიზმი. ფილოსოფიური მარგინალიზმის, ლიაბის, ალწერითობის, შეუფასებლობითობის პოსტ-

მოდერნისტულ პრინციპებს მივყავართ ესთეტიკურ ფასეულობათა კლასიკური სისტემის დესტაბილიზაციამდე. პოსტმოდერნიზმი უარს ამბობს ხელოვნების დიდაქტიკურ-პროფეტულ შეფასებაზე“ (ჯანჯიბუხაშვილი 2003: 64).

აქედან გამომდინარე, იქმნება ერთგვარი ჩაკეტილი წრე — ერთი მხრივ, კანონიზებულ ანტისისტემურობას, ადოგმატურობას, პანიკილისტურ დომინანტას ერთგულად ემსახურება ირონიულ-პაროდიული ნაკადის ლამის „ქარხნული წესით“ დამზადების ინტენსივობით „შექმნილი“ ფაბრიკაციები, მეორე მხრივ, სუბიექტის, ნორმათა წინააღმდეგ პიროვნული ნების კარნახით (და არა ნებადართული, ანუ კონფორმისტული „ნორკონ-ფორმიზმით“) მოქმედი ინდივიდის აქტიური სივრციდან გაქრობამ შვაისეთი დაუძლეველი კონფორმიზმი, რაც თავისი არსით შეუძლებელს ხდის „ახალი იდეის“ კანონიზების ყველა მაპროვოცირებელი ფაქტორის ნარმოქმნას როგორც ხელოვნების რეციპიენტთა წრეში (მოგეხსენებათ, საზოგადოებას გემოვნების საზომს ხელოვნების აქტიური ე.ნ. „ელიტური“ რეცაპიენტები კარნახობენ), ისე თავად შემოქმედის აქტივობისას.

ზემოთქმულის დასტურია ის ფაქტი, რომ ხელოვნების ელიტური დარგები (მოგეხსენებათ, ყოველი ეპოქა ზედაპირზე „ამოისვრის“ ხელოვნებისა და კულტურის ელიტურ დარგებს: მაგალითად, ახლად პროტესტანტულ — ანგლიკანურ ინგლისში — თეატრი, ბაროკოსა და განმანათლებლობის ეპოქაში — ოპერა, მოდერნისტულ ეპოქაში კინემატოგრაფიდა ა.შ.) დროთა განმავლობაში სულ უფრო მეტად „დამთმობა“ ხდება მასკულტურის ისეთი კატეგორიების მიმართ, რომელთაც, შემოქმედების დაუწერელი კოდექსის თანახმად, აქტიურად უნდა შეენინაღმდეგოს:

„აქსიოლოგიური ძვრა უფრო მეტი ტოლერანტობისკენ მრავალმხრივ უკავშირდება ახალ მიმართებას მასკულტურისადმი, აგრეთვე მი ესთეტიკურ ფენომენებს, რომელთაც ადრე პერიფერიულად მიმჩნევდნენ“ (ჯანჯიბუხაშვილი 2003: 64).

კულტურის პერიფერიული ფენომენების გადომინანტურებასა და შედეგად, სიმულაკრას ტყვეობაში მყოფი პოსტმოდერნისტული ეპოქის შესახებ ხათუნა თავდგირიძეც იმავეს წერს:

„პოსტმოდერნისტული ეპოქა ესაა ფანტაზმებისა და სიმულაციების ეპოქა. თუ ჩვენ ჯერ კიდევ ვიმყოფებით პოსტმოდერნიზმში და თუ ჩვენ ჯერ კიდევ არ გადაგვილახავს „ბორიტი სახის დემონი“, ეს ნიშნავს, რომ ჩვენ ვცხოვრობთ ჰიპერრეალურ (ბოდრიარის ტერმინოლოგით) სამყაროში, სადაც რეალობა არსებობს არა ობიექტურ რეალობაში (რაც ასევე პირობითია), არამედ იმ ფორმა-შინაარსში, რომელსაც აკანონებს ისეთი ტოტალური ფენომენები, როგორიცაა ტრანსპოლიტიკა, მასმედია, პიარტექნოლოგიები, მასკულტურა, სოციალური ვებ-ქსელები, გასართობი სისტემები და ა.შ.“ (თავდგირიძე 2012: 15).

იმავე პოზიციას გამოხატავს სოსო სიგუა. ის თანამედროვეობას ხელოვნების არსებითი ფუნქციის უგულებელყოფას საყვედურობს. შესაბამისად, „ახალი იდეის“ წარმოქმნის შემაფერხებელ ფაქტორად ისიც ხელოვნების სახელით „შეფუთულ“ და ჭარბად გავრცელებულ სიმულაკრუმს მიიჩნევს: „საზოგადოება ეჭვით ეკიდება ხელოვანს, როცა იგი ჰგავს ქურუმს, მღვდელმთავარს თუ განდეგილს. მას კლოუნი უფრო მოსწონს. არა იმიტომ, რომ ართობს, არამედ — იმიტომ, რომ ვინმეზე აღმატებას არ ცდილობს, როგორც ხუმარა და ტაკიმასხარა. მაგრამ გმირს ემორჩილება, რომელიც ძალაუფლების

ნების ხორცესხმაა. ძველ დროში ხელოვნების მთავარ სახედ კომედია არ ითვლებოდა. ძირითადი იყო ტრაგიკული გმირი. ახალმა დრომ შეამცირა სულისშემძვრელი ტრაგიზმის მნიშვნელობა და ხელოვნებას მსუბუქი გამრთობის ფუნქცია გაუძლიერა“ (სიგუა 2005: 509).

დასასრულს თავს უფლებას მივცემ, წარმოდგენილ მსჯელობას გავამდიდრებ ნახევრად მხატვრული პასაჟით, სათქმელის უკეთ გადმოსაცემად. წარმოიდგინეთ, რა მოხდებოდა იმ შემთხვევაში, დემიურგს სამყაროს შექმნამდე კიდევ ათასი სამყარო რომ პქონოდა შექმნილი, რომელთა ფორმებიც, იდეებიც, ფერებიც, ხაზებიცა და მრუდებიც დიდი ხნის წინ პქონდა მოპეზრებული?! ვეჭვობ, ამგვარ ვითარებაში მის მიერ შექმნილი სიცოცხლე ისეთი მშვენიერებით განხორციელებულიყო, როგორსაც მას — ახლა და ყოველთვის ხედავდა ადამიანი. შესაქმის პირველ თავში, ე.ნ. „შესაქმის პიმნში“ შესანიშნავად არის ხაზგასმული ეს ერთგვარი სულიერი კატეგორია, გნებავთ, ფსიქოლოგიური მომენტი, რომ სამყაროს შექმნა თავად ღმერთისთვისაც იყო სიახლე და ყოველ ჯერზე, როცა ის დღეების თანმიმდევრობით რაიმეს ქმნიდა, თავადვე აკვირდებოდა და თავადვე მოსწონდა, საკუთარ თავს „ნახელავს“ უქებდა: „დასაპამად ქმნა ღმერთმან ცაი და ქუცეანა. ხოლო ქუცეანა იყო უხილავ და განუმზადებელ და ბრელი იყო ზედა უფსკრულთა და სული ღმრთისავ იქცეოდა ზედა წყალსა. და თქუა ღმერთმან: იქმენინ ნათელი! და იქმნა ნათელი და იხილა ღმერთმან ნათელი, რამეთუ კეთილ“ (შესაქმე 1:1) (ძეგლები 1989: 62). აქედან გამომდინარე, თუკი თავად პირველი დემიურგიის ანუ ნებისმიერი შემოქმედებითი აქტის იპოდიგმის ერთ-ერთი არსებითი მხარე არის სიახლე, თავად შემოქმედის დამოკიდებულება, რომელიც ერთგვარ ბავშვურ ინტერესს, ცინცხალ მიდგომას, საკუთარი ქმნილების საშუალებით „ახალი იდეის“ ხილვის წყურვილს გულისხმობს, მაშინ მით უფრო საფიქრებელია, რომ „ახალი თეორიის“, „ახალი იდეის“, ჭეშმარიტებისა და მუდმივი კანონის ხელახლა აღმოჩენის მიმართ ცინცხალი ინტერესის, აზარტის, მხატვრული შემოქმედების ფარგლებში ერთგვარი „შემოქმედებითი ავანტიურის“ გარეშე ხელოვნებასა და ლიტერატურაში შეუიარაღებელი თვალითაც შესამჩნევი კრიზისის დაძლევა წარმოუდგენელი უნდა იყოს.

## დამოცვებანი:

**ბიგანიშვილი 2010:** ბიგანიშვილი თ. ჟანრის თეორიის კულტუროლოგიური ასპექტი. // ლიტერატურული ძიებანი. XXXI. თბ.: ლიტერატურის ინსტიტუტის გამომცემლობა, 2010.

**თავდგირიძე 2012:** თავდგირიძე ხ. ტრიქსტერი და სიმულაკრა. // სჯანი. XII. თბ.: ლიტერატურის ინსტიტუტის გამომცემლობა, 2011-12.

**რატიანი 2009:** რატიანი ი. ჟანრის თეორია. თბ.: 2009.

**სიგუა 2005:** სიგუა ს. ესთეტიკური გრძნობისა და თხზვის არქეოლოგია. // ლიტერატურული ძიებანი. XXVI. თბ.: ლიტერატურის ინსტიტუტის გამომცემლობა, 2005.

**ტაბუცაძე 2012:** ტაბუცაძე ს. „რომანტიზმის შემდეგ...“ // სჯანი. XII. თბ.: ლიტერატურის ინსტიტუტის გამომცემლობა, 2011-12.

**ძეგლები 1989:** ძველი ქართული მნერლობის ძეგლები. თბ.: „მეცნიერება“, 1989.

**ჯანჯიბუხაშვილი 2003:** ჯანჯიბუხაშვილი მ. კულტუროლოგია. თბ.: „წყაროსთვალი“, 2003.

## **Nihilism as the Pan-idea of Postmoderne and the Vecuum of the “New Theory”**

### **Abstract**

**Key words:** Postmoderne, pan-idea, crisis of culture, literature, new trends, simulacrum, eschatology.

The article offers an analysis of problems and questions of post postmoderne period. The culture, the art and the literature are concrete forms of creation. Their being and development are based on the reanalysis and interpretations of the eternal and changeable forms of being and the culture.

This process will be impossible without reproduce of new trends and streams of the art and literature. The provoke of this process may become the “new idea”, the “new theory” or the ‘new myth’ of the reality and being. But if the epoch of postmoderne is the reserved system, which based on the resistance of main values of the creation, so the reason of reproduce new trends and streams of the art and literature is distrusted in the beginning.

This tendency is called nihilism. So, this article consists of parts of the structure of the difficult meaning of this term.

The paradigm of the “new idea” is based on a dialectical problem of relation on the one hand the traditional forms and ideas of the culture, the art and the literature, and the other hand of new forms and ideas of the creation.

Mythologists and culturologists describe this process and it is called as a dialectical problem of Trickster – Simulacra.

The paradigm of “mythical time” is simulated by such simulated phenomenon as “mythological villain-Trickster”. Manifestations of Trickster in myth are directed to the “false pretenderence” of the whole identification of “mythical original” - Demiurg. Trickster is a typical simulacra with its demonic and “faceless” system”. Just with these main dialectical aspects they are absolutely identical.

Trickster - Simulacra does not have the beginning, it is tied to the Demiurg’s beginning and it has not got any face. This is the main dialectical differential factor between Simulacra and the copy. Simulacra – is a face which is far from “similarity”. That makes Simulacra “faceless” pointless, but gives it dialectical matter of “twin” and ‘double’. It is formed in magic fairy-tale with the same matter, in which it appears as “false-hero”.

Comic and humor means releasing from dramatic, relieving from inner pressure, overcoming conflict and nervous situations, instinctive demand of a game. So, the main form of tragedy as a main form of drama is ignored in this process of creation.

The problem of “alternative theory”, which must create the basis of new trends and streams of the art and the literature development, is very important to find the main reason of crisis of the art and the literature and basicly - the culture.

## **Свобода и Необходимость: понимание и интерпретация в переводе**

В современном переводоведении процесс перевода понимается как процесс создания «нового текста, который бы полностью и адекватно заменял текст оригинала в другой культуре и другой коммуникативной ситуации» (Проконичев 2010: 29). По определению В.С.Виноградова, «перевод – это особый, своеобразный и самостоятельный вид словесного искусства. Это искусство вторичное, искусство “перевыражения” оригинала в материале другого языка. Переводческое искусство, на первый взгляд, похоже на исполнительское искусство музыканта, актера, чтеца тем, что оно репродуцирует существующее художественное произведение, а не создает нечто абсолютно оригинальное, тем, что творческая свобода переводчика ограничена подлинником. Но сходство на этом и кончается. В остальном перевод резко отличается от любого вида исполнительского искусства и составляет особую разновидность художественно-творческой деятельности, своеобразную форму “вторичного” художественного творчества», – отмечает ученый (Виноградов 1978: 8). С ним полемизирует Н.К.Гарбовский: «Перевод действительно является искусством перевыражения, но он не “вторичное искусство”. Переводчик не репродуцирует подобно копиисту уже существующее речевое произведение. Он действительно ограничен в известной степени рамками оригинального речевого произведения. Но искусство его не в том, чтобы повторить нечто уже созданное. Его искусство в том чтобы создать новое произведение в иной семиотической системе, для иной культурной среды, иногда и для иной эпохи. Перевод речевого произведения с одного языка на другой – это такой же творческий процесс, как постановка кинофильмов и спектаклей, создание опер и балетов по литературным произведениям, живопись на библейские и другие литературные сюжеты и многие другие виды межсемиотического перевода» (Гарбовский 2007: 357). Таким образом, несмотря на различия, обе концепции сходятся в том, что создаваемый переводчиком текст – *новый*, а сам переводческий процесс – *искусство*. Такого же мнения придерживаются практически все ведущие теоретики переводоведения, различия в концепциях фиксируются, в основном, в сфере понимания их авторами вопроса «вторичности» создаваемого текста, т.е. меры его зависимости от оригинала.

Мысль о том, что результативность переводческого труда (как и любого творческого процесса) во многом определяется творческим потенциалом и личностью переводчика, далеко не нова. Поэтому логичным было бы ожидать, что в созданном им новом тексте, в той или иной мере, неизбежно должно присутствовать и творческое «Я» его создателя. Поскольку основная задача переводчика – не нарушая внутренней структуры переводимого текста, «вписать» его в инонациональную культурную среду – сделать доступным и понятным иноязычному читателю, то сама степень этого «присутствия», на наш взгляд, во многом определяется дистанцированностью первичного текста от реципиента, преодоление которой в процессе создания нового текста требует творческого подхода и высокого мастерства при выборе переводческих стратегий. Поясним это положение.

При создании адекватного оригиналу нового иноязычного текста огромное значение имеет преодоление культурной дистанции. Возникновение культурной дистанции обуславливается воздействием различных факторов, и создаваемые ими культурные барьеры определяются как

пространственными, так и временными параметрами. Переводчик, как правило, сталкивается с сочетанием различных типов культурных барьеров, что, естественно, усложняет его задачу. Прежде всего, это дистанция между различными культурными полями – т.н. межкультурные различия: различия в языковых и концептуальных картинах мира. Переводчик постоянно находится между двумя культурными (языковыми) полюсами. Эту ситуацию А.Д. Швейцер называет «парадоксом, при котором: а) перевод должен читаться как оригинал и б) перевод должен читаться как перевод». Поскольку первое (полная адаптация) невыполнимо, то, по мнению исследователя, «всякое решение переводчика носит компромиссный характер» (см.: Швейцер 2009: 81). «В отличие от человека говорящего, находящегося внутри “своей” семиосферы, переводчик попадает в пересечение, по крайней мере, двух семиосфер: “своей” и “чужой”, представленной подлежащим переводу текстом» (Базылев... 2000: 56). Таким образом, детерминированная по меньшей мере двумя семиотическими моделями (картинами) мира, переводческая деятельность, прежде всего, требует учета различий между этими моделями и их преодоления (культурной адаптации). Определяя перевод как «отражение одной знаковой системы определенной реальности, уже отраженной средствами другой», Н.К.Гарбовский специально оговаривает, что «при этом всякий перевод предполагает более или менее значительное преобразование системы смыслов исходного речевого произведения» (Гарбовский 2007: 227, 228). Следовательно, созданные на различных языках тексты просто не могут быть абсолютно равнозначными: согласно известному утверждению А.Д. Швейцера: «чем сложнее и противоречивее предъявляемые к переводу требования <...>, чем шире функциональный спектр переводимого текста, тем меньше вероятность создания текста, представляющего собой зеркальное отражение оригинала» (Швейцер 1989: 54-55).

Нередко эпоха создания переводимого произведения удалена во времени от момента создания перевода. Возникающие в таких случаях культурные барьеры обусловлены наличием хронологической дистанции. В подобных случаях от переводчика требуется знание основных культурных механизмов эпохи создания первичного текста и их национальной специфики в обеих культурах – в этих случаях научная компетенция переводчика обретает особую значимость (см. Модебадзе 2011).

Кроме того, поскольку исходный текст является художественной реализацией авторской модели мира (см.: Лукин 1999: 94), без понимания индивидуальной специфики этой модели, т.е. без проникновения во внутренний мир автора, при переводе созданного им произведения сам автор (его творческая индивидуальность) может «сгладиться», «расторгнуться» (вплоть до полного исчезновения) в созданном переводчиком тексте.

Как видим, при создании адекватного текста преодоление культурной дистанции во многом определяется *знанием* не только языка оригинала, но культуры, которой принадлежит переводимый текст, эпохи его создания, специфики основных культурных механизмов, оказывавших воздействие на формирования национальной модели мира в ту эпоху и индивидуальной – авторской – модели мира, вернее, основанном на этом знании *понимании*. Именно поэтому Ж.Мунен сравнивал перевод с медициной: подобно медицине перевод является искусством, но искусством, опирающимся на науку (Mounin, 1963).

Подводя итог, можно утверждать, что перевод, т.е. перенесение текста в иноязычную культурную среду, это всегда сложный коммуникативный акт, включающий активное участие творческого «Я» переводчика и, прежде всего, *понимания* им переводимого произведения. Процесс

понимания в данном случае включает не только “историческое понимание” (см. Хайдеггер [online]), но, прежде всего, герменевтический процесс раскрытия смыслов переводимого текста и преодоления культурной дистанции, а также, если использовать термин М. Вебера (см. Вебер 1990), ориентирующеся на повседневный опыт и практическую жизнь “актуальное понимание”, ведь, «воспринимая текст, мы в большей или меньшей мере анализируем его в поисках рациональной адаптации для системы своих понятий, для собственной базы знаний, накопленных нами при использовании аккумулятивной функции родного языка. Из сказанного становится особенно понятной поговорка “Сколько людей – столько мнений”, представленная в различных интерпретациях во многих языках и культурах», – отмечает (Семенов 2008: 9-10)<sup>1</sup>.

Акт понимания реализуется в толковании – *интерпретации* переводимого текста. Сущность интерпретации П. Рикер определяет как «работу мышления, которая состоит в расшифровке смысла, стоящего за очевидным смыслом, в раскрытии уровней значения, заключенных в буквальном значении», т.е. обнаружении «множественности смыслов» (Рикер 1995: 18). Он особо отмечает, что у интерпретации «глубокий замысел – преодолеть культурную отдаленность, дистанцию, отделяющую читателя от чуждого ему текста, чтобы поставить его на один с ним уровень и таким образом включить смысл этого текста в нынешнее понимание, каким обладает читатель» (Рикер 1995: 4). Переводчики часто вплотную сталкиваются с основанной на аллегорической функции языка т.н. «проблемой множественности смыслов», когда автор, «говоря одно, говорит и другое»\* (Рикер 1995:97). Как отмечал еще Аврелий Августин, в таких случаях «переводчик часто ошибается, и на основании двусмысленности языка оригинала, тот, кому не вполне понятна мысль, переносит на нее значение, которое вовсе чуждо смыслу писателя» (Августин 2001:75), поэтому чем большее количество смыслов (соответственно, и возможных трактовок) содержит высказывание, тем выше роль субъективного фактора – восприятия текста самим переводчиком, что позволяет говорить о проблеме перевода в общем контексте проблемы интерпретации.

В научной литературе по переводоведению неоднократно высказывалась мысль о том, что, поскольку каждый перевод дает лишь определенную (и всегда лишь частичную) интерпретацию переводимого произведения, переводы подвержены «старению» как в языковом плане, так и в плане представленных в них интерпретаций: эволюция литературных традиций и связанное с ней изменение переводческих норм оказывает существенное воздействие на представление об адекватности перевода<sup>2</sup> (см., напр.: Швейцер 2009). Великие произведения содержат множество смыслов, поэтому, добиваясь максимальной близости к оригиналу, каждый переводчик, интерпретируя первичный текст, прежде всего, определяет приоритеты – то, что представляется ему наиболее важным в переводимом произведении. Таким образом, соблюдение основного принципа переводческой деятельности (близость к оригиналу) в пределах процесса понимание/интерпретация оказывается в прямой зависимости от выбора переводчика, и именно здесь наиболее явно проявляется его творческое и личностное «Я». Так реализуется диалектическое

\* В древности на Руси переводчика называли «толмач», т.е. толкователь чужих мыслей. Толковый «Словарь грузинского языка» XVII в. также объясняет слово Targmani /targmani/ (перевод), как «толкование иносказательного слова» (Орбелиани 1991: 301). Сама лексема явно указывает на еще более древнее иудейское «таргумим»: «У иудеев уже ко времени Эздры (сер 5 в. до Р.Хр.) возник обычай публично читать Пятикнижие, а затем отрывки из Пророков <...> чтение сопровождалось переводом текста на народное наречие. Отсюда возникли халдейские, вернее, еврейско-арамейские переводы (таргумим)...» (Православная... 1993, с.230). Подробнее об истории теоретического осмыслиения перевода в Грузии см.: Модебадзе... 2008.

единство: *необходимость* (близость к оригиналу) требует переводческой свободы (творческого подхода), но эта *свобода*, в свою очередь, ограничена необходимостью (художественными параметрами оригинального текста), пределы же сферы взаимодействия свободы и необходимости определяются мерой *понимания* переводимого текста. Полагаем, что именно этой спецификой переводческой деятельности и объясняется тот факт, что часто мы имеем несколько различных переводов одного и того же произведения на тот или иной язык. Их сопоставительный анализ позволяет выявить специфику творческих подходов, судить об особенностях культурной эпохи создания перевода (как фактора, определяющего уровень исторического знания и, соответственно, восприятие переводчиком первичного текста), господствующих в ту или иную эпоху переводческих нормах и о многом другом.

Попробуем проиллюстрировать вышеизложенные положения на примере последнего из опубликованных полных поэтических переводов поэмы Ш.Руставели «Вепхисткаосани» (XII в.), известной русскоязычному читателю как «Витязь в тигровой шкуре». Мы остановили наш выбор на этом переводе по нескольким причинам: во-первых, начиная с XIX в., поэма Руставели неоднократно переводилась на русский язык: наличие различных переводов дает возможность их сопоставления, наглядно выявляя многообразие творческих подходов; кроме того – все полные поэтические переводы поэмы датируются советской эпохой, а перевод Г.Девдариани принадлежит уже иной – постсоветской эпохе; а, предваряющая перевод вступительная статья содержит ценную для нашего исследования информацию.

\* \* \*

Прежде всего, следует отметить, что история переводов поэмы Ш.Руставели на русский язык насчитывает уже более полутора веков. Впервые о существовании «грузинской поэмы» русский мир узнал в начале XIX в. из книги писателя-богослова, префекта Александро-Невской Академии Евгения Болховитинова «Историческое изображение Грузии в политическом, церковном и учебном ее состоянии» (СПб., 1802г.). В ней подробно описана поэма, которой дана высокая оценка (К истории... 2007: 390). Уже в 1804 г. труд Е.Болховитинова был переведен на немецкий язык. Он «сыграл важную роль в выработке взглядов о Руставели как в России, так и за рубежом, способствовал появлению [имени] Руставели в русской литературе» (Имедашвили 1957: 5)\*. Сведения из этого труда (об эпохе царицы Тамар и о самом произведении) были использованы Я.Лангеном в его «Описании Кавказа с кратким историческим и статистическим описанием Грузии» (1805г.) и Н.М. Карамзиным в «Истории государства Российского» (1818г., т. VI). Позднее появляется ряд специальных статей, посвященных «Вепхисткаосани» и ее авто-

ру. «Многие из них были написаны либо грузинами, либо русскими деятелями, связанными с грузинами, либо побывавшими в Грузии» лицами (Богомолов 1984:178). И, наконец, в 50-ых годах XIX в. публикуются первые переводы на русский язык отрывков из поэмы (И.Бардтинского «Тариэль. Барсова кожа» – в петербургском художественно-литературном журнале «Иллюстрация» №№ 6-7 за 1845г. и И.Евлахова – в газете «Кавказ», в №15 за 1846г.). Тогда же в грузинской критике развернулась острые полемика по поводу того, что важнее сохранить при переводе – «дух» или форму? Споры сразу же обрели общетеоретический характер<sup>3</sup>. С тех пор поэма неоднократно переводилась на русский язык. На сегодняшний день известно более шестидесяти

\* Здесь и в дальнейшем перевод научных цитат с грузинского языка наш – И.М.

русскоязычных переводов (включая прозаические и частичные). В том числе, практически, построчный прозаический перевод С.Иорданишвили – 1934г. и десять полных поэтических переводов. Общеизвестные: *К.Бальмонта* – 1933г., *Г.Цагарели* – 1937 г., *П.Петренко* – 1938 г., *Ш.Нуцубидзе* – 1941г., *Н.Заболоцкого* – 1958г.; малоизвестный – *Г.Девдариани* – 2004г., а также, опубликованные лишь частично, переводы *Н.Мзареулова (Реулло)*, *К.Ованова* и неопубликованный – *В.Джорджикия* (см. Андгуладзе 1969). К сожалению, до наших дней не дошли подстрочники Ал.Сараджишвили и Д.Чубинашвили, по которым работали переводчики поэмы XIX в. Как видим, все полные переводы датируются XX веком.

მთელი ლონდონი ყალყზე დადგა. კეთილისმსურველნი ცდილობდნენ დუელი თავიდან აეცილებინათ.

— საჯაროდ ბოდიში მომიხადოს და ვაპატიებ! — მოითხოვა დოილმა.

ვუდი სულითხორცამდე ოფიცერი გახლდათ, შესაბამისად, მისთვის წარმოუდგენელი იყო ბოდიშის მოხდა.

კონან დოილიც, როგორც პოლკის ექიმი, არაერთ სამხედრო ექსპედიციაში იღებდა მონაწილეობას. დოილი ჩინებული მსროლელი იყო და კუნთებიც ფოლადისა ჰქონდა.

— ის დახელოვნებული მოკრივე და მორაგბე იყო. ჯარში სამსახურისას კრივში პოლკის ჩემპიონიც კი გახდა, — ნერს დოილის ბიოგრაფი და დეტექტიური ლიტერატურის აღიარებული ოსტატი ჯონ დიქსონ კარი.

ასე რომ, დუელი შედგა. დოილი უჩვეულოდ მშვიდი იყო. ის მეგობრებს ჰქონდებოდა:

— ამ საცოდავს არ მოვკლავ, მაგრამ ჭკუას კი სამუდამოდ ვასწავლი!

სერ არტურმა პირობა შეასრულა. პოლკოვნიკი ვუდი მან მუხლში დაჭრა, მაგრამ არ მოკლა.

— ვუდი მთელი ერთი წლის განმავლობაში მკურნალობდა. ის გადარჩა და არც დაკოჭლებულა, — ნერს ელერ ქუინი (დეტექტივის ამერიკელი ოსტატების დენნეისა და ლის ფსევდონიმი).

ასე დაიცვა სერ არტურ კონან დოილმა თავისი ლირსება.

## უზბეკის პოეტის აუხდენელი ოცნება

გადიოდა დრო. დეტექტიური ლიტერატურა ევროპის წიგნის ბაზარზე მტკიცედ დამკვიდრდა. ამის პარალელურად ძლიერდებოდა აზრი, რომ დეტექტიური ლიტერატურა ძველ ჩინეთში შეიქმნა.

— ბევრი ამას ყურადღებას არ აქცევდა, ბევრს კი დაებადა სურვილი ეპოვა დეტექტივის ჩინური ნიმუშები, — წერს ვან დაინი.

მათ რიცხვს მიეკუთვნებოდა იმხანად უკვე გამოჩენილი უზბეკი პოეტი — ჯადიდი ჰამზა ჰაკიმ-ზადე ნიაზიც (1899-1930).

— ის საოცრად იმპულსური და, იმავდროულად, საოცრად წესიერი, კეთილშობილი კაცი იყო, — წერს ცნობილი უზბეკი მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე მუსტაფა ჩოკაევი.

ჯადიდთა მოძრაობა, როგორც ცნობილია, ისლამის განახლებას ცდილობდა. ჩოკაევი, რომელიც თავის დროზე ამ მოძრაობაში ჰამზასთან ერთად მონაწილეობდა, ჯადიდებსა და სოციალ-დემოკრატებს შორის ერთგვარ პარალელსაც კი ავლებს.

— სოციალ-დემოკრატებთან, მართლაც, ბევრი რამ გვქონდა საერთო. თუნდაც ის, რომ ორივენი სოციალურ რეფორმებსა და ევროპასთან დაახლოებას მოვითხოვდით. თუმცა განსხვავებაც იყო: სოციალ-დემოკრატები ათეისტები იყვნენ, ჩვენ კი ისლამურ პოზიციებზე ვიდექით.

ჰამზა ფეთქებადი და თავნება ბუნების კაცი იყო, ამიტომაც ხშირად ჰქონდა კონფლიქტები როგორც მუსულმანურ სამღვდელოებასთან, ასევე მორწმუნებთანაც. მოლებს ის საჯაროდ და ფრიად უხეში ფორმით უსიამოვნო შეკითხვებს უსვამდა. მართალია, კოკანდის მუსულმანური სამღვდელოების თავკაცი (ჰაზრათი) მიან ქუდრათი ყველას სთხოვდა, ჰამზას შემწყნარებლურად მოეპყარითო, მაგრამ ხშირ შემთხვევაში ეს ვერ სრულდებოდა. მალე ჰამზას კონფლიქტები მამასთანაც დაეწყო:

— უდმერთო წიგნებს კითხულობს! მის სულს შაითანი დაეპატრონება, — ამბობდა მამა.

ამ „ულმერთო“ წიგნებს ჰამზას მისი შეყვარებული, ეროვნებით რუსი აქსინია უვაროვა აძლევდა. მაშინდელ შუა აზიაში წარმოუდგენელი იყო, რომ მუსულმან მამაკაცს მართლმადიდებელთან რომანი გაება. ჰამზა ამას არ შეეპუა. აქსინიასთან აშკარად და ყველას თვალინ დასეირნობდა.

— ბოლოს და ბოლოს ეს იმით დამთავრდა, რომ მამამ შვილი დაწყევლა და სახლიდან გამოაგდო, — წერს უზბეკი ისტორიკოსი, პროფესორი ბაიმირზა ჰაითი.

ჰამზამ ქედი არც ახლა მოიდრიკა. ის ძალიან განათლებული კაცი იყო (ბრწყინვალედ დაამთავრა მედრესე, იცოდა არაბული, სპარსული, რუსული, ინგლისური ენები, აგრეთვე ლეთისმეტყველება და აღმოსავლური ფილოსოფია). უვაროვასაც (ის უბრალო ექთანი გახლდათ) მასთან საუბარი უდიდეს სიამოვნებას ანიჭებდა. ქალი დეტექტიური ლიტერატურით იყო გატაცებული. მისი წყალობით ჰამზა ედგარ პოს, უილკი კოლინზის, ემილ გაბორიოს, კონან დოილისა თუ სხვა ოსტატების შემოქმედებას ეზიარა. ჰამზა აღტაცებული იყო. მან გადაიკითხა ყელაფერი, რაც დეტექტიურ ლიტერატურასთან იყო დაკავშირებული იყო. მან გადაიკითხა ყელაფერი, რაც დეტექტიურ ლიტერატურასთან იყო დაკავშირებული იყო.

— ნუთუ დეტექტიური ლიტერატურა მართლაც ძველ ჩინეთში შეიქმნა? — კითხულობდა ჰამზა.

ამ საკითხმა იმდენად დააინტერესა, რომ ყველაფრის მიტოვებასა და ჩინეთში გამგზავრებასაც კი აპირებდა. აქსინია სერიოზულად შეშინდა. ქალი უკვე ფეხმძიმედ იყო. საფრთხე, რომ ჰამზა მას მიატოვებდა და ჩინეთში გაემგზავრებოდა, ძალზე რეალური იყო.

— ჰამზა ხომ გატაცების კაცი იყო, — წერს ჩოკაევი, — ის ემოციებით ცხოვრობდა და არა გონიერით.

მალე ხანძრისას ჰამზას მამა ტრაგიკულად დაიღუპა. ჰამზაზე ამან უდიდესი გავლენა იქონია. პოეტმა მექაში წასვლა და მომლოცველობით ცოდვათა მონანიება გადაწყვიტა. აქსინია ცდილობდა მის შეჩერებას, მაგრამ ამაღდ. ჰამზაზე არც იმან იმოქმედა, რომ აქსინიას შვილი ეყოლა:

— ჰამზა მექაში გაემგზავრა, აქსინიამ კი ბავშვს ხელი დაავლო და რუსეთში წავიდა, — წერს კამილ იაშენი.

მექამდე მგზავრობა იმხანად იოლი როდი იყო. ჰამზასაც გზაში არაერთი ხიფათი გადახდა. მიუხედავად ამისა, მან მექას მიალნია და მუჰამედის საფლაკს თაყვანი სცა. ამის შემდეგ პოეტს დაებადა დაუოკებელი სურვილი, ჩინეთში გამგზავრებულიყო და დეტექტივების ჩინური ნიმუშები მოეძებნა. ეს მხოლოდ იმიტომ ვერ მოახერხა, რომ მოგზაურობისათვის ფული აღარ ჰქონდა.

— ჰამზა სამშობლოში დაბრუნდა. მისი შემდგომი ბედი კი ტრაგიკულად წარიმართა, — წერს ჩოკაევი.

ოტრომბრის გადატრიალების შემდეგ ჰამზა ბოლშევიკებს მიემხრო. მიუხედავად ამისა, მან ხმამაღლა გაილაშქრა „წითელი ტერორის“ წინააღმდეგ, რის გამოც დააპატიმეს და პარტიიდან გარიცხეს. შემდგომში პოეტი გაათავისუფლეს. ცხოვრებაზე გულგატეხილი ჰამზა შვებას დეტექტიურ ლიტერატურაში ეძებდა. ამ დროს ძველი ოცნებაც გაიხსენა:

— ჩინეთში გავემგზავრები და დეტექტიურის ჩინურ ნიმუშებს მოვძებნი!

ჰამზას ეჭვი არ ეპარებოდა, რომ ასეთი ნიმუშები მართლაც არსებობდა. რასაკვირველია, არც დოილი და არც პო პლაგიატები არ ყოფილან, უბრალოდ, ისინი დამოუკიდებლად მიეიღინენ იქამდე, რასაც ჩინელებმა უძეველეს დროში მიაღწიეს. ჰამზას ოცნება ახლაც განუხორციელებელი დარჩა. ასეთი შორეული მოგზაურობისათვის მას ფული არ ჰქონდა.

— მოგვიანებით შუა აზიაში პოლიტიკური ვითარება შეიცვალა. ჰამზაც ინტრიგებში აღმოჩნდა ჩათორეული, — წერს ჩოკაევი.

შუა აზიაში საბჭოთა ხელისუფლების დამყარება უდიდეს სირთულეებთან იყო დაკავშირებული. ამის გამო კრემლს კომპრომისებზე წასვლა მოუხდა. შენარჩუნდა მუსულმანური სამღვდელოების გავლენა, მეჩეთებს ჩამორთმეული მინები დაუბრუნდათ, შარიათის სასამართლოებიც კვლავინდებურად მოქმედებდა. შუაზიელ კომუნისტთა უმრავლესობის პოზიცია მოსკოვისათვის მიუღებელი იყო. ყველაზე საშიშ ფიგურად უზებეთის განათლების სახალხო კომისარი, რისკულოვი მიიჩნეოდა, რომელიც რუსიფიკაციას ეწინააღმდეგებოდა და ეროვნული კულტურის განვითარებისათვის იღვწიდა.

— რისკულოვი ე.ნ. „წაციონალ-კომუნისტებს“ განეკუთვნებოდა, — წერს აბდირაჰმან ავტორხანოვი, — მის გარშემო თავი მოიყარეს მწერლებმა, პოეტებმა, მეცნიერებმა, ყველამ, ვისაც თავის ერზე გული შესტკიოდა.

მოსკოვმა რისკულოვზე იერიში მიიტანა. ამ საქმეში კრემლმა ჰამზას გამოყენებაც სცადა. 1926 წელს ჰამზას პირველს მიენიჭა უზებეკეთის სახალხო პოეტის წოდება. რისკუ-

ლოვზე მისმა თავდასხმებმაც სისტემატიური ხასიათი მიიღო. ჰამზამ სასტიკად გააკრიტიკა ცნობილი უზბეკი მოღვაწეები ფიტრათი, ჩოლპანი, ბათუ, რამზი და სხვები. მისი დახმარებით მოსკოვმა შეძლო სკანდალების აგორება:

— ჰამზას გამოხტომებით ყველა შეწუხდა, — წერს ჩოკაევი.

ჰამზას უახლოესი მეგობარი ალჩინბეკი ნაზირი რისკულოვის მოადგილე იყო. ის დიდ-ხანს და ამაოდ ცდილოდა ჰამზასათვის აეხსნა, რომ მას უზბეკეთისადმი მტრულად განწყობილი ძალები იყენებდნენ. ამან შედეგი არ გამოიღო. მაშინ ნაზირიმ შესთავაზა:

— რა იქნება, რომ ჩინეთში წახვიდე და დეტექტიური ლიტერატურის პირველი ნიმუშები მოძებნო? ეს ხომ შენი ახალგაზრდობის ოცნებაა!?

— კარგი იქნება! — ჰამზას თვალები გაუბრნებინდა.

პოეტის შეჩერება ვერაფერმა შეძლო. ვერც იმან, რომ ჩინეთი შორს იყო, ვერც სამოქალაქო ომმა. ჰამზა მზად იყო მიეტოვებინა ყველაფერი, თეატრი, რომლის მხატვრული ხელმძღვანელიც იყო, დაფასება, რაც მას, როგორც სახალხო პოეტს ჰქონდა, ახლად შერთული ცოლი და ა.შ. ცრობლება მხოლოდ ფული იყო. ნაზირიც შეჰპირდა, რომელიმე ექსპედიცაში ჩაგრთავო. ეს ვერ მოხერხდა. საბჭოთა უშიშროება ჰამზას საზღვარგარეთ გამგზავრებას რატომდაც წინ აღუდგა. პოეტი ამან ძალზე გაანაწყენა. ჰამზას უზბეკეთის მაშინდელი უმაღლესი საბჭოს თავჯდომარე ახუნბაბაევი ესაუბრა. მისმა წინადაღებამ, მუშაობა დაეწყო პირველი უზბეკური ოპერის შექმნაზე, დაამშვიდა პოეტი. თავის მხრივ უზბეკეთის ცენტრალურ კომიტეტში ზეიმობდნენ. როგორც იქნა, მოხერხდა სკანდალების ჩაცხრობა და ჰამზას პოლიტიკიდან ჩამოშორება.

— როცა კოლექტივიზაცია დაიწყო, კრემლმა ჰამზას გამოყენება კვლავ სცადა, — წერს ჩოკაევი.

როგორც ცნობილია, პოეტი ტრაგიულად დაიღუპა. ის შეეცადა სოფელ შაპიმარდანში სუკის პროვოკაციას წინ აღდგომოდა. ეს ვერ მოხერხდა. ფანატიკოსების გამხეცებულმა ბრძოლ ჰამზა ჩაქოლა.

პოეტმა თავისი სანუკარი ოცნება ვერ აღსრულა, დეტექტივის ჩინური ნიმუშები ვერ იპოვა.

## მისტერ ჯონსონის ძიებანი

დეტექტიური ლიტერატურის გარშემო მითქმა-მოთქმა გრძელდებოდა. ჩინეთში მოხვედრილი ბევრი ევროპელი მეცნიერი თუ მზვერავი ცდილობდა დეტექტივის ჩინური ნიმუშების პოვნას. ამას შეეცადა ინგლისელი მეცნიერი ჯონსონიც, რომელიც ჩინეთის მომავალი იმპერატორის პუს აღმზრდელად მიიწვიეს.

— ჯონსონი არა მხოლოდ მეცნიერი, არამედ მზვერავიც იყო, — წერს იულიან სემიონოვი, — მისი ფუნქციებიც აღზრდის ფარგლებს სცილდებოდა. ის ინგლისის გარკეული წრეების დავალებით ნორჩ პუს აკვირდებოდა, ცდილობდა გაერკვია, რამდენად შესაძლებელი იქნებოდა დიდი ბრიტანეთის ინტერესებისათვის მისი გამოყენება.

ჯონსონმა პუსთან მეგობრული ურთიერთობების დამყარება შეძლო. იმპერატორს მან არა მარტო ინგლისური ენა ასწავლა, არამედ ინგლისური და ამერიკული ლიტერატურაც გააცნო. ჯონსონის წყალობით პუ გაეცნო დოილის, კოლინზის, მორის ლებლანისა თუ დეტექტივის სხვა ოსტატების ნაწარმოებებს.

— რა შესანიშნავი წიგნებია! — აღფრთოვანებული იყო პუ.

ის დეტექტიური ლიტერატურის კითხვაში დამეებსა ათენებდა და ჯონსონს თავის შთაბეჭდილებებს გულაბდილად უზიარებდა. ამ საუბრებმა ისინი ერთმანეთთან დააახლოვა:

— რა შესანიშნავი მწერლები გყოლიათ, — აღტაცებას ვერ მალავდა პუ, — ჩვენ, ჩინელებს, ამისი მსგავსი არაფერი გაგვაჩნია.

— ამბობენ, რომ დეტექტიური უანრი სწორედ აქ, ჩინეთში, შეიქმნაო, — ფრთხილად შენიშნა ჯონსონმა.

— მართლა?! — პუმ გაოცებით ასწია წარბები, — ამის თაობაზე არაფერი მსმენია.

— ევროპაში ამის შესახებ კარგა ხანია ლაპარაკობენ, — გაიცინა ჯონსონმა, — ერთ-ერთმა თავგაცხელებულმა კონან დოილს პლაგიატშიც დასდო ბრალი! მწერალმა ის დუელში გამოიწვია!

— სწორადაც მოქცეულა, — კვერი დაუკურა პუმ, — ჩინურ ლიტერატურას შესანიშნავად ვიცნობ, ამის მსგავსი ჩვენ არაფერი გვაქვს.

— მაგრამ, თქვენი უდიდებულესობავ, ალბათ დამეთანხმებით, რომ ზოგიერთ წყაროში მოეპოვება ცნობები, რომ ჩინელი მწერლები დანაშაულის გამოძიებას დიდ ყურადღებას უთმობდნენ და ამას აღწერდნენ?

— ეს ცარიელი სიტყვებია. დამისახელეთ თუნდაც ერთი მწერალი, რომელსაც თავის ნაწარმოებებში ეს აღწერილი აქვს!

— მაგას ვერ დაგისახელებთ, — ჯონსონმა ხელები გაასავსავა.

— ავანტიურული სიუჟეტები ანტიკურ ტექსტებშიც გვხვდება, — გაიცინა პუმ, — ისევე, როგორც შექსპირთან. იმედია, არ დამინყებთ იმის მტკიცებას, რომ შექსპირი დეტექტივებს წერდა?

— რა თქმა უნდა, არა, — გაიცინა ჯონსონმა, — შექსპირთან არ არსებობს დეტექტიო, ან ძიება. იგივე შეიძლება ითქვას ანტიკურ ეპოქაში შექმნილ ნაწარმოებებზეც. დეტექტივებს ისინი არასეგზით არ განეკუთვნებიან.

— აი, ამაშია საქმე.

— კი მაგრამ, თქვენი უდიდებულესობავ, განა არ შეიძლება, რომ ნაწარმოები დაკარგულიყო? ჩინეთში ხომ მილეთის ხალხმა გაიარა.

— ჰოდა იპოვეთ, ნარმომიდგინეთ და სიხარულით დაგეთანხმებით, — გაიღიმა პუმ, — მეც, როგორც ჩინელი, სიამაყით აღვივსები, თუ აღმოჩნდება, რომ დეტექტიური ლიტერატურა ჩემმა თანამემამულებმა შექმნეს.

ჯონსონი, მართლაც, შეეცადა დეტექტივის ჩინური ნიმუშები ეპოვა, მაგრამ მისი ყველა მცდელობა მარცხით დამთავრდა:

— მიზანს ვერ მივაღწიე, მაგრამ მაინც ეჭვი არ მეპარება, რომ დეტექტიური უანრი პირველად აქ, ჩინეთში, შეიქმნა, — განუცხადა მან პუს.

— კი, მაგრამ რას ეფუძნება თქვენი რწმენა? თვით ჩინელებსაც კი არ ახსოვთ ასეთი ნაწარმოებები.

— გეთანხმებით, მაგრამ მე, ჩინური კულტურის დიდ თაყვანისმცემელს, ასეთი რწმენა გამიჩნდა. სამწუხაროდ, არ შემიძლია ეს არგუმენტებით დავასაბუთო, მაგრამ მწამს, რომ დეტექტივი მართლაც აქ, ჩინეთში, შეიქმნა!

ცოტა ხნის შემდეგ ჯონსონი ჩინეთიდან გაემგზავრა. დეტექტივის ჩინურ ნიმუშებს მან ვერ მიაკვლია.

## დისკუსიების დასასრული

დისკუსიებს თემაზე, როდის ნარმოიქმნა დეტექტიური ლიტარატურა, წერტილი 1949 წელს დაესვა, როდესაც ტოკიოში გამოქვეყნდა ჩინური დეტექტივების კრებული „შემთხვევა მსხლის ხის ქვეშ“. მწერალ ვან გულიკის ცნობით ინგლისელმა არქეოლოგმა ბატლერმა ეს კრებული ჩინეთის ერთ-ერთ მონასტერში 1949 წელს აღმოაჩინა.

მეცნიერებმა დაასკვნეს, რომ ჩინური კრებული ჩვენი წელთაღრიცხვის მე-7-8 საუკუნეებში შეიქმნა. ავტორის ვინაობის დადგენა ვერ მოხერხდა, თუმცა ბევრმა გამოთქვა ვარაუდი, რომ ეს დეტექტივის პირველი ნიმუშები არ იყო.

— აღნიშნული მოთხრობები ძალიან მაღალი დონისაა, — წერს ვან გულიკი, — შესაბამისად, ეჭვი მეპარება, რომ ეს დეტექტივის პირველი ნიმუშებია. უბრალოდ, ეს ის ქმნილებებია, რომელთა პოვნაც მოხერხდა.

ჩინური დეტექტივების გმირია მოასამარლე დი. ის რეალურად არსებული პირონებაა და მისი სრული სახელი დი უენ-ჩია. ის იყენებს იმავე დედუქციურ მეთოდს, რომელსაც კონან დოილისა და ედგარ პოს გმირები.

— გარეგნული მსგავსება მართლაც არსებობს, — წერს ვან გულიკი, — მაგრამ ეს მხოლოდ გარეგნული მსგავსებაა. არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება იმისი თქმა, რომ კონან დოილი, ედგარ პოს გმირები იყვნენ.

მართლაც ჩინური დეტექტივები დოილისა და პოს თხზულებებისაგან საფუძვლი-ანად განსხვავდება. აშკარაა, რომ არც დოუპენის, არც შერლოკ ჰოლმის შემქმნელმა მათ შესახებ არაფერი იცოდნენ. ძველ ჩინეთში შეიძლილი დეტექტივები გამოირჩევა ამაღლებული სტილით, მოქმედება ვითარდება ნელა, არ არის ევროპული და ამერიკული დეტექტიური ლიტერატურისათვის დამახასიათებელი დინამიზმი, აბსოლუტურად განსხვავებულია წერის ტექნიკა თუ სიუჟეტური სქემები. ბევრ ნანარმოებში მოქმედებენ ე.ნ. „არაამქვეყნიური ძალები“, რომელთა არსებობაც ძველ სამყაროში სწამდათ. ამრიგად, ესაა აბსოლუტურად განსხვავებული თხზულებები. საერთო მხოლოდ ისაა, რომ ნანარმოები დეტექტიურ უანრს განეკუთვნება.

— ჩინურ მოთხრობებში, ისევე როგორც ედგარ პოსთან, ძირითადი თემაა საიდუმლოებით მოცული დანაშაული და მისი გახსნა, — წერს ვან გულიკი, — ამრიგად, ჩინური მოთხრობები თავისუფლად შეიძლება დეტექტიურ უანრს მივაკუთვნოთ. ისინი ბევრად ადრე შეიქმნა, ვიდრე პოს, დოილის ან სხვა ოსტატთა ქმნილებები. მიუხედავად ამისა, ეს ამერიკელი და ევროპელი ავტორების დამსახურებას ოდნავაც არ აფერმკრთალებს. ისინი დამოუკიდებლად მიიღინენ იქამდე, სადამდეც ბევრად ადრე ძველი ჩინეთის მწერლები.

ჩინურ დეტექტივებში მთავარი გმირი მოასამართლეა. ეს არაა შემთხვევითი, რადგანაც ძველ ჩინეთში მოასამართლის ფუნქციებში მსჯავრის გამოტანის გარდა, გამოძიებაც შედიოდა. დანაშაულის დამამტკიცებელ საბუთად ბრალდებულის აღიარება ითვლებოდა, მაგრამ თუკი ბრალდებულს ცემის ან ნამების ნიშნები აღმოაჩნდებოდა, ის ავტომატურად ცხადდებოდა უდანაშაულოდ. მოასამართლესაც უნდა გამოეჩირიკა დანაშაულის დამამტკიცებელი ფაქტები. ამრიგად, ის შეთავსებით მაძებარიც იყო, შესაბამისად, დეტექტიური ნანარმოების გმირი.

— უნდა ვივარაუდოთ, რომ დის გარდა, ჩინურ დეტექტიურ ლიტერატურას სხვა გმირებიც ჰყავდა, — წერს ვან გულიკი, — დი ალბათ ყველაზე პოპულარული იყო, ამიტომაც მასზე დაწერილმა მოთხრობებმა ჩვენამდე მოაღწია.

მოსამართლე დის თავგადასავლებისადმი მიძღვნილი დეტექტიური ნაწარმოებები ინგლისურად ითარგმნა. მკითხველმა ისინი საკმაოდ ცივად მიიღო. მასობრივი მკითხველისათვის მიუღებელი აღმოჩნდა ამაღლებული სტილი, ცრურნმენები და მისტიციზმის მოქარბებული დოზა. აღნიშნულმა ნაწარმოებებმა მხოლოდ სპეციალისტები დააინტერესა. მაშინ ვან გულიკმა ისინი ძირულად გადაამუშავა, მისტიციზმი ამოიღო, თხრობაც უფრო საინტერესო და დინამიური გახდა. ვან გულიკის ნაწაროებები ბესტსელერებად იქცა. ისინი მრავალ ენაზე ითარგმნა და ეკრანზეც იქნა გადატანილი.

## ეპილოგი

ამრიგად, დეტექტიური ლიტერატურა, მართლაც, ჩინეთში შეიქმნა. თანამედროვე მეცნიერებამ ჯერჯერობით მხოლოდ მე-7-8 საუკუნეში შექმნილ ნიმუშებს მიაკვლია. შესაბამისად, პიონერის როლი მართლაც ჩინელებს ეკუთვნით, თუმცა ისიც უდავოა, რომ ამას მსოფლიო ლიტერატურულ პროცესზე არავითარი გავლენა არ მოუხდენია.

— დეტექტივის ჩინური ნიმუშები თავად ჩინეთშიც კი მივიწყებული იყო, — წერს კიოსტკეი, — ამერიკელმა და ვროპელმა მკითხველმა დეტექტიური უანრი ედგარ პოს, კონან დოილის, ლებლანდის, გაბრის, კოლინზის თუ სხვა ოსტატების წყალობით გაიცნო. სწორედ მათ ჰყავდათ მიმდევრებიც და არა დეტექტივის შემქმნელ ჩინელ მწერლებს, რომელთა სახელიც უცნობი დარჩა.

მართლაც, ახალი დროის ჩინელმა მკითხველმაც კი დეტექტიური ლიტერატურა უანრის ამერიკული და ინგლისური ნიმუშებით გაიცნო. იგივე შეიძლება ითქვას აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებზეც. იაპონურ ლიტარატურაში დეტექტიური უანრი მხოლოდ მე-20 საუკუნიდან გვხვდება და ეს დასავლური კულტურის იქ შეღწევის შედეგია. ამ უანრში მოღვაწე პიონერი ცნობილი იაპონელი მწერალი ედოგავა რამპოს სახელს ატარებდა. ედოგავა იაპონიზირებული ედგარია, რამპო კი — პო.

— ედოგავა რამპო ედგარ პოს მხურვალე თაყვანისმცემელი იყო, — წერს იულიან სემიონოვი, — დეტექტივების ნერაც მან ედგარ პოს გავლენით დაიწყო. წლების მანძილზე ედოგავა რამპო იაპონურ დეტექტიურ ლიტარატურაში უდავო ლიდერად ითვლებოდა. ყველა იაპონელი მწერალი მას ბაძავდა.

1955 წელს სამწერლო ასპარეზზე გამოვიდე მეორე მწერალი, რომელიც ედოგავა რამპოს პიონერლობაში შეეცილა. მკითხველმა ის სეიტე მაცუმონტოს ფსევდონიმით გაიცნო (ნამდვილ გვარია კიოპარუ). სწორედ ამ მწერლის სახელს უკავშირდება „სოციალური დეტექტივის“, ანუ, როგორც იაპონელები უწოდებენ, „სუირი სიუსეცუს“ შექმნა. მაცუმონტოს ნაწარმოებების კითხვისას უმაღლ თვალში გეცემათ ამერიკელი და ევროპელი მწერლების — ჰემეტის, ჩენდლერის, ჩეიზის, არნოს, მაკდონალდის, გლაუზერის გავლენა. იგივე შეიძლება ითქვას იაპონური დეტექტივის ისეთ ოსტატებზეც, როგორებიც არიან სიიტი მორიმურა, ეისუკე ნაკაძონო, კობაიასი და ა.შ.

— ჩვენ დეტექტიურ ლიტერატურას ევროპელებისა და ამერიკელების გავლენით ვეზიარეთ, — წერს ცნობილი იაპონელი კრიტიკოსი გონდა მანდზი.

ამრიგად, მრავალი წლის დისკუსიას წერტილი დაესვა. დეტექტივის შექმნის საქმეში პიონერლობა უდავოდ ჩინელებს ეკუთვნით, თუმცა ეს სულაც არ ამცირებს ედგარ პოს, კონან დოილისა თუ სხვა ოსტატების ღვანლს.

## **დამონიბანი:**

**ბელზა 1989:** Белза А. *От Шерлока холмса до комиссара Мегре. Мастера детектива.* М.: „Правда“, 1989.

**ბუალო-ნარსეუჯაკი 1964:** ბუალო-ნარსეუჯაკი. პოლიციური რომანი. პარიზი: 1964 (ფრანგულ ენაზე).

**გონდა მანდზი 1988:** Гонда Мандзи. „Проблемы детективной литературы“. М.: „Прогресс“, 1988

**ვან გულიკი 2003:** Ван Гулик Р. *Избранное.* т. 1. М.: „Радуга“, 2003.

**ვან დაინი 1990:** Ван Дайн С. С. *Двадцать правил для написания детективных романов.* М.: „Радуга“ 1990.

**იაშენი 1988:** Яшен К. Хамза. М.: „Советский писатель“, 1988 .

**კაიუმავი 1990:** Каюмов Л. Хамза. М.: „Советский писатель“. 1990.

**კარი 1949:** Carr, J. D. *The Life of Sir Artur Conan Doyle.* London: 1949.

**კიოსტჭევი 1990:** Кестхей Т. *Анатомия детектива.* Будапешт: „Корвина“, 1990.

**კრებული 1949:** Знаменитые дела судьи Ди. М.: 1954.

**კრებული 1991:** *Turkestan.* Varchava: 1991.

**რაინოვი 1875:** Райнов Б. *Черный роман.* М.: „Прогресс“, 1875.

**ქუინი 1929:** Queen E. *The Roman Hat Mystery.* New York: 1929.

**Nika Tevzadze**

## **When the Detective Literature Originated**

### **Abstract**

**Key words:** detective literature, Edgar Poe, Conan Doyle, Chinese detective

The paper is to discuss the origins of detective literature. For many years we have believed that detective genre was created by Edgar Allan Poe, an American writer. However, the fact that the first detective stories were written in China was proved in 1949.

The paper presents intense and lengthy discussions about the origins of detectives, including the description of Conan Doyle's duel - after the writer was accused of plagiarism as well as quests of an English scientist and spy called Johnson, which ended unsuccessfully. In 1949 English archeologists discovered detective texts dating back to 7th-8th centuries in one of the convents in Tibet. This fact put to an end all the arguments about this topic. There are some presumptions that there might be even much older Chinese detective stories that were not found then. So, it is officially proved that Chinese pioneered in creating this literary genre but people forgot about them (even in China). The world – including China – learnt about detective genre after they had read the creations by Poe, Collins, Gaboriau, Doyle. As a result, not Chinese texts but these creations had a huge influence on the literary processes of the World.

# ლიტერატურული მერიდიანები

კონსტანტინე ბრეგაძე

## მოდერნისტული ლირიკის დისკურსი და გალაკტიონის „ლურჯა ცხენები“

### შესავალი

თანამედროვე და უახლოეს ქართულ ლიტერატურულ კრიტიკაში განსაკუთრებული კვლევის საგანი იყო და არის გალაკტიონის „ლურჯა ცხენები“, რაც, სავარაუდოდ, თავად ტექსტის განსაკუთრებული და გამოკვეთილი „მოდერნისტულობით“ აიხსნება, რაც ვლინდება როგორც საზრისისეულ (იდეურ-ფილოსოფიურ), ისე სტრუქტურულ-ფორმალურ დისკურსთა დონეებზე, ვინაიდან: **a)** ერთი მხრივ, „ლურჯა ცხენების“ ტექსტში განვითარებულია ტრადიციული ლირიკული გმირის გაუქმებისა და მისი „განპიროვნების“ ტენდენცია, რაც ლირიკული ტექსტის საზრისისეულ დისკურსში ვლინდება, როგორც მოდერნიზმის ეპოქის ადამიანის აპრიორული ეგზისტენციალური კრიზისის პოეტოლოგიური გამოხატულება: „ლურჯა ცხენების“ ლირიკული გმირი გაუცხოებულია მეტაფიზიკური პირველსაწყისებისადმი, იგი სამყაროში ვეღარ ახდენს თვითიდენტიფიკაციას, შედეგად კი ლირიკულ „მე“-ში აპრიორულად მოცემულია ყოფიერების დისპარმონიულობის ტრაგიკული განცდა; **b)** მეორე მხრივ, გალაკტიონის ლირიკულ ტექსტში აპრიორულია აბსოლუტური პოზისადმი ტენდირება (რაც, ზოგადად, მოდერნისტული ლირიკის, ამ შემთხვევაში სიმბოლისტური ლირიკის, უმთავრესი პოეტოლოგიური მახასიათებელია), რაც ვლინდება აბსოლუტური მუსიკალურობისადმი სწრაფვასა და პოეტური მეტყველების მიზანმიმართულ სუგესტიურობაში, რა დროსაც მაქსიმალურად ხორციელდება ტრადიციული ლირიკისათვის დამახასიათებელი სიტყვის (ასევე ფრაზის, სინტაგმატური ბმულობის) შიგნით მოცემული ნიშნისა და აღსანიშნის მთლიანობის, ხოლო პოეტური სიმბოლოს შიგნით მოცემული სახისა და იდეის მთლიანობის რღვევა და „განეიტრალება“.

„ლურჯა ცხენები“ საგანაგებო სტატიებს უძღვნიან რ. სირაძე (სირაძე 2008: 215-229), რ. ხალვაში (ხალვაში 2010: 129-140) და პ. წიფურია (წიფურია 2009: www...): რ. სირაძე და რ. ხალვაში თავიანთ სტატიებში „ლურჯა ცხენების“ ინტერტექსტულურ მიმართებებს ავლენენ და განიხილავნ, ხოლო პ. წიფურია გვთავაზობს, ერთი მხრივ, სიმბოლიზმის ძირითადი მსოფლმხედველობრივი და პოეტოლოგიური პრინციპებისა, და მეორე მხრივ, ზოგადად ქრისტიანული მსოფლმხედველობის კონტექსტთა ჭრილში ლირიკული ტექსტის საზრისის ჰერმენევტიკისა (აქვე უნდა შევნიშნო, რომ „ლურჯა ცხენების“ წიფურიასეული ინტერპრეტაცია პარადიგმატული მაგალითია ლირიკული ტექსტის შინაგანი ლოგოსის, ანუ, ტექსტის სიღრმისეული დაფარული საზრისის განმარტებისა და წვდომის თვალსაზრისით). გალაკტიონის სხვა ლირიკული ტექსტებისა, და ზოგადად, გალაკტიონის შემოქმედების კონტექსტში „ლურჯა ცხენებს“ ფილოსოფიური,

პოეტოლოგიური, კომპარატივისტული, ინტერტექსტუალური თუ ვერსიფიკაციული პერსპექტივებიდან განიხილავენ გ. კანკავა (კანკავა 1964: 7-11), მ. კვესელავა (კვესელავა 1977: 61-64), რ. ბურჭულაძე (ბურჭულაძე 1980: 169-178) მ. კოსტავა (კოსტავა 1990: 129-135), ა. ხინთიბიძე (ხინთიბიძე 1992: 126-128), ი. კენჭოშვილი (კენჭოშვილი 1999: 92, 131, 158), ს. ბარამიძე (ბარამიძე 2003: 150-155), ზ. შათირიშვილი (შათირიშვილი 2004: 97-99).

### I. „ლურჯა ცხენები“, ანუ ქართული მოდერნისტული ლირიკის დაბადება\*

მოდერნისტული ლირიკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პოეტოლოგიური და სტრუქტურული მახასიათებელია ის, რომ ტრადიციული ლირიკისაგან განსხვავებით, რომელიც ძირითადად ორიენტირებულია ლირიკული გმირის/ლირიკული „მე“-ს მკვეთრად გამოხატულ სუბიექტურობასა და მის მსოფლმხედველობრივ და ემოციონალურ წიაღსვლებზე (მაგ. სენტიმენტალური, რომანტიკული, ან რეალისტური პოეზია), რომელსაც შემდგომ ეფუძნება ტრადიციული ლირიკული ტექსტის მთელი იდეურ-მსოფლმხედველობრივი, სახისმეტყველებითი და სტრუქტურულ-კომპოზიციური სისტემა, მოდერნისტულ ლირიკაში ამის საპირისპიროდ ან უკანა პლანზე გადადის, ან სრულიად გაუქმებულია ე.წ. ლირიკული გმირი/ლირიკული „მე“ და მისი მკვეთრად გამოხატული სუბიექტურობა. შესაბამისად, მოდერნისტული ლირიკის ლირიკული „მე“ ტექსტში უკვე აღარ ფუძნდება უმთავრეს საბაზისო სტრუქტურულ ერთეულად, ანუ, ავტორისა და ტექსტის ძირითადი მსოფლმხედველობრივი და ემოციური მთლიანობის მედიუმად, რომლის გარშემოც ტრადიციულ ლირიკაში შემდგომ იგება ხოლმე ლირიკული ტექსტის მთლიანი სტრუქტურულ-ფორმალური სისტემა (ტროპიკა, რიტორიკა, ვერსიფიკაცია) (ანდრეოტი 2009: 306-329). შედეგად, მოდერნისტულ ლირიკულ ტექსტში ე. წ. ლირიკული „მე“ და მისი სუბიექტურობა ან სრულიად „განეიტრალებულია“, უკანა პლანზე გადადის, ან სულაც გაუქმებული და უკუგდებულია, მაგ., ექსპრესიონისტულ ლირიკაში.

მოდერნისტულ ლირიკაში მოცემული ეს სტრუქტურული „რყევა“, ერთი მხრივ, გამოწვეულია სამყაროსეული ჰარმონიულობისა და ყოფიერების გონითი წარმართულობისადმი მოდერნისტი ავტორის უნდობლობით და მიუღებლობით (ჰეგელის ნაკადის უარყოფა), მეორე მხრივ, გონიერი განმანათლებლური კულტისა და სუბიექტის სუბიექტურობის ყოვლისშემძლეობისადმი სკეპსისით (კანტიანურ და ფიხტეანურ ნაკადთა უარყოფა). აქ კი ვლინდება მენტალობის გლობალური და საყოველთაო ცვალებადობა (**Mentalitätswandel**) — ოფიცინტრისტული და ანთროპოცენტრისტული არქეტიპული პარადიგმების დესტრუირება, რაც გამოწვეულია ნიცშესეული ღმერთის სიკვდილით. ამიტომაც, მოდერნისტულ ლირიკულ ტექსტებში იმთავითვე გაცხადებულია სუბიექტურობის კრიზისი და ლირიკულ გმირის სუბიექტურობისაგან დაცლა, მისი განპიროვნება (**Entpersönlichung**), რაც, როგორც უკვე აღვიჩნე, აისახა მოდერნისტული ლირიკის თვით სტრუქტურულ დონეზეც კი, სადაც ლირიკული გმირის დისოცირებული, დაშლილი, დარღვეული სუბიექტურობა აღარ ფუძნდება ლირიკული ტექსტის საბაზისო სტრუქტურულ ერთეულად.

\* ჩემთვისაც მისაღებია ა. ხინთიბიძის დებულება, რომლის თანახმადაც ქართული ლირიკის ძირეული განახლება, ანუ ქართული მოდერნისტული ლირიკის საბოლოო დაფუძნება სწორედ გალაკტიონს უკავშირდება და არა „ცისფერყანწელებს“, ან იმ პერიოდის სხვა ქართველ პოეტებს (მაგ., ა. აბაშელის) (ხინთიბიძე 1992: 152-164).

გალაკტიონის სიმპოლისტური და პოსტსიმბოლისტური ლირიკა ზედმიწევნით ასახავს, ერთი მხრივ, ამ სტრუქტურულ ტრანსფორმაციას, ხოლო, მეორე მხრივ, მენტალობის ცვალებადობით განსაზღვრულ სუბიექტურობის დაშლასა და რღვევას (**Ichdissoziation**), სუბიექტის განპიროვნებას, რისი პარადიგამტული ნიმუშია „ლურჯა ცხენები“: ლირიკული ტექსტის სტრუქტურაში წინა პლანზე გამოდის არა მყარი ლირიკული „მე“ საკუთარი მყარი მსოფლმხედველობით, ღრმა და ამაღლებული პიროვნული განცდებითა და ემოციებით, მაგალითად, როგორც ეს ილიას, ან ვაჟას ტრადიციულ ლირიკაშია, არა-მედ აქ უკვე მოცემულია დაშლილი, დისპარმონიული, დეპერსონალიზებული ლირიკული გმირი. შესაბამისად, ლირიკული ტექსტის ონტოტექსტუალობა უკვე ასახავს სამყაროს ისეთს, როგორიც ის არის, ანუ სამყაროს, რომელიც ლირიკული, „მე“-ს ცნობიერებისეული ნებელობის მიღმა და მისგან მოწყვეტილად და დამოუკიდებლად ეგზისტირებს (ფიხტეანური ნაკადის გაუქმება): ანუ, აქ გვაქვს ვითარება, როდესაც ლირიკული გმირის ცნობიერებასა და განცდაში ყოფიერება ფუძნდება თავისი აპრიორული დისპარმონიულობით, უსაზრისობითა და მიზანსმოკლებულობით, რასაც იგი იმთავითვე ვერ ცვლის და ვერ უპირისპირდება, არამედ პირიქით — მოდერნისტული ტექსტის ლირიკული გმირი ყოფიერების ამ დისპარმონიულობასა და აპოკალიფსურობას სრულად ექვემდებარება: „ლურჯა ცხენების“ „განპიროვნებული“, დესუბიექტივირებული ლირიკული გმირიც სწორედ ასეთ დისპარმონიულ, დისოცირებულ, დაშლილ სამყაროში ეგზისტირებს და სრულიად ატომიზდება მასში, საბოლოოდ ინთენდება და ქრება არარაში.<sup>1</sup>

გალაკტიონის „ლურჯა ცხენების“ მთლიან ტექსტუალურ სივრცეში, ანუ ლექსის ონტოტექსტუალობაში, სწორედ ყოფიერების ატელეოლოგიური, აბსურდული, ყოველგვარ მიზანსა და საზრისს მოკლებული არსი და ადამიანური ეგზისტენციის ამაოებაა გაცხადებული. ხოლო, ლირიკულ ტექსტში მოცემული ონტოლოგიური სურათის მიხედვით, ყოველგვარ საზრისს მოკლებული ყოფიერება და ადამიანის არსებობა მხოლოდ სამყაროს ერთადერთ ირაციოანალს — ნებას (**Wille**) — ეფუძნება, მისი გამოვლინებაა, რამდენადაც თავად ნებაა ყოფიერების აპრიორული პირველსაწყისი. ამ ონტოლოგიური ირაციოანის — ნების — როგორც სამყაროს ერთადერთი საწყისის, მხატვრულ სიმბოლოდ ეკისფში ფუძნდება ლურჯა ცხენების სახისმეტყველება: ლურჯა ცხენების უსასრულო და ყოველგვარ მიზანს მოკლებული სრბოლა სიმბოლურად განასახიერებს სამყაროში სწორედ ნების და არა გონის აბსოლუტურობას, სიცოცხლისეული ენერგიის, სიცოცხლისეული ნებელობის სტიქიურ, დაუდგრომელ და საზრისმოკლებულ ბუნებას, სამყაროსეული ნების ატელეოლოგიურ არსს, რის საფუძველზეც ყოფიერებაში ადამიანის ეგზისტენციას აპრიორულად ეკარგება ყოველგვარი საზრისი:

მხოლოდ ნისლის თარეში, სამუდამო მხარეში

ზევით თუ სამარეში, წყევლით შენაჩვენები

როგორც ზღვის ხეტიალი, როგორც ბედის ტრიალი

ჩქარი გრვინვა გრიალით ქრიან ლურჯა ცხენები! (ტაბიძე 2011: 79).

აქედან გამომდინარე, ყოფიერების ის სურათი, რომელსაც გალაკტიონი „ლურჯა ცხენებში“ გადმოსცემს, გამორიცხავს ყოველგვარ ტელეოლოგიას, რამდენადაც ლირიკული ტექსტის ონტოტექსტუალურ სივრცეში ნათლად იკვეთება ადამიანის ეგზისტენციის სრული უპერსპექტივობა — იგი (ეგზისტენცია) საზრისმოკლებული და მიზანსმოკლებული მოცემულობაა, ვინაიდან ტრანსცენდენტურობა („სამუდამო მხარე“) უკვე

ყველაფრისაგან გამიჯნული, თავისთავად და თავისთავში არსებული მონადური ყოფი-ერებაა, იგი საგანია თავისთავად, რომელიც სუბიექტისათვის საბოლოოდ და სამუდამოდ მიუწვდომელია (თანაც, როგორც ირკვევა, ეს „სამუდამო მხარე“ ტრადიციული გაგების საღვთო სასუფეველი, პარადიზული ყოფიერება კი არ არის, არამედ — არარა, „მარადისი, გასხივებული მხარე, სადაც არაა სიცოცხლე“ — ტაბიძე 2004: 17). ეს კი იმთავითვე გამორიცხავს ადამიანის ეგზისტენციის ტელეოლოგიურობასა და თეოცენტრისტულობას:

როგორც ნისლის ნამქერი, ჩამავლ მზით ნაფერი,  
ელვარებდა ნაპირი სამუდამო მხარეში!  
არ ჩანდა შენაპირი, ვერ ვნახე ვერაფერი,  
ცივ და მიუსაფარი მდუმარების გარეშე.  
მდუმარების გარეშე და სიცივის თარეში,  
სამუდამო მხარეში მხოლოდ სიმწუხარეა! (ტაბიძე 2011: 78).

ამგვარად, გამომდინარე იქიდან, რომ ყოფიერება ყოველგვარ აზრს მოკლებულია, ამ ონტოლოგიურ ვითარებაში უკვე თავად ადამიანის ეგზისტენციაც კარგავს ყოველგვარ საზრისს, ადამიანის არსებობა გადაიქცევა ინდივიდუალური ნებელობის გაუთავებელ უმიზნო გამოვლინებად, რომლის ფინალიც მხოლოდ არარასეულ „არსებობაში“ გადასვლა, ანუ სრული გაქრობა და არყოფნაა: სიკვდილის ტოპოსის და აპოკალიფსური ვიზიონების ინტენსივობით („შეშლილი სახეების ჩონჩხიანი ტყეებით“) ლირიკულ ტექსტში სწორედ ადამიანური ეგზისტენციის სრული არარაობა, ამოება და საბოლოო ფინალობაა გაცხადებული — ანუ, გალაკტიონთანაც ადამიანური ეგზისტენცია მოიაზრება როგორც აბსურდულობითა და საზრისმოკლებულობით განპირობებული მუდმივი და უსასრულო ტანჯვა და სასოწარევეთა, სადაც შოპენჰაუერისაგან განსხვავებით, ადამიანს არასოდეს უნერია ექსტატიური თვითჩაღრმავება და ნირვანასეული გარინდებისაგან მოგვრილი ნეტარება:

ცეცხლი არ კრთის თვალებში, წევხარ ცივ სამარეში,  
წევხარ ცივ სამარეში და არც სულს უხარია.

.....  
ყვავილნი არ არიან, არც შვება-სიზმარია!  
ეხლა კი სამარეა შენი განსასვენები!  
რომელი სცნობს შენს სახეს, ან ვინ იტყვის შენს სახელს?  
ვინ გაიგებს შენს ძახილს, ძახილს ვინ დაიჯერებს?  
ვერავინ განუგეშებს საოცრების უბეში,  
სძინავთ ბეჭელ ხვეულებში გამოუცნობ ქიმერებს! (ტაბიძე 2011: 78-79).

ამიტომაც მიმაჩნია, რომ გალაკტიონის ლირიკული ტექსტის დისკურსი „ბედისწერით დადგენილი საზღვრების გარღვევისა“ და „ადამიანური შეზღუდულობის დაძლევის“ პათოსით კი არ არის მოცული (კვესელავა 1977: 63-65), ღურჯა ცხენების სახისმეტყველება „სულის უკვდავებას, სულის მარადიულ ქროლას“ (კენჭოშვილი, 1980: 45), გალაკტიონის „პოეზიის უკვდავ ბუნებას“ (კანკავა 1964: 9), ან „ღურული ცხენების სიმბოლიკა ლირიკულ ტექსტში, ერთი მხრივ, ფუძნდება როგორც სიკვდილის ტოპოსი, რომლის ფარგლებშიც სიმბოლურად განსახიერებულია სუბიექტის სრული გაქრობა და მისი ეგზისტენციის სას-

რულობა, რაზეც ლურჯა ცხენების იმთავითვე საიქიოსკენ სრბოლა მიანიშნებს — „ჩემი ლურჯა ცხენებით ჩემთან მოესვენებით, ყველანი აქ არიან“ (შდრ.: ერთი მხრივ, ცხენი, როგორც სიკვდილის სიმბოლო, ხოლო, მეორე მხრივ, ლურჯი ფერის სახისმეტყველება, სადაც ლურჯი ფერი სიკვდილის სიმბოლოცაა — მეცლერი... 2008: 47, 274); ხოლო, მეორე მხრივ, ლურჯა ცხენები სიმბოლურად განასახიერებენ ყოფიერების ბრძა, სტიქიურ, დიონისურ, ირაციონალურ, ყოველგვარ მიზანსა და საზრისა მოკლებულ პირველსაწყისს — აბსოლუტურ წებას, რომელიც სამყაროში ვლინდება როგორც დაბადებისა და კვდომის უსასრულო და საზრისმოკლებული ციკლი, ვლინდება როგორც უსასრულო თავისთავადი წარმოქმნა და გაქრობა.<sup>2</sup>

მიმაჩნია, რომ „ლურჯა ცხენების“ ონტოტექსტუალურ სივრცეში ინტენცირებული დისოციაციური დისკურსები, ანუ, ღმერთის სიკვდილით გამოწვეული მყარი ეგზისტენციალური საყრდენის დესტრუქცია და ეგზისტენციალური უპერსპექტივობა („წევხარ ცივ სამარეში და არც სულს უხარია“), ზოგადად თანხვდება შოპენჰაუერის წების მეტფიზიკოსა და ნიცშეს ერთი და იმავეს მარადიული დაბრუნების (ანტი-)სწავლების დისოციაციურ დისკურსებს. თუმცა გალაკტიონი საკუთარი და მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი სუგესტიური პოეტური მეტყველებისა და სიმბოლისტური სახისმეტყველების საფუძველზე სუბიექტის სუბიექტურობისა და მონესრიგებული და პარმონიული სამყაროს რღვევასა და დაშლას (რაც ჯერ კიდევ შოპენჰაუერთან და ნიცშესთან იღებს სათავეს) ესთეტიკურად კიდევ უფრო აღრმავებს, განავრცობს, აუკიდურესებს, ამდენად, აჟყავს ახალ მადისოცირებელ ხარისხში, რის შედეგადაც ფილოსოფოსთაგან მომდინარე იდეური იმპულსები და ინსპირაციები გალაკტიონთან ტრანსფორმირდება და გარდაისახება სრულიად ახალ საზრისისეულ და ესთეტიკურ ზეგანზომილებად, რის საფუძველზეც „ლურჯა ცხენები“ უკვე გადადის თვითმყოფად აბსოლუტურ ესთეტიკურ ეგზისტენციაში და ფუძნდება როგორც აბსოლუტური პოეზიის ნიმუში.

## დასკვნები

1. „ლურჯა ცხენების“ ტექსტი ავლენს მოდერნისტული ლირიკისათვის დამახასიათებელ ორ აპრიორულ განზომილებას — მასში მოცემულია თავისებური სტრუქტურული და მენტალური „რყევა“: ერთი მხრივ, ტრადიციული ლირიკული გმირის, როგორც ტექსტის მთავარი საპაზისო სტრუქტურული ერთეულის, დესტრუქცია-გაუქმება, მეორე მხრივ, თეოცენტრისტული მენტალობის დესტრუქციით გამოწვეული სუბიექტურობის მონოლითურობისა და ყოფიერების პარმონიულობის რღვევა-დაშლა. ამას ერთვის ლირიკულ ტექსტშივე მოცემული მოდერნისტული ლირიკის სხვა პოეტოლოგიური მახასიათებლები: ერთი მხრივ, პოეტური სიმბოლოს ფარგლებში სახე-აზრისა (**Bild-Sinn**), და მეორე მხრივ, პოეტური სიტყვის ფარგლებში ბერა-აზრის (**Laut-Sinn**) მთლიანობათა გაუქმება და რღვევა და ამის ხარჯზე სუგესტიური პოეტური მეტყველებისა და აბსოლუტური მუსიკისადმი სწრაფვა. ამიტომაც, „ლურჯა ცხენების“ აღნიშნული პოეტოლოგიური და საზრისისეული მახასიათებლებიდან გამომდინარე, მიმაჩნია, რომ გალაკტიონის სწორედ ამ ლირიკული ტექსტის გამოქვეყნებით (1915) ივლება ზღვარი ქართულ ტრადიციულ ლირიკასა და მოდერნისტულ ლირიკას შორის და თავად „ლურჯა ცხენები“ ფუძნდება როგორც ქართული მოდერნისტული ლირიკის დასაწყისი.

2. ტრადიციული ლირიკისაგან განსხვავებით, „ლურჯა ცხენების“ ლირიკული გმირი აღარ არის ტექსტის სტრუქტურული ბაზისი, რამდენადაც ლირიკული გმირის სუბიექტურობა აღარ ავლენს მყარ მსოფლმხედველობრივ პოზიციასა და ემოციონალურ მონოლითურობას, რომლის საფუძველზეც, როგორც წესი, იგებოდა ხოლმე ტრადიციული ლირიკის სტრუქტურა და პოეტიკა. ამის საპირისპიროდ, „ლურჯა ცხენების“ ლირიკული გმირი ავლენს სრულ პიროვნულ რღვევას, რაც გამოიხატება მსოფლმხედველობრივ სკეპსისა („არ ჩანდა შენაპირი, ვერ ვნახე ვერაფერი“) და თვითოდენტობის შუძლებლობაში („რომელი სცნობს შენს სახეს, ან ვინ იტყვის შენს სახელს?“). ამიტომაც ლირიკული გმირის ცნობიერებასა და მსოფლგანცდაში ყოფიერება აღიქმება როგორც იმთავითვე დისპარმონიული მოცემულობა. შედეგად, „ლურჯა ცხენების“ დეპერსონალიზებული ლირიკული გმირი „განეიტრალებულია“, ანუ, უკანა პლაზმე გადადის, სრულიად „იხსნება“ და ქრება ტექსტის ქსოვილში. ხოლო „ლურჯა ცხენების“ ლირიკული გმირის პირველ და მეორე გრამატიკულ პირში თხრობა, — რაც ტრადიციული ლირიკისათვის დამახასიათებელი აპრიორული რიტორიკული ხერხია, რომლის საშუალებითაც ტრადიციულ ლირიკაში ინტენცირებულია ლირიკული გმირის მყარი, მონოლითური სუბიექტურობა და სამყაროსთან მისი სრული ჰარმონია, — გალაკტიონთან უკვე იღებს საპირისპირო რიტორიკულ დატვირთვებს, ანუ, სუბიექტისა და სამყაროს ჰარმონიულობის რღვევისა და დაშლის გაინტენსივების რიტორიკულ ფუნქციას. შესაბამისად, ლირიკული გმირის სუბიექტურობის ნაცვლად ლირიკული ტექსტის მთავარ სტრუქტურულ ბაზისად უკვე ფუძნდება წმინდად ობიექტური, „საგნობრივი“, მეტასუბიექტური განზომილება — ლურჯა ცხენები.

3. ლირიკულ ტექსტში მოცემული ზემოთაღნიშნული დისოციაციური დისკურსი განვითარებულია ლურჯა ცხენების სახისმეტყველებაში, რომელშიც ერთდროულად თავს იყრის სამაგი სემიოზისი, სადაც იკვეთება შემდეგი ონტოლოგიური და ეგზისტენციალური მახასიათებლები:

a) ერთი მხრივ, ლურჯა ცხენები განასახიერებენ სამყაროს/ყოფიერების ირაციონალურ პირველსაწყისს — აბსოლუტურ ნებას/სიცოცხლეს და მის დროსა და სივრცეში უმიზნო, უსაზრისო და უსასრულო გამოვლინებას თავისთავადი და სტიქიური წარმოქმნისა და გაქრობის, დაბადებისა და კვდომის ფორმით;

b) მეორე მხრივ, ლურჯა ცხენები განასახიერებენ თავად ყოფიერების არსობრიობას (**Wesenheit**), ანუ იმას, თუ როგორია არსებულის, როგორც არსებულის, არსებობის ფორმა. შესაბამისად, ლურჯა ცხენების სახისმეტყველებაში ასახულია ყოფიერების მარადგანმეორებადი არსი, რაც ყოფაში და ყოველი ცალკეული ადამიანის ეგზისტენციაში ვლინდება როგორც წარმოქმნისა და გაქრობის, დაბადებისა და კვდომის უსასრულო, უსაზრისო და მარადიულად ერთი და იგივე ონტოლოგიური აქტი.

c) და ბოლოს, ლურჯა ცხენების სახისმეტყველება ლირიკული ტექსტის ონტორგესტუალობაში ფუძნდება, ერთი მხრივ, როგორც ყოფიერების/ყოფის უსაზრისობის სიმბოლო, მეორე მხრივ, როგორც სუბიექტის დისოცირებული და ყოველგვარ საზრისს მოკლებული ეგზისტენციისა და მისი საბოლოო აღსასრულის, მისი ეგზისტენციის აპრიორული სასრულობისა და სრული ეგზისტენციალური გაქრობის სიმბოლო. აქედან გამომდინარე, ლირიკულ ტექსტში სწორედ ლურჯა ცხენების სახისმეტყველება ფუძნდება უმთავრეს იდეურ და სტრუქტურულ საბაზისო ერთეულად (რაც უკვე ტექსტის სათაურშივეა კოდირებული), რასაც შემდგომ ემყარება ლირიკული ტექსტის დისოციაციური სემანტიკა, ტროპიკა, ვერსიფიკაცია და რიტორიკა.

## შენიშვნები:

1. იდეურ-ფილოსოფიური და სტრუქტურული თვალსაზრისით მნიშვნელოვანია, რომ უკვე თავად ლირიკული ტექსტის სათაური — „ლურჯა ცხენები“, ერთი მხრივ, სწორედ ყოფიერების „ბრძა“ ნებით, და არა გონით, დეტერმინებულობაზე მიანიშნებს და ამ ონტოლოგიური მოცემულობის კოდირებაა, ხოლო, მეორე მხრივ, ლექსის სათაური თავად მთლიანი ლირიკული ტექსტის ნებისეული დისკურსით დეტერმინებულობაზე მინიშნებაცაა — მთელს ლირიკულ ტექსტს ლაიტმოტივად გასდევს ლურჯა ცხენების ქროლვა („გით ცეცხლის ხეტიალი, როგორც ბედის ტრიალი, // ჩქარი გრგვინვა-გრადლით ქრიან ლურჯა ცხენები!“), რაც ამავდროულად მთელი ტექსტისათვის დამახასიათებელი გამჭოლი ექსტატიურ-სუგესტიური პოეტური მეტყველებითაა ინტენცირებული (ბრეგაძე 2012: 118).

2. საინტერესოა, რომ საკუთარი ლირიკული ტექსტის საზრისისეული დისკურსის ინტერპრეტაციას გალაკტიონი გადმოსცემს ოცდაათი წლის შემდგომ, 1947 წლით დათარიღებულ ჩანაწერში, სადაც იგი ხაზს უსვამს „ლურჯა ცხენების“ ტექსტში დისოციაციური დისკურსის დომინირებასა და მის ტოტალობას: „1. ლურჯა ცხენები ნოვატორული ლექსია. 2. მას საფუძვლად უდევს რეალური საფუძველი. 3. შინაარსი მისი რეალისტურია. 4. ფორმა უაღრესად მუსიკალური, მანამდე არ არსებული. 5. იგი დანერილია სამეცნიერო თემაზე. მეცნიერებაში მტკიცედ დადგენილ დებულებაზე, რომ დედამინის გარეშე არსებობს მარადისი, გასხვივებული მხარე, სადაც არაა სიცოცხლე. 6. ნისლის ნამქერი — განათებული ჩამავალი მზით და ნაპირი იმ სამუდამო მხარისა. სიტყვა — ელვარებდა — აქ მოცემულია ჰიპერბოლურად. 7. არ სჩანდა შენაპირი — საუბარია რელიგიაზე, რომელიც ადამიანებს აპარებს, რომ სიკვდილის, ამ შემთხვევაში გარდაცვალების შემდეგ, არსებობს კიდევ სხვა ცხოვრება — ე. ი. სამოთხე. 9. ცივი მდუმარება სამუდამო მხარისა. მიუსაფარი მდუმარება, ე. ი. ახსნილი, განმარტებული მდუმარება, ნინააღმდეგ აუხსნელი, განუმარტებელი, ნათელი მდუმარებისა. (სიკვდილი და არა სიცოცხლე). 11. მდუმარება და სიცივე — გაყინვა და არა სიცოცხლე. 12. სიმწუხარე — სამარადისო მხარისა. 13. უცეცხლობა — ცეცხლი — სახე სიცოცხლისა, ცეცხლის კრთომა თვალებში — უსიცოცხლო თვალები“ (ტაბიძე 2004: 17-18).

## დამონიშვნები:

**ანდრეოტი 2009:** Andreotti M. *Die Struktur der modernen Literatur*, 4. Aufl., Haupt Verlag, Bern / Stuttgart, 2009.

**ბარამიძე 2003:** ბარამიძე ს. ყოფიერება და დრო გალაკტიონის პოეზიაში. // გალაკტიონოლოგია, II, თბ.: 2003.

**ბრეგაძე 2012:** ბრეგაძე კ. „ლურჯა ცხენები“: ნების მეტაფიზიკა და (ანტი-)სწავლება მარადიული დაბრუნების შესახებ. // გალაკტიონოლოგია, VI, თბ.: ლიტერატურის ინსტიტუტის გამომცემლობა, 2012.

**ბურჭულაძე 1980:** ბურჭულაძე რ. მხოლოდ ინტეგრალები. თბ.: „მერანი“, 1980.

**კანკავა 1964:** კანკავა გ. გალაკტიონ ტაბიძე. // კანკავა გ. ლიტერატურული ეტიუდები. თბ.: „ლიტერატურა და ხელოვნება“, 1964.

**კენჭოშვილი 1980:** კენჭოშვილი ი. გალაკტიონ ტაბიძის პოეტიკა. თბ.: „მეცნიერება“, 1980.

**კენჭოშვილი 1999:** კენჭოშვილი ი. გალაკტიონ ტაბიძის სამყაროში. თბ.: 1999.

**კვესელავა 1977:** კვესელავა მ. პოეტური ინტეგრალები. გალაკტიონ ტაბიძე და თანამედროვე პოეზია. თბ.: „საბჭ. საქართველო“, 1977.

**კოსტავა 1990:** კოსტავა მ. გალაკტიონი. მნათობი, № 6, 1990.

**მეცლერი... 2008:** Metzler. Lexikon literarischer Symbole, hrsg. von G. Butzer, Metzler Verlag, Stuttgart, 2008.

**სირაძე 2008:** სირაძე რ. გალაკტიონის „ლურჯა ცხენები“ და ვ. კანდინსკის „ლურჯი მხედარი“ (ინტერტექსტუალური წაკითხვისათვის). // გალაკტიონოლოგია, IV, თბ.: 2008.

**ტაბიძე 2004:** ტაბიძე გ. ფრაგმენტები. // გალაკტიონლოგია, III, თბ.: 2004.

**ტაბიძე 2011:** ტაბიძე გ. რჩეული. // ქართული მწერლობა. ტ. 36. თბ.: „ნაკადული“, 2011.

**შათირიშვილი 2004:** შათირიშვილი ზ. გალაკტიონის პოეტიკა და რიტორიკა. თბ.: „ლოგოს პრესი“, 2004.

**ნიფურია 2009:** www...: ნიფურია ბ. „ლურჯა ცხენების“ გააზრებისათვის. მის.: <http://www.burusi.wordpress.com/literature/galaktion-tabidze/2009/06/06/>

**ხალვაში 2010:** ხალვაში რ. „ლურჯა ცხენების“ ინტერტექსტი. სემიოტიკა. სამეცნიერო ჟურნალი, № 7, თბ.: „უნივერსალი“, 2010.

**ხინიაძი 1992:** ხინიაძი ა. გალაკტიონი თუ ცისფერყანწელები. ქართული ლექსის უახლესი რეფორმა. თბ.: 1992.

*Konstantine Bregadze*

## Discourse of Modernist Lyrics and “Blue Horses” by Galaktion Tabidze

### Abstract

**Key words:** Modernism, Symbolism, Poetology, Tropology, Existence

1. One of the main poetical and structural characteristics of modernist lyric differing it from traditional lyric is that it is not focused on abruptly expressed subjectivity of the lyrical hero/lyrical “I” and on the ideology and emotional phases the hero is undergoing (for example, sentimental, romantic, or realistic poetry); the principles, compositional-structural system and outlines on which the traditional ideal of the lyrical text is based in modernist lyric becomes either of secondary importance or is not mentioned at all. Accordingly, in the modernist lyrical texts lyrical “I” is not established as the most important basic structural unit, or the author and the text of the main ideological and emotional integrity of the media, around which the traditional lyrics of the later built a lyrical text of the whole structure - the formal system (Topic, Rhetoric, Versification). As a result, in the modernist lyrical text the lyrical “I” and its subjectivity, is either balanced or even cancelled and moved to the back part.

2. The symbolist and post-symbolist lyric of Galaktion Tabidze (1891-1959) is a clear example of one hand on the structural transformation and on the other the decline of subjectivity because of mental unsteadiness (Ichdissoziation), the depersonalization of the person (Entpersönlichung) and “Blue Horses” (1915) is a paradigmatical representation of this. In the structure of the lyrical text we do not have a solid lyrical “I”, with his/her vision and deep, exciting feelings and emotions, but a dismissed, disharmonial, depersonalized lyrical hero. Correspondingly, the ontextuality of the lyrical text portrays the world as it is, a world that is beyond the conscious will of the lyrical hero and exists independently from him/her (the abolition of Pichtean Stream): so we have the condition when in the conscious and emotional experience of the lyrical hero life is based on appropriable disharmoniality and unreasonability; although it cannot be changed it can be opposed. The lyrical hero of “Blue Horses” exists in this disharmonial, desubjective, dismissed world and in the end disappears in nothingness.


3. Galaktion Tabidze’s lyrical text “Blue Horses” is a representation of a pointless and reasonless endless race, that on the one hand is a symbol of senseless state of life/being, and on the other as the image of lyrical hero, who after the failure of his/her quest dies.

As a conclusion it could be said that lyrical text of “Blue Horses” is founded as the ultimate ideal, and the basic structural unit, which has been coded in the title of the verse.


*Wiesna Mond-Kozłowska*

## **The Concept of Beauty in the Mediaeval European Aesthetics. A Probable Chance for the Contemporary Renewal of the Notion of Art Related to the Sacred - Sacrum**

*I dedicate this work to the Polish Sisters of Saint Clare in Krakow who have been great patrons of music and art since the Middle Ages.*



**Plate 1.** Anglo-Irish. Cross Page, from the Lindisfarne Gospels. About A.D. 13.5-9.6cm, British Library, London, after Janson, Horst Waldemar, *A History of Art*, London, Thames and Hudson, 1979



**Plate 2.** Calligraphic page, from the Album of the Conqueror (Sultan Mahommad II). Turkish (?), 15<sup>th</sup> century, Topkapı Palace Museum, Istanbul, after Janson, Horst Waldemar, *A History of Art*, London, Thames and Hudson, 1979

While we approach the Mediaeval literary processes in Europe, Asia and Georgia, the focus of the research being carried on is put inevitably on literature and its internal processes in the context of the time frame called roughly the Middle Ages. Geographically we cover then almost a half of the globe from the Western borders of Europe to the Eastern coastline of Asia. Logically and obviously, such a vast and global point of reference in terms of culture and geography demands breaking through that reductive and narrowing label, exclusively Europe-centered, which every so often denotes the emergence of some Western and Near East political and cultural powers that were imbedded in the Greek-Roman civilization fundaments. As a result, we are bound to embrace the Judeo-Christian heritage imbued with Hellenic-Roman philosophy and spirituality, then the Islamic contribution in the field along with the India, China and Japan, would we want to have a proper and panoramic view on the epoch in question. Such a general picture, perceived from the bird's eye perspective might, hope-

fully, allow us to see analogous and parallel, yet very often non-synchronic, tendencies in the related aesthetics or poetics, even if we confess humbly that a term aesthetics comes up as early as in the 18th century and belongs exclusively to the European philosophical vocabulary. Nevertheless, each artist's self-awareness and his/her theoretical assumptions in the artistic practices have always been the very inherent elements within creative process in progress. Are they not recorded in writing, aesthetic principles of art, they always exist implicit firstly in the artist's mind, secondly, in the structure of a piece of art itself.

My research field is in comparative aesthetics. It is a huge area of investigation demanding extensive knowledge on man's art, especially on the one that spans study on artistic materials and techniques with artistic styles in different world cultures. Needless to say that it not only aims at comparing expressive potential of different artistic media through paralleling, for instance, music with literature, painting with dance or sculpture with poetry, but it makes as well an effort to juxtapose some analogous cultural and aesthetic phenomena in different and sometimes very distant cultures.

In order to meet the abundance of the arts flourishing in the Middle Ages so predominantly co-present in one artistic environment like the Gothic cathedral for example, I need to recall the 19th century theoretical term, coined in France, namely *correspondance des arts*.<sup>1</sup> There are two basic ways of its inference. Some researchers claim that it can be perceived functionally; as it happens when different arts convey the same meaning or provoke similar or identical aesthetic experience. On the other hand, there are some who advocate ontological affinity between arts that are to exchange their workings on the basis of some material substratum called *materia prima*. By producing one total message of the complex fractural structure [that will provoke inevitably some dynamic act of intersemiosis, a kind of global perceptual response from the side of a perceiver], *correspondance des arts* points at some semantic interrelation of artistic media engaged in producing one total meaning. Regardless its quite recent age, a label *correspondance des arts*, proves to have a very ancient ancestry, to bring only in mind Homer's Iliad with its Achilles' shield description or Horace's *ut pictura poesis*\* concept in the Roman-Latin literature.

To evidence such an expressive co-existence of different way of the human expression in a single piece of art the three works are instanced, taken from the Mediaeval illuminated manuscripts; the first two pictures come from the 13th century Polish psalter, made in Krakow for the Polish-Lithuanian Queen Hevdvigis d'Anjou, a spouse to King Vladislau II Jogaila, king of Poland and Lithuania. The third comes from the 13th Northern France enluminer and it is an extract from the Bible. In all of them, in some enchanting and breath-taking aesthetic way, the anonymous Mediaeval artists manifest their struggle to convey the depth of the literature message, the Holy Scripture in both cases, through correlative and simultaneous application of different artistic media, generating in consequence an aesthetic inter-play among them.

---

\* *ut pictura poesis* in Latin means literally "As is painting so is poetry". The expression comes from Horace's *Ars poetica*. In the poet's view, poetry resembles painting, and painting resembles poetry as they are arts grounded on the same principles of imitation of nature.




**Plate 3.** The example of Mediaeval syn-thesis of arts in Poland: a big initial with a king David, *The Florian Psalter* [Psalterz Floriański], the 14th century, k.3r, in Śnie-żyńska-Stolot Ewa, *Tajemnice dekoracji Psalterza Floriańskiego. Z dziejów średniowiecznej koncepcji Uniwersum*, p.II, Warszawa: PWN 1992.

The term Middle Ages – is eminently the European way of periodization that was introduced in the Western historiography to distinguish the complex and many faceted cultural realities that follow Late Antiquity and proceeds Renaissance in regions that were, using a very simplifying and sweeping measurement criterion, firstly under the Greek cultural influence and later within the order of the Roman law and power. The human civilization epoch such defined, became also extended by the rise of the new Germanic and Slav states in Europe together with the Caucasian and Arabic-Islamic states in the Near and Middle East. If the era in question might start, quite roughly and approximately, with the Milan edict of 313 establishing Christianity as the official religion of the Roman Empire, to end with the defeat of Constantinople in 1453, the future Turkish Istanbul, we have less or more one millennium that embraces firstly the crystallization of the Christian doctrine, secondly the rise and formation of Islam, then sequential re-interpretations of already ancient and living religious systems in Asia, be it Hinduism and Buddhism in India or in China and Japan.

Having in mind the weight of spiritual, cultural, scientific and political processes that were in operation between two epochs considered as classical ones, namely Greek or Hellenistic Antiquity from one hand and Renaissance from another, one has no more courage to call this period with a term ‘the Age of Darkness’. Instead, considering the spiritual significance of the two religious systems newly born (e.g. Christianity and Islam) and their further cultural implications for the world destiny,



“Possedons la mer éternelle et salée, la grande rose grise! Je lève un bras vers le paradis! Je m'avance vers la mer aux entrailles de raisin! (კლოდელი 1957:37).

ლიტერატურათმცოდნე, სორბონის უნივერსიტეტის პროფესორი პიერ ბრუნელი აღნიშნავს, რომ აქ კლოდელი ზღვის მიმართ იყენებს ჰომეროსის ეპითეტს „ოდისეადან“ — „oinops pontos“ („ოდისეა“, 1, 183) — „ღვინიანი ზღვა, ყურძნისფერი ზღვა“, როგორც ამქვეყნიურ სისხლსავსე ცხოვრებაზე, დიონისურ საწყისზე მინიშნებას (ბრუნელი 2003: 183).

ლირიკულ გმირს სურს მუდამ იყოს გემზე, რადგან ზღვა არის უსაზღვროებითა და თავისუფლებით ტებობა. წყალი, რომელიც სამყაროში საგნებს შორის ურთიერთკავში-

რის სიმბოლოა, ყველაფერში იჭრება, მაგრამ სული სჯობის მას შეღწევის უნარითა და თავისუფლების ხარისხით. უფალი უხილავია, მაგრამ ის ჩვენთან არის და ეს ფლუიდი ელემენტები — წყალი და სული, რომლებითაც გაჟღენთილია ყოველი საგანი, გვაკავშირებენ მასთან.

ასე გადმოსცემს კლოდელი სამყაროს ერთიანობის იდეას, რომელიც უფლის ნებით ჰქონის და სრულყოფილია: ყველა საგანს და სულდგმულს თავისი ადგილი აქვს მიჩნილი, სამყარო „არ არის სინათლესავით ცარიელი და უსიტყვო. პირიქით, აქ ყველა-ფერი ჩამონერილია თავიდან ბოლომდე... აჟღერებული ორკესტრივით სრულქმნილია აქაურობა“.

“Ce n'est point le texte nu de la lumière: voyez,tout est écrit d'un bout à l'autre... complet comme un orchestre qui joue” (კლოდელი 1957: 44).

მეორე ოდის მიხედვით, ზღვა სამყაროს ნაწილია. ის არ არის ისე უსასრულო, რომ ადამიანს ეშინოდეს მისი. ზღვა არ ქრება, არამედ უბრუნდება თავის თავს ანუ ქმნის წყლის ციკლს. როგორც პიერ ბრუნელი მიუთითებს, ჰესიოდეს თანახმად ზღვა უნაყოფო, ბნელი და ბობოქარი ძალაა. ზღვა დაიბადა ნაზი სიყვარულის გარეშე (თეოგონია), კლოდელის ოპტიმიზმა კი უნაყოფო ზღვა გადააქცია სასიცოცხლო აუცილებლობად და სრულყოფის წყაროდ (ბრუნელი 2003: 186,187,189).

ზღვის სტიქიას, როგორც სიცოცხლის პირველსაწყისს, დიდი ადგილი აქვს დათმობილი აგრეთვე სენ-უონ პერსის პოემაში „ორიენტირები“. აქ, კლოდელის “მეორე ოდისა-გან” განსხვავებით, ზღვა უკიდეგანოა, მისი ტალღები ფარავს ნაპირებს, ერთი და იგივე ტალღა მოიცავს მთელ დედამიწას. ტროას დაცემის შემდეგ ეს ტალღა აერთიანებს ყველას და ყველაფერს. ის არ ემორჩილება დროს. სენ-უონ პერსის ზღვა მარადიული ძიების, ამბოხისა და სამყაროს ერთიანობის სიმბოლოა (ბრუნელი 2003: 184).

ოდაში „სული და წყალი“ ჩანს პოეტის უილბლო სიყვარულთან დაკავშირებული ტკივილიანი გრძნობები. იგი წუხს, რომ ვერ მისცა სატრფოს (როზალი ვეჩის) თავისი სული და მისგან მიტოვებულს ცრემლები მოერია.

კლოდელს პოეტის ხმა წყლისა და სულის ტოლფასად ესახება, რომელიც ასევე ღრმად აღნევს ადამიანში, სული სულს ეძებს და სინათლედ ინთება. ამასთანავე ეს არის გონიერი, ზომიერი და შემოქმედებითი ხმა. სიტყვა როგორც სიბრძნე ისე მოდის ლირიკულ გმირთან, მაგრამ მას მაინც სურს, რომ სიყვარული იყოს შუამავალი პოეტსა და მოყვასს შორის: „ო, მეგობარო, ნამდვილად არა ვარ არც კაცი, არც ქალი, ვარ სიყვარული, რომელიც ნებისმიერ სიტყვაზე მაღლა დგას“.

“O,ami ,je ne suis point un homme ni une femme, je suis l'amour qui est au-dessus de toute pa-role! (კლოდელი 1957 : 52).

მეოთხე ოდა — „მუზა, რომელიც არის წყალობა“ (La Muse qui est la Grace), კვლავ შემოქმედებითი პროცესის სიუხვესა და სიხარულს ეძღვნება. იგი შედგება სტროფების, ანტისტროფებისა და ეპოდისაგან, მაშასადამე, აგებულებით პასუხობს უანრის მოთხოვნებს.

ლირიკული გმირი დიალოგს მართავს მუზასთან, რომელიც შემოქმედებით აღმაფრენას ანიჭებს მას. პოეტი მარანში შესულ მევენახესავით მთვრალი მიჰყვება მგზნებარე რიტმებს: „დამე გარეთ არის, ჩემგან მოშორებით, სამაგიეროდ ჩემში არის ღამის ძალა და „დიდების“ ღვინო და ამ მთლად საგსე გულის ტკივილი! თუ მევენახე ვერ ჩადგება დაუსჯელად საწნახელში, გჯერათ, რომ მე ისე დავწურავ სიტყვებს ჩემს დიდ რთველში, რომ

მათი სურნელი არ დამათრობს?! ოჰ, ეს საღამო ჩემია! ოჰ, ეს დიდი ღამე ჩემია! ღამის მთელი წიაღი ისეთია ჩემთვის როგორც გაბრწყინებული დარბაზი ქალიშვილისთვის მის პირველ მეჯლისზე“.

“Hors de moi la nuit , et en moi la fusée de la force nocturne,et le vin de la Gloire, et le mal de ce coeur trop plein!

Si le vigneron n‘entre pas impunément dans la cuve,

Croirez-vous que je suis puissant à fouler ma grande vendange de paroles,

Sans que les fumées m’en montent au cerveau!

Ah, ce soir est à moi! Ah, cette grande nuit est à moi! Tout le gouffre de la nuit comme la salle illuminée pour la jeune fille à son premier bal!”

მოყვანილ ვერსეტში (ბიბლიური სტროფი) შემოქმედებითი პროცესი დახატულია იშვიათი მეტაფორებით: პოეზიას თან ახლავს ღამის დიდი ენერგია, ღვინის მაცოცხლებელი ძალა და ფიზიკურ ტკივილამდე მისული ექსტაზი. განსაკუთრებით საყურადღებოა ღამის სიმბოლიკა: ღამე როგორც ბნელეთი, მაგრამ იმავდროულად ძალა, რომელიც დღის წარმოშობას უდევს საფუძვლად. მარადიული ჭიდილი: ქაოსის, წყვდიადისა და სინათლისა. ნათელი როგორც განხორციელებული ლეთაებრიობა, წყვდიადი კი — განუხორციელებელი.

პოეტისა და მთარგმნელის უან გროჟანის (Jean Grosjean) აზრით, პიერ დე რონსარის შემდევ პოლ კლოდელმა შექმნა ყველაზე საუკეთესო ოდები ფრანგულ პოეზიაში. ჩინეთ-სა და იაპონიაში ხანგრძლივი ცხოვრების შედეგად (ჩინეთში მან 14 წელი დაჰყო), მან თავისი შემოქმედების ენად აირჩია აღმოსავლეთის ფრანგული ენა, რომელიც მანამდე რემბომ გამოიყენა თავის კრებულში „ერთი სეზონი ჯოჯოხეთში“ და ეთიოპიურ წერილებში. ფრანგული ენის ეს კილო უფრო მეტად აღწერისთვის გამოდგება და არა ოდისთვის. მაგრამ, როგორც უან გროჟანი აღნიშნავს, კლოდელმა იშვიათი პოეტური ოსტატობის წყალობით შეძლო ამ ენის გამოცოცხლება თავის ოდებში, რათა ნებისმიერი გრძნობა და აზრი გამოხატა: „კლოდელს აქ (ოდებში, რ.თ.) შეუძლია დატკბეს მუზების ბარელიეფებით ან ჩინური პეიზაჟით, შეისწავლოს გეოგრაფია ან ადამიანის გული, გაშიფროს მითები, ჩაურთოს ისტორიული ან საკუთარი ცხოვრების ამბები, მიეცეს აღტაცებას ან არც თუ თავაზიან ლანძლვას, იფიქროს საკუთარ ხელოვნებასა და კეთილდღეობაზე, ყველაფერს მისწვდეს ტრიუმფალურად ან გადაეშვას კონფლიქტებში, მაინც ვერაფერი მოერევა მის სიმღერას, სიმღერას, რომელიც იმორჩილებს უფრი მეტ სულიერს და უსულოს, ვიდრე გვეგონა, რომ ამას შეძლებდა ჩვენი პოეზია“ (კლოდელი 1957: 6).

თვით „პიუგო ოცნებობდა ამგვარ ოსტატობაზე: ამოძრავებული სული, ორაკულის ხმა, რომელიც არ ეპუება უფსკრულებს და პორიზონტებს, ერთდროულად მოვლენილი სიცილი, შიშის ზარი და წყალობა, უსახურიც და კურთხეულიც, ნათელი აზრიც და იდუმალი გზებიც. კლოდელმა შეაზავა ჩვენი სალიტერატურო ენები, მათ შორის ლექსის მშვენიერი მკვდარი ენაც“ (კლოდელი 1957: 6,7).

უან გროჟანი ვერ მაღავს გაოცებას კლოდელის ოდების სალექსო სტროფის — ვერსეტის მრავალფეროვნების გამო: „არ იკმარებს იმის თქმა, რომ ეს ვერსეტები ურითმოა, თითოეულ მათგანს თავისი სიცოცხლე აქვა: უნიკალური, შეუდარებელი და აბსოლუტური. მათი ხანგრძლივობა მეტისმეტად არათანაბარია: ორასონანი მარცვლიდან ექვსსტრიქონიან ფრაზამდე“ (კლოდელი 1957: 9).

ვერსეტის არჩევისას კლოდელის შთაგონების წყარო ბიბლიასთან ერთად იყო ბერძენი ტრაგიკოსების პიესები და ბოდლერისა და მალარმეს ნააზრევი.

რამდენადაც ცნებაში „სულიერი“ კლოდელი გულისხმობს სიტყვის „სული“ (“esprit”) პირველ მნიშვნელობას, ანუ „სუნთქვას“ (souffle=spiritus), მისი ვერსეტი, უპირველეს ყოვლისა, მოიცავს რიტმს, გულისცემის, სუნთქვის თუ აზროვნების რიტმს. ამაზეა დამოკიდებული ვერსეტის წარმოთქმის რიტმი, პაუზები, მარცვლების სიგრძე.

უამ გროვანი მიუთითებს, რომ კლოდელის შემდეგ არ შექმნილა მსგავსი რამ ფრანგულ პოეზიაში, თვით კლოდელსაც აღარ შეუქმნია სხვა ოდები.

პოლ კლოდელმა როგორც დიპლომატმა თითქმის მთელი დედამინა შემოიარა, ალბათ ამიტომაც ჰქონდა სამყაროს ერთიანობის მძაფრი განცდა, რომელიც ვერ იგუებდა სივრცისა და დროის საზღვრებს. ადგილისა და დროის ერთიანობის კანონი არ მოქმედებს მის პიესებში: „ატლასის ფეხსაცმელში“ მოქმედება მოიცავს ნახევარ საუკუნეს და განფენილია დიდ სივრცეზე — კასტილის უდაბნოდან მოგადორის (ამჟამად ესაუირა, მაროკოს ქალაქი ატლანტის ოკეანეზე) სანაპირომდე, სიცილის უდაბური ტყიდან პრაღამდე და პანამამდე, კარაველებით დასერილი გამლილი ზღვიდან ასტრალური სამყაროს შუაგულამდე. ასევე მისი ოდებიც გადმოსცემს სხეულისა და სულის, ხილულისა და უხილავის ერთიანობის გრანილზულ „მელოდიას“. ამავე დროს პოეტი ბუზების მაცოცხლებელ ნელ და უწყვეტ მოძრაობასაც გვიჩვენებს, თითქოს დიდი და მდორე მდინარე მიედინებაო. ამ სულისკვეთებით კლოდელის შემოქმედება შეიძლება შევადაროთ ფოლკნერის ველურ მდინარეს, იოკნაპატოფას, რომელიც ასევე უშფორელად მიედენება და ცხოვრების ზოგადი, მაგისტრალური ხაზის სახე-სიმბოლოდ წარმოგვიდგება.

ზემოთ მოცემული გამოკვლევის მიხედვით უნდა დავასკვნათ შემდეგი:

1. გალაკტიონმა ლექსში „ჩვენ პოეტები საქართველოსი“ მიმართა იმ ფრანგ პოეტებს („კლოდელი, უამი, სიუარესი“), რომელთა სახელები დაკავშირებულია პოეზიის განახლებასთან მე-19 საუკუნის დასასრულს და მე-20 საუკუნის პირველ მესამედში (პოზიტივიზმისა და ათეიზმის წინააღმდეგ ბრძოლა; შემოქმედების დამთრგუნველი გარემოდან თავის დასაღწევად ქაოსისა და არეულობის თავისუფლების სიმბოლოდ გამოცხადება). ამ პოეტებისთვის მისაღებია სიმბოლისტების მიერმუსიკის უპირატესობის აღიარება და მისი სამუალებით ტრანსცენდენტური სამყაროს წვდომის სურვილი; პოეზია როგორც სპეციფიკური დისკურსი, რომელიც ადამიანის სულის „საიდუმლო მუსიკას“ გადმოსცემს.

2. გალაკტიონის შემოქმედებით და საზოგადოებრივ პოზიციას მიესადაგება კლოდელის, უამისა და სიუარესის პრინციპულობა და სიმტკიცე როგორც პოეზიაში, ასევე საზოგადოებრივ ცხოვრებაში. გალაკტიონის სულისკვეთებას პასუხობს აგრეთვე დასახელებული პოეტების ქრისტიანული მსოფლმხედველობა და ქრისტიანული მოტივები მათ პოეზიაში.

3. პოლ კლოდელმა ოდების ციკლში „ხუთი დიდი ოდა“ მითოლოგიური სახე-სიმბოლოები გამოიყენა შემოქმედებითი პროცესის სპეციფიურ თავისებურებათა გამოსახატვად. მან სახე-სიმბოლოებს სავსებით შეუცვალა კონტექსტი და ამით შექმნა მითოლოგიური ეპიფორები, რითაც ვლინდება ოდის უანრის მითოპოეტიკა. მან ასევე ახალ კონტექსტში მოაქცია პომეროსის მეტაფორები და მხატვრული სახეები („ალმოდებული ტროა“, „ლვინიანი ზღვა“, „შიშველი აქილევსის ხმა ორმოს პირას“...), ასე დაიტვირთა მხატვრული სინამდვილე ახალი აზრით. პოეტის ხმა წყლისა და სულის ტოლფასია და ამდენად სიცოცხლის წყაროდ, საგნების დამაკავშირებელ მოვლენად აღიქმება. შემოქმედების კიდევ ერთ საინტერესო მეტაფორას წარმოადგენს „ჩრდილების ხატვა“ (პლატონის მოძღვრების გამოძახილი). მკაფიოდ ჩანს დიონისის საწყისით გატაცება. „სამხმიანი

კანტატის“ მიხედვით ვაზი ადამიანს ანიჭებს სიამოვნების ისეთ წუთს, რომელსაც მარა-დისობაში გადავყავართ. შთამბეჭდავია ღვინის იშვიათი მეტაფორა სიმღერიდან „ქებათა ქება ვაზს“: „გუუბნებით, ადამიანმა კი არა, თვით უფალმა მოისურვა, რომ ერთ ჭიქაში ერთად მოეთავსებინა მზის მცხუნვარება, ვარდის ელფერი, სისხლის გემო და მაცდური წყალი, რომელიც დასალევად გვეძახის!“ (კლოდელი 1957: 151). გრამატიკული ინტერ-პრეტაციის მიხედვით (ფრ. შლაიერმახერის ტერმინი) ტერფსიქორე ლირიკული გმირის ულამაზესი და იმავდროულად შიშველი ფეხით გასრესილი ყურძნისა და თაფლის სურ-ნელით მთვრალი სატრფოა, მაგრამ ფსიქოლოგიურ-ტექნიკური ინტერპრეტაციით (ფრ. შლაიერმახერის ტერმინი)\* ტერფსიქორე არის ცისა და მინის კავშირის, სამყაროს ჰარ-მონიის და ლირიკული პოეზიის სიმბოლო.

4. კლოდელის შემოქმედებაში ქრისტიანული მსოფლმხედველობა ვლინდება ნათ-ლისა და ბნელის მარადიული ბრძოლის, დიდი ღამისა და დიდი შუადლის სიმბოლიკით. ეს სიმბოლიკა მეტად აქტუალურია აგრეთვე გალაკტიონის პოეზიაში (კავთაძვილი 2011:140-144). სიჩუმე შემოქმედებითი გარემოს მნიშველობას იძენს, სიცარიელე კი და-ფარულის გამუღავნებასთან დაკავშირებულ შემოქმედებით პროცესზე მიანიშნებს. ავ-ტორი ერთმანეთთან აკავშირებს ანტიკური სამყაროს უმაღლეს მისწრაფებებსა და ქრის-ტიანობას. მითოლოგიური სახეები ხშირად გამოყენებულია ქრისტიანული შეხედულე-ბების გამოსახატვად. გალაკტიონი ასევე არაერთგზის მიმართავს ამ მხატვრულ ხერხს (კავთაძვილი 2011: 145-153).

5. კლოდელმა აღიშნულ ციკლში „ხუთი დიდი ოდა“ ამ უანრის საშუალებით შეძლო გად-მოეცა ყოველგვარი გრძნობა და აზრი, სრულიად გასხვავებული შინაარსები. ფრანგი მკვ-ლევარები ერთსულოვნად მიუთითებენ, რომ პოეტმა წარმატებით გამოიყენა სხვადასხვა ხანგრძლივობის ბიბლიური სტროფი ანუ ვერსეტი, ორი მარცვლიდან ექვსსტრიქონიან ფრაზამდე. კლოდელის ვერსეტი იმეორებს ადამიანის სასიცოცხლო ანუ სუნთქვისა და აზროვნების რიტმს. კლოდელის „ხუთი დიდი ოდის“ მსგავსად გალაკტიონის „ქებათა ქება ნიკორნმინდას“ გამოირჩევა ახალი სალექსო ფორმით („გალაკტიონის სტროფი“), ემოცი-ურად ძლიერი სახეებით და იმავდროულად ბუნებრიობით (ბარბაქაძე 2010: 45).

## დამოცვებანი:

**ბარბაქაძე 2010:** ბარბაქაძე თ. ლირიკის უანრები. თბ.: ლიტერატურის ინსტიტუტის გამომ-ცემლობა, 2010.

**ბრეგაძე 2009:** ბრეგაძე კ. ჰერმენევტიკა და მხატვრული ტექსტის ინტერპრეტაცია. // სკანი, № 10, 2009.

**ბრუნელი 2003:** Brunel P. *Mythopotélique des Genres*. Paris: PUF, 2003.

**ბუალო 1964:** Boileau N. *Hévres complètes*, éd. A.Adam et F. Escal, Pléiade, L'Art Poétique. Paris: Gallimard, 1964.

**ვარუსფელ-ონფრუა... 1988:** Warusfel-Onfroy N., Egéa F., Rincé D. *Histoire de la Littérature Française*. Paris: Gallimard, 1988.

\* ფრ. შლაიერმახერის ჰერმენევტიკული კონცეფციის შესახებ იხ. კონსტანტინე ბრეგაძე, ჰერმენევტიკა და მხატვრული ტექსტის ინტერპრეტაცია. უურნ. „სჯანი“, 2009, №10.

**კავთიაშვილი 2011:** კავთიაშვილი ვ. კომპარატივისტული გამოკვლევები და რეცენზიები. თბ.: ლიტერატურის ინსტიტუტის გამომცემლობა, 2011.

**კასტექსი... 1974:** Castex P.-G., Surer P., Becker G. *Histoire de la Littérature Française*. Paris: Hachette, 1974.

**კლოდელი 1957:** Claudel P. Cinq Grandes Odes. *La Cantate à Trois Voix. Préface de Jean Grosjean*. Paris: Gallimard, 1957.

**ლაფონ-ბომპანი 1999:** Laffont-Bompiani. *Dictionnaire Encyclopédique de la Littérature Française*. Paris: Robert Laffont, 1999.

**ტაბიძე 1973:** ტაბიძე გ. *რჩეული*. თბ.: „საბჭოთა საქართველო“, 1973.

## Rusudan Turnava

### Galaktion's One Verse (Interpretation in the Background of Paul Claudel's Creative Portrait)

#### Abstract

**Key words:** aesthetics of symbolism, christian motives, mythological “epiphors”, mythopoetics of the genre of ode, Bible stanza or verset.

In Galaktion Tabidze's verse “We, poets of Georgia” we find the expression of his special interest in French poetry. This verse was written in 1924. We consider, there is there an echo of tragic events having taken place in Georgia at that period. In that very complicate situation Galaktion chose the names of French poets familiar for him – Paul Claudel, Francis Jammes and André Suarès. He admires their fight for renovation of poetry and a firm social position.

Opposite to positivism and atheism, these three poets recognize aesthetics of symbolism and poetry as “mysterious music” of human soul. Galaktion's creative tendencies coincide with Christian world outline of them and christian motives in their writings.

It is true that in the verse “We, poets of Georgia” Galaktion expresses his fear about future wars but he also mentions past troubles and he couldn't say more because of censorship then. Therefore all he says about future must be implied about nearest past too.

In Paul Claudel's poetry who is the first member among three poets mentioned in the verse we are interested in, the cycle of odes - “Five Great Odes” - are most important. They are considered maximum and best realization of the opportunities of this genre in French literature. As the critic Jean Grosjean says, “here (in these odes, R.T.) Claudel is able to admire the muses” bas-reliefs or Chinese landscape, study geography or human heart, examine myths, include historical or private stories, follow his admiration or swear at someone not so kindly, think about his own art and prosperity, get all triumphally or come into conflicts, just nothing will damage his song , the song that dominates more creatures and inanimate objects than we expected our poetry would be able to” (Claudel 1957: 6).

“Five Great Odes” are consecrated to nine muses, patrons of different branches of art. Thanks to them this complicated process from the birth of poetic speech until the creation of reality stories and world cognition will pass the way of renovation of artistic principles and of the struggle for liberty.

Paul Claudel completely changed the context of mythological symbolic images and created mythological “epiphors”\* that in the end serve the mythopoetics of the genre of ode. Homer’s metaphors and artistic images are also placed in a new context (“Flaming Troy”, “wine sea”, “naked Achilles crying at the hole”).

“Drawing shadows” is Claudel’s another impressive metaphor (echo of Plato’s ideas). In his poetry it is obvious a strong passion for elements linking with Dionysus.

After grammatical interpretation (Fr. Schleiermacher’s term) Terpsichore is most beautiful sweetheart of the lyrical personage and at the same time she is drunk on perfume of grapes crushed barefoot and on perfume of honey. But after psychological interpretation(Fr. Schleiermacher) Terpsichore is the symbol of the union of Heaven and the Earth, the symbol of world harmony and lyrics.

Claudel joins the highest ideals of antiquity and Christianity together. Mythological images are often used to express christian opinions. This artistic method really appeals to Galakion as well.

Bible stanza or verset of “Five Great Odes” is varied: from one syllable to six-line phrase. The rhythm of Claudel’s verset follows the rhythm of respiration and thought.

---

\* From Aristotle’s term – “epiphora” (“transfer, modification”); To see: Brunel P. 2003: 197.

## ასი წლის წინათ: ეპისტოლური რეკონსტრუქციები

პირადი მიმოწერა გრიგოლ რობაქიძის ბიოგრაფიის, ლიტერატურული საქმიანობისა და მსოფლგანცდის მრავალ ნიუანსს აზუსტებს. გამორჩეული ხევდრის ცხოვრების გზა თუ მემკვიდრეობა სრულყოფილად ჯერ კიდევ არ არის შესწავლილი. ეს ითქმის 1910-იან წლებზეც. შემოქმედებითი დაოსტატებისა და ძიების თვალსაზრისით ეს პერიოდი ახალგაზრდა რობაქიძისათვის ძალზე ნაყოფიერი გახლდათ. სასწავლებლად უცხოეთს გამგზავრებული მნერალი ხანგრძლივი დროით სტოვებდა საშობლოს და მისთვის პირადი მიმოწერა ახლობელ ადამიანებთან კონტაქტისა და კომუნიკაციის ერთადერთი საშუალება გახლდათ. შესაბამისად, მასში დიდძალი ფაქტობრივი მასალაა თავმოყრილი, რაც შემოქმედის ცხოვრების უცნობი მონაკვეთების თუ სულიერი განწყობილების თუნდაც ნაწილობრივ რეკონსტრუირებაში გვეხმარება.

ამ მხრივ გამორჩეული ღირებულებისაა ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცული გრიგოლ რობაქიძის 44 პირადი წერილი ქეთევან ამირეჯიბისადმი, რომელიც ცნობილი მეცნიერის, კონსტანტინე ამირეჯიბის მეუღლე გახლდათ. ეს ბარათები რუსულიდან თრგმნა და ახლახან გამოაქვეყნა ეთერ ქავთარაძემ (რობაქიძე 2012: 10-34).

გრიგოლ რობაქიძე ამირეჯიბებს ხშირად სტუმრობდა თბილისში და მათ მამულში, ავლევში. ბარათებიდან ირკვევა, რომ მნერალს ქეთევან ამირეჯიბთან ახლო ურთიერთობა აკავშირებდა.

ასევე, მრავალმხრივ საყურადღებოა გრიგოლ რობაქიძის პირადი წერილები არჩილ ჯორჯაძისადმი, რომლებიც 1910-იანი წლებით თარიღდება. ისინიც ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის ფონდებშია დაცული და პირველად ეთერ ქავთარაძემ გამოაქვეყნა (რობაქიძე 2012: 330-336). ამავე პერიოდის მასალიდან გამოვიყენეთ აგრეთვე გრიგოლ რობაქიძის რამდენიმე ბარათი სხვადასხვა პიროვნებისადმი.

აღსანიშნავია, რომ აღნიშნულ წლებში მნერალი ძირითადად ტარტუ-იურიევის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტი გახლდათ. 1910 წლის 4 აგვისტოს მას თხოვნით მიუმართავს იურიევის საიმპერატორო უნივერსიტეტის რექტორისადმი, რათა იგი იურიდიულ ფაკულტეტზე აღედგინათ. აქ მას შვიდივე სემესტრის საგნები მოუსმენია და ჩაუქარებია (ბაქრაძე 2004: 21).

გამორჩეული ღირებულებისაა გრიგოლ რობაქიძის 1910 წლის აგვისტოს პირველი რიცხვებით დათარიღებული ვრცელი ეპისტოლე კიტა აბაშიძისადმი, რომელიც ავლევიდანაა გამოგზავნილი. იგი ადრესატის საოჯახო არქივშია დაცული და 1998 წელს გიორგი აბაშიძემ გამოაქვეყნა.

გრიგოლ რობაქიძე მიმართავს კიტა აბაშიძეს: „მსურს მოგაწყვეტილი რამდენიმე წელია, რაც ერთი საშინელი იდეა თანმდევს, მტანჯავს, ფრთებს მიკვეცს და დროა, ვინმე ახლობელს გავუზიარო იგი. შენ მგრძნობიერი და თან თავდამტერი მეგობარი ხარ, — და გიხსნი ამ წყლულს: ვიცი, გულწრფელი თანამგრძნობით შეხედავ მას“ (კრებული 2003: 159).

წერილში რობაქიძის იმუამინდელი მსოფლგანცდის უმთავრეს კონცეპტებზეა საუბარი: “ჩემთვის, როგორც იდეალისტისათვის, ყველაფერს რაიმე „აზრი“ („სმისლ“,

ლოგოსი) აქვს: „უაზრო ყოფა არარაობაა: აზრი რომელიმე არსის არის უკანასკნელი ყოფის იდეა. უაზრო ყოფა მხოლოდ ხაოსია. ხელოვნება კიდევ უფრო მკაფიოდ სახავს არსებობის აზრიანობას. არსი უთუოდ უკვდავია“ (კრებული 2003: 155).

წერილის შემდგომი რეფლექსიები ონტოლოგიურ პრობლემებსა და ხელოვანის ურთულეს მისიას ეხება: „ნარმავლობა მხოლოდ ცვლილებაა არსებითად ერთიდაიგივესი. და აი, ხელოვანიც იჭერს ნარმავალში წარუვალს და, მაშასადამე, აზრიანს.. ნარმავალი და წარუვალი, ისტორიული და „ეტირნიული“, — აი, უდიადეს პრობლემა გონების ნინაშე. მათი ურთიერთობა დღემდე გამოურკვეველია. მხოლოდ მხატვრული სახით შეიძლება მისი ნარმოდებენა“. იმავე ეპისტოლები რობაქიძე ისტორიის საზრისაც განმარტავს: „მთელი მსოფლიო ერთი უსაზღვრო ხორციელებაა სხვადასხვა „მეთა“. ეს „მენი“ სხვადასხვა ვითარების არიან: ზოგი ახლოა სრულობასთან, ზოგი კი შორს, — და სანამ „სრულად“ არ ჩამოისხმიან, მანამდე განუწყვეტლივ განიცდიან ხორციელებას. ამაში მდგომარეობს, ჩემის აზრით, პროცესი და აზრი ისტორიისა — უამისოდ გაქვავებული ყოფა იქნებოდა“. მაღალი ხელოვნების ფუნქცია მწერალს ამგვარად ესმის: „მთელი მსოფლიო ვითარდება, სრულდება, პროცესს განიცდის. და რადგანაც მისი ყოფა „აზრიანია“ (და არა უაზრო), ამისთვის ეს პროცესიც აზრიანი უნდა იყოს: ამ პროცესსში ყოველი არსი თავის იდეას უნდა უახლოვდებოდეს, უნდა სრულდებოდეს — აქ არის კვანძი ხელოვნების ინტიუციისა“ (კრებული 2003: 155).

კიტა აბაშიძისადმი გაგზავნილი იმავე წერილიდან ირკვევა, თუ რატომ მიმართა მწერალმა ფილოსოფიას. ჩანს, მას იმუამად უფრო ღრმა — სიკვდილის პრობლემა აინტერესებდა: „ნარმავალი ჰქერება, წარუვალი რჩება. ჩემს პირად არსებობაში წარუვალს (გამოაშკარავებით მხილებით) ვერ ვხედავ, — და აი, თანმდევს იდეა ჩემის სიცოცხლის უაზრობისა. და აი, ეს მტანჯვას“ (კრებული 2003: 156).

სიკვდილ-სიცოცხლის პრობლემებზე რობაქიძე ერთი ტრაგიკული შემთხვევის გამოც დაფიქრებულა: „თავი მოიკლა ჩემმა საყვარელმა არსებამ“, — სწრეს ის კიტა აბაშიძეს. რა მიზეზით? — მას ეს არ სცოდნია. საყვარელი ადამიანის დაკარგვა მწერალს ძალზე განუცდია: „ვერ ავსწერ ამ ტანჯვას; არც არის საჭირო.. ერთი რომანი მაქვს მოფიქრებული და შეიძლება, იქ ჩავაქსოვო იგი“ (კრებული 2003: 157).

რა მოხდა სინამდვილეში? საქმის რეალური ვითარება ამ ბოლო ხანებში გაირკვა. გიორგი აბაშიძის კომენტარით, მკვლევარმა ზეინაბ ლომჯარიამ დაადგინა, რომ რობაქიძის საყვარელ არსებას (იულია (ლუდმილა) მაჭავარიანს) თავი არ მოუკლავს, ის ახლობლებს გადაუმალავთ და მისი სიკვდილის ცნობა ქალის გრიგოლთან დაშორების მიზნით გაუვრცელებით.

მწერალი ძალზე უკმაყოფილ ყოფილა მის ირგვლივ არსებული რეალობით: „ჩემი „გარემო“, რასაკვირველია, საქართველო და ქართველობაა. ეს გარემო კი, ჩემის უცნაურის გრძნობით, საშინელს ავადმყოფ სხეულს წარმოადგენს“ (იქვე). წერილში ორიგინალურადა გააზრებული ერის სწრების მიზეზი: „ქართველობაში აღარ არის იდეა მთელისა. ეს არის მისი ავადმყოფობა, და მით ყველანი ვართ ავად“ (კრებული 2003: 157).

აქვე გრიგოლ რობაქიძე გულწრფელად წავის რომანტიკულ ბუნებას: „მიყვარს მხოლოდ მშვენიერი (ესთეტიზმი), მიყვარს მხოლოდ შორეული (რომანტიზმი). ვაღმერთებ მზეს, როგორც მზისთაყვანისმცემელი, მაგრამ მთვარე უფრო მიყვარს“ (კრებული 2003: 158). ამგვარი განწყობის მიუხედავად, მწერლის იმდროინდელი სულიერი

მდგომარეობა მძაფრია და არაპროგნოზირებადი: „გწერ კიდევ მისთვის, რომ ჩემი თავის მეშინია: ვაი თუ ჩემივე ხელით უფსკრულში გადავიჩეხო! ხომ იცი, მე პირადი ცხოვრება სრულებით არ მაქვს: ჩემი თანამგზავრი საშინელი მარტოობა, ყოვლის მომშორებელი ეულობა.. გარშემო კი — სიბნელე და სიცივე.. მაქვს ერთგვარი შემოქმედებთი ნიჭი, მაგრამ ჩემი მარმარილო გაბზარული გამოდის. მიზეზი: სამშობლოს სნეულება და თან ჩემი „ავადყოფი“ სიყვარული“ (კრებული 2003: 159).

ქეთევან ამირჯიბისადმი გაგზავნილი წერილებით ზუსტდება. 1910 წლის 17 აგვისტოს გაგზავნილი ბარათიდან ცნობილი ხდება, რომ რობაქიძე ვინმე გოგიასთან ერთად ლეჩხუმში 5 დღით გამგზავრებულა (წერილზე მისამართიცაა მითითებული: ქუთაისი, სასტუმრო „ფრანცია“). ჩემი ჯერჯერობით არ ვიცით, თუ როგორ ჩაიარა გრიგოლ რობაქიძის მოგზაურობამ ლეჩხუმში. იმავე ადრესატისადმი 21 აგვისტოს მინერილი ბარათით ვიგებთ, რომ რობაქიძე ამ დროს კვლავ ქუთაისშია და „ნათელი განწყობილება“ აქვს, 24 აგვისტოს წერილი კი იუნიება, რომ მას ამჯერად ოდნავ აციებს.

1910 წლის 27 აგვისტოს მნერალი უფრო ვრცლად აცნობს მეგობარ ქალს თავის იმდროინდელ ყოფას: „უზომოდ ბევრს ვკითხულობ. ჩემი საქმეები კარგად მიდის. გავიცანი ძალიან საინტერესო პიროვნება. დღიურის წერა დავიწყე. ბევრს ვწერ“ (რობაქიძე 2012: 10). ამ სტრიქონებს რეფრენად მოჰყვება სიტყვები: „ჩემი თავისუფლება ზღვაა, ოლონდ ნაპირების გარეშე“.

ქეთევან ამირჯიბისადმი გაგზავნილი შემდგომი ბარათებიდან ირკვევა, რომ 1910 წლის სექტემბრის პირველ რიცხვებში მნერალი კვლავ ქუთაისშია. აქ, მისი თქმით, უკვე „მოწყენილობა და ერთფეროვნებაა“. გრიგოლ რობაქიძე უსაზღვროდ ემადლიერება ქეთევანს მისი ბარათების გამო. 1910 წლის 10 სექტემბრის წერილიდან მის გეგმებსაც ვეცნობით: „დავრჩები 10 რიცხვამდე. თბილისში 20 სექტემბრამდე გაეჩერდები. შემდეგ რუსეთში“.

ამავე ბარათიდან მნერლის იმდროინდელი საქმიანობაც ცხადდება: „ახლა ვკითხულობ ერთი გერმანელი ავტორის გამოკვლევას ბერძენ მნერლებზე. დღიურების წერას ვაგრძელებ. ჩემს ხშირ მოგონებებში თქვენი ოჯახი უნათლესი ფერებით მეხატება. ზოგჯერ მინდა ვისმენდე თავადის ქალის ვერას დაკვრას, მაგრამ ქუთაისური არღანი მუსიკით ტკბობის ყოველგვარ სურვილს მიკარგავს“ (რობაქიძე 2012: 12).

1910 წლის 22 სექტემბრის ბარათი ქეთევან ამირჯიბისადმი უკვე თბილისშია დანერილი: „საღამოს მივემგზავრები.. დღეს რატომლაც სევდა მომეძალა, თუმცა საერთოდ ნათელი განწყობილება მაქვს“ (რობაქიძე 2012: 13), — წერს რობაქიძე მეგობარ ქალს.

შემდგომი წერილებიდან ირკვევა, რომ 1910 წლის 22 სექტემბერს მნერალი რუსეთს გამგზავრებულა, 24 სექტემბერს იგი უკვე ბესლანიდან აუწყებს ქეთევან ამირჯიბს: „მოწყენილობა და ერთფეროვნება. უინტერესო მგზავრობა, თუმცა მშვენიერი ამინდია“. აქვე მისი ჯანმრთელობის მდგომარეობაც ჩანს: „დროდადრო მაციებს. ვერ ვარ კარგად“.

1910 წლის 12 ოქტომბრის ბარათი უკვე იურიევიდანაა გამოგზავნილი: „მე ისევ იურიევში ვარ. აქ შეიძლება ოქტომბრის ბოლომდე დავრჩე. შემდეგ — პიტერში. მოწყენილობა და ერთფეროვნება. დავდივარ უნიჭო ლექტორების ლექციებზე. კიდევ კარგი, რომ უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში ბევრი საინტერესო ფილოსოფიური წიგნია გერმანულ ენაზე. ბევრს ვკითხულობ. აქ ასამდე ქართველი ვართ. პიტერში ლიტერატურული სეზონი ჯერ არ დაწყებულა“ (რობაქიძე 2012: 12), — ატყობინებს გრიგოლ რობაქიძე ქეთევან ამირჯიბს.

ამავე ადრესატისადმი 1910 წლის 18 ნოემბრით დათარიღებული წერილი უკვე პეტერ-ბურგიდანაა გამოგზავნილი: „საკმაოდ კარგად ვარ, თუმცა ხშირად ვავადმყოფობ. ბევრს ვწერ და ვკითხულობ. ერთი დიდი ლიტერატურული ნაწარმოები დავასრულე. ალბათ ერთ-ერთ უურნალში დაიბეჭდება“ (იქვე, 14).

ბარათიდან ისიც ირკვევა, რომ მწერალი მეგობარ ქალს უგზავნის „ზაკავკაზსკოე ობოზრენიეში“ დაბეჭდილ საკუთარ სტატიას „აზრები ტოლსტოიზე“. ამასთან, ის აუზყებს ადრესატს, რომ პეტერბურგში ყოვნისას შესვდა მერეჟეოგსეის და სხვა ცნობილ ადამიანებს. მას გაუცნია მწერალი ვიაჩესლავ ივანოვიც, რომლის შესახებ „სახალხო გაზეთი-სათვის“ სტატიის დანერა განუზრახავს.

აღსანიშნავია, რომ გრიგოლ რობაქიძე ცნობილ მოაზროვნეს ადრეც შეხვედრია. ამას მოწმობს ამ უკანასკნელისადმი 1907 წლის 6 დეკემბერს გაგზავნილი მისი პატარა ბარათი, საიდანაც ვიგებთ, რომ პეტერბურგში მყოფი ახალგაზრდა რობაქიძე დახმარებას სთხოვდა ივანოვს ნიცშეს ერთი ციტატის ზუსტ თარგმნაში („Wie in einem gleichnibartigen Traumbilde“) (კვატაია 2010: 261).

ქეთევან ამირეჯიბისადმი გამოგზავნილი ზემოხსენებული ბარათიდან იკვეთება მწერლის ნოსტალგია სამშობლოსადმი: „საქართველოს ბუნება მენატრება. აქ ყველაფერი ნაცრისფერია და ერთფეროვანი, ნისლი, დროდადრო სისველე. საერთოდ, აქაურობა ჭაობს წააგას“. ამავე წერილიდან ვიგებთ, რომ უცხოეთში გამგზავრებული გრიგოლ რობაქიძე თბილისის თითქმის ყველა გაზეთს იღებდა, ხოლო სამობაოდ ფინეთში აპირებდა გამგზავრებას.

1910 წლის 23 ნოემბერს ქეთევან ამირეჯიბისადმი პეტერბურგიდან გამოგზავნილი ბარათი გარკვეულ ადგილს კვლავ მწერლის სულიერ განცდებს უთმობს: „თქვენს კითხვაზე — როგორ ვცხოვრობ — პასუხი ადვილია: ვცხოვრობ აზრით და გრძნობით. ამისათვის დიდი ნებისყოფის გამოჩენა არ მჭირდება. მოწყენილი ვარ“ (რობაქიძე 2012: 14-15).

როგორც ჩანს, გრიგოლ რობაქიძეს არც პეტერბურგმა გაუმართლა იმედები: იქაური ცნობილი პიროვნებანი მისთვის „მხოლოდ ერთი შეხედვით ჩანან საინტერესონი“. აქვე რობაქიძე აუზყებს ქეთევან ამირეჯიბს 25 ნოემბერს პეტრე სტრუვესთან მისი სტუმრობის შესახებ. მწერალს გადაუწყვეტია მასზეც დაეწერა სტატია: „შემოქმედებით და კოლექტიურ განცდებზე“. აქვე ნათქვამია, რომ გრიგოლ რობაქიძე დროდადრო გერმანელი იდეალისტების (კლასიკოს-ფილოსოფოსების) შრომების კითხვასაც აგრძელებდა.

1910 წლის 30 ნოემბრის წერილი ქეთევან ამირეჯიბისადმი კვლავ პეტერბურგიდანაა გამოგზავნილი. ის გვატყობინებს, რომ ქართველ მწერალს მართლაც გაუცნია პეტრე სტრუვე, მის შესახებ სტატია კი „რუსსკაია მისლ“-ში დაიბეჭდება. აქვე მითითებულია: „ჩემს წერილს ვიაჩესლავ ივანოვზე სათაურით „დღიური“ ხვალ ვგზავნი ქართულ გაზეთში (ამასთან, ვიაჩესლავ ივანოვი, იგულისხმება, დასახელებული არ არის). ბევრს ვმუშაობ. აქ საზიზღარი ამინდია. თბილა, თუმცა ნესტია, ტალახი. პირდაპირ დაწყევლილი ამინდია. მე ნათელი განწყობილება მაქვს, ოღონდ დროდადრო ვავადმყოფობ“ (რობაქიძე 2012: 16).

სტატია ვ. ივანოვზე ჩვენში მართლაც დაბეჭდილა, რასაც გვამცნობს არჩილ ჯორჯაძისადმი გამოგზავნილი რობაქიძის ბარათი (1911 წლის 11 იანვარი. პეტერბურგი): „აქაური „ზნამენიტოსტ“-ები ვერ ახდენენ ჯეროვან შთაბეჭდილებას. რუსეთის სიდიდე (ეს უკანასკნელი მაქვს მხედველობაში, როგორც სოციოლოგიური ფენომენი) აძლევს მათ „სიდიადეს“. აქ ერთგვარი იღუმალი კავშირი არსებობს, რომელიც ჯერ კიდევ გამოუკვლეველია. უთუოდ ამოიკითხავდით „სახალხო გაზეთში“ ჩემ დღიურთაგან ერთი რუსი

მწერლის შესახებ. უთუოდ მასაც მიხვდებოდით, რომ იგი ვიაჩ. ივანოვია. ყველა ამ-გვარ შთაბეჭდილებას ტოვებს: მწერლობაში რაღაც დიდი, ცხოვრებაში რაღაც პატარა. საქართველოს ბედ-ილბალი მათ ისე არ აინტერესებთ, როგორც მარსის მცხოვრებნი“ (იქვე, 330-331).

„სახალხო გაზეთს“ 1910 წლის 15 დეკემბერს დაუბეჭდავს გრიგოლ რობაქიძის „დღი-ური“ (პეტერბურგი, 5 დეკემბერი), რომელშიც მართლაც არ არის დასახელებული ვიაჩე-სლავ ივანოვი. თუ რატომ, ამას წერილის შინაარსი გვიჩვენებს. ამავე სტატიის მიხედვით, გრიგოლ რობაქიძისა და ვიაჩესლავ ივანოვის საუბრის საგანი ყოფილა: „არის თუ არა სი-ცოცხლე მხოლოდ ესთეტიური ფენომენი“, როგორც ამას ნიცვე ფიქრობდა.

წერილში ა. ჯორჯაძისადმი გრიგოლ რობაქიძე გამოყოფს მათი საუბრის იმ მონაცემთს, რომელიც საქართველოს ეხებოდა. კერძოდ, ქართველ მწერალს უამბია მის-თვის ვაჟას „სიმბოლიურ პოემაზე“ „გველის მჭამელზე“. ივანოვი აღფრთოვანებულა ვაჟა-ფშაველას ნიჭიერებით და, როცა რობაქიძეს მისთვის აუხსნია, თუ სად და როგორ ცხოვრობდა ქართველი გენიოსი, ცნობილ რუს მოაზროვნეს ვაჟას პეტერბურგში ჩამოყვანის სურვილი გასჩენია. ამაზე გრიგოლს უპასუხია: ის „პეტერბურგის საზარ ბურუსს არ ანაცვალებს ფშავის იდუმალ ნისლს“.

საქართველოზე საუბრისას ქართველ მწერალს აღმოუჩენია, რომ ივანოვს სრულებით არ სცოდნია ეს ქვეყანა და მისი კულტურა. „ნუ თუ ასეთმა მცოდნე მხატვარმა არ უნდა იცოდეს იმ ერის შემოქმედებითი სული, რომელმაც რუსთაველის მხატვრული გენია წარმოშვა?“ — კითხულობს რობაქიძე და ახსენდება და-ძმა უორდრობები: „ეხლა ვიგრძენ, თუ რა მნიშვნელოვანი ყოფილა მათი ზეეროვნული სიყვარული სხვა ერისა, პატარა ქართველობისა“.

დიმიტრი ჩოლოყაშვილისადმი გაგზავნილი გრიგოლ რობაქიძის ბარათი 1910 წლის 10 დეკემბრით თარიღდება. მისი ტექსტი გვაუწყებს, რომ მწერლისათვის „ზაკავკაზიეს“ წერილი დაუკვეთავს. ამავე დროს, რობაქიძეს სასწრაფოდ უნდა დაეწერა სტატია რუსულ უურნალისათვის. „რადგან ერთსა და იმავე დროს არ შემიძლია სხვა და სხვა თემაზე წერა, ამისათვის, მგონია, ჩემთვის საძნელო იქნეს „ზაკავკაზიეში“ იანვრამდის რაიმე წერილის მიწოდება“ (რობაქიძე 2012: 302), — სწრეს გრიგოლ რობაქიძე ადრესატს.

ეპისტოლური მასალა მონმობს, რომ 1911 წლის დასაწყისი გრიგოლ რობაქიძისათვის განსაკუთრებით ტრაგიკული ყოფილა. ეს ჩანს ამ წლის 26 იანვარს პეტერბურგიდან კვლავ ქეთევან ამირეჯიბისადმი გამოგზავნილი წერილიდან, საიდანაც ვიგებთ, რომ ჯერ კიდევ 10 დეკემბერს მამამისი, ტიტე რობაქიძე მძიმედ გამხდარა ავად, რაც გრიგოლისათვის დეპეშით უცნობებიათ. სიკვდილის პირასააო, შეუტყობინებიათ მისთვის, მაგრამ მწერალი უფულობის გამო ვერ დაბრუნებულა სამშობლოში: „25 დეკემბრიდან დაძაბული ვიყავი და ვდელავდი. 11 იანვარს შემატყობინეს, რომ გარდაიცვალა. დეპეშით მივეცი დავალებები.. დაწვრილებით თვითონაც არაფერი ვიცი“ (რობაქიძე 2012: 17), — სწრეს რობაქიძე ქეთევან ამირეჯიბს. ეს ბარათი მეორე უსიამოვნო ცნობასაც იუწყება: გრიგოლის ახლო მეგობარი, თავადი კუჭია მიქელაძე იმავე წლის 5 იანვარს ტვერში ჭკუიდან შეშლილა და 16 იანვარს, დილით, გარდაცვლილა. მის მეგობრებს ფული შეუგროვებიათ, რათა ცხედარი ქუთაისში გადმოესვენებინათ. „ნეკროლოგი უკვე გავუგზავნე ერთ ქართულ გაზეთს. სული დამიმძიმდა.. ძალიან ცოტას ვმუშაობ. მაპატიეთ, რომ ვდუმდი, წერა არ შემეძლო“ (იქვე, 17), — უბოდიშებს მწერალი ქეთევან ამირეჯიბს.

მეგობრის ხსოვნისადმი გრიგოლ რობაქიძეს მართლაც უძლვნია წერილი „კუჭია მიქელაძე (ნეკროლოგის მაგიერ)“ („სახალხო გაზეთი“, 1911 წლის 25 იანვარი, გვ. 4).

ამ დიდ პირად ტრაგედიაზე სწერს გრიგოლ რობაქიძე არჩილ ჯორჯაძეს პეტერბურგიდან 1911 წლის 11 იანვარს გამოგზავნილ წერილში: „მამა ჩემი გარდაცვლილა და მთლად დაირღვა ჩვენი ოჯახი. ვერც წასვლა მოვახერხე და ვერც მწუხარების გამოსახვა“ (იქვე, 330). ამავე ბარათიდან ირკვევა, რომ ამ მძიმე პირობებშიც მწერალს ჩვეული საქმიანობა გაუგრძელებია: „ჩემი ცხოვრება აქ მეტად მარტივია: საჯარო ბიბლიოთეკაში მეცადინეობა და რამოდენიმე რუს მწერალთან სჯა-ბაასი, — აი ჯველაფერი. ვმეცადინეობ, განსაკუთრებით ფილოსოფიითა და ლიტერატურით. დავსწერე ერთი წერილი, რომელსაც მადლექციად წავიკითხავ: „ადამიანის ტრაგედია და მისი ხსნა“ (მოტივები ფრ. ნიცშედან). დავსწერე აგრეთვე „იდეა ჰამლეტისა“. უკანასკნელ წერილში ჰამლეტს ვუპირისპირებ სოფოკლეს ორესტეის და ვატარებ მასში აზრს, რომ ჰამლეტი კოსმიური მოვლენაა უფრო, ვიდრე ფსიხოლოგიური“ (იქვე, 330).

პირად სატკივარს ეხება 1911 წლის 8 თებერვლით დათარილებული წერილი ქეთევან ამირეჯიბისადმი: „მსრეს მარტობა. აქ მეგობრები არ მყავს. „ის“ (კუჭია მიქელაძე) სრულიად განსაკუთრებული იყო. ასეთები იშვიათად იბადებიან. მის შესახებ ქართულ გაზეთში დავწერე. ვაპირებ გამოვცე კრებული „მეგობრის ხსოვნას“ (რობაქიძე 2012: 17).

მწერალი მეგობარ ქალს თავის გეგმებსაც უზიარებს: „20 აპრილს გამოვემგზავრები პეტერბურგიდან. 25-ში თბილისში ვიქენები“. ამავე ბარათიდან ჩანს, რომ გრიგოლ რობაქიძე ისევ დეპრესიაშია: „მე ისე ვარ განადგურებული, მუშაობა არ შემიძლია. წერილების წერაც კი არ შემიძლია. ვაპირებ თბილისსა და ქუთაისში წავიკითხო ორი ლექცია: ფრიდრიხის ნიცშე და ჰამლეტის იდეა. ვნახოთ“ (იქვე). 22 თებერვლის ბარათიც მწერლის იმდროინდელ სულიერ მდგომარეობას ასახავს: „განწყობილება ნათელი მაქვს, თუმცა მარტობა მთრგუნავს. ირგვლივ მოწყენილობაა“ (იქვე, 18). აფორიაქებული გრიგოლ რობაქიძე გამოსავალს ეძებს: „დღეს ერთმა აზრმა გამიელვა — ხომ არ დავბრუნდე სამუდამოდ საქართველოში?“ რადგან, „ჩემს ტანჯვას ბოლო არ უჩანს. ეს საშინელებაა; რაც მთავარია, ტანჯვიდან გამოსავალს ვერ ვხედავ“.

მრავალმხრივ საყურადღებოა 1911 წლის 3 მარტს არჩილ ჯორჯაძისადმი გამოგზავნილი ბარათი: „ძმაო არჩილ! მინდოდა ვრცელი წერილი მომენტა საპასუხოთ, მაგრამ გავიფიქრე: ადამიანის კვირეში ტფილისში ვიქენები და პირისპირ მოველაპარაკები-თქო. და, მართლაც, მგონი, ეს უკეთესი იქნება“ (რობაქიძე 2012: 332), — სწერს გრიგოლ რობაქიძე ადრესატს. აქვე მინიშნებაა, საიდანაც ნაწილობრივ შეიძლება ვივარაუდოთ, თუ რაზე უნდა ესაუბრა ამ ორ პიროვნებას: ჩანს, არჩილ ჯორჯაძეს რობაქიძისათვის უთხოვია, ქართული ლიტერატურა რუსებისათვის გაეცნო, რაც არც ისე ადვილი ყოფილა: „კარგია თქვენი აზრი, მაგრამ მეტად საძნელო განხორციელებით. მართალია, ცოტაოდენი ძალა შემნევს ამგვარ გაცნობსათვის, მაგრამ ერთი საშინელი გარემოება მეღობება წინ. ეს არის აქაურ მწერალთა გულცივობა“ (იქვე).

წერილის შემდეგ მონაკვეთში უფრო ზუსტდება მწერლის უკმაყოფილების მიზეზი: „დავდივარ ლექციების მოსასმენად. თუ სალიტერატურო სალამოს ვესწრები, ვხვდები მათ (მწერლებს) პირისპირ, თუ ვუცქერ მათ ვიწრო საზოგადოებაში — ყველგან და ყოველთვის გულცივობა, მხოლოდ ლანდი აღფრთოვანებისა, კარშეკეტილობა, ერთი სიტყვით, ვერ ვხედავ ვერსად ღვთაებრივ ცეცხლს. ეს კი აუცილებელ საჭიროა ინტერესის გასაღვიძებლად. რა უნდა ჰქნას აქ ქართულმა ლიტერატურამ? არაფერი“ (იქვე, 333).

წერილი გვაუნყებს, რომ გრიგოლ რობაქიძეს უცდია, ჩვენი ლიტერატურა რუსული საზოგადოებისათვის ისევ მწერლობით გაეცნო. ამ მიზნით მას დაუწერია სტატია ვაჟაფშაველას „გველის მჭამელზე“ და „რუსსკაია მისლის“ რედაქტორის პეტრე სტრუვესათვის გაუგზავნია. ამ უკანასკნელს თხზულება მოსწონებია და უურნალის ლიტერატურისა და კრიტიკის განყოფილების უფროსის, ვალერი ბრიუსოვისათვის გაუგზავნია. პეტრე სტრუვე იმასაც დაპირებია გრიგოლ რობაქიძეს, რომ სტატია უურნალის უახლოეს ნომერში დაიტეჭდებოდა. „ვნახოთ, რა შთაბეჭდილებას მოახდენს ვაჟას მხატვრული კონცეპტი“, — სწერს რობაქიძე ჯორჯაძეს.

ამავე წერილიდან ირკვევა, რომ გრიგოლ რობაქიძე ახალგაზრდა ქართველი მწერლები დაოსტატების პრობლემაზეც დაფიქრებულა: „ერთი აზრი დამებადა. ჩვენი ახალგაზრდა მწერლობა, ჩემის აზრით, ნიჭიერია, მხოლოდ საფრთხე მოელის გზის გაუკაფველობის მხრივ.. საჭიროა დაარსდეს ჯგუფი ლექტორებისა, რომელიც გააცნობს ჩვენს ახალგაზრდებს მწერლობის ტეხნიურ მხარეს: ფორმას, სტილს, ფაბულას და სხვ. თორემ ჩვენ მგოსანთა (ეხლანდელები მყვანან მხედველობაში) ლექსები უმეტესწილ ქაოტიურ ხასიათს იჩენონ. მე მგონია, ასეთი ჯგუფი დახმარებას გაუწევს მოუმწიფებელთ და მოსწრაფებულთ“ (იქვე).

ქეთევან ამირჯიბისადმი 1911 წლის 18 მარტსა და 10 აპრილს გამოგზავნილი წერილებიდან ირკვევა, რომ ამ პერიოდში რობაქიძე ისევ პეტერბურგშია, 13 აპრილის ბარათი კი გვაუნყებს, რომ ის 16-17 აპრილს პიტერიდან გამომგზავრებას აპირებს: “20 რიცხვში თბილისში ვიქენები. ვერა ვარ კარგად. მეშინია, გზაში ავად არ გავხდე“.

გრიგოლ რობაქიძე მართლაც დაბრუნებულა სამშობლოში, თუმცა ქეთევან ამირეჯიბისადმი გამოგზავნილ წერილებში შემდგომი ნიუანსები არ ჩანს.

1911 წლის 11 ივნისს რობაქიძე კვლავ საქართველოშია და აუნყებს მეგობარ ქალს, რომ სოფელში მიემგზავრება: „სასიამოვნოა იმ ადგილების ხილვა, სადაც გავატარებავ-შვობა, სავსე რომანტიკულ ოცნებებით. მაგრამ, მეორე მხრივ, შიშს განვიცდი. ვგრძნობ (არ ვიცი, რის საფუძველზე), რომ მხოლოდ იქ მოგვადები, სადაც ბავშვობა გავატარე. და აი, ჩემი ფიქრები სიკვდილს უტრიალებს. ვფიქრობ, ბუნების წიაღში გაცილებით უკეთ ცხოვრობ (ადამიანი), ვიდრე კოშმარულ ქალაქში“ (იქვე, 19).

იმავე დღეს, 1911 წლის 11 ივნისს, სოფელ ჩხარიდან გრიგოლ რობაქიძეს დავით წერეთლისათვის გაუგზავნია ბარათი, რომლითაც აუნყებს: “მე თქვენსა მოსვლას ვაპირებორ ივლისს“ (რობაქიძე 2012: 304).

1911 წლის 28 ივნისს მწერალი კვლავ უგზავნის ქეთევან ამირეჯიბს ბარათს, საიდანაც ირკვევა, რომ პეტრე სტრუვეს მისთვის წერილით შეუტყობინებია, რომ გრიგოლის სტატია მაღლე დაიტეჭდებოდა, „რუსსკაია მისლ“-ში. ჩანს, ეს შესრულდა კიდეც, რაც იკვეთება ქეთევან ამირეჯიბისადმი გაგზავნილი სხვა უთარილო წერილიდან.

ამავე ბარათებიდან ჩანს, რომ მწერალს სულს უამებს მშობლიური სოფელი, მაგრამ დიდხანს იქაც ვერ რჩება. ის ატყობინებს მეგობარ ქალს, რომ 3 ივლისს საჩხერეში მიემგზავრება კნეინა ნინა ამირეჯიბთან ერთად: “ძალიან ცუდად ვარ. ბევრს ვწერ, თუმცა ეს მაინც არ მშველის“.

პირად ტრაგედიას ღრმა, ტკივილიანი განცდები გამოუწვევია, რაც მწერლის იმავე წერილიდან იკვეთება: „სოფელი აღრმავებს განწყობილებას. ზოგჯერ მეჩვენება, ადამიანის სული მარმარილოსავით სპეტაკია, სანამ მთელია. მაგრამ შესაძლოა კი ტანჯვაში

სულის სიმრთელის შენარჩუნება? მეეჭვება! ტანჯვისას სული გატეხილი მარმარილოა. ზეადამიანური ძალაა საჭირო ტანჯული სულის გასამრთელებლად!“ (იქვე, 20).

ბარათის მიხედვით, მწერალს რამდენიმე დღის წინ ამ თემაზე ნოველა დაუწერია, თუმცა მისი გადაწყვეტა არ მოსწონებია.

სულიერი კრიზისიდან გამოსავალს მწერალი წიგნების კითხვაში ეძებს. მას სულს უმ-სუბჟექტს ოსკარ უაილდის თხზულება, ასევე, შვებას ჰგვრის იოანეს სახარების კითხვა: „რა სილრმეა, რამდენი ნაღვლიანი სიყვარული, რაოდენი სიბრძნე! დაუსრულებლად შე-გიძლია იკითხო“. ხსნისათვის მწერალი ელადის აჩრდილსაც უხმობს: „ოდესმე მე ვნახავ პართენონს. ჯერჯერობით კი მხოლოდ შეყვარებული ვარ ელადაზე“ (იქვე), — აუწყებს რობაქიძე ქეთევან ამირეჯიბს (მსგავსი განწყობილებაა მწერლის სხვა უთარილო ბა-რათში იმავე ადრესატისადმი: „მე ელინი ვარ. ელინური სიბრძნით კი ყველაფერში ზო-მიერებაა საჭირო“). ამავე წერილით ცხადდება მისი ადგილსამყოფელი საჩხერეში: ბეჟან წერეთლის მამული.

ზემო იმერეთში მოგზაურობას ამაოდ არ ჩაუვლია. სასურველ გარემოს მწერლის გუნება-განწყობილება გაუუმჯობესებია. ამას ადასტურებს ქეთევან ამირეჯიბისადმი ქუთაისიდან, სასტუმრო „ფრანციადან“ 1911 წლის 7 ივლისს მიწერილი ბარათი: „ქუთაის-ში სულით ვხალისობ. მშვენიერი, ნათელი ამინდია. გრილა. ლექციის წაკითხვას 11-ში ვაპირებ“. ამავე ადრესატისადმი 1911 წლის 26 სექტემბერს გაგზავნილი ბარათი მოწმობს, რომ

გრიგოლ რობაქიძე უკვე გორში იმყოფება: „მშვენიერი დღეა, მზიანი, ოლონდ დალლი-ლობას ვერძნობ“ (რობაქიძე 2012: 21), — სწერს ის მეგობარ ქალს.

1912 წლის მაისში რობაქიძე, ჩანს, კვლავ საქართველოშია. 4 მაისის ბარათით ის ქეთე-ვან ამირეჯიბს ვიაჩესლავ ივანოვის წიგნს სთხოვს. აქვე დასძენს: „მძიმე განწყობილება მაქვს. აუტანელია, მძიმეა, როცა ადამიანის რწმენას კარგავ“ (იქვე). მსგავსი პესიმიზმი ჩანს 5 მაისის წერილშიც.

გრიგოლ რობაქიძის იმედგაცრუება სილრმისეული ჩანს: „უკანასკნელ დღეებში გან-საკუთრებით განვიცდი ჩემი სულის მსხვრევას. ძალა მეკარგება. თუ ასე გაგრძელდა, ხვალ დილითვე წავალ თბილისიდან“ (იქვე).

მწერლის მძიმე გუნება-განწყობილება თბილისურ ქორწილს გაუხალისებია, რაც ქეთევან ამირეჯიბისადმი 1912 წლის 10 მაისით დათარილებული წერილიდან ირკვევა: „წუხელ აწყვეტილ გუნებაზე ვიყავი და ბრწყინვალედ გავატარე დრო, აზიური მხიარ-ულება იყო, ესე იგი, არავითარი მხიარულება“ (იქვე, 23).

მწერალი ცდილობს, არასასურველ გარემოს გაემიჯნოს და ხელოვნების სამყაროს შეაფაროს თავი: „თავადის ქალს ვარიას ვთხოვ, ჩემთვის დაუკრას შოპენის პოლონეზი“ (იქვე, 24), — სწერს იგი ქეთევან ამირეჯიბს. ამავე ადრესატისადმი განკუთვნილ ერთ-ერთ უთარილო ბარათში ასევე საინტერესო დეტალია შემორჩენილი: „ვივლი გამოფენაზე და დავტკბები. ცნობილი მევიოლინის, იზანის კონცერტზე არ წავედი. ამბობდნენ, რომ ულმობელმა დრომ იმოქმედა მის დაკვრაზე. მე არ მინდოდა გამნელებოდა ის ცეცხლო-ვანი შთაბეჭდილება, რომელიც ამ 5-6 წლის წინ მოახდინა, როცა ევროპაში მოვუსმინე“ (იქვე, 31).

მუსიკისადმი გრიგოლ რობაქიძის დამოკიდებულება იკვეთება ასევე თბილისიდან ქეთევან ამირეჯიბისადმი 1912 წლის 9 ოქტომბერს გაგზავნილი ბარათიდან: „გუშინ იპ-ერაში ვიყავი. „ჰუგენოტები“ მიდიოდა. მღეროდა ლაზარევი. საკმაოდ ლამაზი ხმა აქვს,

ოღონდ უნდა მეთქვა, რომ საოპერო მუსიკა ჩემზე აგრე არ მოქმედებს. ასე იყო გუშინაც. შიგადაშიგ მოვიწყენდი. მხოლოდ ბოლო მოქმედებამ გამომაფხიზლა” (იქვე, 24). ამ ბარათშიც პესიმიზმი გამოსჭვივის: მნერალი ჩივის ფინანსურ პრობლემებზე, ერვენება, რომ სიყვარულშიც აღარ უმართლებს. „მოწყენილი ვარ, ძალზე მოწყენილი” (რობაქიძე 2012: 24), — ნერს იგი.

1912 წლის 4 ენკენისთვეს (?) გრიგოლ რობაქიძეს მეუფე გიორგის (დავით ალადაშვილი) უგზავნის ბარათს, რომლითაც უბოდიშებს მას იმის გამო, რომ ბორჯომში ყოფნისას ვერ ინახულა.

არჩილ ჯორჯაძისადმი 1912 წლის 1 და 15 ნოემბერს გაგზავნილი ბარათები მონმობს, რომ ამ დროს მნერალი ისევ იურიევშია და საქართველოს ამბები აინტერესებს (არჩევნები ქუთაისში, სადაც, მისი თქმით, „ფედერალიზმის იდეამ გაიმარჯვა“, მდგომარეობა გაზეთ „თემში“ და სხვ.). აქვე იურიევში მისი საქმიანობასაც ვეცნობით: „მოვკიდე ხელი საუნივერსიტო საგნებს. მინდა, ამ თვეში ჩემი „ბარათები“ განვაგრძო; ძლიერ დამაგვიანდა თქვენდამი მომართული „ბარათი“. ამ განზრახულს ბარათში საქართველოს იდეას შევეხები.. განმარტებული მექნება, თუ რა არის „ისტორია“ (ახალ სახეთა ჰემნა) და რა ადგილი უჭირავს მასში ეროვნებას“ (იქვე, 334). ამავე წერილს შემოუნახავს არჩილ ჯორჯაძის პირვენების რობაქიძისეული შეფასება: „ქართველ ერს დიდი წინასწარმეტყველი ეჭირვება, ცეცხლით შობილი. თქვენ მისი წინამორბედი ხართ, ჩემის ღრმა და გულწრფელი განცდით; ადამიანმი მე „ღვთიურობას“ ვაფასებ, — და ამ მხრით მარტო წალვერში თქვენთან შეხვედრა რად მიღირს?! აზრთა სხვადასხვაობა ბევრს არას ნიშნავს, მთავარი რამ ღვთიური ცეცხლით ანთება“ (იქვე, 334). ამავე დროს რობაქიძე თანაუგრძნობს არჩილ ჯორჯაძეს პრესაში მასზე დაპეჭდილი ულირსი წერილების გამო და თანადგომას აღუთქვამს: „ამ უამათ ეგზამენტი მაქს; როგორც გავათავებ, უთუოდ უნდა ამოვილო ხმა“.

იურიევის ჩვეულ გარემოს მნერალზე დადებითად უმოქმედა. ამას ადასტურებს 1912 წლის 1 დეკემბერს ქეთევან ამირეჯიბისადმი მონერილი ბარათი: „ახლა თავს უკეთ ვგრძნობ. სხვისი სიხარულით გახარება უზენაესი სულიერი კეთილშობილებაა, მაგრამ ეს მაინც არაა სიცოცხლის სრული სიხარული“ (იქვე, 25).

მნერალი იურიევიდან არაერთხელ სწვევია პეტერბურგს. ქეთევან ამირეჯიბისადმი 1912 წლის 18 დეკემბერს გამოგზავნილი წერილი გვატყობინებს, რომ იგი ამჯერად ვერ ახერხებს იქ საშობაოდ ჩასვლას, ლიტერატურული საღამო კი 1913 წლის თებერვლისათვის გადაუდიათ. ამასთან, რობაქიძე მეგობარ ქალს თავის იმუამინდელ საქმიანობასაც აცნობს: „ბევრს ვმეცადინეობ, თავს ძალიან კარგად ვგრძნობ. მხნედ ვარ. ახლა ვამზადებ „სახელმწიფო სამართალს“. გარკვეული ნაწილის დაზეპირება მომიხდება. მთლიანობაში 700 ფურცელი უნდა გავიარო. კარგი მეხსიერება მაქს და ყველაფერს ადვილად ვსწავლობ“ (იქვე, 25). 1912 წლის 26 დეკემბრის წერილშიც მსგავსი განწყობაა: „ბევრს ვმეცადინეობ. სრულ მარტოობაში ვცხოვრობ. შიგადაშიგ სევდა და ნალველი მიტევს. ოღონდ ჯანმრთელად ვიყო და დანარჩენი თავად დალაგდება.. პიტერში თებერვლის 20 რიცხვში ვაპირებ გამგზავრებას“ (იქვე, 26).

1913 წელი გრიგოლ რობაქიძისათვის კვლავ უსიმოგნოდ დაწყებულა: ამჯერად მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა გაუარესებულა. ამ წლის 5 იანვრის წერილით ის აუნყებს ქეთევან ამირეჯიბს: „ამ დღეებში ექიმმა დამიდგინა დაავადება, ჯერჯერობით ფარულ ფორმაში. მისი რჩევით, უმჯობესია სამკურნალოდ უცხოეთში ჩასვლა. ეს მე ფინანსური მდგომარეობის გამო არ შემიძლია. წარმოიდგინეთ, რა დათოგუნული ვარ“ (რობაქიძე

2012: 26-27). მომდევნო, 15 იანვრით დათარილებულ ბარათში კვლავ უსიამოვნო ინფორმაციაა: „მე ისევ კარტი ვითამაშე ერთ გერმანულ ოჯახში და მნიშვნელოვანი თანხა (40 მანეთი) წავაგე. სხვათა შორის, წაგების შემდეგ, ჩვეულებრივ, რაღაცნაირი მხიარულება მეუფლება“ (იქვე, 27).

სულიერი სიმძიმილისას გრიგოლ რობაქიძეს არჩილ ჯორჯაძის ბარათი მიუღია. ეს ირკვევა ამ უკანასკნელისადმი 1913 წლის 21 იანვარს გამოგზავნილი წერილიდან: „მადლობა ბარათისათვის“, — სწერს რობაქიძე ჯორჯაძეს და აუნყებს, რომ წაუკითხავს მისი წერილი აკაკისადმი: „მშვენიერია, განსაკუთრებით „კილო“ ბარათისა, ურომლისოდაც მოხუცი მგოსნისადმი მიმართვა არ იქნებოდა კარგი“.

აქვე მწერლის განზრახულობაც იკვეთება: „მსურდა გამომეთქვა ნაფიქრალი: აკაკი – მგოსანი და აკაკი — ემპირიული პიროვნება; მაგრამ დუმილი ვარჩიე, რადგან ფსიხოლოგიურად ძნელია ასეთი განწევრება, — და, ვინ იცის, რა შედეგს გამოიწვევს იგი ქართველთა ისედაც უდისციპლინო აზროვნებაში. მადლიანი თემა კია: ჭურჭელი ღვთიური ნიჭისა და ნაკადული ნიჭისა. ისტორიაში ძვირად თუ უდრის ჭურჭელი ნაკადულსა“ (რობაქიძე 2012: 335).

ამავე ბარათის მიხედვით, გრიგოლ რობაქიძეს წაუკითხავს ერთი ნაწილი გაზეთში დაბეჭდილი არჩილ ჯორჯაძის „დიმიტრი ყიფიანისა“, რომელის დოკუმენტურ მასალას ჯერ კიდევ სამი წლის წინ გასცნობია. დამიტრი ყიფიანის რადიკალობაზე მსჯელობისას მწერალი შენიშნავს: „ჭეშმარიტება, — აი, რით უნდა ვხელმძღვანელობდეთ. მამულიშვილობის გადაწყვეტა „ფიზიოლოგიური ემოციით“ ყოვლად შეუწყნარებელია“ (რობაქიძე 2012: 335-336).

არჩილ ჯორჯაძის ვრცელი ნაშრომი „დიმიტრი ყიფიანი“ 1912 წლის 10 იანვრიდან დაწყებული, თოთქმის მთელი თვის განმავლობაში იძექდებოდა „სახალხო გაზეთში“. ჩანს, ამ პუბლიკაციას გრიგოლ რობაქიძე უცხოეთშიც კითხულობდა.

აქვე საყურადღებო ინფორმაციაა: „პეტერბურგში აპირებენ „ილიას სალამოს“ გამართვას. მონაწილედ მეც ვარ მიწვეული. რუსულად იქნება. ვეცდები, არ შევრცხვეთ“. გრიგოლ რობაქიძის მრნამსი იკვეთება წერილის დასასრულს: „ადამიანის ბედნიერება ღვთიური ვალის ასრულებაშია. ვინც ამ ვალს ასრულებს, იგი უკვდავია და ერთვის მარადისობას. თქვენც ასეთს ვალს ასრულებთ და, მაშასადამე, ვერც უგვანო სინამდვილე გაგიტეხსთ გულს“ (იქვე).

1913 წლის 23 მარტს გაზეთებას საზოგადოებას აცნობეს, რომ გარდაიცვალა არჩილ ჯორჯაძე. საქართველოში საყოველთაო გლოვა გამოცხადდა. პრესაში სამძიმრის მრავალი წერილი გამოქვეყნდა. „სახალხო გაზეთს“ 1913 წლის 26 მარტს (გვ. 3) დაუბეჭდავს გრიგოლ რობაქიძის სამგლოვიარო დეპეშა ბერლინიდან: „გზაში გავიგე შეუდარებელ არჩილის გარდაცვალების ამბავი; სიცოცხლე, აღსავსე შეგნებითა და ტანჯვით, გაჰფრინდა მარადისობის წიაღში. უდაბნოსებრმა სიცარიელემ მოიცვა ჩემი სული“. როგორც დეპეშიდან ჩანს, ამ დროს გრიგოლ რობაქიძე გერმანიაში იმყოფებოდა.

1913 წლის 18 აპრილს „სახალხო გაზეთს“ გამოუქვეყნებია „არჩილ ჯორჯაძის მიწერმონერა“ (წერილები გრიგოლ რობაქიძისადმი), სადაც განსვენებული მოღვაწის ორი ბარათია წარმოდგენილი (თარიღები მითითებული არ არის).

არჩილ ჯორჯაძე სთხოეს რობაქიძეს, თუ მეცადინეობაში ხელი არ შეეშლება, რუსებაც გააცნოს ის ლექციები, რომლებიც ქართულ ლიტერატურაზე საქართველოში წაიკითხა. „ჩვენ აქ არავინ გვიცნობს. არავის აინტერესებს ჩვენი საქმეები და ეს, ჩემის აზ-

რით, იმ დრომდე იქნება, სანამ ჩვენ თვითონ არ შევიქნებით ღირსი გაცნობისა და ინტერესის გამოწვევისა“, — შენიშნავს ჯორჯაძე.

წერილის ბოლოს იგი თავის მდგომარეობაზეც საუბრობს: „ჩემი ამპავი რა მოგწერო? დაზამთრდა და ვარ მომწყველეული დატუსალებულ დამნაშავესავით; როცა ავადმყოფობა არ მძლევს, ცოტა-ცოტას ვმეცადინეობ“.

1913 წლის ზაფხული რობაქიძეს კვლავ სამშობლოში გაუტარებია. ამ წლის 13 ივნისს მას აკაკი წერეთლისათვის მიუწერია ბარათი, საიდანაც ცნობილი ხდება, რომ ცილისწამების გამო გრიგოლ რობაქიძეს ქუთაისში სალიტერატურო საღამო მოუხსნია. როგორც ჩანს, საქმე ეხებოდა „რუსთაველის საღამოს“, რომლითაც საზოგადოება ძალზე დაინტერესებულა. „რუსთაველის პირმშო შეილი თქვენა ხართ და, სანამ ცოცხალ ხართ, უთქვენოთ მისი საღამო არ უნდა იქმნეს გამართული. საღამო დავნიშნეთ კვირისათვის (16 ივნისი)“, — ატყობინებს გრიგოლ რობაქიძე აკაკი წერეთელს (იქვე).

1913 წლის 3 ივლისს რობაქიძე ქუთაისიდან ბარათს სწერს ქეთევან ამირეჯიბს: „ჩემი საქმები ძლიერ აირია. მე სულ ქუთაისში ვარ (სასტუმრო „ფრანცია“)“ (რობაქიძე 2012: 27).

იმავე წლის 1 აგვისტოს მწერალი ამავე ადრესატს აუწყებს, რომ იგი პირველად სწვევია ჭიათურას, იქ ასევე ყოფილან ზდანევიჩი და კიტა (აბაშიძე). ამ მოგზაურობის ამსახველი უნდა იყოს ერთ-ერთი უთარილო ბარათის რეალია: „ჭიათურის საბადოები ცხენზე ამხედრებულმა დავათვალიერე. უკანა გზაზე ცხენმა კინაღამ უფსკრულში გადამჩეხა.. გადამარჩინა იმან, რომ არაადამიანურად ვძლიე შიშის გრძნობას (ან კიდევ, შეიძლება გამიჩნდა გრძნობა, რომ ჩემთვის ყველაფერი სულერთია. არ ვიცი). მძლელვარებასაც არ ვგრძნობდი“ (რობაქიძე 2012: 30-31).

მწერლის წინააღმდეგობრივ სულიერ მდგომარეობას კარგად ახასიათებს ამავე ბარათის ერთი მონაცევითი: „ვაგრძელებ წერას. სადღაც, სულის იდუმალ სიღრმეში, შევიგრძნობ, რომ ვიტანჯები, ოღონდ ეს ტანჯვა ყრუა და, მით უფრო, საშინელი. გარშემო მყოფთ სრულიად არ ესმით, რა იმალება ცხოვრების ჩემეულ წესში და იქმნება გაუგებრობათა მთელი წყება. როგორ მინდა ამისგან თავის დაღწევა. საშინელებაა, რომ ჩემ გვერდით ასე ცოტაა საინტერესო ადამიანი. წიგნები საინტერესოა, მაგრამ უსიცოცხლო“ (რობაქიძე 2012: 30-31).

ქეთევან ამირეჯიბისადმი 1913 წლის 2 ოქტომბერს გაგზავნილი წერილიდან ირკვევა, რომ ამ დროს გრიგოლ რობაქიძე კვლავ იურიევშია. აქვე მოთხოვილია, თუ როგორ დაისვენა მან ზაფხულში ბორჯომში.

იურიევში მწერალი ჩვეული საქმიანობითაა დაკავებული: „ბევრს ვმეცადინეობ. სახელმწიფო გამოცდები ან ხარკოვში უნდა ჩავაბარო, ან — მოსკოვში“, — სწერს რობაქიძე ქეთევან ამირეჯიბს და სთხოვს შეატყობინოს კრეინა თამარ აბაშიძის მისამართი. საკუთარი ცხოვრება მწერალს უაღრესად მოსაწყენად ეჩვენება, თუმცა შენიშნავს, რომ ზაფხულში მრავალი მხატვრული ესკიზი დაწერა მოახერხა. „ახლა გამოცდებს ველოდები. ჩემმა ფანტაზიამ დროებით უნდა მიიძინოს“, — აღნიშნავს მწერალი. იგივე ბარათი გვაუწყებს, რომ „სახალხო გაზეთს“ გრიგოლ რობაქიძის „ფოთლების“ ბეჭდვა დღიურების სახით დაუბირებია. „სამი წერილი უკვე გავუგზავნე. ერთი — D' Anunzio (იქვე, 29)“, — სწერს რობაქიძე მეგობარს.

საბოლოოდ ვერც იურიევის უნივერსიტეტმა გაამართლა გრიგოლ რობაქიძის იმედები. მწერალს გადაუწყვეტია, ყაზანის უნივერსიტეტში გადასულიყო. როგორც გიორგი მაიაშვილისადმი გამოგზავნილი რობაქიძის წერილიდან ირკვევა, ამის მიზეზი ყოფილა

სისხლის სამართლის პროფესორი პუსტოროსლევი, რომელიც სტუდენტებს აიძულებდა საკუთარი 2 ტომიანი, 900 გვერდიანი სახელმძღვანელოდან მოემზადებინათ საგანი. ეს კი გრიგოლ რობაქიძისათვის მიუღებელი ყოფილა: „სხვისი რა მოგახსენოთ და მე არ შემიძლია მათი დაზეპირება. მე მგონა, ტვინს გააფუჭებს, გაალაყებს.. რადგან იურიევის უნივერსიტეტის პროგრამა, გარდა სისხლის სამართლისა, ძალიან უახლოვდება ყაზანის უნივერსიტეტის პროგრამას, ამისათვის გადავწყვიტე, სახელმწიფო გამოცდა ყაზანში „მისცე“ (ბაქრაძე 2004: 22).

ყაზანის უნივერსიტეტში გადასვლის მიზნით 1913 წლის 26 დეკემბერს გრიგოლ რობაქიძეს იურიევის უნივერსიტეტის რექტორისათვის მიუმართავს. ეს თხოვნა მნერალს 1914 წლის 7 მარტსაც გაუმეორებია, რადგან ყაზანის უნივერსიტეტში არ გადაუგზავნიათ ცნობა იმის შესახებ, რომ რობაქიძემ სამოქალაქო სამართლის კურსი გაიარა. 1914 წლის 24 მარტს ყაზანის უნივერსიტეტში ყველა აუცილებელი დოკუმენტი მიულიათ (იქვე). ახალ უნივერსიტეტში მნერალს მერვე სემესტრი უნდა გაევლო, მაგრამ ეს ველარ მოასწრო, რადგან 1914 წლის 14 აგვისტოს პირველი მსოფლიო ომი დაიწყო და გრიგოლ რობაქიძე საქართველოში გამოემგზავრა.

ქეთევან ამირეჯიბის არქივში შემოინახა ასევე რამდენიმე უთარილო ბარათი, რომლებიც 1910-იან წლებში გრიგოლ რობაქიძის სულიერ თუ ეკონომიკურ მდგომარეობას ასახავს: 15 მარტი — „პიტერიდან წამოსვლას 15 აპრილს ვაპირებ. ფინანსურ მდგომარეობაზე არაფერი მკითხოთ: სავალალო ყოფაში ვარ. თბილისში რამდენიმე კვირას გავჩერდები. ზაფხულში შეიძლება უცხოეთში წავიდე. ბევრს ვმეცადინეობ. ამ დღეებში გერმანულ ენაზე წავიკითხე კელერმანის ძალზე საინტერესო რომანი “Ingeborg” (იქვე, 30); „იურიევში თებერვლის შუა რიცხვებამდე დავრჩები, შემდეგ, თუ ღმერთი ინგებს, უცხოეთში მოვხვდები“ (იქვე, 33); „ალდგომის წინ გამოცდების ჩაბარებას ვაპირებ. ამიტომ 2-3 კვირით იურიევში უნდა გავემგზავრო“ (იქვე, 31); „მე კი მსრეს მარტობა და ვწერ ბევრს, ძალიან ბევრს. ამბობენ აქ, ნაპოლეონს ვგავარ. მართლა ასეა?“ (იქვე, 33); „წუხელ ციებამ შემომიტია. თავს ცუდად ვგრძნობ. თბილისში მოწყენილობაა: აქურობა მალე უნდა დავტოვო“; „ამჟამად ძალიან მოუცლელი ვარ. ბევრს, ძალიან ბევრს ვწერ. თუ უზენაესი შემეწევა იმ ამოცანების გადაჭრაში, რომლებიც ჩემ წინაშე ამ გაუთავებელმა წერამ დააყენა, მაშინ, რა თქმა უნდა, შევძლებ, სურვილები ავისრულო. თუკი უზენაესი ამ პატარა თხოვნაზე უარს მეტყვის, იძულებული გავხდები, ჯვარი დავუსვა საკუთარ თავს და რაიმეს შესრულებაზე ლაპარაკიც კი ზედმეტი იქნება“ (იქვე, 33).

მნერლის ბიოგრაფიის უცნობ დეტალს გვაცნობს გრიგოლ რობაქიძის ამავე პერიოდის ბარათი, რომლის ადრესატია „სანატრული ასული ივერიისა“ — მშვენიერი სოფიო ტატიშვილი, ივანე გომართელის ცოლის და, შემდგომში კი მეუღლე 1924 წელს უდანაშაულოდ დახვრცეტილი ინტელიგენტის, გიორგი ციციშვილისა. ეს შესანიშნავი დოკუმენტი ადრესატის ოჯახს შემოუნახავს და მკვლევარმა ლალი ავალიანმა გამოაქვეყნა (ავალიანი 2005: 88-90).

წერილის მიხედვით, ახალგაზრდა მნერალს ქალისათვის რომანტიკულ სახელი „Silvia“-ს უნიდებია და, როგორც აქვე ირკვევა, მასთან ღრმა გრძნობები აკავშირებდა: „ასეთ გზაჯვარედინზე შემხვდით თქვენ: ჩემმა სულმა იგრძნო სრულიად რამ ახალი, ჩემთვის ჯერ უგრძნობელი და უცდელი. ვერა-რა ამოშლის ჩემში ამ გრძნობას“ (იქვე, 88-89), — სწერს რობაქიძე სოფიო ტატიშვილს.

ჩვენ გავანალიზეთ ჩვენს ხელთ არსებული გრიგოლ რობაქიძის 1910-იანი წლების პირადი წერილები. ამ ბოლო ხანებში გრ. რობაქიძის თხზულებათა ხუთტომეულის მე-4

ტომში ლალი ცომაიამ გამოაქვეყნა ასევე ამავე პერიოდის სხვა ეპისტოლები, რომლებიც მწერალს გაუგზავნია გ. ზდანოვიჩის, ს. ფირცხალავას, ი. გრიშაშვილისადმი. ახალი ეპისტოლური თუ სხვა ტიპის დოკუმენტური მასალების მიკვლევა და გამოყენება მწერლის ცხოვრების ამ მონაკვეთს კიდევ უფრო სრულყოფილად წარმოაჩენს.

როგორც ცნობილია, 1910-იან წლებში გრიგოლ რობაქიძე აქტიურად თანამშრომლობდა პრესასთან. ქვემოთ გთავაზობთ 1914 წელს „სახალხო გაზეთში“ (№ 1100) დაბეჭდილ ესეს „რაბინდრანათ ტაგორ“.

### რაბინდრანათ ტაგორ

გასულ ზაფხულს შემთხვევით „რუსკია ვედომოსტის“ ერთი ნომერი ჩამივარდა ხელში, საცა, სხვათა შორის, დიონეოს წერილი იყო მოთავსებული ინდოეთის თანამედროვე მგოსნის რაბინდრანათ ტაგორიჭს შესახებ; დიონეოს ცნობით, ინდოეთის მგოსანს თვითონ ეთარგმნა ინგლისურად პროზით თავის ლექსთა კონა — „გიტანჯალი“ (მსხვერპლ-შენირვანი), რომელიც რამოდენიმე თვის განმავლობაში ოთხჯერ გამოცემულა; თანაც, ავტორის რამოდენიმე ლექსიც მოჰყავდა, ამ უცნაური ხელოვანისა.

ძლიერი იყო და სულ-ახალი გულ-ნება, ამ ორიოდე ლექსით გამოწვეული; მე თარგმნა სრულიად არ მეხერხება; მაგრამ ერთმა ლექსმა ისე დამატყვევა, რომ იქვე ვთარგმნე იგი; ეს ლექსი იყო — „ბავშვები ზღვის პირას თამაშობენ“, რომელიც „ოქროს ვერძის“ მეოთხე ნომერში დაიბეჭდა; ამ პატარა ქმნილებაში მთელი სიბრძნეა ასულდგმულებული, — და მინდოდა გამეგო, თუ რა შთაბეჭდოლებას გამოიწვევდა იგი პოეზის მოყვარეთა შორის ჩვენშიც: მაგრამ ლოდინი სასურველ არ ამიხდა: რაღაც ბუნდოვანიაო, — ამბობდა მრავალი მათგანი აშკარა წუნის დასაფარავად.

„რაღაც ბუნდოვანი, — ეს სიტყვა ჩვენში თითქმის ყოველს პირზე აკერია; რა ნანარმოებია, ბატონო, თუ კი იგი ვერ გავიგე. — აი, რა გაისმის ხშირად ჩვენში; მაგრამ აქვს რაიმე ფუძე ასეთს მტკიცებას? შექსპირის „პამლეტს“ უბრალო მკითხველი ვერ გაიგებს, ხოლო ამით იგი ქმნილება ოდნავ არ ჰყარგავს თავის გენიალობას; შესაძლოა, რომელიმე სმენა-განუვითარებელს ბეტჰოვენის სიმფონია „კაკაფონიად“ მოეჩენოს, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ბეტჰოვენი „ბუნდოვანია“; ამ შემთხვევაში ბრალი ნანარმოებს კი არა, თვითონ მკითხველს თუ მსმენელს მიუძღვის: ნანარმოების გაგებისათვის საჭიროა ერთგვარი დონე განვითარებისა; და ბოლოს და ბოლოს რომელიმე ქმნილებისათვის ის კი არ არის დამახასიათებელი, გაიგო თუ არა იგი ყველამ, არამედ ის, თუ ვინ რა გაიგო მით; უბრალო მკითხველს რუსთაველი უთუოდ „სადათ“ მოეჩენება, მაგრამ უაილდი მასში სიბრძნეთა ზღვას დაინახავდა; ჰერაკლიტოს ეფესელი მრავალთათვის „ბუნდოვანი“ იყო (აკი „ბეჭლიც“ კი უწოდეს მას), მაგრამ ფრიდრიხ ნიცეშესათვის იგი ყველაზე უფრო უნაკლოა.

მაგრამ დავანებოთ ამას თავი: დღეს ინდოეთის მგოსანს „რაღაც ბუნდოვანს“ ვერავინ უნდოდებს; რაბინდრანათ ტაგორმა დაატყვევა მთელი ევროპა და რამდენიმე თვის წინად ნობელის პრემიაც მიიღო; მოხდა უმაგალითო ამბავი: ჯილდოს აძლევენ სრულიად უცხო მწერალს; და მერე რისთვის? პატარა ლექსთა კონასათვის და ისიც ნათარგმნისათვის? ალბად, ამ ვითომდა „ბუნდოვან“ მგოსანში ისეთი სინათლე დავინახე, რომელმაც თვალნი მოსჭრა ხელოვნების ნამდვილ დამფასებელთ.

და ჭეშმარიტად ღვთიურაა ტაგორის მარჯვენა; ჩემთვის ხელოვნური ნაქნარი მხოლოდ მაშინ არის გენიალი, როცა იგი მარადობის სამთავროში ამაფრენს და ჩემს „მეს“ მარადობის ნაჭრად მაგრძნობინებს; ამ მხრივ ტაგორის ყოველი სიტყვა მართლაც რომ ლურჯი ფრინველია, რომელიც უკვდავების სუნთქვას მოგბერს. სულ პანა მაგალითი.

„თუ შენ არ გსურს ლაპარაკი, მე ავავსებ მაშინ ჩემს გულს შენი დუმილით და ჩავიკეტები შიგ. მე ვიქნები მჯდარი ჩუმად და ლოდინით საესე, ვით ღამე, უძრავად ფხიზელი და თმენით თავდახრილი; დილა უთუოდ მოვა, ბნელი გაჰქრება და ხმა შენი ოქროს ჩერად იწყებს სხმას ცათა შორის; და მაშინ სიტყვები შენი აფრინდებიან სიმღერებით ჩემ ფრინველთა ყველა ბუდეთაგან და ჰიმნი შენი ყვავილებად გაიშლებიან ჩემს ტყეთა ყოველს კუთხეში“.

ან კიდევ: „მისუსტებული, იმედით დავფიცარ მე თოახში და ვეძებ „მას“ ყოველს მის კუთხეში, მაგრამ ვერ ვნახულობ სასურველს; სახლი ჩემი დიდი არ არის და, რაც გაჰქრა, არაოდეს დაბრუნდება ახლად, მაგრამ ვრცელია, უფალო, საცხოვრებელი შენი, და მის ძებნაში მე მოველ შენს ბჭემდე; მე ვდგევარ შენი საღამური ცის ტატანის ქვეშ და ვუმზერ ანთებულ შენს სახეს. მე მოველ მარადობის საზღვრამდე, საიდანაც არა დაიკარგება რა: არც იმედი, არც ნეტარება, არცა სახე, ცრემლებში ხილული; ჰიო, ჩასძირე, უფალო, ჩემი დაცარიელებული სიცოცხლე ამ ოკეანეში, ჩასძირე იგი თვით მის ფსკერამდე; მომც მე ერთბაშად ძალა, რომ მსოფლიოს ყოველშემცველობაში ვიგრძნო დაკარგული სათუთი შეხება“.

ერთი წამით შეჩერდით და დააკვირდით: ამის იქით განა წავა სიბრძნე, ლამაზს სამოსელში გახვეული?! მან დაჰკარგა სატრფო: იგი არაოდეს დაბრუნდება ამ სოფლად; მოტრფიალე გრძნობს, რომ მარადობის სამთავროში არა დაიკარგება რა და იგიც მიდის უფალის ბჭესთან, რომელიც სათავე და ბოლოა ყოვლის არსისა; მარადობის სამთავრო მაძიებლის წინ უსაზღვრო ოკეანედ იშლება, რომელშიაც უთუოდ მისი სატრფოც დაცურავს; და აქ იგი უფალს უვედრება — მისცეს მას საშუალება, რომ ოკეანეში ჩაძირვით იგრძნოს მან გამქრალი შეხება სატრფოსი; მსოფლიო ლიტერატურაში ეს რამოდენიმე სიტყვა საგალობელად დარჩება მარადის.

ღრმა არის აღმოსავლეთი და ტაგორიც მისი პირმშო შვილია; ბოლოს და ბოლოს, ყველაზე უფრო დიდი ლირიკოსი დავით წინასწარმეტყველია და „ქებათა ქების“ ავტორიც ხომ ღვთიური ხელოვანია ცეცხლოვანი ეროსის მიერ ნაშობი ყვავილოვანი გრძნობისა; ტაგორის მრავალი შაირიც ნამდვილი ფსალმუნია, მისი მრავალი ხატება „ქებათა ქები“ ყვავილია; ტყვევილად კი არ მიაჩინიათ იგი მის სამშობლოში წინასწარმეტყველად: იგი ნამდვილი ქურუმია, მსხვერპლისმნირველი და უწოდა ხომ მან თავის საგალობელს „გიტანჯალი“, რაც წიშნავს მსხვერპლშენირვას!“

აღმოსავლეთი მე „ფიქრ-მორეულ გულ-ნებით“ გამოვსახე: სხვა მხრივ ვერ წარმომიდგენია მე იგი; ფრ. ნიცშემ მოგვცა შესანიშნავი სიტყვა „დიადი შუადღე“; პანი სწორედ ამ უამს იბადება; და ყველა რელიგიაც აღმოსავლეთმა წარმოშობა. შოთა რუსთაველი ჩემთვის მით არის ძვირფასი, სხვათა შორის, რომ მისი ქმნილება ხანდახან აღმოსავლეთის გულ-ნებასა ჰქმნის (მაგ., ავთანდილი, როგორც ესთეტიური ფენომენი).

ტაგორიც მრავალ მნიშვნელოვანია ქართველობისათვის: ჩერიც ხომ აღმოსავლეთის შვილი ვართ და ჩვენში ბევრს ლაპარაკობენ „გაევროპიელებაზე“ და ამ დროს აღმოსავლეთი სრულიად ავიწყდებათ; „უაღმოსავლეთონი“ კი ქართველი მხოლოდ „ფიზიოლოგიური ერთეული“ გახდებიან; აქ თავსა ჰყოფს პრობლემა რომელიმე ეროვნების ცხოვრების სტილისა, რომელიც მხოლოდ ერთხელ ავსახე ჩემს ერთ წერილში (იხ. ბარათები არჩილ ჯორჯაძისადმი); საქართველოს წინსვლა ამ პრობლემას გვერდს ვერ აუხვევს; პირადად ჩემთვის ქართველთა კულტურის სტილი უკვე გამოკვეთილია რუსთაველის სიტყვაში: ესთეტიური სინტეზი ელლინთა მზიური ხალისიანობისა და აღმოსავლეთის ფიქრ-მორეული შუადღისა (იხ. ზემონაჩვენები ბარათები); ქართველების კულტურა მხოლოდ

რუსთაველის გზით განვითარდება: თუ ამ გზას გადაუხვია, უფსკრულში გადაიჩება უთუოდ.

ტაგორს „ევროპაც“ აქვს შეთვისებული, მაგრამ მან მხოლოდ მით დაატყვევა ევროპა, რომ აღმოსავლეთის ნამდვილი შვილი დარჩა.

#### **დამოწმებანი:**

**ავალიანი 2005:** ავალიანი ლ. „გიური დროის“ ქართული მწერლობა. თბ.: „თეთრი გიორგი“, 2005.

**ბაქრაძე 2004:** ბაქრაძე ა. თხზულებანი. ტ. 2. თბ.: „ნეკერი“, 2004.

**კვატაია 2010:** კვატაია მ. გრიგოლ რობაქიძე იტალიაში — ეპისტოლური აღუზიები. // ლიტერატურული ძიებანი, XXXI, 2010.

**კრებული 2003:** წერილი კიტა აბაშიძეს. პუბლიკაცია და კომენტარები გიორგი აბაშიძისა. // გრიგოლ რობაქიძისადმი მიძღვნილი კრებული: „თეთრ სიამაყეს აქანდაკებ შენი დიდებით“. თბ.: 2003.

**რობაქიძე 2012:** რობაქიძე გრ. პირადი მიმოწერა (შეადგინა, წინასიტყვაობა, კომენტარები და საძიებლები დაურთო ეთერ ქავთარაძემ). თბ.: „არტანუჯი“, 2012.

*Manana Kvataia*

### **A Hundred Years Ago: Epistolary Reconstructions**

#### **Abstract**

Numerous details of Grigol Robakidze's biography and creative activity are still to be restored and specified. In this respect along with other documentary materials one of the best sources is the writer's personal letters sent at different times and to different persons. In this work on the basis of analysis of the epistolary material concrete passage of Robakidze's life (the years between 1910 and 1914) has been studied. From the viewpoint of sharpening creative skills and search this period appeared to be rather fruitful for the young writer. Set off on study abroad Robakidze left his homeland for a long period and for him personal correspondence with those who were dear to him seemed to be the only means of communication and contact. Hence, this correspondence contains rather great actual material which helps to reconstruct at least partially the unknown segments and spiritual state of creator's life. At the same time in this period Grigol Robakidze's novels were published actively both in Georgian and Russian press, the writer delivered lectures in these languages before a wide audience.

The author studies the realities of Robakidze's personal letters sent to K. Amerejibi, A. Jorjadze, K. Abashidze, A. Tsreteli and other persons which help to restore those less known moments of the years 1910-1914 which make familiar us with new details of the writer's biography, creative and lecturing activity. The work is supplied with two essays "d'Annunzio" and "Rabindranath Tagore" by Grigol Robakidze printed in "Sakhalkho Gazeti" (People's newspaper) in 1913-1914.

## მაია ნაჭყებია

### ადამიანის იდენტობის კრიზისი ვაცლავ პაველის ესეისტიკასა და დრამატურგიაში

ადამიანის იდენტობის კრიზისი ერთ-ერთი ცენტრალური თემაა როგორც ვაცლავ პაველის დრამატურგიაში, ისე მის ესეისტიკაში.

ვაცლავ პაველი (5 ოქტომბერი 1936– 18 დეკემბერი 2011) მე-20 საუკუნის ერთ-ერთი ყველაზე გამოჩენილი და გამორჩეული ფიგურაა: დრამატურგი, ესეისტი, ადამიანის უფლებათა დამცველი, დისიდენტი, პოლიტიკოსი, ჩეხოსლოვაკიის უკანასკნელი და ჩეხეთის პირველი პრეზიდენტი, ერთი სიტყვით, ადამიანი არაორდინალური ცხოვრებითა და შემოქმედებით. მისი ცხოვრება და მოღვაწეობა განუყორელად არის დაკავშირებული მისი სამშობლოს ბედთან, მთელი თავისი ცხოვრების მანძილზე იგი ნებსით თუ უნებლიერ მნიშვნელოვან როლს თამაშობდა თავისი ქვეყნის პოლიტიკურ, კულტურულ და ლიტერატურულ ცხოვრებაში და მისმა საქმიანობამ თანდათანობით ფართო საერთაშორისო მნიშვნელობა შეიძინა.

უნდა აღინიშნოს, რომ ვაცლავ პაველის პიროვნებაში სამი იპოსტასია გაერთიანებული: დრამატურგი, ფილოსოფორი და პოლიტიკოსი და მათი ერთმანეთისგან გამოცალკევება შეუძლებელად მოგვაჩნია. მისი ლიტერატურული და პოლიტიკური საქმიანობა მისი ფილოსოფიური შეხედულებებიდან ამოიზარდა. ამასთან, იგი პრაქტიკოსი ფილოსოფოსია, რომელიც ყოველდღიურობის შეკითხვებზე ცდილობს პასუხების პოვნას.

იმისთვის, რომ წარმოჩნდეს ვალცავ პაველის შემოქმედების არსი და მნიშვნელობა, აუცილებელია იმ ისტორიულ-კულტურული კონტექსტის ჩვენება, რომელშიც მას მოღვაწეობა უწევდა. ეს არის XX საუკუნის ჩეხეთის 50-იანი-80-იანი წლები. კომუნისტური რეჟიმის მთელი სისასტიკე და ანტიპუმანურობა ჩეხოსლოვაკიის მოქალაქეებმა ისევე იწვნიერს, როგორც დანარჩენი კომუნისტური სივრცის ქვეყნებმა. ჩეხოსლოვაკიაში 1948 წლის თებერვალში კომუნისტებმა ხელში ჩაიგდეს ძალაუფლება, რასაც მოჰყვა კერძო საკუთრების ნაციონალიზაცია. ძალაუფლების გადასვლამ კომუნისტების ხელში გამოიწვია ის, რომ ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკა საბჭოთა კავშირზე გახდა დამოკიდებული. ამას კი თან სდევდა პოლიტიკური პროცესები, პოლიტიკურად და იდეოლოგიურად მიუღებელი ადამიანების დაპატიმრებები, დევნა, იძულებითი ემიგრაცია. ჩეხოსლოვაკიის სახელმწიფო უშიშროება პოლიტიკური პოლიცია იყო, რომელიც მთელი თავისი არსებობის მანძილზე უხეშად იჭრებოდა მოქალაქეებისა და მთელი საზოგადოების ცხოვრებაში. 50-იან წლებში იგი მონინალმდებელის ლიკვიდაციას პილიტიკური პროცესების მეშვეობით ახდენდა, რომლის დროსაც პოლიტიკური პროცესების მსხვერპლი ასი ათასობით ადამიანი გახდა. პროცესები მოსახლეობის ყველა ფენას შეეხო. სტალინის სიკვდილის შემდეგ კი ვითარება ქვეყანაში შედარებით ლაბერალური გახდა, 60-იან წლებში უკვე შესაძლებელი იყო საჯარო გამოსვლებსა და პირად საუბრებში სტალინის რეჟიმის კრიტიკა. ეს იყო ჩეხოსლოვაკიის უახლესი ისტორიის ე.წ. „ოქროს ხანა“, რომელიც 1968 წლის „პრაღის გაზაფხულით“ დასრულდა. მასთან დაკავშირებული იყო ქვეყნის მოქალაქეების დიდი იმედები: სიტყვის თავისუფლება, კონომიკური რეფორმები, საზღვრების გახსნა და სხვ., მაგრამ ეს ყოველივე ვარშავის ხელშეკრულების ქვეყნების ჯარების შემოქმინით და ჩეხისლოვაკიის ოკუპაციით დამთავრდა. ამის შემდეგ გადააყენეს ქვეყნის შედარებით

ლიბერალური ლიდერი — ა. დუბჩეკი და ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივნად გუსტავ ჰუსაკი დანიშნეს (1969). ჰუსაკი საბჭოთა კავშირისთვის მისაღები და მის მიერვე მხარდაჭერილი ლიდერი იყო, რომელსაც „ნორმალიზაციის“ სახელით ცნობილი კურსის გატარება დაევალა.

„ნორმალიზაციის“ ეპოქის ჩეხოსლოვაკიაში ვაცლავ ჰეექმნა მთელი რიგი ტექტებისა, რომლებიც პოსტორტალიტარული სახელმწიფოს ანალიზს ეხება. იგი „არა-თავისუფლების“ კონკრეტული გამოვლინებების საფუძველზე ცდილობდა მიეკვლია იმ დამმონებელი წესის ფესვებისთვის, რომლიდანაც იგი იყო ამოზრდილი. პირველი ასეთი ტექსტი არის ჰაველის „წერილი გუსტავ ჰუსაკს“ (1975), რომელიც „ნორმალიზაციის“ შემამოთებელი შედეგების ღრმა ანალიზს ჰეიცავს. ჰაველი განიხილავს ჰუსაკის მთავრობის მიერ საზოგადოებაში დანერგილი შიშის ფენომენს, რომელმაც ადამიანებში წარმოშვა გულგრილობა, აპათია, ფარისევლობა და შედეგად — შემგუებლობა. იგი ეხება და აანალიზებს ისეთ საკითხებს, როგორებიცაა მორალური ნორმების კოროზია, ცხოვრების რიტუალიზაცია, ისტორიის და ფსევდოსტორიის მიმართება პოსტტორტალიტარულ სახელმწიფოში და მის დაღუპველ შედეგს — ადამიანის იდენტობის კრიზისს (ჰაველი 2007: 14-29). განსაკუთრებით დაწვრილებით ვაცლავ ჰაველი ადამიანის იდენტობის კრიზისის სხვადასხვა ასპექტებს ეხება ესაეებში, „წერილი გუსტავ ჰუსაკს“, „ძალა უძალოთა“, „ადამიანის იდენტობის კრიზისი“. აქ ჰაველი განიხილავს ადამიანის ყოფიერების ძირეულ საკითხებს და ტოტალიტარული რეჟიმის ბრწყინვალე, უნივერსალურ ანალიზს იძლევა, ავლენს მისი ფუნქციონირების მექანიზმებს და მისი ტოტალური წნევით გამოწვეულ დამღუპველ შედეგებს.

ფილოსოფიის ისტორიაში ხშირად არსებობს განსხვავება მხატვრულ შემოქმედებასა და ასტრაქტულ აკადემიურ ანალიზ შორის. თანამედროვეობაში და განსაკუთრებით ეგზისტენციალისტებთან ხშირია, როდესაც ავტორები თავის ფილოსოფიურ აზრებს დრამატულ ნაარმოებებში ან ზოგადად ლიტერატურაში განასხეულებენ. ასე წერენ გაბრიელ მარცელი, ჟან-პოლ სარტრი და ალბერ კამიუ. ვაცლავ ჰაველი სწორედ ის პიროვნებაა, რომელიც თავის ფილოსოფიურ შეკითხვებს სვამს მხატვრული, დრამატურგიული ფორმით.

მაშასადამე, ჰაველის პიესები მისი ფილოსოფიური ნააზრევის კონკრეტულ ხორც-შეხსმას წარმოადგენს, რომლებშიც იგი უკვე კონკრეტული სიტუაციების და გმირების მეშვეობით უჩვენებს ამ დამთრგუნველი მექანიზმის მოქმედებას. ადამიანის იდენტობის კრიზისი ყველა მის პიესაშია და იქ მისი სხვადასხვა ასპექტია წარმოდგენილი. ადამიანის იდენტობის კრიზისის სხვადასხვა გამოვლინებას აჩვენებს როგორც თავის ადრეულ, ისე ნორმალიზაციის პერიოდში დაწერილ პიესებში: „ზეიმი ბაღში“ (1963), „შეტყობინება“ (1965), „გონების მოკრეფის გართულებული შესაძლებლობა“, „დარიბული ოპერა“ (1975), „სასტუმრო მთაში“, „აუდიენცია“ (1975), „ვერნისაჟი“ (1975) და „პროტესტი“ (1978), „Largo desolato“ (1984), ე.წ. ფაუსტური პიესა „ცოუნება“ (1985), „ასენიზაცია“ (1987), სადაც ჰაველი ეხება და უჩვენებს ადამიანის ყოფიერების, მისი ეგზისტენციის ძირეულ საკითხებს, ტოტალიტარული რეჟიმის არსს, მის გამანადგურებელ ზეგავლენას ადამიანებზე, ამ ზეგავლენის დამღუპველ შედეგებს ადამიანისა და საზოგადოებისთვის. საზოგადოებაში დაწერგილი შიშის, მლიქვნელობის, ფარისევლობის, გულგრილობის ფენომენს, რომელიც შედეგად იწვევს ადამიანის იდენტობის კრიზისს და გაუცხოებას.

ჰაველი თავისი კრიტიკული აზროვნებით და ყოფიერებისთვის ძირეული შეკითხვების დასმით უპირისპირდებოდა ზედაპირულ აზროვნებას და საზოგადოებაში გაბატონებულ

განწყობილებებს. იგი ანგრევდა კერპებს, ცრუნრმენებსა და მითებს. მის მსჯელობათა მთავარი საკითხი იყო მორალი. ჰაველი კრიტიკულად მსჯელობს საზოგადოებრივ სიტუაციაზე და დიაგნოზს უსვამს ეპოქას, რომელშიც ცხოვრობს. ეს კარგად ჩანს თუნდაც ჰუსაკისადმი მიწერილ წერილში. ეს იყო ეპოქის კრიტიკული ანალიზის ცდა, რომელიც სცილდებოდა ჟურნალისტურ ან ერთგვარ მშრალ სოციოლოგურ გამოკვლევას. იქ გაუღერდდა კითხვები ეთიკის, ფილოსოფიური ანთროპოლოგიის და პოლიტიკური ფილოსოფიის სფეროებიდან. ჰაველის მეთოდი მდგომარეობს იმაში, რომ იგი სცადს კრიტიკულ შეკითხვებს და ცდილობს დასვას ეპოქის სულიერი დიაგნოზი, რასაც ფილოსოფიაში აკეთებდნენ იასპერსი და ორტეგა ი გასეტი. მისი ფილოსოფიური აზრები, გამოთქმული მის ესახება და წერილებში, აისახა მის მხატვრულ შემოქმედებაში: მისი აბსურდის პიესები საზოგადოების პორტრეტია, რომელიც გარკვეულ ცხოვრებისეულ ფილოსოფიას გულისხმობს. თავის კომენტარებში აბსურდის თეატრის მნიშვნელობის შესახებ იგი განმარტავს, რომ, მისი აზრით, აბსურდის თეატრის მოწოდებაა, აიძულოს ადამიანი, რომ მან აზრის ძიება დაინტოს, ანუ მას აბსურდის თეატრი ესმის, როგორც ფილოსოფიური მოქმედება თუ აქტი.

ჰაველის შემოქმედების მრავალფეროვნების გააზრება და კავშირებულია იმასთან, თუ როგორ ვკითხულობთ და როგორ გვესმის ჰაველი, ანუ რამდენად ერთიანობაში ან ფრაგმენტულად აღვიქვამთ მისი შემოქმედებას. ჰაველის მკვლევართა უმეტესობა დრამატურგ ჰაველს ჰაველი-ესეისტისგან განცალკევებით განიხილავდა, ხოლო ჰაველ-პოლიტიკოსს და მოუკიდებლად მოიაზრებდა. ჩვენ ჰაველის შემოქმედებას მთლიანობაში განვიხილავთ, თუმცა შემოვიფარგლებით პერიოდით 1989 წლამდე, ანუ მის მიერ პოსტტოტალიტარულ სახელმწიფოში შექმნილი ტექსტებით და პიესებით, რათა ვაჩვენოთ ურთიერთკავშირი მის ფილოფონიურ ნააზრევსა და დრამატულ ნაწარმოებებს შორის. სწორედ მისი დრამატურგიისა და ესეისტიკის მთლიანობაზე, მათ შინაგან ურთიერკავშირებზე ფოკუსირებით იკვეთება მისი შემოქმედების უმნიშვნელოვანესი საკითხი — ადამიანის იდენტობის კრიზისი. ამ თვალსაზრისით უაღრესად საყურადღებოა ჰაველის გრაფიკული პოეზიაც, მაგ. კრებული „ანტიკოდები“, რომელიც, პრინციპში იმავე თემებს მოიცავს, რომლსაც მისი დრამატურგია და, ჩვენი აზრით, თვალსაჩინოა პარალელები ზოგიერთ პიესასა და გრაფიკულ ლექსს შორის. აქ ერთი მეორეს ავსებს და ხსნის.

\*\*\*

კაცობრიობის ისტორიამ შექმნა უამრავი ორიგინალური და ერთმანეთისგან განსხვავებულ მიზანდასახულებათა მქონე ფილოსოფიური სწავლება, მაგრამ მათ ცენტრში ასე თუ ისე ყოველთვის მოქცეულია ადამიანი, მისი ბუნების, მისი ჭეშმარიტი არსის, სამყაროსადმი და მოკიდებულების გაგების მცდელობა. სწორედ ეს სძენს ფილოსოფიურ სწავლებას ჰუმანისტურ ხასიათს. მე-20 საუკუნის სამრეწველო და ტექნოლოგიურმა რევოლუციამ გამოიწვია ადამიანის გარე სამყაროსთან გაუცხოების პრობლემა და ადრინდელი ჰარმონიის დაკარგვა. თანამედროვე ცხოვრების სულ უფრო მზარდ ტემპს ადამიანი მიჰყავს სულიერი საწყისის ფაქტიურ კვდომასთან, არყევს ადამიანის ყოფიერების საფუძვლებს. ადამიანს პრაქტიკულად აღარ რჩება დრო, იმუშავოს საკუთარ თავზე. ამას ყურადღება მიაქციეს თანამედროვე დასავლური ირაციონალური ფილოსოფიის, ფენომენოლოგიის და ეგზისტენციალიზმის წარმომადგენლებმა. მათი აზრით, სწორედ ფილოსოფია უნდა დაეხმაროს ადამიანს სამყაროსთან ამ საშიში გაუცხოების დაძლევაში. ეს

კი მიიღწევა ადამიანის ჰუმანისტური და მსოფლმხედველობით პოტენციალის ამოქმედების გზით. ალბერ კამიუმ შემოგვთავაზა კითხვა: რაში მდგომარეობს ადამიანის ცხოვრების არსი (კამიუ 1984: 222-318). ამ შეკითხვაზე პრინციპული პასუხის გარეშე აზრს კარგავს საუბარი დანარჩენზე. ისტორიული გამოცდილება იცნობს უამრავ ტრაგედიას, როდესაც ადამიანი ივიწყებდა სამყაროში თავის მაღალ დანიშნულებას და გადაიქცეოდა უდარდელ მომხმარებელ არსებად. თუ ადამიანი უარს ამბობს საკუთარი თავის სულიერად ზრდის ამოცანაზე, მაშინ იგი იქცევა ადამიანური ჯოგის აბსოლუტურად კონფორმისტულ წარმომადგენლად. იგი კარგავს თავის ჭეშმარიტ ადამიანურ არსს, რაც მთელი საზოგადოების დეგრადაციას იწვევს.

რაც შეეხება აბსურდის თეატრს, იგი ცდილობდა „გამოეხატა ადამიანური ეგზისტენციის უაზრობა“. აღმოსავლეთ ევროპაში ტრადიციული სულიერი ლირებულებების კრიზის და ადამიანის ეგზისტენციის აზრის დაკარგვას თან ერთვოდა აბსურდული ყოველდღიურობა, რომელიც იქ გაბატონებული იდეოლოგით იყო განპირობებული. XX საუკუნის 50-იანი წლების ბოლოს და 60-იან წლებში ჩეხეთში შედარებით ოპტიმისტური ატმოსფერო იყო, რაც პიროვნების კულტის დაგმობით იყო გამოწვეული. ადამიანები თვლიდნენ, რომ მათი შეთანხმებული ძალისხმევა ყოველგვარ შეცდომებს გამოასწორებდა და დაძლევდა. ჰაველის 1960 წლების აბსურდის დრამები ძირითადად ენის როლის ანალიზზეა კონცენტრირებული. ენა ჰაველისთვის ძალაუფლების, დამონების და დეპუმანიზაციის ინსტრუმენტია. ჰაველის პიესების გმირებს აქვთ არჩევანი: ან მოიქცნენ ბუნებრივად და გამოიყენონ ნორმალური ადამიანური ენა და არ განადურდნენ, ან მიიღონ ბიუროკრატიის ენა, მოერგონ დეპუმანიზებულ საზოგადოებას და შეიქმნან წარმატებული კარიერა თავიანთი პირადი იდენტობის დაკარგვის ხარჯზე. ჰაველის პიესები შესანიშნავად აჩვენებს იმას, თუ როგორ აღწევს იდეოლოგიური ენა კომუნისტური სისტემის დროს ცხოვრების ყველა სფეროში, განდევნის ყოველივე აზრიანს, ავთენტურ ადამიანურ დისკურსს და საზოგადოებას აქცევს მდუმარე მასად, რომელსაც არ ძალუძს საკუთარი პრობლემების განხილვა.

როგორც უკვე აღნიშნეთ, ადამიანის იდენტობის პრობლემა ერთ-ერთი ძირიული პრობლემაა როგორც ფილოსოფიის, ასევე ლიტერატურისათვის. ვაცლავ ჰაველის შემოქმედება პოსტტოლტიკარულ რეჟიმში შექმნილი კულტურის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პლასტია, რომელიც ხელს უწყობს იმ დროს არსებული რეჟიმის ფუნქციონირების გაგებას და მასთან დაპირისპირებული მცირე დისიდენტური ჯგუფების და პიროვნებების ბრძოლის მნიშვნელობას.

\*\*\*

ფილოსოფიით დაინტერესებულმა ჯერ კიდევ სულ ახალგაზრდა ჰაველმა მიზნად დაისახა გარკვეულიყო ყოფიერების საკითხთან მიმართებაში თანამედროვე ფილოსოფიის კუთხით. ამქვეყნიური ყოფიერება მას ესმის, როგორც რთული მეტაფიზიკური აქტი (ჰაველი 1953). ჰაველის ინსპირირება მარტინ ჰაიდეგერის ფილოსოფიით უდავოა, ამას აღნიშნავენ მკვლევარები და ამასვე აღიარებს ჰაველიც. ჰაიდეგერის მიხედვით, ჩვენთვის ამ ყოფიერების შემეცნება მიუწვდომელია და ისეთივე საიდუმლოდ რჩება, როგორც ჩვენივე ცხოვრების აზრი. ადამიანს, რომელიც სამყაროშია, ორი გზით შეუძლია სამყაროს მოხელთება. ერთ-ერთია ავთენტური ცხოვრება, რომელშიც ადამიანი არ კარგავს თავის იდენტობას, შეიცნობს თავისი ყოფიერების შესაძლებლობებს და მის მიმართ

პასუხისმგებლობას, ხდება აქტიური. მიუხედავად ამისა, ეს ავთენტური ცხოვრება დაკავშირებულია შიშთან, დაურწმუნებლობასთან, ვინაიდან ადამიანი ხშირად ვერ ეწინააღმდეგება თავის შიშს პასუხისმგებლობის წინაშე, მისი ცხოვრება იცვლება არაავთენტური ეგზისტენციით. არავითარი პასუხისმგებლობა არ აქვს საკუთარი თავის წინაშე, გადააქვს იგი რაღაც გარეგნულზე — საზოგადოებაზე და სხვა ადამიანებზე. თუ ადამიანი დაემორჩილება ბრძოს დიქტატურას, თუ იგი დაკარგავს პასუხისმგებლობის გრძნობას, მაშინ მოხდება მისი გაუცხოება საკუთარ თავთან, ყოფიერებასთან და სხვებთან. მაშასადამე, გაუცხოება არის ის მდგომარეობა, როდესაც ადამიანმა ვერ შეძლო თავისი ერთადერთობის დაცვა, ანუ მდგომარეობა, როდესაც ყველაფრის რედუცირება ხდება საშუალოზე და რომელშიც უარყოფილია პასუხისმგებლობა. ჰაველი იზიარებს ჰაიდეგერის მოთხოვნას ავთენტური ცხოვრების, დამოუკიდებელი არჩევანის, პასუხისმგებლობის, რეალობის პასიურად მიღების უარყოფის შესახებ (ჰაველი 1953). ამას უკავშირდება ჰაველის ძალაუფლების მქონეთა მიმართ ბრძან მორჩილების უარყოფა, მრავალფეროვანი ცხოვრების დაყვანა კლასიფიცირებულ სისტემამდე, როგორც ამას მარქსისტული იდეოლოგია ცდილობდა.

პიესების წერას ვაცლავ ჰაველმა ორმოცდაათიანი წლების ბოლოს მიჰყო ხელი. მისი შემოქმედების პირველი პერიოდი დაემთხვა სამოციან წლებს — ამ შედარებით ხელსაყრელ ეპოქას. მიუხედავად იმისა, რომ ვაცლავ ჰაველის პიესები ბევრად განსხვავდებოდა იმისგან, რაც მანამდე შეიძლება ყოფილიყო დაშვებული, ისინი თანდათანობით სცენაზე მოხვდა. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო არა ის, რომ მისი პიესები დაუშვეს, არამედ ის, რომ საზოგადოებამ შესძლო მათი მიღება, რომ ისინი ეხმაურებოდა საზოგადოების საერთო ვითარებას, იმდროინდელ სულიერ კლიმატს. ყოველ ახალ ნაწარმოებთან ადამიანების იდენტიფიცირება და მათი ინტეგრირება ეპოქის სულიერ სინამდვილესთან კანონზომიერად ხსნიდა სივრცეს უფრო რადიკალური აქტისთვის და ყოველი ახალი ნაწარმოები კიდევ უფრო ასუსტებდა რეპრესიული სისტემის შესაძლებლობას.

1960 წელს ჰაველმა დაიწყო მოღვაწეობა თეატრში „ნა ზაბრადლი“, რომელიც არსებითად განსხვავდებოდა სხვა თეატრებისგან და საზოგადოებრივი თვითშეგნების ერთერთი ამაფორიაქებელი კერა იყო. ამ პერიოდს ჰაველი უწოდებს წარმოუდგენლად ხელსაყრელს თავისი შემოქმედებითი მუშაობისთვის: „ვიცოდი, ვისთვის ვწერდი“, — ამბობს იგი.

დასავლური „აბსურდის თეატრი“ ძირითადად ხაზს უსვამდა ადამიანის ფუნდამენტურ დაბნეულობას, რომელიც იმ ფაქტიდან მომდინარეობდა, რომ მას არ ჰქონდა პასუხი ძირითად ეგზისტენციურ შეკითხვებზე: რატომ ცხოვრობს, რატომ უნდა მოკვდეს, რატომ არსებობს უსამართლობა და ტანჯვა. კომუნისტური რეჟიმი საერთოდ, და აღმოსავლეთ ევროპაში გაპატონებული რეჟიმი კერძოდ, აცხადებდა, რომ მას ჰქონდა პასუხები ყველა ამ შეკითხვებზე და რომ მას ძალა შესწევდა მოესპონ ტანჯვა და უსამართლობა. ეს გამარტივებული იდეოლოგია იმისთვის იყო შექმნილი, რომ ცხოვრების ყველა სფეროზე ებატონა, ხალხს კი ენთუზიაზმით უნდა დაეჭირა მისთვის მხარი. მაშასადამე, საბჭოური ტიპის სისტემამ მოახერხა ის, რომ აბსურდულობის შეგრძნებამ მოიცვა ყველა. იმან, რაც დასავლეთში მხოლოდ ინტელექტუალთა მცირე ჯგუფს აღელვებდა, აღმოსავლეთში მთელი საზოგადოება მოიცვა.

ვერ ვიტყვით, რომ ცხოვრების აბსურდულობა აღმოსავლეთ ევროპაში გარკვეულ-ნილად განსხვავდებოდა იმ აბსურდულობისგან, რომელსაც მოეცვა დასავლეთ ევროპა.

სამყაროს ორივე ნაწილში იგი სამყაროში ადამიანის მდგომარეობის გაურკვევლობიდან, სიკვდილის შიშიდან და ადამიანის აბსოლუტისკენ ინსტიქტური სწრაფვიდან აღმოცენდა, მაგრამ აღმოსავლეთ ევროპულმა პრაქტიკამ შექმნა რეალობა, სადაც აბსურდულობა ღრმად იყო საგრძნობი ყველასთვის, ვისაც ამ რეჟიმთან ჰქონდა შეხება.

აბსურდის თეატრი ცდილობდა „გამოხატა ადამიანური ეგზისტენციის უაზრობა“. აღმოსავლეთ ევროპაში ტრადიციული სულიერი ღირებულებების კრიზისს და ადამიანის ეგზისტენციის აზრის დაკარგვას თან ერთვოდა აბსურდული ყოველდღიურობა, რომელიც იქ გაბატონებული იდეოლოგით იყო განპირობებული.

1963 წელს თეატრ „ნა ზაბრადლის“ სცენაზე დაიდგა პაველის პირველი აბსურდის პიესა „ზეიმი ბალში“, რომელმაც პაველი აღმოსავლეთევროპული აბსურდის თეატრის წამყვან წარმომადგენლად აქცია. საზოგადოებას სურდა სცოდნოდა, რაში იყო საქმე, ამას კი პაველის პიესებიდან რაც დრო გადოიდა, სულ უფრო უკეთ იგებდა (კრისეოვა 1991: 35). თეატრს იმ დროს პოლიტიკური მნიშვნელობა ჰქონდა, იგი სულიერ კლიმატს ქმნიდა. თავის ესეში „ჩემი ცხოვრებიდან“ პაველი წერს: „რაც უფრო მეტი შეგვეძლო, მით უფრო მეტს ვაკეთებდით, რაც უფრო მეტს ვაკეთებდით, მით მეტი შეგვეძლო. ეს იყო რაღაც დაჩქარებული ნივთიერებათა ცვლა ხელოვნებასა და ეპოქას შორის, რომელიც აუცილებელია ისეთი სოციალური ორგანიზმისთვის, როგორც თეატრია, არაჩვეულებრივად ინსპირატორული და პროდუქტიული“ (პაველი 1992).

1968 წლის სისხლიანი მოვლენების შემდეგ პაველი უაღრესად მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა. მას წაართვეს არა მხოლოდ მისთვის საყვარელ „ნა ზაბრადლიში“ მოღვაწეობის საშუალება, არამედ საერთოდ მოუსახეს ყოველგვარი შესაძლებლობა, რაიმე საერთო ჰქონოდა ჩეხურ თეატრთან და, როგორც ავტორი, იგი ყველაზე აკრძალულთა შორის აღმოჩნდა. მისი ნაწერები „სამიზნატიის“ სახით გამოიიდა, პიესები ძირითადად საზღვარგარეთ, დასავლეთში, იდგმებოდა. პაველის ბიოგრაფი — ედა კრისეოვა — ერთ-ერთ ასეთ ეპიზოდს აღნერს: უკვე მოგვიანებით სადღაც ბარში მჯდომ პაველს თურმე ვილაც მამაკაცი მიუახლოვდა და უთხრა, რომ ორნლიანი სასჯელის მოხდისას იმით იყო დაკავებული, რომ ჩეხური ლიტერატურის ისტორიიდან მის სახელს აქრობდა...

\*\*\*

როგორც უკვე ზემოთ აღვნიშნეთ, ვაცლავ პაველის პირველი მნიშვნელოვანი პიესა არის „ზეიმი ბალში“, რომელიც 1963 წელს დაიდგა „ნა ზაბრადლის“ სცენაზე. ამ პიესის შესახებ ცნობილმა დრამატურგმა, პაველ კოპოუტმა, თქვა: „ზეიმმა ბალში“ მოახდინა პაველის კატაპულტირება სამყაროში“.

პიესაში ასახულია ჩეხოსლოვაკიის ვითარება XX საუკუნის 60-იან წლებში. მასში ნაჩვენებია იმდროინდელი ჩეხი მოქალაქეების ფსიქოლოგია, რაც იმაში მდგომარეობდა, რომ არაფერმი ჩარეულიყო, არ გამოეთქვა საკუთარი აზრი, შენილბულიყო ფრაზებით, მაგრამ მოეხერხებინა სიტუაციის თავის სასარგებლოდ გამოყენება. პიესა გვიჩვენებს ადამიანს, რომელიც კარგავს საკუთარ იდენტობას. პაველი ამ პიესით მიუთითებს არსებული რეჟიმის უაზრობასა და ბიუროკრატიულ უსუსურობაზე და აჩვენებს იმას, რომ ასეთ რეჟიმში ადამიანის საკუთარ თავთან გაუცხოება გარდაუვალია.

პიესის — „ზეიმი ბალში“ მთავარი პერსონაჟი პუგო პლუდევია. ეს არის ახალგაზრდა კაცი, რომელმაც თავისი კარიერა ფრაზებზე ააგო და ბოლოს მთლიანად ჩაიკარგა კიდეც მათში. ერთი შეხედვით უაზრო, აბსურდული ფრაზები და სიტყვები დაშიფრული სახით

ასახავს სახელმწიფო სისტემას, რომელიც თავს იქებდა იმით, რომ წვლილი შეჰქონდა ის-ტორის დინამიურ განვითარებაში, სინამდვილეში კი ერთ ადგილზე იტკეპნებოდა. მიუხედავად იმისა, რომ ჰუგო ამ პიესის მთავარ მოქმედ პირად უნდა მოიაზრებოდეს, რადგან ის, რაც პიესაში ხდება, მისი „თავგადასავალია“, მისი ამ სტატუსით აღქმა ერთი მიზეზით არის შეუძლებელი — აქ, ისევე როგორც ჰაველის სხვა პიესებშიც, მთავარი მოქმედი პირი ფრაზაა. პლუდევი, ისევე როგორც დანარჩენი მოქმედი პირები, მხოლოდ საშუალება, მხოლოდ მედიუმია, რომლის მეშვეობითაც ლაპარაკობს და მოქმედებს პროტაგონისტი.

ჰაველის ამ აბსურდის პიესაში არის ეპოქალური ფსევდოფილოსოფის შესანიშნავი ნიმუშიც, რომელიც გორკის ცნობილი ფრაზის — „Чело-век! Это — великолепно! Это звучит... гордо! Че-ло-век! Надо уважать человека! Не жалеть... не унижать его жалостью... уважать надо!“ — პაროდირებას შემდეგნაირად ახდენს: „ადამიანი — ეს არის რაღაც მდიდარი, რთული, ცვალებადი და მრავალფეროვანი, არ არსებობს სიტყვა, წინადადება, წიგნი, არაფერი, რაც მის აღნერას მთელი მოცულობით შეძლებდა და მთლიანად მოიცავდა. ადამიანში არ არის არაფერი მუდმივი, მარადიული, აბსოლუტური, ადამიანი უწყვეტი ცვლილებაა, მაგრამ, ცვლილება, რომელიც ამაყად ულერს!“ (ჰაველი 2011: 102-103).

აბსურდულობა პიესაში განსაკუთრებით მოქმედი პირების დაყოფით არის ნაჩვენები: ერთი გამსხველები არიან, მეორენი — ლიკვიდატორები. იმას, რასაც ერთი ხსნის, მეორე იმისავე ლიკვიდაციას ახდენს და ასე გაუთავებლად, როგორც ერთგვარი *perpetuum mobile*. ანუ ეს არის საქმის კეთების სიმულაცია. იგივე მნიშვნელობა აქვს ჭადრაკის თამაშის მეტაფორას. ჰუგო საკუთარ თავს ეთამაშება ჭადრაკს: როდესაც დავის ერთ მხარეს ცოტას მოიგებს, მეორე მხარეს ცოტას წააგებს და პირიქით. იქ არაფერი არ ხდება, პერსპექტივაში არანაირი რეალური შედეგი არ ჩანს. ამიტომ ბუნებრივია, რომ ასეთ სამყაროში ბევრს ლაყბობენ, მაგრამ არაფერი არ ითქმება. ზუსტად ისე, როგორც აბსურდის თეატრში, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ ჰაველმა პირველმა აღმოაჩინა ცხოვრებისეული აბსურდულობის სოციალისტური განზომილება.

უმნიშვნელოვანესად მიმართინა ჰუგო პლუდევის ფინალური მონოლოგი. ეს არის ჰამლეტის, რენესანსის მიწურულის ინტელექტუალის გადაპრეუნებული მონოლოგი „ყოფნა — არყოფნისა“, წარმოთქმული XX საუკუნის 60-იანი წლების ჩეხი კარიერისტის მიერ და გადააზრებული აბსურდულ, გნებავთ, პოსტმოდერნისტულ კონტექსტში.

ფრაზა ადამიანსა და სამყაროს შორის დგას, ადამიანები რეალური შემთხვევებისა და მოვლენების სამყაროში კი არ ცხოვრობენ, არამედ მის ინტერპრეტაციებში და მანევრირებულ დასაბუთება-მოტივირებებში, რომელთაც უნარი შესწევთ დაიცვან ნებისმიერი რამ რეალობის სრული იგნორირებით: „დღეს უკვე აღარ არის სტატიკური და უცვლელი კატეგორიების დრო, როდესაც A მხოლოდ A იყო, ხოლო B ყოველთვის მხოლოდ B; დღეს კარგად მოგვეხსენება, რომ A შეიძლება ხშირად ამავე დროს B იყოს, ხოლო B ამავე დროს იყოს A; B შეიძლება B იყოს, მაგრამ ასევე იყოს A და C; ისევე, როგორც C შეიძლება იყოს არა მარტო C, არამედ, B და D; და გარდა ამისა, გარკვეულ გარემოებებში F შეიძლება არა მარტო O, Q, Y იყოს, არამედ, ვთქვათ R-ც!“ (ჰაველი 2011: 103). ეს ფრაგმენტია ჰუგოს მონოლოგიდან, რომელიც ინტერტექსტურად დაკავშირებულია ჰაველის ექსპერიმენტული პოეზიის კრებულთან „ანტიკოდები“,<sup>\*</sup> სადაც სიტყვების ვერბალური ასპექტები კომბინირებულია ვიზუალურ ასპექტებთან. კრებულის ერთერთი ლექსი, „მლიქვნელობა“ წარმოადგენს ტოლობათა ციკლს, სადაც „გარკვეულ ვი-

\* „ანტიკოდები“ არის ჰაველის „სამიზნატიო“ გამოსული გრაფიკულ-ექსპერიმენტიული პოეზიის კრებული: <http://eldar.cz/myf/txt/havel-antikody.html>

თარებებში A უდრის B-ს, B გარკვეულ ვითარებებში უდრის C-ს“ და ა. შ., მანამ, სანამ ანბანის პირველი და უკანასკნელ ასოს შორისაც არ ჩაიწერება ტოლობის ნიშანი: „Z გარკვეულ ვითარებებში უდრის A-ს“ და არ შეიკვრება წრე ანუ გამოუვალი სიტუაცია ან გაუთავებელი სიარული წრეზე. ლექსს ბოლო სტრიქონებია: „ხოლო იმის ძიება, რას უდრის გარკვეული გარემოებები, მლიქენელობაა, რომელიც დამახასიათებელია გარკვეული ადამიანებისთვის“. ამ კრებულში შეტანილი ლექსები XX საუკუნის 60-იანი წლების პირველი ნახევრიდან იქმნებოდა და მათ იგივე საფუძველი აქვთ, რაც მის პიგებს: ისინი აზროვნების და ენის, არაფრისმთქმელი მრავალსიტყვაობის და ფრაზიორობის სტერეოტიპს იკვლევენ.

ჰუგო პლუდეკი ერთი მეორის მიყოლებით სესხულობს ფრაზებს, სწრაფად ითავისებს მათ, როგორც საკუთარ აზრებს, და საბოლოო ჯამში მთლიანად კარგავს საკუთარ პიროვნებას და იქცევა აზრის არქონის განსახიერებად, იქცევა თვითკმარდარეალობისგან მოწყვეტილ უნივერსუმად. შინ დაბრუნების შემდეგ ის, ვინც ოდესლაც ჰუგო პლუდეკი იყო, უკვე ვეღარ აცნობიერებს კავშირს ამ ადგილთან და მათთან, ვინც იქ ცხოვრობს. მისი გარდაქმნა იმდენად სრულყოფილია, რომ მას მშობლებიც ვეღარ სცნობენ. ფრაზამ ისეთ განვითარებას მიაღწია, რომ იგი აღარც არის დამოკიდებული მის წარმომთქმელზე, ფრაზამ ადამიანურ არსებებს მხოლოდ ფრაზის მატარებლის და მისი არტიკულატორის ფუნქცია დაუტოვა.

\*\*\*

„რა განსაზღვრებას მისცემთ აბსურდის თეატრს?!“ — ეკითხება ჟურნალისტი და მწერალი კარელ ჰეველს „დაუსწრებელ დაკითხვაში“, რაზეც ჰაველი პასუხობს: „პირადად მე ვფიქრობ, რომ ეს არის უმნიშვნელოვანესი მოვლენა XX საუკუნის თეატრალურ კულტურაში, რადგანაც იგი თანამედროვე კაცობრიობას ასახავს მის „კრიზისულ მდგომარეობაში“ ანუ უჩვერებს კაცობრიობას ადამიანს, რომელმაც დაკარგა ძირითადი მეტაფიზიკური რწმენა, აბსოლუტის გრძნობა, დამოკიდებულება მარადიულობისადმი, საზრისის შეგრძნება, ანუ მტკიცე საფუძველი ფეხქვეშ. ეს არის ადამიანი, რომელსაც ყველაფერი ხელიდან ეცლება, მისი სამყარო ინგრევა, იგი გრძნობს, რომ რაღაც სამუდამოდ დაკარგა, მაგრამ არ ძალუეს აღიაროს თავისი მდგომარეობა და ემალება მას. აბსურდის პიესების თამაში არ შეიძლება ბუკვალურად, ისინი არაფრის ილუსტრირებას არ ახდენენ, არც ჰათეტიკური არიან და არც დიდაქტიკური, პირიქით — დეკადენტურად სახუმაროები. მათთვის ნაცნობია ფენომენი უსასრულო სიმძიმილისა. ამ პიესებში ხშირად სუფეს დუმილი და ბრივული ლაყბობა. ვისაც სურს, შეუძლია დაესწროს მათ, როგორც ცარიელ კომედიებს. ეს პიესები არ არის ნიჟილისტური და ეს მნიშვნელოვანია — ისინი გამაფრთხილებელია. ისინი არ გვამშვიდებენ და არ გვისახავენ იმედს. ისინი მხოლოდ იმას გვახსენებენ, თუ როგორ ვცხოვრობთ. იმედის გარეშე. ამაშია მათი გამაფრთხილებელი მისია“ (კრისეოვა 1991: 29).

უნდა ითქვას, რომ ვაცლავ ჰაველის აბსურდის პიესებს სრულიად გამოკვეთილი სტილი აქვთ. მათ უმეტესობაში არის ძლიერი რაციონალური და ინტელექტუალური ინსპირაცია. წიგნში „დაუსწრებელი დაკითხვა“ ჰაველი ამბობს, რომ პიესის დაწერამდე იგი ჯერ სტრუქტურის სქემას აგებდა. მისი პიესებში ხშირად არის სიმეტრიული, მათემატიკური ან გეომეტრიული კონსტრუქციები. უაღრესად სტილიზებულ კომუნისტური ცხოვრების წესს ისინი კარიკატურის სახით წარმოადგენენ.

\*\*\*

ერთმოქმედებიანი პიესა „ვერნისაჟი“ ჰაველმა 1975 წელს დაწერა. პიესა გარკვეულ-ნილად ავტობიოგრაფიულია. ისევე, როგორც „ვერნისაჟის“ მთავარი გმირი, დისიდენტი მწერალი ბედრუიხი, ვაცლავ ჰაველიც ერთ დროს ლუდსახარშ ქარხანაში მუშაობდა დამ-სმარე მუშად.

მთავარ გმირს თავისთან პატიჟებს ცოლ-ქმარი, რომელიც აღფრთოვანებულია თა-ვისი მატერიალური კეთილდღეობით. ცოლ-ქმარი სტუმარზე შთაბეჭდილების მოხდენას ცდილობს თავისი ბინის რემონტით, ავეჯით, საკვებით, ცხოვრების წესით. ეს არის პრო-ტესტი მომხმარებლური საზოგადოების ნინააღმდეგ, რომელიც დაცლილია ყოველგვარი ადამიანური ღირებულებებისგან. მათთან სტუმრობით თავმოხეზრებულ და შეძრნუნე-ბულ ბედრუიხს ნასვლა სურს, მაგრამ იძულებული ხდება დარჩეს და კიდევ უფრო თვალ-საჩინოს ხდის იმას, თუ რა ცარიელია ამ ოჯახის ცხოვრება, რომელიც დამყარებულია არა გრძნობებზე, არამედ მატერიალური კეთილდღეობისკენ სწრაფვაზე.

კომუნიკაცია დარღვეულია, მასპინძლების ფრაზები ხელოვნურია, სტუმრად მოსუ-ლი ბედრუიხი კი მხოლოდ მოკლე პასუხებით იფარგლება. სიტუაციის უაზრობას და აბ-სურდულობას გამოხატავს ის, რომ მოქმედება წრიულია, იგი გაუთავებლად მეორდება.

\*\*\*

პიესა „ასენიზაცია“ 1987 წელს დაიწერა. მოქმედება ვითარდება ერთ-ერთი ძველი ციხესიმაგრის დარბაზში, სადაც დროებით არქიტექტორთა ჯგუფი ცხოვრობს და ციხე-სიმაგრის ქვემოთ არსებული დასახლების ასენიზაციის პროექტზე მუშაობს. ძველი ქა-ლაქის ადგილზე მათ უნდა შექმნან ახალი, თანამედროვე დასახლება. ამას არ ეთანხმებიან დასახლების მოქალაქეები, რომელთათვისაც ძვირფასია ძველი ქალაქის განსაკუთრებუ-ლი ტრადიციები და ატმოსფერო, რომელიც საუკუნეთა განმავლობაში იქმნებოდა.

ეს პიესა არის, ზოგადად, ძალაუფლებისა და იმათ შესახებ, ვისაც ეს ძალაუფლება ხელთ უპყრია. აյ ნაჩვენებია, თუ რამდენად ადვილად იღებენ „ძლიერი ქვეყნისანი“ გად-აწყვეტილებებს ადამიანთა ბედის შესახებ. ეს არის პიესა ერის ისტორიული ფესვების, მისი უწყვეტობის შენარჩუნებისთვის ბრძოლაზე და იმ ხალხის ბედზე, რომელსაც ამის გამო სიკვდილისჯილთა დილეგებში ყრიან და იმათზე, ვინც კონფორმიზმის გზას ადგას. დროის კავშირთა უწყვეტობის აუცილებლობის იდეა კარგად ჩანს პიესის ამ ფრაგმენტში:

„მეორე დელეგატი (კითხულობს): როგორც ძველი მაცხოვრებლები ამ პატარა ქალა-ქისა, რომელიც ისტორიულ ღირსშესანიშნობას ნარმოადგენს და მშენებლობის თვალ-საზრისით უნიკალური დასახლებაა, ამ დოკუმენტით გამოვხატავთ ჩვენს პროტესტს აქ დაგევმილი ასენიზაციის გამო. გვესმის, რომ მისი მიზანია ჩვენი საცხოვრებელი და პიგი-ენური პირობების გაუმჯობესება, მაგრამ ფასი, რადაც ეს დაგვიჯდება — ანუ მრავალი წლის მანძილზე სანაცვლო საცხოვრებლის მიღება და შემდეგ დაბრუნება იმ გარემოში, რომელსაც უკვე არაფერი ექნება საერთო ჩვენს ნამდვილ სახლთან — ჩვენთვის ძალიან მაღალია. მრავალი ათწლეულის მანძილზე სიამოვნებით ვცხოვრობდით აქაური დასახ-ლების თავისებურ და ხატოვან გარემოში, შევეჩვიერ მის განუმეორებელ ატმოსფეროს, გვიყვარს იგი და არ გვსურს მისი დაკარგვა. თუ წაგვართმევთ ჩვენს ახლანდელ სახლს — გაგვაუბედურებთ. ხელს აწერს ორას თექვსმეტი მოქალაქე (ხანგრძლივი პაუზა)“ (პაველი 2011: 160).

ამავე პიესაში არის ეპიზოდი, რომელშიც საუბარია შინაგან ხმაზე, ის ადამიანს მიუთითებს, თუ რისი გაკეთებაა სწორი გარკვეულ სიტუაციაში, მაგრამ, ამავე დროს, ამავე ადამიანმა იცის, რისი გაკეთებაა მისთვის უფრო მომგებიანი. იგი ერთგვარი არჩევანის წინაშე დგება. ეს შინაგანი ხმა, რომელსაც იგი უმეტეს შემთხვევაში არ უსმებს, მისი სინდისი, მისი მორალური ორიენტირია. ამ პიესაშიც, როგორც ჰაველის მთელ შემოქმედებაში, ადამიანის იდენტობის კრიზისზე საუბარი, საუბარია ადამიანის გაუცხოებაზე საკუთარ თავთან და იმაზე, რომ მაინც ყოველთვის გამოჩნდება ადამიანი, რომელც აღიმაღლებს ხმას უსამართლობის წინააღმდეგ, თუნდაც ეს პროტესტი უტყვი იყოს. ამის გამოხატულება პიესის ერთ-ერთი მთავარი გმირის თვითმკვლელობა.

უნდა დავამატო, რომ ჩემი აზრით, სრულიად გამჭვირვალეა პარალელი ჩეხოსლოვაკიის სახელმწიფო უსაფრთხოების მიერ მოწყობილ ღონისძიება „ასენიზაციასა“ და პიესის სათაურს შორის. „აქცია ასენიზაცია“ იყო კოდური სახელმწიფო უსაფრთხოების ოპერაციისა მე-20 საუკუნის 70-80-იანი წლების მიჯნაზე. იგი მიზნად ისახავდა, ეიძულებინა „ქარტია 77“-ის ხელმომწერები, რომ მათ ჩეხოსლოვაკია დაეტოვებინათ. ამისთვის იყენებდნენ იძულებას, ფსიქოლოგიურ და ფიზიკურ ზენოლას. 1977 წლის დეკემბერში გაიცა ბრძანება, რომლის საფუძველზეც უნდა მომხდარიყო „ქარტია 77“-ის მთავარი ორგანიზატორების სრული იზოლაცია და მათი გაძევება ჩეხოსლოვაკიიდან. აქცია ასენიზაციის „ფარგლებში რიგი მოღვაწეებისა იძულებული გახდა ემიგრაციაში წასულიყო.

\*\*\*

ერთ-ერთ ინტერვიუში, კითხვაზე, რის შესახებ მოგვითხრობს მისი პიესები, ჰაველი ასე უპასუხებს: „როდესაც ამაზე ვფიქრობ, მგონია, რომ ჩემი ყველა აქამდე დაწერილი პიესა არსებითად ერთ თემაზეა, ეს არის თემა ადამიანის იდენტობის კრიზისისა. მას, რა თქმა უნდა, სხვადასხვა ფორმით ვუბრუნდები, მაგრამ, მინდა ეს თუ არა, ეს თემა მათში ყოველთვის რაღაც სახით იჩენს ხოლმე თავს“. ადამიანის იდენტობის კრიზისს კი ჰაველი ასე განმარტავს: „ვფიქრობ, რომ ლერთის დაკარგვით ადამიანმა დაკარგა რაღაც აბსოლუტურ და უნივერსალურ კოორდინატთა სისტემა, რისთვისაც შესძლებდა ნებისმიერი რამის, უპირველეს ყოვლისა კი — საკუთარი თავის შეფარდებას. ადამიანის სამყარომ და მისმა პიროვნებამ ნელ-ნელა დაინყო დაშლა მისგან განცალკევებულ და ერთმანეთთან დაუკავშირებელ ფრაგმენტებად, რომლებიც სხვა, პირობით კოორდინატთა სისტემებს შეესაბამება. სწორედ ამით დაინყო ადამიანის შიგნით იდენტობის დაკარგვა ანუ დაკარგვა იგივეობისა საკუთარ თავთან და, ამასთან ერთად, ადამიანმა დაკარგა იერარქია განცდებისა და ლირებულებებისა“ (ჰაველი 1990: 237-238).

\*\*\*

ფრანგმა ფილოსოფოსმა ჟან-ფრანსუა ლიოტარმა პოსტმოდერნიზმი აღიქვა, როგორც მარქსიზმის ტიპის უნივერსალურ თეორიათა უარყოფა და ასეთ უნივერსალურ თეორიებს მან დიდი ნარატივი უწოდა, რომელსაც მცირე ნარატივები უპიროსპირდება.

ლიოტარი დიდ ნარატივს აღწერს, როგორც თეორიას დიდი ნარატივებისა, რომელთაც აქვთ პრეტენზია, რომ ფლობენ უნივერსალურ განმარტებებს და თავიანთ ინტერესებში იყენებენ ამით მოპოვებულ გავლენას. მაგალითს წარმოადგენს მარქსიზმი, რომლის მიხედვითაც, კაცობრიობის მთელი ისტორია კლასთა ბრძოლის ისტორიაა, მისი საბოლოო მიზანი კი — პროლეტარიატის დიქტატურა. ეს უკანასკნელი კი გამორიცხავს კლასთა ბრძო-

ლას, ვინაიდან მის ფარგლებში აღარ იქნებიან ექსპლოატირებული. არაერთი რელიგია სთავაზობდა კაცობრიობის ისტორიის ამგვარ ყოვლისმომცველ განმარტებებს საკუთარ სისტემათა შესაბამისად. ლიოტარი ასკენის, რომ ასეთი სისტემები იმპლიციტურად ავტორიტარულია და რომ XX საუკუნის მიწურულიდან მათ დაკარგეს ზეგავლენა ინდივიდუალურ ქცევაზე. პოსტმოდერნულ სამყაროში ცხოვრების ნაწილია ის, რომ ამგვარ დიდ ნარატივებს კი აღარ უნდა ვენდოთ, არამედ შევქმნათ ტაქტიკურად ორიენტირებული მცირე ნარატივები, თუ გვსურს წინ აღვუდგეთ ავტორიტარიზმს. ლიოტარის აზრით, ჩვენ ახლა გვერკვიეთ დიდ ნარატივებში და აღმოვაჩინეთ, რომ მათი პრეტენზიები ავტორიტარულობაზე ყალბი და უსაფუძვლოა (პოსტმოდერნიზმი 2002: 261-262).

ლიოტარის დიდ ნარატივში ინდივიდები ითრეუნებიან და თავს დიდი ნარატივისთვის შენირულ მსხვერპლად აღიქვამენ. მარტინი თავისი საბჭოური მოდელით მოითხოვდა, რომ ყველა ინდივიდი გაჰყოლოდა კომუნისტური პარტიის ხაზს, რადგან პარტია ფლობდა ყველა ჭეშმარიტებას. ლიოტარმა უჩვენა, როგორ ანადგურებს ეს პიროვნულ ინიციატივას და მიჰყავს ადამიანი ტოტალიტარული საზოგადოებისკენ, სადაც განსხვავებულ აზრს სასტიკად სჯიან, ხოლო შემოქმედებას — ახრჩობენ. დიდი ნარატივის კრახი, რა თქმა უნდა, ნათელი გახდა მეოცე საუკუნის მიწურულს, რაც გამოიხატა საბჭოთა კავშირისა და მასზე დამოკიდებული ქვეყნების კოლაფსში. ლიოტარის აზრით, ის, რაც მხარდაჭერას მოითხოვს, არის მცირე ნარატივი. ინდივიდუალური შეიძლება განხილულ იქნას, როგორც მთავარი მცირე ნარატივი, რომელიც ცდილობს დაუპირისპირდეს ავტორიტარულ დიდ ნარატივს, იქნება ეს სახელმწიფო თუ მულტინაციონალური კორპორაციები (პოსტმოდერნიზმი 2002: 306).

სწორედ ამ კონტექსტში განვიხილავთ ვაცლავ პაველის შემოქმედებას — მის დრამატურგიას, ესეისტიკასა და ექსპერიმენტულ პოეზიას. ისეთი ცნება, როგორიცაა მცირე ნარატივი, ზუსტად ასახავს პაველის ტექსტების მიზანდასახულებას და მის ურთიერთმიმართებას პოსტ-ტოტალიტარულ რეჟიმთან, რომლის დამთრგუნველი წესის პირობებშიც მან შექმნა თავისი უანრობრივად მრავალფეროვანი ტექსტების მნიშვნელოვანი ნაწილი.

პაველი თავისი „მცირე ნარატივით“ წლების განმავლობაში, ნებისმიერ პირობებში უპირისპირდებოდა „დიდ მარქსისტულ ნარატივს“ და მეთოდურადასუსტებდა მას, რადგან პაველსავე რომ დავესესხოთ: „... ვფიქრობ იმის მსგავსად როგორიც ყოველი ჩვენგანი დაბადებითვე არის, ანუ როგორადაც ქცევის შესაძლებლობა აქვს ყოველ ჩვენგანს გარემო ვითარებათაგან დამოუკიდებლად, ე.ი. ვფიქრობ, როგორც სრულუფლებიანი ადამიანი, რომელსაც შესწევს ძალა, პასუხი აგოს სამყაროზე და სამყაროს წინაშე. ამ შემთხვევაში მე, ცხადია, ბევრი რამის გაკეთება შემიძლია. მაგალითად, შევეცდები მოვიქცე ისე, როგორც სწორად მიმაჩნია და როგორც, ჩემი ღრმა რწმენით, უნდა იქცეოდეს ყველა — სრული პასუხისმგებლობით. არგუმენტს, რომ ამას აზრი არა აქვს, ვპასუხობ ძალზე მარტივად — აქვს!“ (პაველი 1990ბ).

#### დამოხმანი:

**იუნგმანოვა 2006:** Jungmannova L. *Svět v dramatice Václava Havla*. Journal. Otázky českého kánonu 2006.

**კამიუ 1984:** Камю А. *Миф о Сизифе* (Эссе об абсурде). Абсурдное рассуждение. М.: 1984.

**კრისეოვა 1990:** Kriseova E. *Václav Havel. Biografia*. 1990.

**პოსტმოდერნიზმი 2002:** *The Routledge Companion to Postmodernism*. Edited by Stuart Sim. London and New York, 2002.

**ჰაველი 1953:** Havel V. *Hamletova otázka*. 1953; Available from: <http://www.vaclavhavel-library.org/en/vaclav-havel/collected-works>

**ჰაველი 1990ა:** Havel V. *O lidskou identitu*. Praha: Rozmluvy, 1990.

**ჰაველი 1990ბ:** ჰაველი ვ. იგივეობის კრიზისი. გაზ. „თავისუფალი საქართველო“, № 1, 1990.

**ჰაველი 1992:** ჰაველი ვ. ჩემი ცხოვრებიდან. გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, №35 (2865), 1992.

**ჰაველი 2007:** ჰაველი ვ. წერილი გუსტავ ჰუსაკს. ახალი ათასწლეული. თბ.: „უნივერსალი“, 2007.

**ჰაველი 2011:** ჰაველი ვ. პიესები. თბ.: „სიესტა“, 2011.

*Maia Nachkebia*

## Crisis of Human Identity in Vaclav Havel's Essays and Plays

### Abstract

**Key words:** Vaclav Havel, Vaclav Havel's plays, *Normalization* period, crisis of human identity, little narrative

Crisis of human identity is one of the major themes for essays and plays of Vaclav Havel. Destination of human being and the crisis of human identity are two sides of one coin and are always presented in Havel's works as a crucial problem.

Author of the article expresses the view that the personality of Vaclav Havel reunites three hypostases: play writer, philosopher, and politician and in her opinion they are inseparable. Havel's literary and political activity rose from his philosophical views. This article focuses on Havel's works created between 60<sup>th</sup> and late 80<sup>th</sup> of the 20<sup>th</sup> century.

During the so called *Normalization* period (after the bloody events of 1968) Havel produced number of texts which were dedicated to the analysis of the post-totalitarian state. First such text was the famous "Letter to Gustav Husak" (1975) which contains profound analysis of disturbing results of so called *Normalization*. He discusses phenomenon of fear which in the Czechoslovak society gave birth to indifference, apathy, hypocrisy and as a result – to timeserving. Havel focuses on the topics like corruption of moral norms, ritualization of life, correlation of history and pseudo-history in the post-totalitarian state and its completely destructive results.

Havel's plays are embodiment of his philosophical views. Crisis of human identity is presented in all his plays but every time are stressed its various aspects. In this article are discussed mainly the following plays: "The Garden Party" (1963), "Unveiling" (1975) and "Redevelopment" (1987). In the article a special attention is dedicated to the essence of absurd drama and the way in which Havel presents absurd dimension in the socialist environment. Crucial importance in Havel's plays has the language in post-totalitarian regime (i.e. "The Garden Party" and "The Memorandum") and its enslaving power. In this concern is important interrelation between Vaclav Havel's plays and his collection of experimental poems "Antikody".

The article views Havel's works, both plays and essays as a *Little Narrative* against the Marxist *Grand Narrative*. Havel's *Little Narrative* was methodically weakening the post-totalitarian regime.

---

## მურმან ლებანიძე — 90

---

ზორა ცხადაია

### მურმან ლებანიძე

„სახე — დაჭმუჭვნილ-დალეჭილი, / აზრები — მჭახე... / გეამაყება სახე შენი / — ნატანჯი სახე!“ — ასე დახატა 60 წლის მურმან ლებანიძემ თავისი პორტრეტი (ლექსსაც „პორტრეტი“ ჰქვია, ზ.ც.)... ერთი შეხედვით გარეგნული პორტრეტი, არსებითად კი — ეს მისი შინაგანი სამყაროა, მისი პოეტური სულის შტრიხებია. უმეტესად, პოეზია ტკივილია, პოეტი კი — ამ ტკივილისთვის გაჩენილი. ეს შემოქმედი ადამიანის ბედისწერაა... ამას გულისხმობს ერთ-ერთ ლექსში ნათქვამიც: „შენი ტანჯვა და შენი კირთება არ დააპრალო, პოეტო, არვის! და, თუ სიცილით პირაქეთ გეითხონ: რად, რისგან გულში ნატეხი ხანჯლას?! უპასუხე, რომ შენშია თვითონ, შენშია თვითონ მიზეზი ტანჯვის“... (უსათაურო). ეს, ზოგადად, პოეტის ხედირზე. კონკრეტულად კი, მურმან ლებანიძე, სიცოცხლეზე უზომოდ შეყვარებული და ცხოვრებისგან საკმაოდ ნატანჯი რომ იყო, ამას მის პოეზიაში ვკითხულობთ. რჩეულ კრებულებს ახალი ლექსებით იწყებს და ამთავრებს ყველაზე ძველით. მკითხველმა ბოლოდან უნდა ფურცლო პირველ გვერდამდე და დაინახავ კაცს, სულს — სიყრმიდან სიბერემდე, აღსასრულამდე, ყველაფრით: რისთვის იცხოვრა, რაც მსხვერპლად მოითხოვა „ამ ცხოვრებამ — ბრძნულმან, რთულმან“; როცა ამას წერს, უკვე ნახევარი ცხოვრება გავლილია. უკან დარჩენილა საშინელი დღეები (იგი ცხრამეტი წლისა წავიდა ფრონტზე და ბოლომდე იბრძოდა). ვფიქრობ, ქართულ პოეზიაში ასე ხანგრძლივად, უფრო სწორად, ასე სამუდამოდ არავის ადევნებია იმ მძიმე დღეების მტკიცნული აჩრდილები, როგორც მურმან ლებანიძეს. ისნი დროდადრო, როგორც ნაჭრილობევი, ისე შეახსენებენ თავს. ცალკე აღებული ეს ტექსტები ისეთ ლირიკულ ციკლად იკვრება, რომელიც ისტორიის ყოველგვარ მონათხრობს თუ ნარკვეს აღემატება თავისი სიმართლით და გულწრფელობით, რეალური ფაქტებით და განცდებით... საზოგადო და საკუთარი საფიქრალით... ტანჯვის ერთ-ერთი მიზეზიც — ამ ომიდან ჩამოყოლილი მძიმე სენი, რომელიც იმ დროისთვის ჯერაც მოურჩენდად ითვლებოდა, სენი, „ამაზრზენი და განუკურნელი“, როგორც მისთვის საყვარელი ლადო ასათიანი იტყოდა. ომისშემდგომი საყველთაო სიდუხჭირე, ოჯახი და პატარა შვილები. უმწეობა და მუდმივი ჭიდილი სიკვდილსა და სიცოცხლის შუა. აპასთუმანში, „იმედის ქალაქში“, გატარებული წლები, ხუდადოვის ტყის ზამთრის გრძელი ღამეები... უიმედობა და იმედი. ყოველივე ეს კარგად ჩანს იმ წლების ლექსებში. „როგორც ხარ-ურემს, ჩაფლულს ტალახში, / ჩემ განვლილ დღეებს ჩაცქერდები / და, პირველ ყოვლის, ტანჯულ ქალაქში / შენ, დაო ეთერ, გამახსენდები“.

იმ მძიმე დღეების სურათია ამავე წელს (1960) დაწერილი ლექსი „დათვები“, ერთ-ერთი საუკეთესო მურმან ლებანიძის პოეზიაში, ლექსი, რომლითაც განსაკუთრებულად

იგრძნოდა შეიყვარა 60-იანი წლების ახალმა თაობამ იგი (ამას საგანგებოდ იმიტომ აღვნიშნავ, რომ მურმან ლებანიძე თავისი სრული სახით, როგორც პოეტი, 60-იან წლებში წარდგა მკითხველის წინაშე. ჯერ კიდევ ახალგაზრდა, მაგრამ უკვე გაჭალარავებული, გაფითრებული სახით, რომელსაც მართლაც დაჰკრავდა გამოვლილი ტანჯვის იერი; თავისი საყვარელი ლექსებით: „თამუნია ქავთარაძეს“, „ბერნუში დაგიხატია, ზაზული“, „დათვები“, „ლადო“ და სხვ. იგი ხშირად სტუმრობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალგაზრდა მწერალთა წრეს, სტუდენტურ საღამოებს და წარუშლელ შთაბეჭდილებას ტოვებდა. კიდევ ერთი — ლადო ასათიანისადმი მისმა პოეტურ-ადამიანურმა დამოკიდებულებამ, ლექსებმა და საუბრებმა უფრო მეტად აგრძნობინა ამ თაობას, და არა მხოლოდ მას, „ადრე წასულის კაცის ფიქრები“, მისი პოეზის ხიბლი (მას განსაკუთრებულად უყვარდა ლადო); ლექსის სათაური „დათვები“ ორონიზებულია და ამსუბუქებს ფაქტის სიმძიმეს. როგორც დათვებს სძინავთ მთელი ზამთარი, ასევე ეძინა ხუდადოვის ტყეში გაზაფხულის (სიმბოლურად, ალბათ, გამოჯანმრთელების) მოლოდინში „წყეულ კასტას“ და, მათ შორის, თავად ლირიკულ გმირს. ლექსში განსაკუთრებული ემოციური დატვირთვა აქვს მოულოდნელად შემოჭრილ სტრიქონს — „ეს გაზაფხული რა უცებ გაჩინდა“, ან: „ეს გაზაფხული უცრად გაჩინდა“. ამან თითქოს გადაფარა ყოველგვარი სიმძიმილი და სიცოცხლის, განახლების, იმედის სხივით მზისფრად ააჩახჩახა ყველაფერი — როგორც თავად იტყვის... „მთელი ზამთარი ხუდადოვის ტყეში მეძინა — / იქ ცხოვრობს ჩვენი წყეული კასტა. / მთელი ზამთარი სულ დათოვლილ ტყეში მეძინა — / ეს გაზაფხული უეცრად გაჩინდა“.

მიუხედავად იმისა, რომ მოსალოდნელ აღსასრულზე ფიქრი მუდამ თან სდევდა, ეს სათქმელი არასოდეს დარჩენილა წუნწუნად. ის ყოველთვის მდიდარია და საინტერესო ღრმა კონტექსტებით. უფრო მეტიც — ამან გამოკვეთა სიკვდილ-სიცოცხლისადმი, საწუთოროსადმი მისი დამოკიდებულება. შეიძლება ითქვას, ესაა მურმან ლებანიძის, როგორც პოეტის, მთავარი სათქმელი, მთავარი ნათქვამი. მისი შემოქმედებისათვის საზიარო XX საუკუნის მეორე ნახევრის ქართული პოეზიის ძირითადი ტენდენციები, გამოიჩინა დამოკიდებულება ნაცნობი — ყოფითი თუ მარადიული თემებისადმი. მაგრამ, არსებითად, ყველაფერი განჭვრეტილია და განცდილია სიკვდილ-სიცოცხლის, წუთისოფლის გააზრების ფონზე. იქ, სადაც საუბარია სიცოცხლეზე, ამა თუ იმ ცხოვრებისეულ სასიამოვნო ფაქტებზე, არ ავინყდება წარმავლობა (სიკვდილი); იქ, სადაც სიკვდილის აჩრდილს ეკამათება, ჩაჭიდებულია სიცოცხლეს — ნარსულის სიოვნას, ძვირფას სახელებს, ქალს ტრფიალს, შვილების ყოვლისმომცველ სიყვარულს... და უმთავრესს — სამშობლოს; მიუხედავად სუბიექტური მიზეზებისა, მურმან ლებანიძის დამოკიდებულება წარმავლობასთან, სიკვდილთან, განპირობებულია არა იმდენად პირადულით (ეს მხოლოდ მაპროვოცირებელი ფაქტებია), რამდენადაც, საერთოდ, ადამიანისთვის თანდაყოლილი შეშით (წურც ამ სიტყვას ვიუხერხულებთ) ყოველთა დამამხობელის წინაშე. ამას ყველაზე მტკიცნეულად ისინი გამოხატავენ, ალბათ, რომლებიც ყველაზე ძლიერ შეიგრძნობენ სიცოცხლის მშვენიერებას, სამყაროს ამოუწურავ საოცრებებს.

შეიძლება ითქვას ერთიც — მართალია, 60-იანი წლები ე.წ. დათბობის დროა, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ საბჭოთა პოეტის სიტყვა ჯერ კიდევ შორს იყო თავისუფლებისაგან. სიკვდილ-სიცოცხლეზე და წარმავლობაზე ამგვარად და ამდენის დაწერას უყურადღებოდ

არ დატოვებდნენ იმდროინდელი იდეოლოგიის მესვეურები (ამის მრავალი ფაქტია სხვა შემთხვევებში), მაგრამ, ალბათ, ირწმუნეს, რომ პოეტს თავისი კონკრეტული საწუხარი ალაპარაკებდა და არა — მარადიული და საყოველთაო. მურმან ლებანიძის ხელწერას, უპირატესად, ორიგინალური რიტმი განაპირობებს, რომელსაც, ძირითადად, ქმნის სიტყვათა ინვერსიული წყობა, შესაბამისად, მახვილთა ისეთი გადანაწილება, რომ იქმნება თვისებრივად ახალი ინტონაცია. იმისდა მიხედვით, რა ინფორმაციას, რა სიტყვიერ მასალას მოიცავს ლექსის სტრუქტურა, იცვლება ეს ინტონაციაც. იგი ხან სადაა — ჩვეულებრივი, თხრობითი სტილისთვის დამახასიათებელი, ხან — კატეგორიულობის ნიშნით აღბეჭდილი და იმპერატიული, თუ სათქმელი მწვავეა — კრიტიკული.

მისი პირველი ლექსები 40-იან წლებშია დაწერილი; ისინი 1943 წლიდან ომის დროს და ომისშემდგომ იბეჭდებოდა ფრონტულ გაზეთებში. სწორედ იქ ჩახედა სიკვდილს თვალებში ჭაბუქმა და ადრიდანვე მიიღო სიმწრის გაკვეთილები ცხოვრებისაგან. ადრევე ისწავლა ფასი სიკვდილისა და ფასი სიცოცხლისა, შესაბამისად — დროის ფასიც. ის მეტად ნაყოფიერი, ხელხვავიანი პოეტი იყო. თითქოს, ყოველი დღე გადაჰქონდა პოეზიაში, რადგან ასე სწამდა: დრო ყველაფრის მკრეფელია და სწრაფმავალი, თუ არ სდიე კვალდაკვალ, ჩარჩები უსახო წარსულში: „ყოვლისა მოსაკრეფელის, / პრძენთა სტევეს, დროა მკრეფელი: / დრო პექრის, დრო ჰეფობენ / დრონი! და არ მეფენი!“

ნებისმიერ ადამიანს გულგრილს არ ტოვებს დროის სწრაფმავლობის განცდა, მით უმეტეს, პოეტს, რომლის ფიქრი, ხშირად, ფიქრს იქითაც მიდის. ადამიანის მარადიული სევდის მიზეზიც, უპირველეს ყოვლისა, ეს გამხდარა. ცოტა სევდა, ცოტაც — ირონია სიმსუბუქისათვის, გაძლებისათვის: რომ ევეყანა ფუსფუსებს, შრომობენ, იღვწიან, ხატავენ, რითმავენ... დღე მიდის და „რაი ამ ფაფხურს და რაი ამ თამაშს?“

პოეტურ განცდებს ამძაფრებს რიტორიკული კითხვებით აქცენტირებული მიმართვა ადრესატისადმი, მსმენელისადმი, ასევე, სხვათა სტრიქონების (ა. ჭავჭავაძე) ციტირება. საკმაოდ გამომწვევი ირონიაა ცხრა ტონის ნაცვლად მოკრეფილი თოთხმეტი ტონა ჩაიც; არახალია, თუ რას ავალებს დროის სწრაფმავლობა ადამიანს. უსათაურო ლექსში (1971) მურმან ლებანიძე უბრუნდება ამ თემას... რომ ეს დღეებიც წარსულს ჩაბარდებიან, გსურს თუ არა, დაბერდებიან ეს ტყეებიც: „პრიალა ნაჯახებით, კაი მტრელი წალდებით, მყვირალა ყაჩაღებად მოვლენ წელიწადები. მოვლენ, მოვლენ სხვა დრონი კითხვით: ვისთან ამქრობდი, რა ტყეების პატრონი რა ეტლებით დაპექროდი?!“ შემდეგ კი — რწმენა იმისა, რომ დრო მაინც ვერ წაშლის იმას, რაც ღირებულია: „მჯერა ანას ჭადრების, / არც შენს ძელქებს ვგუშვარო, / ჩემს ტყეებზე რას იტყვი, / ნათლიმამავ, მუხრანო?!"

ლექსების პატარა ციკლია — „ისევ ფიქრები“ ანუ შეიძილი სხვადასხვა ფიქრი: პირველი — ფიქრი იმაზე, რა უმწეოა ადამიანი ზოგჯერ, რა უძლურია სიტყვა, როცა სიკვდილი მეტისმეტად სისასტიკეს სჩადის. ასეთ დროს, „რომ არ იფიქრო, შენი ნებაა? მოავლე თვალი აწმყოს და წარსულს... სოფელში ახლა გასვენებაა — ხუთზე მარხავენ ოცი წლის ქალწულს. კურთხეულ იყოს ყოველი მგზავრი, რომელმაც უნდა განვლოს ულრანები! მე ექვს შაურად სამძიმარს ვგზავნი: „მონაწილე ვარ თქვენი მწუხარების!“ ასეთ დროს არაფერი შეგიძლია, თითქოს დამცირებული ხარ სიკვდილისგან, ამ სიტყვის უკიდურესი პირდაპირობით. მეორე ფიქრი — ვენახში ორი ძვირფასი საფლავი, „ყოველ აგვისტოს შევიარ სოფლად, მე ჩემი პირმშო ორ ბორცვთან მიმყავს“. მაგრამ პოეტს აწუხებს ის, რომ ამ

საფლავებთან აღარც ვენახი ჩანს, არც ბებერ ნიგვზებს დასტრიალებს ქორი... „აღარც ბოსტანი და აღარც ბაღჩა“ . ეს უკვე მიტოვებული სამშობლოს, მიტოვებული კუთხის გამო აღძრული ტკივილია, რომელიც ქალაქში შეახსენებს თავს: „მომელანდება ქალაქში ვაზი, / ხაპი და ხაპთან ყურძენი ხეირით — / არგასაცვლელი სამშობლო სხვაზე — / და სულს ვუხსენებ ნაყიდი ღვინით“.

„ნაყიდი ღვინო“, აღბათ, თვითკრიტიკაცაა და ირონიაც, რომ საკუთარი მოუვლელია, საკუთარი ვერ მოგიწევია (ცნობილია და მრავალჯერ ნათქვამი ქართულ კრიტიკასა და ლიტერატურულ წერილებში, რომ მურმან ლებანიძეს მრავლადა აქვს ლექსები მიტოვებული სოფლების, განსაკუთრებით, რაჭის სოფლების თემაზე. ამას თვითონაც აღნიშნავს მოგონებებში. აქ შეიძლება დავსახელოთ: „ჩემი კორდიდან“, „იყვნენ სამნი ძმანი“, „წვრილი წვემების დაწყების წინ“, „ჩაის ხერებინ და...“ „სახლი ვნახე სირცხვილისგან თავ-დახრილი“ და სხვ.: „ეს სხიერი, ეს ლიქოკი, ეს არხოტი არ ჩააქრო, არ ჩააქრო! გეფიცები... მეშინა, ეს სამოთხე, ეს წალკოტი, სხვა არავინ მოვიდეს და დაივავოს“ ...).

მესამე ფიქრი უფრო შორს მიდის. „მესამე ლექსი წვიმაზე ფიქრობს“, წვიმა და მშერი ჯარისკაცები, მათ შორის, 19 წლის ბიჭი. კოცონზე, რომელსაც წვიმა აქრობს, იხარშება ცხენის ხორცი („მჭლე და ართვალი წყალში გაბანეს და ცხელი ტყვია ჩაასხეს ყურში“). წლების მერე კიდევ უფრო შემაძრწუნებელია ამის გახსენება ყოფილი მეომრისთვის. უნდოდა თუ არ უნდოდა, ისიც ხომ მოწმე იყო ყოველივე იმისა, თანამონაწილეც. გინდა თუ არა, ფიქრიც მოდის (საერთოდ, ომგამოვლილი ადამიანისთვის, ცნობილია, მერე და მერეა უფრო ძნელი, შემაწუხებელი, რაც ომის დროს, ომის მკაცრი კანონებიდან გამომდინარე, ჩაუდენია, თავს გადახდენია): „მაგრამ წვიმს წვიმა და კოცონს მიქრობს, / ვარ შემწყვდეული მარუხის კლდეში... / ოცი წლის წინანდელ წვიმაზე ვფიქრობ / და მაძლარი ვარ ყელამდე ლეშით“ (ამ ფაქტს იგი თავის მოგონებებშიც წერს, შეძრწუნებული, შეწუხებული).

ნახევრად იუმორით, ნახევრად ირონიით თვითმკვლელობასაც ახსენებს. ეს ის შემთხვევაა, როცა ცხოვრება აბსურდს დამსგავსებია. ეს, აღბათ, წუთებია, მაგრამ მნიშვნელოვანი, ნარმოსახვაში გაელვებული... მაინც შემზარავი: „პარაბელუმთან“ / ძველი „ტეტეც“ უჯრაში გდია — / რომ აიღო და, / ვთქვათ, რომ შუბლში იხალო ტყვია, / ან უხმაუროდ, / ჰი-გიენის, ეთიკის დაცვით, / ცოლს დახვდე / ჭერში დაკიდული, ქათქათა საცვლით, / ან კიდევ არის / გზა მესამე — კარგად დაპურდე, / მაჩაბელივით / გახვიდე და აღარ დაბრუნდე“.

თუმცა, ყოველგვარი ირონიის და იუმორის გარეშე, ისევ სურვილი არყოფნისა... მაგრამ ეს მაინც ყველაფრისგან დალლილი კაცის, ისევ და ისევ, წუთებია — მძიმედ გაელვებული. ლირიკის უმთავრესი ნანილი სწორედ სიკვდილის გასაადვილებლად იწერება: „როგორ არ ვწუხდე, რომ ფერი მიგდის, — / დღითიდლე მეტად ხარ ფერმიხდილი, — / რომ წლები გადის, რაც ნიშნავს სიკვდილს, / და რომ ჩვენს გვერდით ცხოვრობს სიკვდილი“. ეს მწარე სიმართლეა, რომელსაც, რაც შეიძლება, თვალს და ფიქრს არიდებენ ადამიანები, ჩვეულებრივი თუ უჩვეულონი, მაგრამ პოეტის ხედრი ამ მხრივ უფრო რთულია და, მით უმეტეს, იმისა, ვისაც ასე მომეტებულად ეფიქრება... ვისთვისაც ცხოვრება მხოლოდ რაღაც ცხადის მსგავსია ზოგჯერ, და არა — რეალობა. უსათაურო ლექსში „გალაკტიონი როგორც იტყვის“ სწორედ ამის განცდაა გამოხატული. ცხოვრების სიზმართან შედარება ცხოვრებით გაუმაძლარი, ცხოვრებით მწყურვალე ადამიანის ფიქრია და არა მისი ოპონენტისა: „გალაკტიონი როგორც იტყვის, — / დაელოცოს ენა-პირი, — / არყოფილი იყო თითქმის,

/ სიზმარი იყო ყველაფერი... / იყო ბურუსების ტპაში / გზა ვარდისფრად შენაფერი, / იყო რაღაც ცხადის მსგავსი, — / სიზმარი იყო ყველაფერი... / მოდიოდი, მურმან, რისთვის?! / არსით ჩანდა შენაპირი... / სიზმარი იყო, სიზმარი იყო, / სიზმარი იყო ყველაფერი!“

ინტერტექსტუალური გადაძახილი გალაკტიონთან: „ვარდისფერად შენაფერი“, „შენაპირი“, ხალხური, „ზღაპარ იყოს“ ასოციაცია ლექსის ემოციურობას უფრო საგრძნობს ხდის.

„არ ვთამაშობ, თამაშიდან გავდივარ“, — ესეც ერთგვარი ჟესტია ცხოვრების მიმართ. სიკვდილ-სიცოცხლის ფილოსოფიური გააზრება, როგორც პოეტი წერს, ძველისძველია. გულუბრყვილობაა, ებრძოდე ბუნების კანონზომიერებას. ცხოვრება თამაშია და, შეიძლება, გახვიდე ამ თამაშიდან, გაიქცე, როცა დაიღლები „ბრძოლით, კვნესით, გოდებით“: „გაჩენილა კაცთა მოდგმა ღვთისაგან, — / მძივნვარებდეს, ბრძოდეს, კვნესდეს, ჰგოდებდეს / სატალახო გზებით სრულყოფისაკენ! / მაგრამ ჯვარცმა ოჳ, როდემდის, როდემდის...“

„სატალახო გზები“ ანუ ცხოვრებაა ის, რომელიც ათქმევინებს: „გებრალებოდეს: ასი წლის კაცი / ორასის არ გახდება! / გებრალებოდეს: აკვნისას ყმაწვილს ცხოვრება გადახდება!“ ე. ი. ცხოვრება რთულია, ია-ვარდით მოფენილი არაა, მაგრამ მაინც დაუთმობელი. ესაა თავი და თავი მურმან ლებანიძის პოეზიისა. მისივე სიტყვით რომ ვთქვათ, იგი ცხოვრებით გულმოუჯერებელია, როგორც ნებისმიერი მოკვდავი... ლექსით, მზით, ლვინით გაუმაძლარი: „გიყვარდა ლექსი ისეთი ძალით — / სიტყვის ფერ-ხორცი, გემო, სიჭრელე, / რომ თითებშუა გაგექცა წყალი, / ცხოვრებით გული ვერ მოიჯერე!... / ახლა მაგ ბუხარს აფიცე ძელები, / ეგ ფერფლისფერი თმა შეიფერე! / ოთხმოციანი ჩამოლგა წლები / და ჩემი ცოდვით სავსე სიბერე!“ (1980).

ესაა წარმავლობის მწარე განცდა, თითქოს თანდაყოლილი და განუშორებელი, სულში ქრონიკულად ჩასახლებული, როგორც მოურჩენელი იარა. საბედნიეროდ, არ გამართლდა გულისმღრღნელი ეჭვი ნაადრევ სიკვდილზე; ამ ქვეცნობიერმა, არცთუ უსაფუძვლო და ადამიანურად გასაგებმა განცდამ, როგორც ითქვა, კიდევ უფრო საინტერესო გახადა პოეტის ლირიკა. ღრმად განცდილი და ძირიანფესვიანია მისი ტკივილი საწუთოროზე, ამიტომაც მოიაზრება ეს საამსოფლიო ფიქრები ზოგადად, ყველასათვის, ვისაც ერთხელ მაინც შესებია იგი: „სურვილის ქვეყნებში სიგრილეა, სურვილის ქვეყნებში გათოვდა, ეს, ალბათ, სიბერის სიკვდილია — კიდევაც, კიდევაც მეშინია...“ და მაინც, მურმან ლებანიძის ტიპის ლირიკოსს შეეძლო, გაექილიყებინა სიკვდილი, ეს ყოვლისშემძრელი ურჩეული, რომელიც ხან რას ირქმევს სახელად და ხან — რას: „პოეტი მარად ბნდებოდა / შეკითხვით: „საით მივკრით?!” / აქამდე — ჭლექი ჩნდებოდა / (და არა კიბო) ფიქრით. / ეს სენი, ჩვენში დარჩეს და, / მე მოხდილი მაქვს სანდოდ, / ახლა — კიბოსაც აჩენსო, / განგვიმარტავენ ფართოდ!“

პოეტი, იმთავითვე, ხშირად მიმართავს პროზაზებს. ეს მისი ბუნებრივი სტილია გამომსახველობის თვალსაზრისითაც და პოეტური მასალითაც. ერთ-ერთ უსათაურო ლექსში იგი იგონებს „გველურ ხუმრობას“, რომელიც მოუსმენია პერაციის წინა დღეს: „იწევა ჩვენს შორის ბერიკაცი, თხანვერა სახის — უკვე გაჭრილი... და თქვა მან მეცრად: „რა იცითო ბალლებმა სიმწრის, მწარე არისო ცხოვრებაში ყველაზე მეტად: რომ გაიღება დილის ცხრაზე კარები მორგის, დაითითოვებს თავთავის მკვდარს ჭირისუფალი და რომ იკითხავს ხმამაღლა, შენზე — „ვეშ პიკინიცეკ?“ — ვისიაო მორჩილი მკვდარი?!. კაცი — პატრონი დამმარხავი არ გამოჩენდება... აუჩქარებლად რომ დაკეტავს კარებს მორგისას და მოზაიკურ იატაკზე, დედიშობილა, გრილ სიბნელეში, გრილ წყვდიადში მარტო დარჩები...

აი, რა არის ცხოვრებაში ყველაზე მნარე“... და ა.შ. — ამბობს მოხუცი, „თავად გაჭრილი, შეკერილი უმაღ სასწრაფოდ“, ანუ თავად არის, პერსპექტივაში, მკვდარი. რა უფრო უსია-მოვნოა მთხოვნელისთვის, თხანვერა სახე მოხუცისა თუ მისი ნათევამი? ან სად თავდება პროზა და სად იწყება პოეზია? ან იყოფა კი ტექსტი ამ თვალსაზრისით?.. ეს ლექსი შეი-ცავს წატურალისტური თხრობის ელემენტს (იქნებ, კიჩურსაც), რასაც არც ისე იშვიათად მიმართავს პოეტი, განსაკუთრებით, საომარი თავგადასავლების თხრობისას.

სასაფლაოს თემა კვლავ გრძელდება. ეს იმდენად სულისმიერია, რომ არასოდეს იწვევს მყითხველში მოულოდნელობის ეფექტს, მით უმეტეს, მაშინ, როცა „ქამთა ბრუნვით დაღრეჯილი“ მარტოდმარტო უზის ბჟარს და „ცეცხლის ლაპარაკი ართობს“ წარ-მართივით: „მე — ვინ? ერთის მეტი ვინ მყავს — ცეცხლი მელაპარაკება“.

მეტაფორა — „ცეცხლთან ლაპარაკი“ განსაზღვრავს ლექსის შინაარსობრივ სტრუქტურას, სახეობრივად წარმოაჩენს ადამიანის შინაგან ცეცხლს, სულის ცეცხლისკიდებას. ეს შინაგანი დიალოგია, დიალოგი საკუთარ ცეცხლთან. ამ ვრცელი ლექსის ერთი ნაწილი თოვლიანი ხეობის სევდიანი პეიზაჟიცაა და სიკედილ-სიცოცხლის არსის განცდაც: „შა-ბათს მაწევარი მომდის, / წვევას მთხოვენ არცთუ ცალყბად; / კვირას სასაფლაო კორდის / ქარში ვდგავარ — ხალხი არ ჰყავთ; / ხორხოშელა თოვლი მკორტნის, / საწყალს ზღაპრულ თოვლში ვმარსავთ; / თავს ვუქცევთ და, როდის, როდის, / შინ ვბრუნდები, ვერ ვარ კარ-გად; / ფოთლიანი ქარი ზუის / წლების მიმოტალახებას... / ცეცხლი ძერს და ცეცხლი ღუის, / ცეცხლი მელაპარაკება“.

უსათაუროები: „შენ ვუგულიანი საათი გიყიდია“, „საზიზღარი ნისლი ასდის ქალაქს“, „ალარავითარი პიროვნული“, „ბოლჩებით და ყავარჯენებით“ გამოირჩევა, ასევე, წარმავ-ლობის მძაფრი შეგრძნებით. მსგავს თემაზე არაერთი პოეტური სიტყვა თქმულა ქართულ ლირიკაში. მურმან ლებანიძის ამ ხასიათის ლექსებს ყველგან თავისებური, განსხვავე-ბული დამდა აზის, რომელსაც ფილოსოფიური სილრმეცა აქვს და დახვენილი პოეტური ეფექტიც. მასში გამთლიანებულია პიროვნულ-ბიოგრაფიული და ზოგადადამიანური მარადი საფიქრალი. „ბოლჩებით და ყავარჯენებით / გრძელი სოფლის კართან ვდგავართ; / მოკლე სოფელს არ დავრჩებით, / ყველა გრძელ სოფელში წავალთ“ (1977).

სიბერის მოახლოების მძაფრი განცდა მეტად საგრძნობია უფრო ადრე (1968) დაწე-რილ ლექსში, რომელიც პოეტ ოთარ ჭელიძეს, თავის უახლოეს მეგობარს მიუძღვნა. პირ-ველსავე სტროფში ნათევამია მთავარი: ახალგაზრდობა წავიდა, სიბერე მოდის. ყვავილი თივა ხდება: „გაზაფხულზე ყაყაჩო — ყვავილია, / თიბათვეში, გასთიბვენ და — თივა. / ყვავილობა, იცოდე, ჩავლილია — / ოთარ, გული მტკიცა“.

ყაყაჩო მურმან ლებანიძის ლირიკის ერთ-ერთი სამშენებლისა. სადაც კი ამ სახეს მოიხ-მობს, ყველგან მნიშვნელოვანი პოეტური დატვირთვა აქს მას (ლადო ასათიანის ყაყაჩოე-ბი სხვადასხვა კონტექსტით, განსაკუთრებული ემოციებით, ორიგინალობით მეორდება ანა კალანდაბის, მუხრან მაჭავარიანის, მურმან ლებანიძის პოეზიაში). თივადქცეული ყა-ყაჩოს ალეგორია ამძაფრებს სიბერის წარმოსახვას. მიუხედავად იმისა, რომ ჯერაც ახალ-გაზრდაა, თავს ვერ (არ) იტყუებს, რომ სიბერემდე არც ისე შორია. ასეთ დროს უახლოეს მეგობარს მიმართავს, რომელთანაც სიყრმე და სიჭაბუკე გაუტარებია, რომელიც მასთან ერთად ბერდება. საერთოდ, მიძღვნილ ლექსებში, მიმართვის ფორმებით საუკეთესოდ გამოხატავს მურმან ლებანიძე თავის განწყობას. ამ შემთხვევაში, როგორც ძალიან სუ-ბიექტური, არც ისე ხმამაღლა სატემელი, მეგობარს უნდა უთხრას, მისგან მიიღებს თა-ნაგრძნობას, საზიარო სიყრმის გახსენებით მოიფონებს წყლულს.

ნოსტალგია წარსულზე, ფიროსმანის ქუჩა, მეგობრის „ცალთვალა პანია სენაკი“ — მეგობრობის, სიჭაბუკის, პირველი ლექსების მზეგარეული დღეების მყუდრო სავანე... ეს ყველაფერი წარსულია. „გავლილია წუთისოფლის ბონდი, ავლილია მოქანავე კიბე — გიხაროდეს, ოქროს ზერებში ცხონდი, აღმართ-აღმართ მწიფე ლექსი კრიფე“. ამით ნათე-ქვამია ოთარ ჭელიძის საინტერესო და გულწრფელი გრძნობით გამოთქმული პოეზიის შესახებ. მნარეა, მაგრამ სიმართლეა (თუმცა, ძალიან ნაადრევად ნათევამი): „დაღმართ-დაღმართ ვეშურებით ახლა, / ძირს მივყვებით მზის ჩასვლისას ქუჩებს, / და ერთ-ერთი, ვიცი, ასწევს მაღლა / ყვავილებით დამძიმებულ ჭურჭელს“.

ლექსის დასაწყისი მეორდება ფინალში ანუ — სიბერის აჩრდილი, თვალდქცეული ‘ყაყაჩოს მეტაფორით. როგორც უკვე ითქვა, ლექსები ასე მტკიცნეულად, ალბათ, იმას უფრო ეწერება, ვინც სიყვარულიც იცის, ვისთვისაც ერთი ლამაზი დღეც კი დიდი ჯილ-დოა ცხოვრებისაგან. ამ შემთხვევაში ისევ ყაყაჩოს სიმბოლიკაში იკვეთება წუთისოფლის მიმზიდველობა. ორსტროფიან ლექსში („ყაყაჩოს“) პოეტი ამ საიდუმლოს უმჯდავნებს მინდორთა დამამშვენებელს.

ერთ-ერთი, რასაც ნათელი შეპქონდა მის პოეზიაში, რაც სულიერ საყრდენს წარმოადგენდა — იყო სამშობლოს გრძნობა. სამშობლო რომ მხოლოდ „ცა-ფირუზ“, ხმელეთ-ზურმუხტი“ არ არის, ამაზე ბევრი თქმულა და მაინც, რა არის იგი... ამ შემთხვევაში — მურმან ლებანიძისათვის, როგორც პოეტისა და ადამიანისთვის... ალბათ, ყველაფერია, რაც მას თავის მშობლიურ მიწასთან, ქვეყანასთან, ამ ქვეყნის, თუნდაც წვიმასთან და ქართან აკავშირებდა, დაწყებული პატარა დის საფლავიდან, გოგოლის ქუჩით, სრულიად საქართველოს კუთხეებით (გამორჩეულად: რაჭა, კახეთი, სვანეთი, თუშეთი), ნარსულის ხსოვნით და თანამედროვეთა ძვირფასი სახელებით, ულამაზესი ხედებით. პოეტის ინტონაციაც იმის მიხედვით იცვლება, რა კონტექსტში ვლინდება ეს გრძნობა. „მამა“, „ბავშვობა“, „გოგოლის ქუჩა“ — ეს ახალგაზრდობაში დაწერილი ლექსებია, ხსოვნის წარუშლელი სურათები. მამის, ბავშვობის მონატრებაა. გოგოლის ქუჩა, მისი უძვირფასესი მიკროსამყარო, საიდანაც იწყებოდა მშობლიური ქალაქის სიყვარული, სადაც ოცდახუთი ზამთარ-ზაფხული გაუტარებია.

პირდაპირი მინიშნებით, ეს ქუჩა მისი სამშობლოა, მშობლების, დედისა და მამის ნაკვალევით. აქედან, გოგოლის ქუჩიდან წასულა მამა სამუდამო სამყოფლისაკენ. დარჩა ტკივილი, მოგონება, სითბო, სიყვარული, როგორც სამუდამო საგზალი ცხოვრებისათვის, პოეზიისათვის.

ამაღლებული პათოსით გამოირჩევა ლექსი „სამშობლო“. რამდენიმე სიტყვით დასურათხატებული კავკასიის ხედები, ორიოდე პოეტური მიმართვა, ორიოდე ემოციურად დატვირთული კითხვა საოცარი ინტიმით წარმოაჩენს ლირიკული გმირის განცდას, სამშობლოს გრძნობას: „ჯიხვი — ქარაფზე ხტის, / ბუზს არ აიფრენთ, ქედებო! / კავკასის პონტის პირს / ძირს ჩაკიდულხართ, ხედებო! / მე რომ სიკვდილი მჭირს, / ხომ შენგნით, ჩემო ედემო! / ამბავს წაუდებთ ვის, / თქვენ, ფრინველებო ღვთის — / წითელ — / ფეხება მტრედებო!“

ასევე ძლიერია სამშობლოს განცდა — ლექსში „უფლისციხესთან“. რაღაც თავაწეულობა, სიამაყე, ამჰიცია სამშობლოთი თავდაჯერებული კაცისა, ერთგვარი პოზაც კი ყოველივე ამის გამოსახატავად: „უფლისციხესთან სისხლისფერი ყაყაჩოს წვეთი არა

**დალერილის — დასაღვრელის, ალბათ, მაცნეა. არავითარი სხვა სამშობლო ამაზე მეტი არ გამაჩნია“.** ლექსის ბოლო სტრიქონები მომდევნო სტროფშიც მეორდება, დასასრულს ახალი ინფორმაციით ივსება და სათქმელიც სათანადო კატეგორიულობითა გამოხატული: „**მშვენიერია / ორ ზღვას შუა კავკასის ხედი / და კითხვა: „ვინ ვის?!“ / ბებერ გულში ლახვრად მაჩნია. / არავითარი / სხვა სამშობლო ამაზე მეტი / არავითარი სხვა გზა, სხვა სსნა / არ გამაჩნია“.**

მურმან ლებანიძის პატრიოტულ ლირიკაში გამოირჩევა მცირე მოცულობის ლექსი „**ბევრს არ დაგპირდები!**“ — რომელშიც განსხვავებული პოეტური ჟესტითა გამოხატული სამშობლოსადმი დამოკიდებულება — მარტივი და მართალი: „**ლხინში — ავხირდები, / ჩრდილში გავიდგები, / ჩემთვის ვაჩხაკუნებ / ფანდურს, სანატრელო: / ჭირში დაგიტყბები, / ბევრს არ დაგპირდები: / ფეხზე დაგიდგები, / ჩემო საქართველო!**“

უსათაურო ლექსი „...აფხაზეთზე ამ კაცს თვალი უჭირავს“ (1977) სიმპტომატურად გამოხატავს იმ საბედისწერო პრობლემებს აფხაზეთთან დაკავშირდებით, რაც უკვე არსებობდა იმ დროისათვის. თუმცა, ნამდვილი მტრის სახე დაკონკრეტებული არ არის, მინიშნება საკმარისად ნათელს ხდის ვითარების არსა.

საქართველოს პოეტური ისტორიაა „**ოდესმე დიდი ყოფილა საქართველო**“ (ეძღვნება ფიქრიას). პოეტი შვილს, ლექსის ადრესატს, უყვება სამშობლოს თავგადასავალს — ოქროს ხანიდან კრწანისის ტრაგედიის ჩათვლით. ლექსის დასასრული მიმართვაა, განმეორებით აქცენტირებულია მთავარი სათქმელი, რომ ოდესლაც დიდი იყო საქართველო: „**ჩემო თვალნათელო, ჩემო სანატრელო, ოდესმე დიდი ყოფილა საქართველო**“. ყოფილა აღმაშენებელი, გასაშტერებელი ობიტრები, მოდრეკილი, ცურტაველი, რუსთაველი. ნიკოფისიდან დარუბანდამდე „**გაჭერებული და გამოჭერებული, რტყებგაშლილი და გამოჩინებული, ყოფილა ორ-ზღვა — შუა აღმოცენებული**“.

შემდეგ ბედის უკულმა დატრიალება...

მეფე ერეკლეს ეძღვნება ორი უსათაურო ლექსი, რომლებშიც გამოხატულია პოეტის დამოკიდებულება მისდამი, როგორც ადამიანისა და პოლიტიკოსისადმი: მრავალბრძოლაგამოვლილი, სისხლისგან დაცლილი, ზედდართული სიბერის ჭირი და კრახით დასრულებული კრწანისი... — „**სამშობლო გარშემორტყმული და დამხრჩვალი მაჰმადის ალყით**“ — ასეთი იყო მეფისა და ქვეყნის ხვედრი. ეს აძლებდა „**ჩაეგო ხმალი... ამხელა რუსეთს რას მისცემსო ჩვენი დაპყრობა! — იმედოვნებდა ერთმორწმუნე რუსეთის ხალხით**“... პოეტი შორსაა იმ აზრებისაგან, რომ ამის გამო „**ძრახვით**“ შეფასდეს ერეკლე მეფის გადაწყვეტილება, თუმცა კი, „**ცოლით, შვილით, კაცით თუ ბალით, — ორასი წელი ვართ რუსეთთან პატარა კახით**“.

თავის სათქმელს მურმან ლებანიძე კიდევ უფრო გამოკვეთს მეორე ლექსში, რომელიც ქართლის ისტორიაა პოეტური კონტექსტშით: საქართველო — ამტვერებული თურქით, მონღლოლით ... მამა-პაპათა შეჭირვებანი, მეფეთა უმძიმესი თავგადასავლები, მაგრამ გამორჩევით ტრაგიკული — ერეკლე, რომლის ცხოვრება იყო „**მგლებშუა ლომის ტრიალი**“, მისი დამარცხება ლომკაცის დამარცხება იყო. მისი გადაწყვეტილება კი, პოეტის აზრით, ჰგავდა „**საქმეს „ბეჩავი კაცისას: პალტო-კალოშის ზამთარში დაგირავებას**“, ანუ ეს ყოველივე იყო იძულებითი, რაც, პირველ ყოვლისა, მტკიცენული იყო თავად მეფისთვის. ყველაზე ტრაგიკული მონაკვეთი ტექსტში ორჯერ მეორდება და ამით განსაკუთრებით საგრძნობი ხდება ავტორის განცდა: „**ყურში მიწივის / კრწანისის**

განაჩენივით, / ასიოდ მხედრით / თბილისით უკუქცეული, / გამახსენდება / ხმალს მტრი-  
სას გადარჩენილი, / შემეცოდება / საწყალი მამაჩემივით / ერეკლე — / სულკურთხეული“.

გადმოცემით, დამარცხებული მეფე ერეკლე შვილიშვილებს ძალით გამოუყვანი-  
ათ ბრძოლის ველიდან, სადაც ცოცხალი თითქმის არავინ იყო. სიკვდილს ეძებდა და არ  
დაანებეს მას. ამის გამოძახილია უთუოდ პოეტის ემოციური დამოკიდებულება დიდი  
წინაპრისადმი.

1979 წელს დაწერილ უსათაურო ლექსში („ის, ვინც მეცხრამეტის ყურს მიუგდებს  
ქარებს“) გამოხატულია საუკუნის ტკბილ-მანარე გახსენება. ერთი მხრივ, „საუკუნე —  
წყლულით, საუკუნე — ელდით“, ცრემლით, ბოლმით, რომელიც აიძულებს თქვას: „მძულს  
ეს მეცხრამეტე, მძულს და მარად მძულდა! მძულს დიღების მქუხრის მშვიდობაზე გაცე-  
ლით, იმპერიის უღლით ევროპაში გასვლით... კი, ჩვენ სპარსმაც გვწველა, სხვათ კისრები  
გვლადრეს, მაგრამ „ძალის ენა“ აქ, ცხრამეტში გვკადრეს“... თუმცა, მეორე მხრივ, ეს  
საუკუნე მისთვის, როგორც, ზოგადად, ქართველისთვის, არის „გატენილი ძრებით მა-  
რად გაუხუნარ სამოციანლებით! და თუ მრავალთ შორის — ტატოს, ვაჟას მადლით, მიყ-  
ვარს პირველ ყოვლის, თერგდალეულთ ხათრით!“ და ა.შ

განსაკუთრებული მოწინება და სიყვარული ჩანს დავით აღმაშენებლისადმი მიძღ-  
ვნილ ლექსში. მთავარი ამ შემთხვევაში გამოხატვის ფორმაა. ყოველი სტროფის ბოლო  
სტრიქონში ეპითეტებია, რომლებითაც წარმოჩნდება მეფის სახე, როგორც დიდი პოლი-  
ტიკოსისა: „ევროპისკენ მიქცეული“, „დიადი და მასმტაბური“, „დავით-მეფე საოცარი“  
და ა.შ. ლექსი 1977 წელს არის დაწერილი. აქ გამოთქმულია სურვილი, რომ დავით აღ-  
მაშენებელი, როგორც დირსეულთა შორის უმეტესი, პონტისპირას უნდა იდგეს გრა-  
ნიტში გამოქანდაკებული: „როგორც რამე კლდე ჰყუდია ზღვისპირ ცამდის, / კაცისთავა  
კლდე გინახავს გიგანტური, / იდგეს ასე — ისტამბულს და ბოსფორს ჩანდეს / აზიიდან  
ევროპისკენ მიმართული“.

წინაპრებისა თუ თანამედროვებისადმი მიძღვნილი მისი ლექსები, როგორც ითქვა,  
შერწყმულია ეროვნულ, მშობლიურ განცდებთან, მისთვის ეს წარსულის და აწმყოს შეგ-  
რძნებაა, ხსოვნა და სამადლობელია, სითბო და სიყვარულია... მრავალი ცნობილი თუ უც-  
ნობი სახელი: ილია, აკაკი, ვაჟა-ფშაველა, ფიროსმანი, გიორგი ლეონიძე, მიხეილ ჯავა-  
ხიშვილი, სიმონ ჩიქოვანი, პავლე ინგოროვება, პაოლო, ტიციანი, ლადო ასათიანი და სხვ.  
გამორჩევით გალაკტიონი, „პაცი... რუსთველის ტოლი, თავზარდამცემი ნიჭით“.

„ლამისთევა. 19 მარტი, 1959“: „ჩამომდგარია კრეისერი ლურჯი მთაწმინდის — მი-  
დიხარ, მიხვალ! ჩვენ აქ ვრჩებით, შენი გზა კი ციდან ცას მიდის — ცოტაც და, შინ ხარ“.  
გალაკტიონის თემაზე პოეტმა შექმნა მრავალი ლექსი. მთელი სიცოცხლის მანძილზე,  
დროდადრო, გაიძრწყინებს ეს სახელი მის პოეზიაში, გაუნელებელი სიყვარულით, აღტა-  
ცებით, სინანულით, სევდით, სიამაყის განცდით, რომ „პარნასი გულში იკრავს სევდით /  
ბილიკების შეუშიშარ მძებნელს / — სძინავს ბალში სწორუპოვართ გვერდით / საქართ-  
ველოს პოეტების მეფეს“. — განსაკუთრებით უსათაურო „ყვავილების მდინარეს კუბო  
ცისკენ მიჰქონდა“ უნდა გავიხსენოთ, რომელიც ქართველი პოეტების მიერ გალაკტიონის  
თემაზე შექმნილ საუკეთესო რამდენიმე ლექსს შორის მოიაზრება: „ყვავილების მდინ-  
არეს კუბო ცისკენ მიჰქონდა; / იწვა გალაკტიონი და თავისას ფიქრობდა. / აღმართ-აღ-  
მართ მდინარე მთაწმინდისკენ დიოდა: / იწვა გალაკტიონი — მოხუცს ბეჭი სტკიოდა. /  
ალბათ, შუბლიც სტკიოდა — მაინც, მეფურ იერით, / იწვა მკერდბუმბერაზი, ხნიერი და

**ძლიერი. / რაღაც პათეტიკური მას სიკვდილშიც დაჰკრავდა: / ინვა, როგორც ყოველთვის, ახლაც არვის არ ჰგავდა...“**

მურმან ლებანიძის ლირიკას ბოლომდე გასდევს ომგადახდილი კაცის ფიქრები. „დაჯექ, გალექსე, როცა დრო გექნეს, ფარაჯინი კაცის ცხოვრება“, — ეს მისი ფრონტზე დაწერილი ლექსია (1943). ერთ-ერთ ინტერვიუში (აღმანახი „კრიტიკა“, 1985) იგი სამ კითხვას უპასუხებს, როგორც ომგადახდილი მნერალი. ერთ-ერთ კითხვის პასუხში ჩანს პოეტის დამოკიდებულება ამ ფაქტისადმი, რაც საკმაოდ საინტერესო უნდა იყოს მისი მკითხველისათვის: „ორმოცი წელიწადია, რაც ომი გათავდა და არ გამოსულა არც ერთი ჩემი მორიგი წიგნი, რომელშიც ომის თემაზე დაწერილი ახალი ლექსები არ ყოფილიყოს შეტანილი. ჯიუტად, დაუინებით გახსენებს თავს და გაიძულებს არდვიწყებას. როგორ აღიქვამ და გააზრებ გარდასულს ორმოცი წლის დისტანციიდან, აღიქვამ არა როგორც გმირობისა და მხედრული დიდების განუწყვეტელ ტრიუმფს, არამედ როგორც კაცობრიობის აქილევსის ქუსლს და სამუდამო ზადს, როგორც საკაცობრიოს, და, ამასთან ერთად, პირადულ უბედურებას, რომელიც ბედმა მაინცდამაინც მე დამატება თავს დროის ესოდენ მცირე, ჩემი არსებობისათვის განკუთვნილ მონაკვეთში.

ხოლო ვამაყობ არა იმით, თუ რა მოხერხებულად გავუჭეჭყე თავი მოწინააღმდეგეს, არამედ იმით, თუ რა შეეძლო და რას გაუძლო ჩემმა სულმა და ჩემმა ხორცმა!“

უფრო მოგვიანებით, 2000 წლის ინტერვიუში (ჟურნალისტ ქეთევან სადლობელაშვილთან), კიდევ უფრო მძაფრად უდერს პოეტის მოგონება ამ ომში ნანახ სისასტიკესა და უსამართლობაზე, სხვის ომში ძალით შეყრილი ახალგაზრდების ტრაგედიაზე, რომელსაც ვერასოდეს ივიწყებს. ეს იმ ომის ერთგვარი შეფასებაა უკვე შორეული გადასახედიდან: „იმედი უნდა გავუცრულ ქალბატონ ქეთევანს, „გმირული ეპიზოდების“ ნაცვლად ტრიბუნალის ეპიზოდი ხომ არ უუამბო... ბედმა მარგუნა შევსწრებოდი იმას, რასაც ომში იშვიათად შეესწრება კაცი. დავესწარი სამი ახალწვეული, სრულიად გამოუცდელი ჯარისკაცის დახვრეტას 1942 წლის ნოემბერში, აფხაზეთში. უკვე ოცი წლისა ვიყავი... ოქტომბრის ცამეტიდან თოვლმა საიმედოდ ჩაკეტა ულელტეხილები, ზემო ლათაში ჩამოვივაკეთ და აქ მიწურები გავჭერით გამოსაზამთრებლად...“

— ერთ დილით უთენია წამოგვყარეს, ტყის სიღრმეში მინდორზე გაგვიყვანეს... იქ 18-19 წლის სამი ჭაბუკი ვიცანი რაჭაში ფორმირებული ასეულიდან... ამ ყმაწვილებთან ისიც მაკავეშირებდა, რომ მარუხის ძირში მოღწეულებს ცხენი ალარ სჭირდებოდათ. ტყვიით მოკლეს და ხორცი ერთად ავაჭერით ერთი თვის წინ... ახლა იდგნენ ბიჭები, ხელში ბარები ეჭირათ, ქამრები და ფეხსაცმელები მოხსნილი პერნდათ და წარმოუდგენელ, შემზარვ სიჩქმეში ბარისპირმოხვედრილი კერძის ჩხარუნი გვესმოდა დროდადრო... გულმოდგინედ ჭრიდნენ საკუთარ სამარხებს, თუმცა, ვფიქრობ, არ სჯეროდათ, თუ მართლა გაიმეტებ-დნენ დასახვრეტად...

ვფიქრობ, ვერც განაჩენი გააცნობიერეს, რომელიც მაიორმა, ანუ ტრიბუნალის უფროსმა, რუსულ ენაზე წაგვიკითხა, საიდანაც ჩვენ შევიტყვეთ, რომ სამმა ქარველმა ჯარისკაცმა (ერთი გვარი იაშვილად დამამახსოვრდა) დეზერტირობა ჩაიდინა; წაიღეს თითო ავტომატი თითო დამატებითი დისკით, ტყე-ტყე რაჭისკენ აიღეს გეზი, შორს ვერ გააღწიეს, ოციოდ კილომეტრზე შეიპყრო სპეცრაზმმა სამივე... ბოლო ფრაზაზე, დახვრეტის განაჩენი რომ გამოაცხადა მაიორმა, იარაღი იძრო, მაგრამ სიკვდილმისჯილებისკენ არ იკადრა სროლა, გვერდზე გადგა და ჰაერში ისროლა. ეს იყო განაჩენის სისრულეში

მოყვანის სიგნალი. იქვე იდგა და მზად იყო თავისი მოვალეობის შესასრულებლად ჭრელი, არაქართული ეროვნების სპეციალული — თითქმის სინქრონულად გაისმა ათი-თორმეტი ავტომატის ჯერი. დახვრეტილებს ხელები თვალებზე აფარებული და წინამონეული დარჩათ, თითქოს იმ ხელებს რაიმეს შეჩერება და თავიდან აცილება შეეძლოთ! — თოკი რომ გაწყდეს და სარეცხი მიწას დაეფინოს, საწყლები ასე დაეფინენ საკუთარი ხელებით გაჭრილ მიწაყრილს..."

წლების შემდეგ, რა თქმა უნდა, ეს კიდევ უფრო მძიმე მოსაგონარი იყო. ომში მურმან ლებანიძე 1942 წლის მარტში გაინვიეს, უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის მეორე კურსიდან: მარუხის და ქლუხორის უღელტეხილები, დაჭრა კრასნოდარის აღებისას, პოსპიტლები: გარიაჩი კლუჩი — ჭრილობით, კრასნოდარში — ტიფით... „ქართველი პოეტების უმცროსი თაობის, ცხრამეტ-ცხრამეტი წლის მაშინდელი ჯარისკაცების ზურგზე გადაიარა ამ ომშა. ოსტატობა გვაკლდა, ძირითადად უმნიფარი იყო ჩვენი მაშინდელი ლექსები. მე, პირადად, ფრონტზე დაწერილ თითო-ოროლა ლექსს ვერ შეველიე, თორემ აურაცხელი საერთოდ გადავყარე. ჩემთვის ომის თემაზე მერე და მერე დაწერილს ვანიჭებ მნიშვნელობას“ — იხსენებს იგი.

შემონახული შთაგონებით ინწერება სწორედ ის, რამაც დროს გაუძლო, რაც წარსულმა ვერ წაიღო. ერთ-ერთ ბოლოდროინდელ რჩეულში ომში დაწერილებიდან პირველს დისადმი მიძღვნილ ლექსს (1943) სთავაზობს მეითხველს. ყუბანში, მოქმედ არმიაში ყოფნის დროს, იგებს იგი პატარა დის სიკვდილს, რაც უფრო მეტად, ასკეცად გაუსაძლის ხდის უთუოდ 20 წლის ჭაბუკის მეომრულ ყოფას: „როს უსიამო უდარუნით / აკვნესდა ომის ჩანვი, / შენ სარეცელზე დაგტოვე / სევდით და გულის მანკით. / ო, ვიცი, ჩემზე ფიქრებმა / არ მოგაკარა რული / და ომშაც ნიბლიასავით / შენ გაგიხეთქა გული. / ვაჲ, დაო, ბედმა, შავ-ბედმა / ნისლით დაპფარა გზები / და ახლა ფიქრებს მიწამლავს / შენი პატარა ძვლები...“ ნაყოლილი დარდები, გადაულახავი მწუხარება, დედის, მამის, ნათესავ-მეგობრების გახსენება იკითხება ამავე წელს დაწერილ ლექსში „მოლანდება“.

შემდეგ, უკვე ასაკში შესული, ტკივილით გაიხსენებს, რომ მხოლოდ ცაგერიდან და ონიდან „ოთხასი კაცი წალალეს ომში „ცუმპა-რამპათი“, ზათქით, მუსიკით“. ლექსი „მარში“ (1976) არა მხოლოდ გახსენებაა, არამედ შეფასებაც ამ ომისა, რომელსაც სამამულო ომად გვისახავდნენ. საბჭოთა რუსეთმა კარგად გამოიყენა ინტერნაციონალური სამშობლოს მორალური კოდექსი და ერთი მუჭა ქვეყნიდან 700 ათასი ჯარისკაცი გაიწვია, რომელთაგან ნახევარიც ვერ დაპრუნდა. უმეტეს შემთხვევაში ძალით, თოფის ლულით მიერკებოდნენ „საბჭოთა სამშობლოს“ დასაცავად. ამის ნათელი სურათია ეს ლექსი: „თოვს, / მიაბიჯებს პოლკი, ხვრინავს და / ესრეთ მძინარი / ქალაქში შედის... / „Встать!“ — / ცივი ლულა, მძინარ ყვრიმალთან, / „Встать!“ — / და ანაზღად / გინება დედის. / გაავებული თავზე დამყურებ, / ლულას მიქნევ და გინებით მმარხავ; / ო, მეთაურო, მე არ გამტყუნებ — / შენ, რა თქმა უნდა, სამშობლოს ჰკარგავ, / მაგრამ მეც აქ ვარ, ძმადგაფიცული, / მეც ხომ შენთან ვარ ამ სისხლის ტბორში, / მომიტანია აქ ღაფვით სული, / მომითრევია აქ ტანჯვით ხორცი...“

მიდიოდნენ ნებითაც, მაგრამ მოტყუებით, სიჭაბუკით ანთებულები. ვინც რუსეთის „სამშვიდობო მოქალაქის მმართველობით“ გადარჩა და გამრავლდა 1801 წლიდან 1941 წლამდე, მეორე მსოფლიო ომში შეინირა, უმრავლესობა — დაუოჯახებელი... გენოფონდი განადგურდა.

უსახელოდ დაღუპულები, უგზო-უკვლოდ დაკარგულები, უსაფლავებოდ გადაგებულები. ვინც ჯერ კიდევ ცოცხალი იყო, ფრთებდაკეცილ არწივს უფრო ჰგავდა (აქ ირონიით ამბობს პოეტი, ბედის ირონიით საკუთარი თავისა და თანატოლების მიმართ): „**მე ვიყავი ცხრამეტის! / კარს მეოცე იყო და / ხერხემალში გხერხავდა — / ლეონიძე იტყოდა: / ბეჭს არწივი გვეხატა: / მაგრამ ფრთები დაკეცა / იმ არწივმა მოწყენით, / ომის გზა გაიწელა / გაიძვერა ჯორცხენით**“. ეს არის სინამდვილე, სიმართლე, რომლის გამოხატვა ასაკოვანი, ფრონტულ ცხოვრებაგამოვლილი კაცისთვის შინაგანი მოთხოვნილებაა, სულის ძახილია. ასეთივე სიმწრით იხსენებს იგი 1942 წლის დეკემბერს. „46-ე არმია“, — ასე ჰქვია ლექსის: „**შენ სად იყავ, მურმან, იმ დროს? / სული ხორცობან გაყრას გთხოვდა! / არ თქვა ახლა, არ თქვა თითქოს / ბრძოლის ველისაკენ ქროდა! / ოთხი ფუთი ბეჭში გჭრიდა, / ტერფისგული ლურსმანს გრძნობდა! / ლმერთო, რანაირად წვიმდა! / ლმერთო, რანაირად თოვდა!**“.

რამდენი ნაძალადევი ლექსი დაწერილა, ალბათ, იმ ჯოჯოხეთში ახალგაზრდა პოეტების მიერ (თუნდაც მ. ლებანიძეს რომ გაუნადგურებია, ალბათ, ისინიც), ზოგი შიშის დასათრგუნად, ზოგიც ვაჟუაცური ღირსებისათვის. 18-19-20 წლის ბიჭებისთვის რთული იყო იმგვარად მიელოთ და ნარმოედგინათ სინამდვილე, როგორც ეს დროის გადასახელიდან გახდა შესაძლებელი, ან ჰქონდა კი აზრი, თუნდაც ვითარების კარგად გაცნობიერებას?! იყო კი საშუალება აზრის თავისუფალი გამოხატვისა?! ისევ გახსენებაა 33 წლის შემდეგ: „— **Mapsh! — გატენილა სამხრეთის ტრაქტი / ასიათასი ქვემების ლულით / ათასანირი ჯარების ზვირთით / წყვდიადის სიღრმით და უძირობით / ამ უწვერული ბიჭებით, ჭყინტით, / ილაკვანვეტით და უძილობით...**“

სამი ელეგია ეძღვება ტექსელის ტრაგედიას, სამშობლო გარეთ დარჩენილ საფლავებს, სადაც „ტანგაუხდელნი და უჭურჭლოდ ხუთასნი წვანან — კაცმა არ იცის, წვანან რატომ და წვანან რისთვის!..“ ისინი სამშობლოს სახელით იბრძოდნენ. დარჩათ მშობლები, შვილები ცხრა ზღვას იქით, „ან, ვაჲ სოფელო რა შიგან ხარ?!!“ — გმინავენ წყალნი, ან „სადაურსა სად წაიყვან?!!“ — გრგვინავენ ქარნი“. შესამწერებია, რომ, რაც დრო გადიოდა, მით უფრო გაცნობიერებული ხდებოდა წარსულის ფაქტები, უფრო და უფრო ღრმავდებოდა ცეცხლშიგამოტარებული სიჭაბუკის იარა. შეიძლება ისიც ითქვას, ბევრი წვეულებრივი თუ პოეტი-ჯარისკაცი არ ფიქრობდა მეორე მსოფლიო ომზე ამგვარად (ეს დღემდე მტკინვეული საკითხია მათთვის). ისიც ცნობილია, რომ მოხალისეებიც მიდიოდნენ ამ ომში, ქვეყნის ყველა კუთხიდან და, მათ შორის, საქართველოდანაც. რა თქმა უნდა, მკრეხელობაა მათ გულწრფელობაში ეჭვის შეტანა, მაგრამ ისიც გვახსოვდეს, როგორ მუშაობდა კომუნისტების სააგიტაციო მანქანა მოწოდებით — „სამშობლოსათვის, სტალინისათვის!“ ასე რომ, მიდიოდნენ ზოგიერთები: გულწრფელები და გულანთებულები... ბევრი — ძალით — სავალდებულო სამხედრო სამსახურში, საბჭოთა სამშობლოს დასაცავად. დეზერტირებს სასტიკად უსწორდებოდნენ „სამშობლოს“ დალატისთვის. ყოველივე ამის გათვალისწინებით, თანამედროვე თუ მომავლის თაობებმა თანაგრძნობით და პატივისცემით უნდა მოიხსენიონ ამ ომში დაღუპულები თუ შინდაბრუნებულები, ან გარდაცვლილები... მადლიერებით შევხედოთ იმ ჯოჯოხეთის ცოცხალ მოწმეებს. ერთ-ერთ ინტერვიუში მურმან ლებანიძე აღნიშნავს: ზოგიერთებს არ მოსწონთ და ჩემზე ამბობენ, სულ სიკვდილზე წერსო... რა თქმა უნდა, იგი არ იღებს ამ შენიშვნას და — სამართლიანადაც.

ის, როგორც ცხოვრებისაგან ადრე დაკაცებული და ჭირნახული, არ გაურბოდა ამ თემას; ეს იყო შინაგანი ხმა, რომელიც დაუფარავად და შეულამაზებლად გამოჰქონდა პოეზის სახით.

ცხოვრებისეული მოვლენების დაფაქტების კრიტიკით, საზოგადოებაში არსებული სიყალბის, თვალთმაქცობის მხილებით გამოირჩევა პოეტის იუმორესკები. განსაკუთრებით საწუხარია მისთვის თანამედროვე სამყაროს ბედი; ტექნიკის საოცარი მიღწევებს ფონზე დამაფიქრებელი ბევრი აქვს ადამიანს: მონამღლული მდინარეები, დედამიწის მონამღლული მწვანე საფარი, გაბერნებული მარჩენალი მიწა...“

სატრფიალო ლირიკა არც ისე უხვია მურმან ლებანიძის ლირიკაში, მაგრამ ერთ-ერთი პირველი ლექსია ამ თემაზე, „გაზაფხული შემოსულა, ლენ“, ქართული პოეზის რჩეულია; ქართულ ხმებში სიმღერადქცეული ეს ტექსტი კიდევ უფრო შთამბეჭდავი და წარუშლებია მკითხველისთვის, მსმენელისთვის. მასში ერთმანეთს ერწყმის გულწრფელი გრძნობა საყვარელი ქალისადმი და გაზაფხულის დღესასწაული (გაზაფხული და ზამთარი მისი უსაყვარლესი დროებია, რასაც არაერთხელ გვაგრძნობინებს პოეტის ლირიკა).

პოპულარული ლექსი „მელიქიშვილის გამზირი“, ყველაზე ადრინდელია (1951) სატრფიალო ლირიკიდან. მასში ჩანს პოეტის ნოსტალგია თავისი სტუდენტობის შეწყვეტილი (ომის გამო) გზისა და ოცნებაში ჩარჩენილი ქალის გამო, რომელიც არ ჩანს. ეს იმ დაკარგული ლამაზი წლების მონატრებაა, გახსენება იმ ტკბილი წარსულისა, რომელ-მაც მის გარეშე ჩაიარა, კონკრეტულად აქ, მისთვის ესოდენ საყვარელ — მელიქიშვილის ქუჩაზე.

მურმან ლებანიძე ჩინებული მთარგმნელია. სამასზე მეტი ლექსია თავმოყრილი მხოლოდ რჩეულ თარგმანებში — „უკვდავი ყვავილები“. წიგნის შესავალში ვკითხულობთ: „თარგმანები ხარისხის მიხედვით მეცნიერად შევარჩევი. შერჩევისას, პირველ ყოვლისა, ორიგინალის ლირსებას ვითვალისწინებდი და წიგნის სათაურიც ორიგინალის დირსებას შეეხება და არა თარგმანისას. „უკვდავი ყვავილების“ რანგში საქვეყნოდ აღიარებული ქმნილებების გვერდით იოლად და თვითნებურად ვერაფერს შევიტანდი. შესატყვის ენებზე შექმნილი პოეზიის ეს ნიმუშები დიახაც უკვდავია“... მას თარგმნილი აქვს რობერტ ბერნის პოეზია, კიბლინგი, რუსი პოეტები, იაპონური პოეზია, ძველეგვიპტური ლირიკა, ფრანგული ვიოონი, ალიშერ ნავოი, შამისო, ხოსე მარტი და სხვ. განსაკუთრებით საინტერესოა პოეტის მიერ თარგმნილი იაპონური პოეზია. ძალზე ტევადი და მგრძნობიარეა ეს პატარა ტექსტები (ორმოცი ტანკა და სამოცი ხოკუ).

მრავალფეროვანია მურმან ლებანიძის პოეტიკა. როგორც ითქვა, მას აქვს მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი პოეტური ინტონაცია; რაც შეეხება პროზაიზმს და ირონიას, — ეს ნაცადი ხერხია ქართულ პოეზიაში: გალაკტიონთან, ცისფერყანწელებთან, განსაკუთრებით — ტიციან ტაბიძესთან. მუხრან მაჭავარიანმა კი თავისი ლირიკის გამოკვეთილ საშუალებად აქცია იგი. მურმან ლებანიძის სათქმელმა კარგად მოირგო ეს სტილი. მისთვის არც ვერლიბრია უცხო. საინტერესოა მისი შეხედულება ამასთან დაკავშირებით, რადგან თავის დროზე ვერლიბრის შესახებ ცხარე კამათი იმართებოდა და მასში მონაწილეობა ბატონმა მურმანმაც მიიღო: „ვერლიბრი მე პოზისა და პოეზიის ნაჯვარად მიმაჩნია და შეწყნარებით ვუყურებ პოეზიის ამ სახეობას. ჩემთვის ეს — ჰიბრიდია, ამ ჰიბრიდით ვერცხლის ხარისხის მიღწევა ხერხდება და ძნელად — ოქროსი! მაგრამ განავერცხლი დასაწუნებელია ამდენ ჯართში?!“

ერთი სიტყვით, დრო, სიტუაცია, სათქმელის შინაარსი, განწყობა განაპირობებს მის პოეტურ ხელწერას, პოეტურ ხმას. ალბათ, ამას გულისხმობს რჩეულის გარეკანზე მინაწერი ლექსიც: „ოჟ პოეზიავ — მარად / ცის კიბეებით მსვლელო! / ვისთვის წკრიალო ქნარად! / ვისთვის — კრნანისის ველო!“

*Zoia Tskhadaya*

## Murman Lebanidze

### Abstract

**Key words:** Murman Lebanidze, Galaktion Tabidze, life/death motive, patriotic lyrics, II world war motive.

In Murman Lebanidze's lyrics particular attention is his attitude to life and death, transiency of life. It can be said this is the main thing Murman Lebanidze's wanted to say as a poet. In his creative works he shares key trends of Georgian poetry of the second half of the 20<sup>th</sup> century. His attitude to the familiar – everyday life or eternal themes is distinguished. However, essentially everything seems to be penetrated and experienced against the background of understanding of life/death, transiency of life.

The only thing that brought light into his poetry and represented spiritual support was the feeling for his homeland. For Murman Lebanidze, as a poet and man, it is probably everything that connects him with his native land, country, beginning from his small sister's grave, Gogol Street or the corners of entire Georgia. Poet's intonations change depending on the context in which this feeling is revealed. "Father", "Childhood", "Gogol Street" are the poems written in his youth, not erased pictures of memory, nostalgia for childhood. Gogol Street - the most precious microcosm from which love to hometown begins.

His poems devoted to ancestors or his contemporaries blend with national, native feelings, for him it the sensation of the past and present, memory and gratitude, warmth and love... numerous famous or unknown names, his favorite Galaktion. A poem without title "The river of flowers carried the coffin to the heaven" is considered one of the best poems created on Galaktion's theme in Georgian poetry.

Murman Lebanidze's handwriting, is primarily conditioned by original rhythm which is mainly created by inverse order of the words, respectively, such redistribution of stresses that creates essentially new intonation. Depending on what information, what word stock the verse structure contains, this intonation is also changed. Sometimes it is simple – ordinary, characteristic of narrative style. From the outset the poet often addresses prosaism.

Murman Lebanidze's poetry is versatile. He has poetic intonation characteristic only of him. As to prosaism and irony, it is a tried means in Georgian poetry: Galaktion, Blue Horns, especially in Titsian Tabidze. And Mukhran Machavariani made it a distinguished means of his lyrics. This style agree well with what Murman Lebanidze wanted to express. Neither free verse is strange to him.

## რეცენზია

### ქართული რომანტიზმი — ნაციონალური და ინტერნაციონალური საზღვრები თბილისი: „საარი“, 2012

რომანტიზმის შესახებ მრავალი სამეცნიერო ნაშრომია შექმნილი და თავად ცნების იმდენივე განმარტება არსებობს, რამდენი ნაშრომიცაა. ეს გამოწვეულია რომანტიზმის, როგორც მსოფლმხედველობის, ასევე ლიტერატურული მიმართულების, გარკვეული „იზმის“ ფარგლებში მოქცევისა და განსაზღვრის მცდელობით; ასევე იმ თავისებურებების მეტ-ნაკლები გაუთვალისწინებლობით, რომელსაც ეს მიმართულება სხვადასხვა ქვეყანაში წარმოქმნის. შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის მიერ წარმოდგენილი წიგნის — „ქართული რომანტიზმის“ — მიზანია როგორც რომანტიზმის ცნებისა და მისი ფილოსოფიის ზოგადი განხილვა-ანალიზი, ასევე მსოფლიოს სხვადა-სხვა ქვეყანაში მისი გამოვლინების თავისებურებათა ჩვენება და ამ ფონზე ქართული რომანტიზმის განხილვა ისტორიულ-კულტურულ კონტექსტში. წიგნში მთლიანობაშია წარმოდგენილი რომანტიზმის პანორამა და ამ მიმართულების გამოვლინება ცალკეულ ქვეყნებში: ბრიტანეთსა და ამერიკაში, გერმანიაში, საფრანგეთში, იტალიაში, ესპანეთში, რუსეთსა და პოლონეთში, და ბოლოს — საქართველოში; შექმნილია ქართველ რომანტიკოსთა — ალექსანდრე ჭავჭავაძის, გრიგოლ ორბელიანის, ვახტანგ ორბელიანის, ნიკოლოზ ბარათაშვილის — პორტრეტები. მნიშვნელოვანი ყურადღება აქვს დათმობილი მე-19 საუკუნის I ნახევრის ლიტერატურულ ყოფასა და სალონურ კულტურას, რომელიც, თავის მხრივ, განმსაზღვრელიც კი იყო რომანტიკული მსოფლებლებისა. წარმოდგენილი თემატიკა საკმაოდ ნათელ სურათს იძლევა ქართული რომანტიზმის ნაციონალური და ინტერნაციონალური საზღვრების წარმოსაჩენად, რაც წიგნის მთავარ ღირსებას წარმოადგენს.

შესავალ ნერილში წიგნის რედაქტორი ზაზა აბზიანიძე აღნიშნავს, რომ რომანტიზმი „ჩვენი ქვეყნის ისტორიულ გზისგაბაყარზე ქართული კულტურის ევროპული ორიენტაციის მანიშნებელი იყო, ... თუმცა საკუთრივ ქვეყანა, პოლიტიკური თვალსაზრისით, კიდევ ორი საუკუნის განმავლობაში ჯერ რუსეთის, შემდგომ კი უკვე საბჭოთა იმპერიის განაპირო პროვინციას წარმოადგენდა“ (გვ. 5). მკვლევარი არ გამორიცხავს ერთი მნიშვნელოვანი და მეტ-ნაკლებად საკამათო კითხვის გაჩენის შესაძლებლობასაც — „რუსეთიდან შემოღწეულ რომანტიზმი ჩამაღლებით „თავისუფლებისმოყვარეობის ნაღმა“ დაამჩნია პირველი ბზარი კავკასიას გარსშემოვლებულ კადელს, თუ ნებისმიერი კულტურული ექსპანსია ხელს უწყობს კოლონიის მეტროპოლიასთან მენტალურ კავშირს და ... თავისუფლების იდეალთა განხორციელების დღეს დაპყრობილ ქვეყანაში უსასრულოდ გადაავადებს?“ (გვ. 5) წიგნის ავტორთა პასუხი ამ კითხვაზე ერთმნიშვნელოვანია — „თავისუფლებისმოყვარეობის ნაღმი“ აუცილებლად ანგრეგს თვით კულტურულ ექსპანსიასაც; ქართული რომანტიზმის სიღრმისეული კვლევის დაგვიანების მიზეზი კი წინამორბედ მკვლევართა შეზღუდული შესაძლებლობებია, რაც გამოწვეული იყო რუსეთის იმპერიის იდეოლოგიური წესებით. სწორედ ამ „კულტუროლოგიური ნიშის“ ამოვსება გახლავთ წარმოდგენილი სამეცნიერო კრებულის მიზანი. მიზნიდან გამომდინარე

კი, ბუნებრივია, რომ პირველი სტატია — „ქართული რომანტიზმის ისტორიულ-კულტურული კონტექსტი“ (ავტორები — კახა კაციტაძე, კახა ჯამბურია) წარმოგვიდგენს რომანტიზმის ფილოსოფიის სიღრმისეულ ძირებს ანტიკური ეპოქიდან XVIII საუკუნეებისა. კვლევაში მკაფიოდ და თანმიმდევრულადაა გამოკვეთილი რომანტიზმის ძირითადი ტენდენციები და დასმულია მეტად მნიშვნელოვანი საკითხი: რამდენად არის მისაღები ქართველი რომანტიკოსებისათვის რომანტიზმის თეორეტიკოსთა პრინციპები და რით შეიძლება აიხსნას მათი შეხედულებების სხვადასხვაობა, რაც საკმაოდ თვალშისაცემია. მკვლევრები ამ ყოველივეს დამაჯერებელი იპიექტური მიზეზებით ხსნიან: მსოფლიოს რომანტიკოსი მწერლების შემოქმედებითი მიდგომა სინამდვილისადმი ერთნაირი არ იყო. აქედან გამომდინარე, არ არსებობს რომანტიზმის ერთიანი ესთეტიკაც. იმის მიხედვით, თუ რომანტიზმის რომელ ნაკადს ეკუთვნის ესა თუ ის მწერალი, სხვადასხვაგვარია მისი თემაც და მხატვრული სტილიც. ამასთანავე გასათვალისწინებელია ისიც, რომ ლიტერატურას ყოველთვის განსაზღვრავს ეროვნული თავისებურება. აქედან გამომდინარე, ქართული რომანტიზმი არა მარტო ჩვენი ლიტერატურის განვითარების ერთი საფეხურის გამოხატულებაა, არამედ, ზოგადად, რომანტიზმის ერთ-ერთი სახეობაცაა.

ქართული რომანტიზმის დახასიათებისას მკვლევარები გამოყოფენ სოლომონ დოდაშვილის მნიშვნელობას საქართველოში რომანტიზმის ფილოსოფიის განვითარებაში და მის გავლენას განსაკუთრებით ნიკოლოზ ბარათაშვილის შემოქმედებაზე. ნაშრომში მკაფიოდ არის წარმოჩენილი სოლომონ დოდაშვილის ფილოსოფიაზე გერმანული კულტურისა და გერმანული ფილოსოფიის ზემოქმედება, რაც სამყაროს ფილოსოფიური მოდელის განსაზღვრაში მდგომარეობს და არ არის შეუსაკუუნებების მსოფლმხედველობის უბრალო გამეორება; მისთვის დამახასიათებელია სამყაროს ტრანსცენდენტალური კონსტრუირება, „ციურის“ წვდომასთან დაკავშირებული რომანტიკული დრამატიზმი, რომელიც თავდაპირველად შექმეცნებად აღიმება, ხოლო შემდგომ ირაციონალურ ნაკადად. ეს ყველაფერი მკაფიოდ წარმოჩნდება სოლომონ დოდაშვილის „ლოგიკაში“, დიდი მასწავლებლის გავლენით კი — ბარათაშვილის შემოქმედებაში. მკვლევარები პუნქტობრივად აყალიბებენ იმ საკითხებს, რომლებშიც ბარათაშვილისა და დოდაშვილის პოზიციები ერთმანეთთან ახლოს დგას. ეს საკითხებია:

1. „სამყაროს დაყოფა მოვლენათა და მიღმურ სამყაროებად; 2. ამ ორი სამყაროს რადიკალური დაპირისპირება; 3. აქცენტირება სუბიექტზე; 4. ყოფიერების პრინციპად სწრაფვის გაება; 5. ადამიანის განსაკუთრებულად, კერძოდ, ცნობიერად მსწრაფველ არსებად გააზრება; 6. ადამიანის გაგება, როგორც ზეგრძნობადი მიღმური სინამდვილი-საკენ მსწრაფველი არსებისა; 7. ცნობიერი სწრაფვის გენეზისის რომანტიკული გაგება“ (გვ. 49).

გიორგი ეკიზაშვილის სტატიაში პანორამულად მიმოხილულია რომანტიზმის გენეზისის საკითხი, ძირითადი პრინციპები და ტენდენციები. აგებულების თვალსაზრისით ძალზე საინტერესოა თემურ კობაზიძის სტატია ინგლისური და ამერიკული რომანტიზმის შესახებ, რომელიც ეყრდნობა უმნიშვნელოვანეს თარიღთა დალაგებისა და ინტერპრეტაციის ნიცესეულ პრინციპს. სტატიის ერთ-ერთი ღირსება ისიცაა, რომ წარმოჩნდება ხელოვნებისა და ხელოვანის ფუნქცია რომანტიკულ ლიტერატურაში. ინგლისური რომანტიზმის ესთეტიკურ თეორიაში მკვეთრადაა უარყოფილი ხელოვნების ტრადიციული თვისება — ცხოვრების მიბაძვა — და ხელოვნება ფასობს, როგორც „პოეტის შინაგანი სამყაროს გამონათების საშუალება“ (გვ. 75). ავტორი წარმოაჩენს იმ პრინციპთა სხვაობასაც, რომელიც არსებობს ინგლისურ და ამერიკულ რომანტიზმს შორის.

გერმანულ რომანტიზმს ეძღვნება შორენა შამანაძის სტატია, რომლის ერთ-ერთ ღირსებას ისიც წარმოადგენს, რომ ავტორი ამ ლიტერატურული მიმართულების ტენდენციებზე, პრინციპებზე და ფილოსოფიურ საფუძველზე მსჯელობას თან ურთავს საინტერესო დეტალებს იქნისა თუ პაიდელბერგის წრის რომანტიკოსთა ცხოვრების წესის შესახებ, ახასიათებს იქნის წრის ქალბატონებს, რომელთაც განსაკუთრებული როლი ითამაშეს გერმანული რომანტიზმის განვითარებაზე და გავლენაც მოახდინეს მამაკაც რომანტიკოსებზე. ავტორი საგანგებოდ ამახვილებს ყურადღებას რომანტიკულ იუმორზე, გროტესკსა და ირონიაზე, როგორც რომანტიკული სატირის კომპონენტებზე; ფრაგმენტზე, როგორც განსაკუთრებულ ლიტერატურულ ფორმაზე; და ზღაპარზე, რომელთა უანრობრივი განვითარება და დახვეწა სწორედ გერმანული რომანტიზმის დამსახურებაა. საყურადღებოა დასკვნაც, რომ „გერმანული პოსტმოდერნისტული მწერლობის ძირითადი პოეტოლოგიური საფუძველი სწორედ გერმანული რომანტიზმია“ (გვ. 122), რაც იძლევა იმის მყარ საფუძველს, რომ რომანტიზმა ბევრ შემდგომ თეორიასა და მიმდინარეობას დაუდო სათავე.

იტალიურ რომანტიზმს მკვლევარი თამარ კოშორიძე ახასიათებს როგორც კლასიციზმისა და რომანტიზმის ერთგვარ სიმბიოზს, რომლის „იდეოლოგიის“ განუყოფელი ნაწილი ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა და რელიგიური მსოფლშეგრძნებაა. მას ახასიათებს მხატვრული გამოხატვის სიმძიმე, რაც ტრადიციებისადმი ერთგულებით აიხსნება. ვფიქრობთ, იტალიური და ქართული რომანტიზმი გარკვეულწილად ემსგავსება ერთმანეთს, რაც ამ ქვეყნებში არსებული პოლიტიკური სიტუაციით უნდა აიხსნას და არა ლიტერატურული გავლენით. ამ მხრივ საინტერესო იქნებოდა ქართული და იტალიური რომანტიზმის შეპირისპირება.

მერი ტიტვინიძის მიერ მოკლედ და სქემატურად არის წარმოდგენილი ესპანური რომანტიზმის თავისებურება — ეროვნული ხელოვნებისა და ტრადიციების აღორძინება — და წარმოჩნდილია 1830-იანი წლებიდან 1860-იან წლებამდე (ანუ რომანტიზმის ხანაში) მოღვაწე ესპანელი მწერლები და მათი შემოქმედება.

თამარ ციციმელის ვრცელი და საინტერესო ნაშრომი ცალ-ცალკე წარმოგვიდგენს რუსულ და პოლონურ რომანტიზმს. რუსული რომანტიზმის შესწავლით ადვილად ასახსნელი ხდება ის პროცესები, რომლებიც ქართულ სინამდვილეშიც მიმდინარეობდა. მხედველობაში გვაქვს გადმოკეთება-მიბაძვით შექმნილი დამოუკიდებელი ორიგინალური ნაწარმოებები და უუკოვსკის ცნობილი სიტყვები — „მე თითქმის ყველაფერი ან სხვისი მაქვს, ან სხვის შესახებ და მაინც ეს ყველაფერი ჩემია“ (გვ. 161); აგრეთვე რომანტიკული მწერლობის პუშკინისეული ინტერპრეტაცია — მწერლობა, რომელმაც „კლასიკური“ ფორმები უარყო (გვ. 182). ავტორი რაც შეიძლება ამომწურავად ახასიათებს მთელ რუსულ რომანტიზმს და მის სახეცვლილებას დროსთან მიმართებაში. ავტორი გვაძლევს „ვალენ-როდიზმის“ ახსნასაც, რაც ასე დამახასიათებელი იყო მთელი პოლონური რომანტიკული ლიტერატურისათვის და ქართულ მწერლობაზეც კი იქნია გავლენა (იხ. ა. ჟ. წერეთელი, „ჩემი თავგადასავალი“), „ამ დროს გარეგნულად თითქოს მტერთან შეგუება ხდება, ემსახურები კიდევაც მას, თუმცა ამავდროულად მის წინააღმდეგ მოქმედებ“ (გვ. 211).

გაგა ლომიძე წარმოაჩენს XIX საუკუნის დასაწყისის იმ ისტორიულ მოვლენებს, რომლებიც გარკვეულ ზემოქმედებას ახდენს საქართველოს საზოგადოებრივ ცხოვრებასა და აზროვნებაზე. რომანტიკული მსოფლმხედველობის გასაზრებლად ავტორი გვთავაზობს ახსნას, თუ რატომ იქცა ნაპოლეონ ბონაპარტი რომანტიკოსებისათვის მითად, რომლის სიდიადესა და დაცემაშიც ისინი დიდ ისტორიულ დანიშნულებას ხედავდნენ, მის ბეჭდს კი

სამყაროს ბედს უკავშირებდნენ. ავტორი აღნიშნავს: „ძველი სჯულისკანონის“ მსხვრევი-სას განსაკუთრებულად საჭირო ხდება ორიენტირები, პიროვნებები, რომელთაც არ იციან რა არის დაეჭვება, მიზანსწრაფული და ნების მქონე ადამიანები, რომელთაც დაბრული მასა ერის გარკვეული აღმავლობის იმედს უკავშირებს. მათი მოღვაწეობის ობიექტური შეფასება არ არსებობს — არსებობს მხოლოდ სუბიექტური, რომელთა მიხედვითაც ეს პიროვნებები რეალურ თვისებებს კარგავენ“ (გვ. 218). ავტორი აღარ აკონკრეტებს, რომ ასეთი პიროვნება ნაპოლეონთან ერთად ქართველი რომანტიკოსებისათვის ერეკლე მეორეა.

უალრესად საინტერესოა ქეთევან ელაშვილის სტატიაში — „სიმბოლო ქართულ და ევროპულ რომანტიზმში“ — გაბნეული მიგნებები და დასკვნები. ქართველი რომანტიკოსების სახისმეტყველებითი აზროვნების გათვალისწინების გარეშე შეუძლებელია მათი შემოქმედების სწორი მიმართულებით კვლევა. ავტორი მათ შემოქმედებაში არსებული სიმბოლოების ანალიზით გვთავაზობს გასაღებს და თანაც ქართველ რომანტიკოსთა შემოქმედების ისეთ ნიუანსებზე ამახვილებს ყურადღებას, რომლებიც სპეციფიკურია თი-თოეული მათგანისათვის.

ზაზა აბზიანიძის „პორტრეტები“ ორი კუთხით წარმოგვიდგენს ქართველ რომანტიკოსებს: შინაურული (რომელიც დეტალებში მჟღავნდება — ზედმეტსახელში, ოჯახურ წერილმანსა თუ რაიმე ახირებულობაში — და ძალზე საჭიროა პიროვნების ხასიათი, შემდეგ კი ქცევისა და აზროვნების აღსაქმელად) და შემოქმედებითი, რომელიც განსზღვრავს ლიტერატურული ნაწარმოების დაბადების განმაპირობებელ ფაქტორებს.

დამაფიქტრებლად უდერს მერაბ ლალანიძის აზრი, რომ ბარათაშვილის ლექსის — „საფლავი მეფისა ირაკლისას“ — მიხედვით, „სამშვიდობო მოქალაქის“ მიერ ქვეყნის არა ხმლითა და ძალით მართვაში იგულისხმება, „სამოქალაქო საზოგადოების მშენებლობის“ მოლოდინი, „როცა ყველა უთანხმოება საყოველთაო კანონის, წესდების, ხელშეკრულების საფუძველზე წყდება და არა ცემა-ტყეპითა და მუშტი-კრივით, როცა ყველა მოუგვარებელი საკითხი ბიუროკრატიულ-საკანონმდებლო მაგიდასთან გვარდება, თუნდაც უთვალავი ზედმეტი და გამაღიზიანებელი ქაღალდით გადაჭედილ მაგიდასთან, ოღონდ არა ხელჩართული ბრძოლის ველზე“ (გვ 320). შინაური ცხოვრების მოწყობის ამგვარ გზას უკვე ადგა ევროპა და ბართაშვილსაც რუსეთი იმ ხიდად მიაჩნდა, რომელიც საქართველოს ევროპული განათლებისა და სულიერი ცხოვრებისაკენ გაუქსნიდა გზას (გვ. 322).

მაია ჯალიაშვილი ახასიათებს ქართულ რომანტიკულ პროზას, ყურადღებას ამახვილებს იმ ძირითად პრინციპებზე, რომლებიც დამახასიათებელია ზოგადად ამ მიმდინარეობის ლიტერატურისათვის, მსჯელობს იმ თემატიკაზე, რითაც საზრდოობს ქართული პროზა და 1832 წლის შეთქმულებას მიიჩნევს „პოლიტიკური რომანტიზმის“ ნიშანსვეტად.

ქეთევან ნინიძენარმოაჩენს საქართველოშილიტერატურული სალონების განვითარების სხვადასხვა ეტაპს: როდესაც სალონს, იმპერიულ პოლიტიკასთან დაპირისპირებულს, პერიოდული გამოცემების არარსებობის დროს სასიცოცხლო მნიშვნელობა ჰქონდა; და როდესაც სალონი იმპერიული კულტურული პოლიტიკის დროს ამ პოლიტიკის ორგანულ ნაწილად ყალიბდებოდა. ავტორი ქართულ სალონებში ხედავს ევროპული რომანტიკული სალონის ცალკეულ ნიშნებს, მაგრამ აღნიშნავს, რომ ამ მოვლენას ჩვენში მიმბაძველობითი ხასიათი ჰქონდა, მისი გამოვლინება ფრაგმენტული ხასიათისა იყო და მკვეთრი სახე ვერ მიიღო (გვ. 368).

ნიგნს ერთვის 268 ერთეულით წარმოდგენილი ბიბლიოგრაფია.

თამარ შარაბიძე

## ამაგდარნი

ზაზა აბზიანიძე

### გამოთხოვება ვახტანგ როდონაიასთან



1-ლი დეკემბრის მზიან დღეს სიონის ტაძარში შეკრებილი მრავალრიცხვანი საზოგადოება ეთხოვებოდა ვახტანგ როდონაიას — ადამიანს, რომლის ნახევარსაუკუნოვანმა მსახურებამ თავისი კვალი დაამჩნია ქართულ სიტყვიერებას, ხოლო ინტელექტუალურ და რაინდულ თვისებათა იშვიათმა ნაზავმა — მთელ მის იერს, შინაგანსა თუ გარეგნულს; იმ იერს, რომლის გაუნელებელი ხიბლიც პატარა დღესასწაულად აქცევდა მის გაცნობას, ხოლო — ინტელექტუალურ ბედნიერებად — მასთან მეგობრობას...

ჯერ კიდევ თბილისის უნივერსიტეტში სწავლისას თანაკურსელთათვის „ვატა“ როდონაია იყო პირუთვნელი მსაჯული მათი პირველი შემოქმედებითი ნაბიჯებისა. რა მკაცრიც არ უნდა ყოფილიყო მისი განსჯა, არცერთი განხიბლული ახალბედა არ ეურჩებოდა მის „განაჩენს“. უთუოდ გრძნობდა, როგორი აბსოლუტური ლიტერატურული სმენა, როგორი უშურველობა, როგორი პასუხისმგებლობა და ზნეობრივი მუხტი ასაზრდოებდა ამგვარ გულწრფელობას. ეს საშური თვისებები ვატას მთელი ცხოვრების მანძილზე გაჰყვა და მრავალი თანამოაზრე და მადლიერი თაყვანისმცემელი შესძინა; აქა-იქ, შესაძლოა, მტერიც. მაგრამ, მისდა საქებრად, ვატა არასდროს ეძებდა საყოველთაო ალიარებას — იგი განასახიერებდა იმ იშვიათ ტიპს ადამიანისა, რომელიც შეგნებულად გაურბის გაჩირალდნებულ ავანსცენას და განაპირების მყუდრო ჩრდილქვეშ, წლობით, თავმოდრეებითა და რუდუნებით აკეთებს თავისი ცხოვრების მთავარ საქმეს...

დღევანდელი გადასახედიდან ეს „მთავარი საქმე“ განმანათლებლობა იყო. ოლონდ ამ სიტყვის უფრო ძველბერძნული გაგებით: როდესაც უნივერსალურად განსწავლული ადამიანისთვის მისი ცოდნის, ეთიკური თუ ესთეტიკური მსოფლალების გაზიარება ერთგულ შეგირდთა (სტუდენტთა) აუდიტორიისათვის თუ შემთხვევით მსმენელთათვის იმდენად ღირებულია, ისეთ ინტელექტუალურ ძალისხმევას მოითხოვს, რომ ამ უკიდეგანო ერუდიციისა და სიღრმისეულ წვდომათა ქაღალდზე გადატანისათვის ზოგჯერ აღარც დრო რჩება და აღარც ძალა.... ამით აიხსნება ვატას ესეისტური მემკვიდრეობის მოკრძალებული მოცულობა თუ იმ „თვითუკმარისობის სენით“, რომლითაც ზოგჯერ „ავადდებიან“ სრულყოფილების იდეალით შეპყრობილი შემოქმედი, ძნელი სათქმელია...

ვატას „რაოდენობის ხარისხში გადასვლისა“ არ სჯეროდა და უმკაცრესი რედაქტორის თვალით გარანდა ის ლიტერატურულ-ისტორიული წერილები, რომლებიც ღირსად ჩათვალა ქართულ პერიოდიკაში გამოსაქვეყნებლად. თუკი ეს პუბლიკაციები წიგნად მოიყრის თავს, დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ დღევანდელი მკითხველი XX ს. ბოლოსა და XXI ს. დასაწყისის ქართული ესეისტიკის დახვენილ ნიმუშებს იხილავს. ამ მომავალი კრებულის ერთგვარ „ლერძად“ აღიქმება სტატია — „თხუთმეტსაუკუნოვანი ლიტერატურა“, რომელიც დღესაც ისეთივე ინტერესით იკითხება, როგორც პირველი გამოქვეყნებისას, უურნალ „XX საუკუნეში“. განსაკუთრებით ნაყოფიერი თანამშრომლობა აკავშირებდა ვახტანგს უურნალთან „ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში“ (1988 წლიდან — „ბაბლავერი“, რომლის რედაქტორის — თამაზ კვაჭანტირაძის მოადგილეც გახლდათ). აქ გამოქვეყნდა მისი ნატიფი ისტორიულ-ლიტერატურული ესეები: „იკორთა“, „ნინონმინდა“ (ტაძრისა და ლეონიძისეული ლექსის „პარალელური ბიოგრაფიებით“); „ბეთანია“, „რკონი“; 1988 წლით დათარილებული „მხნედ მიითვალვიდა მახვილსა“, რომელშიც მკითხველს გამძაფრებულ ეროვნულ სატკივართა ფონზე ახლებურად წააკითხა იოანე საბანისძის უკვდავი ნანარმოები.

ვატა, ისევე როგორც ნებისმიერი ჩვენგანი, განურჩეველი ვერ დარჩებოდა მის თვალინი დატრიალებული საზოგადოებრივი ვწებათალელვებისადმი, მაგრამ მის მეგობრებს კარგად ახსოვთ, როგორ აწონასწორებდა მისი ფილოსოფიური სიდინჯე — ერთთა მალემრნმენობას, ხოლო ირონია — მეორეთა პოლიტიკურ ამბიციებსა და კატეგორიულობას (თავად ვატა „მარადიული უპარტიო“ იყო). ასეთივე გაწონასწორებული ჩანდა ვატა ოჯახურ წრეში, სადაც ცხოვრების ერთგული თანამგზავრი — მანანა და სამი უსათნოესი ქალიშვილი უმშვერებდნენ გვერდს და სადაც სულიერი თანაზიარობისა და ურთიერთპატივისცემის სული სუფევდა.

გადიოდა წლები, ვატას აუდიოტორია კვლავინდებურად მისი განსწავლულობით, იუმორითა და ზეპირი ნოველებით მოხიბლული მსმენელებისაგან შედგებოდა. ოღონდ, თანშეზრდილ მეგობრებს მათი შვილები ენაცვლებოდნენ, მონაფეებს კი — სტუდენტები. თეატრალურ ინსტიტუტში, სადაც ვახტანგი გელა კანდელაკისა და კოტე ჯანდიერის თხოვნით მიინვიეს, დღემდე ახსოვთ მისი განუმეორებელი ლექციები... გელა კანდელაკ-თან მეგობრობას, როგორც ჩანს, თავიდანვე ძლიერი შემოქმედებითი მუხტი ასაზრდოებდა და შემთხვევითი არ იყო, რომ ამ რეჟისორმა თავისი მომავალი კინემატოგრაფიული შედევრის — „სოფლის“ სცენარის თანავტორობა სწორედ ვატას შესთავაზა (მათი ერთობლივი სცენარითაა გადაღებული კანდელაკისავე ფილმი „ფიქრი“).

ასეთივე სულგანაბული მსმენელები დახვდნენ ვატას ქართული საეკლესიო გალობისა და ხალხური სიმღერის უმაღლეს სასწავლებელში, სადაც იგი ქართული მრავალხმიანობის ამაგდარმა — აზორ ერქომაიშვილმა მიინვია. სახელოვანი ლოტბარი ამ დროისათვის საშვილიშვილო საქმეს ახორციელებდა: მსოფლიოში გაბნეულ ქართული ხალხური სიმღერების უცნობ ფონოჩანანერებს აგროვებდა. ერთობლივი თანამშრომლობა აქაც შედგა — უნიკალური ფონოჩანანერების ალბომზე თანდართული ტექსტის შედგენისას. ნებისმიერი მსმენელისა და მკითხველისათვის ეს ძვირფასი გამოცემა ქართული ვოკალური გენის უტყუარი დასტურია. მაგრამ ვინც კი შესწრებია აზზორ ერქომაიშვილისა და ვახტანგ როდონაიას თავდადებული მუშაობის პროცესს, ყველაფერთან ერთად, ამ ალბომს მათი ღირსეული ქართველობისა და მეგობრობის სიმბოლოდაც აღიქვამს.

გასული საუკუნის დასასრულიდან, ვატას კიდევ ერთ ტალანტს მიეცა ასპარეზი. ეს ტალანტი ისევ და ისევ, „განმანათლებლობის“ სფეროდან იყო, ოღონდ ამჯერად უკვე ამ სიტყვის უფრო საგნობრივი მნიშვნელობით: მან უხელმძღვანელა პროფესიონალ ფილოლოგთა ჯგუფს, რომელთაც ფასდაუდებელი სამსახური გაუწიეს ქართულ სკოლას — შექმნეს თვისობრივად ახალი, საბჭოური კლიშეებისაგან თავისუფალი, მოსწავლისა და მასწავლებლის ერთობლივ ინტერესებზე გათვლილი სახელმძღვანელოები ქართულ ენასა და ლიტერატურაში.

ეს წიგნები იმდენად პოპულარული გახდა, რომ ვატას მეგობრები ახლა უკვე მასზე ხუმრიბდნენ: „ბავშვმაც კი იცის, ვინ არის ვატა!“ და აღარავის აკვირვებდა წიგნის მაღაზიაში გაგონილი: „ორი როდონაია მომაწოდეთ!“

თავად „როდონაია“ — ერთადერთი და უცვლელად მიმზიდველი — დადიოდა იერ-შეცვლილ ქალაქში, სადაც ქუჩაში სულ უფრო და უფრო იშვიათად ხვდებოდნენ ძველი ნაცნობ-მეგობრები; ის მონაფეები კი, სასკოლო ზურგჩანთები სწორედ „როდონაიას წიგნებით“ რომ ჰქონდათ დამძიმებული, სახეზე ვერ ცნობდნენ თავიანთ დამკვალიანებელს და უკანმოუხედავად ჩაურბენდნენ ეშმაკურად მომლიმარ უცნობს...

ვახტანგი კვლავინდებურად ერიდებოდა ხალხმრავალ დარბაზებს, ტელევიზიის კამერებს, მისკენ მომართულ ფოტოობიექტივებს და, საფიქრებელია, რომ მისი მიზე-ზით შეკრებილი ერთადერთი ხალხმრავლობა, სადაც იგი მშვიდად განისვენებდა, სიონის ტაძარში მასთან უკანასკნელი გამოთხოვება იყო....

## ბედი და მოვალეობა

რევაზ სირაძე — ამ სახელს სიამაყითა და სისარულით წარმოვთქვამდით. იყო ამაში რაღაცნა-ირი პათეტიკა და რომანტიკული სინრიფელე, რასაც ალბათ მისი ხასიათიც განაპირობებდა. აზროვნების დიალექტიკური მანერა და ადა-მიანებთან ურთიერთობის დემოკრატიული წესი თავისთავადობის ნიშნით გამოარჩევდა.

მისმა ნაადრევმა, ძალზე მოულოდნელმა წასვლამ ერთბაშად დააცარიელა სივრცე, რომელიც მის მიერ იყო შექმნილი ჩვენთვის, ჩვენი კულტურული საზოგადოებისთვის. ეს იყო სივრცე, სადაც მთელი სისავსით შეიგრძნობდი აზროვნების, სიცოცხლის, თავისუფლების ყადრს.

მან თამამად მონიშნა თავისი დრო ქართულ ფილოლოგიაში. სააზროვნო ასპარეზზე გამოჩნდა იმ დროს, როდესაც ელოდნენ. ეს იყო ბედიც და მოვალეობაც. უდრტვინველად და, თუ გადაჭარბებულად არ ჩამეთვლება, ცხებულის თავდაჯერებით იტვირთა გზის გამკვალავისა და დამფუძნებლის შრომათა სიმძიმე.

მხოლოდ მას შეეძლო შეექმნა ისეთი ესთეტიკური წანამძღვრები, რომელიც ძველ ქართულ ლიტერატურულ აზროვნებას სისტემურად დაალაგებდა.

მან შეძლო ისტორიულ-ლიტერატურული მასალის განზოგადების შედეგად მიღებული აზრის ობიექტივაცია და „კანონიკურ“ ფორმებად ჩამოყალიბება.

შექმნა აზროვნების ნათელი, ღია სტილი, რომლისთვისაც შეგვეძლო ანალიზის ახალი ენა დაგვერქმია.

ახალ ენასთან ერთად ახალი ლოგიკაც შემოიტანა. სხვაგვარად არც შეიძლებოდა, რადგან ფილოლოგიური მასალის მანამდე უცნობი, ხელუხლებელი შრეები გახსნა და ნათელი მოჰყვინა, რაც თავისთავად ნიშნავდა სისტემური აზროვნების დამკვიდრებას ესთეტიკური კვლევის პრაქტიკაში. აქედან გამომდინარე, ლიტერატურის ისტორია თვითშემცნების ფორმად წარმოადგინა და შიგნიდან, შიგა სტრუქტურიდან დაგვანახვა განვითარების პროცესი.

საგულისხმოა ისიც, რომ რევაზ სირაძემ აღიარა ძველი ლიტერატურის ავტორთა ეთიკური და ადამიანური ავტონომიურობა და შეგვახსენა, რომ ისინი შექმნილი არიან სისხლისა და ხორცისგან, სუნთქავენ ჰაერით, მოძრაობენ და არსებობენ არა მარტო იდეების, არამედ მყოფობისა და სიცოცხლის ველში.

მან დაამიტკიცა, რომ ჭეშმარიტების წვდომას, გონებასა და ინტუიციასთან ერთად, ფანტაზიაც სჭირდება.



ბუნებით რაციონალისტი იყო და ირაციონალიზმის იდეას იცავდა ყველანაირად. ამით თავის თავში გააერთიანა ემპირისტი და ლირიკოსი.

ღრმა და ინტენსიური აზროვნების შედეგი იყო მისი ცხოვრების სტილი — დინამიკური, ლალი, თავისუფალი.

ადამიანური ურთიერთობები უმაღლეს ეგზისტენციურ კატეგორიად მიაჩინდა. იცხოვრა გულის პრინციპით, მშვენიერების, რწმენისა და სიყვარულის კარნაზით. უყვარდა სიცოცხლე და უყვარდა მოყვასი თავისი, როგორც არსებობის ძალის აღიარება.

სამწუხაროა, რომ ყველაფერში სისრულისა და მთლიანობის მომხრეს წუთისოფელი უკმარი შეხვდა და ტკივილად დაგვიტოვა თავისი ლამაზი სიცოცხლის მძიმე, ტრაგიკული ნონ-ფინიტო.

## ახალი წიგნები

შოთა რუსთაველი. ვეფხისტყაოსანი  
კიევი: „АДЕФ-Украина“, 2012




„ვეფხისტყაოსნის“ ვახტანგისეული გამოცემის 300 წლისთავის აღსანიშნავად საგამომცემლო სახლმა „АДЕФ-Украина“ მოამზადა შოთა რუსთველის „ვეფხისტყაოსნის“ ორქოვანი გამოცემა — ქართულ და უკრაინულ ენებზე. ამ შემოქმედებითი ჩანაფიქრის განხორციელება შესაძლებელი გახდა კომპარატივისტული ლიტერატურის ქართული ასოციაცია GCLA-ს მეცნიერთა, შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტისა და უკრაინის მეცნიერებათა აკადემიის უკრაინული ენის ინსტიტუტის ერთობლივი მუშაობის შედეგად.

პროექტის ქართული ნაწილი არის „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის 1966 წლის გამოცემა (რედ. ა. შანიძე, ა. ბარამიძე), უკრაინული — ცნობილი უკრაინელი პოეტისა და მთარგმნელის, მიკოლა ბაჟანის თარგმანი. გამოცემაში გამოყენებულია ცნობილი ქართველი მხატვრის სერგო ქობულაძის ილუსტრაციები, რომლებიც 1935-37 წლებში შეიქმნა „ვეფხისტყაოსნის“ 750 წლის იუბილესთან დაკავშირებით.

დღეს, როცა ერთა შორის კომუნიკაციაში პოლიტიკურ-ეკონომიკურ ფაქტორთან ერთად კულტურულ-ლიტერატურულ კონტაქტებსაც ერთ-ერთი მნიშვნელოვანი როლი განეკუთვნება, ახალი, ბილინგვური გამოცემით კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ფურცელი ჩაინიერება უკრაინელი და ქართველი ხალხის, ან უკვე 21-ე საუკუნის თაობის, მრავალწლიანი მეგობრობის მატიანეში.

ლიტერატურის ინსტიტუტის გზამკვლევი  
იაკობ ცურტაველის „შუშანიკის წამება“ და ადრექტისტიანული  
ჰულტურა  
თბილისი: ლიტერატურის ინსტიტუტის გამომცემლობა, 2012



წინამდებარე გამოცემა შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის ახალდაარსებული სერია „გზამკვლევის“ მეორე წიგნია, რომელშიც წარმოდგენილია V საუკუნის ავტორის, იაკობ ცურტაველის, თხზულებასთან დაკავშირებული პრობლემატიკა.

კრებული იხსნება ამონარიდებით (Fragmentum) გამოჩენილ მეცნიერთა ნაშრომებიდან. წარმოდგენილია „შუშანიკის წამების“ ფილოლოგიური და წყაროთმცოდნეობითი შესწავლის ისტორია, აგრეთვე, სხვადასხვა თაობის ქართველ ლიტერატურათმცოდნებითა უახლესი

გამოკვლევები, რომლებიც ისტორიულ-ფილოლოგიური თუ სახისმეტყველებითი კვლევის ტრადიციების გათვალისწინებით თანამედროვე რეცეფციებს გვთავაზობს. „შუშანიკის წამება“ განხილულია ადრექრისტიანულ კულტუროლოგიურ ჭრილში, შესაბამისი ეპოქის პოლიტიკურ-იდეოლოგიური და ისტორიულ-ლიტერატურული კონტექსტის გათვალისწინებით. კრებულში იძექდება „შუშანიკის წამების“ ტექსტი და სომხური ვრცელი რედაქციის ილია აბულაძისეული ქართული თარგმანი, რომელიც უკანასკნელად 1978 წელს გამოიცა. კრებულს ერთვის ბიბლიოგრაფია ქართულ და უცხოურ ენბზე (ტექსტის ძირითადი მეცნიერული გამოცემები და ლიტერატურა „შუშანიკის წამების“ შესახებ).

წარმოდგენილი სამეცნიერო ნაშრომები საგანგებოდ ამ კრებულისთვის დაიწერა. წიგნი განკუთვნილია მკითხველთა ფართო წრისათვის და, განსაკუთრებით, ახალგაზრდობისათვის. ავტორთა სურვილია, XXI საუკუნის ქართველ მკითხველს გაუღვივონ ინტერესი ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობისადმი, წარმოაჩინონ V საუკუნეში შექმნილი ამ შესანიშნავი ჰა-გიოგრაფიული ძეგლის ადგილი მის თანამედროვე თუ დღევანდელ მსოფლიო კულტურულ-ლიტერატურულ კონტექსტში.

**XVI-XVIII საუკუნეების ქართული ლიტერატურა  
ალმოსავლური და დასავლური კულტურულ-ლიტერატურული  
პროცესების გზაშესაყარზე  
თბილის: ლიტერატურის ინსტიტუტის გამომცემლობა, 2012**



წიგნი წარმოადგენს ქართული ლიტერატურის ისტორიისათვის საეტაპო მნიშვნელობის მქონე ეპოქის, XVI-XVIII საუკუნეების ქართული მნერლობის, გააზრობის მცდელობას ახალრაკურსში — კულტურათაშორისი დიალოგის, კონცეპტუალური, სტრუქტურული და სტილისტური გადაკვეთებისა და წინააღმდეგობების ჭრილში. მეცნიერთა ჯგუფის მიერ ჩატარებული კვლევები ეფუძნება შესაბამისი ისტორიული, ესთეტიკური, იდეოლოგიური და რელიგიური კონტექსტის მონაცემებს, მეთოდოლოგიურ ჩარჩოდ კი განსაზღვრულია ინტერდისციპლინური, ინტერკულტურული და კომპარატივისტული, აგრეთვე, ჰერმენევტიკული და ნარატოლოგიური კვლევები. წიგნში გამოკვეთილია არაერთი მნიშვნელოვანი პრობლემა: როგორია XVI-XVIII საუკუნეების პოლიკულტურული კონტექსტი; როგორ ყალიბდება ამ კონტექსტში ახალი დროის ქართული იდენტობა; რა გავლენას ახდენს მიმდინარე გეოპოლიტიკური და გეოკულტურული ცვლილებები ქართულ კულტურულ რეალობაზე; რა კონცეპტუალურ და პოეტიკურ ტენდენციებს გვთავაზობს ამ ეპოქის ქართული ლიტერატურა; იძლევათუ არა ქართულ-ალმოსავლური და ქართულ-დასავლური ლიტერატურების შედარებითი ტიპოლოგიური კვლევის გაღრმავების შესაძლებლობას არა მხოლოდ თემატური, ფაბულური ან ლექსიკური, არამედ ფართო ჟანრული და სტილისტური ანალოგიებისა და განსხვავებების ძიება, დადგენა და დასაბუთება; რატომ და როგორ ინაცვლებს ქართული ლიტერატურა აღმოსავლური კულტურული სიბრტყიდან დასავლურისაკენ და როგორ აისახება ეს გადანაცვლება პოეტიკურ სისტემაზე.

მონიშნული პრობლემატიკის კვლევისას მეცნიერთა ინტერესის სფეროში შემოვიდა უმნიშვნელოვანების ტექსტები, აგრეთვე, ქართველ მნერალთა და საზოგადო მოღვაწეთა დიდი ჯგუფი, რომელთა შემოქმედებამაც რეფორმატორული მნიშვნელობა იქონია ქართული ლიტერატურის ისტორიაში.

ნიგნი მომზადდა შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის საგამომცემლო პროგრამის — „ქართული მწერლობა. პერიოდები და მიმართულებანი“ — ფარგლებში, შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მხარდაჭერით.

**ქართული რომანტიზმი — ნაციონალური და ინტერნაციონალური  
საზღვრები**  
თბილისი: „საარი“, 2012



ნიგნის ავტორთა უმთავრესი მიზანია თანამედროვე მკითხველს თვალნათლივ წარმოუჩინონ ქართული რომანტიზმის ადგილი XIX საუკუნის მსოფლიო ლიტერატურულ რუკაზე. ამ მიზანს ემსახურება რომანტიზმის ფილოსოფიის სილრმისეული ძირების (ანტიკური ეპოქი-დან XVIII საუკუნემდე) კვლევა, რასაც ლოგიკურად განაგრძობს სათაურშივე გაცხადებული ინტერნაციონალური საზღვრების „დემარკაცია“, მიღწეული ორი საუკუნის დისტანციიდან დასავლეთ ევროპისა თუ ამერიკის საკულტო ფიგურებად ქცეული რომანტიკოსების შემოქმედებასთან, მათ ლიტერატურულ გარემოცვასთან, რომანტიზმის ეპოქის კულტურასთან მიბრუნებით.

იდეა სამეცნიერო კრებულის შექმნისა, რომელშიც ქართული რომანტიზმის იმანერობური თუ ტიპოლოგიური ტენდენციები ერთ სიბრტყეში იქნებოდა განხილული, შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტში იშვა და განხორციელდა. „ქართული რომანტიზმი“ არის პირველი კრებული იმ სამეცნიერო პროექტის ფარგლებში („ქართული მწერლობა. პერიოდები და მიმართულებანი“), რომელიც, საზოგადოდ, ქართული მწერლობის პერიოდებისა და მიმართულებების კვლევას ისახავს მიზნად.


**ლიტერატურათმცოდნეობის შესავალი**  
თბილისი: GCLAPress, 2012



ნიგნი ეთმობა ლიტერატურისმცოდნეობის საბაზისო ცნებების ანალიზს თანამედროვე მოსაზრებებისა და თეორიული მიდგომების გამოყენებით.

საბჭოთა ეპიკში გამოცემული სახელმძღვანელოები, განიცდიდა რა საბჭოთა იდეოლოგი-ისა და პოეტიკის კანონების ზეგავლენას, ველარ აკმაყოფილებდა თანამედროვე მოთხოვნებს. ამასთან, ლიტერატურისმცოდნეობის მეცნიერებამ განიცადა მნიშვნელოვანი მეთოდოლოგიური ცვლილებანი, რომელთა ასახვაც შეუძლებელი იყო ძველი ტიპის სახელმძღვანელოები. სწორედ ამ უკმარისობის ამოვსების მცდელობაა წინამდებარე გამოცემა, შესაბამისად, ავტორთა კოლექტივის ეს ნაშრომი განსაზღვრულია, პირველ ყოვლისა, ჰუმანიტარული პროფილის სტუდენტებისთვის სწავლების ყველა საფეხურზე, ამასთანავე კი ლიტერატურისა და ლიტერატურისმცოდნეობის პრობლემებით დაინტერესებული ფართო მკითხველისათვის.

**კვლევის 70-წლიანი ისტორია  
შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის  
გამოცემათა პიბლიოგრაფია (1935–2011 წწ.)  
თბილისი: ლიტერატურის ინსტიტუტის გამომცემლობა, 2012**




შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი საქართველოში ერთ-ერთი ტრადიციული და ავტორიტეტული სამეცნიერო-კვლევითი ცენტრია. მისი არსებობის ისტორია სამოცდაათ წელს ითვლის. მთელი ამ ხნის განმავლობაში ინსტიტუტი ერთგულად და მიზანმიმართულად ემსახურება ეროვნული ლიტერატურისა და ფოლკლორული მემკვიდრეობის კვლევასა და პოპულარიზაციას როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის ფარგლებს გარეთ.

ლიტერატურის ინსტიტუტის მუშაობის უმნიშვნელოვანეს სფეროს საგამომცემლო საქმიანობა წარმოადგენს: 1942 წლიდან დღემდე ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელთა თავ-დაუზოგავი შრომის შედეგად არაერთი სამეცნიერო ჟურნალი, კრებული, სახელმძღვანელო, მონოგრაფია თუ აკადემიური ტომეული დაიბეჭდა. 2012 წელს შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის 70 წლის იუბილესთან დაკავშირებით მომზადდა გამოცემათა პიბლიოგრაფია, რომელიც შეიცავს ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის მიერ 1935–2011 წლებში დაბეჭდილი სამეცნიერო პროდუქციის აღნერილობას.

ბიბლიოგრაფიაში შეტანილია ინსტიტუტის გრიფით ქართულ ენაზე დასტამბული წიგნები, პერიოდული გამოცემები, კრებულები, სესიების, კონფერენციებისა და საერთაშორისო სიმპოზიუმების მასალები (არ არის წარმოდგენილი თეზისები და ავტორეფერატები მათი სიმრავლისა და არასარული რაოდენობის გამო).

ბიბლიოგრაფიაში შედგება ხუთი განყოფილებისაგან: I. მონოგრაფიული გამოცემები (საავტორო გამოცემები, მონოგრაფიები, წიგნები, ბროშურები); II. პერიოდული გამოცემები (ინსტიტუტის ბაზაზე გამომავალი პერიოდული ჟურნალები) და სამეცნიერო კრებულები; III. პუბლიკაციები (ქართველ მწერლთა აკადემიური გამოცემები); IV. სამეცნიერო სესიების, კონფერენციებისა და სიმპოზიუმების მასალები (ინსტიტუტის მიერ ორგანიზებული ყოველწლიური სამეცნიერო ფორუმების შედეგები); V. გამოცემას თან ერთა საძიებელი.

**მაკა ჯოხაძე. ჩემი დავით კლდიაშვილი  
თბილისი: „არტანუჯი“, 2012**




დიდი მწერლის შემოქმედება ყველა დროში აქტიური განსჯის საგანია. ინერება ბიოგრაფიული რომანები, სამეცნიერო გამოკვლევები, ლიტერატურული პორტრეტები — ყველა ცდილობს თავისებურად დაინახოს და წაიკითხოს კლასიკად ქცეული შემოქმედის მემკვიდრეობა.

„ჩემი დავით კლდიაშვილი“ — ამ სათაურით გამხელილია ის უშუალობა და ინტიმი, რომლითაც მწერალი და ლიტერატორი მაკა ჯოხაძე შედის დავით კლდიაშვილის სამყაროში და მის


პერსონაჟებზე დაკვირვებით ცდილობს ამოხსნას როგორც კონკრეტული ქვეყნისა და ეპოქის, ისე ზოგადად ადამიანის მარადიული სატკივარი.

**ნანა გონჯილაშვილი. კვართის მიმრჩმელი ქალწული და მისი სახელი  
თბილისი: „ნეკერი“, 2011**



ნიგნში დასმულია საკითხი კვართის მიმრჩმელი ქალწულის, ელიოზ მცხეთელის დის სახელის, სიდონიას, წარმოშობის შესახებ. ამ მიზნით შესწავლილია “წმიდა ნინოს ცხოვრების” რედაქციები, ქართული და უცხოური წყაროები, ისტორიული თხზულებები, კედლის მხატვრობა, ხატნერისა და ჭედურობის ნიმუშები, ქართული საბეჭდავები, სამეცნიერო ლიტერატურა, რომლებშიც ქართლის მოქცევასთან დაკავშირებული პრობლემატიკა, უფლის კვართის ისტორია და მასთან დაკავშირებული საკითხებია განხილული. კვლევისა და ანალიზის შედეგად ნაშრომში გამოვლენილია საკითხთან დაკავშირებული სიახლენი, გამოტანილია შესაბამისი დასკვნები.

**კონსტანტინე ბრეგაძე  
გერმანული რომანტიზმი. ჰერმენევტიკული ცდანი  
თბილისი: „მერიდიანი“ 2012**



ნიგნში თავმოყრილია ავტორის მიერ ქართულ და გერმანულ სამეცნიერო უურნალებსა და კრებულებში უკანასკნელ პერიოდში გამოქვეყნებული სტატიები ნოვალისზე, ფრ. შლაიერმანეზე, ფრ. შლეეგელზე, კ.დ. ფრიდრიჩზე, ი.ვ. გოეთესა და გერმანული რომანტიზმის ფილოსოფიურ და ესოეტიკურ საკითხებზე.

მკითხველი ასევე იხილავს ნოვალისის “დამის ჰიმნების” ქართული თარგმანის მეორე შესწორებულ გამოცემას.

**ქეთევან ბეზარაშვილი  
ბიზანტიური და ძველი ქართული რიტორიკის თეორიისა და  
ლექსთნუობის საკითხები ანტიოქიური კოლოფონების მიხედვით:  
ეფრემ მცირე  
წიგნი I, წიგნი II, წიგნი III  
თბილისი: ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2012**



წიგნი წარმოადგენს სტატიათა კრებულს, რომელიც შესაძლებლობას მისცემს ბიზანტიური და ძველი ქართული ლიტერატურის საკითხებით დაინტერესებულ მკითხველს ეფრემ მცირის მთარგმნელობითი კონცეფციისა და პრაქტიკის ცალკეულ თავისებურებათა შესწავლის საფუძველზე თვალი გაადევნოს შუასაუკუნეების ბიზანტიურ-ქართულ სააზოვნო სივრცეში მიმდინარე პროცესებს.

წიგნი დაიბეჭდა ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროექტის ფარგლებში შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მხარდაჭერით.

**ვაჟა-ფშაველა 150  
თანამედროვე ინტერპრეტაციათა ცდანი  
თბილისი: თსუ გამომცემლობა, 2012**



კრებული წარმოადგენს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ვაჟა-ფშაველას კაბინეტში, დაწყებული მრავალპლანიანი მეცნიერული სამუშაოს გაგრძელებას, დიდი მწერლის ცხოვრებისა და შემოქმედების შემდგომი კვლევის მცდელობას. კრებულის მიზანია, სხვადასხვა ასპექტით წარმოაჩინოს ვაჟა-ფშაველას შემოქმედება და დაგვანახოს აზრთა სხვადასხვაობაც, რომელიც მის გარშემო არსებობს; უარი თქვას რომელიმე გაგების ერთადერთობაზე და სწორედ ამ გენიოსის მაგალითზე აღიაროს ნაწარმოებთა სხვადასხვაგვარი აღქმის, ერთი სინამდვილისადმი მრავალმხრივად მიღომის შესაძლებლობა.

**გრიგოლ რობაქიძე. დემონი და მითოსი  
გერმანულიდან თარგმნა მანანა კვატაიაშ  
თბილისი: „არტანუჯი“, 2012.**



ესეების კრებული „დემონი და მითოსი (ჯადოსნურ სურათთა რიგი)“ 1935 წელს დაიბეჭდა გერმანიაში, იოგენ დიდერიხსის გამომცემლობაში. კრებულს უძღვის გრიგოლ რობაქიძის „წინასიტყვა“, მას მოსდევს ესეები: „ნეფერტიტის თავი“, „თაურშიში და მითოსი“, „სიცოცხლის განცდა დასავლეთსა და აღმოსავლეთში“, „სტალინი, ვითარცა არიმანული ძალმოსილება“, „გრეტა გარბო, ვითარცა ზმანება დღევანდელობისა“. რობაქიძის „დემონისა და მითოსის“ სრული თარგმანი პირველად დაიბეჭდა „უცნობი გრიგოლ რობაქიძის“ სერიით.

**გრიგოლ რობაქიძე. პორტრეტები  
რუსულიდან თარგმნა მანანა კვატაიაშ  
თბილისი: „არტანუჯი“, 2012.**



1919 წელს თბილისში რუსულ ენაზე გამოიცა გრიგოლ რობაქიძის ესეების კრებული „პორტრეტები“, რომელიც დღეს ბიბლიოგრაფიული იშვიათობაა. წიგნში წარმოდგენილია ცნობილი რუსი მწერლებისა და მოაზროვნეების: პეტრე ჩიადაევის, მიხეილ ლერმონტოვის, ვასილი როზანოვის, ანდრე ბელის რობაქიძისეული ესეისტური პორტრეტები. წიგნის სრული თარგმანი „უცნობი გრიგოლ რობაქიძის სერიით“ პირველად დაიბეჭდა.

**გრიგოლ რობაქიძე. Pro domo sua.  
გერმანულიდან თარგმნა მანანა კვატაიამ.  
თბილისი: „არტანუჯი“, 2012.**



წიგნში წარმოდგენილია გრიგოლ რობაქიძის გერმანულ ენაზე დაწერილი უცნობი, კონცეპტუალური თხზულებების, „ჩემი განმარტებისა“ (1947) და „Pro domo sua“-ს (1962) ქართული თარგმანები. მათი ორიგინალები პირველად 2011 წელს გერმანიაში გამოქვეყნდა. წიგნში შეტანილია ასევე გრიგოლ რობაქიძის „გულნადები“, რომელიც „ჩემი განმარტების“ თანადროულადაა დაწერილი და ეხმიანება მას. სამივე ტექსტი ერთმანეთს აკსებს და ახლებურად წარმოადგენს გრიგოლ რობაქიძის არაორდინარულ ფენომენს. ტექსტების ქართული თარგმანი პირველად დაიბეჭდა „უცნობი გრიგოლ რობაქიძის“ სერიით.

**ქართული ხელნაწერი. V-XIX საუკუნეები  
თბილისი: ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, 2012**



წინამდებარე ალბომში წარმოდგენილია ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის ფონდებში (A, H, S, Q) დაცული V-XIX საუკუნეების ქართული ხელნაწერი წიგნები და უცხოეთის (სინის მთა, იერუსალიმის ბერძნული საპატრიარქო) ქართული კოლექციების ის ფოტოასლები, რომელთა გამოყენების უფლებასაც ფლობს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი. ალბომში შესული ადრშის ოთხთავის მხატვრული ასლი შესრულებულია ავტორთა მიერ შედგენილი აღნერილობებისა და მითითებების საფუძველზე. ყველა ეს ხელნაწერი თვალნათლივ ასახავს წიგნის, როგორც კულტურულ-ისტორიული ფენომენის, წარმოშობისა და განვითარების ისტორიას.

ალბომი შედგება ოთხი თავისაგან. მასში თავმოყრილ მასალას ახლავს ზოგადი შინაარსის საინფორმაციო ტექსტი და სათანადო ფოტონიმუშები ანოტაციების თანხლებით. ალბომს ერთვის ძირითადი ბიბლიოგრაფია.

ალბომი დაიბეჭდა რუსთაველის ეროვნული ფონდის მხარდაჭერით, პროექტის — „ქართული ხელნაწერი წიგნი (ვებ-გვერდის შექმნა)“ — საფუძველზე.


**წმინდა ეპიფანე კვიპრელი. ოთხმეოცთა წვალებათათვის  
გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და საძიებლები დაურთო  
სოსო მახარაძეობმა.  
თბილისი: თბილისის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის  
გამომცემლობა, 2012.**



წინამდებარე წიგნში პირველად ქვეყნდება IV საუკუნის ცნობილი საეკლესიო ღვთისმეტყველის, წმ. პიფანე კვიპრელის, უმნიშვნელოვანესი ანტიერეტიკული შრომის, „ანაკეფალაიოსისის“, ქართული თარგმანის ტექსტი, შესრულებული თეოფილე ხუცესმონაზონის მიერ.


წიგნში გაშუქებულია თეოფილე ხუცესმონაზონის ქართული თარგმანის რაობა და შედგენილობა. ბერძნულ დედანთან და სხვა ბერძნულ წყაროებთან შედარების საფუძველზე გარკვეულია „ანაკეფალაიოსის“ ტექსტის ისტორიის ზოგიერთი მხარე, რაც აქამდე უცნობი იყო ბიზანტიოლოგიაში. წიგნში ქართული ტექსტის ლექსიკური და ენობრივ-სტილური ანალიზის საფუძველზე განხილულია თეოფილე ხუცესმონაზონის მთარგმნელობითი მეთოდის თავისებურებანი.

**VI საერთაშორისო სიმპოზიუმის - ლიტერატურათმცოდნეობის  
თანამედროვე პრობლემები — მასალები. წიგნი I, წიგნი II  
შუა საუკუნეების ლიტერატურული პროცესი. საქართველო,  
ევროპა, აზია  
თბილისი: ლიტერატურის ინსტიტუტის გამომცემლობა, 2012**



კრებულში წარმოდგენილია მასალები 2012 წლის სექტემბერში თბილისში, შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტში, ჩატარებული VI სამეცნიერო სიმპოზიუმისა — „ლიტერატურათმცოდნეობის თანამედროვე პრობლემები. შუა საუკუნეების ლიტერატურული პროცესი. საქართველო, ევროპა, აზია“, რომელიც მიეძღვნა „ვეფხისტყაოსნის“ პირველი ბეჭდური გამოცემის 300 წლისთავს.

**ლექსმცოდნეობა, IV  
მუხრან მაჭავრიანისადმი მიძღვნილი ლექსმცოდნეობის მეხუთე  
სამეცნიერო სესია (მასალები)  
თბილისი: ლიტერატურის ინსტიტუტის გამომცემლობა, 2011**



კრებული „ლექსმცოდნეობა“ ამჯერად მუხრან მაჭავარიანის ხსოვნას მიეძღვნა. წინა კრებულები ანა კალანდაძის, ლადო ასათიანის, გიორგი ლეონიძის ლექსის კვლევას დაეთმო და, შესაბამისად, ბევრი ახალი ავტორის თვალსაზრისიც გამომზეურდა. კრებულებში დაბეჭდილი გამოკვლევები ლიტერატურის ინსტიტუტში გამართულ ყოველწლიურ ლექსმცოდნეობის სამეცნიერო სესიაზე იყიდება. საგულისმოა, რომ ცნობილ მეცნიერებთან ერთად, სესიის მონაწილენი არიან ახალბედა მკვლევარნიც, რომელთა პირველი ლექსმცოდნეობითი ნაშრომები სწორედ ამ კრებულებში იძეჭდება.


„ლექსმცოდნეობა — IV“ ქართული ლექსის ცნობილი მკვლევრის, ქართველ ლექსმცოდნეთა თაობების აღმზრდელის აკაკი ხინთიბიძის „მუხრანულით“ იწყება. ბატონმა აკაკიმ ჯერ კიდევ 2003 წელს დაბეჭდა წერილი „მუხრანული“ და მუხრან მაჭავარიანის ლექსის მოხსენიება ამგვარი სახლდებით დააკანონა კიდეც. მუხრან მაჭავარიანის ლექსის ოემატიკა და სათქმელის გამოხატვის სტრუქტურა ახლებურად არის განხილული ლევან ბრეგაძის, ნინო დარბაისელის, სალომე ომიაძის, თამარ ვაშაკიძის, თამარ შარაბიძის, ედუარდ უგულავას, ზეინაბ სარიას, ზოია ცხადაიას, თამილა წონორიას, მარიკა ჯიქიას, ქეთევან ენუქიძის, თამარ ბარბაქიძის გამოკვლევებში.

მუხრან მაჭავარიანის ლექსის ახალბედა მკვლევარები: ნუნუ ბალავაძე, მარიამ გიორგაშვილი, ლანა გრძელიშვილი, თამთა კალატოზიშვილი, სალომე ლომოური კი თავიანთ პირველ წერილებს უძღვიან „მუხრანულის“ საიდუმლოსა და ლექსნიკობის კანონებს.

კრებულში მეითხველი გაეცნობა თამარ ლომიძის, მანანა გელაშვილის, ქეთევან გრძელიძისა და მარიამ ნოზაძის გამოკვლეულს ფუტურისტული პოეზიისა და უცხოური ლექსის (კოლრიჯის, იეიტსის, ბლეიკის) თავისებურებების თაობაზე.

### ოთარ ჩხეიძე

სამეცნიერო კონფერენციის მასალები  
თბილისი: ლიტერატურის ინსტიტუტის გამომცემლობა, 2011



კრებული არის პირველი მასშტაბური მცდელობა ოთარ ჩხეიძის შემოქმედების მეცნიერული ანალიზისა. მასში თავმოყრილია თანამედროვე ქართული ლიტერატურათმცოდნებითი სკოლის სხვადასხვა თაობის ნარმომადგენელთა სტატიები და ესეები მწერლის ინტელექტუალური მემკვიდრეობის — რომანების, ნოველების, დრამატული თხზულებებისა თუ თარგმანების შესახებ. ოთარ ჩხეიძის ტექსტები გააზრებულია ახალ ჭრილში, თანამედროვე ფილოლოგიური მოთხოვნების, სტანდარსსტებისა და მეთოდოლოგიების გათვალისწინებით. ამგვარი კვლევები, ერთი მხრივ, ხელს უწყობს მწერლის შემოქმედებითი მემკვიდრეობის კვლევის გაფართოებას, მეორე მხრივ კი, უზრუნველყოფს ქართველი ავტორის სრულფასოვან ჩართვას საერთაშორისო ლიტერატურულ პროცესში.


### სჯანი, №13

ყოველწლიური სამეცნიერო ჟურნალი  
ლიტერატურის თეორიასა და შედარებით  
ლიტერატურათმცოდნებიში  
თბილისი: ლიტერატურის ინსტიტუტის გამომცემლობა, 2012



ჟურნალ „სჯანის“ მე-13 ნომერი განსაკუთრებულია თავისი დატვირთვითა და შინაარსით. პირველად მისი არსებობის მანძილზე ჟურნალში წარმოდგენილია ორი ქვეყნის — საქართველოსა და ბულგარეთის — ლიტერატურულ-კვლევით ცენტრებში მომზადებული მასალა. შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტსა და ბულგარეთის მეცნიერებათა აკადემიის ბულგარული ლიტერატურის ინსტიტუტს ერთმანეთთან მრავალწლიანი თანამშრომლობა აკავშირებთ. ამ მჭიდრო სამეცნიერო ურთიერთობის კიდევ ერთი საყურადღებო შედეგია ჟურნალ „სჯანი“-ს ახალი ნომერი, გამორჩეული ავტორთა ინტერნაციონალური შემადგენლობითა და მასშტაბური ფილოლოგიური თემატიკით.

**გალაკტიონოლოგია, VI  
თბილისი: ლიტერატურის ინსტიტუტის გამომცემლობა, 2012**



2012 წელს შესრულდა დეკადა სამეცნიერო-ლიტერატურულ კრეპულ „გალაკტიონ-ოლოგიის“ დაარსებიდან.

სერიის ახალი წიგნის „გალაკტიონოლოგია VI“-ის ძირითადი კორპუსი ორი ნაწილისაგან შედგება. პირველი — პირველი 20-იანი წლების შემოქმედებისა და ცხოვრების გაშუქებას ეძღვნება. მასში გაერთიანებულია ნაშრომები, რომლის ავტორებიც არიან თეიმურაზ დოიაშვილი, ემზარ კვიტაშვილი, ირაკლი კენჭოშვილი, ლევან ბრეგაძე და ნათია სიხარულიძე.

მეორე ნაწილი გალაკტიონოლოგიური ლიტერატურის რეცენზირებასა და კრიტიკულ ანალიზს ეთმობა. ნინო დარბაისელის, ლევან ბრეგაძის, კახი იოსებიძის, ნოდარ ნებიერიძისა და ეკა იმერლიშვილის წერილებში განხილულია ზაზა შათირიშვილის, როლანდ ბურჭულაძის, ნოდარ ტაბიძის, ნაზი ხელაიას და ავთანდილ ნიკოლეიშვილის მონოგრაფიები თუ ცალკეული წერილები.

გარდა ამ მასალებისა, მკითხველი გაეცნობა კონსტანტინე ბრეგაძის გამოკვლევას „ლურჯა ცხენების“ შესახებ, ვახტანგ ჯავახაძისა და გურამ გოგიაშვილის მცირე ესსეებს, ნათია სიხარულიძის ტექსტოლოგიურ ეტიუდს, ფატი დიდიას მოგონებათა პუბლიკაციას (მოამზადა ნანა კობალაძე) და კრისტიანე ლიხტენფილდის წერილს „გალაკტიონ ტაბიძე“ (თარგმანი გიორგი ბრეგაძისა).

კრებულში სათაურით „საღამოები — ხავერდის ყდაში“ გამოქვეყნებულია ფრაგმენტი როსტომ ჩხეიძის ახალი, ვრცელი ბიოგრაფიული რომანისა „კომიკოსი ტრაგედიაში“, რომელ-საც, ავტორის აღიარებით, საფუძვლად უდევს გალაკტიონის კვლევის ცენტრის სამეცნიერო მუშაობის შედეგები.

**კრიტიკა, № 7  
თბილისი: ლიტერატურის ინსტიტუტის გამომცემლობა, 2012**


კრიტიკა

2012

კრიტიკის ეს ნომერი ბევრ საინტერესო სტატიას გვთავაზობს. რუბრიკა ვექტორებში თანამედროვე ქართული ლიტერატურის შესახებ ოთხი წერილია დაბეჭდილი: ლალი ავალიანი გურამ რჩეულიშვილის „უკანასკნელი აბერსენაჟის“ შექმნის ისტორიას იხსენებს, კოტე ჯანდიერის მოთხრობებზეა საუბარი მაია ჯალიაშვილის „სიცოცხლის მისტერიაში“, ინგა

მილორავა ნაირა გელაშვილის შემოქმედებას განიხილავს, ხოლო ავტორის საკითხს ეხება დავით ქართველიშვილის „თვალთვალი ხელოვნებისათვის“, რომელზეც სოფო წულაძემ შეაჩერა ყურადღება. ამირან არაბულისა და თამარ ჩიხლაძის წერილებია მოთავსებული რუბრიკაში **კულტურა**, ხოლო უურნალისტიკის, კერძოდ, სამწერლო ბლოგინგის პრობლემებზე მსჯელობს მანანა შამილიშვილი. ტრადიციულად, საინტერესო სტუმარი ჰყავს „კრიტიკის“ ამ ნომერსაც — მწერალი ჭაბუა ამირეჯიბი, რომელთან ინტერვიუ საბა მეტრეველმა ჩაწერა. რუბრიკა MEMORIA ქართველ მწერალთა საიუბილეო თარიღებს ეხმიანება: დავით კლდიაშვილის 150 წლისთავს ეძღვნება მაკა ჯოხაძის „ნართმეული ბავშვობა“, 130 წლის იუბილესთან დაკავშირებით გრიგოლ რობაქიძის სამეცნიერო ნოვაციებს აანალიზებს მანანა კვატაია, ადანემსაძის „არჩილ სულაკაურის „თეთრი ცხენი“ კი მწერლის 85 წლისთავის გამო იბეჭდება. უურნალის ყურადღების მიღმა არც მიმდინარე ლიტერატურული პროცესების მნიშვნელოვანი ფაქტები აღმოჩენილა. რუბრიკაში **რეპლიკა** „რეაქტიული კლუბის“ შესახებ საუბრობს ნატოონიანი, ანუკი იმნაიშვილი კი კრებულის — „XXI საუკუნის ქართული მოთხოვნა“ — ზოგად ტენდენციებს მიმოხილავს. ირაკლი ფარჯიანზე საინტერესო სტატიას გვთავაზობს ზაზა ფირალიშვილი. ვაჟა-ფშაველას საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით კი განმეორებით იბეჭდება ალექსანდრე ჭეიშვილის ძალზე საინტერესო და მივიწყებულ წერილი „ვაჟა-ფშაველა“, რომელიც პირველად 1955 წელს გამოქვეყნდა. აქვეა ჰანს-გეორგ გადამერის „გაგების წრის შესახებ“ კონსტანტინე ბრეგაძისეული თარგმანი. „კრიტიკის“ ეს ნომერი იხურება სამეცნიერო სიახლეების მიმოხილვით, სადაც შეგიძლიათ გაეცნოთ მანანა შამილიშვილის რეცენზიას თამაზ ჯოლოგუას მონოგრაფიაზე „ქართული უურნალისტიკის ისტორია (XIX საუკუნე)“ და ნონა კუპრეეშვილის გამოხმაურებას გრიგოლ რობაქიძის სამ ახალ კრებულზე, რომელთა თარგმანები მანანა კვატაიას ეკუთვნის.

## რუსთველოლოგია, VI თბილისი: ლიტერატურის ინსტიტუტის გამომცემლობა, 2011-2012



სამეცნიერო კრებულ „რუსთველოლოგიის“ VI წიგნი „ვეფხისტყაოსნის“ პირველი ბეჭდური (ვახტანგისეული) გამოცემის 300 წლისთავს ეძღვნება. კრებულის თემატიკა მრავალფეროვანია. ნაშრომები წარმოდგენილია, ძირითადად, ტრადიციული რუბრიკების სახით: „ვეფხისტყაოსნის“ სახისმეტყველება, კომპარატივისტული ძიებანი, მითოლოგიური ძიებანი, თანამედროვე ლიტერატურულ-ესთეტიკური თეორიები და „ვეფხისტყაოსანი“, რუსთველოლოგის ისტორიიდან, რუსთაველის იკონოგრაფია, თვალსაზრისი, მწერლის არქივი-დან, ბიბლიოგრაფია. და ბოლოს, წერილი „მე დღესა დავულამდები“ ეძღვნება რევაზ სირაძის ხსოვნას.

**ქართული ფოკლორი, 6(XXII)**  
თბილის: ლიტერატურის ინსტიტუტის გამომცემლობა, 2012

ქართული ფოკლორი

6 (XXII)

Georgian Folklore



სამეცნიერო კრებულის რუბრიკებია: მითი, რიტუალი, სიმბოლო; ზღაპართმცოდნეობა; ფოლკლორი და ლიტერატურა; ბიბლიური სიუჟეტები; გადმოცემები; პოეზია; ტოპონიმური ეტიმოლოგიები, ფოლკლორისტიკის ისტორია; გამოხმაურება; რეცენზია; მემორია; ქართული ფოლკლორისტული გამოკვლევების ბიბლიოგრაფიული საძიებლის ნაწილი. წიგნში წარმოდგენილია:

ახალი მასალები ქალღმერთ დალიზე (ო. ონიანი), „ამირანიანის“ „საირმეთი (ნ. სოზაშვილი), სახელისუფლო სიმბოლოთა ფუნქციონალური სპექტრი (ჯადოსნური ზღაპრიდან ლიტერატურულ ძეგლამდე) (ქ. ელაშვილი), თანამედროვე მითოლოგიის სამი არსებითი ნიშანი შესავალი პოლიტიკურ მითოლოგიაში (ხ. თავდგირიძე), წინასარმეტყველური სიზმრის სატ-სიმბოლოები ხალხურ ლექსებში (თ. ქურდოვანიძე), ნილბის გამოყენების ტრადიციის შესწავლისათვის (მ. ხუხუნაიშვილი-წიკლაური), სიტყვის მაგია და რიტუალი (ნ. ბალანჩივაძე), ტრაგიკული მოტივების გაგებისათვის ზღაპრულ ეპოში (რ. ჩილოყაშვილი), მითის მხატვრული ფუნცია მოდერნისტულ ტექსტში (ი. მილორავა), ერთი ქართული ზღაპრის მიმართების საკითხი ჰომეროსის „ოდისეასთან“ (ნ. რატიანი), ხალხური ტრადიცია გიორგი ლეონიძის მოთხოვაში „სახელის მილოცვა (ე. ჩხეიძე), მითოსურ-ფოლკლორული ნაკადი ოთარ ჭილაძის პოეზიაში (დ. ბედიანიძე), ვაჟა-ფშაველას პოემა „ხის ბეჭი“ და ქართული სამონადირეო მითოსი (ო. ონიანი), ხალხური ბიბლიური ლექსის კომპოზიცია (ე. ინწკირველი), გადმოცემები ზეპირ ისტორიებში (მ. ტურაშვილი, მ. ბაკურიძე), ტოპონიმური ეტიმოლოგიის საკითხები (გ. ქურასბედიანი) და ქართული ფოლკლორისტიკის ისტორიის საკითხები (ხ. მამისიმედიშვილი, ი. ყველაშვილი).

## შოთა რუსთაველის ჩართული ლიტერატურის ინსტიტუტის სამეცნიერო კუბლიკაციების სტილი

1. ლიტერატურის ინსტიტუტის პერიოდულ გამოცემებში ისეჭდება ნაშრომები, რომლებიც მოიცავს თანამედროვე ლიტერატურათმცოდნებისათვის აქტუალურ თემებსა და პრობლემებს, მნიშვნელოვან გამოკვლევათა ჯერ გამოუქვეყნებელ შედეგებს.  
ნაშრომი წარმოდგენილი უნდა იყოს ორ ცალად (ელექტრონული ვერსიით: ელ-ფოსტით ან CD დისკზე) და თან ახლდეს:
  - ❖ თავისურცელი, რომელშიც მითითებული იქნება ავტორის სახელი, გვარი, სტატუსი და საკონტაქტო კოორდინატები;
  - ❖ ანოტაცია ქართულ და ინგლისურ ენაზე (1 ნაბეჭდი გვერდი), საკვანძო სიტყვებითურთ (3-5 სიტყვა).
2. დამოწმებანი (დამოწმებული ლიტერატურის ნუსხა) სტატიას უნდა ერთვოდეს ბოლოში.
3. ნაშრომი მოცულობით უნდა იყოს კომპიუტერზე ნაბეჭდი არა უმეტეს თხუთმეტი და არანაკლებ ხუთი გვერდისა.
4. ნაშრომი დაბეჭდილი და გაფორმებული უნდა იყოს A 4 ფორმატის თეთრ ქაღალდზე შემდეგნარად:
  - ა) ნაშრომის სათაური (ინერება შუაში);
  - ბ) ნაშრომის ტექსტი;
  - გ) დამოწმებანი (დამოწმებული ლიტერატურის ნუსხა);
  - დ) ანოტაცია;
  - ე) ოთხივე მხრივ დატოვებული მინდორი 25 მმ;
  - ვ) ნაბეჭდი ტექსტის შროფტი – Lit.Nusx 11, ინტერვალი — 1;
5. უურნალში მიღებულია ეპროცესული სტანდარტების შესაბამისად შემუშავებული ციტირებისა და მითითების ნესი „ლიტერატურის ინსტიტუტის სტილი“ (ლისტ).  
მისი მოთხოვნება:
  - ა) მოტანილი ციტატა ძირითადი ტექსტისგან გამოიყოფა ბრჭყალებით („“). ციტირების დასასულება, მრგვალფრჩხილებში, დაისმისინდექსი, რომელშიცალნიშნულია ციტირებული ტექსტის ავტორის გვარი, ტექსტის გამოქვეყნების წელი, შემდეგ — ორნერტილი და გვერდი.  
მაგალითად: (აბაშიძე 1970:25). (**იხ. დანართში წარმოდგენილი ნიმუში**).  
ბ) სალექსა სტროფის (და არა სტრიქონის) ციტირების შემთხვევაში, მოტანილი ციტატა გამოიყოფა ტექსტისაგან და ციტატის ფონტის (მრიუტის) ზომა მცირდება ერთი ზომით (მაგ.: თუ ტექსტის ფონტის ზომაა Lit.Nusx 11, მათინ ციტატის ზომა იქნება Lit.Nusx 10).  
გ) მე-6 პუნქტის მოთხოვნა არ ეხება რუბრიკებს „გამოხმაურება, რეცენზია“ და „ახალი წიგნები“, სადაც შრიუტის ზომებია:
    - ❖ ძირითადი ტექსტი — Lit.Nusx 10,
    - ❖ განმარტება-შენიშვნები (სქელით ჩატანით) — Lit.Nusx 9.
6. დამოწმებანი (დამოწმებული ლიტერატურის ნუსხა) უნდა დალაგდეს ინდექსის მიხედვით, ანბანური რიგით და დაიბეჭდოს გარკვეული ნესით (**დანართის ცხრილი**).
7. ა) სტატიის ავტორის ვრცელი განმარტებანი ინომრება და ინაცვლებს ტექსტის ბოლოს ანოტაციის წინ;  
ბ) სტატიის ავტორის მცირე შენიშვნები აღინიშნება ვარსკვლავით და ჩაიტანება გვერდის ბოლოს, სქელით.
8. ავტორი პასუხისმგებელია დასაბეჭდად წარმოდგენილი ნაშრომის ლიტერატურულ სტილსა და მართლწერაზე.
9. შემოსული სტატია სარეცენზიოდ გადაეცემა ანონიმურ ექსპერტს.
10. შემოსული მასალების განხილვის შემდეგ, დამატებითი მითითებებისათვის, რედაქცია დაუკავშირდება დასაბეჭდად შერჩეულ ნაშრომთა ავტორებს.
11. ავტორს, განსაზღვრული ვადით (არა უმეტეს სამი დღისა), კორექტურისათვის ეძლევა უკვე დაკაბალებული ნაშრომი. თუ დადგენილ ვადაში სტატია არ იქნება დაბრუნებული, რედაქცია უფლებას იტოვებს შეაჩეროს იგი ან დაბეჭდოს ავტორის ვიზის გარეშე.

## ციტირების, მითითებისა და ბიბლიოგრაფიის ფორმის ნიმუში

### ნიმუში:

ჟენეტის ამოცანაა პრუსტის მხატვრული მანერის თავისებურებათა გამოკვლევა და იმის დასაბუთება, რომ „მეტაფორა და მეტონიმია შეუთავსებელი ანტაგონისტები როდი არიან. ისინი განამტკიცებენ და მსჯვალავენ ურთიერთს, მეორე მათგანის ჯეროვანი შეფასება სულაც არ ნიშნავს მეტონიმიათა ერთგვარი ნუსხის (რომელიც კონკრეტულიას გაუწევს მეტაფორათა ნუსხას) შედგენას, არამედ – იმის გამოვლენას, თუ როგორ მონაწილეობენ და ფუნქციონირებენ ანალოგის მიმართებათა ფარგლებში „თანაარსებობის“ მიმართებები. ამგვარად, უნდა გამოაშეარავდეს მეტონიმიის როლი მეტაფორაში“ (ჟენეტი 1998: 37). რატომ შეარჩია ჟენეტმა ანალიზის საგნად სწორედ პრუსტის შემოქმედება? იმიტომ, აღნიშნავს მეცნიერი, რომ თვით პრუსტის ესთეტიკურ თეორიაში, ისევე, როგორც პრაქტიკაში, მეტაფორულ (ანალოგიაზე დამყარებულ) მიმართებებს ძალზე არსებითი როლი განეკუთვნება, იმდენად არსებითი, რომ მათი მნიშვნელობა და როლი, სხვა სემანტიკურ მიმართებებთან შედარებით, ძალზე გაზვიადებულია.

### ცხრილი

მონაცემის ტიპი	დამოცვებული ლიტერატურის ნუსხის (დამოცვებანის) ფორმა ინდექსის მიხედვით Bibliography Form
წიგნი, ერთი ავტორი  Book, one authors	<b>აბაშიძე 1970:</b> აბაშიძე კ. ეტიუდები XIX ს.-ის ქართული ლიტერატურის შესახებ. თბილისი: გამომცემლობა „მერანი“, 1970.  <b>ვაისი 1962:</b> Weiss, Daniel A. <i>Oedipus in Nottingham: D.H. Lawrence</i> . Seattle: University of Washington Press, 1962.
წიგნი, ორი, ან მეტი ავტორი  Book, two authors	<b>კეკელიძე ... 1975:</b> კეკელიძე კ., ბარამიძე ა. ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია. თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“, 1975.  <b>ნათაძე ... 1994:</b> ნათაძე კ., პეტრიაშვილი ვ., ნაკაშიძე ბ. ქართულ-რუსული ლიტერატურული ურთიერთობის ისტორიიდან. ქუთაისი: გამომცემლობა „განთიადი“, 1994.  <b>ჰიუტონი ... 1959:</b> Houghton, Walter E., and G. Robert Strange. <i>Victorian Poetry and Poetics</i> . Cambridge: Harvard University Press, 1959.

<p>ყოველთვიური ჟურნალის ან სხვა ტიპის ჰერიონული გამოცემის სტატია</p> <p>Article in a journal or magazine published monthly</p>	<p><b>ალექსიძე 1992:</b> ალექსიძე ზ. „ქართველ ებრაელთა“ საღმრთო მისია საქართველოს სამოციქულო ეკლესიის თვალთახედვით. ჭ. ივერია. ქართულ-ევროპული ინსტიტუტის ჟურნალი, 1, 1992.</p> <p><b>სომერი 1988:</b> Sommer, Robert. <i>The Personality of Vegetables: Botanical Metaphors for Human Characteristics.</i> Journal of Personality 56, no. 4 (December) 1988.</p>
<p>წიგნი, ავტორის გარეშე</p> <p>Book, no author given</p>	<p><b>საბიბლიოთეკო ... 1989:</b> საბიბლიოთეკო საქმის ორგანიზაცია და მართვა. ბათუმი: გამომცემლობა „აჭარა“, 1989.</p> <p><b>ცხოვრების ... 1976:</b> <i>New Life Options: The Working Women's Resource Book.</i> New York: McGraw-Hill, 1976.</p>
<p>დაწესებულება, ასოციაცია და მისთანანი, ავტორის პოზიციით</p> <p>Institution, association, or the like, as «author»</p>	<p><b>ამერიკის ... 1995:</b> ამერიკის ბიბლიოთეკათა ასოციაცია. ორგანიზაციის სახელმძღვანელო ცნობარი და 1995/1996 წლის ნევრთა ცნობარი. ჩიკაგო: ამერიკის ბიბლიოთეკათა ასოციაცია, 1995.</p> <p><b>ამერიკის ... 1995:</b> American Library Association. <i>ALA Handbook of Organization and 1995/1996 Membership Directory.</i> Chicago: American Library Association, 1995.</p>
<p>რედაქტორი, ან კომპილატორი, ავტორის პოზიციით</p> <p>Editor or compiler as «author»</p>	<p><b>დუდუჩიავა 1975:</b> დუდუჩიავა მ. (რედაქტორი). ლიტერატურის თეორიის მცირე ლექსიკონი. თბ.: გამომცემლობა „ნაკადული“, 1975.</p> <p><b>ჰენდერსონი 1950:</b> Henderson, J.N.D. (editor). <i>The World's Religions.</i> London: Inter-Varsity Fellowship, 1950.</p>
<p>ელექტრონული დოკუმენტი ინტერნეტიდან</p> <p>Electronic document: From Internet</p>	<p><b>მიტჩელი 1995:</b> მიტჩელი, უილიამ ჯ. ბიტების ქალაქი: სივრცე, ადგილი და საინფორმაციო ნაკადი [ონ-ლაინ წიგნი] (კემბრიჯი: გამომც.: MIT Press, 1995, განთავსებულია 29 სექტემბრიდან, 1995); მის.: <a href="http://www-mitpress.mit.edu:80/City_of_Bits/Pulling_Glass/index.html">http://www-mitpress.mit.edu:80/City_of_Bits/Pulling_Glass/index.html</a>; Internet.</p> <p><b>მიტჩელი 1995:</b> Mitchell, William J. <i>City of Bits: Space, Place, and the Infobahn</i> [book on-line]. Cambridge, MA: MIT Press, 1995, accessed 29 September 1995; available from <a href="http://www-mitpress.mit.edu:80/City_of_Bits/Pulling_Glass/index.html">http://www-mitpress.mit.edu:80/City_of_Bits/Pulling_Glass/index.html</a>; Internet.</p>

ენციკლოპედია, ლექსიკონი	<b>ვებსტერი 1961:</b> ვებსტერის ახალი საუნივერსიტეტო ლექსიკონი. სპრინგფილდი: MA: G. и C. Merriam, 1961.
Encyclopedia, Dictionary	<b>ვებსტერი 1961:</b> <i>Webster's New Collegiate Dictionary</i> . Springfield: MA: G. & C. Merriam, 1961.
ინტერვიუ (გამოუქვეყნებელი) საავტორო ხელნაწერი	<b>მორგანისი 1996:</b> მორგანისი, ნენსი დ. ინტერვიუ ავტორთან, 16 ივლისი 1996, ფოლ რივიერა, მასაჩუსეტსი, ჩანაწერი
Interview (unpublished) by writer of paper	<b>მორგანისი 1996:</b> Morganis, Nancy D. <i>Interview by author</i> , 16 July 1996, Fall River, MA. Tape recording.
საგაზეთო სტატია	<b>ნიუ იორკ ტაიმსი 1990:</b> „მარიოტის კორპორაციის პროფილი“, გაზ. ნიუ იორკ ტაიმსი, 21 იანვარი 1990, ჩან. III, გვ. 5.
Newspaper article	<b>ნიუ იორკ ტაიმსი 1990:</b> «Profile of Marriott Corp.» <i>New York Times</i> , 21 January 1990, sec. III, p. 5.
ყოველკვირეული ჟურნალის სტატია	<b>ნაითი 1990:</b> ნაითი რ. პოლონეთის შინაომები. ჟ. აშშ-ის სიახლენი და მსოფლიოს ცნობები, 10-17 სექტემბერი, 1990.
Article in a magazine published weekly (or of general interest)	<b>ნაითი 1990:</b> Knight R. <i>Poland's Feud in the Family</i> . U.S. News and World Report, 10-17 September, 1990.
თეზისები, ან სადისერტაციო ნაშრომის დასკვნები (დებულებები)	<b>ფილიპსი 1962:</b> ფილიპსი, ო. ოვიდიუსის ზეგავლენა ლუციანის ზეპურ საზოგადოებაზე. სადოქტორო დისერტაცია, ჩიკაგოს უნივერსიტეტი, 1962.
Thesis or dissertation	<b>ფილიპსი 1962:</b> Phillips, O. <i>The Influence of Ovid on Lucan's Bellum Civile</i> . Ph.D. diss., University of Chicago, 1962.

\*ერთსა და იმავე წელს გამოცემული რამდენიმე ნაშრომი (ცალკე ან თანაავტორობით) ან ერთი და იგივე ნაშრომი (გაგრძელებებით) რამდენიმე ნომერში მიეთითება ანბანური რიგით. მაგალითად: (აბაშიძე 1987ა: 21), (აბაშიძე 1987ბ: 87).



